

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ა. მარტიროსოვი

ქართული ენის ჯავახური  
დიალექტი

გამოკვევა და ტექსტები ლექსიკონითურთ



თბილისი  
„მეცნიერება“

1984

81:2 Fp  
499.962.1.0  
# 338

ნაშრომის პირველ ნაწილში დაწვრილებით განხილულია ჯავახურის ბგერითი შედგენილობა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი. მონოგრაფიის მეორე ნაწილს წარმოადგენს ავტორის მიერ სოფელ-სოფელ შეკრებილი დიალექტოლოგიური ტექსტები, რომლებიც, პირველ რიგში, საინტერესოა ენობრივად, მაგრამ გარკვეულ ინტერესს აღმრავს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის თვალსაზრისითაც. ნაშრომს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც ძირითადად ტექსტებში ნახმარი სიტყვებია განმარტებული.

რ ე ლ ა კ ტ ო რ ი პ რ ო ფ. ი ვ. ქ ა ნ ო შ ა რ ა ძ ე:

## შ ე ს ა მ ა ლ ი

ჯავახეთი ველიან-მთაგორიან ზეგანს წარმოადგენს. მდებარეობს ზღვის დონიდან 1600—2000 მ. სიმაღლეზე. მას ესაზღვრება დასავლეთით — ასპინძის, ჩრდილოეთით — ბორჯომის, აღმოსავლეთით — წალკისა და დმანისის რაიონები, სამხრეთ-აღმოსავლეთით — სომხეთის სსრ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით — თურქეთ-საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარია. მოსახლეობა ძირითადად მისდევს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მკაცრი კლიმატის გამო არახელსაყრელი პირობებია მრავალწლიანი ნარგავების — ხეხილის გავრცელებისათვის<sup>1</sup>. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით, იგი არს უვენახო, უხილო და უტყეო... ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი, თევზნი და ფრინველნი მრავალნი<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა, ეს კუთხე ადრე-დანვე ცნობილია მრავალდარგოვანი ინტენსიური სოფლის მეურნეობით.

ჯავახეთი მესხეთთან ერთად მთლიანი საქართველოს სამეფოში, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედიოდა, რომელიც ტერიტორიულად და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვითაც ძველი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებული ეს მხარე, რომელიც მტრულად განწყობილი სახელმწიფოს უშუალო მეზობლად მდებარეობდა, განუწყვეტელი ექსპანსიური იერიშების ასპარეზს წარმოადგენდა. ოსმალეთმა მისი დამორჩილება მხოლოდ XVII საუკუნეში მოახერხა. 1628 წ. სამცხე-საათაბაგოს მთელი ტერიტორია ახალციხის საფაშოდ ანუ გურჯისტანის დიდ ვილაიეთად გამოაცხადა და ამით ბოლო მოუღო ამ ქართული ფეოდალური სამთავროს პოლიტიკურ არსებობას<sup>3</sup>. განსაკუთრე-

<sup>1</sup> იხ. დ. კოჭორიძის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი „ჯავახეთი“: საქართველოს სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, VI, 1978, გვ. 32—56.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“ IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1973, გვ. 672.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1960, გვ. 161.

ბით ამ პერიოდიდან იწყება თურქთაგან მიტაცებული საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის დაცემა და აოხრება. მტერი დაუნდობლად დევნიდა ქრისტიანულ რელიგიას, ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა მაჰმადიანობის გავრცელებასა და ქართველთა გამუსლიმანებას. მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრთა ერთი ნაწილი თურქთა ძალადობისა და აუტანელი პირობების გამო იძულებული შეიქნა, მიეტოვებინა თავისი სახლ-კარი და ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში გახიზნულიყო. მოსახლეობის მეორე ნაწილი კი, მიუხედავად გაუგონარი ძალმომრეობისა და ტანჯვა-წამებისა, საუკუნეების განმავლობაში გამირულად იგერიებდა მტრის შემოტევებს. მან სასახლოდ დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა, თავისი უძველესი კულტურა, მშობლიური ქართული ენა და ეთნოგრაფიული ერთიანობა.



ჯავახეთი ტერიტორიულად ამჟამად ახალქალაქისა და ბოგდანოვკის ადმინისტრაციულ რაიონებს მოიცავს. ჯავახური მეტყველება, რომელიც ქართული ენის დიალექტთა სამხრეთულ ჯგუფში შედის, გავრცელებულია ძირითადად ახალქალაქისა და, ნაწილობრივ, ასპინძის რაიონებში, ისტორიულად კი იგი უფრო მეტ ტერიტორიას მოიცავდა.

სპეციალურ ლიტერატურაში ჯავახური ქართული ენის დამოუკიდებელ დიალექტად არის მიჩნეული. ჩვენი ნაშრომის სათაურიც ამის შესაბამისად არის შერჩეული, მაგრამ ჯავახურს იმდენი რამ აქვს საერთო მესხურთან, რომ ამჟამად მისი ცალკე, დამოუკიდებელ კილოდ გამოყოფა, ჩვენი აზრით, გაჭირდებოდა. ვიდრე სრული სახით არ იქნება შესწავლილი ის მსგავსება და განსხვავება, რომელიც არსებობს ამ დიალექტურ ერთეულთა შორის<sup>4</sup>, ჯავახურის მიმართ ხმარებული ტერმინი „დიალექტი“ პირობითად უნდა ჩაითვალოს. საკითხის გადაწყვეტას ართულებს ის გარემოებაც, რომ ჩვენში „დიალექტის“ ცნება ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი და განსაზღვრული. იგი ხშირად სხვადასხვაგვარი ვაგებით, განსხვავებული დანიშნულებით იხმარება. მაგალითად, რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში „диалект“ გამოიყენება როგორც „говор“-ის, ისე „наречие“-ს მნიშვნელობით. „говор“-ი ყველაზე პატარა ერთეულია (შდრ. ჩვენში ხმარებული ტერმინი „თქმა“), რომელიც არ იყოფა, ხოლო მათი ერთობლიობა, რომ-

<sup>4</sup> ამის ერთგვარი ცდა მოცემულია შრომაში: ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის (პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 291—297).



ლისათვის საერთო ენობრივი ნიშნებია დამახასიათებელი, წარმოადგენს „наречие“-ს. ზოგი „диалект“-ს ხმარობს наречие-სთან შედარებით უფრო მცირე ერთეულის აღსანიშნავად, რაც არ არის საერთოდ მიღებული. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივ ხმარობენ „наречие“-ს (შდრ. „подговор“)<sup>5</sup>. ზოგ მკვლევარს კი (მაგალითად, ურიელ ვაინრაიხს) სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში მართებულად არ მიაჩნია აღსაწერი ობიექტის აღსანიშნავად „დიალექტის“ ხმარება, თუ მას განვსაზღვრავთ როგორც საზოგადოების, რაიონის ან სოციალური ჯგუფის მეტყველებად, რადგან იგი აღჭურვილია დროისა და სივრცის ატრიბუტებით, რომლებიც ექსტრალინგვისტურია<sup>6</sup>. ჩვენ ამგვარ გაგებას, რატომ უნდა, ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს დიალექტოლოგია ვერ უარყოფს. დიალექტი გავრცელებულია გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში და ამასთან გარკვეულ კოლექტივში. ამის გარეშე ენობრივი ერთეულები არ არსებობს.

ასეთი სხვადასხვაობა „დიალექტის“ გაგებაში იმის შედეგია, რომ დიალექტთა გამიჯვნას ყოველთვის ახლავს გარკვეული სიძნელეები. ეს სიძნელეები მატულობენ, როდესაც იზრდება დიალექტთა ურთიერთგავლენა, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელთა ინტენსიური ურთიერთობით. დღესაც, შეიძლება ითქვას, ზუსტად არ არის განსაზღვრული და შემუშავებული ენობრივი საფუძვლები ენისა და დიალექტის და თვით დიალექტთა და უფრო მცირე ერთეულთა ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. საინტერესოა, მაგალითად, რ. ლეჩის მოსაზრება ამ სიძნელეთა შესახებ. იგი ერთერთ სტატიაში წერს: თუ რამდენად ძნელია დაიძებნოს სწორი კრიტერიუმი „ენისა“ და „დიალექტის“ კატეგორიის ზუსტი გამიჯვნისათვის, მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველაზე უფრო კარგად შესწავლილი ახლო მონათესავე ჯგუფების მიმართაც კი, როგორცაა გერმანული, რომანული და სლავური, სპეციალისტთა შორის არ არის ერთიანი აზრი გამოიმუშავებული იმის შესახებ. თუ ეს ჯგუფები რამდენად იყოფა. პრაქტიკულად ყველაზე ნაკლებ უთანხმოებას იწვევს ისეთი შემთხვევები, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ეროვნულ ენებთან, რომელთაც აქვთ შედარებით ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია და რომელთაც გამოიმუშავეს მყარი ნორმა ერთიანი სალიტერატურო ენისა. მა-

<sup>5</sup> Р. И. Аванесов, Очерки русской диалектологии, часть первая, М., 1949, гл. 10—11.

<sup>6</sup> შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია: მიომხილველი, 4—5, თბ., 1968, გვ. 127—142.

გალითად, არაეინ არ დაეკვდება ისეთი ენების არსებობაში, როგორცაა ინგლისური, გერმანული, იტალიური, რუმინული, რუსული, პოლონური და სხვა, მაგრამ როცა საკირო ხდება ზუსტად განისაზღვროს რომელიმე მათგანის დიალექტური შედგენილობა, მაშინ თავს იჩენს შესამჩნევი განსხვავება. მაგალითად, ზოგიერთი ენათმეცნიერი მერყობს, ე. წ. ქვემოგერმანული დიალექტი ჩაითვალოს გერმანული ენის შემადგენელ ნაწილად თუ დამოუკიდებელ დასავლურ გერმანულ „ენად“. სხვა ენათმეცნიერებისათვის გაურკვეველია, სამხრეთ-საფრანგეთის დიალექტები (მხედველობაშია კუნძულ სარდინიის მოსახლეობის ენა) წარმოადგენენ „ენას“ თუ „დიალექტს“. ბევრი რამ უცნობია სლავისტთა შორის პოლონური ენის დიალექტების შესახებაც<sup>7</sup>.

\* \* \*

ჯავახურზე მუშაობა 1946 წ. დავიწყეთ. მაშინ ვითვალისწინებდით, პირველ რიგში, იმ გარემოებას, რომ ამ კუთხის მეტყველება შეუსწავლელი იყო. ამასთან ერთად, იგი ყურადღებას იქცევდა მომიჯნავე კილოებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ანგარიში ეწეოდა იმ თავისებურ ვითარებასაც, რომ ჯავახური მესხურთან ერთად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვა სისტემის ენათა გავლენას განიცდიდა, რასაც არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეჩნია კილოს ლექსიკურ თუ გრამატიკულ სტრუქტურაზე.

1946 წლის ზაფხულს ჩვენი დიალექტოლოგიური დაკვირვების ობიექტებს წარმოადგენდა ახალქალაქის რაიონის ქართველებით დასახლებული სოფლები: ქილდა (ახლა ოკამი), გოგაშენი, აფნია, დანკალი (ახლა ნასოფლარი), პრტენა, კოთელია და ბარალეთი. დაწყებულ მუშაობას 1947 წ. განვაგრძობდით ამავე რაიონის ქართულ-სომხური მოსახლეობით დასახლებულ ნარევ სოფლებში, როგორცაა: მურჯახეთი, გოკიო, ვარეჯანი და ხოსპიო. ამავე დროს მუშაობა ჩავატარეთ სხვა სოფლებშიც. წინა წელს ჩაწერილი ტექსტებისა და შეკრებილი ლექსიკის გაცნობის შედეგად წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით დაზუსტდა ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის გავრცელების არე, შემოწმდა ზოგიერთი გრამატიკული ფორმა და ლექსიკური მასალა. 1948 წ. დიალექტოლოგიური მასალები დამატებით შეგროვდა ახალქალაქის რაიონის სოფლებში: პრტენასა და ბა-

---

<sup>7</sup> Р. Леч, К вопросу о соотношении категорий «язык» и «диалект». Сборник «Русское и славянское языкознание». М., 1972, гл. 162.

რალეთში, ძირითადად კი მუშაობა წარმოებდა ახალქალაქის მომიჯნავე სოფლებში: საროსა, ხიზაბაერასა, ვარგაესა და თოკში. დარაიონებამდე და ისტორიულადაც ეს ოთხი სოფელი ჯავახეთს განეკუთვნებოდა, შედიოდა ახალქალაქის მაზრაში. 1930 წელს კი გამოეყო მას და ასპინძის რაიონს შეუერთდა. ზემოთ დასახელებული ოთხივე სოფელი მესხეთისა და ჯავახეთის მიჯნაზე მდებარეობს, გაშენებულია ჯავახეთის ზეგანზე (მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეს, რომელიც თავდება საროსა და ვარგაეის საზღვარზე). ტერიტორიულად ესენი უფრო ახლოსაა ახალქალაქის რაიონთან და საკმაოდ დაშორებულია ასპინძის რაიონის სოფლებს.

ზემოთ დასახელებულ სოფლებში მოპოვებული დიდძალი დიალექტოლოგიური მასალების ანალიზისა და ცოცხალ მეტყველებაზე უშუალოდ დაკვირვების შედეგად 1948 წ. დაიწერა მონოგრაფიული გამოკვლევა, რომლის ერთი ნაწილი 1950 წ. გამოქვეყნდა „პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში“ (ტ. VIII). უფრო გვიან კი, 1970—1972 წლებში, ეურნალ „მაცნე“-ში დაიბეჭდა გ. ბერიძის ორი წერილი, რომელშიც ავტორის მიერ მოპოვებული მასალის გათვალისწინებით მიმოხილულია ჯავახურის ფონეტიკური<sup>8</sup> და მორფოლოგიური<sup>9</sup> თავისებურებანი.

წინანდებარე ნაშრომის გამოქვეყნება თავის დროზე ვერ მოხერხდა. 1980 წელს, როცა რეალურად დადგა საკითხი მისი დაბეჭდვისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საგამომცემლო გეგმაშიც შევიდა, ავტორს მოუხდა სასტამბოდ დამზადებული ნაშრომის გადახედვა, შემოკლება და ახლად გამოცემული სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინება.

\* \* \*

ჯავახურის ენობრივ მიმოხილვას ერთვის ავტორის მიერ სოფელ-სოფელ ჩაწერილი ტექსტების ერთი ნაწილი, რომელიც შინაარსობრივად მრავალფეროვანია. მასში ასახულია ისტორიული და სათავგადასავლო ამბები, გადმოცემანი ბატონყმობის შესახებ, ცნობები სოფლების, ნასოფლარებისა და პიროვნებათა შესახებ, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობა, ძველი ადათ-ჩვეულებანი, ახალი ყოფის ამბები, ხალხური გართობა-თამაშობანი, მოსწრებული სიტყვა-პასუხები,

<sup>8</sup> მაცნე, 6, 1970, გვ. 231—248.

<sup>9</sup> მაცნე, 4, 1972, გვ. 141—154.

ზღაპრები და სხვ. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მასალები, რომლებშიც წარმოდგენილია გადმოცემანი თურქდამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლების შესახებ.

მასალა ძირითადად ჩაწერილი გვაქვს უფროსი თაობის წარმომადგენლებისაგან, რომელთაც თავის დროზე სათანადო კლასიკური განათლება არ მიუღიათ, სალიტერატურო ენის გავლენაც ნაკლებ განუცდიათ და ამიტომ უკეთ შემოუნახავთ თავიანთი სოფლის მეტყველების თავისებურებანი, მისი ძველი სახე.

ნაშრომს ერთვის აგრეთვე მცირე მოცულობის ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია უმთავრესად ტექსტებში ნახმარი სიტყვები, ტერმინები და იდიომატური თქმები, რომლებიც გამოქვეყნებულ სხვა დიალექტურ ლექსიკონებში არ არის შეტანილი, ან კიდევ არის, მაგრამ ჭავახურში მათ არსებითად ან ნაწილობრივ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. ერთი ნაწილი სიტყვებისა კი ლექსიკონში წარმოდგენილია იმ მიზნით, რომ, საერთოდ, შესაძლებელი შეიქნას ქართულ დიალექტებში მათი გავრცელების არეალების დადგენა. ლექსიკონში შევიდა აგრეთვე თურქულიდან ან თურქულის გზით შემოსული არაბულ-სპარსული და სომხური წარმოშობის სიტყვები, რომელთა დიდი ნაწილი მოხუცთა მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. სიტყვათა უმეტესობას ერთვის საილუსტრაციო მასალა, რომელიც ამოკრებილია ავტორის მიერ ადგილზე ჩაწერილი ტექსტებიდან და სასაუბრო მასალიდან.

სიტყვათა განმარტებისას დამოწმებული არ არის ქართულ სალიტერატურო ენისა და დიალექტთა ლექსიკოგრაფიული წყაროები.

## თავი პირველი

### ფონეტიკა

#### I. განსხვავებული გვირგვინი

უმარცვლო ა. შუაენისმიერი ფშინვიერი უმარცვლო ა დამოუკიდებელ ფონემას არ წარმოადგენს. მისი არსებობა ყველა შემთხვევაში პოზიციურად არის შეპირობებული. იგი, როგორც აღმავალი დიფთონგის ელემენტი, ქართულ სიტყვებში შენიშნული გვაქვს სოფ. მურჯახეთში. ნიმუშები ასეთია: მეხლა, მეზო, მერთი, მერთხელ, მეს, მეგონა, მეკითხებოდა, მეუბნება, მესროლა და სხვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ყველგან ა უძღვის ე-ს და იგი ამ ხმოვნის იოტირებული შემართვაა. ამავე პოზიციაში ა დადასტურებული აქვს გ. ბერიძეს -ევ, -ემ და -ებ თემისნიშნისან ზოგიერთ ზმნაში. ესენია: ლმევს, სწამევ, ქცამევ, სდამევ<sup>1</sup>, რაც შეეხება არაქართული წარმოშობის სიტყვებს, აღმავალი დიფთონგები სხვა სოფლებშიც გვაქვს ფიქსირებული: მოხქი, მოხსულობა, მოლას წავედით, მასაულები, მარალი, მარიანი, მაყესმათ, მაკოფი, გააური...

ზემოთ დავიმოწმეთ აღმავალი დიფთონგის შემცველი მეს, მეხლა, მაგრამ ეს ნაცვალსახელი და ზმნისართი ჩვეულებრივ ი ხმოვნით გვხვდება: მეს, მენლა. ორგვარადვე გვაქვს ჩანიშნული აგრეთვე ჰამერი/ჰაიერი: დაბალი ჰ ა მ ი ე რ ი იყო: შდრ. ჰ ა ი ე რ ი ვერ ავიტანეთ; აქ ჰ ა მ ე რ ი კარქია; შდრ. ჰ ა ი ე რ მ ა აწყინა.

აღმავალი დიფთონგიზაციის ფაქტები ცნობილია სხვა დიალექტებიდანაც. გვხვდება მესხურში (მათალი, მენგიბარი, მეხლა)<sup>2</sup>, უფრო ხშირია აჭარულში (შმატყო, შმაძლია, შმაქრა)<sup>3</sup>, თუშურში (მამ, მახლ,

<sup>1</sup> ვ. ბერიძე, ქართული ენის ჯაჯახური კილო: მაცნე (ყველგან ივლილხმება ენისა და ლიტერატურის სერია), 6, 1970, გვ. 234.

<sup>2</sup> ილ. მაისურაძე, ძირითადი დონეტიური მოვლენები მესხურში: გორას სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1, 1942, გვ. 140.

<sup>3</sup> შ. ნიქარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბიულეტი, 1957, გვ. 7;

დაგრ)⁴, ინვილოურში (დეზნა, მეზიან, მეხლა... მეკრაშ)⁵, იმერხეულ-  
ში⁶ და ფერეიდნულში⁷. ეს ის კილოებია, რომლებიც ისტორიულად  
მოქცეული იყვნენ (ზოგი ახლაც არის) უცხო ენობრივ გარემოცვაში  
და ამიტომ ამ ტიპის დიფთონგზაციისადმი ლტოლვაში თურქულის,  
სპარსულის, აზერბაიჯანულისა და წოური ენების გავლენა, ცხადია,  
გამორიცხული არ უნდა იყოს.

ჯავახურში არა გვაქვს დამავალი დიფთონგები ბოლოხმოვნის  
სახელთა სახელობითში, რითაც იგი განსხვავდება მესხურისაგან⁸, სხვა  
შემთხვევაში კი ამგვარი დიფთონგის ხმარების შემდეგი მაგალითები  
შეგვიძლია დავასახელოთ: ფადტონი, რადტო? მაფშინ, რო მ ც ა დაგვარ-  
ბივეს: რო მ ც ა რო მოიჩიტა; რო მ ც ა თორმეტი წლისა გზდა და  
სხვ. ორი უკანასკნელი მაგალითის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, რომ  
აქ საქმე გვაქვს სანის დასუსტების შემთხვევასთან: მასშინ > მაფშინ,  
როსცა > რომცა. ამას მხარს დაუჭერდა ფშაურის ჩვენება (ძმებთან  
როსა ც მივიდა)⁹ და საერო მწერლობის ძეგლებში დადასტურებული  
როს, როსა ც ფორმები: როს (=როლის) გიქნია (რუსუდანიანი);  
აროს < აროს) ყოფილიყოს (იქვე); როსა ც შელამდა (თიმსარი-  
ნი, 186), არცაროს (რუსუდანიანი)¹⁰. მაგრამ ჯავახურში სხვა ამ-  
გვარი დიფთონგებისა და აგრეთვე რო მ ც ა-ს გვერდით რო ი ც ა-ს  
არსებობა (რო ი ც ა მობძანდა), თითქოს პირველ შესაძლებლობას  
უჭერს მხარს, თუმცა ეს უკანასკნელი ფორმა შეიძლება მეორეულიც  
იყოს (რომცა > როიცა).

---

კ. ქუბლაშვილი, დიფთონგზაცია აჭარულში: აღ. წულუკიძის სახ. ქუთა-  
ისის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIV, 1962.

⁴ თ. უთურგაიძე, თუშური კლო, აკაკი შანიძის რედაქციით, თბი-  
ლისი, 1960, გვ. 9; მისივე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი: კრებ.  
მეტყველების ანალზისა და სინთეზის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 90.

⁵ გრ. იმნაიშვილი, ინვილოურის ბგერითი შედგენილობა: ქართველურ  
ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 1963; მისივე, ქართული ენის ინვილოური  
დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966, გვ. 19.

⁶ Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: Тексты  
и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911, გვ. 59.

⁷ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულს მთავარი თავისებურებანი: ტფილისის  
უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 200.

⁸ შ. ძიმიტური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი: ენიკის მოამბე,  
X, გვ. 239; ილ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.

⁹ ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978, გვ. 39.

¹⁰ ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ფონეტიკური თავისებურებანი,  
ივე, VI; 1954, გვ. 121.

დამავალ დიფთონგს ქმნის აგრეთვე რედუცირებული **ხ** და **ჰ** სპირანტებისაგან მიღებული **ჟ** (სათანადო ფაქტები მოპოვებულია სოფ. ქილდაში, მურჯახეთსა და გოგაშენში). კახურისა და ქართლურის მსგავსად, სუბიექტური მეორისა და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსების მონაცვლე **ჟ** ჰავსა და ხანს შორის გარდამავალი ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებს; მაგ.: წაძყუა, გაბედამს, გამოფვარდა... პურ არ **ა ბ ტ ე ხ ა მ დ ა**; ქალი არ **დ ა ბ ტ ო ვ ე ს**. ისეთ მავალითში კი, როგორცაა: **მ ო ჟ შ კ რ ა**, ადგილი აქვს ორმაგი პრეფიქსის ხმარებას, რომელსაც მომდევნო თანხმოვანთან ასიმილაციის ნიადაგზე **ჟ შ** მოუცია.

**ჟ** ზოგჯერ გვხვდება ხმოვნების შემდეგ მიცემითის **ხ**-ს დასუსტების შედეგად; მაგ.: **გ ზ ა ჟ** ვასწავლიო; **ნ ე ბ ა ჟ** გაძლევს; **ს ა ქ მ ე ჟ** მოქცემთ; **იმ დ ღ ე ჟ**, **ა მ ა ჟ** ჰყამდა; **რ ა ჟ** გვემართლებით? **ბ ო ლ ო ჟ** მოკვდა...

უფრო იშვიათია იგი ფუძისეული **ხ**-სა და ნათესაობითში დასმული პრეპოზიციური მსაზღვრელის **ხ** ელემენტის ვარიანტად; მაგ: **მაგი ლ ი ბ ტ ე ბ ი** სანსიებია... **ს ი ს ხ ლ ი ჟ** ღვრით, **ა მ ი ჟ** მამა, სახლიაქენ.

**ჟ** სპორადულად თავს იჩენს აგრეთვე ხმოვნების შემდეგ სუბიექტური მესამე პირის **ხ** ნიშნისა და მრავლობითის -**ეს** სუფიქსის **ხ** ელემენტის მონაცვლედ; მაგ.: **რო გვითხრა ჟ**... **უთხრე ჟ**, **ამოფხიკე ჟ**...

**ირაციონალური ჟ ხმოვანი.** ქართველურ ენათაგან ასეთი ხმოვანი სვანურში და ზანურის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავშია დადასტურებული<sup>11</sup>. სვანურის მიმართ **ა**. შანიძეს შენიშნული აქვს, რომ „იგი მრავალ შემთხვევაში **ს**ხვა ხმოვანთა რედუქციის შედეგია და ხშირად აგრეთვე ერთად თავმოყრილ თანხმოვანთა გამოთქმის გასაადვილებლად განვითარებული სეკუნდარი ხმოვანია<sup>12</sup>. არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, **ჟ** ნახევარხმოვანი მეგრულში მიღებულია **ი** და **უ**-ს (ზოგჯერ **ო**-ს) დასუსტების შედეგად<sup>13</sup>. ორივე ეს მომენტი უდევს საფუძვლად **ჟ**-ს არსებობას ჯავახურში. ზოგიერთ სიტყვაში იგი **ო**-სა და **უ**-ს მონაცვლედ გვევლინება თანხმოვანთა შორის. მაგ.: **ცხხეს**, **მაშენ**, **თარღლი**, **ყვრაზე**, **ნიგარხანგმი**... **რალაცას ფ გ ს ფ გ ს ე ბ ე ნ**. შედარებით უფრო ხშირია იგი თანხმოვანთა გასაყარად; მაგ.: **ბერმა**, **გგზაზე**, **საყდარი**, **პერტენელი**, **ხებორები**, **სახებორე**.

<sup>11</sup> ამის შესახებ იხ. გ. როგავას ვრცელი გამოკვლევა „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, I, 1962, გვ. 8—22.

<sup>12</sup> უმლაუტი სვანურში; „არილი“, 1925, გვ. 173.

<sup>13</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი, 1936, გვ. 23.

ყველა ამ შემთხვევაში 2-ს გამოვლენა, ექვი არ არის, თურქულს მიეწერება, რომელსაც ამ რიგის ბგერა მოეპოვება. ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად 2 სწორედ თურქულიდან შემოსულ სიტყვებში გვხვდება: ყვსმათი, ყვზგლბაში, ბეზავები, გვრვანქა და სხვ. (ნიმუშები წარმოდგენილია ხოსპიოში, მურჯახეთში, თოკში, გოკიოსა და საროში ჩაწერილი ტექსტებიდან).

ამ რიგის ცალკეული ფაქტები დადასტურებულია მესხურშიც<sup>14</sup>.

უმარცვლო უ. ისე როგორც ქართული ენის სხვა კილო-თქმებში; ჯავახურშიც უმარცვლო უ დამოუკიდებელ ფონემას არ წარმოადგენს, იგი კბილბაგისმიერი ვ-ს ვარიანტია. ძველი ქართული ენის ჩვენებიდან თუ ამოვალთ, ჯავახურში უმარცვლო უ ორგვარ ვითარებაში გვხვდება: 1. იგი იხმარება ისეთ სიტყვებში, რომლებშიც ოდითვე წყვილბაგისმიერი უ იყო. 2. დასტურდება ისეთ სიტყვებშიც, რომლებიც ჩვეულებრივ ვინით იწერებოდა. მეორე შემთხვევაში უ, რა თქმა უნდა, კბილბაგისმიერი ვ-ს გაწყვილბაგისმიერებით მიიღება. ერთი მხრით გვაქვს: თჭარე, ტჭარი, კჭდარი, მოკჭდა, სიკჭდილი, ქჭაბით, ღჭდელი, კჭირა, შჭიდობით, ყჭავილი, ყჭავის, წჭდებოდა, იშიშჭლა, აგჭიყვანა, გაგჭიყვანა და სხვ., მეორე მხრით კი — ქჭა, ქჭავდება, რჭაფუთიანი, შემოსჭლაზე, წასჭლა, მოსჭლა (შდრ. წასვლა, მოსვლა), დასამალჭათ და სხვ.

ვ-ს ნაცვლად უმარცვლო უ! ზოგჯერ ხმოვნის შემდეგაც გვხვდება და მასთან ერთად თანხმოვნის წინ დამავალ დიფთონგს ქმნის; მაგ.: ჩემ მ რ ე უ ლ გაუმარჯვიაო! (შდრ. ქართლური ბეჭური)<sup>15</sup>, გ ზ ა უ რ ს ა. მადლობა გადაუხადა; გასტანა მამლის ყ ი უ ლ ა მ დ ე.

უკანაენისმიერი ლ. ჯავახურს ან, უფრო სწორედ, ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველებას ახასიათებს წინაენისმიერი ლ-ს თავისებური ვარიანტი, რომელსაც პირობითად შეიძლება უკანაენისმიერი ლ ვუწოდოთ და გრაფიკულად ლ ნიშნით გამოვხატოთ. იგი აკუსტიკურად ღრმა და მაგარ შთაბეჭდილებას ტოვებს და გვხვდება რამდენიმე ქართულ სიტყვაში: ქალი, ყველაფერი, სილა შემოჰკრა. გაცილებით ხშირად ისმის იგი არაბულ-თურქული წარმოშობის სიტყვებში, როგორცაა: ჯალათი (მურჯახეთი, სარო), მოლა (ქილდა), ილაჯი (მურჯახეთი), სტამბოლი, ხალხი (ქილდა). უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ენებში ზოგი ამათვანი ორმაგ ლ-ს შეიცავს.

უკანა ენისმიერი ლ დადასტურებულია რაჭულშიც<sup>16</sup>. ვფიქრობთ,

<sup>14</sup> ილ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

<sup>15</sup> გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, I, 1974, გვ. 133.

<sup>16</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, რაჭული დიალექტი: ქართული დიალექტოლოგიური ძი-



ამგვარი ლ უნდა გვემხედოს ინგილოურშიც, რომელსაც ამ კილოს მკვლევარი გრ. იმნაიშვილი გემინატს უწოდებს<sup>17</sup>.

ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა. ვადასტურებთ თავიკიდური ა და ე ხმოვნების ფშვინვიერი შემართვის შემდეგ შემთხვევებს: ჰამანაც, ჰამას, ჰადე! ჰალბათ, ჰაპა, ჰეკალი, ჰეკლესია, ჰეკვი, ჰეგრე, ჰერეკლე<sup>18</sup>.

ფშვინვიერი შემართვის წყალობითაა, რომ თავიკიდურ პოზიციაში ჰ შემონახულია არაქართული წარმოშობის ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ჰექიმი, ჰარამი, ჰალალი, ჰალბათ, ჰურია, ჰამაც და სხვ. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ჯავახური მაინც ვერ შეედრება ინგილოურს, სადაც ფართოდ არის გავრცელებული ეს მოვლენა (ჰეგ, ჰიგი, ჰემავ, ჰემგე, ჰეგენ, ჰუთქომ, ჰუნდ, ჰუნარი...) <sup>19</sup>.

უმლაუტიანი ხმოვნები. ჩვეულებრივ ხმოვანთა გარდა, ჯავახურს ახასიათებს აგრეთვე უმლაუტიანი ხმოვნები ა, ო, ო, რომლებიც დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოადგენენ. ორი უკანასკნელი, ისევე როგორც უმლაუტების მქონე კლასიკურ დიალექტში — ინგილოურში<sup>20</sup>, მიიღება პოზიციურად — წყვილბაგისმიერ უ-სთან ან კბილბაგისმიერ ვ-სთან პალატალური ი და ე ხმოვნების ლაბიალიზაციით, ა კი, როგორც წესი. თურქული გზით შემოსულ სიტყვებში გვხვდება.

ყველაზე ხშირად მაინც უმლაუტიანი ო თავს იჩენს ვ(ჟ)+ე კომპლექსის შეხვედრის შედეგად, რომელშიც ვ (ჟ) მეტწილად ფუძისეულს წარმოადგენს; მაგ.: გოლი (გველი), კოტცი, შონიერი, ქოყანაში, ყოლფერი, ქოშ, გორღზე, ქოვრი (ქვევრი), ძოლი (ძველი), ჩონ, ჩონი, ჩონთუნ... გოყოფა...

ო ზოგჯერ მიიღება აგრეთვე ვ-ს მიერ წინამავალი ე-ს გალაბილუბით და მის წინ ვ(ჟ)-ს გადანაცვლებით; მაგ.: ოქსი (ექუსი), შოგინახა (შეგინახა). ასეთ შემთხვევაში ო უფრო ე-საქენ გადახრილი ჩანს.

ჟ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგება ვ(ჟ)-სა და ი-ს შერწყმით. მას მეტწილად ვხვდებით სახელთა ფუძეებში და -თვის (თტის) თანდებულში; მაგ.: შული, შულევი, შულდისარი, შულჯერ... შულისთუნ, ძმისთუნ, ბებრითუნ, ცხენისთუნ და სხვ.

---

ებანი, 1970, გვ. 194; ვ. თოფური, მთარაქულის დახასიათებისათვის: ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 240.

<sup>17</sup> ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავიკიდურებანი, გვ. 19.

<sup>18</sup> სხვა მაგალითები იხ. გ. ბერიძის დასახ. ნაშრომში, გვ. 236.

<sup>19</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 75.

<sup>20</sup> გრ. იმნაიშვილი, უმლაუტი ინგილოურში, გვ. 165—166; მისივე ინგილოურის ბგერითი შედგენილობა, გვ. 81.

აქ წარმოდგენილი მაგალითები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამას ადგილი ჰქონდეს ყველგან და ყოველთვის. ჩვენ ეს ხმოვნები დაეადასტურეთ უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ისეთ სოფლებში, როგორცაა მურჯახეთი, ვარეჯანი, სარო, თოკი, ქილდა, გოგაშენი, ხიზაბავრა, მაგრამ ამავე სოფლებში და სხვაგანაც ამავე სიტყვებში უფრო მეტად ჩვეულებრივი ო და უ გვხვდება; მაგ.: გორღზე, ჩონ, ჩონი, შულმა, შულსა, შულებს, იმისთუნ, თავისთუნ, წუმა და სხვ.

ზ გვევლინება მარტოოდენ თურქულიდან და თურქულის გზით შემოსულ საზოგადო და საკუთარ სახელებში, როგორცაა: დნლიბაში, ქაზიმ, მამამად ალი ბეგი, ბაზირგანი, ქარუმა, ქალოღლანა, ქამანდო და სხვ.

უმლაუტთან დაკავშირებული მოვლენები ჯავახურში, რა თქმა უნდა, თურქულის ხანგრძლივი და ძლიერი გავლენის შედეგია. ამ თავისებურებებით იგი განოეყოფა ქართული ენის დიალექტთა უმეტესობას, მაგრამ გარკვეულ კავშირს აბამს ასევე უცხო ენობრივ გარემოცვაში მოქცეულ ინგილოურთან, რომელშიც შეუდარებლად უფრო ფართოდ არის გავრცელებული უმლაუტიანი ხმოვნები და მათთან დაკავშირებული ნაირ-ნაირი და რთული ფონეტიკური პროცესები. ჯავახური ამით ერთგვარ მსგავსებას ავლენს აგრეთვე ფერეიდნულთან, მაგრამ, როგორც ჩანს, მასზე სხვა ენის გავლენა უფრო შორს არის წასული.

## 11. ფონეტიკური პროცესები

1. ასიმილაცია. კარგად ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც გარკვეულ ნორმებს ექვემდებარება, ასიმილაციის მოვლენებს მეტად შეზღუდულად წარმოგვიდგენს: „ასიმილაცია მეზობელ ბგერებს შორის ყოველთვის როდი ხდება. ქართულის ეს ფონეტიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ერთად მდგომი სხვადასხვა რიგის ბგერები ისე გამოთქვას, რომ მათ შორის ასიმილაცია არ მოახდინოს...<sup>21</sup>. ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად არ ვრცელდება ქართული კილოების მიმართ, რომლებიც, ჩვეულებრივ, შეუზღუდავად, გარკვეული კონტროლისა და მტკიცე ნორმების გარეშე ვითარდებიან და ამით სალიტერატურო ენისაგან ერთგვარად განსხვავდებიან.

<sup>21</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 23.

ასიმილაციის ტენდენცია მეტად ფეხმოკიდებულია ცოცხალ ქართულ კილოებში, განსაკუთრებით დასავლურში. ჯავახური, რომელიც მესხურთან ერთად, ერთგვარ გარდამავალ ზონას წარმოადგენს აღმოსავლურ და დასავლურ კილოებს შორის, გვიჩვენებს როგორც ერთის, ისე მეორისათვის დამახასიათებელ მოვლენებს.

**ხმოვანთა ასიმილაცია.** ძირითადად გავრცელებულია სრული რეგრესული ასიმილაციის მოვლენები. ამ ტიპის ხმოვანთა ცვლილებას ადგილი აქვს ზმნაში ფუძისეულ და პრევერბისეულ ხმოვანთა შეხვედრისას. მასიმილირებელი ხმოვნების როლში ჩვეულებრივ ე და უ გვევლინება.

ა) ფუძისეული ე ავიწროებს მის წინამავალ უფრო ფართო ა ხმოვანს და სრულად იმსგავსებს მას. ე-სთან ასიმილაციას განიცდის აგრეთვე უკანა რიგის ო. ამ მხრივ ჯავახური საერთოს ავლენს მესხურთან, ქართლურ-კახურთან, ინგილოურთან, ფერეიდნულთან და ზოგიერთ დასავლურ კილოსთან.

ა>ეე: ეეხილა, ეეოხრებინათ, გეეხარდა, გეეტება, გეეტანა, გეექცა, გეეყო, გადეეყრუებიან, დეეკითხა, დეეკიდება, დეექცევა, დეეხწია, დეენანა, დეემორჩილენ, დეემტერება, დეეცემოდა, ჩეეცმევიანა, წეეკილა, წეეწოდა და სხვ.

ოე>ეე: მეერია, მეექცია, მეელაპარაკა, მეელოდნენ, მეესმა, მეეფარა, მეევლინა, მეეშვა, მეეკლა, მეენდომებიანა.

ამავე რიგის შორეული ასიმილაციის მაგალითია: რემლებიც (<რომლებიც>). ვ-ს შემდეგ ო-ს გადასმითა და მომდევნო ე ხმოვანთან სრული ასიმილაციით არის მიღებული ყვეელ (<ყოველ>): ყ ვ ე ე ლ დღე, ყვეელდღიურათ (შდრ. ყ ვ ე ლ დღე, ყველდღიურათ).

ზემოაღნიშნულ ორივე პროცესს ადგილი აქვს აგრეთვე, როცა ხმოვანთა ამოსავალ სათანადო თანამიმდევრობაში სუბიექტური თუ ობიექტური პირის ნიშნებია; მაგ.: გეექქცით, დეეგქიდა, დეეგველოს, მევერიე, მეველით, მეგეცემა და სხვ.

მოვლენა ერთნაირად ვრცელდება რთული გამო-, ჩამო-, გარდა-, შემო- პრევერბების მქონე ზმნებზედაც, სადაც პრევერბისეული ორივე ხმოვნის დამსგავსება ხდება ასეთი თანამიმდევრობით: გამო-+ე>გამეე->გემეე-, ჩამო-+ე>ჩამეე->ჩემეე-, გადა-+ე>გადეე->გედეე-; მაგ.: გემეექმამაგა, გემეეცხადა, გემეეელიათ, გემეენაცნაურა, გემეევიდობა (შდრ. გამეეპარა), ჩემეეგეშეელა (<ჩამოგეშეელა), გედეეხვია, შემეეეჩვია და სხვ.

სხვა კონტექსტში ამავე ტიპის ცვლილება მოუდის ფუძისეულ ხმოვანსაც; მაგ.: დაბრმევებულა; გვევერცევებენო (<გვეარცევებენ<

გვცარცვავენ < გვძარცვავენ); სამუშავეებს (< სამუშაოებს), აწარმე-  
ვებდა (< აწარმოვებდა)...

ვიღაცა ნაცვალსახელის მრავლობით რიცხვში -ებ სუფიქსის ე  
ხმოვანი სრულად იმსგავსებს -ცა ნაწილაკის ა ხმოვანს, მაგ.: ებძვის  
ვიღაცებეს. ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს რაღაც ნაცვალ-  
სახელის მრავლობითში, ოღონდ აქ ასიმილირებული ე (<ღა), თავის  
მხრივ, დისტანციურად გავლენას ახდენს რა-ს ა ხმოვანზე და ვიღებთ  
რედებ-ს, მაგ., რედებშიც უყო.

ბ) უკანა რიგის ვიწრო ხმოვანი უ უშუალო მეზობლობაში სრუ-  
ლად იმსგავსებს პრევერბისეულ ი და ო ხმოვნებს:

იუ > უუ: მუეტანა, მუელიოდა, მუუწერა, მუუბრუნდა, მუუგდონ,  
მუულოცამენ, მუუციათ, მუუღია, მუუჯდა, მუუღგენ, მუუყვანეს,  
მუუშვა და სხვა.

სოფელ ქილდაში დადასტურებული გვაქვს აგრეთვე აუ > უუ, მაგ-  
რამ, როგორც ჩანს, იგი ინდივიდუალური ხასიათისაა. ამგვარია აგრეთ-  
ვე ცალკეული შემთხვევები, როცა იუ/ოუ-საგან მიღებული უუ ცვლი-  
ლების შემდგომ საფეხურზე იწლევა უ-ს: სხვები ვერ მ უ დ გ ე ბ ო ლ-  
ნ ე ნ, მ უ ვ ი დ ა თ ჩხუბი.

იუ > უუ და ოუ > უუ ხმოვანთა ცვლილებების მხრივ ჯავახური  
ქართლურსა და კახურს ემიჯნება (აქ, მართალია, უ სრულად იმსგავსებს  
ი-ს, მაგრამ მისი მასიმილირებელი ძალა ო ხმოვანზე არ ვრცელდე-  
ბა<sup>22</sup>). სამაგიეროდ, იგი დასავლური კილოებისაქენ იხრება, კერძოდ,  
აჭარულს<sup>23</sup>, გურულს<sup>24</sup> და ზემოიმერულს<sup>25</sup> ეკედლება, მაგრამ მათგან-  
ნაც მაინც განსხვავდება. თითოთოროლა შემთხვევას თუ არ მივიღებთ  
მხედველობაში (მოუარდა, მოუდგა, მოუწუხებიათ), ჩვეულებრივ აქ  
არა გვაქვს გარდამავალი (ეუ > ოუ) ტიპის ასიმილაციის შემთხვევები.  
რაც შეეხება ჯავახურის მეზობელ მესხურ დიალექტს, აქ ოუ > უუ  
ორიოდე შემთხვევაშია დადასტურებული<sup>26</sup>.

<sup>22</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კა-  
ხური დიალექტი. გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბილსი, 1956, გვ. 37.

<sup>23</sup> უ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

<sup>24</sup> ს. ქლენტი, გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფილისი,  
1936, გვ. 52.

<sup>25</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავა, თბილისი, 1973, გვ. 34, 74.

<sup>26</sup> უ. ძიძიჯური, მესხური დიალექტის აღწერათი ანალიზი, გვ. 240.

მეორე ვიწრო ხმოვანი **ი** ჯავახურში, როგორც წესი, ვერ ახდენს გავლენას წინა ფართო ხმოვანზე, როგორც ეს ყველა დასავლურ კილო-თქმაშია გავრცელებული. ჩვენს ჩანაწერებში ამ რიგისა მხოლოდ ორი შემთხვევა შეგვხვდა: წეიღეს და წავიდნენ; წევიდა, ეს კაციც გაჰყვა.

ასევე ერთი მაგალითი გვაქვს დადასტურებული, რომელშიც წოდებითი ბრუნვის **ო-ს** მიუმსგავსებია ფუძის ბოლო კიდური **ა** ხმოვანი: ჩემო ძმო, სად მიხვალ?

პრევერბებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ჯავახურის კიდევ ერთი თავისებურება. რთული შემო- პრევერბის ბოლოკიდური **ო** ზოგჯერ სრულად იმსგავსებს თანხმოვნით დაშორებულ წინამავალ **ე-ს** და ღილებზე შემო-ს. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა თვით **ო-ს** არ მოსდევს მასიმილირებელი **ე** ხმოვანი; მაგ.: შომოვიდა, შომოხვდა, შომოდრიკა, შომოიტანე, შომოიკრა, შომოვიყვანოთ და სხვ.

ამ მოვლენითაც ჯავახური ერთგვარად ემიჯნება ქართლურს და დიდ მსგავსებას ავლენს ისეთ კილოებთან, როგორცაა ფერეიდნული<sup>27</sup> (შოგოკრა, შოგობრალა, შომოგორტყა), ინგილოური<sup>28</sup> და მოხეური<sup>29</sup>.

**პროგრესული ასიმილაცია.** ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები, საერთოდ და ჯავახურშიც, მეტად იშვიათია. გვაქვს მხოლოდ ორიოდე მაგალითი, რომელშიც ფუძის ბოლოკიდურ **ო-ს** სრულად მიუმსგავსებია უშუალოდ მომდევნო -ება სუფიქსის **ე**: დროობა გაატარეს; ასე იყო გარემობა; შდრ. ზემოიმერული: წარმოობა, ჩვენოდონა<sup>30</sup>. გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევებშიც -ება -ობა სუფიქსების მონაცვლეობა გვექონდეს.

არასრული პროგრესული ასიმილაციის მაგალითებია: თათრებმა აგვატიელეს (<ავვატიალეს); წადი მამაჩემი ენთკენ (<მამაჩემიანთკენ).

**თანხმოვანთა ასიმილაცია.** გვხვდება როგორც რეგრესული, ისე პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები. უფრო მეტად აქტიური პროცესია ნაწილობრივი კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია, რაც დამახასიათებელია როგორც დეცესიური კომპლექსებისათვის, ისე თანხმოვანთა სხვა თანამიმდევრობისათვის.

<sup>27</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927, გვ. 208.

<sup>28</sup> ა. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 41.

<sup>29</sup> О. М. Каджая, Мохевский диалект грузинского языка (автореферат). Тбилиси, 1954, გვ. 6.

<sup>30</sup> ქ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173.

ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია. ძირითადი პროცესია ყრუ თანხმობების მიერ შეღერა დაყრუება.

ობიექტური პრეფიქსი მეორე პირისა ზ და გვ- პრეფიქსის ზ ელემენტი მოძღვენო ყრუ ფშვინევიერებთან ხშირად ქ-დ იქცევა, მკვეთრებთან კი — კ-დ, თუნდაც ეს ბგერები ვინით იყოს დაშორებული; მაგ.: მოქცემს, ნოქხსნის, შექჩათ (<შეგარჩათ), დაქვჩა, მოქვეშაღეს, მოქვეცეთო... კქამს, მიყყამ, კყვანდა, წამოკყვება და სხვ.

სპირანტი ლ მელერობას კარგავს მოძღვენო ფშვინევიერი და მკვეთრი ყრუ თანხმობების გავლენით და ვიღებთ ამავე რიგის ფშვინევიერ ხ ბგერას; მაგ.: ა ხ თ ქ მ ა ჰქონდა, ა ხ თ ქ მ ა ს მოგემ, ხ ვ თ ი ს მადღმა... თავის ა ხ კ ვ ე თ ა, მ ო ხ წ ე უ ლ ი.

ეგვევ ემართება სპირანტი უ-ს ყრუ თანხმობების მეზობლობაში; მაგ.: ვაშკაცობა, ვაშკაცობით. მ ა გ რ ა მ: ვაჟიკაცი.

მიცეცითი ბრუნვის ს ნიშნის წინ ფუძისეული მელერი თანხმობები დაყრუებული სახითაა. ანალოგიურ მოვლენას ადგილი აქვს მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ს-ს მეზობლად და აგრეთვე სახელებზე -ში და -თან თანდებულების დართვისას; მაგ.: ხ ი თ ს რო გაველით; გამოუზღია თ ა ქ ვ ს ა (ვ თანხმობანი, როგორც ვხედავთ, აქაც დამსგავსებას ხელს ვერ უშლის)... თამაშოფს, ვაქროფს, ეძეფს, აიღეფს, გააფთბიღეფს... ხელეფში, ბულულეფში, თმოქში (<თმოგეში), კარეფთან.

ასიმილაციის ნიადაგზე ზ და თ თანხმობების გამკვეთრების ცალკეული მაგალითებია: ოქროსეფ პ ქ ყ ვ ი ნ ა მ ს, გაწყყინებული, სატყენ (<საითყენ).

შორეული რეგრესული ასიმილაციის შემთხვევა უნდა გვქონდეს სიტყვებში ტიკანი (<თიკანი), ზაბუთი: ტ ი კ ა ნ ი მამყიდე! იყიდა ეს ტ ი კ ა ნ ი, ტიკნები... ზ ა ბ უ თ ე ბ ი შეამოწმა; ზ ა ბ უ თ ე ბ ი დაამტკიცა.

ხ ვ მ თ ი ს, როგორც ჩანს, ვიღებუღია ღ მ თ ი ს ა და ღ ვ თ ი ს კონტამინაციით და თავკიდური ღ-ს დაყრუებით. მაგ.: ხ ვ მ თ ი მშობლის ხატი არიო.

სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა სისინა სპირანტი ს შიშინა აფრიკატების ჭ-სა და ჯ-ს გავლენით შ-დ იქცევა, როგორც ეს ძველ ქართულში იყო და ამჟამადაც თითქმის ყველა დიალექტშია.

სჭ>შჭ: რათ შ ქ ა მ ო ? შეშქამენ, შქამენ, შჭრიან, გადაშქრა...

სჯ>შჯ: შენ და მ ჯ ო ბ ნ ე, შეშჯერა (შღრ. ასევე: ა შ ქ ე რ მეტი).

ეგვე ს მომდევნო მყლერ თანხმონებთან მეზობლობაში გამყლერ-  
რებული სახით გვევლინება.

სდ > ზდ: მიზღიხარ? მოზღევს, მოზღვეენ, უკან მიზღევდა,  
ზღიეს...

სძ > ზძ: დაზძინებია, ჩაზძინებია, ზძირამდა, ზძოვდა...

S<sub>2</sub> და O<sub>3</sub>-ის ჰ- პრეფიქსი უკანაენისმიერი ხშული კ და ყ ბგე-  
რების გავლენით, გურულის, აქარულისა<sup>31</sup> და ხევსურულის<sup>32</sup> მსგავ-  
სად, ხ-ში გადადის; მაგ.: ხალიჩას და ხკეცამ, მოხკლამენ...  
იქ მიხყვა, მარალი ახყარეს.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის თ ელემენტი -გან თანდებულის  
დართვისას მყლერდება, მასიმილირებელი გ კი შენარჩუნებულია; მაგ.:  
ძველიდგან, ბალიდგან, სოფლიდგან და სხვ.

რეგრესული ასიმილაცია თავს იჩენს ორი სიტყვის შეხვედრის  
მიჯნაზეც. ასეთ პოზიციაში ზოგი სიტყვის ბოლოკიდური მყლერი თან-  
ხმოვანი ყრუედება, ხოლო ყრუ თანხმოვანი მყლერდება, თუკი მომ-  
დევნო სიტყვა ყრუ ან მყლერი თანხმოვნით იწყება; მაგ.: შიქ თუ  
ძვირფასი რამეა? სატ წავიღეთ?.. იზ ბიჭი, როგორც რო ძმები;  
გავვიყვანეს წყლიდ გაღმა.

ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაცია. პროგრესული ასიმილა-  
ცია, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია დასავლური კილოებისა-  
თვის, თავს იჩენს ჭავახურშიც. აქცესიური კომპლექსი ხბ ზოგჯერ იძ-  
ლევს ხფ-ს, ცბ კი გადადის ცფ-ში; მაგ.: ხფოყამს, ხფორები გა-  
დენა... უცფათ გასწია, უცფათ გამრავლდა, უცფათ გაქრა...

სრული დისტანციური ასიმილაცია. გვხვდება აგრეთვე სრული  
დისტანციური ასიმილაციის შემთხვევები, რომლებიც რეგრესულიც  
შეიძლება იყოს და პროგრესულიც. პირველის შესაფერისი მაგალითე-  
ბია: შაშიში არ არი? შიმშილს გაღურჩა... ლელანა (<ნელა-  
ნა <ნელა უნდა) აგწია... არ გამცარცოს (<გამძარცოს)... იმას  
რაცაც უზამ, მე ვიცი... რაცაც გასწავლის, იმას მოიმოქმედამ!..  
წავიდა ელუსალიმში, ელუსალიმის ეკლესიაში. მეორის  
მაგალითებია: ყვეელ ციცმარე (<ცისმარე) დამეს, ყვეელ ციც-  
მარე ღღეს... ნიჩფეფით (ამოსავალია ნიჩაფი) გადმოაყრევინა.

<sup>31</sup> ქ. ლომთათიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულ-  
სა და აქარულში, თსუ შრომები, VI, 1938, გვ. 130—131, 137; ჯ. ნოლაიდელი,  
დასახ. ნაშრომი, გვ. 36—37; შ. ნიქარაძე, ზემოაქარული დიალექტი, გვ. 88—  
89.

<sup>32</sup> ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 5.

დადასტურებულია სრული პროგრესული ასიმილაციის ასეთი შემთხვევებიც: ა მ ა მ მიაძახა; ა მ ა მ სთხვია; ა მ ა მ წაიყვანა; ა მ ა მ აჯობა; მ ა გ ა მ მითხრა; ი მ ა მ გააჩერა; ი მ ა მ ჰკითხა და სხვ.<sup>33</sup>

ჭავჭავურში ინდივიდუალური ხასიათისა ჩანს გურულისათვის დამახასიათებელი საცხა (<საცლა), რაცხა (<რაცლა). ეს უკანასკნელი ერთგან რეგრესული ასიმილაციის სახითაც შეგვხვდა: რაძლა (<რაცლა); მაგ.; ს ა ც ხ ა არის (შდრ. საცალა, სალაცა).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ასიმილაციას ადგილი აქვს უმთავრესად თანხმოვანთა რაგვარობის მიხედვით: ყრუ სპირანტი მომდევნო მჟღერი ხშულის გავლენით მჟღერდება, ხოლო მჟღერი სპირანტი მომდევნო ყრუ თანხმოვნებთან ყრუვდება. სისინა სპირანტი მომდევნო ყრუ თანხმოვნებთან ყრუვდება. სისინა სპირანტი მომდევნო შიშინა ხშულთან შიშინა სპირანტად იქცევა. ყრუ თანხმოვანთა მეზობლობაში ასიმილაცია მოუღის წყვილბაგისმიერ და უკანაენისმიერ მჟღერ თანხმოვნებსაც.

ზოგი სახის ასიმილაცია არასისტემატური ხასიათისაა. ერთნაირ პოზიციაში ამ პროცესს შეიძლება ჰქონდეს ადგილი და შეიძლება არა.

2. ხმოვანთა დისიმილაცია. ხმოვანთა დისიმილაცია თითქმის ერთი ტიპობრივი მოვლენით ამოიწურება. ესაა რეგრესული ასიმილაციის შემდეგ მომხდარი ხმოვანთა განმსგავსება. ფუძისეული ე ხმოვანი სრულად დაიმსგავსებს რა პრევერბისეულ ა-ს, შემდეგ ხდება მათი დისიმილაცია: აე > ეე > იე<sup>34</sup>. ნიმუშები:

ღაე > ღეე > ღიე: ღიეკითხა, ღიეკითხენ, ღიეწოდება, ღიეხმარა (შდრ. ღივეხმაროთ), ღიეცეს, ღიერიეო, ღიეტაცუნა, ღიეჭიდება, ღიედევნებიან, ღიესხეს, ღიეხია, ღიემატა, ღიესიენენ, ღიებალა, ღიეშვა, ღიელიათ, ღიეხეტებოლა, ღიეჭირა, ღიეტიათ, ღიედევნა, ღიეწერა, ღიესწროსო და სხვ. (ასევე: აე > ეე > ეი: ი ე ბ ნ ა გზა-კვალი).

გაე > გეე > გიე: გიეკეთებინა, გიეტანათ, გიეტაცნათ, გიებუტა, გიეპარა, გიეჭავრა, გიეხარდათ, გიემზადა, გიეზა და სხვ.

წაე > წეე > წიე: წიესხა, წიელო, წიეყვანათ, წიეჩხუბებოლა და სხვ.

ჩაე > ჩეე > ჩიე: ჩიერჰო, ჩიერია, ჩიევლო, ჩიევდო და სხვ.

<sup>33</sup> გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

<sup>34</sup> შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 241; ა. მარტიროსოვი, ჭავჭავურის მესხურთან მიზარების საკითხისათვის: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 293.



გაღა>გაღე>გაღი: გაღიეცეს, გაღიეკიდა, გაღიეხვია, გაღი-  
ეგლო, გაღიეცვა.

ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ე-სა და პრევერბისეული ო  
ხმოვნის შესაყართანაც; მაგ.:

მოე>შეე>შიე: ისე მიექცა; კაცი მიეკლა; ქეიფი მიე-  
წყოთ; ძროხა მიეწველა; მიერია და წააქცია; კისერზე მიე-  
ხვია; მიეწონათ ერთმანეთი.

დისიმილაციის წესი ზოგჯერ მოქმედებს. აგრეთვე დისტანციურად,  
როცა განმსგავსების შედეგად მიღებული ი თავის მხრივ იმსგავსებს  
რთული პრევერბის პირველი კომპონენტის ნაასიმილაციარ ე ხმოვანს,  
ხშირად კი ეს უკანასკნელი უცვლელად რჩება: ჩიმიეგლო (<ჩემიეგ-  
ლო<ჩემეეგლო<ჩამეეგლო<ჩამოეგლო), შიმიეხვევიან, შდრ. შემიე-  
სია, გემიემშვიდობა, გემიეთქვა.

არის ისეთი ფაქტებიც, როცა იე-ს მისაღებად საჭირო არ არის  
ასიმილაციის საფეხურის გავლა (ეე<იე). ამ შემთხვევაში დისიმი-  
ლაციას ადგილი აქვს უშუალოდ პრევერბისეული ე-სა და ფუძის თავ-  
კიდური ე ხმოვნის შეხვედრისას. მესხურის მსგავსად<sup>35</sup>, ეს ხდება შე-  
პრევერბის მქონე ზმნებთან; მაგ.: შიეტყობინა, შიეკრიფა, შიეკითხა,  
შიემზადა, შიეძლო, შიეძინა, შიესწარით.

ეა>ია: შიაჩერა, შიაფარა, შიაბა, შიაშუქა, შიაწუხეს, შიაგროვა,  
შიასაწყლა და სხვ. ა? სახის ცვლილება დასავლურ კილოებს (იმიერულს,  
გურულს) ახასიათებს, აღმოსავლურ კილოებში კი სულ არ გვხვდება,  
თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქვემოქართლურის ანალოგიურ ფაქ-  
ტებს (შიაკეთა, შიატყობინა, შიატურა, შიაგდეს), რომლებიც შეიძლება  
მესხურ-ჩავახურის ხელშეწყობით იყოს გავრცელებული<sup>36</sup>. ასიმილა-  
ციის შემდეგ დისიმილაციური ცვლილება სიტყვის თავკირუდ პოზი-  
ციაში ხდება, როცა ზოგიერთ ე ხმოვნით დაწყებულ ჩვენებით ნაცვალ-  
სახელსა და ზმნისართს ა ნაწილაკი დაერთვის<sup>37</sup>; მაგ.: იე ს (<ეეს<აეს  
<აი ეს) ამბავი რო გაიგო: მხოლოდ იე ს ვიყიდე; იე ს უთხარი;  
იე მ (<ეემ<აემ<აი ამ) ტალახში; ჩამაგდეს იე მ ციხეში... იე ქ  
(<ეექ<აექ<აი აქ) დარჩა რამე? იე ქ ამ დე (<ეიქამდე<აექამდე)  
ი ყანა ეჭირათ; იე ხ ლა (<ეეხლა<ა ეხლა) თქვენ გატყობინებთ;  
იე ხ ლ ა მოვა; იე ხ ლ ა ვ ე წავალთ! იე ხ ლ ა ნ დ ე ლ სახლში.

ჩვენებითი ნაწილაკის დართვა განსაკუთრებით ფართოდ არის  
გავრცელებული ხევსურულში, ინგილოურში, ფშაურში, მოხეურში,

<sup>35</sup> შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

<sup>36</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გვ. 108.

<sup>37</sup> ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 293.

მთიულურსა და კახურში. ზოგჯერ იგი თავს იჩენს ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძისა და სხვა მწერალთა მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟთა დიალოგებში; მაგ.: აეს ღრო: ხევს. მას. 126; სუ ა. ა. მ. მუკლებითა მცემდა: მოხ., დიალექტოლოგ. 50; აი ს მამულეები: ვაჟა, V, 43; აი მ ფიცარზედ (ილია, II, 134) და სხვ<sup>38</sup>.

სხვა დიალექტებში ამ კონტექსტში სხვაგვარი ფონეტიკური პროცესი ხდება: ხევსურულსა და ინგილოურში სრული რეგრესული ასიმილაციის ნიადაგზე აე გადადის ეე-ში: აეს > ეეს, აემ > ეემ. ინგილოურში ის და იმ ნაცვალსახელთა ი ხმოვანი მახვილიანი ა ნაწილაკის გავლენით სუსტდება და მასთან ერთად ქმნის დიფთონგს: აის > აეს, აიმ > აემ. თუშურში სრული რეგრესული ასიმილაციის შემდეგ ხდება შერწყმა და ვილებთ გრძელ ე-ს: აე > ეე > ე<sup>39</sup>. ჭავჭავურში კი (აგრეთვე მესხურში<sup>40</sup>), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭერ ასიმილაცია ხდება და შემდეგ დისიმილაცია: ა+ეს > ეეს > იეს, ა+ემ > ეემ > იემ, ა+ექ > ეექ > იექ, ა+ეხლა > ეეხლა > იეხლა და ა. შ. ამგვარ ფორმებს ჩვეულებრივ მაშინ ვხვდებით, როცა მტკმელს საგანგებოდ უნდა განსაზღვროს ან კიდევ სემანტიკურად უფრო მეტად დატვირთოს სათანადო ჩვენებითი ნაცვალსახელი და ზმნისართი. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ასეთ ფორმებთან მახვილი (თანაც ძლიერი) თავკიდურ ი ხმოვანზე მოდის: რეს, რემ, რექ, რეხლა, ხოლო თუ მახვილი ნაცვალსახელის ფუძისეულ ხმოვანზე დარჩა, მაშინ უმახვილო ი-ს დასუსტების შედეგად მივიღებთ აღმაველ დიფთონგს. ეეს, ეეხლა და სხვ. (იხ. § 1).

ე ხმოვნით გამოწვეული ზემოაღნიშნული მოვლენა მეტად არის ფენომოკიდებული სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნისა და სუფიქსისეული ხმოვნის შესაყარზე; მსგავსად მესხურისა<sup>41</sup>, ე-ზე დასრულებულ სახელებზე მრავლობითის -ებ სუფიქსის დართვისას ორი იდენტური ხმოვნის მეზობლობაში რეგრესიული განმსგავსება ხდება და გვაქვს ისეთი ფორმები, როგორცაა: ციხიები (<ციხეები), ზიფეს, სიციხიები, თვიები, საპალნიები, ტყიებზე, ტყვიები (<ტყვეები), ჭიბიები, სიძიები, მეორიები, მეთავლიები, თოთაძიები, მელიქიძიები, აბაში-

<sup>38</sup> არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 1964, გვ. 138—139.

<sup>39</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, გვ. 11.

<sup>40</sup> შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 239.

<sup>41</sup> შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრომი, გვ. 245; ილ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—146; გ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

ქიები და სხვ. შდრ. აჭარული დღეები, ლეღეები, კილდგები, სადაც დისიმილირებული ი სუსტდება და ა-ში გადადის<sup>42</sup>.

დისიმილაციის ეს წესი გავრცელებულია ა-ზე დასრულებულ სახელთა მრავლობითზეც, როცა, სალიტერატურო ენაში დაცული ნორმის საპირისპიროდ, ბოლოკიდური ა არ იკვეცება და მომდევნო ე-სთან ასიმილაციით ჯერ ე-ს იძლევა, შემდეგ კი დისიმილაციით ი-ში გადადის (აე>ეე>იე); მაგ.: ქვეები, ძმიები, დიფს, ზღვიებზე, შთიებზე, ლალები, გაზოციებზე (შდრ. ასევე: რიები<რეები<რაები, რიერთი<რეერთი<რაერთი, რიერთა და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ კახური<sup>43</sup>, ქართლური<sup>44</sup> და ზემოიმერული<sup>45</sup> ამ შემთხვევაში ხმოვანთა ცვლის მხოლოდ პირველ საფეხურს გვიჩვენებენ, ე. ი. აქ ადგილი აქვს მარტოოდენ სრული რეგრესული ასიმილაციის მოვლენას: დეიდები, მამიდები, გუდები, წიწილები, შენობები ჩურჩხელები, ქვეები, სიმღერები, ჟღარუნები, რეები, რიერთი და სხვ.

ეე>იე ჯავახურში თავს იჩენს აგრეთვე ზოგიერთ ერთმარცვლიან ფუძეკუმშვად სახელის -ებთან მრავლობითში: წელი—წლიები, წყალი—წყლები, ძვალი—ძვლები, ცხვარი—ცხვრები, მხარი—მხრები, ღვდი—ღვდლები. ბალი—ბლები და სხვ., რასაც ზოგი ავტორი წინა შემთხვევების ანალოგიით ხსნის<sup>46</sup>, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ამ ტიპის სახელებში დისიმილაცია მომხდარია ფუძისეული ხმოვნების მეტათეზისის შედეგად: წყალები>წყალები>წყლები>წყლები<sup>47</sup>, რაც, ჩვენი აზრით, რთულ პროცესს ვარაუდობს, გარდამავალი საფეხური წყალები არსად არ დასტურდება.

ასიმილაცია-დისიმილაციის მოვლენა შენიშნულია აგრეთვე -ებ (<ებრ) თანდებულის დართვისას; მაგ.: კაცისებ (<კაცისებრ<კაცისაებრ); შენსებ, ძმისებ, კლდისებ<sup>48</sup>.

<sup>42</sup> შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 19.

<sup>43</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>44</sup> ა. მარტიროსოვი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში: ენიკეის მოამბე, IV, გვ. 212; ოტ. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართული: ივე, IV, 1953, გვ. 280; გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, გვ. 200.

<sup>45</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოვანი, გვ. 141.

<sup>46</sup> შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 245; ილ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 145—146.

<sup>47</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, გვ. 107.

<sup>48</sup> გ. ბერიძე, ჯავახური კილო, მაცნე, 4, 1972, გვ. 144.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დისიმილაციის რამდენიმე შემთხვევა გვაქვს ზმნის ბოლოკიდურ პოზიციაში ასიმილაციის საფეხურის გავლის გარეშე; მაგ.: გამოგვაძიეს (<გამოგვაძიეს<გამოგვაძიევის), გეემზიებიან (<გეემზიებიან<გაემზიებებიან).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ხმოვანთა აე>ეე>იე, აო>ეე>იე თანამიმდევრობა როგორც პრეფიქსთა, ისე სუფიქსთა მიჯნაზე ტიპობრივი ჩანს მესხურ-ჯავახურისა<sup>49</sup>, აჭარულისა<sup>50</sup> და იმერხეულისათვის<sup>51</sup>, გვხვდება რაჭულსა და ქვემოგურულშიც<sup>52</sup>. ამგვარი დისიმილაცია აღმოსავლური კილოებიდან დამახასიათებელია მხოლოდ ინგილოურისათვის<sup>53</sup>, თუ არ ჩავთვლით ქვემო ქართლის, უმთავრესად ბონისისა და დმანისის რაიონების ზოგიერთი სოფლის მკვიდრთა მეტყველებას, სადაც ეს მოვლენა გაჩენილი ჩანს მესხურ-ჯავახურის გავლენით<sup>54</sup>.

ჯავახურში შეინიშნება კიდევ ერთი ტიპის ხმოვანთა დისიმილაცია, როცა თანაბარი ლიაობის ე და ო ხმოვნის შეხვედრის დროს ე უფრო ვიწროვდება და ვიღებთ იო-ს; მაგ.: უ რ ძ ი ო დ მოვიდა; დიდო ძ ი ო ბ ა (<ძეობა) გადაიხადეს (შდრ. გურული მიორე <მეორე); მამაძიობით, მ ე ბ ა ლ ი ო ბ ი ს რგოლის ვალდებულებანი. ამ რიგისაა აგრეთვე: კალუობა (<კალოობა), ამიობაში (<ამოობაში): კ ა ლ უ ო ბ ა რ ო მოვიდა; ა მ ი ო ბ ა შ ი უთხრეს; ა მ ი ო ბ ა შ ი მეზობელი გავზანეთ.

ხმოვან კომპლექსებთან დაკავშირებული დისიმილაციური ხასიათის ცვლილებანი იხილეთ ცალკე: ოვა||ოა>უა, ოვე||ოე>უე, ეა>ია. თანხმოვანთა დისიმილაცია. ქართულ სალიტერატურო ენაში, რო-

<sup>49</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 242; კ. დ ო ნ დ უ ა, რჩეული ნაშრომები, I, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ. ლ ლ ო ნ ტ შ ა, თბილისი, 1967, გვ. 343.

<sup>50</sup> მ. ხ უ ბ უ ა, ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი, 1932, გვ. 14; ჟ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1960, გვ. 17—18; შ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1962, გვ. 41.

<sup>51</sup> H. Я. Мапп, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

<sup>52</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ენის მთარაქული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 72. ს. ყ ლ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60; შ ი ს ი ე ვ, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 215; გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, გურულისა და იმერულის ურთიერთობის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974, გვ. 93; კ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XIX, 1959, გვ. 258—259.

<sup>53</sup> გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 47-

<sup>54</sup> გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიალექტი, I, გვ. 107.

გორც ცნობილია, ამჟამად ერთი ტიპის დისიმილაცია მოქმედებს. დადგენილია, რომ ერთ სიტყვაში ორი რ ვერ ძლებს და ერთი მათგანი (უფრო ხშირად მეორე) გარდაიქმნება ლ-დ. ჯავახურში ცნობილ რ—რ> რლ-ს გარდა დისიმილაცია მოუღის ბაგისმიერ და წინაენისმიერ სონორულ თანხმოვნებს. წყვილბაგისმიერ ბ-ს წინ ზოგიერთ სიტყვაში ამავე რიგის მ განიშლავსება და მბ კომპლექსის მაგიერ ვიღებთ ნბ-ს; მაგ.: გაიგო ა ნ ბ ა ვ ი, ა ნ ბ ა ვ ი მიუტანეს, ა ნ ბ ა ვ ი ს წამლები, ა ნ ბ ა ვ ი აცოდინეს, ყველას უ ა ნ ბ ა; რას ა ნ ბ ბ? შენ უ ა ნ ბ ე...

ორი ნ-ს შემცველ ფუძეში რიგით მეორე ნ იცვლება მანით. მაგ.: კედლის ნ ა მ გ რ ე ვ ი. ძალიან ხშირად კი ასეთ ვითარებაში, ოლონდ რეგრესულად, დისიმილაციის შედეგად ვ გვევლინება. ამგვარ შემთხვევას, როგორც წესი. ადგილი აქვს მხოლოდ ზმნათა კაუზატიური ფორმების წარმოებისას; მაგ.: მო ა ტ ა ვ ი ნ ა, მი ა ტ ა ვ ი ნ ა, ჩ ა მ მო ა ტ ა ვ ი ნ ა, მოაყვავინა, ამოაყვავინა ორთავენი; დააბავეინა, დავაბავე-ნე. გაარბევეინა, არბევეინეთ, არბევეინა.

დისიმილაციის მესამე სახეობაა: ლ-ლ> ნ-ლ, მ-მ> მ-ნ ან მ-მ> მ-ვ; მაგ.: ცხენს ვაძლევედით ბ უ ნ უ ლ (<ბულულს), ს ი მ ა ვ რ მ ა. გამოუტანა; ჩ ი მ ა ვ რ მ ა ნება მისცა; წავიდა ს ი მ ა ვ რ ი ს სახლ-ში; ლამ-ღავობით.

### 3. ბგერათა კომპლექსების ცვლა.

ეა>ია. დისიმილაციური ხასიათისაა ხმოვანთა ეა ჯგუფის ია-ღ ცვლა. იგი საერთო მოვლენაა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის<sup>55</sup>. განსხვავება ისაა, რომ დასავლურ კილოებში თანაბრად თავს იჩენს შე- პრევერბთანაც და სიტყვის ბოლოშიც, აღმოსავლურში კი (განსაკუთრებით კახურში) შე- პრევერბთან შედარებით ნაკლებად გვხვდება, რადგანაც იგი ჩვეულებრივ შა-ს სახით გვევლინება.

ჯავახურში ეა>ია ხშირი ნოვლენაა პრევერბებთან (იხ. § 2), საერთოდ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში. ბოლოს კი იგი იშვიათად დასტურდება მაშინ, როცა სახელის ფუძე ბოლოვდება ე-ზე და მას მეშველი ზმნის ა ერთვის; მაგ.: შიატყობინა, შიაჩერა, შიალო, შიაფარა, შიაგდო, შიაშუქა, შიაბა, შიაწუხეს, შიაგროვა, შიასწავლა... იარშიყა... კლდია...

<sup>55</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“, ტფილისი, 1915, გვ. 193; მ ის ი ე ვ ე, ქართული გრაფიკის საფუძვლები, გვ. 28; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ა. ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946, გვ. 26.

ოვა, ოა > უა. ისე, როგორც სხვა კილო-თქმებში, ჯავახურშიც ოვა და ოა კომპლექსი უა-ში გადადის. როცა ოვა კომპლექსია, ასეთი ცვლილება ორსაფეხურიანია. ცვლილების პირველ საფეხურზე ო-ს შემდეგ ადგილი აქვს ვ-ს დაკარგვას, რის შედეგადაც ოვა-საგან ოა-ს ვლებულობთ. მეორე საფეხურზე კი ა-ს მეზობლად ო-ს დავიწროება ხდება და დისიმილაციით ვიღებთ უა-ს. ასეთი ცვლა თავს იჩენს მეტწილად სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში, ფუძისეული და სუფიქსისეული ხმოვნის შესაყარზე; მაგ.: მოძუა (< მოძოა < მოძოვა), დატუა, მუა, იშუა, ცთხუა, გასათხუარი, ტყემლუანი (ადგილის სახელია), ხეჩუანი.

ოა კომპლექსი უა-ს იძლევა მაშინაც, როცა ხმოვანთა შორის ვინი არ ივარაუდება. ამას ადგილი აქვს ჩვეულებრივ პრევერბისეული ო-სა და ზმნის ფუძისეული ა ხმოვნის შესაყარზე, იშვიათად კი გვხვდება ამ კომპლექსის შემცველ სახელებშიაც; მაგ.: მუაბა, მუარჩინა, მუახერხეს, მუაგონდა, მუარტყა, მუამზადა, მუარჩინეს, განუატარეს, მუახსენა, წამუასხა... მუახლე, სათხუარი (შდრ. აგრეთვე: დრუა, მარტუა) და სხვ.

ოვე > ოე > უე. ოა > უა-ს მსგავსად, ამ კომპლექსების ცვლას ვხვდებით ზმნისა და სახელის როგორც პრეფიქსულ, ისე სუფიქსურ ნორფემათა მიჯნაზე. ზმნისათვის კომპლექსის ამოსავლად ვინიანი (ოვე) ვარიანტი იგულისხმება, სახელისათვის კი — ოე; მაგ.: ცხვარი ა ძ უ ე! ცხვარს ა ძ უ ე ბ და; ბატებ გ ი ძ უ ე ბ ო; ი თ ხ უ ე სათხუარი; ყურ არ ა თ ხ უ ე ბ და; დავტუეთ, დაუტუებ, იშუება, ამუედი, მუედი... საპალტუე, გოგუეფს, კურუები და სხვ.

ოა კომპლექსის უა-დ ქცევა, როგორც ცნობილია, მეტწილად ახასიათებს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს მოვლენა აღმოსავლურ კილოებში ჩვეულებრივ გვხვდება სიტყვის თავსა და ბოლოში, დასავლურ კილოებში კი — უმთავრესად თავკიდურ პოზიციაში (პრევერბებთან).

რაც შეეხება ოე > უე კომპლექსთა ცვლას, იგი ძირითადად დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის, სპორადულად კი თავს იჩენს დასავლურ კილოებშიც, კერძოდ, ქვემოიმერულში, ლეჩხუმურში და აჭარულში<sup>56</sup>.

<sup>56</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ფერეაუნულა მთავარი თავიებურებანი, გვ. 202; მ ი ს ი ე ე, მთიულურის თავიებურებანი, გვ. 47; ე. თ ო ფ რ ი ა, ქართლური, არილი, გვ. 138; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოება და ზანურში, გვ. 25; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე,

აქვე უნდა განვიხილოთ ოვ სუფიქსის მქონე ერთი ტიპის ზმნები, როგორცაა: დატოვა, თხოვა, იშოვა, აწოვა... სთხოვე, აწოვე და სხვ., რომლებიც ოვა და ოვე კომპლექსებთან დაკავშირებით უფრო თავისებურსა და საინტერესო რეფლექსებს გვიჩვენებენ. ჯავახურში ხშირად შეხვდებით ამ ზმნათა ისეთ ფორმებს, რომლებშიც მოსალოდნელია ოვა ან ოვე კომპლექსი, მაგრამ ფაქტობრივად პირველ შემთხვევაში გვქვს ვია, ხოლო მეორე შემთხვევაში — ვიე. მაგალითებს დავიმოწმებთ კონტექსტში:

ოვა > ვია: დატვია ცხენი; ცხენი იქ დაპტვია (ვ-ს გადასმით: დაპტივა თავისი საქონელი; ბიძა დაპტივა იქა)... ეს გოგო ითხვია; უნდოდა ეთხვია; წყალი მოსთხვია; ბინა მოითხვია... სახლი იშვია... ქაშარი მოქსვია და სხვ. ასევე უნდა გვეტონოდა: მოავრვია, მაგრამ უკეთეს პოზიციაში რ-ს წინ ვ-ს გადასმის გამო გვაქვს მოავვრია: ბევრი სარჩო მოავვრია; მოავვრია ხალხი; შეავვრია ოთხმოცი ცხენოსანი; ცხვარი შეუვვრია (მდრ. შეუგვრვიება).

ზოგჯერ ეს გადასმული ვ შეიძლება დაიკარგოს კიდეც: დაავრია (<დაავვრია) თავისი ჯარი.

ოვე > ვიე: თავისუფლად აძვიე; ცხვარს აძვიებდა; იქ აძვიებდნენ... იშვიე სადმეო; ერთმანეთი ვიშვიეთ... ცხენი სთხვიე! ფული მთხვიე! მონაწილეობა მოითხვიეს; სისხლი მოსთხვიეთ! ქალიც ვითხვიე; მათხვიებდა... იქ დავტვიეთ; დატვიეს გზაზე... მოწვიეს ეს ღორი; ღორს მოგვიწვიენო და სხვ.

ზემოაღნიშნული ფორმები მესხურსაც ახასიათებს და იქ სათანადო ფაქტები ახსნილია ოვ სუფიქსში ო-ს დაკარგვით და ანალოგიის საფუძველზე ვ-ს შემდეგ ი ხმოვნის გაჩენით<sup>57</sup>. ზოგის ვარაუდით კი, ისინი მიღებული უნდა იყოს მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობით: დაგვითხოვეს > დაგვითხვეს > დაგვითხვეეს > დაგვითხვიეს; სთხოვე > სთხვევე > სთხვეე < სთხვიე; დამიტოვეს > დამიტევეს > დამიტევეს > დამიტვიეს და სხვ; ე. ი. სუფიქსისეული ე ჯერ დაიმსგავსებს ვ თანხმოვნით დაშორებულ წინა ო-ს, შემდეგ ეს ასიმილირებული ე გადაინაცვლებს ვ-ს შემდეგ, მოექცევა სუფიქსისეული ე-ს მე-

ზემოაღნიშნული კოლოკაი, გვ. 285; ს. ელენტო, გურული კოლო, გვ. 57; მ. ლავიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, გვ. 232.

<sup>57</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერითი ანალიზი, გვ. 249.

ზობლად და მოხდება დისიმილაცია<sup>58</sup>. ამავე ავტორს ეგვევ აზრი აქვს გამოთქმული უფრო ადრინდელ ნაშრომში „ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ“ (მაცნე, 6, 1866). აქ ვკითხულობთ: სუფიქსისეულ და ფუძისეულ ხმოვანთა რთული ფონეტიკური პროცესის შედეგად უნდა იყოს მიღებული დისიმილირებული ხმოვანი (ი) ზოგიერთ სიტყვაში: თხვიება (თხვეება < თხვეება < თხოვეება), მითხვიება და სხვ. მაშასადამე, დისიმილაციას წინ უსწრებს ასიმილაცია და მეტათეზისი ან მარტო ასიმილაცია. რაც შეეხება ათხვია, გაათხვია, დაეთხვია-ს, ესენი ანალოგიითაა ახსნილი (გვ. 249). ჩვენ ერთი და მეორეც შეტად რთულ და თავისებურ პროცესად გვესახება, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში გაურკვეველი რჩება მეორე — ოვა > ვია — კომპლექსთა ცვლილება. იქნება გამოსარიცხი არ იყოს სხვა შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც ოვა და ოვე კომპლექსების ანოსავლად ივარაუდება ამავე ზმნებში ხმარებული უა და უე. მათ უშუალოდ შეეძლოთ მოეცათ ვია და ვიე<sup>59</sup>. ამას მხარს დაუჭერდა ჭავჭავაძის ხმარებული გოგვიები, რომელშიც ვი უშუალოდ ტ-სგან არის მიღებული: გოგუტები > გოგვიები. ამ რიგისაა აგრეთვე ვაძვიო (ხარები ვაძვიო), რომელიც ვაძჱო-საგან მომდინარეობს; ვითხვიო (<ვეითხჱო), დაეტივოთ (<დაეტჱოთ), დასტივოთ (<დასტჱოთ), საძვიენელათ (<საძჱენელად), მოუქსვიო (<მოუქსჱო), ძჱძჱს მოწვიენა (<მოწჱენა) (შდრ. ასევე: მოატყუა > მოატყვია).

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარ ფაქტებს ადგილი აქვს სწორედ ისეთ დიალექტებში (მესხური, ჭავჭავაძური, გურული), რომელთაც უმარცვლო უ ახასიათებთ, კერძოდ, ზემოთ დამოწმებული ყველა ზმნა ამ დიალექტებში უმარცვლო უნითაც დასტურდება: დატჱა, მოსთხჱა-აძჱა, დიეთხჱა, მითხჱება, ათხჱეფს, აძჱეფს, აწჱეფს და სხვ.

ვა > ო >, ვე > ო. დასავლური კილოების მსგავსად, არც ჭავჭავაძურშია გავრცელებული ვა და ვე კომპლექსებთან დაკავშირებული ბგერათვლილებანი. რამდენსამე ადგილას ფიქსირებული მაგალითებიდან ჩანს, რომ აქაც ვა და ვე-საგან ო მიიღება მაშინ, როცა თანხმოვანსა და ხმოვანს შორის მოქცეული ვ წყვილბაგისმიერია. იგი ალბიალებს მომდევნო ხმოვანს და თვითვე შეერწყმის მას<sup>60</sup>; მაგ.: წყალსა ს ო მ ს; უ თ ო ლ ა ვ ი თე ვ ზ ი, ჩ ო უ ლ ო ბ ა ჰქონდა, ს ა ყ ო რ ე ლ ი,

<sup>58</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, I, გვ. 107.

<sup>59</sup> ილ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 147; შდრ. გ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

<sup>60</sup> არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი, გვ. 45.



ხელიდან არ უშომდნენ. ვ(უ)ე > ო-ს მაგალითთა სიმცირე იმი-  
თაც აიხსნება, რომ, როგორც ზემოთ დავინაწეთ (აქვე, გვ.13), სათანადო  
კომპლექსი ხშირად უმლაუტიან ო-ს გვაძლევს.

საწინააღმდეგო მოვლენაც — ო-ს ვა-დ და ვე-დ დაშლა — იშ-  
ვიათი შემთხვევაა; მაგ.: ერთი ერთ კლავზე ავიცივი, მევერე — მე-  
ვერეზე: გამორეკა ხბო-ჯორი საძვევებლათ.

ალბათ ო-ს ვე-დ დაშლისა და შემდეგ ვ-ს გადასმით არის მიღე-  
ბული დაუნგვრევი აყავები (<დაუნგრევი < დაუნგროვი <  
<დაუგროვი); ათ კაც შეანგვრევს (<შეანგვრევს < შეაგროვს < შე-  
აგროვებს).

საერთოდ, ვა > ო-ს პროცესი უფრო ბუნებრივი ჩანს მთის კი-  
ლოებისათვის<sup>61</sup>. იგი ფართოდ არის გავრცელებული ხევსურულში<sup>62</sup>,  
ფშაურში<sup>63</sup>, მთიულურ-გუდამაყრულში<sup>64</sup>, მოხეურში<sup>65</sup>, ფერეიდნულ-  
ში<sup>66</sup> კი თავიდან ბოლომდეა გატარებული.

უ-სა და ო-ს დავიწროება. თუ-სა და არადა-ს ერთად შერწყმის  
შემთხვევაში თუ კავშირის უმომდევნო ხმოვნის გავლენით ვ-დ რე-  
დუქირდება; მაგ.: თვარადა დაგვხოცეთ! თვარადა ვერ მო-  
ვალ! უკბილბაგისმიერ ვ-დ არის დავიწროებული აგრეთვე სიტყვებ-  
ში ქკუა, ტყუილი: ქკვა ისწავლა, ქკვაში დაუჯდა...  
ტყვილ რათ ამბობ? ტყვილს გვეუბნევა, ტყვილათ ავად  
გახდა (შდრ. ტყულაზე მიდინხარ).

ჯავახურში უნდა ზმნის რამდენიმე შეკვეცილი სახე იხმარება.  
ერთ-ერთი მათგანია უნა. იგი როცა მე ნაცვალსახელს შეერწყმის,  
ხდება უ-ს დავიწროება; მაგ.: მევნა წავიდე; მევნა გავაკეთო.

ცნობილია, რომ ქართლურში, კახურში, აგრეთვე მესხურსა, იმე-  
რულსა და გურულში სიტყვა საკვირველი საკურველ-ის  
სახით იხმარება, რომელშიც უი კომპლექსი უ-ში გადასულა. ამ ფორ-

<sup>61</sup> ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 192.

<sup>62</sup> ალ. კინჭარაული, ხევსურულს თავისებურებანი, თბილისი, 1960,  
გვ. 17—20.

<sup>63</sup> გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1972, გვ. 30.

<sup>64</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

<sup>65</sup> ივ. ქავთარაძე, მოხეური კილო ყაზბეგის ენაში, თსუ შრომები, XXXVბ,  
1949, გვ. 88; ო. ქაჩია, მოხეური დიალექტი.

<sup>66</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 219;  
შისიკე, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, № 2—3, ტფილისი,  
1923, გვ. 77.

მითაა იგი დადასტურებული საშუალო საუკუნეთა მთელ რიგ ძეგლებშიც (ამირანდარეჯანიანში, შაჰნამეში და სხვაგან). შესაძლოა უ-ს რედუქციითა და მომდევნო ვ-ს დაკარგვით იყოს მიღებული ჯავახურში რასაკერელია (<რასაკურველია < რასაკურიველია>): რასაკერელია, გაგვეხარდა; რასაკერელია, არ მოეწონა. გამორიცხული არ არის აგრეთვე: რასაკვირველია> რასაკერელია.

სხვათა სიტყვის ო არის ვ-ში გადასული ორი სიტყვის შერწყმისას: მე ვ რო (<მეო+რო<მეო+რომ>: მამაჩემი იტყოდა, მე ვ რო. დავიბადე...

თითქოს ო-ს ვ-დ დაიწროების შედეგია აგრეთვე მე ვ რე (<მე-ორე>: მე ვ რეს ეტყვიან, შენ რა გისწავლიაო? მაგრამ სინამდვილეში აქ ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს ჯერ ო-ს ვ-დ დაშლასთან (მეორე > მევერე) და შემდეგ — ე-ს დაკარგვასთან (მევერე>მცვერე. იხ. § 3).

4. მეტათეზისი. თანხმოვანთა გადასმა ჩვეულებრივ სონანტებსა და ყრუ ფშვინიერი სპირანტებს შორის ხდება. გვხვდება დისტანციური, კონტაქტური და აგრეთვე მარტივი და საურთიერთო მეტათეზისის შემთხვევები.

ლ-სა და რ-ს შორის დისტანციურ საურთიერთო მეტათეზისს ვადასტურებთ შემდეგ სიტყვებში: ცარიელი იყო; ცარიელა სახში; ცარიელაზე დარჩა; მადრიელი, მოასურიელა, ბავში მოასურიელეს (შდრ.: მოასერიელა < მოასურიელა), ათვარილამს, დარუსმულია (<დალურსმულია) და სხვ.

ამავე თანხმოვანთა გადასმა გვხვდება ძლიერ-ში, რომელიც თავისებურებას გვიჩვენებს სხვა მხრივაც; მაგ.: ძრიელ მოეწონა; ძრიელ ეწყინა; ძრიელ გაუხარდა; ძრიელ იტანჯებაო... ძრიან უყვარდა... ძრიენ ლოთი იყო (შდრ.: ძიელ, ძიენ)... ძიენ გაქირვება იყო; ძრიე ვიცი.

ქართულ დიალექტებში დამკვიდრებულ ამ მოვლენას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ძრიელი, განძრიელებული, უძრული, უძრულობა და სხვა ამგვარი ხშირად გვხვდება ჯერ კიდევ X—XI საუკუნეების წერილობით ძეგლებში, რაც, როგორც ჩანს, სალიტერატურო ქართულ ენაში მაშინდელი ცოცხალი სასაუბრო მეტყველების შემონატანი უნდა იყოს. რაც შეეხება ზემოთ დამოწმებულ სხვა მაგალითებს (ცარიელი, მადრიელი), ესენი საშუალო საუკუნეების საერო ლიტერატურის ძეგლებში დადასტურებულ ცნობილ ფაქტებს წარმოადგენენ<sup>67</sup>.

<sup>67</sup> არ. მარტიროსოვი. საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, ივ, VI, 1954, გვ. 106.

ნეტათეზისი მოუღის ამავე თანხმონებს, ოღონდ შებრუნებულ  
(რ — ლ) თანამიმდევრობით; მაგ.: ლ ე რ ი გ ი ა ს მისდევს; ე ლ უ-  
ს ა რ ე მ შ ი წაეიდა...

ერთმანეთს ადგილს უცვლიან ნ და რ თანხმონები; მაგ.: ი მ-  
რ ა ი ნ ი ცხენი, ი მ რ ა ი ნ ალაგას, ი მ რ ა ი ნ კაც; ი მ რ ა ი ნ ათ  
ლაპარაკოფს; მ ა გ რ ა ი ნ კაც რ ა ნ ა (<რა უნდა) უთხრა! გახდები ჩ ე მ-  
რ ა ი ნ ი... აიკიდა უ რ ა გ ი ნ ი; უ რ ა გ ი ნ ი დაადგა ცხენსა; ქაქკარ-  
ში მივალ, უ რ ა გ ი ნ ა შ ი (ადგილის სახელწოდებაა უ ნ ა გ ი რ ა).

გადანაცვლებულია ზ და მ შეეკაზმა ზმნაში; მაგ.: შე ე კ მ ა-  
ზ ა და შეკადა.

ყველაზე ნეტი შემთხვევები მეტათეზისისა მაინც ვ თანხმონებ-  
ზე მოდის, რონელიც, როგორც ცნობილია, საერთოდ, დაუდგარი  
ბგერაა და ადვილად იცვლის თავის ძირითად სამყოფელ ადგილს. ამ  
შემთხვევაში ადგილი აქვს მარტივ დისტანციურ და კონტაქტურ ბგე-  
რათა გადასმას; მაგ.:

დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი: ხ ვ ა ხ ი გაუნაწილებიათ; ხ ვ ა ხ ი გაჭა-  
რით! გუთნი ჯ ვ ა ჭ ი (<ჯაჭვი), გ ა ტ ვ ი ტ ლ და, თ ვ ა გ ი ს შვილი.

ამგვარი გადანაცვლების შედეგად სუბიექტური პირველი პირის  
პრეფიქსი ვ- ინფიქსად იქცევა, როგორც ეს დასავლურ კილოებში  
გვაქვს; მაგ.: ნინდა ნ ა ვ ხ ო; ქურთი ქალი ნ ა ვ ხ ე თ; ნ ა ვ ხ ო თ, რო-  
მოვიდა...

კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი: მ ა ვ ლ ი თ (<მალვით) აკეთანს; მ ა ვ ლ ი თ  
სახლები გაყრდა; დაიწყეს მ ა ვ ლ ი თ ლაპარაკი; მ ა ვ ლ ი თ მიეპა-  
რება... ს ა მ ხ თ ო (<სამლოთ < საღმთო < საღმრთო) დაუკლა... მე  
შ ე მ ი ვ ს ი (<შემისვი) უბეში... ქეიები შ ი ა გ ვ რ ი ა (<შიაგრვია <  
< შეაგროვა).

ხ ს კომპლექსთან დაკავშირებით კონტაქტურად ორგვარი ცვლი-  
ლება ხდება: ხ ს > ხ ს და ხ ს > ხ ს; მაგ., მესხიერება, დაისხნა, დავისხენით  
თავი; გაუსხენ... ხორცი და ხ ს ი ლ ა (<დასხილა).

ერთმანეთს ადგილს უცვლიან წყვილბაგისმიერი ზ და მ; მაგ.: გამ-  
ბული, დამბული, ჩამომბულია, დაამბამს, გამოამბევიან, ემბეოდა, ამ-  
ბემდენ, ემბა, შეამბეს...

ა ბ ა მ ს ზმნაში, როგორც ჩანს, -ამ თემის ნიშნის თანხმონი მ  
მეტათეზისის გზით ძირეულად ქცეულა და ზმნას შემდეგ -ებ სუფიქსი  
დაურთავს: ცხენებ რო ა მ ბ ე ბ ე ნ (მღრ. აგრეთვე: თმიებზე ე მ ბ ა-  
რალაც).

ზოგჯერ მეტათეზისის მოვლენა დაკავშირებულია სახელის ფუძე-  
ში ხმოვნის რედუქციასთან, რითაც პირობები იქმნება ნარნარა თან-

ზმოვანთა უშუალო შეხვედრისა და შემდეგ მათი გადასმისათვის<sup>68</sup>;  
მაგ.: ს ი ზ რ მ ა დ უ ნ ა ხ ა ვ ს ... ქ რ მ ი ს ა თ ვ ი ს ე თ ქ ე ა ... ხ ლ მ ი თ მი-  
სულა...

ბგერათა გადასმის ცალკეული შემთხვევები ასეთია: ღურბელი, ზღრუბლის ქვეშ, ბალამი (<ბალამი), საიდალანაც (<საიდანლაც), დაიზუკა, გაფფოთლი (<გავფფოთლი), დააბლენა, დაბლენდა, უბალურ (უდაბურ) ტყეში...

ტობონიმი ბ ი ზ ა ბ ა ვ რ ა ო რ ი ს ო ფ ლ ი ს — ბ ი ზ ა ს ა და ბ ა ვ რ ა ს — სახელწოდების შეერთებით არის მიღებული. ბ ა ვ რ ა ამჟამად ნასოფლარია. -ელ მაწარმოებლის დართვით ამ სახელისაგან უნდა გვექონდეს ბ ა ვ რ ე ლ ი, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაში მხოლოდ მეტათეზისური — ბ ა რ ვ ე ლ ი — იხმარება; მაგ.: რო ან ხიზელს არ წეყყვანა მეტი, ანდა — ბ ა რ ვ ე ლ ს; ბ ა რ ვ ე ლ ი კაცი ადგა უჩუმით; შდრ. ბ ა ვ რ ი ს ა კ ე ნ წ ა ვ ი დ ა.

5. სუბსტიტუცია. სუბსტიტუცია ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ქართულ კილოებში. მისი ძირითადი საფუძველი, როგორც ცნობილია, ბგერათა ფიზიოლოგიური მონათესაობა, მათი ერთგვარი ან მსგავსი წარმოებაა. არტიკულაციურად მსგავსი ბგერების გარდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მონაცვლეობა შეიძლება გვექონდეს არტიკულაციურად განსხვავებულ ბგერათა შორისაც ზოგჯერ მათი არასწორი აღქმის ნიადაგზე<sup>69</sup>.

თანხმოვანთა სუბსტიტუცია. ჯავახურში სუბსტიტუცია ჩვეულებრივ სონორ, წყვილბაგისმიერ და წინაენისმიერ ხშულ თანხმოვნებს შორის ხდება. სონორ თანხმოვანთაგან, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ნაზალურ მ, ნ თანხმოვნების ურთიერთმონაცვლეობა, რომელიც თითქმის მთელს ჯავახურშია გაბატონებული. მას უმთავრესად ვხვდებით სიტყვის ფუძეში, ზოგჯერ -მდე||-მდის თანდებულთან და -მცა ნაწილაკშიც.

მ—ნ: სცენს, სინდიდრე, სანშობლო, განგეობა, დალანდა, დავენზადე, უნგზავრია, ენთხვია, განტყუნდეს, შემოანატვრის, შეგვანჩნია, დავანთავრო, სქანდენ, ანთენდა, მონანგროვეს, ენსახურება, დაანტვრევს, დაანწყვდევს, ანდგარა, მიანსხვრია, გაისტურნებდა, თორენ, მუდან, რატონ? რანთენიმე, ანდროული, ან დროს, ინთელი.

<sup>68</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

<sup>69</sup> გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1956, გვ. 179; შდრ. მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960, გვ. 82—89.

ი ნ კაცმა, ი ნ დროს, ი ნ წამსვე... ხორცანდი, ახალციხენდი, დილანდი, მუხლანდი, აქანდი, სალამონდის... თუნცა და სხვა. (თემის ნიშნებში ბგერათა სუბსტიტუცია მორფოლოგიაში იქნება განხილული).

ნ შეიძლება შეგვხვდეს ვ-ს ადგილას უშუალოდ და მ-სთან შენაცვლების მეშვეობითაც.

ვ—ნ: აამსე კ ი დ ე ნ ა! ცოცხალია კ ი დ ე ნ ა? შვილი გამიჩინე კ ი დ ე ნ ა! სული ამოხდება კ ი დ ე ნ აც.

ვ—მ—ნ: ნითამ (<მითამ<ვითამ), ნ ი თ ა მ და ნიშა არი; ნ ი თ ა მ კაცო შემოაკვდა; ნ ი თ ა მ მე მიყილია; შდრ. მ ი თ ა მ ხლმით მისულა; მახსონს, გახსონს, სანსე (<სამსე <სავსე), აანსო, სანსიებია, ანსებს, გაუნსო (შდრ. გააჲსო), ვეშაპებს გამან, დასტანჯანს, ახსონდა.

საწინააღმდეგო შემთხვევებია, როცა თვით მ თანხმოვანი ნ-ს შონაცვლედ გვევლინება.

ნ—მ: ახლამდელი, ბალკომზე, სიმდისიერი, ჩამდა, ჩამს, მოჩამს, შოჩამან, გაამთაეისუფლა, გამამთაეისუფლოს, უკამ.

მოსალოდნელი ნ-ს ადგილას თავს იჩენს ლ. გვაქვს პირიქითაც: ნ ენაცვლება ლ-ს.

ნ—ლ: მავალ (<მავან) ადგილას, მავალ დროს, მავალ საათზე, შავალ ღამეს... ლამეტნავი (<ნამეტნავი), ა მ დ ე ლ ა სახელმწიფო.

ლ—ნ: ერთი ნ ა ჩ ა რ ი კაცი იყო.

გვხვდება წყვილბაგისმიერ მ-სა და ბ-ს ცალმხრივი სუბსტიტუცია, ხოლო კბილბაგისმიერ ვ-სა და წყვილბაგისმიერ მ-ს შორის ადგილი აქვს საურთიერთო ბგერათშენაცვლებას.

მ—ბ: ბ რ უ დ ე ხანჯალი, ბ რ უ დ ე თ ღაუდგამთ, გული გა ი ბ რ უ დ ა...

ბ—მ: გლახომდა, დაატუსაღემინემს.

ვ—მ: მიწრო ქუჩა, მიწრო გასავალი, ნეტამ, ნ ა მ თ ი ქურქელი, მე ს ა ვ ე (<მესამე) ვაჟი, მასკვლავი, სამსე, გაამსო, მითამ...

მ—ვ: თავის წყევსია; წყევსათ გაგზავნა... წავიდა მე ვ რ ე სინის საშოვნელათ; მე ვ რ ე დავბრუნდით: მე ვ რ ე სხვა შემხვდა. ეს უკანასკნელი გარეგნულად სრულიად ემსგავსება მე ო რ ე-საგან მიღებულ ფორმას: მეორე>მევერე>მევერე (იხ: § 3).

ორიოდე ფუძეში დასტურდება აგრეთვე ვ—ბ და ბ—მ: ს ა ბ ა რ ც ხ ლ ი თ თავს ი ბ ა რ ც ხ ნ ი ს; სამყრობილეში, კარგათ მე გ ე მ ყ რ ო ბ ა.

წინაენისმიერ მკლერ ხშულ ლ-ს ენაცვლება ამავე წარმოების ყრუ ფშვინვიერი თ ა ნ მკვეთრი ტ.

დ—თ—ტ: რ ა მ თ ე ნ ი მ ე კ ა ც ი, რამთენიოდე, რამთოლოოდე... ამ—ტენი, იმტენი, იმოტონა...

წინაენისმიერ და უკანაენისმიერ თანხმოვანთა სუბსტიტუციის თითოოროლა სხვა მაგალითებია:

ც—წ: მოწიქულები.

წ—ძ: ბერძი ძროხა.

ჯ—ჩ: ჩანყიანი ღღე.

გ—კ: ამხანაკი, აკინებდა.

რ—ს: სიმინდ ს წ ყ ო ბ ს.

ხ—ღ: ოთალი, ხალი, ოჯალი, თაბალი<sup>70</sup>.

ყ—კ: კაჩალები, სიკოჩაღე, კიჟინი, კმა (<ყმა) კაცი, კუმურღო-

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ყრუ ფშვინეიერი ჰ-ს მონაცვლეობა სპირანტ ხ-სთან<sup>71</sup>. ეს მოვლენა იმდენად მასობრივად და ამავე დროს იმდენად ნაირ-ნაირ კონტექსტშია გავრცელებული, რომ ქართული დიალექტების კლასიფიკაციის დროს იგი ჯავახურისათვის, აქარულთან ერთად, ერთ-ერთ სპეციალურ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ.

ბ-ს სუბსტიტუციას ხ-სთან ადგილი აქვს:

ა) ზმნებში, ე. წ. დედის ბგერების წინ, სუბიექტური მეორისა და ობიექტური მესამის პრეფიქსად ხმარებისას; მაგ.: რაჰ მოჰდიხარ? და-ჰტქერიხარ, დაჰდევა, თან დაჰდევეს, დაჰტოვა, ჰტირის, დაჰძახა, მიჰწერა და სხვ.

ბ) ნხოლოობითისა და მრავლობითის მესამე პირში ხმოვნის შემდეგ სუფიქსად ხმარებისას; მაგ.: გამოლიჰ, უთხრაჰ, იარეჰ, ნახეჰ, უთხრეჰ და სხვ.

გ) ხმოვანფუძიან სახელების მიცემითსა და ხმოვან-და თანხმოვანფუძიანი სახელების ნათესაობით ბრუნვაში; მაგ.: ყანაჰ გლეჯამს; სხვაჰ გაჰყევ; ციხეჰ მიაღგენ; გზაჰ მიჩვენებ; დანაჰ ლესებენ: იმიჰ ქონებაჰ ეჰამ, ხემწიფეჰ მოჰპარეს; ამაჰ რას მადღევ? რაჰ დასაქერი, იმაჰ მოვჰკრათო; კლდეჰთან დაჯდა, მოვიდნენ ციხეჰთან; ქუქჩი-შვილიჰ ყანაჰთან, იმაჰთან მივიდა... წლიჰ პირზე, სინიჰნაირი, თათრიჰ ძმა, ერთი დლიჰ შემდეგ, ძმიჰწული, ეკლესიიჰ კარებზე, გოგოჰ მამამ, კაციჰგან, წალკიჰკენ, სახლიჰკენ, აფნიიჰკენ და სხვ.

<sup>70</sup> ანალოგიური ფაქტები დადასტურებულია მესხურშიც (მათრალი, ჩიბული, ფაფალი, ჩანალი), ილ. მაისურაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

<sup>71</sup> ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 293.

დ) ჩვენებით ნაცვალსახელებში; მაგ.: ეჰ ქალი, ეჰ ტუსალი, ეჰ გოგო, ეჰ მივიდა, იჰ გამოსარჩევი იყო, იჰ ქალი მიიღო და სხვ.

ე) სიტყვის ფუძეში: ჰაითკენ (<საითკენ) მიღიხარ? კარგათ ვა-  
ჰწავლე...

გარკვევით უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევა-  
ში ჩვენ გარდამავალი ჰ/ა ბგერა კი არა გვაქვს, როგორც ეს კახურ-  
ქიზიყურში, მთიულურსა და ქართლურშია დადასტურებული, არა-  
მედ გარკვეულად ყველგან ჰ გვესმის. ჯავახური ამ მხრივ გასდევს აჭა-  
რულს, სადაც ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი აქვს<sup>72</sup>.

ხმოვანთა სუბსტიტუცია. ხმოვანთა სუბსტიტუციიდან დავასახე-  
ლებთ შემდეგ ფაქტებს:

ო—უ: ცუტა მიწა, ცუტა პური, ხუ იცი ჩემი საქმე? აკუშ-  
კის წინ.

უ—ი: მეორე იფრო ყოჩალია; ის იფრო მართალი კაცი იყო;  
იქიდან იფრო სახელოვანი იქნებოა; იფრო მეტ მალღობას უხ-  
დიდა.

ამავე მიზეზით და აგრეთვე ფუძისეული რ-ს დაკარგვით ფერეიდ-  
ნულში ეს სიტყვა იფო-დ (კვლილა<sup>73</sup>).

ა—ე: ნასვემი, არაფერი ეკლდა.

ა—ი: დარიჯები კყვანან კარებზე.

ო—ე: იმის ფოთელი მოჭარზოთ; ფოთელს ყრის; საღა-  
მემ დი არეცინა ტალღამ.

6. აფრიკატიზაცია. კომბინატორული აფრიკატიზაცია ერთი შემ-  
თხვევით ამოიწურება: ფუძისეულ თ-სთან მიცემითი ბრუნვის ნიშნის  
შერწყმით ვიღებთ წინაენისმიერ ხშულ ც-ს; მაგ.: შეეხვეწა ღმერ-  
ცა; არცერცა შვილი არ ჰყოლია; მაგაცა იქნება მოჯამაგირეთ.

სპირანტა და ხშულთა სპონტანური აფრიკატიზაციის მაგალი-  
თებია:

ჟ იძლევა ჯ-ს: ინჯინრები, დაჯინებთ.

ტ წარმოდგება ტ-ს სახით: დაიჭვრთებოდა (შდრ. გურული  
ჭვირთი, დაჭვირთული<sup>74</sup>).

ზ იქცევა ძ-დ: რას განიძრახამ? ერთი კნიადი, ერთიც

72 ქ. ნოლაიდელი. აჭარული კილოს თავისებურებანი, 1960, გვ. 20.

73 არნ. ჩიქოზავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 215.

74 პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხებზე, ქუთაისის პე-  
დაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXXI, 1968, გვ. 58.

გლები; საგძალი წავიღეთ; საგძალი ზურგზე მოიკიდა; საგძალიც გაატანა.

ეს უკანასკნელი (საგძალი), ისევე როგორც საბძელი, ჩვეულებრივ ბგერათსუბსტიტუციის მაგალითად იყო მიჩნეული, მაგრამ გამოთქმულია მოსაზრება, რომ როგორც საბძელი, ისე საგძალიც მიღებული უნდა იყოს პოზიციური ხასიათის ცვლილებით, კერძოდ, პროგრესული დისიმილაციური აფრიკატიზაციით: თავკიდური ყრუ სპირანტის გავლენით მკლერი სპირანტი ზ წინამავალ თანხმოვანთან კომპლექსში (ბზ, გზ) გადასულია ძ აფრიკატში<sup>75</sup>.

უკანანისმიერი ხშულის აფრიკატიზაციის მაგალითია: კინლამ > წინლამ; მაგ.: წინლამ გული წაუვიდა; წინლამ გადავარდა; შდრ. კინალ გამიტაცა.

სხვა დიალექტების მსგავსად, ჯავახურში ძალიან ხშირად გვხვდება სპირანტ შ-საგან აფრიკატ ჩ-ს მიღების შემთხვევები -ში თანდებულში (ში > ჩი). მეტწილად ამას ადგილი აქვს ლ, ნ, მ სონორების მომდევნო პოზიციამში; მაგ.: ბნელი, წელი, სოფელი, ხელი, ქორწილი, სახლი... ლოვინი, პლენი, ჩვენნი, ვაენნი... ომნი, ურემნი და სხვ. შედარებით იშვიათად თავს იჩენს ბ, ვ, ს თანხმოვნების მეზობლად და ზოგჯერ ხმოვნის მომდევნოდაც; მაგ.: კაცები, ჯარები, ჩხუბნი, პატივი, თავნი, ხერთვისნი, დღენი, ჯიბენი, გზანი და სხვ.

გ. ცოცანიძის ერთ-ერთ სტატიაში<sup>76</sup>, რომელშიც სპეციალურად შესწავლილია -ში-ს -ჩი-ში გადასვლის საკითხი, აღნიშნულია, რომ დიალექტების მიხედვით მდგომარეობა სხვადასხვაგვარია. მისი აზრით, ში-საგან ჩი-ს მიღების ორგვარი საფუძველი არსებობს: ერთი — ეს არის სონორობის მომდევნო პოზიცია, ხოლო მეორე — წინანისმიერი თ-სა და შ-ს შერწყმა. პირველი მოქმედებს მხოლოდ გურულში, მეორე კი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში და ნაწილობრივ გურულში (გვ. 116). მთის დიალექტებში ჩი-ს არსებობა ავტორს ასე აქვს გააზრებული: თუშურში თითქმის ყოველთვის და ხშირ შემთხვევაში ფშაურშიც ჩი თანდებულიან სახელს ახლავს მრავლობითის გაგება: სტუმარი ნიშნავს სტუმრებში, მთანი — მთებში, კაცი — კაცებში და ა. შ. ასეთ შემთხვევაში თანდებული უნდა დართვოდა მრავლობითის მიცემითის

<sup>75</sup> გ. როგავა, დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი სახეობა ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVI სამეცნიერო სესიის თეზისები, 1970 წ.

<sup>76</sup> სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ქართულ დიალექტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974.



ფორმას, მთის დიალექტებში კი მრავლობითი თანიანი იქნებოდა; ე. ი. ერთად აღმოჩნდებოდა მრავლობითის თ და თანდებულის შ, როგორცაა შეერთებულიაც ჩ-ს მივიღებდით. პროცესი ასე წარმოიდგინება: ხელთ > ხელთში > ხელჩი, უბეთ > უბეთში > უბეჩი, გზათ > გზათში > გზაჩი (იქვე).

ჩვენი აზრით, ეს პროცესი სრულიად დასაშვები იქნებოდა, რომ მას წინ არ ეღობებოდეს ერთი დაბრკოლება. მას შემდეგ, რაც შინა თანდებულს ისტორიულად -ნა ელემენტი მოეკვეცა და ში უშუალოდ შეუერთდა სახელს (სახლსა შინა > სახლსში > სახლში), იგი, როგორც წესი, არც სალიტერატურო ქართულში და არც მის დიალექტებში თანიან მრავლობითში არ იხმარება. არ ითქმის და არც იწერება: სახლთში, მაგიდათში, სკოლათში, ხეთში, ორმოთში და ა. შ. (შლრ. ძვ. ქართ. სახლთა შინა, ხეთა შინა და სხვ.). ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც თუშურში და არც ფშურში ხ ე ლ ჩ ი, უ ბ ე ჩ ი, გ ზ ა ჩ ი ფორმებისათვის ამოსაელად ხ ე ლ თ შ ი, უ ბ ე თ შ ი და გ ზ ა თ შ ი ვერ იქნებოდა. ჭერ კიდეც ამ ორმოცდაათი წლის წინათ დ. კარიჭაშვილი თავის „ქართული ენის გრამატიკაში“ სამართლიანად შენიშნავდა, რომ „საუბარში თანდებულებს იშვიათად ხმარობენ სიტყვებთან, რომლებიც მეორეგვარ მრავლობით რიცხვში არიან. ზოგიერთი თანდებულები სრულებით არ იხმარებიან. ეს ის თანდებულები არიან, რომელნიც შემოკლებულან ან სთხოვლობენ იმისთანა საბრუნავებს, რომელნიც არ მოიპოვებიან მეორეგვარს მრავლობითს რიცხვში, მაგალ., ში, ზე, მდე, ურთ“<sup>77</sup>.

რაც შეეხება გურულის მიმართ გამოტანილ ავტორის დასკვნას, კერძოდ, სონორის მომდევნო პოზიციაში ჩი-ს წარმომავლობის შესახებ, მისაღები ჩანს ნაწილობრივ და ვრცელდება არა მარტო გურულზე, არამედ ქართული ენის სხვა დიალექტებზედაც. დიალექტთა მიმოხილვისას არა ერთ ავტორს აღუნიშნავს და ზემოთ დასახელებულ სტატიაშიც სხვადასხვა დიალექტებიდან არა ერთი შემთხვევაა დამოწმებული, როცა ში-საგან ჩი მიიღება ძირითადად სონორების მომდევნო პოზიციაში, მაგრამ, ამასთან ერთად, არც თუ იშვიათად ამავე შედეგს ვიღებთ არასონორი თანხმონებებისა და აგრეთვე ხმონების შემდეგ, რასაც სათანადო ახსნა სჭირდება.

უფრო ადრე, 1948 წელს, გ. როგავამ, ქვემოადილურისათვის დამახასიათებელ სპირანტთა შერწყმით აფრიკატის მიღების შემთხვევებ-

<sup>77</sup> დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, 1930, გვ. 126.

თან დაკავშირებით, გამოთქვა მოსაზრება, რომ -ში თანდებულის ნაცვლად ზოგჯერ -ჩი ვარიანტის ხმარება რიგს დიალექტებში — ხევსურულში, ფშაურში, მთიულურში, მოხეურში, ფერეიდნულში, გურულში, აჭარულში... უნდა აიხსნას სახელის მიცემითი ბრუნვის -ს აფიქსისა და -ში(ნა) თანდებულის თავიიდური შ ბგერის შერწყმით. მაგ.: მთა-ჩი—\*მთა-ს-ში, სოფლებ-ჩი—\*სოფლებ-ს-ში და სხვ.<sup>78</sup>

წამოყენებული დებულება უთუოდ საგულისხმოა, ოღონდ აქედან გამომდინარე მთა ჩი, სოფელ ჩი და მისთანანი უნდა ჩავთვალოთ როგორც ისტორიული ფაქტი და არა როგორც მიმდინარე ფონეტიკური პროცესის შედეგი, რადგანაც როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე მის დიალექტებში -ში თანდებულთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი კარგა ხანია დაკარგულია.

7. დეზაფრიკატიზაცია. უფრო სპორადული ხასიათისაა აფრიკატიზაციის საწინააღმდეგო პროცესი — დეზაფრიკატიზაცია ანუ აფრიკატთა სპირანტიზაცია. ორიოდე შემთხვევა ასეთია:

ძ იძლევა ზ-ს: ზ ა ლ ი ა ნ მომწონხართ.

ჯ გაღადის ფ-ში: შე ე ლ ა ცხენზე; ი ე ლ ა ტახტზე; ჩ ა ე ლ ა ხის ქვეშ; დ ა ე ლ ა ხენწიფედ.

8. ბგერათა დაკარგვა. ბგერათა დაკარგვის მეტი წილი შემთხვევები დაკავშირებულია უმთავრესად თავიიდურ, აგრეთვე ბოლოკიდურ მარცვალში თანხმოვანთა ჯგუფის გამარტივებასთან, რაც ხშირი მოვლენაა სხვა დიალექტებშიც და, საერთოდ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში. ჯავახურში იკარგება უმთავრესად რ, ლ, მ, მყლერი ხშული გ, ღ, ყრუ ფშვინვიერი სპირანტი ს. რაც შეეხება ვ-ს, მისი გაუჩინარების ბუნებრივი ადგილია ლაბიალური ხმოვნების წინა პოზიცია.

თანხმოვანთა დაკარგვა. სიტყვის თავიიდურ პოზიციაში თავმოყრილ თანხმოვანთა ჯგუფები ბრძ, გრძ, ფრთ, როგორც სხვა დიალექტებში, ჯავახურშიც მარტივდება სონორი რ-ს დაკარგვით და ვილებთ ხშულთა ბძ, გძ, ფთ კომპლექსებს; მაგ.: ბძოლა, ბძანება, ბძანდება... გძელი (მღრ. აგრეთვე: გაუგძელდა, იგძნო), ფთა, დაფთხა, ფთხილი, დავაფთხე და სხვ.

ზრდ კომპლექსი მარტივდება როგორც რ-ს, ისე ზ-ს დაკარგვით. ერთი მხრით გვაქვს: ახალგაზნდა, გაიზნდა, მეორე მხრით კი — ახალგარდები, სარდო (ნეტა ს ა რ დო ჰქონდეთ!).

პარალელური ფორმებით წარმოგვიდგება აგრეთვე ხრჩ თანხმო-

<sup>78</sup> ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემოადილურსა და ქართულში, იყ, II, 1948, გვ 52.

ჟანთა კომპლექსის შემცველი დახრობა; მაგ.: დაახჩეს, სახჩო-  
ბელა, მაგრამ: არჩობენ, ჩამოარჩო.

რ ხშირად იკარგება რჩ ძირის შემცველ ზმნის პირიან ფორმებ-  
ში სონანტ ვ-სა და მ-ს მეზობლად; მაგ.: დავჩი მარტო; ჯარში  
დავჩი; დავჩი ობოლი; გადავჩით, შევჩით იქა; არაფერი  
გვჩებოდა; მე დამჩება...

ისეთი სიტყვები, როგორცაა რძალი და რძე, თავკიდური რ-ს გა-  
რეშეც გვევლინება; მაგ.: ძალი მოიყვანა; მოიყვანა მეორე ძალიც;  
სთხოვს საძლოებს... ძე არა ჰქონდა; ჩაადლო ძეში.

რ-ს მსგავსად, ლ-ს დაკარგვაც ზოგჯერ თავმოყრილ თანხმოვან-  
თა ჯგუფის გამარტივებით არის გამოწვეული, ოღონდ სიტყვის ბოლო-  
კიდურ პოზიციაში. ასეთი შემთხვევა გვაქვს, მაგალითად, მაშინ, რო-  
ცა არ-ებითი სახელი და ზოგი სხვაც -ში თანდებულს დაირთავს ან  
კიდევ კომპოზიტის ნაწილია; მაგ.: სახში მივიდა, სახში დაუ-  
ბარა... ნუხში (<მუხლში)... სახ-კარი (მდრ. სახლი, სახლიკაცი,  
მუხლი).

სიტყვა ხელმწიფე სისტემატურად ლასის გარეშე გვევ-  
ლინება; მაგ.: ხემწიფემ დაუძახა; ხემწიფემ ჰკითხა; ხემ-  
წიფე გადააგდეს.

ბოლოკიდური ლ იკარგება უფორმო სიტყვაში სულ; მაგ.: სუ  
აგრე დადის; სუ კითხულობდა...

მთელს ჯავახურში განსაკუთრებით ფართოდ მოდებულია მანის  
დაკარგვის შემთხვევები. პირველ რიგში, სისტემატურად ამას ადგი-  
ლი აქვს სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თანხმოვნების წინ არსებით-  
სა და ზედსართავ სახელებში, აგრეთვე ზმნიზედებში. მაგ.: ავიდნენ  
თაზედ, თის წვერვალზე, გელმა, კლავი, წყევსი, თვარე, ხეცი,  
ზითვი. ზითევი, ძახალი, ტრედი, ტრედისფრათ, ტევანი, ღვდელი,  
თავრობა, ხარზე, ხარდახარ, წკრეზე, წკრივიდან, ტვერი, ტრის  
გუნდში, ტკვრის პირთან, დებარეობა... ძიმე სული, წვანეა,  
ზეთუნახავი, თელი ხალხი... სულ თლათ, სხვერპლათ, შვიდო-  
ბიანათ...

მართალია, ზოგიერთ ზემოთ დასახელებულ სიტყვას (მაგ.: ტრე-  
დი, შვენიერი) მ ისტორიულად არც ქონია<sup>79</sup>, მაგრამ ჩვენს დიალექტში  
იგი მაინც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მას სალიტე-  
რატურო ენის ვითარება გვიჩვენებს.

<sup>79</sup> არნ. ჩიქობავა, ვარეჯახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70; ვ. თო-  
ფურია, ქართლური, გვ. 134.

მოვლენა იმდენად ღრმად არის გამჭდარი დიალექტში, რომ იგი არ ერიდება ამავე პოზიციაში სიტყვასაწარმოებელი ელემენტის, მიმ-  
ლეობის მ-ს დაკარგვასაც; მაგ.: კერავი, გალობელი, ძებნელი, შობელი,  
კვდარი, დიდარი (შდრ. დიდარე), ყეფარი, ძლავრი, ხედარი, ძინარე,  
დახმარე, შიერი (შიარი), ყრალი...

მ არა გვაქვს სიტყვის ფუძეში. იგი ხშირად მოკვეცილია აგრეთ-  
ვე კავშირებსა და ნაწილაკებში; მაგ.: კობალი, გზავსი, აბრითვან, და-  
ვათავრე... მოვიდნენ, მა გ რ ა ვერ უშველეს; რ ო მოვა, მითხარი;  
ხ ო ვერ წაიყვანთო? ხ ო არაფერ ერჩით? რ ა ტ ო არ გისწავლია?  
(შდრ. რ ა ტ არ ვარგა?).

სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსი ვ- რომ უ-ს წინ იკარგება,  
ეს ბუნებრივია და სხვა კილოებშიც ჩვეულებრივია, მაგრამ ჯავახუ-  
რის თავისებურება ის არის, რომ აქ იგი ხშირად შეიძლება სონორ-  
ნ-ს (იშვიათად ც-ს) წინაც არ აღმოჩნდეს როგორც მხოლოებითში, ისე  
მრავლობითში; მაგ.: ერთი ნ ა ხ ო, ბერი კაცი მოვიდა; ნ ა ხ ო თ,  
სამი ქალი მოვიდა; ნ ა ხ ო თ, რას ბრძანამსო? ნ ა ხ ო თ, რა ქნას?  
ნ ა ხ ო თ, სადამოთი მოვიდა; ერთი ნ ა ხ ო თ, კიდე მოვარდა; ერთი  
ნ ა ხ ო თ, რ ო ონანი ურმეფში ჩავარდნილა... მე ვერ ცნობულობ.

რაც შეეხება ოვი კომპლექსს (კერძოდ, მ ო ვ ი დ ა ზმნაში), აქ  
პირის ნიშანიც და ფუძისეული ვინიც ჩვეულებრივ დაცულია, რითაც  
ჯავახური მკვეთრად განსხვავდება ქართლურ-კახურ-ქიზიყურისაგან  
და მსგავსებას ავლენს დასავლურ კილოებთან, სადაც ო ვ ი უცვლელ-  
ლად არის შემონახული.

იშვიათად იკარგება ფუძისეული ვ ო ვ ა და უ ვ ა კომპლექსებში;  
მაგ.: ჩამოა, წამოა... ძილი მ ო უ ა, დრო მ ო უ ა, გული წ ა უ ა.  
სპორადულად ვ არა გვაქვს აგრეთვე სხვათა სიტყვისა და წოდები-  
თი ბრუნვის ო-ს წინ; მაგ.: თავს მ ო ვ ი კ ლ ა ო; რა ვქნათ, გ ი ო?  
(გივო).

ფუძისეული ვ არა გვაქვს ხმოვანთა და თანხმოვან-ხმოვანთა-  
შორის ც ი ი (<ცივი) კომპარესები დაადო; ნ ე ტ ა ი ერთი შენცა;  
აღულებული, კიცი (<კვიცი), ბავში, თმოვისკენ, თმოგულებს (<თმო-  
გვი), თიბა, დამალა (<დამალვა), დაალინა, გავათაებინე.

ვ არა ჩანს აგრეთვე თანხმოვნებს შორის, უმთავრესად სონორ-  
რებთან მეზობლობაში: ძ რ ა ვერ უყო, ნახვის ნ ა ტ რ ა, გამლელ-გა-  
მომლელი, მომკლელი, შემოაკრევინა, იქ დაუხდა და სხვ.

ვერ ვიტყვი, რომ ჯავახურში ხანის პოზიცია ისე იყოს შერყეუ-

ლი, როგორც ეს კახურ-ქიზიურშია, მაგრამ მისი დასუსტება-დაკარგვის შემთხვევები აქაც საკმარისად ხშირად გვხვდება.

ფუძისეული ს იკარგება ტ, წ, პ თანხმოვნების წინ სიტყვის თავ-კიდურ პოზიციაში; მაგ.:

სტ > ტ: ტუმარი, ტუმრათ, ტაქანი, ტამბოლი, ტეფანე...

სწ > წ: წავლა, წავლობდნენ, წორეთ, წორ-ამხანაგებს...

სპ > პ: პილენძი, პარსეთი...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი არ ახლავს პრეპოზიციულ მსაზღვრელს, იქნება ის თანხმოვანფუძიანი თუ ხმოვანფუძიანი (ფუძეკვეცადი). ასეთ პირობებში, განსაკუთრებით ფუძეთანხმოვნიან სახელებთან, იქნება ერთგვარი წინა პირობა მსაზღვრელ-საზღვრულის გაკომპოზიტებისა; მაგ.: პ უ რ ი ფქვილი, ს ა ხ ლ ი პატრონი, ბ რ ი ნ ჯ ი ფლავი, ნ ა ბ დ ი თელა, ა ლ ვ ი ხე, რ კ ი ნ ი კარები, ფ უ ლ ი პატრონი, ი რ მი ბალანი, წ ყ ლ ი სასმელი, კ ლ დ ი ძირაზე. თ ა ვ ი ს ა ხ შ ი, მ ა გ ი შვილი...

ასეთივე ვითარება გვაქვს ჩვენებით, უკუქცევით ნაცვალსახელებთან და ნათესაობითში დასმულ საზოგადო სახელებთან, რომელთაც დაერთვის სათანადო თანდებულები; მაგ.: ი მი ბედზე, ი მი ტ ა ხ ტ ი ქვეშ, ი მი სახილი, ი მი კარებთან, ი მი თ ა ნ ა, თ ა ვ ი ფეხით, თ ა ვ ი ლალას (შდრ. აგრეთვე თავითავათ) სახლიკენ, ტ ა ხ ტ ი წი-ნა, ხ ე ნ წ ი ფ ი წინ, ერთი ქ ვ ი ქვეშ...

ყველა ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ს თანხმოვანს დაკარგვამდე უნდა გაველო გარდამავალი საფეხური — იოტიზაცია, მაგრამ ამქამად ასეთი ფაქტები იშვიათია. ზემოთ დასახელებულ მაგალითებში ყველგან გარკვევით მხოლოდ o ხმოვანი ისმის.

თითქოს ბოლოკიდური ს ჩანს დაკარგული და არა ნ თანდებულ-დართულ შემდეგ სახელებში: ქორწილისთვი, მადლისთვი.

შეუდარებლად უფრო ხშირია შემთხვევები მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის მოკვეცილა. იგი იკარგება ბოლოთანხმოვნიან სახელებთან განურჩევლად იმისა, თუ წინადადების რომელი წევრია (პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, ადგილის გარემოება და სხვ.). ასეთი სახელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს შემასმენელს, მაგრამ იშვიათად მის შემდგომაც შეიძლება შეგვხვდეს; მაგ.:

შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს წ ი ნ : ფ ე ტ ვ დაუყრი! კ ა რ ე ბ გააღებ! წ ყ ა ლ სევმდა; წ ი ხ ლ ესვრის; პ უ რ ვჭამდი; ბ ე წ ვ მოქცემ; ხ ე ლ დაიდფეს... ბ ი ჭ მოაგონდა; ჯ ა რ ცარიცა დაუწყო; ც ხ ე ნ შეა-ქამეო... ბ ი ჭ გული წაუვიდა; ამ ქ ა ლ გაუჩნდა ვაჟიშვილი; თ ა ვ მოკვეცეთამ...

შემასმენლის მომდევნოდ: სახელი არ დაარქვა არც  
.ცხენ, არც ბიჭი; საქონელი მუდილიდათ ამ თათრებ; ხენწიფე  
დაიბრის ერთ გლეხ... მოადგა კარწახ; წავიდა თბილ ქალაქი;  
შიშნობა გამოვიარეთ იმ ზამთარ; გადაიტანა ოკამ; ჩავიდა  
ხერთვის.

სუბიექტური მესამე პირის სუფიქსი -ს ზოგჯერ არა ჩანს ისეთ  
ერთპირიან და ორპირიან ზმნებში, როგორცაა: არის, დგას, აგ-  
დებს: მაგ.: კარგათ არი, ჩემი არ არი, რატო არი სიარული?  
.აღაძიანის სუნი დგა; ჩემ სიტყვას არაფრათ არ აგდებ და თავი  
'სიტყვაზე დადის.

იგი უკვალოდ იკარგება აგრეთვე მოქმედებითი გვარის ზმნათა აწ-  
მყო-წყოფადსა და თურმეობით პირველში და ინვერსიულ ზმნათა აწ-  
მყოში; მაგ.: მოაქ წყალი; ეს მიშკა ყეფამ ამ კაცსა; პურ ვინ  
მოქცემ შენაო; გოგიას უთქვამ; ელიზბარი უნახამ... ჭურ-  
ჭელი გააქ? ერთი გუგუმი მაქ; სახ-კარი არა აქ. ამ უკანას-  
კნელ სამ მაგალითში, როგორც ვხედავთ, ს-სთან ერთად ვ-ც არის და-  
კარგული.

დასავლური დიალექტების მსგავსად, ჯავახურში (ყერძოდ სოფ.  
ქილდის მცხოვრებთა მეტყველებაში) ზოგჯერ იკარგება -თან, -თანა  
თანდებულის თ თანხმოვანი, როცა ეს თანდებული დაერთვის ფუძე-  
ხმოვნიან სახელს; მაგ.: ხენწიფესან ვართ; მივიდა იმ ხენწი-  
ფესან; მაგისანა ცოლ-ქმრობა არ ვარგაო (შდრ. იმითანა, მა-  
გითანა).

შეიძლება დაიკარგოს მრავლობითისა და -ვით თანდებულის ბო-  
ლოკიდური თ-ც: წასხა თავიანსა... დევივი კაცი იყო; თა-  
გვივი დაძვრება.

ბ-სა და თ-ს გაუჩინარება რამდენიმე სიტყვაში შეიძლება დისი-  
მილაციური დაკარგვით აიხსნას: ჩემი შეილი ამობს (<ამბობს);  
რას ამობ, კაცო? ერთ-ერთი (<ერთად-ერთი) შეილი ჰყავს.  
სხვა მაგალითები: დაბრუნეულან... ერხანსაც...

ნ და გ არა ჩანს ვინც, არავინ და მაგ ნაცვალსახელებში;  
მაგ.: ვიც ჩემ შვილ მაარჩენამს... არავი იყო... მა ბიჭმა უნა  
ითხვიოსო.

ზ-ს დაკარგვის შემთხვევა: ლამაათ აბანავა...

ხმოვანთა დაკარგვა. ხმოვანთა დაკარგვიდან ყურადღებას იქცევს  
ზედსართავი სახელი პატარა, რომელიც, ქიზიყურის მსგავსად, ზოგ-  
ჯერ ა-ს ამოღებით იხმარება; მაგ.: პატრა ხანმა გაიარა; პატრა  
დავლარიბდით.

ლიტერატურულ ენაში დაცული სიტყვა იღლია ჯავახურში  
თავილური ო ხმოვნის გარეშე გვხვდება (დადასტურებული გვაქვს  
'სოფლებში: პრტენა, ვარგავი, სარო); მაგ.: ღლიაში დეეჰირა;  
ღლიაში ამოაფარამს; ღლიაში ამოიკრა; უცფათ ღლია რა-  
ღამაც გასწია; ხელს მავლებდნენ ღლიებში. ამ სახით იგი ფიქ-  
სირებულია იმერხეულში: იქით-აქეთ და ღლიებში<sup>80</sup>. ძვ. ქარ-  
თულის ძეგლებშიც ეს სიტყვა ღლია ფორმით დასტურდება<sup>81</sup>.  
სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ იღლიაში ო ისე-  
თივე თავსართია, როგორც გვაქვს სახელებში ო-გავი, ო-დაყვი, ო-დუ-  
მალი, ო-ფქლი, ო-სარი და სხვ<sup>82</sup>. ამას დასტურებს აგრეთვე მეგრუ-  
ლი რ-ღია. საკითხი ისმის: როგორ უნდა გავიგოთ ჯავახურის ჩვე-  
ნება? აქ ეს სიტყვა ძველი სახითაა დაცული თუ მასში თავილური ო  
ხმოვანია დაკარგული? გადაჭრით რისამე თქმა ჭირს.

ზოგჯერ სიტყვიდან ამოღებულია მთელი მარცვალი; მაგ.: მ-  
შასმა (მამა მისმა) ჰკითხა; მამასმა დააბარა. რთული რაოდენ-  
ობითი რიცხვითი სახელის ათხუთმეტის თავილური ა ხმოვა-  
ნი ზოგან ჯერ კიდევ შენარჩუნებულია: ბლარი ათხუთმეტი წლი-  
საა; ათხუთმეტი დღის ვადას ვაძლევ!

9. რედუქცია. ცნობილია, რომ ფუძისეული ხმოვნის რედუქცია,  
რასაც აფიქსისეული ხმოვანი იწვევს, ამჟამად ერთნაირი ძალისა და  
ერთნაირად გავრცელებული არ არის ქართული ენის დიალექტებში.  
სპეციალურ ლიტერატურაში ადრევე იყო დადგენილი, რომ „ცოცხალ  
კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო  
დასავლურში უფრო მეტად შესუსტებული“<sup>83</sup>. ჯავახურის თავისებუ-  
ლება ამ მხრივ ის არის, რომ მასში ეს ორივე ტენდენცია, თუ შეიძლება  
ასე ითქვას, უკიდურეს ფორმებში არის ასახული.

ყურადღებას იქცევს ისეთი რედუქციული ფორმები, რომლებიც  
სალიტერატურო ენაში და თვით აღმოსავლურ კილოებში ჩვეულებ-  
რივ ფუძეს არ იკუმშავენ და არც იკვეცენ. ასეთებია, მაგალითად:  
ლოგნის გაშლა დაიწყეო! გამოეპარა ლოგნიდან; პირვლათ  
დავსხედით; წადი იმ მორევთან, რომელ მორვიდანაც მე ამო-

<sup>80</sup> Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, გვ. 50

<sup>81</sup> ლ. გელენიძე, იღლია სიტყვის ეტიმოლოგიასთვის, იჯ, XVII, 1970, ზვ. 124.

<sup>82</sup> ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან. IV. ხმოვანთავ-  
სართოვანი სახელები, თუშ, XXXb—XXXIb, 1947, გვ. 456.

<sup>83</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიასთვის, ქართულა საენათმეცნიერო.  
საზოგადოების წელიწადეული, I—II, 1923—1924, გვ. 11.

მიყვანე! გამოვა ერთი კაცი მორვიდან; სამწუხრო ადგილში  
არის; პერეველის ჰალებს გავცდით; ბაკურიანის პერეველაშ-  
დე; მოდიგმისკენ წავიდა (შდრ. აველით მოდიგამში);  
გულიკმისკენ (გულიკამი ადგილის სახელია)... ესო ქრის-  
ტის ხატი...

აქვე უნდა დავიმოწმოთ სრულიად უნიკალური, ფუძემეკუმშუ-  
ლი ფორმა კარებისა, რომელიც სოფ. მურჯახეთში გვაქვს ჩანიშ-  
ნული: ამ კაცმა კრებიდან (<კარებიდან) დაუძახა. ძალაუნებუ-  
რად, რა თქმა უნდა, გავგახსენდება ძვ. ქართულიდან ცნობილი იშვია-  
თი სიტყვა კრეტ-საბმელი („Завеса“, букв. „подлежащее  
повисанию на дверях“)<sup>84</sup>, რომელიც, ნ. მარის აზრით, უნდა მომ-  
დინარეობდეს კარ-ე-თ-ს-ა-ბ-მ-ე-ლი-ს-ა-გ-ა-ნ<sup>85</sup> (-ეთ > -ეტ მრავლო-  
ბითის აღმნიშვნელია): და კრეტ-ს-ა-ბ-მ-ე-ლი ტაძრისაჲ მის განიპო-  
რგან (მრკ. 15, 38 C). ნ. მარსავე აქვს მითითებული, რომ 1447—  
1448 წლების მცხეთის საკათალიკოსო გუჯარში ეს ფორმა გვხვდება  
უფრო ძველი სახით, ფუძეში ხმოვნის შენახვით: კარ-ე-ტ-ს-ა-ბ-მ-ე-ლი  
ტაძრისა<sup>86</sup>.

რედუქციის მხრივ საინტერესოა აგრეთვე მეცხვარი, რომე-  
ლიც ზოგან ებ-იან მრავლობითში ერთსა და იმავე დროს ფუძემე-  
შვადიც არის და ფუძემეცადიც: მეცხვრები გაუშვი! მეცხ-  
ვრები წავიდნენ; ეს ამბავი დაინახეს მეცხვრებმა (ფაქტი  
იმავე სოფ. მურჯახეთშია დადასტურებული).

საით ზმნიზედა ჩვეულებრივ შეკვეცილი სახით გვევლინება -კენ-  
თანდებულის დართვისას; მაგ.: სითკენ წავიდა? სითკენაც მე  
წავალ...

სოფ. ქილდაში შენიშნული გვაქვს წელიწადის იშვიათი  
ფორმა წელწადი, რომელშიც არა ჩანს ეტიმოლოგიურად მოსა-  
ლოდნელი აბლატივის ით(ი) მაწარმოებლის ი ხმოვანი: წელითი-  
წლად—წელიწადი<sup>87</sup>; მაგ.: შეიდი წელწადი გავიდა; ივლის რამ-  
დენიმე წელწათ (<წელიწადს).

თითქოს რედუქცირებული ჩანს ფუძისეული ი ხმოვანიც ასეთ-  
შემთხვევებში: ცხენფს უნაგრები ჰქონდათ; უნაგრიანი.

<sup>84</sup> Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 38.

<sup>85</sup> იქვე.

<sup>86</sup> იქვე.

<sup>87</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისთვის, გვ. 4.



ცხენები გამოაბა. ეს სიტყვა ამ სახითაა დადასტურებული საერო ლიტერატურის ზოგიერთ ძეგლშიც<sup>88</sup>; მაგ.: შეიქნა უნაგრები ის მოღება („რუსულდანიანი“); ოქროს უნაგრები თა მოკაზმული (შაჰ-ნამე, II, 369), უნაგრისაგან (ამირანდარეჯანიანი, 38), უუნაგრო (შაჰ-ნამე, I, 4228), უნაგრი (თეიმურაზ II, 90, 137); შდრ. ცხენსა აღმასის უნაგირი ეღვა (რუსულდანიანი), უნაგირთაგან (ამირანდარეჯანიანი, 41).

მაგრამ, მოუხედავად ამისა, ჩვენ გვგონია, რომ ჯავახურში ამ სიტყვის ფუძეში იკი არა, ე უნდა იყოს ამოღებული, რადგან დასავლურ კილოებში უნაგერი დასტურდება.

ზემოთ აღნიშნულ რედუქციულ ფორმებთან ერთად ჯავახურში არაიშვიათად გვხვდება სახელთა უკუმშველობისა და უკვეცელობის შემთხვევებიც; მაგ.: მტკეარის იქითგან; მიიღეს სტუმართ; მასხართ აიგდეს; ახალათ მოველი; იმერელები გამოსასხლეს; სანამ ოზდახუთი წელი სანი გახდებოდნენ; დიდხანობამდის... პატარასათვის, მენახირეს შვილს მისცეს... არ იღალებდა; იქაური გაზარდილი ვარ.

10. ბგერათა შერწყმა. ორი ერთნაირი მარტივი თანხმოვნის შერწყმის შედეგად ზოგჯერ მიიღება გემინირებული თანხმოვანი, რომელიც აკუსტიკურად ერთ ბგერად ისმის, მაგრამ მისი დაყოვნების მომენტი ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივია. ეს მოვლენა თავს იჩენს ფუძისეული თანხმოვნისა და ფორმანტისეული და თანდებულის თავკიდური იდენტური თანხმოვნების შეხვედრისას ან როცა წინამდევალი სიტყვა მთავრდება, ხოლო მომდევნო იწყება ერთი და იმავე თანხმოვნით.

ს+ს > ს: არ აძლევდა ფასა; ერთი ღამე ყუმრის (ყუმრისი) დავრჩით; ხერთვის ჩავიღა... ტანისამოს კერანს; ტანისამოსაც იცვემდა; მამამის უთხრა...

მ+მ > მ: როსტომა უთხრა; გემა რყევა დაიწყო; მამა ჩემა დაინახა; ჩემაგეჩეკითხა... ირემა, ექიმა, შენ უნაღამალო!

ნ+ნ > ნ: შენაირი ქალი.

თ+თ > თ: ერთვის შემდეგ, მათან დადიოდა, შეიზარდნენ ერთმანეთან, ღმერთან ახტჳმა მიუცია.

დ+დ > დ: ვახშამი დამზადა; გამოცხადა ხემწიფესთან.

<sup>88</sup> ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონტიკური თავიუ-ზურებანი, გვ. 130.

რანდენიშე ფონეტიკური პროცესი იყრის თავს ყოველ განსაზღვრებით ნაცვალსახელში: მასში ჯერ ო გაღასმის, რომელსაც მომდევნო ე-სთან ასინილაცია მოუდის და ვიღებთ ყვეელ ფორმას<sup>89</sup>, შემდეგ კი ორი იდენტური ხმოვნის შერწყმა ხდება; მაგ.: ყველ დღეს (მღრ. ყვეელ დანე), ყველთვის, ყველწლივ, ყველნაირი და სხვ.

11. ბგერათა ჩართვა. როგორც ბგერათა დაკარგვასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, თავიიდური მ ყველაზე ადვილად იკარგება სიტყვაში. ბგერათა ჩართვის დროსაც, პირველ რიგში, ეს თანხმომვანი იქცევს ყურადღებას. სონორი მ განსაკუთრებით ხშირად დაჩნდება ზოლში თავიიდურ პოზიციასში ძ, ც წინაენისმიერი სისინა აფრიკატებისა და ზოგიერთი სპირანტისა და ხშული თანხმომვნის წინ; მაგ.: მძვირფასი, მძვირფასო. ნევირი, მვირია, გამვირდება, ემვირებოლა. გამძვირებული, გამძღვანა, ნცანი, მციდან, ნემცხვარე... უნფროსი, უმფროსმა, მტიტველი, დაგვემსხა, სანზღვარი და სხვ.

ეს მოვლენა სხვა დიალექტებშიც იშვიათი არ არის, მაგრამ ჯავახურში სხვა, უფრო თავისებური, შემთხვევებიც გვხვდება; მაგ.: დიდი მთასი (თასი) მისცა; წელს გადაწყვეტი მწელია; სანი წლის მშვილი ჰყავდა და სხვ.

ნაზალური ნ ვითარდება ზოგიერთი ხშული თანხმომვნის წინ, კბილბაგისმიერ ვ-ს მომდევნოდ და ვიღა ნაცვალსახელის ბოლოს; მაგ.: ანბიან ცხენები; მონგროვდნენ ნათესავეები; უნგრეებდა პურს; მიწა დანგროვებულია; ენგრე არ იქნება; მღერონდა. ჩაუწყენთ, გაუნსენთ, გაგრძნო (იქნებ განზმნიწინის ნ არის გადმოსული?)... იგლოვნა ორმოცი დღე; ყელ-ყური დასივნული აქ; ჯეელი ვიღან არი; ვიღან მოსულა; ვიღანც გამოჩნდა.

ვ-ს ჩართვის მაგალითები უფრო ხშირია; მაგ.: ტვიტველი, ტვიტველა, ტვიტველშველა, პოვეტი, მოსატანავათ, რაში (რაში), ფავში (ფაში), ადვიგნის (ადიგენის) რაიონი, პური მშოვა და სხვ.

ბგერათა ჩართვის თითოთროლა მაგალითებია: გამოვემცხადნეთ, ერთი სერიტგან ტურნელი (ტუნელი) წამოიღო; ჩამოდგა კაკოშკიდან; ამ ქალახსთქმა აქ; წადი, საცა გინდა, გენასცვალე! ასე, გენასცვალე!

ხმოვნებიდან შეიძლება დავასახელოთ ი (იშვიათად ე), რომელიც

<sup>89</sup> ასეა კახურშიც; არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გვ. 26.

ერთ შემთხვევაში გვევლინება თანხმობანთა განყარად, სხვა შემთხვევაში კი იგი თავკიდურ სტ, სვ (წვ) და სპ თანხმობანთა კომპლექსის წინ ვითარდება, როგორც ეს თურქულ-აზერბაიჯანული ენებისათვის არის დამახასიათებელი; მაგ.: ახლა გაუჩინდა ერთი ქალი; ვუამ, არ დავიკილებ; კარქა გაწვირთხულია; ერთი ფირიდონი იყო; ოქროს კალიცო მისცა (წმრ. აპარული კილდე, წიგინი, ტყიბილი. თიბილი და სხვ<sup>90</sup>)... ახლა ღვეღელმანა (<ღვეღელმა უნდა) უყარაულოს... ამ წუთში ისტამბოლში გამაჩინეთ! ერთი კაცი წანოვიდა ისტამბოლიდან; ისევ გაიყვანა ისტამბოლში; იშკოლაში წავიდა ბავშვები; ახლა მინდა ისპილოს ძვლიო (ჩაწერილი გვაქვს სოფ. ხოსპიოში, ინფორ. ი. ხუციშვილი).

12. მახვილი და ინტონაცია. ჭავახურზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე მახვილისა და ინტონაციის საკითხები შედარებით ვრცლად დახასიათებული აქვს გ. ბერიძეს<sup>91</sup>. აქ გვინდა ზოგი რამ ჩვენი შთაბეჭდილებიდანაც წარმოვადგინოთ.

ჩვენს დიალექტში მახვილი ორგვარია: დინამიკური და ტონურა. მახვილი ინტენსიურია და შედარებით ადვილად აღიქმება კითხვით, თხოვნით, გაკვირვებით და ძახილის წინადადებებში.

თხრობით წინადადებაში ორმარცვლიან სიტყვებს დინამიკურ მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე. ასევეა ძირითადად სამ-და მეტმარცვლიან სახელებში. მაგრამ აქ ზოგჯერ მახვილი შეიძლება მიიღოს ბოლოდან მესამე მარცვალმაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნას ზმნისწინი დაერთვის და მესამე მარცვალი მასზე მოდის; მაგ. შრეწლო, შრესწრო, შრეაღო... ასეთ პოზიციაში, ასიმინაციის დროს, ერთი მახვილის ქვეშ ორი იდენტური ხმოვნის შერწყმა ხდება: გეტანა, გეხარდა, დეკითხა, წეკიდა.

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში კითხვითი წინადადებისათვის, რომელშიც კითხვითი სიტყვა არ მონაწილეობს, დამახასიათებელია აღმავალი ინტონაცია და კითხვა გამოიხატება უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალზე აწეული ხმით<sup>92</sup>, ჭავახურში კი, მთიულურისა<sup>93</sup> და მთის სხვა კილოების მსგავსად, ამ შემთხვევაში გვაქვს

<sup>90</sup> შ. ნიქარაძე, ქართული ენის აპარული დიალექტი, ლექსია, გვ. 15.

<sup>91</sup> გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 246—248.

<sup>92</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965, გვ. 59—60; ს. ქლენტა, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები, ივ. V, 1953, გვ. 133.

<sup>93</sup> არნ. ჩიქობავა, გრძელი ხმოვნები მთიულურში, გვ. 341; მისივე, მთიულურის თავისებურებანი, ენმკის ნომბე, II, 1937, გვ. 44.

ტონურ-დინამიკური მახვილი, რომელიც უკანასკნელი სიტყვის (ზმნის) მეორე მარცვალს მოუდის და სათანადო ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის; მაგ.: ურმები ჩამოიტანეთ? წადით, ნახეთ, შეუქამნათ? ეგენი იფრო ძველი ხალხია, გაჩე? ამას თათლი აქამეთ? გოგო, არ იცი? სოფლელი ხარ? გოგამწელი ხარ? აქ ყველგან შეკითხვის საგანი შემასმენელია, მახვილი მასზე მოდის და ამავე დროს წინადადების ბოლოსაა. მან რომ წინადადებაში ადგილი იცვალოს, სულ ერთია, კითხვის ინტონაცია მას არ ასცდება: აქამეთ ამას თათლი? თათლი აქამეთ ამას? არ რყო აქ მონაგარიშე? ჩამოიტანეთ ურმები?

კითხვით წინადადებაში თუ კითხვითი სიტყვა გვაქვს, იგი ჩვეულებრივ წინადადების თავში დაისმის და ხმის ამალღებით წარმოითქმის; მაგ.: რა მოქცე გუდაში? ვინ მოიტანა პურები? ვინსია ეს ცხვარი? რამთენი უნა მისცე?

ტონურ-დინამიკური მახვილი გვაქვს აგრეთვე თხოვნით-ბრძანებითის ფორმებში, რომლებიც კავშირებითებით გადმოიცემა; მაგ.: გოგო, წყალი მოიტანო! მობრძანდე, პური მიერთვა!

მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე ეცემა მაშინაც, როცა გვაქვს მეშველი ზმნის ა ხმოვნით შედგენილი შემასმენელი; მაგ.: აღრე აშენებულრა, კაი წყალრა, ღამ-ღამობით გაყინულრა და სხვ.

ტონური მახვილი უნდა გვექონდეს თხრობითი წინადადების უკანასკნელი სიტყვის (ზმნა-შემასმენლის) ბოლო მარცვალზე მაშინ, როცა ამბის მოყოლისას მთქმელს სურს ხაზი გაუსვას ამა თუ იმ მოქმედების განმეორებას, ხანგრძლიობას<sup>94</sup> ან მოქმედების საბოლოო ხასიათს. ასეთ შემთხვევაში ბოლოკიდური ხმოვანი მეტად დაგრძელებულია; მაგ.: ნალი გასწინ გადაადლო, გასწინ, გადაადლო... ნახა, რო ერთი ქალი მოვიდა და დგან... მერმე შეიღმა თავი მიანება ცხენ და წავიდა, მოჰვიდა ხელი ამ ქალ, ცხენი (ცხენის) თარქზე შემოიგდო და წავიდა; ისინი თავეთ ქვეყანას გაისტუმრეს და თითონაც თავი ქვეყანაში წავიდნენ; გამოვიდა, ხმალი მოუქნია და თავი მოჰკვეთა; ნავხოთ, რო თავის ლალა მოვიდა; იქიდან გაიყვანეს ი ბიჭი და დაბრუნდნენ თითონ უკან.

ხმოვნის სიგრძე და ტონის ამალღება თავს იჩენს ცალკე სიტყვაშიც, როცა მისი მნიშვნელობის გაძლიერება სურთ; მაგ.: ზურაზე ჰკიღია ერთი დიდი ურმის ტოლა თივა; მოიტა ერთი დიდი შეშა; სევერიან, ბატები არ დაკარგო, გენაცვალე!

მახვილთან არის დაკავშირებული მთელი რიგი სხვა მოვლენები.

<sup>94</sup> გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 247.

წინა მარცვალზე ინტენსიური დინამიკური მახვილის გამოა, რომ ზოგჯერ ზმნას მთელი ბოლო მარცვალი ეკვეცება (იხ. აქვე). აქ საინტერესო ის არის, რომ მარცვლის მოკვეციის შემდეგ მახვილი გადაინაცვლებს და ისევ თავის ადგილას (ე. ი. ბოლოდან მეორე მარცვალზე) აღმოჩნდება; მაგ.: მობრუნდი! > მრბრუ! მოიცადე! > მორცა! მომიტანე! > მომრტა! და ა. შ.

უმახვილობისა და ხშირი ხმარების გამო უ ნ დ ა ზმნა ხშირად დამოუკიდებელ მნიშვნელობას კარგავს, ნაწილაკად იქცევა და ენკლიტიკად მიერთვის წინა სიტყვას, ზმნა იქნება ის, სახელი თუ სხვა რამ. (იხ. § 4); მაგ.: რანდა (<რა უნდა), რანა (<რა უნდა), ვისნა (<ვ-ს უნდა) და სხვ. ასეთ შემთხვევაში თუ სიტყვა ერთზე მეტმარცვლიანია, მახვილის გადაინაცვლება ხდება; მაგ.: გაჩუმდე! — გაჩუმდენა! (<გაჩუმდე უნდა!), გავალო — გავაღრნა (<გავალო უნდა).

ამ გზითაა მიღებული აგრეთვე რა ვი? (<რა ვიცი?), აქ მო! (<აქ მოდი!) და სხვა ამგვარი შეკვეცილი ფორმები.

ჩვენებით ნაცვალსახელებს და ზმნიზედებს როცა მნიშვნელობის გამაჩლიერებელი უმახვილო ა (<აი) ნაწილაკი დაერთვის, ასიმილაციის დისიმილაციის შემდეგ ნაცვალსახელიდან მახვილი მასზე გადაინაცვლებს და ვილებთ ასეთ ფორმებს: რეს (<ეეს<ა+ეს), რემ (<ემმ<ა+ემ), რექ (ექქ<ა+ექ), რეხლა (<ეეხლა<ა+ეხლა).

იმ შემთხვევაში, თუ მახვილი ნაცვალსახელის ფუძისეულ ხმოვანზე დარჩა, მაშინ უმარცვლო ი-ს დასუსტების შედეგად მივიღებთ აღმავალ დიფთონგებს: ეეს, ეეხლა და სხვ.

სიტყვის ბოლო მარცვლის მოკვეცვა. წინა მარცვალზე ინტენსიური მახვილის გამო ზმნას ზოგჯერ შეიძლება მოეკვეცოს მთელი მარცვალი. ამას ჩვეულებრივ ადგილი აქვს მიმართვის ფორმებში, კერძოდ, ბრძანებითი კილოს მეორე პირში, მაგრამ გვხვდება სხვა შემთხვევებიც; მაგ.: მომიტა! (<მომიტანე!), გაუჯა! (გაუჯაერდი!), მობრუ! (<მობრუნდი!), დაბრუ! მოიცა! (<მოიცადე!), ადე! (<ადექი!), დაიჭი! (<დაიჭირე!), დაუჭი! ხელები ჩაყე! (<ჩაყევი?), გაიქე! (<გაიქეცი!), მამე! (<მომეცი!), რავი? (<რა ვიცი?).

მახვილის წყალობით ზოგიერთი ზმნიდან პრევერბილა რჩება; მაგ.: აქ მო, ბიჭო! ჩამო, მომეშველ!

## თ ა ვ ი მ ე ო რ ა

### მორფოლოგიური ანალიზი

1. სახელები. სახელთა ბრუნება. სალიტერატურო ენასთან შედარებით ჭავახური რიგ თავისებურებას გვიჩვენებს სახელთა ბრუნების მხრივ. ეს თავისებურებანი საყურადღებოა როგორც ბრუნვათა საწარმოებლების, ისე ბრუნვათა ფუნქციების თვალსაზრისითაც.

სახელობითი ბრუნვის ნიშნის ხმარების მხრივ ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ერთნაირ სურათს არ გვიჩვენებენ. ძირითადად ეს სახელები ამ ბრუნვაში უნიშნოდ არის წარმოდგენილი, რიგ შემთხვევაში კი ი-ს დართავენ. სახელობითის -ი გვხვდება ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებთან, როგორიცაა: ძმაი, ბიძაი, პაპაი, დედაი, დაი. მამაი: საწყისებთან: ქამა-სმაი, ცემაი, სროლაი, წერა-კითხვაი, დაკარგვაი: ზედსართავებთან, ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებთან: პატარაი, წუათანაი, სხვაი, რაი, ვილაცაი, მარტოი. სშირად იხმარება ადამიანის საკუთარ სახელებთან: მაგ.: ჰყამდა ხუთი შვილი: პაველი, თედეი, აკოფაი, მათეი და გიგოი: ერთსა ერქვა ამირხანაი, მეორეს—ოსმანაი, მესამეს—ბადიკხანაი: ყარამანაი, ნინიკაი, გოგიაი, კეკელაი, კოლაი, ანიჰკაი, ზოპრაი, ნონეი, ბერანდეი, პეტრეი, კაკოი, ვასოი და სხვა შრ.

ზოვიერთი ფუძეთანხმოვნისანი სახელი სახელობითში ე ხმოვნითაა წარმოდგენილი. ა-ბოლოხმოვნისანი კი გაცელებულია ფუძეთანხმოვნისანი სახელად (მხარი—მხარე, ხიდი—ხიდე, მუქა—მუქი). ო-ზე დასრულებული ფუძეუკვეცელი სახელი მაღარო ბოლოში ა ხმოვანს გვიჩვენებს და იბრუნება როგორც ფუძეუკვეცელი სახელი (მაღარა, მაღარის); მაგალითები: ხელი დაჭრა მ ხ ა რ ე ზ ე; ხ ი დ ე ყოფილა ო რ ბ ი ვ ც მ ი; ხ ი დ ე ზ ე ვ ა მ ო ს უ ლ ა (შდრ. ავრეთვე შვიდე დღე და დამე იქორწილეს)... ანოილო ერთი მუქი ოქრო: ერთ მაღარაში შევიდა, იმ მაღარის პირზე წყარო იყო.

ფუძეთანხმოვანზე დასრულებული საკუთარი სახელები როსტომი, თინათინი სახ. ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის გარეშეც

გვხვდება; მაგ.: ველიჯანაშვილი როსტომ მისი აზხანაკით გამოიბარა; სახელათ ერქვა თინათინ; ადგება ეს თინათინ... .

ი ხმოვანზე დაბოლოებული საკუთარი სახელი გივი გასდევს ფუძეთანხმოვნიან სახელთა ბრუნებას (გივი-ი, გივი-მა, გივი-ს...): გივი მა აილო; გივი მა მოახსენა... გივის გაატანებენ; გივის ველარ გაუღვიძებია... .

ალბათ, ირაკლი-სა და ერეკლე-ს კონტამინაციით არის მიღებული სახელი ირაკლე: ბძანება გასცა ირაკლემ.

ძოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ჩვეულებრივ ორი (-მ, -მა) ვარიანტით არის წარმოდგენილი. სრული (-მან) სახით იშვიათად გვხვდება ფუძეთანხმოვნიან სახელებთან. დადასტურებული გვაქვს ძირითადად სოფ. გოგაშენში. მაგ.: ქალმან დაუძახა; ბიქმან უთხრა; მამამისმან მიაძახა; გლეხმან უთხრა; დედამისმან გადასწყევლა; მამამისმან გაიგო.

ძოთხრობითი ბრუნვის ჩვენებით ზოგან სახელი „კოლექტივი“ ფუძეთანხმოვნიანად არის გაგებული, ვითარებითი ბრუნვის მიხედვით კი „ბრუდე“ (<მრუდე) მიჩნეულია ფუძეთანხმოვნიანად; მაგ.: კოლექტივამ უკვე გადიხადა... ბრუდათ დგომას ნუ უყურამ!

ფუძე მ-ზე დასრულებულ სახელთა ძოთხრობითში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი მ-ს შერწყმა ხდება: მამაჩემა, ქათამა, ომა და სხვ. (იხ. ბგერათა შერწყმა).

ფუძეთანხმოვნიან სახელებში, განურჩევლად იმისა, თუ ისინი წიხლადლების რომელ წევრს წარმოადგენენ, ხშირად იკარგება მიცემითის ნიშანი -ს, ფუძე ს-ზე დაბოლოებულთან კი ორი ს-ს შერწყმა ხდება; მაგ.: ცხენ საძოვარი მისცა; თათრებ დაუძახა; ხურჯინ პირი მოხსნა; ბიქსული ამოხდება; პურ რათ შქამო? კახარ იყიღდა; ეფრემ უთხრეს; შინშილობა იყო იმ ზამთარ... ჩაეიდა ხერთვისი; მიადგა კარწახს; გადიტანე ოკამ... .

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები ასევე ხშირად გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, ქართლურში, კახურში, იხგილოურში და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ, მაგალითად, ინგლოურში ეს მოვლენა აზერბაიჯანული ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს, რადგანაც ანალოგიურ შემთხვევაში აზერბაიჯანულში გაუფორმებელი ბრალდებითი ბრუნვა იხმარება<sup>1</sup>. მოსაზრება გასაზიარებელი იქნებოდა, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის სათანადო შემ-

<sup>1</sup> В. Джангидзе, Ингилойский диалект в Азербайджане. Вопросы грамматической и лексической интерференции, Тбилиси, 1978, зб. 60.

თქვეები მხოლოდ ინგილოურისა და, საერთოდ, უცხო ენობრივი გარემოს გავლენის ქვეშ მოქცეული დიალექტებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ს ელემენტი ეკვეცება პრეპოზიციულად ხმარებულ ბოლოთანხმოვნიან და ფუძეკვეცად მსაზღვრელ სახელებს; მაგ.: პუ რ ი ჭამა, ს ა ხ ლ ი პატრონი, ი რ მ ი ბარტყი, გ ზ ი პირას და სხვ.

ნათესაობითში იკვეცება ზოგი ფუძეუკვეციელი სახელი, ზოგი ფუძეკვეცადი კი შეიძლება არ შეიკვეცოს; მაგ.: იესო ქ რ ი ს ტ ი ს ხ ტ ი იყო. . . შუ ა თ ა ნ ა ი ს ნაწილი მოართვეს; — ამა, რ ა ი ს ადამიანია?

ძველი ქართლისა და მთის კილოების მსგავსად, ჯავახურში აქაიქ გვხვდება მოქმედებითი ბრუნვა დაწყებით-გამოსვლითის ფუნქციით: ს ო ფ ლ ი თ ამოვიდა, ბ ა ზ რ ი თ დაბრუნდა და სხვ. ამგვარი ფუნქციითაა ნახმარი ა მ მ ა თ ი ამ წინადადებაში: ადგება ა მ მ ა თ ი და წავა სხვათა ქვეყანაში. იგი ა მ მ ა თ ი თ ფორმის შეკვეცილი სახე ჩანს (შდრ. ქვემოთ: ა მ მ ა თ ი თ ერთათ უვანშმიათ).

ჯავახურმა არ იცის -უ რ თ თანდებული და არც სალიტერატურო ენაში ამ მნიშვნელობით ხმარებული ვითარებითის ფორმა (ლოლ-შვილიანად). თანაობის ფუნქციით აქ გამოყენებულია ან მხოლოდ მოქმედებითი ბრუნვა, ან კიდევ (უფრო ხშირად) მოქმედებითი + ე რ თ ა დ ზმხიზნა; მაგ.: ადგა თავის ამხანაგებით; სანადიროთ მიდიოდა ა მ ხ ა ხ ა გ ე ბ ი თ. . . ორი თვე თ ა თ რ ე ბ ი თ ე რ თ ა თ ვიცხოვრეთ; ეს ბიჭი თავი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი თ ერთად წავიდნენ ქალაქში; წადით შვილით ე რ თ ა თ, ისიამოვნეთ! იქიდან გაქცეულიყო სხვა კ ა ც ი თ ე რ თ ა თ; საგზალი უჭამიათ ბოვშევებით ერთათ (შდრ. აგრეთვე: ამ ქალმა დაიწყო ა მ ი თ ე რ თ ა თ სიარული; წამოდი ჩ ვ ე ნ ი თ ე რ თ ა თ; ა მ ი თ ი თ ე რ თ ა თ უვანშმიათ).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -დ ელემენტი ჩვეულებრივ ფშვინვიერი თ-ს სახით გვხვდება; მაგ.: დაფარულათ, სახელათ, მინდვრათ, საომრათ, სუფთათ, ჩვენათ და სხვ.

-იან სუფიქსის მქონე ზოგი სახელის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ოდენ ხმოვნით არის წარმოდგენილი. მოსალოდნელი -დ ან მისი დაყრუებული -თ ვარიანტი არ დასტურდება, თუმცა ამას არა აქვს ისეთი სისტემატური ხასიათი, როგორც ეს ზემოიშვრულშია; მაგ.: ამოიგვა მისი გვარეულობა ძ ი რ ი ა ნ ა; ძ ი რ ი ა ნ -ფ ე ს ვ ი ა ნ ა ამოაგლო;

2 ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშვრული კილოკავ.; გვ. 47.



ყველა წამოდგა მასწავლებლიანა, მოწათფიანა; მოვსულვარ  
თქვენ დასაქერათ ჩემჭარებთანა.

ასეთი სახელი ზოგჯერ მხოლოდ ფუძის სახით არის გამოყენებულ-  
ლი: ერთიან ტყავი ამძვრა; თელიან ჩამომიყვანეთ! (მდრ. აგ-  
რეთვე: სანიდაგვარ ფეხები გაშალეთ!).

სავრცობი ა. ფართო გამოყენება აქვს დიალექტში სავრცობ  
ა-ს. იგი გვხვდება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან. ყვე-  
ლაზე ხშირად იხმარება მიცემით ბრუნვასთან. სავრცობიანი სახელი უმ-  
რავლეს შემთხვევაში წინადადების ბოლოსა ან წინადადების იმ ნა-  
წილს წარმოადგენს, რომლის შემდეგ პაუზა არის მოსალოდნელი<sup>3</sup>;  
მაგ.: დაუძახა თავი დედამთილსა; აიკიდამს ამპურსა; ვინ გა-  
ისვრის ამქვასა; ეომება ამტახსა, აილებს ხურჯინსა; უთხრა  
მამამთილსა; მოსცილდება ხალხი როსტომსა; ბეჟანმა უთხრა  
გივსა... შეპკრებენ ამკაცსა და ჩამოიყვანებენ (მდრ. ქალაქსა  
არაფერ არ ვერჩიო; როსტომსა სამი ცხენი ყამდა).

ა ხმოვანი ხშირად გამოვლინდება ხოლმე კავშირებთან, ზმნიზე-  
ლებთან, ნაცვალსახელებთან და ზოგერთ თანდებულთან; მაგ. შიეს-  
წარით ისეთ დროსა, რომა... ეტყვის, რომა... იმიტომ ჰქვიან,  
რომა... უქნიდანა მკედლები არიან, ოლონდა ამომიყვანეთ;  
იმათიც ბევრი დაიხოცა და ჩვენიცა; გამოუდგა ამასა... თათარი  
აგვესია ამხერთვისშია; იგდეს ხელშია, აღიდებულწყალ-  
შია დასხე.

მრავლობითი რიცხვი. მრავლობითის ძირითადი მაწარმოებელია -ებ.  
მის ხმარებასთან დაკავშირებით რამდენიმე თავისებურება იქცევს ყუ-  
რადლებას:

ე-ბოლოკიდურიან სახელებზე -ებ სუფიქსის დართვის დროს შე-  
იძლება მოხდეს ხმოვანთა შერწყმა (ხენწიფები, მოსამართლები), მაგ-  
რამ კილოსათვის მთავარი და ძირითადი ამ შემთხვევაში ის არის, რომ  
ორი იდენტური ხმოვნის (ე + ე) მეზობლობაში ხდება რეგრესული დი-  
სიმილაცია და ვიღებთ ისეთ ფორმებს, როგორიცაა ტყეები, კლდეები,  
ხიები, დღიები, თვიები, საქმიები, რამიები, ბერიძიები და სხვა მრ.

უფრო რთული პროცესი იჩენს თავს, როცა -ებ სუფიქსი დაერთ-  
ვის ფუძე ა-ზე დასრულებულ სახელებს. ამ შემთხვევაში, როგორც  
წყისი, ბოლოკიდური ა არ იკვეცება და -ებ სუფიქსის ე-სთან შეხვედრის  
გამო ერთდროულად წარმოიშვება სრული რეგრესული ასიმილაცია და

<sup>3</sup> თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქარ-  
თულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, 1972, გვ. 52.

ნაწილობრივი რეგრესული დისიმილაცია. ჯავახურში სწორედ ამ გზით მიღებული ფორმებია გაბატონებული; მაგ.: ძმიები (<ძმეები, ძმაები), დიები, მთიები, გზიები და სხვ. (იხ. ხმოვანთა დისიმილაცია).

მრავლობითის -ებ სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია -ევ, რომელიც შეგვხვდა სოფ. ხოსპიოს მცხოვრებთა მეტყველებაში; მაგ.: ჩვენს-კენ ყოფილან ლეკევი; ჩვენ თურქევი უთხარით; კარევი ყარაული დაუყენეს. სოფ. თოკში ესტატე ეფრემის ძე ზაზაძესთან საუბრისას ჩანიშნული გვაქვს არა მარტო მრავლობითის, არამედ სხვა დანიშნულების -ევ და -ოვ სუფიქსები, რომლებიც ასევე -ებ და -ობის სახეცვლილებას წარმოადგენენ; მაგ.: თათრევი არ ემსახურებოდნებ; თათრევი გაიქცენ; განათლებაში ჩავარდით; კრევა მოიწვიეს; ხელისუფლევა დაგვეხმარა; გახარევა მოგვეცა; მონაწილეოვა მოითხვიეს; დღეგრძელება შენ; მადლოვა ღმერთს. გაირკვა, რომ ეს მცხოვრები თოკში სხვა სოფლიდან ყოფილა გადმოსული, სახელდობრ რომელი სოფლიდან, — ამის ცნობა არ აღმოგვაჩნდა.

სოფ. მურჯახეთში (მთქმელი არტემ წინწილაძე) ანალოგიური ფაქტები, სახელთა გარდა, დავადასტურეთ აგრეთვე ზმნათა ფუძეების საწარმოებელ სუფიქსებში; მაგ.: დაღონეველი, დაბერეველი, გაგიყეველხარ? (ამ შემთხვევებში ვარ იკარგება!), დაშორევით, გაუყეთევი, ვაძინევედი, ეკითხევა, დამჭირდება, ადგევა, ეყოლევა, შეატყოვინეს და სხვ.

სოფ. ბალანთაში, სადაც ჩვენ დაკვირვება არ გვიწარმოებია, -ევ შემორჩენილი ყოფილა ადგილის სახელწოდებებშიც: მუხევის თავი, პანტევი ძირი და სხვ<sup>4</sup>.

-ევ სუფიქსთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ა. შანიძის მოსაზრება, რომელიც მან ამ ორმოცი წლის წინათ გამოთქვა. მან ყურადღება მიაქცია -ევ სუფიქსს ისეთ სახელებში, როგორცაა: ვაშლევ-ი, ძეგლევ-ი, ბოსლევ-ი, (მ) ღვიმევ-ი, ველევ-ი, ველტყევ-ი (<ველ-ტყევ-ი), ვაკევ-ი (<ვაკევ-ი), ქვეევ-ი, იფნევ-ი, ტბევ-ი და -ებ, -ნ, -თა, -ეთ სუფიქსებთან შეპირისპირებით იგი მრავლობითის მაწარმოებლად მიიჩნია. ამასთან დაკავშირებით წამოაყენა დებულება, რომ არსებობდა ისეთი კილო, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო არაგვიდან რიონის შუა წელამდე და ძველისძველად საში ენის (ქართულის, ზანურისა და სვანურის) გავლენის ფარგლებში

<sup>4</sup> გ. ბერძე, დასახ. ნაშრ., გვ. 243.

უხდა ყოფილიყო მოქცეული. ამ კილოზე მოუბარათ ავტორი პირობით მარგველებს უწოდებს, ხოლო თვით კილოს—მარგულს<sup>5</sup>.

ნარ-თანინი მრავლობითის გამოყენების სფერო ჯავახურში ერთობ შეზღუდულია. მაგალითად, თა სუფიქსი ჩვეულებრივ გვხვდება -ვე ნაწიკალის მქონე ნარევი ტიპის რიცხვით სახელებში: ო რ თ ა ვ ე წავიდნენ; უთხრა ს ა მ თ ა ვ ე დას; ს ა მ თ ა ვ ე ს დაეძინათ; შ ვ ი დ-თ ა ვ ე ძმას და სხვ. დასტურდება ორმაგი წარმოების შემთხვევებიც: ო რ თ ა ვ ე ნ ი ერთია; ო რ თ ა ვ ე ნ ი საათები მქონდა; ე ქ ვ ს თ ა ვ ე-ნი სუ მაგ ფორმაზეა; ამათ თ ო რ მ ე ტ თ ა ვ ე ბ ს თავებს დააყრევინებს...

თანინი მრავლობითის ფორმა ტ ა ნ თ (ზოგს ტ ა ნ თ წავგვართვეს) დაირთავს სახელობითის ნიშანს, მივიღებთ საზოგადო სახელს ტ ა ნ თ ი, როგელიც ფართოდ არის გავრცელებული ტანსაცმლის მნიშვნელობით; მაგ.: ბიჭმა გაიხადა ტ ა ნ თ ი; ტ ა ნ თ ი დახეცია; წადი, ტ ა ნ თ ი ი ყ ი დე! ტ ა ნ თ ი ჩააცვა; ახალი ტ ა ნ თ ი შეუკერა და სხვ. (იხ. ლექსიკონი).

მრავლობითში გვხვდება ზოგი ისეთი სახელი, რომელიც სალიტ. ენაში ჩვეულებრივ მხოლოობითში იხმარება, ზოგი სახელის მხოლოობითის ფორმა კი მრავლობითის ფუნქციით არის ნახმარი; მაგ.: დაიბანეს პ ი რ ე ბ ი და წავიდნენ... ამ დროს ყ ა ზ ა ხ ი (=ყაზახთა ჯარი) იღვავიქა.

როგორც ცნობილია, -ობა აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელების საწარმოებელი სუფიქსია. მაგრამ მისგან ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობაც მოიპოვოს, ამის სათანადო მაგალითებს გვაწვდის ჯავახური, სადაც ფართოდ არის გავრცელებული ამ სუფიქსის გამოყენება კრებითობისა და სიმრავლის გამო-სახატავად; მაგ.: უ რ მ ო ბ ა ერთმანეთ უნდა მიაყოლოთ, თორმე ბ ო ვ-შ ო ბ ა მთლათ გაგვიფუქვამს; უ რ მ ო ბ ა დამართეთ, რო ყველა მზა იყოს! დეე... გოხებზე ჯ ო რ ო ბ ა გამოჩნდა! ქ ა ლ ო ბ ა მ აფოცხოს, კ ა ც ო ბ ა მ თიბოს! გ ო გ ო ო ბ ა რათ გამოგიჩქოთ? სად არი დე-დაშენი? — ღ ო რ ო ბ ა შ ი; რ ა ც ჩ ი ტ ო ბ ა მოვა, გარშემო დეედება; სხვა ხ ა რ ო ბ ა შეგვიბეს; დაბალი ჭ ე რ ო ბ ა გადახმება რა სხვ. მრ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, -ობა სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს კონკრეტული მნიშვნელობა მოეპოვებათ, კრებითობას, მრავ-

<sup>5</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ეს კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, 1941.

ლობითობას გამოხატავენ. -ომა სუფიქსი ამ შემთხვევაში ფუნქციურად გვერდით უდგას მრავლობითის აღმნიშვნელ -ებ მაწარმოებელს. ამის მიხედვითაც სწორი ჩანს ის მოსაზრება, რომ -ომა სუფიქსს დღეს სახელთან უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან: „როცა ვამბობთ: ამა და ამ პირთ კარგი ამხანაგობა აქეთო, ამით უფრო ის გვინდა ვთქვათ, რომ ისინი კარგი ამხანაგები არიან (და არა: ისინი კარგად ამხანაგობენ)“<sup>7</sup>.

ნაცვალსახელები. აქა-იქ პირველი პირის ნაცვალსახელი მენ სახით წარმოგვიდგება, შენ, ჩვენ და ჩემ ნაცვალსახელებში კი, პირიქით, ზოგჯერ ბოლოკიდური ნ და მ თანხმოვნები იკარგება; მაგ.: მ ე ნ და ერთი კაცი გაგვზავნეს... შე გაგიჩლება მესამე ვაჟიო; შე რა ჩე-შითი სული გიდის! თქვე უნდა მიშოთ ი ბეჭედი! მე ჯოხი დავიკრე-ყი, რო ჩე რეველმა გაიგოს; ჩე ბიჭებს, ორთავეს, ქალები ყამთ ჩე ვაშკაცობის დროს. ეს მაგალითები იმდენად თავისებურია, რომ არ შეიძლება არ დავიმოწმოდ სხვა დიალექტებიც, სადაც ანალოგიური ფაქტები გვხვდება: ვინ გამოგზავნა შე აქანეო? (გურული, ქრესტ. 346, 40); შე რო კტეზე გარამაგდე (ოკრიბული, 185); შე რასი გე-შინიო? (მთარაქული, 93); თქვე ვინ აგირჩიათ? (იქვე) შე ს თავს, თქვე ს ცოდვაში, ჩეე კაცსა და სხვ<sup>8</sup>.

სოფ. ხიზაბაგრაში ჩაწერილი გვაქვს რამდენიმე მაგალითი თქვე-ნის მაგერ ქთენი ნაცვალსახელის ხმარებისა, რომელიც მიღებულია თ და ქ თანხმოვნების მეტათვისით და ვინის დაკარგვით; მაგ.: ვიცი, ქთენ რაც გინდათ; ქთენი ჭირი წაიღო.

უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისი იხმარება თვისი სახითაც (შდრ. ძვ. ქართ. თუსი); მაგ.: შეიყვანა თვისი ცხენი; შეადგინა თვისი ჯარი. ამ მნიშვნელობით მისი ნაცვალსახელიც იხმარება; მაგ.: ეს ვირა მიაბრუნა მის (=თავის) კარებზე; ვინც ჩვენში უღალატოს, მისი ხელით მოკვდესო!

თავისი ნაცვალსახელის მაგვირად მისის ხმარება, როგორც ცნობილია, დასავლური კილოების ნიშანდობრივი თვისებაა<sup>9</sup>, რომელიც თავის მხრივ ზანურ ნორმად ითვლება<sup>10</sup>.

<sup>7</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 130.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> შ. ძიძიგური, რაქული დიალექტი, ქართული დიალექტოლოგიური ძიგბანი, 1970, გვ. 233—234.

<sup>10</sup> არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ფეხისცაოსანში“ გვ. 215.

<sup>11</sup> ქართული თვისი/თავისი-ს შესატყვისი უკუქცევითი ნაცვალსახელო

ზანური ტიპის მიხედვითაა აგებული დასავლურ კილოებსა და ჯავანურში მამამისი, დედამისი და სხვა, რომლებიც ერთ სიტყვად აღიქმება და რომელთაც აღმოსავლურ კილოებში თავისი მამა, თავისი დედა და სხვა შეესატყვისება.

უქუქცევით-კუთენილებითის მნიშვნელობით მრავლობით რიცხვში მათი-ს გვერდით იხმარება თავეთი; მაგ.: თავეთი ჯარით წავიდნენ; წაასხეს თავეთი ხარ-კამეჩი; წავიდნენ თავეთ გზაზე; მივიდნენ თავეთ სახემწიფონი. პარალელურად გვხვდება სხვა ვარიანტებიც: თავენთ, თავენ, თავანთ; მაგ.: აძვიებდნენ თავენთ ცხვარ-ძროხას; თავენთი სამადლო ჰქონდათ; თავენთ ბინაზე... წავიდნენ თავენ ოჯახობაში... შეუნახიათ თავანთ გვარები.

ჯავანურში, ფერეიდნულისა<sup>11</sup> და კახურის<sup>12</sup> მსგავსად, იმათი-ს მაგიერ იმითი იხმარება; მაგ.: იმითი ბელი იყო; ის არის იმითი არჩეული; იმითი ანდერძი არ გატება (შდრ. იმითი გაამგზავრა). ეს ფორმები მიღებული ჩანს იმის (მხ. რ.) და იმათი (მრ. რ.) კონტამინაციის ნიადაგზე. ასევე, მისი და მათი ნაცვალსახელების ანალოგითაა მითი; მაგ.: წამოვიდა მამამითი; მამამითი დარჩა ორმოზე (შდრ. მამამისი, მამამათი).

გვხვდება ეგ ჩვენებითი ნაცვალსახელის ეგა ვარიანტი: წაიღე ეგა! ეგა ჩემი შული არისო. ეს ა გამოვლინდება ხოლმე სხვა ნაცვალსახელთანაც -ც ნაწილაკის დართვისას: ისაც რა დღეები ყოფილა! მოიყვანეს ისაც.

დადასტურებული გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა ძველი ფორმები, სოფ. ვარგაში ეგმ, ხოლო ქილდაში -ისი; მაგ.: ეგე რო წავიდეს, მე? მაგას არ ნიშნავს ეგე. ისი გაქცეული კაცი მჯობია, თუმე ვჯობივარო? არა გვგონია, რომ ეგე და ისი პროგრესული ასიმილაციის გზით იყოს მიღებული: ეგა > ეგმ, ისა > ისი<sup>13</sup>.

ეს ჩვენებითი ნაცვალსახელის მონაცვლე ამ ფუძის მაგიერ ძალიან

---

ზანურმა და სვანურმა არ იცის. ორივეგან შესაძებ პირის ნაცვალსახელის ნათესაობით. ბრუნვის დორმა გამოყენებული: ზანურში—მ უ შ ი, ს ვ ა ნ უ რ შ ი—მიჩა.

<sup>11</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავიდანტურებანი, გვ. 214.

<sup>12</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

<sup>13</sup> შდრ. ლ. ლევაკა, ზემოაქრულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მტკვეელების მიხედვით, ივე, IX—X, 1958, გვ. 183.

ზშირად ემ იხმარება, რომელიც უმთავრესად აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს (ქართლურს, კახურს, ხევსურულს, მოხეურს, ფშაურს, ფერეიდნულს, განსაკუთრებით კი ინგილოურს), მაგრამ იწვიათად გვხვდება დასავლურ კილოებშიც; მაგ.: ე მ ა და ე მ გზით წახვალ! : ე მ ჯომმა შემინახაო; ე მ ვაესა ძინამს; ე მ საათში ვახშამი! ე მ ა ს ა ვყიდო; ე მ ი ს პატრონი მამგვარეო! ე მ ნ ა ი რ ი და ე მ ნ ა ი რ ი ქალი ხო არ გინახამთო? ე მ ა თ დაიძინეს...

იწვიათად მსაზღვრელად იხმარება იგი ნაცვალსახელიც, რომელიც ირიბ ბრუნვებში ფუძეს არ იცვლის; მაგ.: ი გ ი ძ ა ლ ლ ი იყო ჩემი ერთგული; მოიყვანეს ცხენები წყლი სასმელად. ი გ ი ც ხ ე ნ მ ა წყალი არ სვაო.

საკუთარ სახელებს, როგორც ცნობილია, მსაზღვრელად ჩვეულებრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები არ დაერთვის, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში, ამბის მოყოლისას, მთხრობელი დროდადრო ამას მიმართავს ხოლმე მსმენელისათვის გასახსენებლად, რომ საუბარია ისევ იმ პერსონაჟზე, რომელიც ადრე იყო ნახსენები; მაგ.: ამ მანიყას ბეჟანი ეყვარება... კაცი ჰყავს ამ მანიყას... გული წაუა ამ ბეჟანს... ამ ბეჟანმა სიზმარი ნახა და ა. შ.

ეს, ესენი, ემ, მაგ, ემაგ, იმ ჩვენებით ნაცვალსახელებს თავში დაერთვის რა მნაშენელობის გამაძლიერებელი აი ჩვენებითი ნაწილაკი, ამ უკანასკნელის ბოლოკიდური ი მომდევნო ხმოვანთან შეხვედრის გამო იკვეცება და ა უშუალოდ შეერწყმის ამ ნაცვალსახელებს; მაგ.: ა ე ს ქლიბი შენ გქონდეს; ა ე ს ე ნ ი დაბრუნდენ; ა ე მ სირს უკან, ისინი ა ე მ სისხოებია, ა ე მ ნ ა ი რ ი ბიჭი ეყოლა; ე მ ა გ დღეში ვიყავით; ა ე მ ა გ კარებ გააღებო, ა ი მ კლდესთან.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამგვარი ფორმები შემდგომ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის ასიმილაციისა და დისიმილაციის სახით: აეს > ეეს > იეს, აემ > ეემ > იემ და ა. შ.

მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები ეს, ის და იმ გაბმულ მეტყველებაში ხშირად ოდენ ხმოვნით გვევლინება; მაგ.: რავორ მოვიშორათ ე ტახიო? ჩამოა ე კაცი... ი გოგო არ მიეცა... შოკლა ი ბიჭის მამა...

ყველა განსაზღვრებითი ნაცვალსახელი სოფ. ვარგავის მცხოვრებთა მეტყველებაში შეგვხვდა ყველგე-ს სახით: მაგ.: ყ ვ ე ლ ე ციცმარე დღეს მოდიოდა; ყ ვ ე ლ ე გაკვირვებული დარჩა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გაგვახსენდება ზემოიშერული და აჭარული შენე, ჩვენე, თქვენე ფორმები, რომლებიც ბოლოკიდური ხმოვნის მხრივ უტოლდებიან ტ ო მ ა რ ე, ბ ა ლ ა ნ ე და სხვა ამგვარი ტიპის საზოგადო სახე-

ლებს. ორივე შემთხვევაში ივარაუდება ასეთი პროცესი: შენაი> შენეი< შენეა< შენეა<sup>14</sup>. ყ ვ ე ლ ე-ც ამგვარადვე იქნებოდა მიღებული (ყველე<ყველეა<ყველეი<ყველაი), მაგრამ საქმე ის არის, რომ ჯავახურში ნაცვალსახელები, საერთოდ, ი-ს არ დაირთავენ და, რაც მთავარია, სახელობითის ი არასოდეს არ გადადის ა-ში. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ყ ვ ე ლ ე-ს ბოლოკიდური ე მიღებული იყოს ფუძისეულ ე-სთან ა-ს პროგრესული ასიმილაციის გზით.

სოფ. ვარგავისა და ხიზაბავრის მცხოვრებთა მეტყველებაში განუ-საზღვრელობითი ნაცვალსახელები ვიღაც(ა), რაღაც(ა) დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი ფორმით გვხვდება. საწარმოებელი და + ც(ა) ნაწილაკი შებრუნებული ცა + ლა რიგით გვევლინება; მაგ.: რ ა ც ა ლ ა საქმეა მოხდენილი; რ ა ც ა ლ ა ორგული კაცია (შდრ. რ ა ც ა : ხანია ვათვალეებ)... ვ ი ნ ც ლ ა ეთამაშება; ვ ი ნ ც ლ ა წითლიძე მო-ვიდა. ყ რ უ ფ შ ვ ი ნ ვ ი ე რ ც-ს მეზობლად პროგრესული ასიმილაციის ძა-ლით მეღერი ღ ხ-ღ იქცევა და აქვე გვაქვს რაცხა, ვინცხა; მაგ.: რ ა ც ხ ა არ მოგწონს; ერთი რ ა ც ხ ა დოლაბი იყო... ვ ი ნ ც ხ ა თქვე-ნი სოფელია.

სოფ. მურჯახეთსა და ქილდაში, პირიქით, დაცულია ნაწილაკთა ლაცა თანაბმიმდევრობა, ოღონდ ვინ ნაცვალსახელის ნ-ლა ნაწილაკის შემდეგაა გადასმული; მაგ.: ხელიდან არ გვექცეს ეს ვ ი ლ ა ნ ც ა ა; ვ ი ლ ა ნ ც კაცი იყო; ვ ი ლ ა ნ ც კაჩალი გამოვიდა; ვ ი ლ ა ნ ც მოსუ-ლა; ვ ი ლ ა ნ ც დარჩა; ვ ი ლ ა ნ ა ც მოვიდა...

სოფ. საროში ჩაწერილ მასალებში აღმოჩნდა ერთადერთი მაგა-ლითი. რომელშიც კითხვითი ნაცვალსახელი ვინ -ც ნაწილაკის გარეშე ნახმარია მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით: ვ ი ნ თათრობას მიიღებდა, ანთავისუფლებდნენ.

ურთიერთობითი ნაცვალსახელი ერთმანეთი, რომელიც წარმომ-დგარია ერთი რიცხვითი სახელის ფუძის გარკვევებით მოთხ. ბრ-ში, განსაზღვრებად ხშირად ამავე სახელს დაირთავს, ალბათ, მნიშვნელობის გასაძლიერებლად; მაგ.: შეუყვარდათ ე რ თ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ი; ე რ თ ი

<sup>14</sup> Ш. Дзидзигური, К характеристике нижнеимерского говора грузинского языка: Памяти академика Н. Я. Марра (1864—1934), Москва-Ленинград, 1938, გვ. 125; ო. კ ა ხ ა ძ ე, ა-ზე დაბოლოებული ზოგერთი სახელს ბრუნებისათვის ქვემოიერულში, იყე, V, 1953, გვ. 185—186; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იყე, VI, 1954, გვ. 449; მ. ა ლ ა ე ძ ე, ლეჩხუმურის თავისებურებანი, ქუთაისის პედაგოგ. ინსტ. შრომები, II, გვ. 232; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიერული კლოაკაი, თბილისი, 1973, გვ. 54.

ერთმანეთი ნახეს, ერთი ერთმანეთის სიყვარული გვექნებაო.

მაჟან-ი ან ესა და ეს ნაცვალსახელების მაგივრად სისტემატურად იხმარება ამაჟალ-ი და მისი ორი ვარიანტი — ამომავალი, ამამავალი<sup>15</sup>; მაგ.: ამავეალ დროს, ამავეალ დღესა ავექ ვიყვეთ; ამომავალ ქვეყანაში ქმარი მყამდაო... ამამავალ ბებერსაც ჩემთან მამიყვანო!

2. თანდებულები. -ზე თანდებულის პარალელურად გვხვდება აგრეთვე მისი აღრინდელი სახე -ზედა. ზოგჯერ გაუმარტივებელია -შიდა თანდებულიც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭავჭავაძეში ერთობ გავრცელებულია ე. წ. ემფატიკური ხმოვნის ხმარება, მაშინ, შესაძლოა, ორივე შემთხვევაში ბოლოკიდური -ა ახლად იყოს გაჩენილი. ამაზე მიუთითებს ქვემოთ დამოწმებული მაგალითებიც, რომლებშიც თანდებულისანი სახელები ფრაზის, წინადადების ბოლოს არის ნახმარი; მაგ.: დაავლო ხელი ხანჯალზედა; მოვიდა დილაზედა; არ გავიდა საქმეზედა; დაუდეთ ურემზედა... მისცემს მუცელში და...

მოსალოდნელი -ში და -გან თანდებულის ფუნქციით იხმარება -ზე თანდებულიც; მაგ.: ამოვიდა რაბათის ციხეზე; მოვიდა ერთ დუქანზე... ამკარზე არავინ გავიდესო!

ფუძეთანხმობაზე დაბოლოებულ სახელებზე -თან თანდებულის დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს ზოგჯერ შენარჩუნებულია, ხმოვანფუძიანებთან კი ს-ს მეზობლად დაკარგულია ამ თანდებულის თავიკიდური თ თანხმობანი. გვხვდება -თან თანდებულის ბოლოკიდური ნ-ს დაკარგვის შემთხვევებიც; მაგ.: სოფელსთან რო მოახლოვდნენ; მოვიდა ყმაწვილსთან; წადი პატრონსთან... თვეზი გეფარა კლდესანო... დარჩება იმკაცთა ცოლათ; ამაღამ გავკათიებიანთ შენთაო! მოვიდნენ ფათმათა; ჰუსეინთა და ფათმათა ახლო.

სხვადასხვა შემთხვევაში თავიკიდური და ბოლოკიდური თანხმობები შეიძლება დაეკარგოს -ვით თანდებულსაც; მაგ.: ჯორით მუშაობდა... დევივიკაცი დადგომია.

იშვიათად იკარგება -კენ თანდებულის ბოლოკიდური ნ: წაიყვანებენ აწყურისკე.

სოფელ გოგაშენში ჩაწერილ ტექსტში შეგვხვდა ასეთი მაგალითი: შენთკენ ხო არ წამოვიდა? შენთკენ-ში თით-ის ნარჩენი უნდა იყოს (შდრ. ზევითკენ, იქითკენ).

<sup>15</sup> შდრ. ვ. ბერიძე, ქართული ენის ჭავჭავაძური კილო, მცნე. 4, 1972, გვ. 144.



-ებრ თანდებული მხოლოდ რ თანხმობის მოკვეციტ იხმარება. ზ-ს დაყრუების შედეგად გვხვდება მისი მეორე ვარიანტიც -ფუ (<ებ). ეს თანდებული, რომელიც სალიტერატურო ენაში სახელს ჩვეულებრივ ნათესაობითში მართავს, ჯავახურში ყოველთვის მიცემით ბრუნვასთან იხმარება. ზოგჯერ უშუალოდ დაერთვის ფუძესაც; მაგ.: დამძასაებ, ქვასაებ, ჩემსებ... ოქროსეფ, ხესაეფ. მიცემითის გავრცობილ ფორმაზე დართვისას სავრცობი ა ასიმილაციას განიცდის მომდევნო ე-სთან; მაგ.: მთასეებ, ბრმასეებ, რკინასეებ...

ზოგან დაცულია მოქმედებითი ბრუნვა დაწყებითის ფუნქციით: მაგ.: სოფლით დაღონებული ამოვიდნენ: დიდი თ პატარამდი იქ იყო; თ ა ვ ი თ ფეხებამდი ტანთი გამიწყეო! მაგრამ ამ დანიშნულებით ჩვეულებრივ ან -გან თანდებულიანი მოქმედებითი იხმარება ფონეტიკური ცვლილების გარეშე (ით-გან), ან კიდევ მისი გარდამავალი ფორმა, რომლის მიხედვითაც მოქმედებითი ბრუნვის თ გამჟღერებულ დ-ს სახითაა მომდევნო გ-ს გავლენით; მაგ.:

ით-გან: სოფლითგან, ხითგან, საფლავითგან, ცხენითგან, ჯიბითგან, ყველითგან, ქვევითგან და სხვ.

იღ-გან: ქვაბიღგან, მხრიღგან, წელიღგან, ბალიღგან, იქიღგან... უფრო ხშირია, რა თქმა უნდა, ამ თანდებულიანი ბრუნვის უკანასკნელი გამარტივებული სახე (ით-გან > იღ-გან > იღან): სახლიღან, მინდვრიღან, ყანიღან, წყაროღან, მთიღან და ა. შ.

არა ერთი და ორი შემთხვევაა, როცა სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მოსალოდნელია -გან-თანდებულიანი ნათესაობითი, ნამდვილად კი გვაქვს -გან-თანდებულიანი მოქმედებითი; მაგ.: ზ ი ქ ი თ-გ ა ნ რ ა ა მ ბ ა ვ ი ი ს მ ი ს ? გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა ა რ ი ხ ე მ წ ი ფ ი თ გ ა ნ ; კ რ ე ფ ე ნ თ ა თ რ ე ბ ი თ გ ა ნ : ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი თ გ ა ნ ა რ მ ე შ ი ნ ი ა ნ ; ა მ კ ა ც ი დ ა ნ ა რ მ ე ვ ე ლ ო დ ი ; ი ქ ა უ რ ი ქ ა ლ ი დ ა ნ გ ა მ ო ი პ ა რ ნ ე ნ ; დ ე დ მ ა მ ი დ ა ნ ა მ ბ ა ვ ი მ ო ი ტ ა ნ ე ! გ ა მ ი გ ო ნ ი ა უ ფ რ ო ს ე ბ ი დ ა ნ და სხვ.

იშვიათია საპირისპირო შემთხვევა, როცა -გან-თანდებულიანი მოქმედებითის ნაცვლად თავს იჩენს -გან-თანდებულიანი ნათესაობითი: ეს კაცი გამოვიყვანეთ ს ა ხ ლ ი ს გ ა ნ .

ჯავახურისთვისაც დამახასიათებელია -მღე თანდებულის -მღისინ ვარიანტის ხმარება. როცა იგი დაერთვის ვიდრე ზმნიზედას, ზოგჯერ იკარგება მასში გაქვევებული სახით შემონახული ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ; მაგ.: იარეს საღამომღისინ; დილიდან საღამომღისინ თევზი ვერ დაიჭირეს; სანამღისინ ცხენმა გაძლო; აქნამღისინ ასე იყო... ვირემღისინ დაარსდებოდა...

ზმნიზედები მერე, შემდეგ, ქვეშ, უკან, წინ, იქით, გარეთ და

სხვ., რომლებიც სალიტერატურო ენაში მიცემითსა და ნათესაობითს დაერთვიან, ჯავახურში მხოლოდ მიცემით ბრუნვასთან იხმარებიან. ხშირად ბრუნვის ნიშანიც იკარგება და ზოგი ზმნიზედა სახელთან შერწყმული სახით გვევლინება; მაგ.: ერთ კვირას მერე, მას: მერე მოვიდა; იმას მერე დაიწყეს ცხოვრება; ორ-სამ დღეს შემდეგ რას მიზამს? პატარა ხანს შემდეგ მოვა; მაგას იქით არ ვაცი; ციხეს ქვეშ არისო; თავის სახლს უკან გადაავლო... სახლებზე უა მოკლეს; რაშიდაანთ კარებწინ; ჩამოჯდა ხენწიფის კარწინას; ერთ კლდე ქვეშ მოფარებულა; გავიდა სოფელ გარეთ; მტკვარ გალმიდან ისინი იდგნენ (შდრ. გავალ წყლით გაღმა); შუალამ მერე, რამთენიმი; წელიწათ მერე...

3. ზმნიზედები. აქ ძირეული ადგილის ზმნიზედის პარალელურად ექ ვარიანტიც იხმარება, რომელსაც ხშირად სავრცობი -ა დაერთვის. -ა-ს მიიღებს აგრეთვე იქ ზმნიზედა; მაგ.: რაღას ვზივარ ექა? ექა მაქ დაფარულათ; ექაო იყავითო (შდრ. ექ მიეხმარე! ექ ვიცხოვროთ!)... ყავდა იქა; არ მიდის იქა...

აქ და ექ შინაარსობრივად ერთი და იგივეა. ორივე პირველ (მოლაპარაკე) პირთან სიახლოვეს აღნიშნავს. თავიკიდური ხმოვნების მხრივ მიმართება ისეთივეა, როგორც არის აგრე—ეგრე, ახლა—ეხლა ზმნიზედებს შორის. ზოგ დასავლურ დიალექტში კი, მაგალითად, ზემოიმერულში, ექა||ექ უპირისპირდება როგორც აქა-ს, ისე იქა-ს, იგი მანდ ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება<sup>16</sup>.

ნაცვალსახელური წარმოშობის მანდ ზმნიზედისაგან იწარმოება მანდერ და მადერ, რომელიც მეორე პირთან ახლოს მყოფობის არეს გულისხმობს; მაგ.: მანდერ დაიძინებთო! დია, მანდერ დგანან; მანდერ თმები გაქ... აგერ ჩემი გული, მადერ შენი ხმალიო! მადერ ერთი ქალი იყო; მადერა (მადერაა) ურაგინი!

მანდ და მად ზმნიზედებისაგან მოქმედებითში -გან თანდებულის დართვით მიიღება მანდიდან და მანდედან; მაგ.: მანდიდან წავიდნენ... მანდედანაც (მანდედ-განაც<მანდეთ-განაც) გადარჩა.

სათკენ, საიდან ზმნიზედების ვარიანტებია: სათკენ, სითკენ, სიდან; მაგ.: სათკენ უნდა წახვიდეთ? სათკენაც წავიდა... მერე სითკენ წავიდაო? სიდან ბრძანდები? (შდრ. სიდადანაც გამოჩნდა სიდაურები ხართო?).

<sup>16</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 95.

გვხვდება ზევით, ქვევით, გარშემო... ზმნიზედების ძველი ფორ-  
მები: ზე, ზევით, ზეიდან, გარეშემო; მაგ.: ქვაბი ზე შეუდგია; თავებო  
ზეით ამოაშვერინეს; აჭუყვანე ზეითათაო! ზეიდან გაუკეთეს...  
გარეშემოდან შიარყვეს; ტბას გარეშემო უვლის.

ფუძის სახითაა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაში მოსალოდნე-  
ლი ძირს, ახლოს, შორს ზმნიზედები. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ხმო-  
ვანფუძიანი სახითაა; მაგ.: ძირდეეცა (შდრ. ძიდეეცა და ფეხო  
მოიტება)... მისულა ახლო... აბა, შორ წახვიდეთ, როგორ იქნება?...  
მივა იმ ქალთან შორე-ახლო; შორე-ახლო დაღვეს; შორე-  
დან ვიცნობ; შორედან გადნიდგა (შდრ. მამაჩემი ქვევითაა, შო-  
რაზე).

გარეთ ზმნიზედის ნაცვლად იხმარება მიცემით ბრუნვაში დას-  
მული არსებითი სახელი კარი; მაგ.: კრილობა მქონდა, კარს რას გა-  
მოვიდოდი! ნონე, გამოდი კარებზეო!

დასტურდება შიგ, შავნით ზმნიზედის ასეთი ფორმები: ისიც ში  
შევიყვანეთ; შიარ შეგვიშვებდა; მივიდნენ იმ გამოქვაბულში შიი...  
შიგი ჯერ არ გაუკეთებია (შდრ. შიგიდან დაიყვირაშს).

დროის ზმნიზედა. დღე, ღამე, თვე, წელიწადი და სხვა ჩვეულებ-  
რივ სახელობით ბრუნვაში იხმარება; მაგ.: ცოლმა ერთი დღე უთხ-  
რა; იქ ორი დღე დარჩენილა; ათამაშებდა თელი დღე... ერთი ღამე  
ყუმრის დავრჩით; ორნოცი დღე და ღამე ქორწილი ქნეს; გამოუ-  
ცხო ღამე (ღამით პური; მოვიდა ღამე და უამბა; ერთი თვე თათ-  
რეთთან იყო.. ეგრე წელიწადი ყავდა იქა.

მოქმედებითი ბრუნვითაა გაფორმებული ზმნიზედები საღამოთი,  
დილით. ეს უკანასკნელი ზოგჯერ -ზე თანდებულებიანი მიცემითშიც  
გვხვდება; მაგ.: საღამოთი შემოვიდნენ; წავიდნენ საღამოთი  
სახლში... დილით ადრე აღვა; დილითი მისცა... დილაზე  
ხალხი ვერ ივლის; დილაზე ჩემთან უნდა წავიყვანო.

წუხელ ზმნიზედა დაისძის ნათესაობითში, ოღონდ მას შეიძლე-  
ბა ბრუნვის ნიშნის ხელემენტი მოეკვეცოს; მაგ.: წუხელის სრო-  
ლა იყო... წუხელი რას ლაპარაკობდით? (შდრ. წუხან დედა გე-  
ძებდა).

ბოლოკიდურ ს-ს ყოველთვის იკვეცს ნათესაობით-მიცემითში დას-  
მული ზმნიზედა შუალამისას; მაგ.: იმ ღამეს, შუალამისა, დაიწყეს  
რეკა; შუალამისა მოვიდა ეს ძმა; შუალამისა აღგნენ.

მიცემითის -ხ დაკარგული ჩანს ამ შემთხვევაშიც: რადროაც  
(<რა დროსაც) ძალა შეიძინეს, ჩამოგვართვეს; რადროაც ნიკო-  
ლოზი ჩამოაგდეს.

ვითარებითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ ზმნიზედები: ჯამიან, აღრიან და სხვ., მაგ.: ღამიან მოვიდა წისქვილში; დილით აღრიან (ახენზე შეჭდა; დღიურ (ყოველდღიურად) ამ ქალ მუცელი ეზღება (შდრ. ამოიგვა გვარეულობა ძირიანა).

მაშინ ზმნიზედა ერთგან დადასტურებული გვაქვს ამოსავალი მას შინა ფორმით. მისი სხვა ვარიანტებია: მაში (ბოლოკიდური ნ-ს დაკარგვით) და მაშვინ (ვ-ს ჩართვით); მაგ.: მასშინაც ვერ ჩახვდება... მაში თოფი დგმურს მივეცი; მაში ჩხუბი იყო... მაშვინ დაიპყრო; მაშვინაც ვინც მოკლეს...

უფრო მეტი ვარიანტები მოეპოვება ამ ზმნისართს -ვე ნაწილაკის დართვისას; მაგ.: მაშვე (მაშინვე) გითხარ; მაშვე მიილო; მაშვე ანიშნა... მაშითვე შეუყვარდა; მაშითვე განსაზღვრეს... მაშვითვე იცნო... მაშიათვე (<მაშინათვე) ფერი ეცვალა; მაშიათვე წამოხტა; მაშიათვე ვკითხე... მაშვიათვე (<მაშვინათვე) თხლაშანი გაადინა... მაშვეთვე გაიგო...

მეგრე||მერმე ჩვეულებრივ გამარტივებული სახითაა. იგი ხშირად ვითარებით ბრუნვაში დაისმის; მაგ.: მერეთ მოკვდა; მერეთ წამართვა...

გვაქვს კომპოზიციით მიღებული ასეთი დროის ზმნიზედები: დღემუღამ პატივი ვართ; ყველმუღამ მეუბნევიან... ერთ წამახან დაუძახე!

დასავლური კილოების მსგავსად, აქანა (აქა+ნა ნაწილაკი) ადგილის ზმნიზედისაგან წარმოქმნილია დროის ზმნიზედა აქნობამდის; მაგ.: აქნობამდის რათ დაავიანე? მყამს აქნობამდე დარჩენილი; დღეს აქნობამდის.

დასავლურ კილოებს მიეკუთვნება აგრეთვე ამელამ და აწი ზმნიზედები. ამელამ ვერ წახვალ? აწი უფრო გამძვირდება.

ვითარების ზმნიზედა. მთის კილოების მსგავსად. არქაული სახითაა დაცული ძირეული ზმნიზედები ასრე, ესრე, ისრე, რომელთაგან ზოგი ბრუნვის ფორმითაც შეიძლება შეგვხვდეს; მაგ.: ასრე არ იქნებაო; მოაწყეს ასრე; ასრეთ მოიქცა... ესრეთ და ესრე ილაპარაკა; ესრე უთხრა... ისრე გაუნათა; როგორც მოვიდა, ისრე წავიდაო; ისრევე გამოიყვანა; ისრევე გარეკამდით...

მეორე რიგის ზმნიზედები, რომლებიც ძირეულ მასალად გ-ს შეიცავენ, იშვიათად იხმარება; მაგ.: სუ აგრე დადის; აცხოვრეს აგრე; ეგრე უთხრა; ეგრეთი არ იქნება, იგრევე იცხოვრეო! აქა-იქ გვხვდება ისევე და ისთრე. პირველში -რე ნაწილაკის

ადგილს იპერს ვ-ლე (<ვე-ლე), მეორე კი მიღებული ჩანს ისრე და მსთე ფორმათა კონტამინაციით; მაგ.: ცოცხალი ვარ ისევე ლე თ... გზა არის ისთრე რა!

ვითარებით ბრუნვაში მოსალოდნელი ზმნიზედების ერთი წყება ფუძის სახით გვევლინება, ზოგი კი მოქმედებითის თავისებური ფორმითაა წარმოდგენილი; მაგ.: საქმელი მზა არი; მზა მექნება მზა ვარ წასასვლელათ; ოთალიც მზა იქნება... ისე დაასველა, რო ერთიან წყალთა; ახალი და ძველი არეულია ერთიან; ერთიან ჩამოგვართვეს; გაუწყვიტეს ერთიან ჯარი; ხალხიც დახოცეს ერთიან... წერილი გაატანა საჩქაროთი; ცხენზე შეჯდა საჩქაროთი.

ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვების ნაცვლად -ზე თანდებულის მიცემითში იხმარება ზმნიზედები: ცუდაზე, ტყულაზე, ძალაზე და სხვ. მაგ.: ურმები ცუდაზე (ცუდად, უსაქმოდ) არიან... ტყულაზე ფული პატრონათ მხდის; ტყვილაზე არაფერ არ გვაჩუქებს; ტყვილაზე რათ გავთიბოთ? ტყულაზე მიდიხარ (შდრ. ტყულია იტყვის); აილო ტყული ზბრალოზე... ჩავიდნენ და ამოიყვანეს ძალაზე (შდრ. ქალი ძალათი აგზავნიდა; ძალათი ათხოვდნენ).

ნანათესაობითარ ვითარებაში გვხვდება ზმნიზედა მამღრისათ: დაისხა საქმელი, მამღრისათ ქამა.

ძლივ ზმნიზედა, რომელშიც -ივ სუფიქსი გამოიყოფა (ძლ-ივ—ძლ-ით), ჩვეულებრივ მიცემითი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს; მაგ.: ძლივ შედიოდნენ; ძლივ გადაარჩინა; ძლივ გამოათრია; ძლივ იცოცხლა.

სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით. ჯავახურში უჩუმრად (<უ-ჩუმ-არ-ად) ზმნიზედის თავისებური წარმოება გვაქვს. იგი მიიღებს მხოლოდ უ- პრეფიქსს (-არ სუფიქსის გარეშე) და ვითარებითის ნაცვლად დაისმის მოქმედებით ბრუნვაში, მაგ.: ბებერ უთხრა უჩუმით; კაცი უჩუმით მივა; გაუარა უჩუმით; უჩუმით ყველაფერ აქმემს; გაულეპ კარი თავადების უჩუმით...

კითხვითი და მიმართებითი ზმნიზედა. როგორც ცნობილია. როგორც (ასევე ნაცვალსახელი როგორი) წარმომდგარია რაკითხვითი ნაცვალსახელისა და გვარსახელის შეერთებით: რაგვარ. ამ უკანასკნელში ჯერ ვაკომპლექსია ო-ში შერწყმული — რაგორ, შემდეგ კირეგრესული ასიმილაციით მიღებულია როგორ<sup>17</sup>. ჯავახურში როგორ-

<sup>17</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 28; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საკითხები, 1949, გვ. 203.

თან ერთად გარდამავალი საფეხურის (რაგორ) ფორმაც დასტურდება; მაგ.: რ ა გ ო რ მოვიშორეთ ე ტახიო? რ ა გ ო რ ხართო? რ ა გ ო რ მოვიქცეთ? (შდრ. აქ რ ო გ ო დაჩე?). ასევეა მიმართებითი და განუსაზღვრელობითი ზმნიზედებიც: რ ა გ ო რ ც ერექტრონი, ისრე გაანათა... რ ა გ ო რ მე გაინთავისუფლოს თავი; რ ა გ ო რ მე დავეძრაო.

რაგორც მიმართებით ზმნიზედას ზოგჯერ -ც ნაწილაკი შეიძლება არც დაერთოს; მაგ.: ჩემ თავ ვგრძნობ, რ ა გ ო რ ორმოხდაათი წლის კაცი; თვალში შემერკვა, რ ა გ ო რ ეკალი.

როგორ||რაგვარ ზმნიზედის გვერდით იხმარება აგრეთვე რაფერ; მაგ.: აქ რ ა ფ ე რ უნდა ვიბანო? რ ა ფ ე რ შეიძლება? რ ა ფ ე რ გადაგარჩინო?

-ზე და -ში თანდებულს დაირთავს ვითარებით ბრუნვაში მოსალოდნელი ზოგი რიგობით-ჯერობითი ზმნიზედა; მაგ.: პ ი რ ვ ე ლ ზ ე მაგას უნდა გადაეყვანე... პ ი რ ვ ე ლ შ ი ხენწიფეს ეცი! სულ პ ი რ ვ ე ლ შ ი გაუთათრებით არტანელები.

-ზე თანდებულს მიიღებს აგრეთვე ზოგი მიზნის ზმნიზედა; მაგ.: რ ა ღ ა ზ ე გაზარდე ეგ შეილები?

4. ნაწილაკები. კინალამ, რომლის ძველი ფორმაა კინილა, შეკვეცილი კინალ სახით იხმარება; მაგ.: კ ი ნ ა ლ გამიტაცა; კ ი ნ ა ლ მე წამიყვანა; კ ი ნ ა ლ მომკლა...

ბარემ ბოლოკიდური მ-ს გარეშეც იხმარება; მაგ.: ბ ა რ ე მონები გავათავისუფლოთო.

გვხვდება ვითომ ნაწილაკის მითამ და ნითამ ვარიანტები, რომლებშიც ა პირვანდელი სახით არის შენახული; მაგ.: მ ი თ ა მ არავინ არ მისულა; მ ი თ ა მ არ იცოდა... ნ ი თ ა მ საკუთარს მაძლენს.

დასტურდება თურმე ნაწილაკის თორმე და თურმენ ვარიანტები; მაგ.: მისი ძმები თ ო რ მ ე სანადიროთ არიან წასული... თ უ რ მ ე ნ ესა მამამის სცოდნია... თ უ რ მ ე ნ ალიხანს ყამდა შეიდი ცოლი.

უკუთქმით წინადადებაში არ, აღარ უარყოფითი ნაწილაკი მოსალოდნელ -ც-ს არ დაირთავს ხოლმე. ამ ნაწილაკის უხმარებლობის შემთხვევები გვაქვს აგრეთვე მიმართებით ზმნიზედებსა და ნაცვალსახელებში; მაგ.: არ კარზე გაუშვათ და არ კარიდან შრმოუშვათ! აღარ თოფი აქ ყარაულ და არ აფერი... ჩვენ კი ასე ვიქნებით, რ ა გ ო რ ახლა ვართ; ყველაფერი ახსომს, რ ო გ ო რ ის დღე... რ ო მ ე ლ სახში მივედით, არც წყალი გვასვეს და არც სახში შეგვიყვანეს.

გაორკეცებული სახით იხმარება ვ ი ნ ძ ლ ო და ვ ი ნ ძ ლ ო, ა რ ა მ - ც დ ა ა რ ა მ ც; მაგ.: ვ ი ნ ძ ლ ო და ვ ი ნ ძ ლ ო არსად არა გპირდეს რაო! ა რ ა მ ც დ ა ა რ ა მ ც ხმა არ გასცეთო!

ჯავახურში ზოგჯერ გვხვდება აგრეთვე -ლე ნაწილაკი: ა ბ ა ლ ე, ხენწიფევე, ნება მომეცი! გოგოლე, ერთი ლუსმანი არა გაქ? ასეთი ნაწილაკი ცნობილია ხევსურეთიდან იმავე აბალე-სა და აპალე-ს სახით<sup>18</sup>. თუ რა კავშირი აქვს ამ ლე-ს ქვემოთ განხილულ აღმე, ელა, ილა ნაწილაკებთან, დასადგენია.

ეგებ, ეგების მნიშვნელობით სოფ. ხიზაბავრაში დადასტურებული გვაქვს ეგ<sup>19</sup>: მაგ.: ე გ <sup>19</sup> ა დათას შვილები ჩამოვიდნენ, უყო ჩხუბი და სისხლი ავიღო<sup>19</sup>.

მითითებითი ნაწილაკებია დეე, დია — აი, აი, აგერ, აი იქ, რომელიც ქართლურში გაბატონებული ანდე, ენდე, ინდე<sup>20</sup>-ს შემოკლებული ვარიანტი უნდა იყოს: დე ე ჩვენი სახლი! დია მანდერ დგანან!

უნდა ნაწილაკი გვხვდება სულ სხვადასხვა სახით: უნდა, უნა, ნდა, ნა, და, ა<sup>21</sup>. პირველი ორის გარდა, ყველა (-ნდა, -ნა, -და, -ა) ენკლიტეკად არის ქცეული და გაბნულ საუბრისას წინადადებაში წინა სიტყვასთან არის შერწყმული. ისინი შეერწყმიან:

ა რ ს ე ბ ი თ ს ა ხ ე ლ ე ბ ს: წ ყ ა ლ ი ნ ა მოვიტანო; ს ა ს ა ხ - ლ ე ნ ა გააკეთო! ყ უ რ ძ ე ნ ი ნ ა დამიკრიფო! ჩვენი დ ა ნ ა (<და უნდა) წაიყვანოთ! ამისთანა ვ ა ყ ი-კ ა ც ი ნ ა წახდესო! მ ე ნ ა ხ ი რ ე ნ ა დაიპირონ; ც ე ც ხ ლ შ ი ნ ა გაიაროს...

ზ მ ნ ე ს: მაშინ გაჩუმდენა; ხვალ წავიდენა.

მსგავსი ფაქტები დასტურდება აგრეთვე მესხურსა<sup>22</sup> და აქარულში<sup>23</sup>.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ს: მ ე ნ ა მოუტანო; ნათლიათ მ ე ნ ა ვიყო; შენნა მოიყვანო; თქვენცნა წამამყვეთ... სახელმწიფო ვის და (ვის უნდა) დარჩეს! რანა მოქცე? რანლა ქნა? ვინა (ვინ უნდა) მატაროს?

ზ მ ნ ი ზ ე დ ე ბ ს: აქნა ვიყვეო; სადნა ვიშოვნო? ეხლანა ჩაეიცვა, სანა დავიმალო? სადაცნა ყოფილიყო, ეხლანა წავი-

<sup>18</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 624; ალ. ჭინჭა რაულ ი, ხევსურულის თავიგებურებანი, გვ.64; გ. ბერიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 144

<sup>19</sup> იხ. აგრეთვე გ. ბერიძის დასახ. ნაშრ., გვ. 146.

<sup>20</sup> ო. კახაძე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 294—295.

<sup>21</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, ჯავახურის შესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 294.

<sup>22</sup> ილ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე. დასახ. ნაშ., გვ. 145.

<sup>23</sup> გ. ხ უ ბ უ ა, ზემოაქარის ენობრივიმიმოხილვა, გვ. 17; ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 23—24.

დღე; ხვალნა ვიყიდო; ისენა გავიყოთ... ეხლადა (ეხლა უნდა) ვისადილოთ.

კავშირებს, ნაწილაკებს: ანდა (ან უნდა) მომკვდარიყავ, ანდა მოვსულიყავ; ანნა დანა მომცე, ან ფულიო! მესამეთაე რონა დეეკრა, აღარ გაუშეა; აბანა ამბავი მოიტანო!

ნოხუტა მეტყველებაში იხმარება თურქულიდან შემოსული კითხვითი -მი ნაწილაკი, რომელიც ბოლოში ერთვის სახელსაც და ზმნასაც; მაგ.: კაციმი არა ხარ? თვალში დაიპირე? გლეჯამსმი თუ რას შერება? ეს ნაწილაკი ხმოვანთა ჰარმონიის საფუძველზე, მაგალითად, აზერბაიჯანულში ოთხი ვარიანტით გვხვდება: ми, мы, му, мү; მაგ.: Кәлдин-ми? (მოხვედი?) Галдын-мы? (დარჩი?), Охуду-му? (წაიკითხა?) და სხვ.

ზოგან თურქულის გზით არის დამკვიდრებული ელა ჩვენებითი ნაწილაკიც, რომელიც ქართულ აბა, აი-ს უდრის. იგი ზოგჯერ დამოუკიდებლად იხმარება, ხშირად კი ზმნასთან არის შერწყმული ბოლოდან. ძირითადად მას სამი სახით ვხვდებით: ალე, ელა, ილა. ზმნასთან შერწყმისას ეს ნაწილაკი განიცდის ცვლილებას: თუ ზმნა ა, ე და ი ხმოვანზე ბოლოვდება, ნაწილაკის თავკიდური ა, ე და ი ხმოვანი ზმნის ბოლოკიდურ სათანადო ხმოვანს შეერწყმის; მაგ. მოიტალე (<მოიტა ალე), მამელა (<მამე ელა), ადელა (<ადე ელა), მოდილა (<მოდი ილა). ეგვე ნაწილაკი სამივე ვარიანტით (ილ, ელ, ელა) დადასტურებულია ფერეიდნულში<sup>24</sup>.

ამას გარდა, შეიძლება შეგვხვდეს თურქულიდან შემოსული ასეთი ნაწილაკები და დამხმარე სიტყვები: ჰამი (ხომ, არა?): ქვევით მიდიხარ ჰამი? მოვიდა ჰამი? იშტა (აკი) იშტა გითხარ, პავლეჯან; ზათი (ისედაც): ზათი ვიცოდი, რო გადმოწეებოდა; მახსუზ (განგებ); მახსუზ ეგრე გააკეთა... ფეხიდან ცოტა კოქლია, ჰამა (მაგრამ) მშვენიერია.

იხმარება თახ წინდებული, რომელიც მნიშვნელობით ქართულ ვიდრე-ს უდრის: აქედან თახ ბარალეთამდის. აზერბაიჯანულში ამჟამად იგი (mäk) ცოცხალი მორფოლოგიური ელემენტია. საყურადღებოა, რომ ვიდრე-ს აღსანიშნავად ფერეიდნულშიც სპარსულიდან ნასესხები თა არის გამოყენებული; მაგ.: თოვლიც მოდის თა წელამდი...<sup>25</sup>.

<sup>24</sup> არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, გვ. 203—204.

<sup>25</sup> არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 218.



5. ზმნა. ზმნისწინი. მტკიცედ არის გატარებული წესი მო-ს მა- გიერ მა- ზმნისწინის ხმარებისა. იგი, თუ გვხვდება, ჩვეულებრივ პირ- ველ ობიექტურ პირთან იხმარება; მაგ.: მამიყვანა (შღრ. მოიყვანს), მამხედა (შღრ. მოგხედა), მამკლავთ (შღრ. მოგკლავთ), მამიტანა (შღრ. მოუტანა), მამაგონდა (შღრ. მოაგონდა), მამგვარა, მამშორდა, მამძებ- ნა...

ეს წესია დაცული რთული გამო-, ამო-, შემო-, ჩამო- ზმნისწინე- ბის ხმარების დროსაც; მაგ.: გამამიტანა, ამამიყვანა, შემამიტია, ჩამა- მართვა...

მო-ს ნაცვლად მა- გვხვდება აგრეთვე მოქმედებითი გვარის მიმ- დობის ფორმებთან, სადაც ფონეტიკურად ისეთივე გარემოა დაცული, როგორც შემოაღნიშნულ შემთხვევაში; მაგ.: მანათლელი, მამკვლე- ლი, მამრეკავი და სხვ.

თითო-ოროლა შემთხვევაში მა- ზმნისწინი გვაქვს მესამე სუბიექ- ტური და ობიექტური პირის ფორმაში, როცა ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება<sup>26</sup>; მაგ.: რათ მაახდინა? სუ ჩამაართვა.

იშვიათად გარდა- ზმნისწინში რ შენახულია, ჩვეულებრივ კი რ-სთან ერთად ა-ც იკარგება ი ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან; მაგ.: გარდვიდა, გარდმიყვანა... გაღიწვა, გაღილო, გაღირჩინა, გაღიხვეწა, გაღიცვალა, გაღიყვანებენ (შღრ. აგრეთვე: გაღვიხეღამ, გაღვიდნენ, გაღმიცია).

ორად ორი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული რთული შამო-|| შამა- ზმნისწინის ხმარებისა; მაგ.: თათარი რო შ ა მ ო ვ ი დ ა (სოფ. ქილდა)... კაცი შ ა მ ა მ ა კ ვ დ ა (გოგაშენი).

აღ- ზმნისწინის დ თანხმოვანი დაკარგულია აღ მო ჩ ნ დ ა და აღ- ზ ა რ დ ა ზმნებში: იქ ა მ ო ჩ ნ დ ა ერთი გოგო... მერზე იმან ა ზ ა რ დ ა.

ერთნა-რი ზმნისწინიანი ფორმის განმეორებისას მეორე ჩვე- ულებრივ მხოლოდ ზმნისწინით წარმოდგება, ალბათ, მასზე ძლიერი მახვილის დაცემის გამო; მაგ.: ბიქო, გაღი, გა... ზოღი რაღა, ქალო, მ რ... წაღი და დამეკარქე, წ ა.

ახალ სალიტ. ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, უ თ ხ რ ა ზმნა, ჩვეულებრივ, უზმნისწინოდ იხმარება. ძვ. ქართულში კი მეორე სერია- ში მი- ზმნისწინის ირთავდა; მაგ.: მი უ თ ხ რ ე ს ესე ყოველი (C ლ 24,9); მი უ თ ხ რ ე ს საქმე იგი (იქვე, მთ. 18,31). ამ სახით შეგვხვდა ეს ზმნა ჯავახურშიც: ბოვშმა მი უ თ ხ რ ა.

და- ზმნისწინი ზოგჯერ ზმნით გამოხატული მოქმედების ინტენ-

<sup>26</sup> შღრ. გ. ბერიძის დასახ. სტატია, გვ. 147.

სიობაზე და ობიექტის სიმრავლეზე მიუთითებს; მაგ.: ქალები და აზარ-  
და და დაათხოვა; ეს სახლები სუდაყიდა; ამ ცხენებმა კვიცი-  
ბი დაიგეს; ურმები დააკეთე? ცხვრებ დასწველებენ; და-  
გასუქებენ და გაგყიდებნო: ბოვშეებიანა და ვანათვლი-  
ნო: ცოტა როდაეთბით...

წყვეტილსა და მყოფადში ზოგი ზმნა ზმნისწინს არ დაირთავს  
ხოლმე; მაგ.: ხვალისათვის ურმებს გოგრები უკეთეთ! მეც მიტე-  
ხეთ პატარა ქადა! ოთხჯერ მიწია ჯერი; ძალიან ეჯავრა.

ზმნისწინთა მონაცვლეობის შემთხვევებია: თვალი შეჰკრა  
ქალს; ნებართვა დასცა; პოარი დაუკლა; ორმოს დაარიდა;  
მამა დეეკითხა; ვერ ჩახვდებდა; ერთი მეორეს გეემშვიდო-  
ბენე; მამა მისმა ვერ შესაზრა (მოისაზრა); ეს ქურთები მოვარ-  
ჩინე (გადავარჩინე); ცხვარი სუგათვალა; ერთი ფუთი სიმინდი  
და ერთიც კამეჩის ტყავი წაართვიო! (გამოართვიო!).

პირის ნიშნები. ქართული ცოცხალი მეტყველებისათვის დამახა-  
სიათებელი ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე ჯავახურშიც  
სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსი ვ- იკარგება უხმოვნის წინ;  
მაგ.: უთხარი, გადაურჩი, უყვირე, უბედავ, უყავით და სხვ. კილოსათ-  
ვის დამახასიათებელი თავისებურება ამ მხრივ ის არის, რომ იგი შეი-  
ძლება დაიკარგოს ნ-ს წინ როგორც მხოლოობითში, ისე მრავლობით-  
ში; მაგ.: ნახო, ვინ არის ესენიო? ნახოთ, რანა ქნას? ნახოთ,  
რას ბრძანაშო? ნახოთ, წამოვიდა სტოლებში.

ორიოდე შემთხვევაში ვ- არა ჩანს ც, ძ, წ-ს წინ: მე ვერ ცნობი-  
ლობ; რაც დაძალეთ, საგძალი წავიღეთ; წველამ, საქონელ  
ვთაომ (ეს მაგალითები ჩაწერილი გვაქვს სოფ. ბარალეთში გიორგი  
კობოტონაშვილთან საუბრისას).

რაც შეეხება მო- ზმნისწინისა და ფუძისეული ხმოვნის შუა პოზი-  
ციას, აქ ვ- მეტწილად თავის ადგილასაა (მოვიტანე, მოვიშორე, მოვი-  
კითხე). ამით ჯავახური მკვეთრად უპირისპირდება აღმოსავლურ კი-  
ლოებს, რომელთათვისაც ოვი კომპლექსის გამარტივება ვინის დაკარ-  
გვით ჩვეულებრივი მოვლენაა.

თუ წინა სიტყვა ხმოვანზე ბოლოვდება, მომდევნო ზმნის პირის  
ნიშანი ვ- ზოგჯერ მას ეკედლება, მაგ.: ე, რავქნა, როგორ არ ვიყვე  
დაღონებულნი?

სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი  
მესამე პირისა რამდენიმე ვარიანტით დასტურდება, მაგრამ მათ ხმარე-  
ბაში გარკვეული მტკიცე კანონზომიერება არ შეინიშნება. უფრო

ზშირად ეს პრეფიქსები ან იკარგვის, ან კიდევ ერთი და იგივე ზმნა პრეფიქსითაც შეიძლება შეგვხვდეს და უპრეფიქსოდაც.

ძირითადი და გაბატონებული პრეფიქსია ჰ-, რომლის ბგერინაცვალია ს- (>ზ,შ) და მ. აქარულთან ერთად ჯაეახურის ძირითადი თავისებურება ამ ნიშნების გამოყენების მხრივ ისაა, რომ პრეფიქსი ჰ-როცა გვხვდება, იხმარება როგორც ზ, ს, უ, შ, ღ, ხ სპირანტების, ისე ზშირად ღ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჳ ხშულთა სამეულების წინ; მაგ.: მიჰლევ, მიჰლევენ, დაჰლევდა, ჰთხოვა, მოჰტაცა, მოჰტეხა, დაჰტივა, ჰცემა, აჰწიეს და სხვ.

ობიექტური მესამე პირის ნიშნებს, ჩვეულებრივ, დაირთავენ ირიბი, ობიექტის მქონე ზმნები; მაგ.: არა ჰკითხა; ბრძანება ჰქონდა; ფული მოჰპარა: მშობლები გამოჰყენენ. ქალი მოჰტაცა; ზოგს ქალიშვილს ჰპარებდნენ, ზოგს ცოლ ჰპარენდნენ... მისცა, მისწერეს, გამოსძალეს, მოსთრამს... წააყუა, ააყიდა, მიიძცა, მიიღვეს, მოაძვრა, მოაძტუდა.

არის შემთხვევები, როცა პრეფიქსის ხმარებას ამჟამად მორფოლოგიურად გამართლება არ მოეპოვება, იხმარება ერთპირიან ზმნებში; მაგ.: ზეერე ღღეს აზღგენ; სწუხდნენ ესენი; ვერ გასძლებდა; რათ ჰტირის? (შდრ. თავი დაუკილია და სტირის).

სტატიკურ ზმნას ჰყრი ა ორი პირის ნიშანი მოეპოვება (ჰ-, -ა), მაგრამ მნიშვნელობა ერთპირიანისა აქვს: ამაში დიდი საქმე ჰყრია.

გვაქვს ამის საწინააღმდეგო მაგალითებიც პრეფიქსი ჰ- არ ჩანს უკანაენისმიერი გ, ჰ, კ და ფარინგალური ყ თანხმოვის წინ; მაგ.: მოგვარეს ცოლი; კრეს ხელი; სახლი ქონდა; შეილი არ ყვანდა; ქალი მას წაყვავა; სტუმარი მოყამს და სხვ.

არც ს- პრეფიქსი გვხვდება ასეთ შემთხვევებში: თასი მიცავ; უკან მიღვედა; თელი ხალხი დაღებია და სხვ.

ჰ-ს ბგერინაცვალ ს-ს ვარიანტებად შიშინა აფრიკატების წინ გვევლინება შ, ხოლო მყდერი თანხმოვნების წინ — ზ; მაგ.: გაშჰარ! დაშჰობნე! მოშჰრა, ჩამოშჰრან, შეშჰერდა... მიშღიხარ, ზღიეს, მოზღვედა, დაშძინებია და სხვ.

სოფ. საროში სუბიექტური მეორე პირის ნიშნად ვარდნა ზმნაში დადასტურებული გვაქვს ჰ-ს ვარიანტი ხ: არ ჩახვარდე! არ გადახვარდე! (შდრ. მიხვალ, წახვალ)<sup>27</sup>.

წყვეტილის მხოლ. რიცხვში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ჰ-ს ნაცვლად -ა სუფიქსი გვხვდება ისეთ ზმნებში, როგორიცაა: უამ-

<sup>27</sup> გ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

ბო, იცნო; მაგ.: იმ კაცმა უ ა მ ბ ა; ბიჭმა უ ა მ ბ ა; უ ა მ ბ ა გოგოს ძლივ ი ც ნ ა. დასტურდება უ ა მ ბ ვ ა ფორმაც; ყველაფერი ასე უ ა მ ბ ვ ა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, როგორც ჩანს, მომდინარეობს უ ა მ ბ ა ვ ა-საგან: დედამისმა უ ა მ ბ ა ვ ა; ცოლი უ ა მ ბ ა ვ ა მ ს. წყვეტილის მესამე პირში ამოსავალი ფორმითაა დ ა რ თ თ: მევერე ნება დ ა რ თ ვ ა.

ხმოვნის შემდეგ უკვალოდ იკარგება სუბიექტური მესამე პირის სუფიქსი -ს ზოგიერთ ერთპირიან ზმნაში; მაგ.: მამაჩემი სად ა რ ი? ეგ ვინ ა რ ი? ისიც ა რ ი ჩემი ძმისწული, აღარც მანდ ა რ ი... ისე გაქვევებული დ გ ა.

მისი დაკარგვის შემთხვევები შეინიშნება აგრეთვე თანხმოვნის შემდეგ რამდენიმე ზმნის აწმყო-მყოფადისა და თურმეობითის ფორმებში; მაგ.: თავის ხარჯებ ხ დ ი ლ ო მ; ეს ძალი ყ ე ფ ა მ ა მ კაცსა; პურ ვინ მ ო ქ ც ე მ შენა! წყალი მ ო ა ქ; ქალს უ თ ქ ვ ა მ; ერთი გუ-გუმი მ ა ქ; ოქროს სინი გ ა ქ ო? სუ ეს წვალება გ ვ ა ქ. ამ უკანასკნელ ზმნებში პირის ნიშანთან ერთად იკარგება ფუძისეული გ-ც, რის შედეგადაც ისინი აწმყოს სამსავე პირში ასეთ პარადიგმას ქმნიან.

I	მაქ	გვაქ	მიმაქ	მოგვაქ
II	გაქ	გაქთ	მიგაქ	მიგაქთ
III	აქ	აქთ	მიაქ	მიაქთ

ობიექტური პრეფიქსი მეორე პირისა გ- მომდევნო ყრუფშვინვიერებთან ასიმილაციის ძალით, ჩვეულებრივ, ქ-დ იქცევა, მკვეთრებთან კი კ-დ, ამავე პირობებში, ოღონდ დისტანციურად, ხშირად იგივე ემართება მრავლობითში ობიექტური პირველი პირის გვ-პრეფიქსის გ-ელემენტს; მაგ.: რათა ქცემა? შენ დაქ.ება; თავს მოკჭრის... ოთხი შეილი კყვანდა.

✓ სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის გამოსახატავად გარდაუვალი ზმნის წყვეტილსა და ყველა ზმნის უწყვეტელში გვხვდება როგორც -ნენ, ისე -ენ სუფიქსი. მაგ.: წავიდ-ნენ, გამოცვინდ-ნენ, დაიქიდ-ნენ, თამაშობდ-ნენ, ხოცამდ-ნენ, გამგზავრდ-ნენ, შდრ. გამგზავრდ-ენ, დათანხმდ-ენ, გალაგდ-ენ, მუშაობდ-ენ, ილაპარაკებდ-ენ, ათხოებდ-ენ.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არც -ნენ იხმარებოდა და არც -ენ. ორივეგან გაბატონებული იყო -ეს დაბოლოება (აშენებდ-ეს, წავიდოდ-ეს, იტყოდ-ეს).

დ-ზე დასრულებულ ფუძეებთან როგორც -ნენ, ისე -ენ სუფიქსების გამოყენება, საერთოდ, დიალექტური წარმოშობისაა. პირველი სა-

ლიტერატურო ენაში ქართულიდან და კახურიდან შემოვიდა, მეორე კი — იმერულიდან და ფშაურიდან. ამჟამად სალიტერატურო ენის ნორმად ასეთ შემთხვევაში -ნენ არის მიჩნეული<sup>28</sup>.

ზოგი გარდამავალი ზმნა, როგორცაა, მაგალითად, მისცეს, მოხარშეს. წყვეტილს შესამე პირის მრავლობითში, დაავლური კილოების მსგავსად, -ეს სუფიქსის ნაცვლად -ენ-ს მიიღებს. გარდაუვალთან გვხვდება ამის საპირისპირო შემთხვევები; მაგ.: როცა შეიღი წლისა გახდნენ. მისცინ სასწავლებელში; ქათამი მოხარშენ და ჭამეს... ახალციხეს დიესხეს; ძალა რო შეიძინეს, დაგვესხეს მაშინა.

სტატიკური ზმნა წევს მესამე პირის მრავლობითში წევანან ფორმის ნაცვლად წევან ფორმით გვხვდება: მაგ.: ტალახში წევან ღორები; წყაროს თავზე ნახა, რო წევან (შღრ. გოგრები არა ჩანა).

ზმნის ნაკვთთა წარმოება. პირველი სერია. ზმნათა ერთი დიდი წყება პირველი სერიის ნაკვთებში არ დაირთავს სალიტერატურო ენის მიხედვით მოსალოდნელ -ავ და -ებ თემის ნიშნებს და წარმოგვიდგება მარტივი ფუძით, მაგ.:

-ავ (დიალექტ. -ამ): ორჯერ ვთეს დით; გაზაფხულზე დავთეს დით (შღრ. კირნახულ დავთესამ დით); ინახდენ თავეთ საქონელსა; მიწას ყლაპდა ეს კაცი; თითონ ვერ ბედენ; რო დენახა, დაგვხოცდა; ორი კაცი ზიდდა ბულულსა; ტყეს ვზიდ დით...

-ებ: ამას მე ვტოვ თქვენთან; დავტოვ სახში; არავინ დამიტოვს; ცოცხალს აღარ დატოვდნენ; დააგროვდა თელსოფელს: შეაგროვდა ხალხს; ზურგზე მოვიკიდ დი; არ იჯერი? შენ დაუკარ, მე ვითამაშ; მუუგდებენ პურსა, დააჩუმენ, კილო მუუგდებენ, კილო დააჩუმენ; ღმერთ ვახსენ დით...

ამის საწინააღმდეგო მოვლენა გვაქვს, როცა ნულნიშნიან ზმნებს თემატური სუფიქსები უჩნდებათ. თემის ნიშნებად ასეთ შემთხვევაში მეტწილად გვევლინება -ამ (-ან), -ებ; მაგ.: წყალს მოგიტანამ; ჩაიტანამს პაჭიკებს; გაატანამ იარაღსა; ავიყვანამ ქალქსა; ველარ გაგიყვანამს; თავ მოკვეთამ: თიბა სჯობამს თუ ურემო? დედას წერანს... დედამა წერებენ; ჯვარს იწერებენ; ბეჟანს გაატანებენ; მიუტანებენ ამბავს; წამოიყვანებენ იმას...

ამავე ნიშნებს დაირთავს აგრეთვე ხმოვანმონაცვლე ზმნები, რომელთაგან ზოგი I სერიაშიც ფუძეში ი-ს გვიჩვენებს; მაგ.: ვინც ჩემ

<sup>28</sup> ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგოვანი საკითხი, გვ. 39.

შვილ მ ა ა რ ჩ ი ნ ა მ ს; ამ წუთში აქ გ ა გ ა ჩ ი ნ ა მ ს ო; იმ ტკივილი-  
დან მ ო ა რ ჩ ი ნ ე ბ ე ნ... კლავს გ ლ ი ჯ ე ბ დ ა (შღრ. თათრები  
ვ ტ ყ ე პ ე თ დ ა ვ ტ ყ ე პ ე თ ო).

ავ-იან და ამ-იან ზმნათა ფუძეები აწმყოსა და მყოფადის III  
პირში ზოგჯერ შეკუშმულია; მაგ.: ორივენი ს მ ე ნ და ჰამენ; უ კ ვ-  
რ ე ნ (<უკრავენ) და მლერიან; ისინი და უ კ ვ რ ე ნ...

ერთი ტიპის ზმნები I სერიის ნაკვეთების საწარმოებლად ფუძედ  
-ულ სუფიქსიან ნამყო დროის მიმღეობას იყენებენ<sup>29</sup>; მაგ.: ჩემი ქა-  
ლიშვილი მ დ ო მ უ ლ ო ფ ს; ხემწიფე გ დ ო მ უ ლ ო ფ ს... ვერ  
ვ ც ნ ო ბ უ ლ ო ფ; ბიჭი ც ნ ო ბ უ ლ ო ფ ს მამას... ყურ არ გ დ ე ბ უ-  
ლო ბ ე ნ (შღრ. ესენი ყურსა გ დ ე ბ ე ნ); ყურს გ დ ე ბ უ ლ ო ბ დ ა;  
მაგას რაღა ყ უ რ გ დ ე ბ უ ლ ო ბ? რას კ ვ ე ხ უ ლ ო ბ? ის არ წ უ ნ უ-  
ლო ფ ს; ტყეში რ ჩ ო მ უ ლ ო ფ ს (რჩება); ღორი აქ ჰ მ ე უ ლ ო ფ ს,  
იქ ჰ მ ე უ ლ ო ფ ს. ასეთი წარმოება, როგორც ცნობილია, უცხო არ  
არის სალიტ. ენისათვისაც (კვიდულობ, ვსესხულობ, ვნახულობ)<sup>30</sup>.

თავისებურებას გვიჩვენებს ზოგი ფუძემონაცვლე ზმნა. ზი-ს ნა-  
ცვლად აწმყოში ხშირად მეორე სერიის ჯღ (<ჯღ) ფუძეა გამოყენე-  
ბული; მაგ.: ის აქ ჯ დ ის; ხალხი ჯ დ ის ცეცხლთან.

უ ყ უ რ ე ბ ს ზმნას აწმყოში ზოგჯერ ენაცვლება უ ს ე ი რ ე ბ ს:  
ქვევიდან უ ს ე ი რ ე ბ ს.

ე უ ბ ნ ე ბ ა ზმნაში ებ-ის ადგილს ევ სუფიქსი იჭერს. ამავე დროს  
ხშირად ფუძისეული უ-ც არა ჩანს ხოლმე; მაგ.: გეუბნევი, მეუბნევი-  
დი... ებნევა, მებნევიან (შღრ. აგრეთვე: ებნება, ევნება, ევნევა).

ა რ ტ ყ ა ვ ს და ა რ ტ ყ ი ა ზმნათა კონტამინაციით მიღებული  
ჩანს ი-ა სუფიქსიანი სტატიკური ვნებითის ფორმა ა რ ტ ყ ვ ი ა: გარ-  
შემოღობე ა რ ტ ყ ვ ი ა.

თემის ნიშანთა მონაცვლეობა. ჯავახურის თავისებურება ყველა-  
ზე რელიეფურად და ხელშესახებად ზმნის თემის ანუ ფუძის წარმო-  
ებაში ჩანს. ამ მხრივ ჯავახური გარკვეულ მსგავსებას ქართლურ-კა-  
ხურთან ავლენს, მაგრამ ყველაზე ახლოს მაინც მესხურთან დგას,  
თუმცა ზოგ რამეში მისგანაც განსხვავდება<sup>31</sup>.

<sup>29</sup> გ. ბერძე, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

<sup>30</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 498.

<sup>31</sup> ლიტ. შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერათი ანალიზი, ენიშქის  
მოამბე, X, 1941, გვ. 246—248; ილ. შაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვ-  
ლენები მესხურში, გორის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები I, 1942; ა. მ ა რ თ-  
როს ო ვ ი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახ. თბილ-

თემატური სუფიქსების ხმარების საერთო სისტემა იმდენად არის სახეცვლილი, მათი ნაირ-ნაირი მონაცვლეობა ისე შორს არის წასული, რომ ზოგჯერ საჭირო ხდება საგანგებო დაკვირვება, რომ საქმის ნამდვილ ვითარებაში გაერკვე.

დავიწყოთ -ავ თემატური სუფიქსიდან.

სალიტერატურო ენის მიხედვით მოსალოდნელ -ავ თემის ნიშანს 'ხშირად -ამ ენაცვლება.

ავ—ამ: აწყყო-წყოფადო: პარსამს, ხნამს, თიბამს, ქეჭამს, ძინამს, ნახამს, დახოცამს, დაპლიტამს, გალახამს, მოპკლამს, შენიშნამს, მოპხედამს, დახედამს, შევწირამ.

შენიშვნა: ერთადერთი ზმნაა ვ ქ ა მ, რომლის ფუძეშიც ზოგჯერ მონაცვლეობა პირიქით ხდება: ამ—ავ: პურ ვ ქ ა ვ ო; თავთავსა ს ქ ა ვ ს.

-ავ-იანი და აგრეთვე -ამ-იანი ზმნები I სერიის ნაკვთთა შესამე პირის მრავლობით რიცხვში იშვიათად -ევ სუფიქსსაც დაირთავენ, ზემოიშვრულის მსგავსად<sup>32</sup>, მაგრამ ჩვეულებრივ კი ამ ფორმებში -ამ, -ემ სუფიქსებია გაბატონებული; მაგ. ლევენ, უკრევენ, ხნევენ, დაუკლევენ, გვჩაგრევენ, მოპკლევდენ; შღრ. ხედემენ, მოკლემენ, ჰკითხემდენ და სხვ.

უწყვეტელსა და ხოლმეობითში -ამ შეიძლება შეგხვდეს, მაგრამ ჩვეულებრივ -ავ-ის მონაცვლე და აგრეთვე პირველადი -ამ თემის ნიშანი -ემ სუფიქსით იცვლება; მაგ.:

უწყვეტელი: თიბემდა, კურნემდა, ხნემდა, ინახემდა, ქეჭემდა, ირტყემდა, სვემდა, მოგორემდა, ხურემდა, მოსემდა, ჰკითხემდენ, ჰკერემდენ, ჰკრემდენ...

ხოლმეობითი: მოვთიბემდი, გავრეკემდი, გალახემდა, აუშვემდა, ჩაიცვემდა, ხარ დააბემდა და მერე აუშვემდა, დასტანჯემდა...

ამავე ნაკვთებში -ემ სუფიქსის ადგილს იჭერს -ენ ვარიანტი; მაგ.: ვხედენდი, ვხოცენდი, ვთესენდით, მალუნდა, ბექდენდა, კრენდა, პარსენდენ, გვცარცვენდენ, დაპკლენდა...

-ამ-ის პარალელურად -ავ-ის ნაცვლად აგრეთვე -ან სუფიქსიც გვევლინება; მაგ.:

-ავ (-ამ) -ან: ვხედან, მინახანს, კერანს, უჭირანს, შეირთანს, დაპკარგანს, ჯოხს უღერანს.

სის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1950, გვ. 295—296; გ. ბერძენიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, მაცნე, 4, 1972; მ. ბერძენიძე, თემის ნიშნები ქართული ენის შესახებ დილაქტში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, ეძღვნება აკადემიკოს ვარლამ თოფჩუჩიას ხსოვნას, 1980, გვ. 91—103.  
<sup>32</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიშვრული კილოკავი, გვ. 261—268.

აქ უშუალო მონაცვლეობა კი არ უნდა გვექონდეს, არამედ -ავ—ან სუფიქსებს შორის უშუალოებითი -ამ სახეობა ივარაუდება: ჯერ -ავ> -ამ შემდეგ — -ამ — ან, ამის სასარგებლოდ მეტყველებს მ—ნ თანხმოდანთა მონაცვლეობის სხვა ფაქტებიც.

მეორე განშტოებით -ავ-ის მონაცვლედ -ებ სუფიქსი გამოდის; მაგ.:

აწმყო—მყოფადი: წებენ, ლებებენ, კლებენ, ბექლებენ, ლანძღებენ, ლეწებენ, ხოცებენ, უკრებენ (უკრავენ), სტანჯებენ, ლესებენ, სწურებენ (თაფლსა)... დავიხურებ, ცოლათ შეურთებ, დაჰკითხებს, ნახებენ, მოკლებენ, აუწონებენ, შეუკრებენ (ხელს), დაუკლებენ (ცხვარს), შეჰკრებენ (შეკრავენ), დასწვებენ, გაიხედებენ, მოგაკითხებენ, შენიშნებენ...

უწყვეტელი, ხოლმეობითი: ნათლებდა, კლებდა (კლავდა), უკრებდა (უკრავდა), სთიბებდა, მოგორებდა, ინახებდნენ, დასწურებდნენ...

შენიშვნა: თითოთოროლა შემთხვევაში პირიქითაც ხდება: -ებ—ავ: ს ტ ა ც ა ვ ს ხელს; საქმეს ვ ა უ ქ მ ა ვ.

სხვა განშტოებით -ავ-ს ენაცვლება -ემ, -ომ, -ომ სუფიქსები, მაგ.:

-ავ (-ამ) — ემ ვმალემ (ვმალავ), მოგორემს, ხედემენ, უკრემს, მოკლემენ (მოკლავენ მოკლამენ), ცოლათ შე ე ვ ი რ თ ე მ.

-ავ — ობ, — ომ: რწყობენ, მორწყობთ... რწყომს, მორწყომლით არწყომინამს...

-ებ სუფიქსის ხაზით ასეთი ცვლილებები ხდება: ყველაზე ხშირად ებ-ის მონაცვლედ -ამ სუფიქსი გვევლინება. იგი მეტწილად თავს იჩენს მყოფადში, შედარებით იშვიათად — აწმყოსა და უწყვეტელში; მაგ.:

აწმყო: თავს მანებამს, გიჯერამ, მატყვილამთ, აწიოკანთ, ახოცინამ, რატომ არ უშვამ, აყრევიანამს, ილამს, აძუმს, ათვალთარამს...

მყოფადი: ვიცხოვრამ, მივახარობლამ, დავატყუილამ, შევატყობინამ, გავაბრუნამ, ვინაღვლამ, დავავალამ, შეუთანხმამ, დავალევიანამ, ვაჩუქამ, გამოვაცხოვრებინამ, ვილაპარაკამ, გავაცოცხლამთ, ვაჩხუბამთ, გავალამაზამთ, მოიქმედამ, ჩაუშვამ, იბანამ, აჩუქამთ, აქეიფამთ, მოიწონამთ, დაიკიდამს, მოახსენამს, გაიღვიძამს, ჩაჰყვირამს, გაუშვამს, აიკიდამს, ამოათვარამს, დასათვლავამს, უყარაულამს, ბძანამს, გავიახლამს, გადაჰკიდამს, შეაგროვამს, მოისვენამს, დაიძახამს, იფიქრამს, გაიგონამს, იწვიმამს...

უწყვეტელი, ხოლმეობითი: აქეიფამდა, გავაკეთამლით, შემოიკალთავამდა.



შენიშვნა: თუმცა ხშირად არა, მაგრამ გვხვდება ორი-  
იოდე საპირისპირო შემთხვევაც, როცა -ამ-ის ნაცვლად -ებ  
სუფიქსი ჩნდება; მაგ.: ვისაც მოარტყებენ; წყალ არ  
სვებდა (სვამდა); წინ ბოთლ დაუდგამდა (დაუდგამ-  
და); ცხენის კულზე ნუ მოაბებო!

-ებ სუფიქსის მონაცვლედ გამოდის აგრეთვე -ან, ოღონდ  
არა უშუალოდ, არამედ -ამ საფეხურის გავლით.

-ებ (-ამ) — -ან: უყურანს, შევიშვანს, დაუძახანს, დაგა-  
ლაპარაკანს, დააწყნარანს, ამუშავანს, გააკეთანს, დაუმა-  
ტანს, ტაცანს, დაიჩოქანს... ვიღანდი, ილაპარაკანდენ...

უფრო მეტად -ებ -ემ სუფიქსით იცვლება:

აწყყო, მყოფადი: ვიღემ, ყურს უგდემ, ვაბუმე, ვიგემ, უღემს,  
ცხენი ხრუტუნემს, ვერ გავძლემ, წავიღემ, ვაკოცემ, მოიშორემ, მი-  
იღემ, გაიგემ, დააყვირემს, გაუღემს, უღალატემს, დაატუსაღემს, გაა-  
კეთებინემ...

უწვევებელი, ხოლმეობითი: ვიკიღემდი, ვატარემდი, ვტრიალემ-  
დი, აწუხებდნენ, უძლემდა, ათამაშემდა, იღემდა... გაატიტვლემდა,  
ფეხსა დააბევიენემდა, დაუდგემდა, ამოიღემდა, დაგატყუილემდი, გავი-  
კეთემდი, შეატყობინემდა...

სამივე ნაკეთში -ემ-ის პარალელურად გვხვდება -ენ ვარიანტი;  
მაგ.:

აწყყოსა და მყოფადში: ხარ აძოენს, ვაგროენთ... იმუშავენს, ან-  
დერძ აუგენთ, დაიწყენს, გააკეთენს, ჩასცხენს, გაავსენს, ჩაუღენს...

უწვევებელსა და ხოლმეობითში: ათამაშენდა, აკეთენდა, ანიავენდენ,  
აღულენდენ, ვიღენდი, მაციენდა, ურიგენდა, უგდენდი... გავლენენ-  
დით, დაეიწყენდით, გაუკეთენდი, ავიღენდი, დაალევიენენდი, მოაგრო-  
ვინენდი, გამოვიღენდით, წაუღენდით, დაურიგენდა, ჩაუღენდი, გადა-  
აგდენდი, გავიგონენდით, ავკიღენდი, აღულენდენ...

დასტურდება -ებ და -ობ სუფიქსების ურთიერთმონაცვლეობა.

-ებ—ობ (-ოფ): ვამსობდით, გაამსოფს, ანთოფს, ანთობენ, დაან-  
თობდნენ, გაასწროფს, აწიოკობდნენ...

-ობ—ებ: უამბებს, არ დაუთმებ, ტყავ გავაძრებთ, ი კაცი იცნებ?  
თუ შეატყებ? განაგრძებს რწყვას, არ მსახურებდნენ, ღებარებს (მღე-  
ბარეობს), ვანდებთ...

ობ სუფიქსი გვხვდება მანიანი და ნაირიანი ვარიანტებითაც: -ობ—  
-ომ: ტყვილ რათ ვამომ? ვნანომ, ვფთხილომ, ვღალატომ, ვთაომ,  
ვცოცხლომთ, მუშაომს, ფიქრომს, ყარაულომს, ღებულომს, თხოუ-  
ლომს, ხდილომს, მოასწრომს, ჩხუბომს, დავცხომ, გამოვაცხომ, მოგ-

სპომ, აძლომდა, ახჩომდა, თამაშომდა, სწავლომდა, ტრიალომდა, გიცნომდა, ცოცხლომდა, ქეიფომდნენ, ხმარომდნენ, პატრონომდა, სწავლომდა, კითხულომდა, ყიდულომდა, ომომდა...

-ობ—ომ—ონ: ვფიქრონ, კოხტაონს, ვმუშაონთ, ლაპარაკონს, ამონს (ამბობს), ჯავრონს, თამაშონდა, ქეიფონდა, ცხოვრონდა, ჩხუბონდა, შოულონდა, გზავრონდა, მღერონდენ, ვყიდულონდით...

-ობ—-ემ: გაუყემ ამას; ხელ ნუ ჰყემ მაგაში! ჩავაწყემთ კილობანში; გამოუტყემს პურსა; ვერავის ვანდემთ; ვცელქემდით...

-ობ—-ამ: გიამბამ, უამბამ, ფიქრამ...

-ებ—-ომ: წაილომს გასაყიდათ, ვერ ასწრომდა, დაანთომდენ, გაამსომს...

-ევ სუფიქსის ვარიანტებია აწმყოში -ემ, უწყვეტილში -ემ და -ენ (იშვიათად -ებ); მაგ.: წყალსა ვლემ; პაღუხ არ მაღლენდა; ჯარს არ აძლემდნენ... ხელფას არ აძლენდა, ანტერენდა, დაახენენინა, დალემს... ლამეს ათებდა...

მოსალოდნელი -ი თემის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულია -ამ, -ებ, -ობ (-ომ) სუფიქსები; მაგ.: იყიდამს, ვიყიდამთ, გაჰყიდამდა, იყიდამდა, თავს მოეკრამ; ხვალე გავგზავნამ; მოსწველამს, ვერ გადათარგმნამ... ბავშვებ ვგზავნებ; ცხვრებ დასწველებენ; სისხლში ამოსვრებენ... დროს არ შეჰფერობს; პეიტრები მღერობენ; ეგ არ მღერომს...

ზოგიერთი ზმნა -ავ-ის ნაცვლად თემის ნიშნად -ი-ს დაირთავს. ამის გამო სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად -ენ-ის მაგიერ -ან-ს მიიღებს. აწმყოში დართული -ი, რა თქმა უნდა, უწყვეტელშიც გადაჰყვება; მაგ.: მამას ძალიან ჩ ა გ რ ი ა ნ; ყველას გ ვ ჩ ა გ რ ი დ ა...

აწმყოში -ავ-ის მაგიერ -ი-ს გამოავლენს აგრეთვე სტატიკური ზმნა ა კ რ ა ვ ს: კედელზე ა კ რ ი ა ნაბადი.

ჩ ა ა ბ ა რ ე ბ ს, დ ა ი ბ ა რ ე ბ ს ზმნებში -ებ-ს ენაცვლება -ი თემის ნიშანი, რომელიც იწვევს წინა მარცვლის ხმოვნის რედუქციას; მაგ.: ისევ ჩ ა ა ბ რ ი ს; გასაღებებს ჩ ა ა ბ რ ი ს; დას თქვენ ჩ ა გ ა ბ რ ი ო; ტანტს ჩ ა ბ რ ი ა ნ; უფროსობას მე ჩ ა მ ა ბ რ ი; პურს ვ ა ბ რ ი დ ი თ... მე შენ დ ა გ ა ბ რ ი; დ ა ი ბ რ ი ს თავისთან; ხენწიფე დ ა ი ბ რ ი ს ერთ გლეს.

ორივე ზმნაში ეს -ი თავს იჩენს წყვეტილის მესამე პირშიც: ყველაფერი ჩ ა ი ბ ა რ ი ა; დ ა ი ბ ა რ ი ა ეს გოგიაი.

ამგვარად, თავი რომ მოეუყაროთ ზემოთ ჩამოთვლილ თემატურ

ნიშანთა მონაცვლეობის ყველა ძირითად შემთხვევას, სქემატურად ასეთ სურათს მივიღებთ:

I. -ავ — -ამ — -ან

აწმყო:	თქს-ავ-ს	თეს-ამ-ს	თეს-ან-ს
მყოფადი:	დათეს-ავ-ს	დათქს-ამ-ს	დათეს-ან-ს
უწყვეტელი:	თეს-ავ-და	თეს-ამ-და	თეს-ემ-და თეს-ენ-და
ხოლმეობითი:	დათეს-ავ-და	დათეს-ამ-და	დათეს-ემ-და დათეს-ენ-და

II. -ავ (-ამ) — -ებ

აწმ.	კლ-ავ-ს	კლ-ებ-ს	
მყ.	მოკლ-ავ-ს	მოკლ-ებ-ს	
უწყ.	კლ-ავ-და	კლ-ებ-და	კლ-ემ-და
ხოლმ.	მოკლ-ავ-და	მოკლ-ებ-და	მოკლ-ემ-და

III. -ავ — -ემ, — ობ- — -ომ

აწმყო:	მოგორ-ავ-ს	მოგორ-ემ-ს	რწყ-ავ-ს	რწყ-ობ-ს	რწყ-ომ-ს
--------	------------	------------	----------	----------	----------

IV. -ებ — -ამ — -ან

აწმ.	აკეთ-ებ-ს	აკეთ-ამ-ს	აკეთ-ან-ს
მყ.	გააკეთ-ებ-ს	გააკეთ-ამ-ს	გააკეთ-ან-ს
უწყ.	აკეთ-ებ-და	აკეთ-ემ-და	აკეთ-ენ-და
ხოლმ.	გააკეთ-ებ-და	გააკეთ-ემ-და	გააკეთ-ენ-და

V. -ებ — -ემ — -ენ

აწმ.	იღ-ებ-ს	იღ-ემ-ს	იღ-ენ-ს
მყ.	აიღ-ებ-ს	აიღ-ემ-ს	აიღ-ენ-ს
უწყ.	იღ-ებ-და	იღ-ემ-და	იღ-ენ-და
ხოლმ.	აიღ-ებ-და	აიღ-ემ-და	აიღ-ენ-და

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ყველაზე მეტად -ავ თემის ნიშნის ხმარების სფეროა შეზღუდული. იმ სუფიქსისა, რომელიც სალიტერატურო ენაში მეტად პროდუქტიულია. ერთი მხრით, მას ენაცვლება -ამ, -ემ, -ენ, -ან, მეორე მხრით, -ებ, -ობ, -ომ. -ავ თემის ნიშანთან პარალელურად ხმარების გამო თითქოს ერთგვარად გაზრდილია ებ სუფიქსის გავრცელების არე, მაგრამ, საერთოდ, შესამჩნევად შეზღუდულია მისი ხმარების ძირითადი სფერო -ამ, -ემ, -ან სუფიქსებთან შენა-

ცვლები გამო. სხვებთან შედარებით, ყველაზე მეტად გავრცელებული თემის ნიშანია -ამ, რომელიც სალიტერატურო ენაში ყველაზე არაპროდუქტიულია (მოუღის ზმნათა მცირერიცხოვან ჯგუფს, სულ 15-ოდე ზმნას ითვლიან<sup>33</sup>). ხმარების სიხშირის მხრივ ყურადღებას იქცევს -ემ, -ენ, და -ან, რომლებიც ძირითად თემის ნიშანთა შემცვლელებად გვევლინებიან.

რით უნდა იყოს გამოწვეული ჯავახურში თემატურ სუფიქსთა ეს მონაცვლეობა? სათანადო ფაქტების უნიფორმაციის ტენდენციით ამის ახსნა არ შეიძლება, რადგან აქ გვაქვს არა თანაბარი მნიშვნელობის სხვადასხვა სუფიქსის ერთ ფორმაში გაერთიანება, არამედ, პირიქით, ერთი ფორმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამრავალფორმირება. მართალია, არის ერთგვარი ტენდენცია -ამ სუფიქსის გაბატონებისა (იგი -ავ-ის მონაცვლედაც გვევლინება და -ებ-ისაც), მაგრამ სხვა მხრივ მეტად ჭრელი სურათი გვაქვს. სალიტერატურო ენის ერთ ფორმას, როგორცაა, მაგალითად, თ ე ს ა ე დ ა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ჯავახურში სამი ფორმა შეესაბამება: თესამდა, თესემდა, თესენდა. სამი ფორმით გვხვდება აგრეთვე აკეთებს, აკეთამს, აკეთანს და ა. შ., ე. ი. თემატურ სუფიქსთა გამოყენების მხრივ დიალექტში ვითარება გამარტივებული კი არა, პირიქით, გართულებულია. სალიტერატურო ენაში თუ ზმნის აწმყოს ფუძის საწარმოებელი რამდენიმე ყალიბი გვაქვს (ინიანი, ავიანი, ამიანი, ებიანი, ობიანი, ოფიანი, ევიანი), ჯავახურში მათი სახეცვლილი ფორმები სულ ცოტა ორჯერ მეტია.

რა იწვევს თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობას? თემის ნიშანთა ხმარება ჯავახურში იმდენად დახლართულია, რომ ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის ერთი გარკვეული კანონზომიერების დადგენა ჭირს. ძირითადად კი მას საფუძვლად უნდა ედოს ორი რიგის მოვლენა: თანხმევანთა მონაცვლეობა და ანალოგია. ასეა ახსნილი ვ. თოფურის მიერ მსგავსი ფაქტები ქართულში<sup>34</sup>. მას შემდეგ, რაც ვინის მანით შენაცვლების ძლიერი ტენდენციის გამო -ამ სუფიქსი გაბატონდა ავიან ზმნებში, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ხოლო ამავე ტენდენციის საფუძველზე -ევ სუფიქსის ადგილი -ემ დაიჭირა, შეიძლებოდა სუფიქსთა მანიანი ვარიანტი ანალოგიით სხვა თემის

<sup>33</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 397.

<sup>34</sup> ვ. თოფურია, ქართული, გვ. 141—142; მიიწვევს ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომარულში, „ჩვენს მეცნიერება“, № 214, 1924. აქ დაბეჭდილია ნაწილი ვ. თოფურის ვრცელი მოხსენებისა „გომარულის მორფოლოგია“, რომელიც წაკითხულია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1923 წლის 18 მარტის საჯარო სხდომაზე.

ნიშნებზედაც გავრცელებულიყო (-ებ, -ობ — -ამ, -ობ — -ომ)<sup>35</sup>. მეორე მხრით, მ და ნ-ს მონაცვლეობის ნიადაგზე მანიანი სუფიქსების პარალელურად მოსალოდნელი იყო ნარიანი ვარიანტებიც გაჩენილიყო [-ამ (<-ავ)—ან, -ემ (<-ევ)—ენ, -ომ—ონ], რომლებიც ანალოგიის ძალით სხვა სუფიქსებს შეენაცვლებოდა<sup>36</sup>. ანალოგია, საერთოდ, პირველ რიგში ნულნიშნიან ზმნებზე უნდა გავრცელებულიყო (წერამს, წყვეტამს, გლეჯამს). როცა ვ—მ-სა და მ—ნ-ს შენაცვლებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო თემატური სუფიქსები, არამედ აგრეთვე ზმნური ძირები, სახელები, ნაცვალსახელები, თანდებულები და სხვა, რომლებშიც ასეთივე ტენდენცია დასტურდება. მაგალითად, მთელს ჯავახურში გაბატონებულია ასეთი ფორმები: მასკვლავი, ნამთი, მიწრო, მითამ, ნითამ, ნეტამ, სამსე, გაამსო // გაანსო... დაღანდა, დანთავრდა, ანდგარა, საღამონდის, ინ დროს, ინთელი, რატონ? რანთენიმე და სხვ. (იხ. სუბტიტუცია).

ანალოგია რომ ძლიერი ძალაა, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ, როგორც ზენოთ აღვნიშნეთ, -ებ თემის ნიშანი ჯავახურში ხშირად -ემ სუფიქსით იცვლება. ასეთი ცვლა ანალოგიით სახელებზედაც გავრცელებულა და მრავლობითში -ებ-ის ნაცვლად -ემ სუფიქსიც გვხვდება; მაგ.: ხბორემს აძუამს; ზოგი იმალებოდა ხევ-ლეღემზე (ლეღებზე).

თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობა ჯავახურში ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ არის გატარებული. ერთსა და იმავე მთქმელთანაც კი ზმნის ერთი და იგივე ფორმა შეიძლება რამდენიმე ვარიანტით წარმოდგეს. გვხვდება, მაგალითად, როგორც კ ლ ა მ ე ნ, ისე კ ლ ე ბ ე ნ და კ ლ ე მ ე ნ. გვაქვს როგორც რ წ ყ ა მ ს, ისე რ წ ყ ო ბ ს და რ წ ყ ო მ ს. ასევე პარალელურად გვხვდება ნ ა ხ ე მ ე ნ და ნ ა ხ ა მ ე ნ, შ ე ი რ თ ე მ ს და შ ე ი რ თ ა მ ს და ა. შ. ყურადღებას იქცევს ის სხვაობაც, რომელიც შეიმჩნევა თემატური სუფიქსების ხმარებაში სხვადასხვა სოფლების მიხედვით. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სოფ. ქილდის მეტყველებაში ჩვეულებრივია მანიანი სუფიქსების გამოყენება (სალიტ. ქართულის -ავ, -ებ, -ობ აქ შეცვლილია -ამ, -ემ, -ომ სუფიქსებით) მაშინ, როდესაც ამავე რაიონის სოფ. გოგაშნის მეტყველებაში, რომელიც სოფ. ქილდას სულ 5—6-ოდე კილომეტრითაა

<sup>35</sup> არ არის მთლად გამოსარიცხი: -ამ ავ-ისაგან კი არ იყოს მიღებული, არამედ ჯავახურში იგი დამოუკიდებლად არსებული სუფიქსი ყოფილიყო.

<sup>36</sup> ამ ბოლო დროს არის სანტიტრესო ცდარეგ შემთხვევაში ვ—მ-სა და მ—ნ-ს მონაცვლეობა ახსნან პოზიციურად. იხ. ლ. ნოზაძე, თანხმოვანთა ზოგი ცვლილებისათვის ქართულში, იყ, XX, 1978.

დამორბეული, სათანადო შემთხვევებში გაბატონებულია ნარიანი ვარიანტები. მართალია, ნარიანი ფორმები სოფ. ქილდაშიც გამიგონია, მაგრამ ძალიან იშვიათად. ასევე ნარიანი ვარიანტები არა ჩანს სოფ. საროში ჩაწერილ ტექსტებში.

მეორე სერია. წყვეტილის პირველსა და მეორე პირში -ე სუფიქსის ნაცვლად ხშირად თავს იჩენს -ევ-ი დაბოლოება, რომელიც იშვიათად ჭართლურ-კახურს და ნაწილობრივ მესხურს, აჭარულს, რაჭულსა და ზემოდიგრულს ახასიათებს; მაგ.: ვნახევი, მოვხარშევი, გავტეხევი, ჩავაბარევი, ამოვიტანევი, გადაურჩიევი, ვკამევი, მოვიტანევი, ჩაყარევი, გვასწავლევი და სხვ.

ევ-ი დაბოლოებას მიიღებს აგრეთვე ზმნა ქმნა; მაგ.: რა ვქენევი; რაც გინდა, ქენევი; რაც ქენევი, არ უთხრაო! რაც გეწოდოთ, ის ქენევიო!

ზოგჯერ ევ-ი სუფიქსის ვ იკარგება და ვიღებთ ასეთ ფორმებს: გაუკეთე, ვასწავლე, შევისწავლე, ვნახე, იმუშავე, შეუცვალე...

არც ევ-ი და არც ვ-ი ძველმა ქართულმა არ იცის. იგი ახალ ქართულში ჩაისახა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად მხოლოდ დიალექტთა ერთი ჯგუფისათვის არის დამახასიათებელი. მიუხედავად ამისა, -ევ მიჩნეულია წყვეტილის არქაულ სუფიქსად, რომლისაგანაც შემდეგში თანამოვნის დაკარგვით ბოლოკიდური -ე მივიღეთ (დავწერე—დავწერე<sup>27</sup>). რაც შეეხება ევ-ი სუფიქსის ი-ს, რომელსაც მორფოლოგიური ფუნქცია არ აქვს, გაჩენილია ანალოგიით<sup>28</sup>. გამოთქმულია მოსაზრება, რომ წყვეტილში -ევ-ი დაბოლოების დართვა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს დავწევი, დავდევი, გავცევი და მსგავსი ზმნების ანალოგიით<sup>29</sup>.

ინ-ენიან ვნებითი გვარის ზმნებს წყვეტილისა და კავშირებითი მეორის მრავლობითში, სხვა აღმოსავლური კილოების მსგავსად, ძვ. ქართულის ნორმის მიხედვით -ენ, -ნ სუფიქსი უჩნდებათ; მაგ.: დავიღუპენით, დავიმაღენით, გავიხიზნენით, დავილაპარაკენით, დავეცენით, ჩავეწერენით, დავემზადენით, ეცადენით, შევეყრენით და სხვ.

ასეთ შემთხვევაში კავშირებითი მეორის საწარმოებლად ი-ს ნაც-

<sup>27</sup> გ. როგავა, აორისტისა და კავშირები-ი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, № 8, 1945, გვ. 647—655.

<sup>28</sup> ა. ნ. ჩიქობავა, ჰანურას გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილი, 1936, გვ. 137.

<sup>29</sup> ვ. თოფურია, ქართული... გვ. 143.

ვლად ე გვევლინება; მაგ.: შივრებიანა (მშივრები უნდა) და ვ ი ხ ო ც-  
ნ ე თ ო; მოდი გა ვ ი პ ა რ ნ ე თ ო...

-ენ-ის თაობაზე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა-  
დასხვა მოსაზრება. ა. შანიძის აზრით, ეს სუფიქსი იგივეა, რაც ძვ.  
ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის გამომხატველი -ენ  
>ნ ნაწარმოებელი, რომელიც ზმნას კონვერსიის დროს გადმოჰყვა  
ვნებითში<sup>40</sup>. ვ. თოფურიას ვარაუდით კი, -ენ წარმომოხმობით სუბიექტის  
მრავლობითობის გამომხატველი უნდა იყოს<sup>41</sup>.

ხმოვანზონაცვლე -ევ-თემისნიშნაან ზმნებს წყვეტილში სუფიქ-  
სისეული ვ ზოგჯერ შენახული აქვთ; მაგ.: წავაქცივე, დაჯვარბივეს,  
შემოგვიტრია, შემოგვესივა. გაურივა (შდრ. ორი კაცი გავიყოლივეთ).

კავშირებითში ი ყ ო ზმნა ვე დაბოლოებით გვევლინება; მაგ.: აქნა  
ვ ი ყ ვ ე; შოთა უნდა ი ყ ვ ე ს; დღეს არ ი ყ ვ ე ს; სუ შენი ი ყ ვ ე ს;  
გამარჯვებული უნდა ი ყ ვ ე თ.

წყვეტილში ზ ა რ დ ფუძე შეკუმშულად წარმოგვიდგება მესამე  
პირის მხოლოდობითსა და მრავლობითში. ფუძის კუნშვასთან ერთად  
ჩვეულებრივ თანხმოვანი რ-ც იკარგება; მაგ.: კაი ვაუკაცი გ ა ი ზ დ ა;  
კვიცი გ ა ი ზ დ ა; ესენი გ ა ი ზ დ ე ნ: როცა და ი ზ დ ე ნ...

როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვშია ან კრებითი სა-  
ხელია (სულ ერთია, იგი ვინ კატეგორიისა თუ ნივთისა) წ ა ი ყ ვ ა ნ ა  
ზმნას ენაცვლება წ ა ა ს ხ ა; მაგ.: იჭიდან წ ა მ ო გ ვ ა ს ხ ა გემით ფოთ-  
ში; ბოვშევი სხვაგან წ ა ა ს ხ ა; სამი ქალიშვილი წ ა ა ს ხ ა.

აღამიანზე ითქმის აგრეთვე ვარეკა, გაატანა: ჩვენი ხალხი იქი-  
დან გ ა რ ე კ ე ს... გ ა მ ა მ ა ტ ა ნ ე ს ჯარის კაცები.

გ ზ ა დამატებად გვევლინება ვ ი ა რ ე თ ზმნასთან: სამი თვე გ ზ ა  
ვ ი ა რ ე თ.

ს მ ა ფუძის შენაცვლება ლ ე ვ ფუძით ნაკვთთა სათანადო ფორ-  
მებში არ ხდება; მაგ.: ყველამ ს ვ ე ს, ჭამეს; წავიყვანა, გ ვ ა ს ვ ა და  
გვაჭამა; წყალი მეც მ ა ს ვ ი! მალარიჩ მე გ ა ს მ ე ვ ო!

ფუძემონაცვლე ზმნები ც ქ ე რ ა, ყ უ რ ე ბ ა და შე ხ ე დ ვ ა,  
როგორც ცნობილია, ყველა ერთნაირი მნიშვნელობისაა, ოღონდ პირ-  
ველი ორი უსრული ასპექტისაა, შე ხ ე დ ვ ა კი — სრულისა<sup>42</sup>. ჯავა-  
ხურში სამივე შემთხვევაში ც ქ ე რ ა იხმარება. წყვეტილსა და კავ-

<sup>40</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები..., გვ. 446.

<sup>41</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ვნის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიშნში ქართულში,  
ივე, V, გვ. 524.

<sup>42</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 511.

შირებით მეორეში იგი მო-, გა-, შე- ზმნისწინებს დაირთავს და, ამგვარად, სრული ასპექტის მნიშვნელობას იღებს, აწმყოში კი ვნიანი ვნებითის სახით გვევლინება; მაგ.: გოგომ მოციქირა; იქით გადოციქირა; შეეციქირა სახეზე; გაიციქირე აკოშკიდან! უკან არ მოციქირაო!... ვერ მეციქირება; შენ გეციქირება...

წყვეტილის მესამე პირში გვხვდება ზმნის ფორმა ანახვა, რომელშიც ვთანხმოვანი მასდარიდან ჩანს გადმოყოლილი: ანახვა ბეჭედი.

წყვეტილის წართქმით ბრძანებითის მეორე პირში შეხედვა ზმნა შე- ზმნისწინს ზოგჯერ არ დაირთავს: ჰალა ხედე, როდი უნდა ისწავლონ!

ქერ-ის ნაცვლად ყოველთვის ქარ ფუძეა დაცული წყვეტილის პირველსა და მეორე პირში. თავი მოვქარ; თავი მოშქარი; ოთხათ გავქართ; დავაქარი ერთი ტკაველი; ასე გადაუქარი ბატონსა.

ზმნა შეჰკითხა იწარმოება ჰკითხავს გარდამავალი ზმნისაგან (და არა ვნიანი ვნებითისაგან) და ამიტომ მასთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვეშია; მაგ.: ცოლმა შეჰკითხა, როგორ მიგილოო? შეჰკითხა, სად მიდიხარო? იმათ შეჰკითხეს, ვისი შვილი ხარო? იმ ხალხ შეჰკითხეო! უნდა შეგკითხოთ!

ფუძემონაცვლე ქმნა ზმნა წყვეტილში ბოლოკიდური -ის ნაცვლად პირველ და მეორე პირში სისტემებრ -ე-ს დაირთავს: ვქენე, ჰქენე ქენე, ვქენეთ, ჰქენეთ ქენეთ; მაგ.: ეს რა ვქენე? შენ რო ეგ სიკეთე ჰქენე; ნახევარი მარილი ქენე და ნახევარი პური ფქვილი! რაც ვქენეთ, არ დავთმობთო! მყოფადის წრეში მისი მონაცვლე ზამ ფუძე იხმარება, რომელიც ობიექტური წყობის სასხვისო ქცევის ფორმით, როცა სუბიექტი III პირის მრავლობითშია, ასეთ სახეს იღებს: მიზმომენ || მიზმონენ, გიზმომენ || გიზმონენ, უზმომენ; მაგ.: ვერაფერ ვერ მიზმომენ; შენ ვერაფერ ვერ გიზმომენ... მაშინ ვერაფერ გიზმონენ; ისინი რას მიზმონენ?

სუბიექტური წყობისას ხოლმეობითში გვექნება: ვიზემდი, იზემდი, იზამდა; უწყვეტელში: ვიზმორდი (ვიზ-ამ-ოდ-ი), იზმორდი, იზმორდა.

დაეხვია ზმნა წყვეტილში -ის არ დაირთავს, კავშირებით მეორეში ნიშნად ე-ს მიიღებს; ფუტკრები დეეხვა; ქვაყანა რო დეეხვეს, ვერ უზამს.

ადგილი აქვს კავშირებით მეორის მაწარმოებელ ხმოვანთა შენაცვლებას. მოსალოდნელი -ა-ს ნაცვლად გვხვდება ხან -ო, ხან -ე; მაგ.:



დაანდო, რაგორ უნდა შეეპყროს; გინდ დაიწვე, არნა დაიყვირო!

ენებითი გვარის ზმნა, რომელიც ნ (<-ენ) სუფიქსს დაირთავს კავშირებითი მეორის მრავლობითში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ო-ს მაგიერ ე-ს მიიღებს; მაგ.: მოდი, ამ კაც გამოვეცხადნეთ; ჩვენ უნდა გავიყარნეთ! (შდრ. მოდი, დავიჭიდნოთ!).

თხოვნითი ბრძანებითი. ჭავახურში მტკიცედ დაცულია მეორე პირის ბრძანებითი, რომლის გადმოსაცემად გამოყენებულია კავშირებითი მეორის სათანადო ფორმები სამივე (-ო, -ე, ა-) მაწარმოებლით<sup>43</sup>. ამ ფორმას ბრძანებითთან ერთად ყოველთვის თხოვნის მომენტიც ახლავს და ამიტომ მას თხოვნითი ბრძანებითი ეწოდება; მაგ.: ვახტანგ, დაიჭირო ცხენი და წახვიდე! ერთი ვედრა მათხოო! გოგო, მოიტანო წყალი! წყალი უნდათ, მოხვიდე, გამოუტანო! დეიდა ნინო, ერთი თეფში მამცე! მარუს ძალო, ერთი ფოცხი მამცე! მობრძანდე, პური მიირთვა!

იშვიათად ასეთი ბრძანებითი ნახმარია აგრეთვე პირველ პირისადმი; მაგ.: კოლა ბიძა, ზღვი მარხილი მამცე! — ვიყიდო და მოგცე!

თხოვნითი ბრძანებითი დამახასიათებელია განსაკუთრებით მთის კილოებისათვის. მის გამოსახატავად აქ გამოყენებულია მეორე ხოლმეობითი<sup>44</sup>. თუშურში სათანადო ფორმას დამატებით დაერთვის სპეციალური ნაწილაკი -ღ (<-ღა)<sup>45</sup>, ხოლო ფშაურში ამავე დანიშნულებით ხოლმეობითთან ერთად იხმარება აგრეთვე ოღ-ე სუფიქსით ნაწარმოები კავშირებითის ფორმები<sup>46</sup>.

თხოვნითი ბრძანებითის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით ჭავახური უფრო ახლოს დგას ინგილოურთან იმ მხრივ, რომ იქაც ამ ფუნქციით კავშირებითი მეორეა გამოყენებული; მაგ.: მამცო, მოხუდო, მაგლო, ჩოტნო, მაგტანო და სხვ.<sup>47</sup>.

განოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ფაქტები კალკირებაა აზერ-

---

<sup>43</sup> ა. მარტიროსოვი, ჭავახურის შესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 295.

<sup>44</sup> ა. შანიძე, სუბიექტურა პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, § 68, მისივე, ქართული კილოები მთაში, კრებული იე. ჭავახიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1915, გვ. 196; ალ. ჭინკარაულთა, ხევსურულის თავიებულებანი, გვ. 109, 111.

<sup>45</sup> თ. უთურვაიძე, თუშური კილო, გვ. 50.

<sup>46</sup> გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, გვ. 82, 83.

<sup>47</sup> გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავიებულებანი, გვ. 120.

ბაიჯანული ენის პირობითი კილოსი, რომელსაც მეორე პირში თხოვნა-ბრძანების ემოციურ-ექსპრესიული ა ნაწილაკი დაერთვის<sup>48</sup>. ინგილო-ურთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ქართული ენის სხვა დიალექტების ვითარებასაც, სადაც ფართოდ არის გავრცელებული კავშირებითისა და ხოლმეობითის ფორმები ამგვარი სემანტიკის გადმოსაცემად, წამოყენებული დებულების გაზიარება გაჭირდებოდა.

მესამე სერია. მესამე სერიიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს თურმეობითი პირველის ცნობილი თავისებური წარმოება. ავ-იანი და ამ-იანი ზმნები მეტწილად არ ინარჩუნებენ თემის ნიშნებს და, სხვა დანარჩენი ზმნების მსგავსად, ი-ა დაბოლოებას დაიერთავენ; მაგ.: სიზმარი უ ნ ა ხ ი ა; ვინაობა უ კ ი თ ხ ი ა; სახში და ა უ მ ა ლ ი ა; ჭალა უ თ ი ბ ი ა; რჯული შ ე უ ნ ა ხ ი ა თ... ცოლისთვის უ თ ქ ე ი ა; ცხენი ი ქ დ ა უ ბ ი ა.

ავ-იან და ამ-იან ზმნათა ასეთი წარმოება, როგორც ცნობილია, მეტნაკლებად თითქმის ყველა დიალექტშია გავრცელებული. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული ენის ფუძე დიალექტებზე — ქართლურსა და კახურზე, საიდანაც ეს ყალიბი სალიტერატურო ენაშიც არის შეღწეული<sup>49</sup>. ამგვარი წარმოების ასე ფართო მასშტაბით გავრცელებას, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა სპეციალურ ლიტერატურაში, ხელს უწყობს ენის განვითარების ცნობილი ტენდენცია — ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმა დაიყვანოს ერთ ფორმამდე, უნიფიკაცია უყოს<sup>50</sup>.

მესამე სერიის ფორმათა წარმოების კიდევ ერთი ცნობილი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თურმეობით პირველსა და მეორეში არც ისე ხშირად, როგორც ეს კახურსა და ქართლურშია, დაჩნდება ხოლმე -ნ; მაგ. ვერ გაუბედნია, ვერავის უომნია, სუ გაუტაცნია, თავისთუნ უყიდნია, ღვინო დაუღვევნიათ, მეზობლებს დაუძახნიათ, შენთვის დაგვილოცნია... რო არავის დეენახნა, ნონეს ეკითხნა და სხვ.

არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს -ნ (<-ენ), რომელსაც ზოგჯერ ძვ. ქართულშიც ვხვდებით, ხოლო XV საუკუნიდან მოკიდებული ხშირად იხმარება ქართლურ-კახური წარმოშობის ისტორიულ საბუ-

<sup>48</sup> В. Джангидзе. Ингилойский диалект в Азербайджане...

<sup>49</sup> არ ნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, თურმეობითი, პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 128.

<sup>50</sup> ე. თ. ფ. უ რ ი ა, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, VII, 1955, გვ. 458.

თებსა და, საერთოდ, გავრცელებულია სალიტერატურო ენაშიც, ზმნური ფუძის ისეთივე მაწარმოებელი სუფიქსია, როგორც -ან, -ონ, -ევ, -ებ და სხვა, გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში (ზღრ. შოუმატ-ნ-ია და მოუმატ-ებ-ია, დაუპატიე-ნ-ია და დაუპატიე-ებ-ია და ა. შ.). თავდაპირველად იგი დამახასიათებელი იყო ერთი ტიპის ზმნებისათვის, რომელთა ანალოგიით შემდეგში სხვაგანაც გავრცელდა<sup>51</sup>.

თურმეობითი პირვილის წარმოების ცალკეული შემთხვევებიდან აღვნიშნავთ შემდეგს: ერთხელ შეგვსვდა ამ-იანი ზმნა თემატური სუფიქსითაც და -ი(ა) ნიშნითაც. ამ უკანასკნელს სუფიქსისეული ხმოვნის რედუქცია გამოუწვევია: ისროლეს, ქულში მოურტყმიათ.

თურმეობითი პირველით ზოგჯერ გადმოკეტილია წყვეტილის შინაარსი; მაგ.: ღმერთან ახტქმა მიმიციია; მამი, კაი რამე მიყიდიია?

დავასახელებთ ასეთ თავისებურ ფორმებსაც: ერთი საპანე ღვინო მიქქონებიია... ზავშეები ურემზე სხლომილან (მსხდარან).

განსაკუთრებით ზღაპრების მოყოლის დროს ხშირად ადგილი აქვს მყოფადის ფორმების გამოყენებას წყვეტილის მნიშვნელობით; მაგ.: ივლის, ივლის ეს ბიჭი და მივიერთ ქალაქში; საი მივიამ კაცთან, ეტყვის: ადგებიან ესენი და მოვლენ ხელმწიფესთან; ესენი წაიღებენ პურს, მივლენ ბინაზე; ძმები წავლენ. დაათვალიერებენ სამადლოს; გამობრუნდება ბეჟანი და წამოვია, მოვაროსტომთან; ეს ქალი დაბრუნდება და ეტყვის ამ ბიჭსა<sup>52</sup>.

ასევე ხშირია კავშირებითი მეორის გამოყენება მყოფადის მნიშვნელობით; მაგ.: შენ დარჩი აქა, მე წავიდე, ცხენი მოვიყვანო, რო თევზი წავიღოთო; თუ გიყვარს, გამიღე კარი და გიპასუხო; ჩემ ამხანაყ უთხარი: აჰა, სერგოჯან, მე წავიდე, პატარა პური ჩამოვიტანო-მეთქი; ვიდრე იმან გზა გაიტანოს, ჩვენ ავიღებთ მანძილს; თუ გამოვიცანით, გამოვიცანით, თვარადა მაშინ დაგვხოცოთო; ოღონც მე შვილი მაპიყვია, რაც გინდა მოქციე; ოღონდაც შვილი გამიჩინე, აღარსაც არ ვიომო, აღარსად ვიქიდაო.

<sup>51</sup> ივ. ქავთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში, ივე, VII, 1955, გვ. 74.

<sup>52</sup> თხრობის პროცესის თანმიმდევრობა რომ არ დაირღვეს, მთხრობელს უხდება შიგადაშიგ შენიშვნები გააკეთოს: მაგან მანდ იომოს; ვნახოთ რას შერებთან მაგის ამხანაგები; ვართმა იქ იგულაოს, ეხლა გვივოთ მანუშაყის ამბავი.

ვნებითის ფორმები. ვნებითის წარმოებიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს პრეფიქსულის ნაცვლად სუფიქსური წარმოება. ეს ეხება გამგზავრა ზმნას, რომელიც ჩვეულებრივ ვნებითის ნიშნად ღ-ს მიიღებს; მაგ.: გამგზავრდა ბიჭი; ჯართ გამგზავრდა; გამგზავრდენ თავეთ ქვეყანაში.

ორპირიანი ენიანი ვნებითის ნაცვლად გვხვდება დონიანი ვნებითის ასეთი ფორმები: ეს ქალი დამორჩილდა; ბოლოს ისიც დამორჩილდება (ზღრ. დაემორჩილა)... ამას დათანხმდა ბეჟანი (ზღრ. დაეთანხმა); ქალი არ დათანხმდა; ბოლოს დათანხმდენ; დასთანხმდა ქმარი ცოლს.

ერთმანეთის მონაცვლედ იხმარება გვეჭირვება და გვეჭირდება: ეს კაცი ჩვენ გვეჭირვება — ეს მანქანა კოლმეურნობას ჭირდება.

ამგვარი ფაქტები სხვა დიალექტებიდანაც ცნობილია და, რაც მთავარია, სალიტერატურო ენისთვისაც არ არის უცხო. ვნებითი გვარის წარმოების ისტორიულ ასპექტში განხილვის შედეგად გარკვეულია, რომ წყება ვნებითებისა, ძველ ქართულში რომ პრეფიქსებით იწარმოება, თანამედროვე სალიტერატურო ენაში სუფიქსური წარმოებისაა, რაც ამ უკანასკნელის თანდათანობით გაბატონების ტენდენციაზე მიუთითებს<sup>53</sup>.

დონიანი ვნებითი გვარის ზმნა მიუახლოვდა ქცევის ნიშანს უ-ს არ დაირთავს და ერთპირიანის ფორმით გვევლინება; მაგ.: რომოახლოვდენენ, სახში მიიყვანა; როცა მიახლოვდენენ, ბიჭი ამოიკრა; მიახლოვდენენ იმ ქალს; რომცა რომოვახლოვდით სახემწიფო გზასა...

ერთადერთი ზმნა შეგვხვდა, რომელშიც მოსალოდნელი დონის ნაცვლად ვნებითის ნიშნად ინი არის ნახმარი: სოფლის ხალხი მოინგვრა; ყველანი მოინგვრენენ (მოგროვდენენ); სამივე შეინგვრა.

თვრება ზმნის ვნებითი ი- პრეფიქსით იწარმოება: დაატყო, რომითვრება; ამასობაში კარგა დაითვრა; დალია კრუშკა, დაითრო.

პარალელურად გვხვდება ინიანი და ენიანი ვნებითის აწმყოს III პირში ასეთი ფორმები: იწვის — იწვება, ეკუთნის — ეკუთნება, ეკითხვის — ეკითხება.

<sup>53</sup> ლ. ნოზაძე, პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 11, 1961, გვ. 68.

კ ა მ ს ზ მ ნ ის ა გ ა ნ თ ა ვ ის ე ბ უ რ ა დ ა რ ის ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ო ნ ი ა ნ ი ვ ნ ე ბ ი თ ი ე ი - კ მ - ე უ ლ - ა ; მ ა გ . : ა ქ ი კ მ ე უ ლ ა , ი ქ ი კ მ ე უ ლ ა დ ა ტ ბ ის ბ ო ლ ო შ ი გ ა ვ ი დ ა ლ ო რ ი .

ს ა ი ნ ტ ო რ ე ს ო ა გ რ ე თ ე ე ა ს ე თ ი ფ ო რ მ ე ბ ი : ძ ა ლ ლ ი ი ე ყ ე ფ ე ბ ა — ძ ა ლ ლ ი ე ყ ე ფ ე ბ ა ა მ ხ ე ს ა ; რ ც ხ ვ ე ნ ი ა ნ — ე რ ც ხ ვ ე ნ ე ბ ა , მ ო კ ე დ ა — მ ო ი კ ლ ა .

ქ ც ე ვ ა . ჯ ა ვ ა ხ უ რ შ ი დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა მ თ ე ლ ი წ ყ ე ბ ა ზ მ ნ ა თ ა ს ა თ ა ვ ის ო დ ა ს ა ს ხ ვ ის ო ქ ც ე ვ ის ფ ო რ მ ე ბ ის ა , რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ა შ ი ჩ ე უ ლ ე ბ რ ი ე არ გ ე ხ ვ დ ე ბ ა ა ნ , თ უ გ ე ხ ვ დ ე ბ ა , ის ე თ მ წ ე რ ლ ე ბ თ ა ნ , რ ო მ ლ ე ბ ი ც თ ა ვ ი ა ნ თ ნ ა წ ე რ ე ბ შ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ის ა თ ვ ის დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ფ ო რ მ ე ბ ს ა ც მ ი ნ ა რ თ ა ვ ე ნ .

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ს ა თ ა ვ ის ო ქ ც ე ვ ის ა თ ვ ის :

დ ა პ ა ტ ი ე ე ბ ს — დ ა ი პ ა ტ ი ე ე ბ ს : ხ ე ლ მ წ ი ფ ე მ დ ა ი პ ა ტ ი ე ა : ჩ ვ ე ნ ი ხ ე მ წ ი ფ ე დ ა ვ ი პ ა ტ ი ე ო თ ო ; მ ი ნ დ ა ჩ ვ ე ნ ი ქ ა ლ ე ბ ი დ ა ვ ი პ ა ტ ი ე ო .

გ ა მ ო ა თ რ ე ვ ს , გ ა დ მ ო ა თ რ ე ვ ს — გ ა მ ო ი თ რ ე ვ ს , გ ა დ მ ო ი თ რ ე ვ ს : ე რ თ მ ა გ ა მ ა მ ი თ რ ი ა ა ქ ე თ დ ა ი მ ა ნ გ ა დ ა მ ა რ ჩ ი ნ ა ... მ ხ ე დ ა ვ ი ს ა წ ო ლ თ ა ნ მ ო ვ ი დ ა დ ა ძ ი რ ს გ ა დ მ ო მ ი თ რ ი ა .

გ ა ა ქ ც ი ა , გ ა მ ო ა ქ ც ი ა — გ ა ი ქ ც ი ა , გ ა მ ო ი ქ ც ი ა : თ ა თ ა რ მ ა რ ო გ ო რ გ ა გ ი ქ ც ი ა თ ო ? მ ი რ ა მ ლ ი ე ვ ე ნ ი გ ა მ ო ი ქ ც ი ე ს , ა მ ბ ა ვ ი მ ო ვ ი დ ა .

გ ა რ ე კ ა ვ ს — გ ა ი რ ე კ ა ვ ს , დ ა ი რ ე კ ა ვ ს : გ ა ვ ი რ ე კ ე თ ს ა ქ ო ნ ე ლ ი ; ე რ თ ღ ღ ე ს გ ა ი რ ე კ ე ს ნ ა ხ ი რ ი ; თ ა თ ა რ ი დ ა გ ვ ე ს ხ ა , გ ა გ ვ ი რ ე კ ა დ ა ს ო ფ . თ ო კ შ ი გ ა ე ე დ ი თ ... მ ო უ ა რ ა ე რ თ მ ა ვ ე რ ძ მ ა დ ა დ ა ი რ ე კ ა ც ხ ვ ა რ ი .

გ ა ტ ე ხ ს — გ ა ი ტ ე ხ ს ( პ უ რ ს ) : ე რ თ ი პ უ რ ი ც ჩ ვ ე ნ გ ა ვ ი ო ტ ე ხ ე თ .

დ ა ა ტ რ ი ა ლ ე ბ ს — დ ა ი ტ რ ი ა ლ ე ბ ს : დ ა ი ტ რ ი ა ლ ე ს ე ს თ ა თ ა რ ი დ ა კ ა ი ღ ღ ე დ ა ა ყ ე ნ ე ს .

დ ა ი ნ ე ბ ი ე ბ ს ( დ ა ის ა კ უ თ რ ე ბ ს ) : ე ვ ჩ ე მ ი ბ ა ლ ი ი ე ყ ო , მ ა გ ა ნ დ ა ი ნ ე ბ ი ა .

შ ე ი ხ ვ ე დ რ ე ბ ს : ე ვ ე , გ ა მ ო ვ ე ლ ი დ ა შ ე გ ი ხ ვ ე დ რ ე !

შ ე მ ო ა ძ ვ რ ე ნ ს — შ ე მ ო ი ძ ვ რ ე ნ ს : პ ე რ ა ნ გ შ ი შ ე მ ო ი ძ ვ რ ე ნ ს .

ნ ა ხ ა ვ ს — ი ნ ა ხ ა ვ ს : ქ ა ლ ა ქ კ ა რ ქ ა გ ა ს ც ი ლ დ ა , ი ნ ა ხ ა , რ ო ჯ ი ბ ე შ ი რ ა ლ ა ც ქ ე ს ა ა მ ძ ი მ ე ბ დ ა .

ი . პ რ ე ფ ი ქ ს დ ა ი რ თ ა ვ ს ა გ რ ე თ ე ე დ ა ი კ ე ი რ დ ა , ი უ ფ ლ ო ნ , ი მ ღ ე რ ს ზ მ ნ ე ბ ი , მ ა გ რ ა მ ზ ო გ ა ჯ ე რ კ ო ნ ტ ე ქ ს ტ ი დ ა ნ ნ ა თ ლ ა დ არ ჩ ა ნ ს

სათავისო ქცევის შინაარსი: ხენწიფე რო დაჯდა პურის საკმელათ, და-  
იკვირდა, ბეჭედი არა აქს; მერე დაიკვირდა ხელზე, იცნო ბე-  
ჭედი... დღეის იქით უნდა იუფლონ! (დაისაკუთრონ!): ეს ალაგი თქვენ  
უნდა დაგიტვიოთ და იუფლოთო! (შდრ. დიდი მიწა-წყალი ექი-  
რათ და უფლომდნენ)... კარგი ხმით ქალი იმღერის.

როცა ობიექტი მრავლობითშია, „ხელში ჩაიგდებს“ ზმნის ნაცვ-  
ლად „ხელში ჩაიყრის“ იხმარება: ესენი ისევ ჩაიყარეს ხელ-  
ში; ვაი თუ ხენწიფემ ჩაგვიყარა ხელში და დაგვხოცაო!

მაგალიტები სასხვისო ქცევისათვის: მალე ეს ქალი შემირთეო!  
ერთი კაი ირემი შეუხვდა და მოკლა; იქლომი არი, გზაში შე-  
გიხვდება; ქალი არ გამიქციოსო! ბოლოს უკან დაგვიბ-  
რუნლა თათარი, ერთი ეგტოტი მამიწოდე; მე როგორ მოურ-  
ჩი (აღაურჩი) ამათაო! ვაი, ვასო მოუკვიდეო! უკმე ხარკა-  
მეჩეფაო!

მოსპობს ზმნა ზმნისწინის შემდეგ აპრეფიქსს დაირთავს,  
რომელც სხვა (მოსალოდნელ) შემთხვევაში არა ჩანს; მაგ.: შენ უნა  
მოგასპობს; მეც მამკლამს და თქვენც მოგასპობთ; შდრ. რა-  
მეს რაგსაჩუქრებსო; რომელმაც დადალატოს, მისი ხე-  
ლით მოკლეს! ზურგზე შემჯექ და წავიდეთო!

კაუზატივის წარმოება. ჯავახურში კაუზატივის ცნობილი სამივე  
მაწარმოებელია გამოყენებული, მაგრამ ძირითადად მაინც -ის სუფიქ-  
სი უნდა ჩაითვალოს; მაგ.: დააბნევიანება და ფერხულ: ვერაფე-  
რი ვერ ვაკისრინე; შენი ქალიც ეგრე გაათხოვიანე! თავის-  
თან აწყოფინებს; წამალი ასუნიანე და გააცოცხლე; ასუნიანა  
და გააცოცხლა; დააწერინანს, წყალს დააღვევიანედე! ამალამ  
შენთან გაგვათიებიანე! (მიღებულია ორ ხმოვანს შორის ვ-ს  
ამოღებით და შემდეგ დისიმილაციით: გაგვათევიბინე > გაგვათევი-  
ნე > გაგვათიებიანე).

-ის სუფიქსი როცა ნ-ზე დასრულებულ ფუძეს დაერთვის, ამ უკა-  
ნასკნელის ნ ვ-დ იქცევა ხოლმე; მაგ.: წყალი მოატავიანე! გოგომ  
არბევიანა, ცხრა მთას იქით გადაარბევიანა.

-ევ მაწარმოებელი, რომელიც თანამედროვე სალიტ. ენაში თითო-  
ოროლა ზმნას მოუღის, ჯავახურში ერთადერთ ქამს ზმნაში იხმა-  
რება; მაგ.: მგელითუნ ცხვარი შეუკმევიანათ; შენი ხარი მოსულა  
და შეგიკმევიანათ!

რთული -ევ-ის სუფიქსის დართვისას სუფიქსისეული ვ შეიძლება  
დაიკარგოს; მაგ.: რა ვქნა, თავი მოვაკლებინო? (შდრ. სარეცხ  
დავადგმევიანამ).

ყურადღებას იქცევს რამდენიმე ზმნის ფორმა, რომელიც არც ერთ მწარმოებელს არ დაირთავს, მაგრამ მნიშვნელობა კი გარკვეულ კონტექსტში კაუზატივისა აქვს. ერთადერთი, რაც ანგვარ წარმოებასთან არის დაკავშირებული, ეს ა- პრეფიქსია; მაგ.: დიდ ვანოს და ვ ა ძ ა ხ ა მ (დავაძახებინებ); ხენწიფემ დალალი და ა ძ ა ძ ა ხ ა; სტუნარს შ ე ა ხ ე დ ა მ ს (შეახედებინებს) თავალაზე; ესენი და ა ა ჯ ე რ ი ა (დააჯერებინა).

ჯავახურში მეტად გავრცელებულია ჯ დ ო მ ა და ს ხ დ ო მ ა ზმნათაგან -უნ სუფიქსით (ზოგჯერ ა- პრეფიქსთან ერთად) გარღამავალი ზმნების წარმოება; მაგ.: თარქზე შ ე მ ი ჯ დ უ ნ ა; ცოლშვილი შ ე უ ჯ დ უ ნ ე უ რ ე ზ ე; ისინი შ ე უ ჯ დ უ ნ ე უ რ ე ზ ე და წამოვიყვანე; და ა ა ჯ დ უ ნ ა თავი ძმა (შდრ. მარჯვენა ხარეს მზე მ ე ჯ დ უ ნ ა)... ეს ორი ბავშვი და უ ს ხ დ უ ნ ე და წამოველი; ესენი და ა ს ხ დ უ ნ ა და დაათრო.

ჯ დ ო მ ა ზმნისაგან საარვისო და სათავისო ქცევის ფორმები -ენ (წყვიტილში -ინ) სუფიქსით იწარმოება; მაგ.: ხარზე შ ე ა ჯ დ ე ნ ს სიძეს; და ა ა ჯ დ ი ნ ე ს ხენწიფეთ; თარქზედ შ ე მ ო ი ჯ ვ დ ი ნ ა.

6. სიტყვაწარმოება. ჯავახურში სიტყვაწარმოების იგივე მოდელები და საშუალებები გაცოცხლებული, რაც სალიტერატურო ჭართულ ენას ახასიათებს, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება მნიშვნელობით განსხვავებული და თავისებურად წარმოქმნილი სახელებიცა და ზმნებიც.

კნინობით-მოფერებითი სიტყვაწარმოება ერთფეროვანია. ამ დანიშნულებით გვხვდება უნთავრესად -ა სუფიქსი როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებთან; მაგ.: მავას გ ი ო რ გ ა ჰგონია; ალექსას ეჭავრა; ალექსა მოვა... ტყი ვ ა შ ლ ა მოკრიფა; ერთ ბ ი ლ ი კ ა გზას დავადექით. ამ უკანასკნელში -ა შეიძლება მაადიექტივებელი ფუნქციისა იყოს.

სამი ვარიანტით დასტურდება მ ა რ ტ ო: მარტოკინა||მარტოკენა||მარტოკანა; მაგ.: აქ მ ა რ ტ ო კ ი ნ ა რ ა ვქნა? მ ა რ ტ ო კ ი ნ ა ეწყინება... დავრჩი მ ა რ ტ ო კ ე ნ ა; არ შეიძლო მ ა რ ტ ო კ ე ნ ა გავლა... მ ა რ ტ ო კ ა ნ ა ს ვერ დატოვებდნენ; მ ა რ ტ ო კ ა ნ ა ვერ ამოვიდა...

ადამიანის სადაურობის საწარმოებლად ჩვეულებრივ -ელ სუფიქსია გამოყენებული. ზოგან გვხვდება ორმაგი (-ურ+ -ელ სუფიქსიც): სადაურელია? აქ ა უ რ ე ლ ი ყოფილა; რა ვიცი, სა და უ რ ე ლ ი ვარ? ასევე, შესაძლოა, ორმაგი, ოლონდ იდენტური (-ელ+ -ელ) სუფიქსი გვქონდეს ასეთ შემთხვევაში: ა გ ა რ ლ ე ლ ი (<აგარა) ქურთები. მაშინ ჩანართი ლ (<-ელ) ფუძისეულად არის გაგებული.

ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად ზოგჯერ საზოგადო სახელი ან ქვეყნის სახელი იხმარება სათანადო სუფიქსის გარეშე; მაგ.: სხვა სოფლები (=სოფლები, სოფლის მცხოვრებლები) გაიქცნენ... ბევრი სპარსეთი (=სპარსელი) გაწყვიტა...

უცხო წარმოშობის სუფიქსი -სტან შეგვხვდა როგორც ქვეყნის აღსანიშნავად, ისე სადაურობის გადმოსაცემად; მაგ.: გამოიარა აბაბისტანი... სპარსეთზე რო გაიმარჯვამს ჰერეკლე, იქ ინგილოსტანი... (=ინგილოელი) გოგო იქნება.

ხელობის აღმნიშვნელი პრეფიქს-სუფიქსები მე—ე და მე—ურ დაერთვის ისეთ სახელებს, რომელთაც საწარმოებელ ფუძედ სალიტერატურო ენა არ იყენებს; მაგ.: გემი მიდიოდა სხვა ქვეყანაში, მივიდა მეგემეს უთხრა (შდრ. გზაზე სამი შენადირე შეხუდათ)... მეტყუერი (=მეტყევე) წავა და შეშას მოიტანს; იქ მეტყუერი ბი დახვდებიან.

ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით თავისებურია აგრეთვე -იერ სუფიქსით წარმოქმნილი ასეთი სახელები: დაჯოგდა ცხოვიერი (ცოცხალი არსება); მცოდნიერები იმტელი არიან, რო... ოჯალის ნივთიერებაც (=საოჯახო ნივთები) ერთიან ჩამოგვართვეს. გვხვდება ამ სუფიქსის მეორე ვარიანტი -იარ; მაგ.: თვინიარი ბიჭები აურჩია; შიარარ ვატარამ (შდრ. დარჩა შიერი); შვენიარი ბოვშეები ყამს (შდრ. შეენიერი).

არის ტენდენცია განყენებულ ცნებათა საწარმოებლად -ობა სუფიქსი გამოყენებულ იქნეს იქაც, სადაც -ება არის მოსალოდნელი; მაგ.: მხიარულობა დავიჭიროთო; პატროსნობა გამოიჩინა; იცხოვრეს სიამოვნებით (შდრ. აგრეთვე: სიყვარულობა). -ობა სუფიქსით ნაწარმოები ზოგი სახელი კონკრეტული მნიშვნელობის მქონეა. ასეთია, მაგალითად, კაცობრიობა (=კაცები): ქალიშვილებს არ გერიდებათ კაცობრიობისა; არავის არ ეშინიან არც კაცობრიობისა და არც არავისგან (სხვა მაგალითები იხ. აქვე, გვ. 55).

ბრიგადა სიტყვისაგან -ელ სუფიქსით იწარმოება ბრიგადელი; მაგ.: ერთი ბრიგადელი მოვიდა; ბრიგადელმა თან წაიღო.

-ელ სუფიქსის ადგილას გვხვდება -ულ: გუშინ დული ამბავი არ მახსონს; უდარდული კაცია...

მო-ქმ-ედ-ის მსგავსად ნაწარმოებია მობედო (გაგზავნ-გამოგზავნაზე დასაქმებული, შინამსახური); მაგ.: დარჩება ერთი მობედო ბავშვი.



ვალ ზმნისაგან ვითარებითის -ად სუფიქსის დართვით გვაქვს ვალადი (=ნასიარულევი); მაგ.: ამ ქალაქში ბევრი გივლია, მე კი ვალადი არა ვარო.

ცხვარ ფუძისაგან სა—ე თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილია საცხვრე (=ცხვრის ბინა, ფარეხი), მაგ.: დევმა საცხვრის კარები გააღო.

ღირსი ნაზმნარი სახელისაგან სა- თავსართით ნაწარმოებია საღირსი: ეს ჩემი საღირსი არ არის. სა- თავსართით არის წარმოქმნილი აგრეთვე საკიდი (=სახეღარი, ვირი) და სამემრისი (სამემრისო); მაგ.: კაი საკიდი ჰყამდა თავისი... სამემრისთვის (სამემრისოდ) მეორეთ გაზაფხულზე დაეთესდით.

სა—ის და უ—ის პრეფიქს-სუფიქსის ნაცვლად მხოლოდ პრეფიქსია წარმოდგენილი ასეთ მაგალითებში: საკმარს გამოაცხოფს... უვარგი თუთუნები არიან (შდრ. არვარგი წყალია).

სა—ო პრეფიქს-სუფიქსი ცვლის სა—ე-ს: საფუტკროში წავიდა.

ჩამომავლობისა და გვარის განაყოფთა სახელების საწარმოებლად ჯავახურში გამოყენებულია -ან სუფიქსი, რომელიც -იან-ისაგან მომდინარეობს ი ხმოვნის დაკარგვის შედეგად (ოთარა-ან-ნი < ოთარა-მან-ნი < ოთარა-იან-ნი-ნი); მაგ.: ჰეჰელაანი ყოფილან დიდარი ხალხი; მერმე მოსულან ხეჩუანები (<ხეჩოანები). სოფ. ხიზაბავრაში ამ ფუნქციით მრავლობითის ნათესაობითში იხმარება -თ სუფიქსი; მაგ.: მივიდა დათათ შვილი; შეხვდათ დათათ გვარის კაცი; ჩემი სისხლი მოსთხვიეთ დათათ გვარის კაცსაო; მოიპარება ვენიჯალათ (<ველიჯანათ) ყანიდან და სხვ.<sup>55</sup>

- მრავლობითი რიცხვის -თა||-თ სუფიქსის ეტიმოლოგიურ ძიებასთან დაკავშირებით ამგვარი ფაქტები დამოწმებული აქვს ს. ჯანაშიას<sup>56</sup> დავ. კარიკაშვილისა და ივ. ბუჭურაულის ნაშრომიდან „თუშურს

<sup>54</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 123.

<sup>55</sup> ხიზაბავრის გარდა, ამგვარი წარმოება სხვადასხვა ვარიანტით გ. ბერიძეს დადასტურებული აქვს სოფ. ვარგავეშიც. იხ. მისი ქართული ენის ჯავახური კილო; მაცნე, 4, 1972, გვ. 153.

<sup>56</sup> ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა||-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, III, 1959, გვ. 148.

ლექსებში ნახმარი სიტყვების განმარტება<sup>87</sup>: ქოთილთა განა (განა ქოთილაძე), შველათ კოქაურ (კოქაურ შველაძე), ჩეთათ გიორგაი (გიორგა ჩეთაძე), ბექურათ ქალი (ბექურაძის ქალი), გულუხვათ ბიჭები (გულუხვაიძის ბიჭები). აქვე წარმოდგენილია გვარის განაყოფ შტოთა აღსანიშნავად ახალციხის მაზრის კათოლიკე ქართველებში გავრცელებული სახელები, როგორცაა: ზაქროთი (მანველაშვილების ერთი შტო); გიქორათი (ამავე გვარის მეორე შტო), პეტოთი, კაკაჩათი, როსტიათი და სხვ.

ამგვარი ფაქტებისა და აგრეთვე -ათი, -ეთი, -ოთი, -ოთი და -უთი სუფიქსებით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელთა ანალიზის შედეგად ავტორი ზიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ სუფიქსთა სახით უნდა გვექონდეს ოდესღაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც საფუძვლად დადებული ექნებოდა „ოჯახის“, „გვარის“ ცნება. ასეთია, მისი აზრით, მეგრული სიტყვა თი.

როგორც დაგინახეთ, ჯავახურიდან, თუშურიდან და მესხურიდან ზემოთ დამოწმებული მაგალითები ერთი ტიპისაა. ჩვენ მაინც მიგვაჩინია, რომ ყველა ესენი მიღებული უნდა იყოს ჩამომავლობისა და გვარის განაყოფთა სახელების საწარმოებლად აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული -ანთ სუფიქსის გამარტივებით (დათათ < დათაანთ, ბექურათ < ბექურაანთ, გულუხვათ < გულუხვაანთ), ან კიდევ უშუალოდ თანიანი მრავლობითის ნათესაობითის ფორმას უნდა წარმოადგენდეს.

-ავ და -ებ თემის ნიშნის მქონე ზმნათაგან ვნებითი გვარის მიმღეობა -ულ-ის ნაცვლად -ილ სუფიქსით იწარმოება; მაგ.: აკრილი, შეკრილი, გაკრილი, მოკრილი, ხელფეხშეკრილი, დამალილი, მოკლილი, დაკლილი... შენახილობა, დავიწყებილი (შდრ. დავიწყული), ჩაბრილი, დატოვილი (შდრ. მორთობილი, დადობილი)...

უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ილ-ის ადგილს -ულ სუფიქსი იჭერს; მაგ.: შელესული, დალესული, მოკრეფული, დაგლეჯული, მოხდენული, წაყვანული, აყვანული, მოყვანული, გაჭედული, ატეხული, თვალბდათხრული, გადაცუვენული, დაღალული (უ ხმოვანი ვერ იწვევს წინა ფუძისეულ ა ხმოვნის ამოღებას; შდრ. მოღლილი).

ასეთი წარმოებისას -ებ-იან ზმნებს -ულ სუფიქსი თითქოს უშუალოდ ზმნის მარტივ ფუძეს დაერთვის თემატური სუფიქსის გარეშე; მაგ.: მოტაცული, აკიდული, ჩამოკიდული, დაძახული, დაფიქრული, დაძინული (შდრ. საპონწასვებული) და სხვა, მაგრამ არც ის არის

<sup>87</sup> ძველი საქართველო, ტ. II, გვ. V, გვ. 144.

გამოსარიცხი, რომ ასეთ შემთხვევაში მიმღეობისათვის ამოსავალი იყოს არა ებ-იანი, არამედ -ავ-თემისნიშნისანი ზმნა (მოიტაცავს, აიკიდავს, დაიძახავს და ა. შ.).

ზოგიერთი საშუალი გვარის მიმღეობა -არე სუფიქსის შეკვეცილ სახეობას დაირთავს; მაგ.: დაინაზა ქვაზე მჭდომარი (შდრ. დიდარე კაცი იყო).

სუფიქსების მხრივ თავისებურად არის ნაწარმოები ზოგი ნა-პრეფიქსიანი და მ-არე პრეფიქს-სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმები; მაგ.: შვიდი წლის ნაბმავი (ნაბაზი) ყათირი; ნამტირალები კაცი ვარ... ვერავინ ვნახე ზეზე დგომიერი (შდრ. რადგომიერობა?).

რადგან ხრჩ-ფუძის შენეცველი იხრჩობა ზმნაში რჩეულებრივ იკარგება, ამიტომ ვნებითის მიმღეობის საწარმოებლად მ-არ გვევლინება და არა მისი დისიმილატიური ფორმა მ-ალ; მაგ.: დამხჩვარი გდია; თითქმის დამხჩვარია (შდრ. დამხრჩვალი).

გასაღები და სალოცავი ერთდროულად ნაწარმოებია სათავსართითა და -ელ ბოლოსართით; მაგ.: გასაღებელი მისცა; აჰა, შენ გასაღებელიო! წაეყვანათ სალოცველათ.

დასტურდება სა-ელ—სა-ურ და სა-არ—სა-ელ პრეფიქს-სუფიქსთა მონაცვლეობა; მაგ.: შენ მიეცი ჩემი გადასახდური!... პური სათხოველი გაუხდა.

ჯავახურისათვის დამახასიათებელია ასონანსური კომპოზიტების წარმოება, როცა სიტყვა ეგორდება წინა თანხმოვნის ან თანხმოვნათა კომპლექსის შიგვლით. ხოლო როცა ხმოვნით იწყება, თანხმოვნის დამატებით<sup>58</sup>. შემცვლელ თანხმოვნად გვევლინება მ; მაგ.: ცხენი-მენი არ წაუყვანია; კალო-მალოზე იმუშაოს; კინტო-მინტო არ იყოს! ყველი-მელი დაარბეს; წყალი-მალი წაიღონ! ძვალი-მალი ეშოვათ (შდრ. არც ძვალი, არც მალი არ იყო); ხელით-მელით, სტოლი-მოლი, ქვაბი-მაბი, სკამი-მამი, დაჭერა-მაჭერა... ეგრო-მეგრო და სხვ.

საინტერესოა ზოგი ნასახელარი ზმნის წარმოება. მთელ რიგ შემთხვევებში საწარმოებლად ისეთი სახელები ან ისეთი აფიქსებია გამოყენებული, რომელთაც სალიტერატურო ენა ჩვეულებრივ არ მიმართავს.

დაღეკვა (საწარმოებელი სახელია ლეკვი): გავიდა დრო და დათვმა დაღეკვა.

<sup>58</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 152.

და(ვ) უნაგრეთ (<უნაგერი, უნაგირი): ცხენები და უნაგ-  
რეთ.

ვიზინათ (<ბინა): ღამე აქ ვიზინათო (შდრ. დავბინა-  
ღეთ).

ასუნღება (<სუნი): ამათ იფიქრეს, ამთენი თევზი ასუნ-  
ღებო (სუნი დაედებაო).

ძალოფს (<ძალა): ის ძალოფს, არ მისდევს; მერე ჩვენ ვი-  
ძალავეთ; შემდეგ იმათ დაგვძალეს.

იხელთავეს (<ხელ-თა): იხელთავეს ერთი ღამე.

მიამბავეთ (<ამბავი): მიამბავეთ, უკან ხო არ წამიყვანთ?

მოესურვილებათ (<სურვილი): როგორც მოგესურვი-  
ლებათ, აგრე ილაპარაკე!

თუ ამოსავალი არ არის ლაბიჯი (<ნაბიჯი), შეიძლება გადა-  
ალაჯა და გადააბიჯა ზმნათა შეერთებით იყოს წარმოქმნილი  
გადაალაბიჯა: კარები გაალო და გადაალაბიჯა.

გაიხსენა და ახსოვს (<ახსოვს) ფუძეები უღევს ამოსავ-  
ლად გაიხსომა ზმნას: ამ ბიჰმა გაიხსომა, დედაჩემი რო მეუბ-  
ნევოდაო.

ნასახელარი ზმნაა ასახუქრებს. აქედან მყოფადისა და  
წყვეტილის ფორმა იქნება დაასახუქრებს, დაასახუქრა.  
ჯავახურში ეს ზმნა საწარმოებელ ა-ს არ მიიღებს; მაგ.: ხენწიფემ  
დასახუქრა ეს კაცი; იქნებ შენც დაქსახუქროს? ერთ  
ხურჯინ ოქროს დავსახუქრებო.

რაც შეეხება დაჰკვირდა (დააკვირდა) ზმნას, აქ ა მაწარმო-  
ებლის ადგილს ობიექტური მესამე პირის ჰ-პრეფიქსი იჭერს. მასთან  
სუბიექტი მოთხრობითშია, ობიექტი კი — მიცემითში; მაგ.: დაჰკვირ-  
და ხემწიფემ ამ გლეხსა; დაჰკვირდა, რო ლომი დადგომია; იმამაც  
დაჰკვირდა (შდრ. ფუტკრებ დაკვირდი).

ამათ ანალოგიით ჰ- პირის ნიშანს დაირთავს აგრეთვე გაჰკვირ-  
და (გაკვირდა): ეს ქალი გაჰკვირდა; ძალიან გაჰკვირდა.

მომატყუა-ს ნაცვლად ჩვეულებრივ მომატყუილან  
მომატყვილა იხმარება, რომლის საწარმოებელ ფუძეს ტყუ-  
ილი|ტყვილი წარმოადგენს; მაგ.: მაგან მომატყუილა; ახლა  
კი მომატყვილა; ის ჩემი ნაცნობი დაატყვილა; მაგას უნდა  
მამატყვილოსო.

აქვე გვინდა წარმოვადგინოთ რამდენიმე ცნობა ზოგი თავისებუ-  
რი ზმნის შესახებ.

მიველი და მივედი, წამოველ და წამოვედი, შე-

ველ და შევედი ზმნების კონტამინაციის შედეგად მიღებულია ასეთი ფორმები: მიველდი, მოველდი, წაველდი, წამოველდი, შეველდი. შენიშნული გვაქვს სოფ. ბარალეთში (ინფორ. კირილე ხნალაძე); მაგ.: მიველდი იმ ადგილას; არ წაველდი; შეველდი იმ კაცთან; მე წამოველდი, მოველდი ურჩებთან.

ჩვენი აზრით, ამგვარი წარმოშობისა ჩანს აგრეთვე ინგილოურში ხმარებული წავალდი, გავალდი და მისთ, ოლონდ აქ შერწყმისათვის ამოსავალია ვალ და ვედ; მაგ.: მევლან მე ზროხაზე წავალდი; შირაქზე გადავალდი; მასკან იქიმათი გოდმუაღდი და აქეთაძან. მონოგრაფიაში<sup>59</sup> ესენი უწყვეტილის ფორმებად არის მიჩნეული.

მიახარობლა: მახარობელი გაუგზავნა და მიახარობლა; მიახარობლა შეიღებს.

აცოდინეს (აცნობეს): ანბავი აცოდინეს გოგოს; ჩვენ გვაცოდინე და დავიჭერთო!

გავიყენიოთ (გავიყოლოთ): ჩვენ ეს გავიყენიოთ ჩვენთან სანადიროთ.

აჯობინოს (აჯობოს): რო იმი ხარს აჯობინოს.

ვიმგლოვრო (ვიგლოვო): ორმოცი დღე უნდა ვიმგლოვროო.

მისთრამს (მისთრევეს): წელები ძლიე მისთრამს.

წამოხე! (წამოდი!): წამოხე აქა, პურ გაკმევთ!

საწარმოებელი ფუძის თვალსაზრისით ზოგიერთ თავისებურებას გვიჩვენებენ მოქმედების სახელები ანუ მასდარები.

სმა, რომელიც სვ-ამ (სუ-ამ) ფუძისაგან იწარმოება, ზოგჯერ -ებ სუფიქსსაც დაირთავს; მაგ.: წყლის სმება შეიძლება სახში. -ებ-ს დაირთავს აგრეთვე შველა: აღარ აქთ შველება.

ვ(<ავ)-სა და ებ-ის ნაცვლდ-ობ სუფიქსს გვიჩვენებს შერთობა და მოქმედობა, -ენ სუფიქსის ნაცვლად კი -ომ გვევლინება დარჩენა მასდარში: ქალის შერთობა... რა მოქმედობა აქთო? (შდრ. აი, შენი მოქმედილება!)... უპატრონოთ დარჩომა ძნელია. აქედან ვნებთი გვარის მიმღეობა იქნება დარჩომილი: თითონ დარჩომილა მარტო.

<sup>59</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, გვ. 125.

სახელის ფუძისაგან არის წაწარმოები ვ ა ხ შ მ ა (<ვახშამი)>  
დაიწყეს ვ ა ხ შ მ ა.

ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ გ ე ხ ვ დ ე ბ ა მ ო ნ ა დ ი რ ო ბ ა : ბ ი ჭ  
უ ყ ვ ა რ დ ა მ ო ნ ა დ ი რ ო ბ ა ; ' დ ი ლ ი თ ი ს ე ე წ ა ე ი ლ ა მ ო ნ ა დ ი რ ო  
ბ ა ზ ე .

ზოგი მასდარი არ დაირთავს საწარმოებელ ა- სუფიქსს. სა დ ი-  
ლ ო ბ გ ა ხ დ ა .

თავისებურია აგრეთვე მასდარის ასეთი ფორმები: პ ა ტ ი ყ უ-  
ლ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა , ქ ო რ წ ი ლ ო ბ ა ს ე მ ზ ა დ ე ბ ი ა ნ .

სინტაქსური თავისებურებანი

მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა. თანხმოვანზე დაბოლოებული მსაზღვრელი (იქნება ის ზედსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი თუ სხვა) ტენდენციას იჩენს, ფუძის სახით მოგვევლინოს მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში დასმულ საზღვრულთან და უბრუნველობის მხრივ გაუთანაბრდეს ფუძეხმოვნთან მსაზღვრელს; მაგ. მოიშორა ჭირი საწყალ კაცმა; ახალ რძალმა უთხრა; ქრისტიან კაცმა წამართვა; ჩემ ბიძაშვილმა მითხრა; ერთ კვირამ გაიარა; ხუთ ძმამ უთხრეს... ბებერ კაცის შვილს ჰკითხა; ჩემ ცოლის ნათესავი იყო; შვიდ კამეჩის ტყავში მისცა... მიველ ჩემ ფეხით თავმჯდომარესთან; გაქცეულ სოფლებიდან გამოვიტანე; წამოვიდა ვაჭარ კაციდან...

სახელობითში, მართალია, ფუძეთანხმოვნის მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს, მაგრამ იშვიათად აქაც გვხვდება შეუთანხმებლობის შემთხვევები; მაგ.: უღრან ტყე იყო... სამ უღელი ხარი ყამდა.

ზოგი ასეთი მსაზღვრელ-საზღვრული (სალიტ ენის მსგავსად) გაკომპოზიტების გზაზეა დამდგარი: ბერიკაცი, ბერიკაცმა, ბერიკაცს და ა. შ.

გვხვდება პოსტპოზიციური წყობის, მათ შორის გათიშული საზღვრულ-მსაზღვრელის, თითოთოროლა მაგალითები: თათრული თოფი ჩემი მივეცი; დამესაერთსა ადგა... დროსა ერთსა ყოფილა... შვილი მოდიოდა ამ სახლი პატრონისა.

ქვემდებარის, დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა. უსულო საგნის სახელით გადმოცემული ქვემდებარეც ჩვეულებრივ ითანხმებს შემასმენლს რიცხვში; მაგ.: ბოსლები არიან; ბევრი დარნები არიან; დიდი ხატები იყვნენ; ქალამნები აღარ არიან; ოქროს კალიცოები იქნებიან; შავი მახორკები იყვნენ; სკოლები არ ჩამან; საბოოთ ბძანებები მოვიდნენ.

როცა ქვემდებარედ კრებითი და რიცხვითი სახელებია ან ზოგი და ყველა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია, იგი ზმნა-შემასმენელს აზრობრივად ითანხმებს; მაგ.: ხალხი სალოცავად წავიდნენ; ხალხმა მიუგზავნეს; ხალხმა წამოიღეს წყალი; ერობამ ჩამოართვეს; ჩვენ ჯარმა მაინც გარეყეს... ოთხი ძმა გამოქცეულან; ამ ხუთ ძმამ უთხრეს; გამოუდგნენ ორი კაცი; სამი ჯალათები მივიდნენ... ზოგმა ნატისუსალი გაუჩინეს... ყველამ სვეს, ჭამეს; ყველა მოვიდნენ (შდრ. ყველა ცხენზე შეჯდა)...

ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის ორივე შემთხვევა გვხვდება:

ქვემდებარე მხოლოობითშია, შემასმენელი კი — მრავლობითში: ეკლესიის ზარმა დაიწყეს რეკა; თათარმა დაგვაყარეს ტყვია...

ქვემდებარე მრავლობითშია, შემასმენელი კი — მხოლოობითში: ცალსამთზე თათრი ვაჭრები დადგა; დიასამიძეები დადესიდან არის; მოვიდოდა ვაჟის მშობლები; თმოგში მოსულა ირანელები; თათრები, რაც რო ჯავახეთში იყო, გაიფიცა.

ასეთი შეუთანხმებლობა განსაკუთრებით თვალში საცემია, როცა ქვემდებარედ პირის ნაცვალსახელია; მაგ.: არც თქვენ დარჩები ცოცხალი; თქვენ საიდან ბრძანდები? თქვენ წადი და ის გასწავლით; თქვენ, რაც გინდა, უთხარი; ისინი ჩვენი სიძეები იქნებან...

რიგ შემთხვევაში ირიბი ობიექტისა და აგრეთვე II პირში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ზმნა-შემასმენელში არ აღინიშნება; მაგ.: სამთავეს ელდა ეცა; უთხრა სამთავე დას: როგორ გინდა, გაგწყვიტო თუ შეგინახო? აქ თქვენ ველარ დაგაყენამო! (შდრ. კითხეს, ეს რა ქალია? ქალმა უთხრათ, ხენწიფის სატახტო ქალაქია.).

უკიდურესი შემთხვევაა, როცა ასეთი ობიექტი მხოლოობითშია, შემასმენელი კი მრავლობითში. აქ ვილაცას ცეცხლი უნთიათ.

ამ მაგალითის მიხედვით კი — ჩემ სახში დგანან ქურთები, ვებძვი და ვერ გამამყვანან სახლიდან — შემასმენელში რეალური ობიექტის მრავლობითობა არის გამოხატული.

დაძახება და ცემა ზმნა წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ ბრძანებითში ობიექტს ხშირად სახელობითში მოითხოვს; მაგ.: დაუძახათავი ქმარი; მერე შევიღები დაუძახა; დაუძახა ერთი ლალა და უთხრა; დაუძახეს თელი ხალხი; დაუ-



ძახნია მსახურები; გამოუძახა ნაზირ-ვეზირი; დაუძახე ფაიტონიო!...  
მამასახლისი ვცემე და გავიქეციო.

ივითაღ გვხვდება მიცემითშიც: დაუძახა თავის ნაზირ-  
ვეზირს; თათრებ დაუძახაჲო.

დაასახუქრა, როგორც ცნობილია, ორპირიანი გარდამავა-  
ლი ზმნაა: დაასახუქრებს ის მას, დაასახუქრა მან ის. მასთან, ამავე  
დროს, უბრალო დამატებაც იხმარება მოქმედებით ბრუნვაში (და-  
ასახუქრა მან ის ფულით). ჭავახურში ეს ზმნა შეიძლება იყოს ორპირ-  
იანიც (დაასახუქრა ხენწიფემ ეს კაცი) და, უფრო ხშირად, სამპირი-  
ანიც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უბრალო დამატება პირდაპირ დამა-  
ტებად არის ქცეული, პირდაპირი კი ირიბ ობიექტად გვევლინება;  
მაგ.: სიზმარს ვინც ამიხსნის, ერთ ხურჯინ ოქროს დავსახუქ-  
რებო; დასახუქრა ბებერს ოქრო; ეს წაიღე და და-  
სახუქრე ბატონის ცოლს; დასახუქრა ერთი ხელი ტანი-  
სამოსი; ამ ქალმა დასახუქრა მეტაქვე.

ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან. ერთგვარშემასმენლებიან შერ-  
წყულ წინადადებაში, ისე როგორც სხვა აღმოსავლურ და დასავლურ  
კილოებში, ჭავახურშიც ქვემდებარე სახელობითის ნაცვლად მოთხ-  
რობითში გვევლინება გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან, თუ ამ უკა-  
ნასკნელს წინ უძღვის ან მოსდევს გარდამავალი ზმნა; მაგ.: ბებერ-  
მა წავიდა ბაზარში, ტანთი იყიდა; ამ დევმა მივიდა,  
მკლავი ჩაუყარა; ამან წავიდა, გლები მოიყვანა; აღ-  
განაცარქექიამ, წამოიკიდა გულა; დაჯდა ამ კაც-  
მა და იშუა ჰალალი ლუკმა.

ზოგჯერ ქვემდებარე მოთხრობითში შეეწყობა უშუალოდ გარდა-  
უვალ ზმნა-შემასმენელსაც; მაგ.: ყარაულეებმა დათვრენ და  
წამოვიდნენ; დელამისმა და ცოლმა უვლიათ და ვაი-ვახლა-  
ხით მოლიან; ცოლმა სამი წელიწადი უმზეო იჯდა; იმამ მოვი-  
და და დადგა კარებთან და სხვ.

მოხუცთა მეტყველებაში შევხვდებით ქვემდებარესა და შემასმე-  
ნელს შორის სინტაქსური ურთიერთობის დარღვევისა და კალკირების  
ასეთ ფაქტებსაც: ხენწიფე თქვა; ამ ფაშა უთხრა; ისინი ბევ-  
რი იციან; ვართი დიდხან ეძინა; ის დევი რამდენი დღე  
სძინამს; დაინახა, რომ ერთი მეტაქვე ნახშირი დააქვეს...

ზოგჯერ დარღვეულია აგრეთვე შემასმენელთან წინადადების  
სხვა წევრების ურთიერთობაც. მიცემითში მოსალოდნელი დამატება  
ხან სახელობითშია დასმული, ხან კი, პირიქით, სახელობითში მოსა-  
ლოდნელი მიცემითში გვხვდება. ასევე, როცა სალიტ. ენის მიხედ-

ვით უნდა გვეჩინდეს უთანდებულო მიცემითი, ფაქტობრივად თანდებულებიანი მიცემითი იხმარება და პირიქით. გვხვდება სხვა სახის ანომალიებიც; მაგ.: არ შემოძლიან, სხვისი სახე (სხვის სახეს) შევხედოთ; იმი ბედზე ურმებიც (ურმებსაც) ვერ დაუდეთ, ცუდაზე არიან... წაიყვანა ეს ქალიშვილი, რომელიც (რომელსაც) რო სახელი ჰქვია ხანგმ... მაგაზე (მაგას) ვერ შეგპირდები... შეჯდა ცხენსა (ცხენზე)... რატო არ მუსაიფობთ რასმეო... რაშიდამ ამოიღო მიზანი, თოფი გავარდა.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თურქულის ხანგრძლივი გავლენისა და სომხური ენობრივი გარემოს შედეგია. გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამგვარ მოვლენებს ჩვენ ვხვდებით უმთავრესად მოხუცთა მეტყველებაში, თანაც ისეთ სოფლებში, რომელთა მოსახლეობა ნარეგია. მაგალითად, მეტი წილი ზენოთ დამოწმებული ფაქტებისა შენიშნული გვაქვს სოფ. მურჯახეთსა და ხოსპიოში<sup>1</sup>, სადაც ქართველებთან ერთად სომხებიც ცხოვრობენ. 1922 წლიდან სოფ. ხოსპიოში დასახლებული არიან აგრეთვე რეხადან გადმოსული ბერძნები, რომელთაც ქართული გვარები აქვთ, მაგრამ კარგად ვერ მეტყველებენ. ჩემი ინფორმატორი იობა სიმონის ძე ხუციშვილი (51 წლისა, წ. კ. უცოდ.) ამბობს: „ჩემი პაპის პაპა სათათრეთიდან მოსულა... აქ რეხადან მოველით, ეხლა ქართველები ვართ. საიდან უნდა ვისწავლოთ ქართული ჩვენი ხალხი? ... მამაჩემი ქართული უფრო კარქა იცოდა. ზოგი ქართველი კარქა იცი, ზოგი არა...“

**კავშირები.** ქვემოთ აღნუსხულია შერწყმული და რთული წინადადების ის კავშირები, რომლებიც რაღაც თავისებურებას გვიჩვენებენ ფორმისა თუ გამოყენების მხრივ<sup>2</sup>.

**მაცალკეებელი.** ან მაცალკეებელი კავშირის ნაცვლად ჩვეულებრივ იხმარება ანთუ და ანუთუ: რამე უნდა გქონდეს, იყიღო ანთუ ქათამი; ანთუ მარილი, ანთუ სხვა; წყალ მოვიტან ანთუ შესას... ვინა ხარ ანთუ ვინ მოგიყვანა?

**მაპირისპირებელი.** კავშირი მაგრამ უმთავრესად დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივი ვარიანტებით გვხვდება: მაგრამ, მარამ, მარამ; მაგ.: გაიქცა, მაგრამ ვერ მოასწრო შესვლა; გა-

<sup>1</sup> ძაი თურქული და სომხური სიუჟეტის მქონე ზღაპრების მოყვლისას.

<sup>2</sup> კავშირების შედგენილობისა და მათი დიალექტებში გამოყენების შესახებ იხ. შ. ძიძიგურის გამოკვლევები: ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, 1959; ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. 65—110.

შოიწურება, მაგრა გვიან... უნა შეერეკო ერთ სახში, მარამ  
ადრეა... მარა არა მაქ ფული.

ოლონდ, ოლონდაც შეკვეცილი ოლონც, ოლონ. სა-  
'ხითაც იხმარება: ოლონც ნუ გაზღახამ; შენი იყოს, ოლონც  
აიტანო; ოლონც ჩემი ძმა გადაარჩინოსო; ოლონც ნუ მამკლამ,  
გეტყვიო; ოლონ შენ ის ბიჭი მამგვარეო! შდრ. ოლონდაც  
შვილი გამიჩინე...

დროის კავშირები. ნრავალი ვარიანტით არის წარმოდგენილი  
დროის კავშირები. ყურადღებას იქცევს თუ არამე, რომლის შედგე-  
წილობა ნათელია: თუ-არ-მე. მისი ფონეტიკური ვარიანტებია: თუ-  
არვე, თვარემ, თვარმე. ეს უკანასკნელი ვაკომპლექსის ო-  
ში შერწყმით იძლევა თორმე-ს; მაგ.: მივიდნენ თუარმე, მაშ-  
ვე მისცა; შეეცქირა სახეზე თუარმე, მაშვითვე იცნო; გავიდა  
თუარმე, ამოიღო ბეწვი; მივიდა თუარვე, დააჯდინა; დილაზე  
ავდგები თორმე, მინდორში წავალ; დამზადებას დავიწყებთ თ-  
რმე, სახელწერფოს ჩავაბრით...

ნრავალრიცხოვანია დროის კავშირების მეორე წყება. ერთი ჯგუ-  
ფი ვინ ნაცვალსახელის ვი ფუძეს მრმართავს, რომელიც ზოგჯერ ვი-  
თარებთი ბრუნვის ფორმით გვხვდება (ვირამ, ვილამ); მაგ.: ვირამ  
მე მოვიდოდე, ის არა ვნახო! ვირამ იმას არ ვნახამ, არ შემოძლიან  
დაწოლაო... ვილამ ისინი ჩამოვიდოდნენ, მიდამ იმან მანძილი აილო...

მეორე ჯგუფი ამავე ნაცვალსახელის ფონეტიკურ ვარიანტს — მი-  
ფუძეს იყენებს (შდრ. ვინ—მინ): მიდამ, მირა, მირამ, მირან,  
მირამდი, მირანდი. ამ კავშირთა წყებაში შედის აგრეთვე სადამა  
ნაცვალსახელის ფუძეზე აგებული სარამ||მარამ და მათი ფონეტიკური  
ვარიანტები: სირამ, სინამ, სიამ, სირამდი... მარამდი,  
მარანდი. მაგ.: მიდამ იმან მანძილი აილო, ის მეეფარა; მი-  
რან ეს მოვიდა, მარანდი წამართვეს; მირან ჩემ ცხენზე კბი-  
ლი დაუწვებოდდა... სანთლები მირამდი გაქრებოდნენ, მირამ-  
დი ლოცულობდა; მირამდი დეგეჰიდა, არა ჰკითხე, ვისი შვილი  
ხარ? მირანდი ურმები გემეეტანათ... მირა იტყოდა, დაავიწყ-  
და... მარამ ამათ ერთი გაატყავეს... მარამ ჩვენ ჩავედით. ომიც  
გაჩერდა... სირამ უკან ჩავედი, წასულყო... სინამ ვანოს არ  
შეუთანხმამ, ვერ წავალ; სიამ მოვკვდე, ამათ პური ვაჭამოო... სი-  
რამდი ჩვენ მოვიდოდით, შენ გემსახურებოდეს; სარამ ის კა-  
ცი შეეჭამა, მარამდი იმათ წყალი-ნა ემსოთ...

პირობით-შედგეგობითი. ზემოთ დასახელებული დროის კავშირი  
თვარმე და თორმე პირობით-შედგეგობით კავშირადაც არის გა-

მოყენებული. მაგ.: ეხლა დრო შენია, თ ვ ა რ მ ე შივრებინა დავი-  
ხოცნეთო; თუ ამას მოიშორებ, თ ვ ა რ მ ე ჩვენ ველარ ვიცხოვრებ-  
თო... ურმობა ერთმანეთ უნდა მიაყოლოთ, თ ო რ მ ე ბავშვობა  
მთლათ გააფუჭკამს!

მიზეზობითი: რ ა ხ ა ნ ცოლი გაუხდა, უთხრა... რ ა ხ ა ნ შენ და-  
მიმორჩილეო... რ ა ხ ა ნ ეგრეა, წადი მოიყვა! რ ა კ ი ჩემი შვილი  
ხარ, აგერ ეს ცვარიო; რ ა კ ი წყლისთვის მიზღიხარ, მამ თადარი-  
გით წავიღეთო!

რთული წინადადების წევრის გამოტოვება. ამბის მოყოლის  
დროს რთულ წინადადებაში ხშირად ხდება შემასმენლის გამოტოვება,  
რომელიც კონტექსტის მიხედვით ადვილად იგულისხმება. ასეთებია:  
ნახა, ნახეს, გაიგო, უთხრა, ეტყვის. ზოგჯერ ნაგულისმხევი შემასმენ-  
ლის ნაცვლად მხოლოდ სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკი რჩება, რომელიც  
წინა სიტყვას ეკედლება და გრძლად გამოითქმის; მაგ.: მიიხედა, რო  
ერთი დოლაბი იყო; გავიდა გარეთ, რო გლეხი ყანას ხნამს; ერთ დღე-  
საც შევიდა, რო ჩაფქრებული ზის; მიიხედა უკან, რომა ჯარი მოზ-  
დევს; მივიდნენ ამ ცხვართან, რო მემცხვარე არა ჰყამთ; შვილი  
წლის მერე წამოვიდა, რო თავი ნაცოლარი გათხოვილა; მიიყვანს ვე-  
ზირი, რო ამ კაც აჯდა თავზეო; მივიდა ხემწიფესთან, რო ჩემი შვილი  
უარზე არი... რიგი რო მოვიდა, რო გლებმა უნა ჩასცხოს, გლებმა...  
ორი სიტყვის ნება მომეციო! შემოგითვალა ქალმა, რო თქვენი ვენა-  
ხიდან ერთი ტევანი ყურაქინი!

სინტაქსური კალკები. უცხო ენობრივი წრის გავლენა ყველაზე  
ხელშესახებად სინტაქსისა და ლექსიკის მიხედვით ჩანს. ფერეიდნუ-  
ლის, ინგილოურის, აქარულის მსგავსად, ჯავახურში ერთობ ხშირია  
სინტაქსური კალკები, როცა სინტაგმები, წინადადებები და გამო-  
თქმები უცხო ენის ყაიდაზეა აგებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია  
ქართულისათვის არაბუნებრივი აღწერითი წარმოება შემასმენლისა.  
ზოგჯერ ასეთი შემასმენლის სახელური ნაწილი უცხო ენოვანია, დამ-  
ხმარე ზმნა კი — ქართული; მაგ.: მე ძალას არ უზამ; ამათ ძალა უყვეს  
(დაძალეს); ჩხუბი უყო (ეჩხუბა); ამბავი მისცეს (შეატყობინეს); შვე-  
ლა მამეციტ (მიშველეთ); ხათრი დაუჭირა (უხათრა); თათბირი ქნეს  
(ითათბირეს); ქორწილს უზამ (დავაქორწინებ); ამათ ქორწილი დაუ-  
ჭირა; ხემწიფემ ქორწილი ქნა; ქორწილი გაუკეთეს; იცხოვრე და ბა-  
ტონობა ჰქენე! (იბატონე!); ჩვენი ხენწიფობა ქენეო! მე ცხელებამ  
დამიჭირაო (გამაცქელაო); მძიარულობა დავიჭირათ! (ვიმხიარულეთ!);  
წელის დაზიანება მომიხდა (დამიზიანდა), იმამაც სალამი აიღო (მიე-  
სალამა); ცხენი ენაზე მოვიდა (ალაპარაკდა); მალე იჩინე თავი (გამო-

ჩნდი); შენ რჩენას მე მოქცემ (მე გარჩენ); მირიანი მოუსვლელ არ იზამს... ხენწიფეს თამალა უყო; ფიშმან გახდა; ზაჰმათ იზამს...

მართალია, არც ქართულისთვის არის უცხო ანალიზური ფორმები (განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ძვ. ქართულში დრო-კილოთა, ქცევის, გვარის, კაუზატივის საწარმოებლად<sup>3</sup>), მაგრამ ასეთი რაჴ მისთვის მაინც დამახასიათებელი არ არის.

ზემოთ წარმოდგენილი ფორმებიდან ზოგი ინგილოურშიც არის. დადასტურებული, რომელიც აზერბაიჯანულის კალკად ითვლება, მაგალითად, სალამ ალევამ — *salam almag* „взят привет“, ქორწილ ქნამ — *toj etmäk* „делать свадьбу“; ენაზე მოსტლამ — *dilä gälmäk* „начать говорить“, „прийти на язык“<sup>4</sup>.

---

<sup>3</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის აღწერითი ფორმების ორგანული შეცვლის ისტორიიდან ქართულში, ივე, XIV, 1964, გვ. 170.

<sup>4</sup> В. Джангидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 151—154.

ლ ე ქ ს ი კ ა

ჯავახური თავისებურია ლექსიკის თვალსაზრისითაც. სიტყვობ-  
-რივი შედგენილობა დიალექტისა მდიდარი და საინტერესოა. განსა-  
-კუთრებით ყურადღებას იქცევს მატერიალური და სულიერი კულ-  
-ტურის, ძველი და ახალი ყოფის ამსახველი სიტყვები და გამოთქმები.  
-შრომის იარაღებისა და შრომის პროცესთან დაკავშირებული სახელ-  
-წოდებანი, მესაქონლეობისა და მემინდვრობის დარგში ხმარებული  
-ტერმინები, ნათესაობისა და საოჯახო საქმიანობის აღმნიშვნელი სიტ-  
-ყვები, სხვადასხვა ნაგებობათა და საზომ ერთეულთა სახელები და  
-სხვა მრავალი. ჯავახური ასევე მდიდრად წარმოგვიდგენს თანამედრო-  
-ვე სოციალისტური სოფლის, საკოლმეურნეო წყობილებისა და ტექ-  
-ნიკური მიღწევების ამსახველ ლექსიკასაც, რომელიც სწრაფად და  
-ფართოდ ინერგება მოსახლეობის ფართო ფენებში.

რამდენიმე ნიმუში

შრომის იარაღების სახელწოდებანი

გუთნის გაშლა მანძილი, რასაც  
ერთი გუთნეული გასწვდება.  
ვარიოზ-ი სამკვედლო დიდი ჩა-  
ქუჩი.  
საბარე შეშის საზიდი პატარა  
ურემი.  
ურმის გაწყობა ურემში ხარე-  
ბის შებმა.

შავი გუთან-ი ხის გუთანი.  
ციბრუტ-ი თაფლის სახდელი  
მანქანა.  
ჯავახურა თივისა და ძნის საზი-  
დი ურემი.  
ჯილლა სახვნელი, კავი.

ცხოველებთან დაკავშირებული სიტყვები

ამობაგვა ბაგადან ბზის ან თი-  
ვის ნარჩენის ამოწმენდა.

დაგოკა გოკების დაყრა.

ბარათა მგლის მიერ შექმული  
ცხვრის რაიმე ნიშანი.

ბეხ-ი ზარმაცი, ძალგამოლეული  
(კამეჩი).

ბლავილა პირუტყვი (თხა, ცხვა-  
რი).

გამოახამამ-ს გამოზამთრების  
შემდეგ პირუტყვს მუშაობას შეა-  
ჩვევს.

გამოზამთრულა მეორე წელში  
გადამდგარი სახარე ხბო.

დალეკვა ლეკვების გაჩენა.

საკიდ-ი სახედარი.

უგ-ი ბერწი (საქონელი).

ფულ-ფულა ლურჯხალებიანი  
(ცხენი).

### მარცვლეულისა და მებოსტნეობის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა

აღორჯდებ-ა პურეულის მარ-  
ცვალი ფესვებს გამოიტანს.

გაკარკლავ-ს ნათესს ქვისაგან  
გაწინდს.

გაწიწკნავ-ს გამარგლავს ხახვს.

ნაზურგ-ი გუთნით მოხნული  
მიწის შუა ამადლებული ადგილი.

ნაშალ-ი ყანაში დატოვებული  
ჩალა, ნამჭა.

ღვარილ-ი გრძლად გაშლილი  
მოთიბული ბალახის შეგროვება.

ცულა ერთ წელს დასვენებუ-  
ლი. დაუმუშავებელი მიწა.

ჩიტო ენა ხორბლის ან ქერის  
გამოფიტული მარცვალი.

### რამდენიმე ნიმუში აგრეთვე სხვა ღარგის ლექსიკისა

აგვრა გათხოვება, ქმრის შერ-  
თვა.

ასუნდებ-ა სუნი დაედება.

ბედიავათ ტყუილუბრალოდ.

გული გადილ-ო გული შეიცვა-  
ლა.

დაგრუოდ-ა დახაროდა, ეალერ-  
სებოდა.

დავახშმებულ-ი ვახშამგადასუ-  
ლი.

დაიხვალთებ-ს ხვალისთვის გა-  
დებს.

დაფილვა რძის მოყვანა საკა-  
რაქედ.

ღურღლო კარაქის დნობის შე-  
დეგად დარჩენილი ნაძირალა.

კერძ-ი ნაწილი, კუთვნილი, აქედან გაკერძავს-გაანაწილებს. ესურვილებ-ა ესიყვარულება.

ვალად-ი ნავალი, ნასიარულევი.

კულმანდილა თეთრკულიანი. მესათხველე მებადური.

მომავარ-ი ერთი შთამომავლობის.

სხვიშვილ-ი მოჯამაგირე, მოსამსახურე.

ტანთ-ი ტანსაცმელი.

ყურაუც-ი გაუგონარი.

შენახულობა ძვირფასი ნივთები.

ცხოვიერ-ი ცოცხალი არსება.

გარკვეული ისტორიული ვითარების გამო ჯავახურში საკმაო რაოდენობით შემონახულია აგრეთვე უცხო ენობრივი წრიდან, უმთავრესად თურქულიდან შემოსული ლექსიკა, რომელიც ძირითადად მოხუცთა მეტყველებაში არის ფართოდ შეღწეული. ერთი ნაწილი შემოსული სიტყვებისა შინაარსით და ზოგჯერ ფორმის მიხედვითაც უცვლელადაა დამკვიდრებული; მაგ.: აბდას-ი — ლოცვის წინ ხელპირის დაბანა, ამ-ი — ბიძა, აღვ-ი — საწამლავი, ახ-ი — გადასახადი, მინ-დი, ახორ-ი — ბოსელი, ბაზირგან-ი — ვაჭარი, ბალდუზ-ი — ცოლისდა, ბაჯანად-ი — ქვისლი, ზენგინ-ი — მდიდარი, ზაჰმათ-ი — გარჯა, შრომა და სხვა<sup>1</sup>. მეორე ჯგუფს ქმნის ისეთი სიტყვები, რომელთა ფუძეები ნასესხებია თურქულიდან ან თურქულის გზით ირანულ-არაბული ენებიდან, სახელური და ზმნური საწარმოებელი აფიქსები კი ქართულია გამოყენებული. მაგ.: ზენგინი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მდიდარს ნიშნავს, აქედან სი- თავსართითა და -ე ბოლოსართით ნაწარმოებია სიზენგინე — სიმდიდრე; გვაქვს ზმნაც: გააზენგინებს — გაამდიდრებს; თალანი — თავდასხმა, გაძარცვა, აოხრება, აქედან წარმოქმნილია ზმნა თალანობენ; ფიშმანი — სინანული, ფიქრი, აქედან — გაფიშმანდება — ინანებს და სხვ.

თურქული ენის გზით ჯავახურში ფართოდ არის გავრცელებული ირანული წარმოშობის თანა (<დანა), რომელიც ცალ-ს ნიშნავს; მაგ.: — რამდენი სკა დარჩა? — სამი თანა. მოგლიჯა ექვსი თანაყარფუზი; შიგ ერთი ასი თანა ცხენი არი; დარჩა ერთი ორი თანამოხუცი.

მცირე რაოდენობითაა სომხურის გავლენით დამკვიდრებული სიტყვები. აი ზოგიერთი მათგანი: ათორკ-ი || ათორქ-ი პატარა, და-

<sup>1</sup> ეს სიტყვები მცირეოდენი ცვლილებით აქარულშიც დასტურდება: შ. ნიქარძე, ქართული ენის აქარული დიალექტი. ლექსიკა, ბათუმი, 1971.



ბალი სკამი, სომხ. *აթიი* — სკამი, *აթიიასკ* — ტაბურეტი; *არონა* — კავი, სომხ. *არირ* — კავი; *ბარეკამი* — ნაცნობი, სომხ. *բարისկամ* (ამავე მნიშვნელობით); *ანასკამი* — ურცხვი, სომხ. *անգգամ* (ამავე მნიშვნელობით); *თორუნ-ი* — შეილიშვილი, სომხ. *թունիկ* (ამავე მნიშვნელობით); *მაჴმანი-ი* — საბლის მგრეხელი, მრთველი, სომხ. *მაღ* — თმები, *მანხლ* — რთვა; *სოხარაწ-ი* — კერძის ხახვით შენელება, სომხ. *սոխ* — ხახვი, *արაბ* — გაკეთებული, ქმნილი; *წირახი* — ჰერამი, სომხ. *ბիրან* — გარგარი; *ქარან-ქაში* — ჯაჴემოდებული ორყეველა ხე, რომელსაც ხარებს უბამენ და დიდ ქეებს მიათრევენ, სომხ. *քար* — ქვა, *քաշի* — გათრევა...

მცირე მოცულობის ლექსიკონში შევიდა უმთავრესად ტექსტებში ნახმარი ის სიტყვები, რომლებიც ან მხოლოდ ჯავახურში იხმარება, ან კიდევ მეტწილად სალიტერატურო ენაში და სხვა დიალექტებშიც გვხვდება, მაგრამ მნიშვნელობით, ზოგჯერ ფორმიტაც, მათგან განსხვავებულია.

სიტყვათა უმეტესობას ერთგის საილუსტრაციო მასალა, რომელიც ამოკრებილია ავტორის მიერ ადგილზე ჩაწერილი ტექსტებიდან და სასაუბრო მასალიდან.

ზმნათა ლექსიკურ ერთეულად აღებულია აწმყოს (მყოფადის) ფორმა მესამე პირში.

## ტ ი მ ს ტ ი მ ბ ი

ისტორიული ამბავი . ბ რ ძ ო ლ ა თ უ რ ძ ლ ა მ ა მ ა მ ა რ ო მ თ ა  
წ ი ნ ა ა ლ მ დ ე მ ზ

### 1. მ რ ა ე ლ ი

ერეკლე იყო თეიმურაზის შვილი, ყამდა სამი თანაშემწე: სარიდანი, ბესარიონი და გივი. სპარსეთი რო მოადგა, ბრძანება გასცა ირაკლემ, რომა: არამცდაარამც უჩემოთ ერთ კაც ხმა არ გასცეთო! სარიდანმა არ დაუჯერა. თავი ცოლმა უთხრა სარიდანს: აბა, რა ვაჟაკი იქნები, რო ერთი თავი ტრისა არ ნომიტანოო! შეჯდა ცხენსა სარიდანი, იშიშვლა ხმალი, შავარდა ტრის გუნდში, იმით სარდალ ხლმით თავი წაართვა და ცოლ თხოვნა შეუსრულა: ასე დაემართოს შენ ტერსაო! ცოლმა კუდრის თავ ფეხი წაჰკრა და უთხრა: ერთი მუჟა მიწიდან რაჲ გვემართლებით, რომ მოდიხართ და გვესევეითო? ერეკლემ უთხრა მაშინ სარიდანს: უნებურათ რათ ქენი ესეო, უნდა მოგეცადაო. — ბოდიშოო, — მაშინ უთხრა სარიდანმა. მაშინ გასცა ბრძანება ერეკლემ: აბა, ღრო არის ეხლაო! დასცხეს და იმათ მეთაურ ძალიან ყოჩაღათ დიესივნენ. კარავ რო მუუხალოვდა ერეკლე, იმი შვილი აჩეხა ხლმითა, მისმა ძმამ კი გაასწრო. დაბრუნდნენ უკან შუიღობითა. სარიდანი გამოიქცა სამახარობლოთ თეიმურაზთან: ო, სარიდან, პირველი მახარობელი შენა ხარ, ე ჩემი საათი შენ გეკუთვნებაო! რაგორ უჭერენ მხარსა ირაკლეს ბესარიონი და გივიო? — შეურყევლათაო, — ამან უპასუხა.

სპარსეთმა სომხეთი გადმოლახა, ერეკლეს უთხრეს, რო: ესე არი ჩენი საქმეო. ჯარს ბრძანება გასცა: აბა, დეემზადენით, ეცადენით ყოჩაღათო! დასცხო მაშინ ერეკლემ. ჩონმა ერეკლემ სომხები მოიმხრო. მიჰყვა რაღაც ქალაქამდი, ბევრი სპარსელი გასწყვიტა, ბევრიც ტყვეთ ჩაიგდო. დაბრუნდა შუიღობითა. ინთენი დავლა და რამე დარჩათ ქართველევისა, რო მეტი არ იქნება.

სოფ. ჩუნჩხა

## 2. ირეკლე და თათრი ფაშა

ნეფე ერეკლე რო მოვიდა თავი დროზე აქა, ასპინძაში მოვიდა თავი ჯარით. უკნიდან თათარი მოყვა. ასპინძაში ერთი გორა არი. უკნიდან — ოშორის სანთზე — თათარი დადგა, ამ ჩონ სანთზე — ნეფე: ერეკლე. იქნა, მუუხდათ ამათ ჩხუბი. ნეფე ერეკლემ უთხრა თავი ჯარს: ცხენს აკამეთ ქერი ბოლათ, არ ასვათ წყალიო! თათრებმა კი აკამეს ქერი და ასვეს წყალი (წყალნასვამი ცხენი ვერ იმუშავამს, დამძიმდება, უწყლო ცხენი კი, როგორც ქველი, ისე იმუშავამს).

გათენდა დილა და მუუხდათ ჩხუბი. ნეფე ერეკლემ წყვიტა თათრი ჯარი. უთხრა ნეფე ერეკლემ: რათ მაწყვეტინამ ჯარსაო? — აბა, რა ვქნათო? — ზე და შენ წავიციდნეთ, თუ მოქალ, მე დამჩეს ეს ქვეყანაო, თუ შენ მამკალ, შენ დაქჩესო! თათრი ფაშა დაყაბულდა. უთხრა: ნეფე ერეკლემ: ცხენდაცხენ დაგექეციო! თათარი ფაშამ უთხრა: არა, შენ გამექეცი, შენ გამიძეხ წინაო! — ზე გაგიძღვები და მაძყევიო, — ერეკლემ უთხრა. გაუძღვა ცხენით ნეფე ერეკლე, გიმეეკიდა თათრი ფაშა. რო გავიდა მიჯნაზე ნეფე ერეკლეს ცხენი, უთხრა: ეხლა შენ დაბრუნდი, მე გამეგევიდებიო. დაბრუნდა თათრი ფაშა. ერეკლემ გაჰკრა ხმალი, ისე გაარონია წელში, რო იმან ვერც კი გაიგო. ნახევარი ცხენზე დარჩა და ნახევარი ძირ დეცა. ერეკლე ადგა და გამარჯვებულნი წამოვიდა ხერთვისში, თათრი ჯარი კი დაბრუნდა უკან, გაიქცა. ხერთვისში რო შემოვიდა ერეკლე, ქალებმა სეირობა დაუწყეს, ამბობდნენ: ეს რა ლამაზი კაციო. მაშინ უთქვამთ:

ფადიმას შემოუთვლო:  
ერეკლე რა კაციო?  
-რა მოგახსენო, ზატონო,  
პატარა ემაწვილიო.  
გული უგდია სპილოსი,  
გარედან ხალი კლდეო.  
ისე დაანგრევს ციხესა,  
როგორც ფუტურო ხესო...

სოფ. ხიზაბ:ერა

## 3. ასპინძის ბრძოლა

აწყვერსა და რაბათში თათარი იყო. ნეფე ერეკლეს აწყვერს მოსვლა უნდოდა თფილისიდან, მაგრამ ვერ შემოუვიდა თათარს. დაბრუნდა და ჩავიდა ისევ თბილის. უთხრა, რო: ვინ იცით კოჟრიდან ასპინძას მიმავალი გზაო? ხიზაბავრიდან აქ ერთი კაცი ყოფილა ჩა-

სახლებული, დელი პაველი, დაუძახია და მისთვის უთქვია: იცი, კოყრის გზიდან ასპინძას გადაგვიყვანო? იმას უთქვამ: კიო! წამოუყვანია ეს კაცი, ერეკლეც წამოსულა და გადმოსულან ტამალას. ნახევარი ჯარი იქ დაუშალა, ნახევარი ჯარი კიდევ ასპინძის გადაღმა სერზე — თურბაზე — ჩაუშალა, ორმოზდათი კაცით შესულა ერეკლე ასპინძაში. ასპინძის აბანოებ-ქვეშ თათრების ხიდი ყოფილა (დიდ წყალში). გაუგზავნია ეს ორმოზდათი კაცი და იმ ბოგირის ბოცები დაუჭრია ქვევიდან. მოსულან ისევ ასპინძაში. თათრი სარდლისათვის უთქვია: შენთა ომი მინდაო. მუუცია სამი დღე მულათი. (კოტორეულს უძახიან, შეუგდიათ წყალი შიგ) ამ ერეკლეს უთქვამ: ჩემ ცხენ წყალი არ ასვათ და მარტო აქამეთ ბრინჯი სამ დღესა და სამ ლამესო. თათრი სარდალს უკმევია ბრინჯი და უსმევია წყალი. დაუნიშნიათ სამ კილომეტრზე ნიშანი (წინ-წინ სარდლები უნა წაკიდებულებიყვენ), იქამდი თუ დაეწოლდნენ ერთი-ერთმანეთს, უნდა მიეკლათ. თათრი სარდალს ერეკლესათვის უთქვია: შენნა გამიძღვეო იმ ნიშნამდეო. ერეკლეს ცხენი გასულა წინა, ვერ მისწევია თათრი სარდალი. ნიშნიდან რო გამობრუნებულა თათრი სარდალი, წინ წამოსულა, ერეკლე უკნიდან მოჰქცევია. იმ ალაგს რო მოსულან, შუაზე მოსწევია ცხენი ცხენს, ამოუღია ხმალი ერეკლეს, შემოუცხვია წელზე და გადაუჭრია შუაზე, უთქვია: გაინძერიო! ფეხები დარჩენია უზანგში, წელზეით გადავარდნილა დედამიწაზე. მაშინ ერეკლეს დაუძახია: ძურაიო და ი დამალაჩი რო სალდათი ყამდა, ისიც ჩამოსულა ასპინძაში, თუბრაზე რო დამალული ყამდა ჯარი, ისიც მოსულა. ესენი დასეულან ხმალდახმალ. თათრი ჯარი რო გაიქცა და ხიდზე შედგა, ჩაინგრა ხიდი და ჩავარდა ხალხი წყალში, სულ დასწყდა.

შენ, ერეკლე, ოქმიანო,  
 ცხენ-მალალ უნაგრანო,  
 შენი ნახოცი თათრები  
 ასპინძის ბოლოს ყრიანო,  
 ყვაეი-ყორანი ლეშსა შუამს,  
 კაქკაქნი თვალებს თხრიანო.

სოფ. ხიზაბაყრა

#### 4. თამარ დედოფალი

ყოფილა თამარ დედოფალი. მანდ არალა არი, ვალესკენ, ჯახსუ-ისკენ. არალას ზევიდან არი შაბანბელი. მაშინ ტერი მოჰდგომია (ჩონ ყუზღლბაშ ვეტყვით) თამარ დედოფალ საჩხებრათ. მანდ ერთი ციხე

არი, მაგ ტყეში თამარ დედოფლის ჯარი ყოფილა. მაშინ ის ციხე რო აუღია ყვზღლბაშ, ამოსულა თავზე, მალა საბანბელზე. თამარს უფიქრია, რო ტერი ჩვე-ნა მეგვეერიოს, რა უშველოთ ამა! რაგორ მოვიქცეთ, რო ტერი ჩვენ დავიმონოთ? გენერლებს უფიქრიათ და უთქვიათ თამარისთვის: მოდიო, ნება აილე სამი დღითაო, პრაზნიკი მაქ და სამ დღე მერე ვიჩხუბანთო. ისაც, რა დღეებში ყოფილა, იცი? აღდგომის დღეები ყოფილა. შეუნგრევია თამარს მაშინ ჯარი და გაუჭრევიანბია კანავა, ათ მეტრზე სიმაღლე, რვა მეტრზე სიგანე. მერე მოუტანია ფიჩხი და ის ხევი (იქნება ასრე კილომეტრი რაღა!) წაუპიწვია, რო არ შეეჩინოს ტერმა. სამი დღე რო შეთავებულა, ტერი წამოსულა. ზოგი უკნიდან (დარინდარას ებნებთან) დაუყენებია, ზოგიც აქეთ დაუყენებია. ტერი რო წამოსულა, თამარი წინედან თავი ჯარით გაქცევია. იმი ჯარი რო მიმდვარა წაპიწველ ლელზე, სუ ჩაცვიენილან. მაშინ მოსდგოპია თამარ დედოფლის ჯარი და ზოგ ქვევიდან და ზოგ ზევიდან უწყვეტია ტერი, სუ ხლმით თავი უკეთია. შეუნგრევია მერე თავი ერთ ალაგას (ქწლათათას ეძახიან), სულ ზეინივით დაუყენებია და კირით შეუყირია. რო ნაშთი დარჩეს. ქწლათათას რო ეძახიან, იმოტონა ხალხია, რო სამასი ფურგუნი ვერ ასწევს, იმდენი ბევრია. ჩონა იქ რო მივდიოდით, შეშა გადაგვექონდა, გაგვიკვირდა, ადამიანის შვილის ყაფა რამდენი ყოფილა. ყაფა თავზე რო გადაეაცვით, სუ ხრებზე გადმოვიდა, ისეთი დიდრონი თავები იყო. თამარს რო დაუზაფთებია მტერი, გადასულა იქითა პირზე, ხმალი მოუგდია გვერდზე და უთქვია: ბიჭებს ეხლა სადილი მივართვათო! ესა გვაქ გავონილი, რო თამარს ეგ ჩაუდენია.

სოფ. გოკიო

## 5. თათრების შემოსავა

თათარი რო შემოვიდა, ჩვენ იმ დღეა ცხვარი და კრავი დარეული გვეყანდა, ვაპირებდით უნა ვაქცეულიყავით. თათარი უცფათ დაგვესხა სოფელ გოკიოს და აგარას და ცხვარ-ჩროხა ჩამოგვართვეს. ავდექით ჩვენ ცარიელა და გადაეცვინდით, თავი მოვიჩინეთ, ვარძიაში ჩამოვედით. იქიდან ჩემეგვიშველა გოგაშენი. წყლი დიდობა იყო და გავიყვანეს წყლიდ გაღმა. გაველით საქართველოში<sup>1</sup> და მაშინ შიში აღარ გვექონდა, რო ჩვენ ხალხში გაველით, დავისხენით თავი. მერე

<sup>1</sup> ივლისხმება ქვემო ქართლი.

ავდექით და წავედით გორში, სამი თვე ვიცხოვრეთ გორში. მოვიდა ისეთი ბძანება, რო წაწოვედით უკან, მოველით ჩვენ ბინაზე უკან, ვიცხოვრეთ ისევ აქ, ჩვენ ქვეყანაში<sup>2</sup>. მეორეთ დაგვემსხა თათარი ჩვენა, თელიან ხიზანი ჩაგვრეკეს ხერთვისში. ამ თათარმა ჩვენ საქართველოს თხოვა:

— ჩვენი ბეგები მოგვეცი, რათ დახოცეთო? ეხლა ესენი უნა დაეხოცოთ, არ მოქცენთო! მოსულ ხალხში ვილანც ერთი კაცი გაბოჩნდა, იმამ ერთი სამოცი კვამლი დაისხნა (ჩემ რძალ ენათესავებოდა). ჩვენ ასე განვთავისუფლდით და წამოვედით აგარაში. აქ დავბინავდით, სხვა სოფლები გაიქცენენ, ჩვენ კი არ გავიქეცით. კიდევ მოვიდა თათარი, ჩვენ კიდევ დაგვაყარეს ტყვია, გვაშინებდნენ. სამი დღე და ღამე მალარაში იყო ჩვენი ხალხი. ორი გოგო დაშკრეს მალარაში, ერთიც — რძალი, ამოიყვანეს იმ ხევ-ღელედან მარიანები. მერე თელი ჯავახეთი გაიქცა. ჩვენ, შვიდი კომლი, შევრჩით აგარაში. მალე მოვიდა ჩვენი საქართველო, მერამე კარგათ ვცხოვროვდით. მე მაშინ ბლარი ვიყავი, აგარიდან გამოვთხოვდი ქილდაში (იქაური გაზრდილი ვარ).

სოფ ქილდა

## 6. თათრების მეორე შემოსავა

ჩვენ ვცხოვრობდით ქილდაში, გვერდზე გვყამდა თათრები. ამათ, რა გაიგეს, რა არ გაიგეს, დაიწყეს ჩვენთან ჩხუბი. ჩვენ, ქილდამა, დავიმონავეთ ალჯვა, ხერთვისი, კვარშა. თათრები წავიდნენ სათათრეთში, შეატყობინეს თათარს, ადგა თათარი და წამოვიდა. მოადგა კარწახ (დიდი სოფელია, ათასი კვამლი ცხოვრომს). მირამდი ეგ გადმოტეხეს, ამბავი მოვიდა კუმურდოში. იქ გადავიდნენ ჩვენი ბიჭები (ერთი ანიხ მამაი).

— აბა, შეაბით ურმები, პური, წყალი, რაც რო მოგინდებათ, ურმებზე დაუდეთ და გავწიოთ!

ურმები შეაბეს, გავწიეთ და წავედით, საითკენ მივდივართ, არ ვიცით. მერე გამოაცხადეს:

— აბა, საქართველოში<sup>3</sup> უნდა გადავიდეთ, ჩონი მთავრობა საცა არიო!

ავდექით, წავედით. თათარმა შემოგვასწრო ახალქალაქზე. იმ

<sup>2</sup> ივლისხმება სოფ. ქილდა.

<sup>3</sup> ივლისხმება ქართლი.

დროს თათარმა დაგვყარეს ჩონ თოფი, ტყვია; ზოგი შტაფში დარჩა, ზოგი — ახალქალაქის კიდურზე. ჩვენც დავრჩით მუსხელოების სახლების ზეიდან (მოსაფარი არსად ადგილი იყო). ამ დროს უთხარიოთ ხიზანს:

— აბა, თქვენ წადით, ჩონ ნუ გველოდებით, ჩქარა!

— სატ წავიდეთ? მე უთხარი, რო: ჩახვალთ წყალზე, წყლი პირპირ წახვალთ! ერთი ბავშვი მიწვევია ურემში, ენა კი აქს, მაგრამ თითონ კი ვერ უვლია, პატარაა. ამან დამიყვარა, რო: მეო, მამაო?

— აბა, შვილო, შენც-მეთქი. დაუყვირე მამინ ჩემ ქალიშვილ სალომეს:

გოგო, შვილო, შენ რო აგილია თავი და გარბიხარ, ვასოი? გოგომა თქვა, რო: — ვაი, ვასოა მოუკვდი მეო. ჩამოიყვანა ურმიდან, წაიყვანა და წავიდა. დავრჩი მარტოი იქ. ხარ უშვამ. გამოუშვი ხარი და მიდის გზადაგზა (გზა არი ისორე). ჩვენ წინა დილისკა არი, იმ სოფელზე უნა გავიაროთ. ურმიდან ველარა მოვასწარი მეც და ერთი პატარა დოქი არაყი მაქს, დავიკიდე წელზე და გამოუდექ ხარ. ჩემ ცოლის ნათესავი იყო ერთი გასათხუარი გოგო, მოვიდა და დამიჭირა ხელი:

— მეც უნა წამიყვანო! მეც უთხარი:

წამოდი, აგერ მივდივართ, კაცო!

წამოვიდა ერთი სალახანა ტყვია, მოხვდა მას ბეჭებში, გამუჟდა გულში, გოგო ჩაიკეცა და დეემხო. წამიყვანეს ამხანაკებმა:

— წამოდი, კაცო, მაგას რალა ყურგდებულობ, მოკვდა იშტა. გუჟში გოგო და წაველ მეც ამხანაკებთან. ჩავედით ტყვის პირას, ქალები რო წავიდნენ. იქ პატარა ხიდი იყო, ხიდიდან გავედით და წავედით, ურმები იქ დაგვიჩა პლენში, კიდე ჩვენი დოვლათი. ის დოქი არაყი, ხითს რო გავედით, ავიღე მე და ვლემ. ჩემ ამხანაკმა დამიყვარა, რო: — შენ გენაცვალე, იაკოფჯან, ეგ ერთი ცვარი წყალიც მე მასვიო! მე აღარ უთხარი, არაყია თუ რა არი, მოიყუდა და დალია. რო დალია, წაუვიდა სასულეში. ამან მითხრა: — შე კაი კაცო, ვერ მეტყვოდი, რო არაყი იყო! (წყლი მაგიერ დაუღვევია). მეც უთხარი:

— პირში რო ჩაუშვი, ველარ გაიგე, წყალია თუ არაყი?

მერეთ წამართვა, გეზრიელათ დალია. ვსხედვართ იქ, ხიდ-ზეიდან, ვითამ აიდნულზე. იმას უთხარი:

— რა ქენე შენი ცოლშვილი? ამან მითხრა, რო: — ვერ გაიგე, იაკოფჯანო? მეც უთხარი: — ვერა!

— ცოლიც იქ დამჩა და გასათხუარი ქალიშვილიცაო. ავათ იყვნენ და ველარ გადმოვიდნენ ურმიდან. მე რალა უნა მექნაო, ზურგით ვერ ავიკიდემდი, რო წამომეყვანაო!

ავდექით, გავწიეთ და წავედით. ორ ღამეს კოთელიას ვიყავით, ერთ ღამეს ჭიხარულას ვიყავით. იქ გავაწყვე ურემი (ხარები ხო კვყამს!), ზოგი ვიყიდე, ზოგიც გაქცეულ სოფლებიდან გამოვიტანე, შევაბი, გავსწიე და წავედით. ერთი ღამე ყუმბრის დაეჩით. ყუმბრისიდან ავდექით და გადავედით წალკაში. წალკიდანაც ავდექით, გადავედით გომარეთში. გომარეთში ვიდრე გადავიდოდით, ცოლი და ორი შვილი (პეტრე და ვასო) რეხაშა (წალკაში) დარჩნენ, ავთ გახლნენ. გომარეთიდან, — მითხრა ჩემ ბიძაშვილმა, — მოდი, წავიდეთ, ხახვი მოვიტანოთ, გავყიდოთ ან სოფელში, პური გავიჩინოთ და ვჭამოთო. ე ხიზანი ხო შიერი არ უნდა დაეხოცოთო! ავდექით მეორე დღესა, წავედით, გავიარეთ ბაშქეჩითი, გავიარეთ ღუმანისი, მიველით ქვეშს (სოფელია ღუმანისის ქვეშ), გამუშუშვით ხარი იქა. მე უთხარი ჩემ ამხანაჯ (სერგო ერქვა):

აბა, სერგოჯან, მე წავიდე, ემ სოფლიდან პატარა პური ჩამოვიტანო-მეთქი. იმან მითხრა:

— ბიძაო, პურ ვინ მოქცემ შენაო? მე უთხარი, რო: — ინთელ პურ ჩამოგიტან, რო ვერ დასთვალო-მეთქი! — აველი სოფელს, დავიარე სოფელი, ყველამ მამცა პური. ერთ ოჯახობაში ერთი თუში მოსულა და ცხვარ პარსამს. ამან მითხრა მე:

— ვინა ხარო, სადაური ხარ, რა კაცი ხარო?

— თათრიდან გამოქცეული ხალხიდანა ვარ-მეთქი. იმან თქვა:

— კარგი, ეხლა-და ვისადილოთ, არსათ წახვიდე, დაიცადე, ერთათ ვისადილოთო!

გამოიტანეს პური, გამართეს სტოლი, მოვიღნენ ისინი, დასხლნენ, მეც დამიწვიეს, სკამი მამცეს და მეც დავჯექი. ამათ კარქი პური მაჭამეს. პურიც მამცეს იქ ამხანაგითვინა, ხორციც მამცეს, პატარა ღოჭითაც ღვინო მამცეს:

— შენ ამხანაჯ წაუღეო!

ავდექი, წაუღე და ჩაველი. დაზძინებია ჩემ ამხანაჯ, გაუჯავრდი:

— რათ დაგძინებია, ხარები რა უყავი-მეთქი? მერე ხარები ვიშოვეთ, შევაბით და წაველით. დაუღეთ ხახვი და წამოველით. ამოველით ჩვენ ადგილში. გომარეთში გავყიდეთ ხახვი, ავიღეთ პური. ჩემ ამხანაჯმა თქვა, რო:

— შენ დილაზე შეები ხარი, შენი ცოლი რო დარჩა იქა, შენი შვილები რო დარჩნენ იქა, შეუჯდუნე ურემზე და წამოიყვანეო! შივაბი ხარები და წავედი. აველი რეხაში. ჩემი ცოლი მამცდარა, ვხედან ორი ბავშვი კარეფშია. მეც გამოუშვი ხარები, მიველ და ისე დავჯექ. პეტრემ (შვილმა) იქ დაიწყო ტირილი. ვასოი მოვიდა ჩემთან, უთხარი: —



ვასოჯან, პეტრე რათ ჰტირის? — პეტრე იმისთუნ ტირის, მამაო, რო დედაი მოკვდაო. პეტრეი ტირის რა მეც მატირამსო.

მერე მოგრონდენ, იქ დისწულები მყანდა, სხვა ნათესავებიც, მითხრეს:

შენაო აქედან წახველიო, სამი დღე ძლივ იცოცხლაო, მერმეთ მოკვდაო, რა უყოთ, ხვთის საქმეაო!

იმ ღამეს იქ რავჩი, მეერე დღეს შევები ურემი, ეს ორი ბავშვი დაუსხდუნე და წამოველი. გამოვიარე ერთ სოფელში, სოფლი კიდურზე რო გაველი, ორი ძმა სთიბანს ყანას, ორთავისაც ცოლები ჰყამს. ვთქვი, რო: ხარები გამოუშვა, ვაძვიო პატარა ხანს, მერე შევება და წავიდე. ხარები რო წავასხი საძვიენილათ, ამ პეტრეს დედა მოაგონდა. ტირის. ვასოიცი მიყვირის, რო: — მამაო, პეტრეი ტირისო! მერე ი მუშები (ქალები) მოვიდნენ, ებნევიან: — რას ტირიხარ, შვილოო? მიველი, მეც უთხარი: — რას ტირიხარ, პეტრეჯან-მეთქი? ამ პეტრემ თქვა: — რო ჩავიდეთ გომარეთსაო, ირინემ რო გვიოხრაჲ, ჰანი დედაი? რა უნა უთხრაოთ? — შენ რა უნა უთხრაო, მე ვეტყვი, რო დედაი მოკვდა, აღარ არის (მოკვდომა არ იცი, კაცო?). მერე მოვრევი, ამ ქალებმა პური მისიკის, ყველი მისიკის, დააჩუმეს პეტრეი. მერე შევებით და წავედით. ვიარე და მიველი სოფელ გომარეთში (ტაია ჩემის ოჯალში). რო ჩაველი. მონგროვდნენ ჩემი ნათესავები. ვიყავით რამთენიმე დღე იქაც, მერე მოვიდა ბძანება სახში წამოსვლისა. ავდექით და წამოვედით. ცოტა ვიარეთ თუ ბევრი, მოველით ერთ სოფელში (წითელსაყდარა ჰქვიან). იმ ღამეს დავჩით იქ. მეორე დღის ავდექით და წამოვედით ტბის კიდურზე (ტბა არი ქვეშ). აქ ურემები გადაცუვენულიყო, ჩაცემულიყო წყალში (ბავშვები და ქალები სხლომილან ზედა). მირანდი ურემი გემეეტანათ, დაიხრჩობიან ის ხიზანი იქა. მე დაუყვირე და იმათაც დამიყვირეს, რო: — კაცო, ბავშვები მაინც გადმოიყვანე ურმიდანაო! პეტრეს შეიძლო, გადმოხტა ურმიდან, ვასოი პატარა იყო და ვერ გადმოვიდა. ესე რო წავიდნენ გზადაგზა, ვასომ დამიყვირა: — მეო, მამაო? აკი ცოტა პურ ვჭავო, ეგ რო წავიდეს, მეო? ვიარეთ და მიველით სახში. ჩემ სახში დგანან აგარღელი ქურთები, ვებძვი და ვერ გამამყვანან ჩემ სახლიდან. — შენაო სახლი ვინ მოქცაო? წადი, საცა შენ იარე, იქ მოქცენო! მერე იმას ყანდა სიძე, მოლაქელეშა ერქვა, აველ და უთხარი:

— ე შენი ცოლი ძმა არ მანებებს სახლს, არ მიშვეფს სახში-მეთქი! მერე გაუჩავრდა ისა, გაარაზილა და გამოიყვანა. მე უთხარი:

— მე ძალას არ უზამ-მეთქი. სიმონოვი იყო (უეზდნი კამისარი იყო), გვიოხრა:

— ამ ზამთარსო, თუ უნდათ, ერთათ დარჩებით, თუ არადა ისინი თავენტ სახში წავიდნენ! იმ ზამთარ ღოლას წავედით, გაზაფხულზე ისინი წავიდნენ თავენტ ოჯალობაში. ჩვენ ჩვენ ოჯალობაში დავიწყეთ ცხოვრება, იმათაც თავენტ ოჯალობაში.

სოფ. ქილდა

## 7. თათრებთან ბრძოლა ხიზაბავრაში

ძველიდან არაფერი არ მესმის გლეხობის მეტი. მეჭოგე ვიყავი. მამაჩემს თომა ერქვა ტატუაშვილი. გლეხობის მეტი ჩვენჩი არაფერი არ იყო. მამაჩემს ოთხი შვილი ჰყავდა. ჩემი ძმები და მე ვაენჩი ვიყავით, პერსიაჩი, ნიკოლოზის დროს. ახლა ძმიები აღარ არიან.

ინ დროებაზე, ნიკოლოზი რო გადავარდა და თათარი შემოგვესივა ჩვენა, თათრები ბეგებმა და ფაშებმა მოილაპარაკეს: ქრისტიანი გავწყვიტოთ, რო ეს ალაგი სათათრეთ დაგვჩესო. ჩვენი ჯარი ახალციხეში პლენჩი დარჩა, მერე ღამე გამოაპარეს ამ ტყიებზე, რო სხვებ მევეშველოთო. გზიები იყო გლახა. თოვლი იყო დიდი. თათრებმა შეყარეს თავეთ ჯარი და მოუწყვიტეს გზა სოფელ ძველში.

ერთი აწყვერელი ბეგი იყო და ერთიც ოშორიდან ომარ აფენდი. ამათ შეყარეს ჯარი და ეომენ ქრისტიან ჯარს. მაშინ ჩვენმა ჯარმა გამოგლიჯა ესენი, სილა წაართვეს და ზოგი ოაიჭირეს პლენჩი, სხვა კი წავიდა. თათრებმა იმ სოფლებს (ძველს, ჭობარეთს, ერკოტას, დადეს, ქუნცას, როკეთს) დაუწყეს წყვეტა. მერე ჩვენმა ჯარმა შეიყარა სილა და გადავიდნენ ამ სოფლებჩი და გადაარჩინა ხალხი, სუ აქ მივრეკეთ ის სოფლები.

მემრე აქა [ხერთვისში] ერთი აფენდის შვილი აბაზა იყო, დიდარი კაცი იყო ძალიან. იმან გამოიწვია ადვიგნის რაიონის თათარი, მორეკა ხერთვისში ერთი ცხრაას-ათასი კაცი. იმ დროს თათარი ფაშა გადმოვიდა არტაანიდან (ამათ გადაუტანეს ამბავი, რო ჩვენ ქრისტიანები კვწყვეტენ და მოგვეშველევითო). მოვიდა ის ფაშა ხერთვისში (ცხრაასი კაცი ხერთვისში ეყარა). ამ ფაშამ უთხრა: შენ რას ახერხამ მაგას, რათ ებძვი მაგ ხალხსაო? ხერთვისის ფაშამ აბაზამ უთხრა:

— საროს, ხიზაბავრას არც ერთი ქრისტიანი არ უნდა დავტოვო! მოსულ ფაშამ უთხრა:

მე ხიზაბავრა გამიგია ტამბოლშიო, შენითანა ბიჭი ხიზაბავრას ვერ შევაო, აქაო ყოჩალი ხალხი არიო და ვერ აიღემ იმ სოფელსაო, დაანებე თავიო! იმან უთხრა იმ ფაშას:

შენი საქმე არ არიო!

— კარგო, შერაინი კაცი იმ სოფელს ვერ აიღმსო ხარაშენს ვეტყვით, იქ დავდგები და იქიდან უყურამ, მე კი ჩემ ჯარ არ მოგახმარამო! ამან უთხრა: არ მინდაო! იქ რო ავიდა, დაიწყო სერიო. ამათ ჯარი ამოვიდა ხულას გორაზე, გააკეთეს თაბია. ჩვენმა გავზავნილმა საროჲ ყარაულეებმა დათვრნენ და წამოვიდნენ. რაგორც რო წამონათ-და ტრედითრათ, დასცხეს იმათ იქიდან. ეს სარო აიღეს. ეს ხალხი ტვიტვილა გამოიქცნენ, ანოლაგდნენ ჩვენ სოფელში. უთხრეს: თათარი შემოგვესივო. ერთი გორელი იყო, თქვა: ჩვენი სარწმუნოება უნა სხვეპლათ შეეწიროთ და ხიზაბავრა თათარს არ უნდა გავაწყვეტინოთო! მაშინ ადგა და ამათ გააწილადეს ჯარი: ასი კაცი პრიამა გავზანეს, ასი ვარგავის ფრონტზე გავზავნეს, ასიც — ასპინძისაჲენ. სამ პლანათ გაჲეს ეს ჯარი. რო ავიდა ჩვენი ხალხი ვარგავის სირაუნში, თათრებმა გზა გადუქრეს. მაშინ იქ მოხდა დიდი სროლა. რო იომეს, იომეს. დაიტრიალეს ეს თათარი და წირაკუნტის სერში გადმოალაგეს. ასი ბიჭი — ჩვენებურები — კიდე მიღშველენ. თათრები მალლა კოტაჲში ჩასაფრდნენ. ტყვია არ დაუწვიათ ჩვენებს. აქედან მიუდგეს ზარბაზანი და შიგ იმ გჯუფჩი ჩაავდეს ტყვია. მაშინ აიშალნენ ზეზე, ზეიდან ჩვენი ჯარი გადმოვიდა. იქიდან დაიბრუნეს თათარი და ჩარეკეს ხერთვილში. ცხრაასი კაციოღან ასილა დარჩა სალი. მაშინ უთხრა თათარი ფაშამ: მე ხო გითხარ, შენ ხიზაბავრაჲ ვერ აიღემ, ამოტოლა ხალხი რათ გააწყვეტინეო? მაშინ წამოვიდა თათარი ჯარი და ახალქალაქი აიღო. მენ და ერთი კაცი გავგზავნეს: წადით და ნახეთ, თათარი ჯარმა გზა გადაგვიჭრა თუ არაო? ჩამოველით და უთხარიოთ: თათარი ჯარი შეძლოვიდა არაკაჲში და ჩვენ ველარ წავალთ. პლენჩი ჩავრჩითო. მე უთხარი: დაუდეთ საბარეები, ხიზანი წავიყვანოთ და გავასწროთ აქედან, ჩვენი ჯარი გავგზავნოთ წინა. ავიდნენ იქა. კოთელიაში, თათარი ჯარიც ახალქალაქიდან მოვიდა. დაუწყეს ერთმანით სროლა. მანდიღან ჩვენმა ჯარმა თათრები გაირეკა და ახალქალაქ გავზავნა უკან. მაშინ ეს ხიზანი წავიყვანეთ ბაკურიანში, ჩემო ბატონო. თათარმაც მოსთხვია ჯორდანის გზა: — ბაქოში უნდა გავიდე და ვეომო ანგლიასო! იმანაც დაუტუა გზა: — აჰა, შენი ბაქოს გზაო! ჩვენ რო ბაკურიანში გადავედით, უთხარიოთ, რო: — ჩვენ აქ ვერ ვიცხოვრამთო! მაშინ მოგვიყვანეს პოეზები და წავიყვანეს კახეთისაჲენ. საგარეჯოში ჩაგვასახლეს ხუთასი კვამლი კაცი. მიწებიც მოგვეცეს და ყველაფერი და მანდ-ნა ვყოფილიყავით.

მემრე ანგლიაი რო შემოვიდა ბაქოში, დაუწყო თათარს ომი, ბევრი გაწყვიტა და გამოიქცა თათარი მემრე. მაშინ თათარი აქედანაც

გაიქცა და ცარიელზე დარჩა ეს ჩვენი ალაგი. აქედან საგარეჯოში მოგვიყვანეს პოეზები და გვიტხრეს: — აღუქით, თქვენ ალაგზე წადით, თათარი აღარ არიო! მაშინ მოვედით აქა, ისევ თათრები იყვნენ ჩვენ სოფელში. იმ ზამთარ ერთათ ჩავჩით ჩვენ და თათარი. მეორეთ დაგვიწყეს ჩვენ ბრძოლა. თვრამეტი კაცი მოგვიკლეს ამ სოფელში. გადმოვიდა ერთი კაცი, ჩამოვიდა აქ, გაიარ-გამოიარა, რო აქ ხალხი გაწყვეტილი იყო. ამან თქვა: — ეს ხალხი ვინ გაწყვიტაო? აქაურ თათრებმა უთხრეს: — ასე გვიბძანა ბეგმა, რო ქრისტიანი კაცი არ უნა იყოს ქვეყანაზეო! — ოპ, თქვე კაცი მკვლელებო, თუ იმას ხემწიფობა უნდოდა, ხალხ რათ აწყვეტინამდა, არ იცის, რო ხალხით უნა ქნას ხემწიფობაო? რაკი თქვენ ასე გიქნიათ, ახლა გამოვიწერამ ჩემ ჯარსაო, გადმოვალ აქა და რაც თათარია, სულ-ნა გაწყვიტოო!

მოიყვანა და ამ სოფელში ჩასაო ჩააყენა. თათრებ უთხრა: მე ჩავალ ახალციხეში, რომელმა ბეგმაც თქვენ ეგ გიბძანათ, იმას რაცაც უზამ, მე ვიციო. ამ ჩასაოებს უთხრა: არავინ არ გაცარცოთ, თუ მოვიდა ვინმე ჩემთან, იჩივლა, მოქპრით თავსაო! თითონ წავილა. მაშინ თათრებმა შიშით ხმა ველარ გაგვეს. ამ თათრებმა ერთმანეთში იჩხუბეს, შეკრეს აწყურის გზა. მევერე მოვიდა საბჭოთა მთავრობა. მაშინ თათრებსაც მოუვიდა თავსა და ყველასაც.

სოფ. ხიზაბაერა

## 8. 1918—1921 წლები

ნიკოლოზის გადაგდების შემდეგ აქაურმა თათრებმა დავა დაგვიწყეს:

— ნიკოლოზი თქვენი ხენწიფეც იყო და ჩვენიცაო. როგორც შვილფეს მამა მოუტყვდებათ და შვილები მის ქონებას გაიყოფენო, ჩვენც სახენწიფოს ქონება ისე-ნა გავიყოთო!

თვალი იმაზე ჰქონდათ, რო იარალი უნდა გიეტანათ და ჩხუბო დიეწყოთ. იარალი, სკლადები და ქონება მოითხოვეს. ქართველებმა და სომხებმა არ დაუთმეთ, ჩვენ უთხარით, რო:

— თქვენ თუ ჩვენი ძმები იყავით, ომში თქვენც იქნებოდითო. ჩვენ თქვენ ვერ მოგიდგებითო!

ისინი ქვთხოვდნენ:

— ჩვენ მოგვიდექით და სომხები გავწყვიტოთო! ჩვენ ასე უთხარით, რო:

— სომხები ჩვენთან იყვნენ ომში. და იხოცებოდნენ, თქვენ კო

აქ დაგულაობდითო. ისინი არიან ჩვენი ძმებიო. ჩვენგან და სომხები-  
სგან ხალხი შეიკრიფა და შეიარაღდა ამ ნიკოლოზის იარაღით. ახალ-  
ციხეში შეგროვდა ეს ხალხი. ახალციხის სკლადები და იარაღი აიღეს  
(თათრებმა ვერ მოაწერეს იარაღის გატანა).

ეკენი (თათრები) წავიდნენ და თურქეთიდან (ხოფიდან) გაღწე-  
ოიანეს იარაღი და გაგვიმართეს ფრონტი. ახალციხეს რამდენჯერმე:  
დიესხეს, მაგრამ ვერაფერი გააწყეს.

სოფლათ იარაღი ცოტა იყო. ახალციხეში ღამით მიდიოდნენ ჩვე-  
ნები და იარაღი მოჰქონდათ. აქედან ახალციხემდი გზა შეკრილი იყო,  
მოძრაობა არ იყო.

მაგენმა (თათრებმა) აქ ხერთვისიდან ჩხუბი გაგვიმართეს. ამ სო-  
ფილს შემოვისიენენ ეკლესიიდან. ვარჯავამდის სულ დაკავებული იყო  
ფრონტი. იმათი რვა ათასი კაცი იყო მოწოლილი, ჩვენებმა (ორასი-  
კაცი იყო) რვა ათას კაცს გაუმასპინძლდნენ. ზოგი დახოცეს, ზოგიც  
გაიქცა.

დახედეს თათრებმა, რო არ იქნა, თითონ თავეთი თურქეთი ხენ-  
წიფე დიხმარა, თავისი ჯარი გადმოიყვანა ათას ცხრაას თვრამეტე  
წლის მანისის თვეში. მოიტანა სახინწითომ ძალა, მაშინ ჩვენ დატუღეთ  
აქაურობა და ბაკურიანში (ტყეში) გავიხიზენით. ზატხულის თვიები  
იქ გავატარეთ, ღვიინზრამდის იქ ვიყავით.

წერი თათრებმა აწყვერში გაუმართეს ქართველებს ბრძოლა. ამ  
დროს ძლიეს ქართველებმა. მაშინდელი ჩვენი თავრობაც ჩიერია და  
თათრები ჩვენი მიჯნებიდან გადარეკეს. მაშინ ჩვენც მუელით ჩვენ  
ბინებზე.

ათას ცხრაას ოციდაერთ წელში თათრებმა კიდევ გაბედეს შემოსე-  
ვა (ხოლოთ თურქეთის ჯარი იყო). ფაშები თითონ მოვიდნენ აქა. ამო-  
ვიდნენ ამ სოფელში. აქ ქორწილი იყო. ფაშები ქორწილში შევიდნენ.  
ამათ თქვეს:

— გხლავი რძალი მოიყვანევით და ჩვენთან უნდა ითამაშოსო!  
ქორწილის პატრონმა უარი უთხრა.

იმ ღამეს გაჯავრებული წავიდნენ ხერთვიში ის ფაშები. მეორე-  
დღეს ერთი ასი კაცი შეიკრიფა ფაშას და ამოვიდა აქა. მთელი ხალხი-  
მორეკეს წყაროსთან. ჩააყენეს წკრივში მამაკაცები. დაიქვრდნენ  
პირველ კაც, ეტყოდნენ:

— აბა. შენ თოფი გამოიტა!

თუ ამას თოფი ჰქონდა, გამოიტანდა და მისცემდა, თუ არადა-  
წააქცევდნენ და ზოპათი სცემდნენ. ან უნა გემიეთქვა, ანდა მი-

ვკლათ (იმდენ სცემდნენ, რო დარწმუნებულიყვნენ, ამას ჰქონდა თუ არა თოფი). მაშინ ვინღა გაბედავდა, რო დიემალა!

ეს იარაღი შეკრიფეს, თოფები აჰკიდეს ამ კაცებს, როგორც სახედარს (აქ ვიყავ, აქედან ვსეირობდი). ამ კაცებზე თან ზედ შეჯდნენ და წავიდნენ. ჩაიყვანეს ხერთვიში, იარაღი ჩაიტანეს და ეს კაცები გამოუშვეს.

აქ ვინც დარჩნენ თურქები, თალანობდნენ (რაც კარგი რამ იყო, გამხხრეკდნენ და მიჰქონდათ). თუ თათარს ხელ შეუშლიდნენ, მოჰკლავდნენ იმ კაცს. ორი კაცი და ერთი ქალი ერდოზე მოკლეს.

სალამოს გაიკრიფნენ, გალაგდნენ და წავიდნენ.

ნეორე დღის აქ ერთი ხიზაბავრის ღვდელი ჩამოიყვანის მაგათ. ამ ღვდელმა დახედა, რო ამათ (თათრებმა) ხალხი-ნა გაწყვიტონ ცემით, ღვდელმა უთხრა ფაშას:

— ამ ხალხ რწმენა აქო, მოდი, დავაფიცოთ და ვისაც იარაღი აქ. მოიტანოს! ვინც დაიფიცამს, იმას არაფერი არ ექნებაო. ასეც მოხდა.

თათრებმა რო გაიგეს ბორჯომში ბოლშევიკები შემოვიდნენო, თითონ გაიქცნენ.

სოფ. სარო

## 9. ბრძოლა ბათათრების წინააღმდეგ

ჩონი უწინდელები ილაპარაკემდენ ხოლმე: ძაან გააწყინებულნი ქვეყანა ყოფილა საქართველო თამარ დედოფლი დროსაო. ისე ჰქონიათ ჩვენი მხარე მოწყობილი, რო რომელსაც ჩვენ ახლა საბალახოებათ ვხმარობთ, იქ ვენახები ყოფილა მოწყობილი. ისეთ ადგილებში ჰქონიათ წყლები გაყვანილი, რო ახლა წვით წყალს ვერ ნახავ იქ. ჩონი ახალციხე თბილ ქალაქზე დიდი ყოფილა.

თამარ დედოფლი შულისათვის უღალატნია მთავარ ათაბეგებს. შემოუყვანიათ თათრები. ამათ დაუწყიათ ჩონი რეჯლისათვის დევნა, უთათრებიათ ხალხი. ვინ თათრობას მიიღებდა, იმას ანთავისუფლებდნენ მახთოდან. ქრისტიანეთს ხშირათ ამუშავამდენ სოხრაზე, ადებდნენ ბევრ მახთოს. ღორებ უკრძალემდენ ქრისტიანობას. პირველში თათრობა მიუღია ათაბეგებს. ერთი ათაბეგის ცოლი ყოფილა, ქვრივი ქალი. იმას ერთი შული გაუთათრებია და ერთი შული ქრისტიანათ შეუნახია. ის გათათრებული შული ჯერ მიჰდგომია თათრებ, ეედა, მერე უღალატნია, თათრები ჯარი ჩაუწყვეტინებია ქართველი მეფისა-

თვინ. მერე ის ბიჭი ღალატით მოუკვლევინებიათ თათრებს იმის ბიძის საშუალებით. იმის მერე, ჯანო, დაუწყევიათ გლეხების ბევრი გათათრება. ვინც ქართველები დარჩენილან, იმათაც ჩუმათ შეუნახიათ რჯული, თავანთ ქართული გვარები, თათრეფში კი ცნობილი ყოფილან თათრული გვარებით. სულ პირველში გაუთათრებიათ არტანულები, ართვინელები, შავშეთელები, ფოცხოველები, ქვაბლიანები, მერე ეს ახალციხის სანთი. ახალციხის ზეით რამტენიმე სოფელი ქართველი დავრჩით. ქართულ სოფლეფში ურეედნენ გადმოსახლებულ თარაქმეფს, ქურთეფუ. ერთმანეთში ძალათი ათხოვებდნენ ქალებს. ქართველ ქალეფში შემოიღეს თათრული ყაიდის ტანსაცმლის ჩაცმა (მე თითონ შევერწარი, პატარალობს რო ჩადრს ხურამდენ). თათრები ხელს უწყებდნენ აგრეთვე ლეკები დაცემას.

ერთ ტოლოშელ მიუღია თათრობა. თიბათეფში რამაჯანი ყოფილა. ამ დროს თურმე ამ კაც უთიბნია ქალა წყლი პირას. მოსწყურებია ძაან წყალი, მისულა და ერთ ხის ქოლგაში დაუსვინია. ამ კაც ჩასძინებია. სიზმარი უნახია, რომ მითამ ერთი ცხენოსანი კაცი ხლმით მისულა: უნა მოქლა, რათ მიიღე თათრობაო! ხმალი დაუქნევია. კაც სიზმარში შეშინებია, წამომხტარა და დაუღრიალია: მიშველეთო! მეზოღლეფს დაუძახნიათ: რა ზოგივია. ჯანო, რა იყოო? — არაღერო, — გადაუსხვავირებია (იმ კაც პრჭმევია თათრული სახელი — ქმარუმა), წამოსულა შუადღისა სახში და ცოლისთუნ უთქვამ: ეე, ქალო, ერთი წყალი მომიტანე, თორე ვკვდებო. ცოლ უთქვია: უმიე, რო გავვიგონ, ხო დაქვხოცებენო. — ნეტაი ერთი შენცა, მოიტაო! წყალი რო დაუღევნია, მერე უთქვამ: მე-ნა წავიდე, ღვდელი-ნა მოვიყვანო და ბოვშეები-ნა დავანათვლინო.

იმ დღისით ვერ წასულა, ღამე გაპარულა. ბარალეთიდან ჩამოუყვანია ქრისტიანი, მაგრამ თათრულ ტანისამოსში გამოწყობილი სარულიანი ღვდილი, დღისით სახში დაუმალა. ღამე მოუნათვლინებია ოთხი ბავშვი. მესამე ღამეს ისეე თაფი სოფელში აუყვანია ი ღვდილი.

ტოლოში ეხლა იმ კაცის (ბოვშეები რო დაანათვლინა) ჩამომავლობა მეღიქიძეები არიან.

სოფ. სარო

## 10. ამ დღეში იყო ჩვენი ხალხი

სოფელი ხიზაბავრა რვაას ორმოზდაათი წლის წინათ არის დაარსებული. მაშინ მესხეთში ყოფილა ბარალეთი, ტოლოში, გოკიო, კოთელია. მესხეთი ამათგან შედგებოდა. ჯავახეთში სომხებიც ესახლნენ

ვარანცოვ-დაშკოვის მიერ გამოსახლებული ოსმალეთიდან, ერზრუმი-დან და ბალდადიდან. დიდ შიშს განიცდიდა ეს სოფელი ხიზაბავრა ლეკების დარბევით. მოდიოდნენ, ტყვეთ მიჰყავდათ, ყიდებდნენ. იქიდან იპარებოდნენ, ზოგი გადმოდროდა, ზოგი იქვე კვდებოდა. ამ წროს ველიჯანაშვილი როსტომ მისი ამხანაგით გამოიპარება. ისინი ცხოვრობდნენ დაღესტანში ერთ ბატონთან. იხელთავეს ერთი ღამე და გამოიპარნენ დარიგებით იქაური ქალიდან (ის ქალიც აქედან იყო წაყვანილი). იმან ასწავლა: გახვალთ ამ სოფლიკ კიდურზე, იქ რო ხილია, დაყრილია ნაცარი, ქალამნებ გაიხდით, უკუღმა ჩაიცვამთ. რო ძებნა დაგიწყონ, გაიგონ, რო კაცები იქიდან არი გამოსული. ასედაც მოიქცნენ; გამოვიდნენ მინდორში ვიდრე გათენდა და შეიმაღნენ იქვე მოთბულ ბულულეფში. გამორეკა ხბო-ჯორი საძვევებლათ მეძროხემ, ერთი მიშკა გამოიყოლა. ეს მიშკა ყუფამ ამ კაცსა. ესენი მუუგლებენ ერთსახელა პურსა, დააჩუმენ, კილო მუუგობენ, კილო დააჩუმენ. სოფლიდან მთელი ხელი მოედო ამათ საძებნელათ. დაღამდა. ადგნენ და გამოუდგნენ გზას. ერთი ღამე იარეს, მესამე ღამეს მიადგნენ ერთ მკვდარ ცხენს, ის ჰამეს. გაუჭირდათ თავი და დღისითაც წამოვიდნენ, გადაწყვიტეს სიკვდილი. წამოეწიათ ამათ ის დღიღბაში, რომელიც აქ გადმოდროდა და ტყვიები მიჰყავდა. მოეწია ამ კაცებსა, უთხრა: დადექით, სად მიხვალთო? დაუწყო მათრახით ცემაი. მივიდა ახლო როსტომაი. იმდენი ქნა, რო ლაგამს ცალი ხელი მიჰყო, მეორე წაილო და ყაყლანტოს სტაცა. ცერმა სალოკი თითი იპოვა, გამოიწია და ყაყლანტო გამოგლიჯა, ენა გულზე ჩამოჰკიდა, დააგდო. სარამდისი ცხენმა გაძლო, სამივენი ამ ცხენზე იყვნენ (ეს მკვდარიც ცხენზე შემოსვის). როცა ცხენმა ველარ გასძლო, გასკდა ცხენი. ის იქ დააგდეს და წამოვიდნენ ფეხით. საღამოთ ერთ ბახჩიან სოფელში შემოვიდნენ, იკითხეს: — ვინ დაგვაყენამსო? მიუთითეს ერთი კაცი. შევიდნენ ეპ კაცები (იპ თოფიც დაჰკიდეს, ხანჯალიც, მათრახიც). სახლი პატრონმა მაშვე იცნო მარალი:

თუ ეს ამამავალი კაცისაა, ამის პატრონი რა უყავითო? როსტომა უთხრა: ჩვენიაო. — ამის პატრონი კაცი რაცაღა ორგული კაცია. რო მოგიკლიათ, ახლა კი მოისვენამს ხალხიო. თუ შეიძლება ეს თოფი მე დამიტვიეთ, თქვენი გადაყვანა თქვენ ქვეყანაში ჩემი საქმე იყოსო. დაუტვიეს ეს თოფი იმას. ამ კაცმა დილითი ერთი კალათი ყურძენი, ერთი კალათი ატამი და პური ორთავეს მისცა, თან გამოატანა თავისი მოსამსახურე, უთხრა: — ემ კაცებ მიიყვან იმ წყლიკ პირზე, სადაც წყლიკ გაღმა ბახჩიანი სოფელია, იქ არი ჩემი ნათლია (იმაზე მუუთი-



თა), ის შეგინახანთ და გავისტუმრამთ გზაზეო. იმ კაცი დარიგებით ესენი გადმოვიდნენ ისეც თავენტ სამშობლოში.

ამ დელიბაშ აქეთგან ყამდა ერთი ქალი წაყვანული — არაბიშვილი. დაავალა აქ ღვდელმა, რო: — წადით და გადმოიყვანეთ, ჩენნი ქრისტიანი რაჭული ნუ გადავა თათრი რაჭულზეო! ბერნადეს მოუკრიფეს ფული, ცხენი მისცეს და ბერნადეი წავიდა. ღვდელს უთხრა: — იცოდე, რო თათრულათ უნა ვილოცო, რო არ შემამჩნიონ. წავიდა, საცა მივიდა (იმათ რო თავეთი ლოცვა იციან, აიყუნცებიან-დაიყუნცებიან), ესეც ისე იქცეოდა. გავიდა იმ სოფელში, საცა ეს ქალი ყანთ. დადებულია აქ დიდი ფული, რო გაიყიდოს. ბინა მოითხვია, მიიყვანეს ერთ კაცთან, რო: — შენ შეინახეო! შევიდა, დახედა, რო ხვთიმშობლის ხატი არი, ძესო ქრისტის ხატი არი, კრიონასალი ჰყიღია, შეხედა ამ კაცსა, რო ქრისტიანია: — ესენი რანი არიანო? — უთხრა. — ჩვენაო ქართველები ვართო, თორმეტი მოკვამლე ხალხი ვართ აქაო, ჩვენთვინ ვლოცულონთო და ხმას არავინ არა ქვეცემსო. — აქ ეპ ტუსალი ქალი რო მოუყვანიათო, ეგ რა რაჭულიაო? — რაგორ არ ვიციოთ, ქართველია. დღეს გამოიყვანეს, შვიდ ქესა ფულზე ავიდნენო. ხვალ დიდარ ხალხ უტდიან, ნახოთ რამდენ ქესაზე ავა, რო-ნა გაყიდონო. ეს ბერნადეია გამოუტყდა: — მე სწორეთ მაგ ქალისთვის ვარ წამოსულიო (პირჩვარი დაიწერა), ქრისტიანი ვარო. რაგორ მოვიქცეთ, რო ჩვენ ეგ ქალი ვიყიდოთო?

ეს კაცი უჩუმით მივა მეზობლეფში და თორმეტ ქესას შეაგროვამს. ერთ შვილ გაგზავნის ყარაულთან (საცა დატუსალბულია), ის ეტყვის: ხვალ-ნა ეს ქალი ვიყიდოთ და ერთი მაჩვენეო. ეს რო შევა, ქალ ეტყვის: — ხვალ ვინცხა თქვენი სოფლელი მოვა, შენ-ნა ვიყიდოს და არ გემენაცნაუროო! გამოიყვანეს ეპ ქალი, მივიდნენ ვაჭრები. ცალ სამთზე თათრი ვაჭრები დადგა, ცალ სამთზე ბერნადეი და იძახის: — ტამბოლიდან ვარო. იმათ მისცეს რვა ქესა, ამან მისცა ცხრა ქესა. იმათ მისცეს ცხრა ქესა, ამან მისცა ათი ქესა. ათ ქესაზე ავიდნენ ისინი, ეს ავიდა თერთმეტ ქესაზე. მერე ასწიეს და თავი დაანებეს. აილო და ამ კაცმა იყიდა. გამოიყვანა, მიიყვანა იმ სახლში, წამოიყვანა ეს ქალი და წამოვიდა. ვინ წაართმევს?! თათართან იგითია, თან გზა იცის, თან კვალი. აროვინა და კვირა დღეს საბუზარაზე გამოიყვანა. აქ ხალხი ლაგდება ეკლესიაზე წირვაზე. სარამ ეკლესია გამოვიდა, ცხენი დააბა ქალაში. მერე წირვა რო გამოვიდა, შესვა ცხენზე, მიიყვანა ეკლესიიპ კარებზე და ჩააბარა ღვდელს:

აჰა, ღვდელო, აქედან მოტაცული ქალიო! ის ქალა იყო სასო-

ფლო და ის ქალა დაასაჩუქრეს ბერნადეს (ვიდრემდისინ კოლექტივი დაარსდებოდა, ბერნადეი თიბემდა ამ ქალას, ახლა კოლექტივისაა).

\* \* \*

ამ შიშობის დროს ხიზაბავრას ქონდა დარნები. ღამე იქ შედიოდნენ, ინახებდნენ თავს, ღღისით ყარაული ეყოლათ საბუზარახე. მინდორზე ნუშაომდა ხალხი. ამ მალაროფეში რო შედიოდნენ ღამე, შემოდოდნენ ეპ თათრები და არბევდნენ. ქალ დაიპერდნენ თუ კაც, მიჰყავდათ. მოვიდნენ ღამე და შეხვდათ დათათ გვარის კაცი მაკოფა. ამას უთხრეს: — თუ დავაპერინამ გოგოლაძეს, რომელიც რო ლეკებ ხოცამს, შენ გაგანთავისუფლამთ, თუ არადა შენ-ნა მოკლათო! ამათ უთხრა: — ოღონთ ნუ მამკლავთ, მე იმას დავატყუილამ, კარზე გამოვიყვან, მარამ, თუ ვერ მოასწროთ დაქერა, არც თქვენ დარჩები ცოცხალი, არც მე დამტოვს ცოცხლად. მივიდა დათათ შვილი ამ დარნიჰ კარებზე, შეზძახა: — ნონე, გამოდი კარებზეო! — კაცო, არავინ მამაკლენო, არავინ იყოს მანდაო! — არა, კაცო, არავინ არიო, გამამაგზავნეს: დაუცახე გოგოლაძე ნონეისო. გამოვიდა ეს კაცი. ორი კაცი იქიდგან დგას ( ეს ლეკები), ორიც იქით, უქირამთ ქამანდი მზათ გაკეთებული. როდესაც თავი გამოყო ამ კაცმა დარნიდან, მაშვე ქამანდი გადააცვეს მხრებზე. ორმა აქეთ გაიწია, ორმა — იქით და შეკოქეს კაცი. წაიყვანეს, თავი-ნა მოშკრან. ამ დროს შეეხვეწა ეს კაცი: — ერთი სალავათი მამატავინეთო, ჩემ რაჟულზე ვილოცამ და მერე მამკალითო! აიყვანეს ეს ერდოზე. იმან იცოდა სეკრეტი, მალაროს სუნთქი ამოდოდა, იქიდან ჩაზძახა: — ქიანჰველებო, გესმოდეთ, ჩემი სისხლი მოსთხვიეთ დათათ გვარის კაცსაო! მოჰკლეს ეს კაცი. დარჩნენ ობლები: პირველი გოგია, მეორე დავითი. მუცელზე რომელიც იყო დარჩენილი, დაარქვეს მამამისის სახელი ნონეი. ამათ იცოდნენ, რო თავეთი მამა დათათ გვარის კაცს ყამდა მოკლული. როცა დაიზდნენ, ამათ ბლევრა დაუწყეს. ისინიც ექვსი ძმანი იყვნენ.. ისინი ერიდებოდნენ ამ სამ ძმას. გოგიაი თავისნაირი ყოჩალი გამოუვიდა.

ჩვენ გვექონდა ბალები კარქი. გაზაფხულის პერიოდში წიდნის დრო იყო, გასხლის დრო იყო ბალებისა და ორივე ძმები — ნონეი და დავითი — გოგიამ გაგზავნა ბაღში. სამ უღელი ხარი ყამდათ, თითონ შიბაჰილდა, ჩამოიტანა ყანაში, ტყემლუანში, რო: — ეგია დათას შვილები ჩამოვიდნენ (ყანა იყო დათას შვილების), უყო ჩხუბი და მამაჩემის სისხლი ავილოო. ძმებმა ამბავი შეუტანეს დათას შვილს, რო გოგოლაძე გოგია ხნამს ჩვენ ყანას, ტყემლუანსო. — ეპ, გაანებე თავიო,

ხარებ გამოახამამსო! სალამომდი ხნა, სალამოს ამოვიდა სახლში, დააბა ხარები. მოვიდნენ ბალითგან ძმები და შევიდნენ, ნახეს ხარები, როსულ წყალშია, ოფლიანია. ქალებს უთხრეს: — რათ არიან ეს ხარებო ასეო? — თქვენმა ძმამ ხარები შეაბა. როცა წახვედით დათათ ყანაში, მაშვე. ი ძმიებმა უთხრეს: — გოგი, დაანებე თავი, არ გინდა სისხლი. იმან თქვა, რომ თქვენი საქმე არ არიო.

მეორე დილას ეს ძმიები კიდევ გაუშვა ბახში. აამსო ორი ჯვალე ქერი, ჩაიტანა ამ ყანაში, დათესა, დაფარცხა, წამოვიდა შინ. დათათ შეიღები შიშით კი იქ ვერ ჩავიდნენ. იქამდი ი ყანა გოგოლაძეებს ეკირათ.

ეს გოგია მოდის ასპინძილამ. შეხვდებიან ის ლეკები, რომლებიც ნაცემი ჰყამს ამას. ეტყვიან ერთმანეთ (თორმეტნი არიან): — დიდი კაცი მოდილო, ყველამ იმას დაჰკართო! ჩამოიღებს ცელის ტარსა და ამათ თორმეტთავეს თავს დააყრევინამს.

ბივრი იგიტობა უქნია. სხვათა შორის. ამ გოგიას, მაკრამ მარცხიც მოუხდა ერთ ალაგს. წამოვა. ჩიმი ხარ ბატონი, აწყურდიან და დაეძინება ელაზის თავზე. შეხვდებიან ლეკები. ამას გაჰკოჰამენ; შეუკრებენ ხელს, შეუკრებენ ფეხებს. შემოხსნიან ხანჯალს, ჩამოართმევენ (ახენსა და წაიყვანებენ ესენი აწყურისკენ. მიიყვანებენ აწყურში. იქ ციხე არი, აიყვანებენ იმ ციხეში. შევლენ, რომ ორი ტუსალი კილო სხვა ჰყამთ ამათ. დაიწყობენ დაჩემებას. ერთი ამბობს: — ციხე მე! მეორე ამბობს: — ხანჯალი მე! მესამე ამბობს: — მათრახი მე! ამაში წაიკიდებიან, უფრო ხანჯალზე. — გოგო, — ეტყვიან: შენი ხანჯალი რომელიაო? — მე მაჩვენეთ, ხელში მამეციო. მე ვიცნობო. იმდენი გაბრიყვდებიან ეს ლეკები, რომ ამ ხანჯალს მისცემენ. რომ დაიკრამს თავი ხანჯალს ბორკილზე. როგორც ყველი, ისე გაშჰრის. რომცა ფეხებ გაშჰრის, ხელებსაც გაიხსნის. სამთავ ლეკებსაც გაკოჰამს. ტუსალებსაც გაანთავისუფლამს. იმ ციხის დღესაც ჰქვიან გოგიას ციხე (ტყეშია).

ეს გოგიაი წავა ტყეში, ჯერ არის სულ თხუთმეტის ანდა თვრამეტი წლის. როდესაც აქ თათრობა იყო, ხერთვისში იჯოთა ფაშა. ამას ყამდა ერთი ფალავანი. თორმეტი ვირით დადიოდა ტყეში ეს ფალავანი. ეს გოგიაიც იყო ტყეში. შეხვდებიან ესენი ერთმანეთს დედოფლეთში. მოდიან ტყილამ (მაშინ კი ტყე ჰქონდა ხიზაბავრას). თათრი ფალავანს მოუკრეფია თხილი, ჯიბიები აუშსია. ამოიღემს თხილს, მოუჰქერს ხელს. გასტეხამს და გულს პირში გადიგდებს: ერთი თხილი, ათი თხილი, ასი თხილი ... ამ გოგიამ თქვა: — რანაირი ძალის პატრონია, რომ თხილი გატეხოს ცერითო? ამასაც აქ თხილი ჯიბეში. დადგა უკან, მოშინჯა, მუუჰკირა და გატეხა ოთხივე, ხუთივე. ის რომ გატეხამს,

ესეც ასე გატეხამს. ხიხატამდის იარეს ერთათ. ქუქჩიშვილიც ყანაპთან თათრის ფალავანმა უთხრა გოგიას: — მოდი, დავიკიდნოთო, თუ წამაქციე. ეს თორმეტი ვირი შენ კარებზე ჩამოვხადოთ შეშა, თუ წაგაქციე, შენ რო სამი ვირი კყამს, ამათ საპალნეს ჩამოვხდი ფაშას კარებზეო! დაიკიდნენ ესენი. ასწია გოგიამ და დაახალა ეს კაცი. მეორეთ და მესამეთაც დაახალა. უთხრა, რო: — ფიცი ფიციაო! ახლა ეს თორმეტი ვირი მიაბრუნა მის კარებზე და ჩამოხადა. ამ კაცს აჭამა და ისევ აკიდული ვირებით გაგზავნა ფაშა:თან. რო ჩავიდა ეს კაცი, ფაშამ უთხრა: — რათ დაიგვიანეო? — ხიზაბავრაში ერთი ფალავანი გამოსულა. სახელათ გოგიაი, იმას ვეკიდავე და წამაქციაო. მეგრეთ დავეჭიდე, მესამეთაც წამაქციაო!

— მე არ დავიჯერებო, უთხრა ფაშამ. დაიბარა ფაშამ ეს გოგიაი, ჩაიყვანა ხერთვისში და დაშვიდა თავის ფალავანს. უთხრა, რო: — ფაშავო, მე მიწინიანო, აქ რო წავაქციო, თათრები თავებს მომპრიანო. — ნუ გეწინიანო! დეეჭიდა და იქაც წააქციაო. გაუყარდა ამას ეს სახელი, რო გოგიაი ძლიერ კიდაომო. დროების ერთსაც, ერთი ლეკი სადამოს პირზე მოიპარება ვენიჯალათ ყანიდან (ქეიებია). ხევი პირზე ხაზალაშვილმა დაინახა ის ლეკი, გაისროლა თოფი და მუარტყა ამ ლეკსა. მოვიდა, გოგიას უთხრა: — კაცი შემამაკვდაო. — სადა, ბიჭოო? — ვენიჯალათ ყანაპთან, ხევი პირზეო. ადგა გოგია, ნახა, რო ეს კაცი მამაკვდავია. დააკრა ცხენზე, გაუძღვა, დასცხო ცხენს და ჩაუძახა ხერთვისში. რო ხერთვისში ჩავიდა, ხი ... ხი ... ხი ... ამი მეტს ველარ იძახდა. ფაშა მიხვდა, რო ხიზაბავრელებმა მოკლეს ეჭ კაცი. გამოგზავნა მასაულები და დაიბარია ეს გოგიაი. ადგა და წავიდა. შუა გზაში რო ჩავიდა, ერთი გამოქვამული კლდე არი, ამ კლდეპთან დაჭდა. ჩაიძრო პაიჭი, დაიჭირა ფჩხილი და წვავის ტყავი გადმოგლიჯა ფჩხილით, ისევ ჩაიკეცა. მოიხვია პაიჭი და ჩავიდა ხერთვისში. რო შიყიყვანა თავისთან ფაშამ, ორი ხმალამოლებული კაცი დაიყენა აქაიქიდან: — რათ მოჰკალი კაციო? — შევიყვანე ვახშმათ კაციო. მითხრა, რო ცხენს ქერი მიეცია, ნახევრი კოდი დაუყარეო, ერბო-კვერცხი გაუყეთევიო. მერე მითხრა: ქათმის ხორცი მინდაო. ქათამი დაუკალიო. ქათამიც რო შეჭამაო, ცოლს უთხრა: ლოგინი დააგეო! რო დააგო ლოგინებო, სტუმარს უთხარ: აი, თქვენი ლოგინი და მოისვენეთო! იმან მითხრა, რო შენ კარზე გადი და მე და შენი ცოლი ამ ლოგინში დაწვევებითო! მე უთხარ, როგორ შეიძლებო! არა ჩნაო. ხმალი შემომკრაო, აი ეხლაც სისხლი გამდისო (კლიაი უჩიგნა). რო არა ჩნაო. დავიჭირე, კაინაირათ ვცემეო, დავაჯარ ცხენზეო, ხულამდი გადმოვყევი და ჩაუძახე ხერთვისშიო. ახლა შენმა სამართალმა იცისო! — ა-

საულებს უთხრა: — ახლა წადით, ჰე მიპატიეებია, როიცა რო ის კაცი ტყუებულაო. გოგის ბეჭებზე ხელი დაჰკრა: ჰაი, გოგო, რა სათათრე ბეჭები გაქო! — თუ რო კარგი რაჭული გაქო, რა ძალითა მტენა-შო! — წადი ეგეც მიპატიეებიაო! ადგა და წამოვიდა სახში.

ამ დღეში იყვნენ ჩვენი ხალხი თათრი დროს. მერე თავისუფლად ამოი!უნთქეს, როიცა საქართველომ დაიბრუნა ჩვენი მესხეთი.

სოფ. ხიზაბაგრა

## 11. ანალისტი თათრები

ხუთი მოკვამლე თათარი კყვანდა სოფელში. სომხები კარგათ ვერ იყვნენ თათრებთან.

ნიკოლოზი გადადგების შემდეგ თათარი აგვესია ჩვენა ამ ხერთვისშია. თათარმა ჩვენ ჯარ იარალის ჩამორთმევა და ცარცვა დაუწყო. ჩვენი ხალხი რო ომიდან მოდიოდა (თათრები არ მსახურობდნენ, ნიკოლოზ ჯარს არ აძლემდნენ), თათრები ამბობდნენ:

— იარალი ნაწილი ჩვენ-ნა მოქვეცეთო! ნებით რო არა, ძალით გვცარცვენდენ, გვიჩაგრევენდენ.

ბოლოს, სომხებმა და ქართველებმა, ვინც ახალქალაქში რაიონში ვიყავით, შევეკარით პირობა. დევეცენით და ფრონტი დავეჭირეთ ძველ ქილდაში, კვარშასა და გაღმითგან საროს. მტკვარის იქითგან იყო თათარი და გამოდმით ჩვენა. ჩვენ კყვანდა იქა ქართული სოფლები: აგარა, ზედა თმოგი, ტოლოში. როგორც იყო, იქიდან ქართველები გამოიქცნენ ზაფხულის აღებულ წყალშია. ბევრი პლენში დაქეჩა იქა. გადმოდიოდა თათრი ჯარი, დაეხმარა თათრებსა და ი პლენიც იგდეს ხელშია. ჩვენც დაქეჩა თათრი პლენი (კულასისის თათრები). შემდეგ გაუცვალევით (შეუცვალევით) ჩვენ იმათ და იმათ ჩვენ. მათ შუა იმათიც ბევრი დაიხოცა და ჩვენიცა, სანამდის შევეცვლიდით. შემდეგ იმათ დაგვძალეს და გვექეციით ჩვენა. დაუდეთ ვეში ურმებზედ, გავირევიეთ საქონელი, პირი ქვენით წალკისა და ბაკურიანისაკენ. ბევრი დარჩა პლენში, რასაკვირველია, ურმებიცა. ხალხიც დაგვიხოცეს ერთიან, იგდეს ხელში ქონება. წავედით, დაგვანებეს თავი. თითონ დადგნენ პერევალებზე პოზიციებზე, ჩვენ კი შევჩით იქითა. მოუცადეთ იქამდისინ, სანამდისინ კონფერენცია არა ქნეს და არ გამოგვისტუმრეს აქეთა. მოვედით აქა<sup>4</sup>. ქანალისტს ეძახდნენ აქაურ თათრეთსა, ისინი სუ გვხოცდნენ. კუმურდოში ბევრი ხალხი გაწყვიტეს. ქალები იგდეს ხელშია, უდივრობას ჩადიოდნენ. თათრები მერე მობრუნდნენ

<sup>4</sup> ოვლო.ხმება სოფ. ქილდა.

ქილდაში. მოუძღვა იმათი ფაშა. ჩვენი სოფლის ხუთი მოკვამლე თათარი იმათ მიეგებნენ. მოკრიფეს იარაღი, ვისაც გვექონდა ჩვენ, წაიღეს და წავიდნენ. ერთ კვირას მერე ჩვენი ჯარი მოვიდა. თათრებმა გაიწიეს ეხლანდელ გრანიტეფში.

სოფ. ქილდა

## 12. გამარჯვებულები ვართ

თათრები რო შემოგვესივნენ, ზათი გავიქეციოთ. ამ ხერთვისი სამთიდანა საროს ექირა. ხიზაბავრა რო არ ყოფილიყო, სარო და ტამალა არ იქნებოდა ეხლა. ქვაბლიანიდან მოვიდა ოთხასი კაცი [თათრები], მიეშველა ხერთვის.

ერთი ღრუბლიანი დილა გათენდა, გამოვიღვიძეთ, რო აქ, ჩვენ სინორჩი, შემოსულან. მაშინ თქმა აღარ ზღომებია, ვისაც შეეძლო თოფი აღება, დილიდან აღგნენ და ამ დროებამდე სროლა ჰქონდათ.

პორკოვნიკი კვყანდა, ქართველი იყო, ის იყო ჩვენი წინამძღვარი. სარამ დავიბრუნეთ ეს თათარი უკულმა, სარამდი ხუთი კაცი მოგვიკლეს, ორი-სამი დაგვიჭრეს. ან დროს წინამძღვარმა გვითხრა: — ზე ჩავა თუარმეო, თქვენი ცოლშვილი იმათიო. თუ იცით რამე, უნა მოახერხოთო! მაშინ დაფანცურდა ჩვენი ხალხი, ორ სირათ გაიყო: ნახევარი ხალხი, ხულას ვეტყვით, იქ გადავიდა, ნახევარი, წერაყუნტას ვეტყვით, იქ მოლაგდა. მაშინ დავაბრუნევით თათარი, წავიდა. ქვაბლიანიდან ოთხასი თათარი რო იყო, თავეთ სოფელში ორმოზდაათი ჩავიდა და ეს ამბავი ჩაიტანეს. ჩვენ მაინც ავდექით და გავიქეციოთ. მაისის თვრამეტი იყო, ათას ცხრაას თვრამეტ წელს. გადავედით ბაკურიანში. იქ დავჩით ოთხი თვე. იქიდან ავდექით და ჩავედით საგარაჯოში. მოქვეცა თავრობამ აღგილი. შემოღგომამდი (გიორგობი თვემდი) იქ ვიყავით. გიორგობი თვის პირველს გაიცალა თათარი აქედან. ავდექით და წამოვედით, მოველით ხიზაბავრას. რო მოვედით, ორი-სამი დღე დავჩით და დაქვეცხო თალანი თათარმა. თუ ხარი მოვიყვანეთ თუ ცხვარი, თუ რამ პური მოვიტანეთ, არაფერი არ გავციშეს. მაშინაც მოგვიკლეს სამი-ოთხი კაცი. მერე დაწყნარდა საქმე და დავბრუნდით.

ვართ იმას უკან აქა. ახლა მაგ საქმიდან თათრები მოისპნენ, მაგ გზით გამარჯვებულები ვართ ახლა.

სოფ. ხიზაბავრა

### 13. ჩონ მთავრობამ გაგანათავისუფლა

როცა დაიწყო ომი, თათრებმა მაშვე ჩაიდეს შურისძიება. სარამ ომი დამთავრდებოდა, სარამ, ვენაცვალე ჩონ ხალხ, ჩამოაგდეს ნიკოლოზი ტახტიდანა. ამ დროს ამათ მასკვლავი ჩამოვარდა, თათრებმა თქვეს: — ჩვენთან აღარ იქნება გახარებაო. სოფელ თოკში მაშინ იყვნენ ბატონები აბაშიძეები, რომლებსაც დიდი მიწა-წყალი ეჭირათ და უფლომდენ. ათას ცხრაას თვრამეტ წელში რო დაიწყეს თათრებმა ჩონთან ომი, უნდოდათ გეეხარათ, მაგრამა გახარება მეგრე ჩონ მოგვივიდა. ვენაცვალე ჩონ მთავრობას, იგრძნო მაშათვე გლეხები მწუხარება და მიიღო ზომები იმათ წინაშე. ბატონებსა ხელათ დაადგა უღელი:

თქვენ-ნა ჩამოგერთვათ მიწა-წყალი, უნა გადიეცეს საწყალ გლეხსა, ღღის იქით უნა იმათ იუფლონო.

სოფელ თოკმა დიდი წუნარება გამოიარა, სარამ მოვიდოდა ბოლშევიკური მთავრობა, ბატონებ ჩამართვა წორეთ მიწა-წყალი და გლეხებმა მიიღეს. გლეხები ძლიერ დაჩაგრული იყვნენ. ყველგან ასე იყო, საცა იყო ბატონობა.

ათას ცხრაას თვრამეტ წელში დიდი ომი გვექონდა თათრეთთან. ჩონ გადავსახლდით ბაკურიანში, ნაწილი წავიდა კახეთში, ნაწილი — ბორჩალოში. მე თითონ ბორჩალოში გადავედი. მრავალი ტოლვილი იყო. მყანდა ხარ-კამეჩი. უმატარებლოთ გადავსახლდი სოფელ მარაბდაში. ცხრამეტ წელში დავბრუნდი ისევ ჩონ ბინაზე. თათრებმა კიდევ დაგვიწყეს ომი. ნაწილი ვიყავით აქ მოსული, ნაწილი ახალციხეში. ამ დროსა შემოგვესიენენ თათრები, დაგვიწყეს ომი, უნდა დევებოცენით. ჩონ ოჯახში ვიყავით ოთხი კაცი შემორჩენილი. გამოგვანწყყდინეს სახლში. კარები ჩაკეტეთ. მოსული ასორმოცდაათი კაცი იყო, გვითხრეს: — ჩაგვაბარე მარალი, არ დაქბოცამთ თქვენაო! — ჩვენ არ ჩაგბარდები, ასე უთხარიოთ. გარედან დაგვიწყეს სროლაი. ჩაგვტილ კარებიდან ჩვენ დაუწყეთ სროლაი, იმათი ორი კაცი მოვკალით, ვერ შეძლეს ჩონი ჩაგდება.

ორი დღის შემდეგ, ღამე ავდექით და სოფლითგან ისოვ გავიქეციით. როცა შომოვიდა ბოლშევიკი, ჩონ გაგვენხარდა. ამათ ელდა ეცა, ადგნენ და გაიქნენ. მეგრე დავბრუნდით და სოფელში მოვედით, დავლაგდით ჩონ მიწა-წყალზე. იფრო და იფრო მას მემრე შევნიერ ფუფუნებაში ვართ აქნამდისინ.

ჩონ სოფელში იყვნენ ბატონები. ბალითგან ოჯალობას რო შიეარა სოფელჩი, ქარათებზე ისხდნენ გადმომსხდარი ბატონები და ეტყო-  
დნენ:

— გაჩერდი, რა მოგაქ? ნახევარი ჩემი არი. მევერეც, ვინ მოქცა  
შენ ნება, რო დაკრიფე? ოჯალობა ეტყოდა: — ძირ ნაყარი იყო, ბატო-  
ნო, და წამოვიღე, რა იქნა? — არ ქონდა ნება, რო უჩემოთ ხილი  
წამოგელო. კიდევაც სარჯემდა: — უჩემოთ ბახში რო წასულხარ, მუშათ  
უნა წამამყვეო: ჩონ არ გექონდა გასაქანი, რო ბატონის ბიანები გა-  
რეშე ჩონი მამულიდან გვესარგებლა.

ეხლა მე ვარ სამოზდაათი წლისა. ძველანდელ დროს რო ვყო-  
ფილიყავი, ვერ ვგრძნობდი ისე, რაგორც ახლა ჩემ თავ ვგრძნობ, რა-  
გორ ორმოზდაათი წლის კაცი.

მადლობელი ვარ, რო ჩონმა მთავრობამ გაგვანთავისუფლა ბა-  
ტონების მხრიდან. გლეხის ოჯახს არ შეეძლო მარტოკენა გავლა, ისე  
შიში ჰქონდა ბატონებისაგან. ბებერაჩემი იტყოდა: ბატონყმობის  
დროს აბემდენ უღელში ხალხსაო.

სოფ. თოკი

#### 14. ეხლა გადნიერ დღეჩი ვართ

ნიკოლოზის დროს, თოთხმეტ წელში რო ომი იყო, ჩვენები მი-  
დიოდნენ ომში, ემსახურებოდნენ ხემწიფეს, თათრევი კი არ ემსა-  
ხურებოდნენ, ისინი ხდილობდნენ კვამლზე ექვს შაურ ფულსა. რა-  
დროსაც ნიკოლოზი ჩამოაგდეს ტახტიდან, იმათ ჩვენზე გული გა-  
იბრუდეს, დაიწყეს იმათ ჩვენზე მოწილობა: როგორც თქვენ, ისე ჩვენც  
ვემსახურებოდით და ჩვენც გაგვიწილეთ ყველა, რაც ჩეხაიში და-  
რჩენილი მარალია და სხვაო. მევერე საქართველოს<sup>5</sup> ხალხმა არ დაანება:  
ჩვენ ომჩი მივდიოდით, თქვენ კი აქ, სოფელჩი, ბანაობდით, იშტა არც  
მარალს და იშტა არც ჩასაცემელს მოქცემთო. ისინი არ შეგვეჯერდნენ  
ჩვენა. რადროსაც არ შეგვეჯერდნენ, ამან მოაწია თვრამეტ წლამდი.  
თვრამეტ წელჩი რო გადავღექით, აქაურ თათრებმა ჩვენ ვერაფერი  
ვერ გვიყვეს, წავიდნენ, ოსმანეთით თათრების ჯარს შეატყობინეს და  
გადმოიყვანეს. მისცა ოსმანეთიანს სახემწიფო მარალი, ძალა და და-  
გვიწყეს ჩვენ ომი.

<sup>5</sup> ქართველმა მოსახლეობამ.



არ იცი, სოფლის ხალხი სადა და სამხედროსი კიდენ სადა! რადოაც ძალა შეიძინეს იმათა, დაგვესხეს მაშინა და ჩამოგვართვეს ჩვენი ქონება, ცხოვრება, მარალიც, ოჯალის ნივთიერებაც ერთიან ჩამოგვართვეს, დაჩიით დედიდან შობილი ხალხი. მაშვინა ვინც მოკლეს, ხო მოკვლა, ვინც გაღირჩინა თავი, ადგა, გადაცვინდა და წავიდა საქართველოში, კახეთში, დუშეთში. საცა ერთ ლუკმა პურ შოულონდა, იქ ცხოვრონდა. თახ ცხრამეტ წლამდე ასე იყვენენ. იქნამევრე, რო ცხრამეტ წელში გადავდექით, მაშინა გამოუცხადეს თათარსა, რო: — თქვენ უნა დაგვიტოოთ ალაგი და გახვიდეთ ჩვენ საზღვრიდანო! თათარმა უთხრა, რო: — ორი თვე კიდე სორაკი მაქ. რო აქ-ნა ვიყუევო! იმის მევრე ორი თვე კიდევ გაჩერდა თათარი ოსმალეთისა. რაცა რო თვრამეტ წელში ჩვენ დათესულობა გვქონდა, ისა მომყო, გაიტანა და წაიღო. მევრე მოვედიოთ ჩვენ ცხრამეტ წილჩი. მეგახსენებათ, აბა, გაქტეულ ხალხ ცხვარი აღარ კეყვანდა, ძროხა აღარ კეყანდა, უწყლობა... ცხრამეტ წელში რაბრუნდა კიდევ რა ჩვენ ადგილში შემოვიდა თათარი. ზოგი დახოციეს. გაფქვენეს ხალხი, თალანი დაპკრეს, წაიღეს ყველაფერი. იმის მევრე მოვიდა საქართველოს თავრობა, პატარა იმამ გააჩერა და იმდენი ველარ გვიყუეს. საქართველოს თავრობა რო შემოვიდა, თათრებმა ამ თავრობაში კიდევ მონაწილეოვა მოითხვიეს: — ერთი ხმა ჩვენი უნა იყოსო! ჩვენი ხალხი არ შეშჯერდა მაგათ სიტყუასა. უთხრეს რო: — ჩვინთან მონაწილეოვა არაფერი არა გაქთ, წადით თქვენ სათათრეთშიო! ამის გამოისათ კიდევ დაუწყეს საქართველოს თავრობას ომი. ვერაფერი ვერა ქნეს. მევრე მიეშველა საბქოთა მთავრობის ძალა, დასცხო და გაანთავისუფლა, გაგვხალა თავისუფალი და გაგვიყვანა სინათლეზე.

ათას ცხრაას თვრამეტ წელში გოკიელებმა და ხერთვისის თურქებმა ისე თალანი გვიყუეს და ისე დაგვკრეს, რო აღარაფერი აღარ შეიგვარჩინეს, სულობით ისე გაგვფქვენეს, როგორც კართოფილი. იშტა, მევრე რო ჩვენი საბქოთა ხელისუფლება მოვიდა, ვთქვით, რო ქვეყანაზე ახლათ მოველით, პატრონი გაგვიჩნდა. ტრი ხელიდან გადავიჩიით, დღემუდამ პატივიჩი და ბედნიერ დღეჩი ვართ.

სოფ. თოკი

## 15. მაჰმად ალი ბეგი

ერთი შეძლებული ბეგი იყო, სახელათ ერქვა მაჰმად ალი ბეგი, ძრიენ ზენგინი იყო, ერთი მილიონი ფარა ჰქონდა. ყარაულები ეყენა კარებზე, ნიკოლოზის მიერ დაყენებული. ფარას კიდობანში ინახამდა.

ამას ყამდა ერთი შვილი, სახელათ ერქვა დავრიშ ბეგი. ეს ძრიენ ლო-  
თი კაცი იყო, უყვარდა დაღევა. წავიდა თბილ ქალაქ, დადიოდა ქა-  
ლეფთან. ამბავი მოვიდა, რომ მოკლესო. საძებნელათ წავიდნენ. იშო-  
ვნეს მარტო ჯანდაქი, ხოლოთ თავი არ ქონდა, ამოიტანეს ნაქალაქევ-  
ში და დაასაფლავეს. მას დარჩა ხოსრო ბეგი. რომ გაიზარდა, ძრიენ  
ლოთობდა. სამ ფაეტონ დაიქერდა, ერთზე ქუდს დაზღებდა, ერთზე  
საპუკებს დაზღებდა, ერთზე — თითონ. ასე დიეხეტებოდა ქალაქში.  
ზურნაჩიებ დაიქირავებდა, ჩავიდოდა კიდევ ნაქალაქევში, დააგროვდა  
თელ სოფელ, გაატიტვლებდა ყველას, დააბმევიინებდა ფერხულ, ათა-  
მაშებდა თელი დღე ტიტველა. დაუძახებდა მოლებ, თითო ბოთლ  
ოტკას დაუდგემდა წინ, ამოიღემდა მაუზერს: — ანდა დაუსვენებლივ  
დალიოთ, ან შუბლში ტყვიას დაგახლიოთ! აუცილებლათ უნა დიე-  
ლიათ. ყვეელ დღე საჩივარი მოდიოდა მის პაპა მაჰმად ალი ბეგთან.  
ის რომ ვერაფერ ჩარას ვერ გახდა ამასთან, ერთი მოქსოილი კაცი იყო,  
შეითან ყაია, დაუძახა და უთხრა: — იქნება როგორმე ჩემი შვილი  
დააქკვიანოთ! შეითან ყაიმ მიიყვანა თავისთან და დაუწყო მას ჰკუის  
სწავლება. ყვეელ დღიურათ ათასი მანეთი გამოჰქონდა პაპამისის კი-  
დობნიდან, ხელი მიჰყო ამ მაჰმად ბეგის სიზენგინეს. ხოსრო რამდენ-  
ნათაც გიყი იყო, ორი იმდენათ გაავიყა. პირველში სახლები გაიკეთა  
მაჰმად ალი ბეგი ფულით, ზერე დაიწყო, ბაღჩები გააშენა. მაჰმად ალი  
ბეგი კიდობან უკვე ბოლო ამოაფხიკეა. ის რომ მოკვდა, ხოსრომ თქვა,  
რომ: მიუბათ ცხენები, გავათრიოთ აქედანაო. მაგრამ შეითან ყაიმ  
თქვა, რომ: ცოდოა, ფული მისი ბევრი ვჰამეთო, საჭიროა დავასაფლა-  
ვოთო. დარჩა ხოსრო ბეგი. ამან აილო. მისი მამი მამულები სუ გადა-  
ყიდა. ბოლოა თითონაც ლოთობით მოკვდა და ამოიგვა მისი გვარე-  
ულობა ძირიანა.

სოფ. ქილდა

## 16. ბაშალა

წინეთ რომ თათრები ყოფილა, ხერთვისში მჯდარა ბაშალა. პაპაჩე-  
მი იტყოდა: შევებით ხარი და წავედით, ბაშალისათუნ შეშა მოვიტა-  
ნოთ. რომ ავედით ჰობარეთში, ამბავი ამოვიდა ხერთვისიდან, რომ ბა-  
შალა მოკვდა. ვინ გავვზავნოთ, რომ ხალხ დაუძახოს და გაავებინოს?  
ჩვენში ყრუაშვილი იყო. ხიზაბავრიდამ ჰობარეთამდე ხუთმეტი ვე-  
რსი გამოვა, იქიდან იმან დაიყვირა ჰობარეთში, გაავონა, რომ დაბრუნ-  
დით, ბაშალა მოკვდაო! იმრაინი ძლავრი ხმა ჰქონდა, რომ გაავონა.

დაბრუნდნენ ხალხი უკან და შეშა ზათი აღარ ჩაიტანეს. ეს ბაშალა ცოლმა მიაკვლევინა. სხვა ქალებ დაჰდევდა. ახალგაზრდა ქალი რო შეეწონებოდა, ხერთვისში ჩაიყვანდა, თავი სახში ერთი კვირა ეყოლებოდა და მერე აგზავნიდა თავი პატრონთან.

სოფ. გოკიო

## 17. ჩემი ცხოვრებიდან

ათას ცხრაას თვრამეტში, როდესაც ჩვენ გვექონდა გერმანიასთან ომი, როცა რო რუსთ ხენწიფე გადააგდეს და მოვლადით ჩვენ სოფელში, თათარმა დაგვიწყო ომი. ადგილობრივი თათრები, რაც რო ჯავახეთში რყო, გაიფიცა და შეადგინა თავისი ჯარი. ჩვენც შევიარაღდით და წინ დაუდექით. მაისში შემოგვიტივა თათარმა. როდესაც ადგილობრივ თათარ დიეხმარა ოსმალეთი, ან დროს სულ თლათ ერთიან, რაც ქართველები ვიყავით აქაერობაში, ბორჯომში და ბაკურიანში გადავსახლდით. ბაკურიანის პერეველამდი დაიცვა თათარმა. ბევრი ხალხიც დაიხოცა საჯავახოს სოფლებში. ბაკურიანიდან მუუდიოდით საქონელი ამ თათრებ. ჩვენ ჩვენ თავი რო ვეღარ ვქენეთ, ავდექით საქართველოჰ ხალხი და გავიხიზნენით ზოგი საქართველოში. ზოგი იმერეთში, ზოგი ყარააიაზისკენ შემოდგომის პერაოდში. გასტანა ჩვენი იქ ყოფნა სამ თვემდის. ლეგეხმარა საიმერეთო, კახეთი და გადავლახვიით თათარი და მოვბრუნდით ჩვენ ბინებში, ვითომ თათრებჰ მეზობელი-ნა გავმხდარიყავით. ორი თვე თათრებით ერთათ ვიცხოვრეთ ჩვენ სოფელში. ბოლოს უკან დაგვიბრუნდა თათარი. ავდექით. კიდევ გავიქეცით ბაკურიანში. რემლებიც დარჩნენ, ისინი კი დაიხოცნენ.

როცა ესეები უკან დავიბრუნეთ, მაშინ მოვბრუნდით და, აგერ, ჩვენ ჩვენათ ვცხოვრობთ. იმ დროს მოველ მე აქა, როცა თათრებმა ხელმეორეთ დაგვარბივეს. ბაკურიანში რო მრედიოდით მე და ჩემი ძმა პეტრე, ამ დროს ერთი თათარი შემოგვეყარა, სულ იარაღით იყო შელესული. ძალიან ჩვენ შეგვეშინდა. გვერდზე ერთი თათარი მოგვდევდა. თათრული თოფი ჩემი მივიცი და უთხარი: — ოსმან, აგერ ეს თოფი შენა, თუ შეგვინახამ, შენ იცი, თუ არადა, რაც გინდა, ქენევი!

გამოვაცხოვბინე ჩემ ძალუას პური. დილით როცა თათარი შემო-

<sup>18</sup> იგულისხმება ქართლი.

ვიდა, პურ ეჭამდი. თათარს არშინიანი ჯოხი ეჭირა, კისერში რო დამცხო, მე მეგონა, რო ღელამიწა ჩაინტრა-მეთქი, მითხრა: — პურ რათ ჰამო? ანელეს აქედანა, იმრანათ მცემეს, რო სულ მარჯვენა მენჯი გასივებული მქონდა. დამიღირა თოფი, მოკლა უნდოდა, თანაც: — მალე ფულიო! მქონდა ორი ათასი მანეთი, ავსწიე და ჩავაბარევი დგმურსა და უთხარი: — აგერ, ჩემი ფული დგმურისათვის გადაშიცია, ჩემგან რა გინდათ? მაშინ ერთმა თოფი მესროლა ერდოდან, ერთმა გაშოშოთრია აქეთ და იმან გადამარჩინა, არ მამხვდა. როცა ჩემი სახლიდან გალაგდენ, მაშინ ჩემი თოფი დგმურს მივეცი, ვეშჯი თალანზე წაიღეს. მეგრე, როცა ვარევენში ვავედით, ალასტნის გადასახელზე გადავედით, ამ თათარმა აღარ წამოკყვა. ვავედით ალასტანში, მყაზდა კაი ზეგობარი. დავინახევეთ თუარმე ერთიერთმანეთი, ავტირდით. დამეკითხა: რა ღლეში ჩავარდნილხარ, იაკობ, ჩემ სახში თათრები არიან, თორენ წაგიყვანო. მეგრე იქიდანა ერთი გოკიელი კაცი შემხვდა, თათარი. იმან მითხრა: — რა ამბავა, რა არის თქვენშიო? მე ის მეგონა ალასტნელი კაცი, სულ თლათ მოუყე, რაც აქ თავს გადაამხდენოდა (გოკიელი კაცი სტამბოლის ენაზე მელაპარაკებოდა). წინ მიმიძლოდა ერთი ტურცხელი კაცი და ჩემი ძმა. ტურცხელი კაცმა თქვა, რო: — ისაო ამავალ ბეგის შვილიაო და არაფერი უთხრაო!

აქედან ავდექით და გადავედით ტურცხში. რომელ სახში მივედით, არც წყალი გვასვეს და არც სახში შეგვიყვანეს, რო: — ჩვენ სახში თათრებიაო. იქიდან რო არაფერი იქნა, ავედით ლომატურცხში, არც იქ შეგვიშვეს სახში (იანვარია). მერმე იქიდან გადავედით ერთ ნიოხარში, ბზე იყო იქა, დავჯექით იქა და მოვისვენეთ. ცოტა რო დავთბით, გაუდექით გზას. ვავიხედეთ, რო მოდის თლათ თათარი ჭიხარულიდან და ბალანთოდან. დაუყრიათ თალანი და ერთი თავი გოკიოში აქეთ, ერთი თავი ბალანთაში. მაშინ უკან დავბრუნდით და მოვიცადეთ მზის ჩასვლამდე. როცა ამ ხალხმა გაიარა, ამ გზას რავადექით. ისევ ბაკურიანისაკენ. როცა მოვედით ღაღოს ხიდზე, მაშინ იქიდან მოდიოდნენ ერთი ოციოდე დაზურჯული სომეხი ვაჭრები. სომეხები დაგვეკითხნენ, თუ: — რა ამბავიაო? ჩვენ უთხარით, რო: — სომეხებთან არაფერი არ არის, თქვენ წადით, ფიქრი ნუ გაქთ!

ჩვენ აუქცივევით, წავედით მოდიგმისკენ. მოდიგმის ქვეშ ერთი პატარა სერია, იქ რო მივედით, იქ დავვიხდა ორი თათარი იარაღიანი, ამათ გაგვატიტვლეს, სულ ტანსამოსი გაგვაძრეს. ერთი ნიფხავ-

<sup>7</sup> იგულისხმება სომეხებით დასახლებული სოფლები.

პერანგი შემოჩა და ქურქი. — ერთმა, პატარა დუღლუნა თათარი იყო, იმან თქვა: — დავცხოთ, ესენი მოვკლათო! მეორე ამხანაჟმა უთხრა: კვდარი არ არიანო, რაღა-ნა მოკლაო, თითონ დაიხოცებიანო!

ავდექით, იქიდან ავედით მოდიგამში. ერთმა კაცმა კარი არ გაგვიღო და არ შეგვიყვანა სახში. ბოლოს ჩამოვიდით ერთ სახში, იქ ერთი ბჭა (სოლომი) იყო, მივედით და მივწექით. შუა ღამე რო გახდა, შვილი მოდიოდა ამ სახლი პატრონისა წისქვილიდან, უთხრა. რო: — ვინ არიან ესენიო? — ქართველებიო! შენა ქრისტიანი არა ხარო, იქიდან მოსულან და შენ ამ ზამთარ გარეთ დაგიყენებიაო! ამ დროს შეგვიყვანეს ბინაში, გაგვინთეს ფეჩი, გაგვათბეს. ერთი პატარა ხანჯალი დანა მქონდა. მამამისმა ქალამნები დაიხადა. როცა მივეცი დანა, მაშინ: — ან-ნა ეს დანა მომცე, ან სამი თუმანი ფული, ანდა გადით კარშიო! (შვილი კი დაჟინებით ერეზილებოდა). ამ დროს, ბევრი რო ვიხვიწე, უთხარ: — თათრებმა არ წამართვეს და შენ, ქრისტიანი კაცი, რაგორ მართმევე-მეთქი! ჩემა ძმამ მითხრა: — იქნება დილაზე მოქცეწსო. ინ სალამოს რო დავიძინეთ და დილით ტრედისფრათ ინათლა, უთხარი ძმას: — ადექ. წავიდეთ-მეთქი! როიცა რო მოვიკითხე დანა, მაშინვე ეს კაცი წამოხტა ოა თქვა: ეხლავ თათრებ დაუცახამო! მაშინ იქიდან ავდექით და შერუღექით პერივლის ქალებს. როიცა რო მოვახლოვდით სახენწიფო ვზასა, ამ დროს დავინახეთ, ერთი კაცი ზოდიოდა. ერთი დიდი ჯოხი გაედო. ჩვენ წავალთ, ის დადგება. ის წამოვა, ჩვენ დავდებთ, ერთიერთმანეთისა გვეშინოდა. ბოლოს შევხვდით ერთაო. იმან გვითხრა თათრულათ სალაში. ჩვენც — თათრულათ. მირე ქართულათ რო დავილაპარაკინით, იმან გვითხრა: — ქართველები ხართო? ჩვენც უთხარით: — ხოო! იმან მითხრა: — წუხელის ბარაღითში რო სროლა იყო, მაშინ გამოვიქეციოთ და ღამე ღადოს ხიდ-ქვეშ გავათენევიოთ. ნადირები მოვიდნენ, ემ ჯოხმა შერიანახაო. მერე მითხრა: — პური არა გაქოთ? შიერი მოვკვდიო. ავწიეთ, ერთი პური იმას მივეციოთ ოა ერთიც ჩვენ გავიტეხეთ. გავხდით საძნი და გავკარით ციხისჯვრისაკენ. ციხეჯვარშიც არ დაგვაყენეს. იქ მითხრეს: — ზეით, აბანოში, საქართველოს<sup>8</sup> ბოსლები არიანო. ავედით, მაგრამ იქაც ვერ გავჩერდით. ერთი მოვიდა და მითხრა: — გამარჯობა, აყოფო! იმ კაცმა წავგიყვანა სახში, გვასვა დაგვაჩამა. იქიდან ჩავედით ბაკურიანში და ჩავეწერინით გვარლიაში (ქარში). მე სულ ავათ ვიყავი, კოხნაში მიმაგდეს და მაქმივდნენ პურსა. იქიდან რო ქართველები წამოვიდნენ (აბეთი, საქართველო<sup>9</sup>),

<sup>8</sup> ქართველების.

<sup>9</sup> იგულისხმება ქართლი.

-თათარი უკუ აბრუნეს. ავდექი და ამოვედი ჩემ დასთან ჭობარეთში, იქიდან მოვედი და დავიწყე ჩემი ვეშჩების მოკრეფა. ზოგმა გამიარა და ზოგმაც ვერა. დავიწყეთ მუშაობა და შევაბევიენტ ხარი. ერთი მეორე. ორი წლის შემდეგს მოვიდა ჩემ მეზობლის ოჯახში (შეშაბერიძის ბასილას ოჯახში) ის კაცი, რომელმაც დანა წამართვა. ავდექი და აველი. დავინახე თუარმე, ვიციან. მიველ თუარმე, უთხარ: — გამარჯობა-მეთქი, როგორ ის დლე და ეს დლე-მეთქი? კაცი პატროსნათ ჩაცმულ-დახურული ზეზე იდგა და ბოლთას სცემდა. გადიოდა და გამოდიოდა, წითელ ვაშლავით ღვივოდა, იმრაინი კაცი იყო. ამ კაც მამათვე ფერი ეცვალა: არ გცხვენოდა, რო ქრისტიან კაცმა დანა წამართვი-მეთქი, დლეს აქნობამდი ან-და მამკვდარიყავ, ან-და შეიდ ყათ დედავიწის ქვეშ-ნა ყოფილიყავ-მეთქი! როცა დაუწყე ლანძღვა და რეზილობა, ეს კაცი თეთრი დოსავით გახდა. წავიდა და აქ ერთი კვირა არ გაძლო, მოკვდა.

სოფ. ვარგავი

#### 18. სოფლიდან გაყვება

ათას ცხრაას თვრამეტ წელს პირველათ თათრები რო შემოვიდნენ, ჩვენ სოფელი დავტივეთ და გავიქეცით ბორჩალოს მაზრაში. დავჩით იქ ექვსი თვე. გიორგობის თვეში მოვედით ტაბაწყურში. მანდ კრება მოიწვიეს ჩვენ ქართველ აფიცრებმა, აგვიხსნეს, რომ მარალს ნუ წაიღებთო. ჩიხარულზე რო ჩამოვედით, ოპისი დავგვარტყეს თათრებმა. ზოგს აღმოაჩნდა ხანჯალი, ზოგს — ლევორველი ყუბური, ზოგს — შტოკი. მაგის გულისთვის გააწვალეს ხალხი. იმ ღამეს ჩავედით ბეჟანოში, მანდაც თათრი ჯარა დავვიხდა. ზოგს ტანთ წავგვარტყეს, ზოგი აწვალეს. მეორე დღეს ბეჟენცობიდან დავბრუნდით ჩვენ სოფელში. აქ თათრები იყვნენ ჩამოსული ახალციხიდან. განჯარგულება იყო და ეგ ხალხი გაიკრიფა, ზოგი თავეთი საქონლით ჩამორჩა. მევრეთ რო შემოგვესივნენ თათრები, კიდეც აგვაწიოკეს, გავცარტყეს. ჩემ მეზობლათ ერთი თათარი იყო, იმან საქონელი დაპტივა და წავიდა. საქონელი ერთი თვე მე შევიინახე. მერე გავანგზავრე და წავეყვი. როცა ჩავედით მინაძევეში, იქ ჩვენი ჯარი იდგა.

სოფ. ბარალეთი

#### 19. რაც გამახსენდა

თათრები რო შემოვიდნენ ათას ცხრაას თვრამეტ წელში, მაშინ პოზიციაზე ვიდექით საროში. მტკვარ-გალმიდან ისინი იდგნენ, აქეთ — ჩვენები. ერთი ავთო მოვიდა შოში გზაზე, ოშორიდან ხერთვისში

შიდიოდა. ჩაუსაფრდნენ ეს ჩვენი ხალხი. ხერთვისში რო ავიდა ავთო, დაბრუნებაზე ბევრი მოვიდნენ ჩვენი ბიჭები და გააჩერეს. დასტვიეს ავთო შოში გზაზე და კაცები ამოიყვანეს საროში. ვინც ნაჩაღნიკი ყამდათ, იმასთან მიიყვანეს. ავთოში ვინც ისხდა, მაგათ მოთავეს ყარა ერქვა, დაქერული ყავდათ სამი დღე.

საროში ერთი თათარა ცხოვრობდა, ოთხი შვილი ყამდა: ერთ ერქვა ამირხანაი, მეორეს — ოსმანაი, მესამეს — ბწდირხანაი, უმცროს ერქვა აბდულაი. ოსმანაი მოკლეს ჩვენებმა სოფელში. ერთი ცხრილი თავმოდგწული ნიკალაის ფული აღმოაჩნდა, ამბრი ქვეშიდან ამოიღეს. აბდულას ჰქონდა ხუთსროლიანი თოფი, მამიდაჩემიშვილმა ევეგენამ უთხრა: აბდულა, ეგ თოფი მე მონეცი, შენი ხომ ზათი ბოლო დღე არისო! თუ მოხვალ, ისევ მოქცემო, მაგან მოატყუილა, ეხლა შემოგიტანო. გამოსხნა თურძე ცხენი, შეიჭვდინა სამწლიანი ბოვში და ჩავიდა ხერთვის, გადარჩა. ერთ კვირამ გამოიარა, ეგ ისევ ჩაუყარდათ ჩვენებს ხელში, როგორ იქნა, არ ვიცი. დაიჭირეს და სახლებშუა მოკლეს და ქარაფზე გადაადღეს. რაც გაძახსენდა, ეს არის.

სოფ. ბარალეთი

## გ ა მ დ ო ც ე მ ა ნ ი ბ ა ტ ო ნ ე მ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ა

### 20. აბაშიძეები

საროში ყოფილან ნებატონეები აბაშიძეები. სამი ძმანი ყოფილან. ამ სამ ძმას გაუკეთებიათ სამი ციხე თავენტვინ. ეკლესია გაუკეთებიათ, სამი სამწირველო ჰქონიათ და სამიც ღვდელი ჰყოლიათ თავთავანთვის (ჩონ ეკლესიაში ერთი ხატი იყო წინათ, ძრლი დარჩენილი. ხატზე დაწერილი იყო: „ქრისტე, აღიღე ძენი აბაშიძენი და გლახაკი ივანე“).

აბაშიძენი რო მოუწუხებიათ, — თათრობა მიიღეთო, — ამდგარან და თოკში გადასახლებულან, ვითამ დამალიან თათრებს, რო არ გავთათრდეთო. მაგრამ იქაც მიუგნიათ და გაუთათრებიათ (აბაშიძეები დიდ ხანობამდის თოკში იყვნენ). იმ სამ ძმას თავეთი ადგილ-მამულეები გაუნაწილებიათ და ჩონი სოფელი სარო ერთს შეხვედრია. რუსები რო შემოსულან, ჩონ ბატონს ოსმალეთს წასვლა დაუპირებია. ამდგარა და ჩონი სოფელი ერთ რუსის გენერლისათვის მიუყიდია (აბაშიძე ოსმალეთში წასულა). გენერალიც უშვილო კაცი ყოფილა, მომკვდარა და შემდეგ ჩონი სოფელი სახემწიფო იყო.

სოფ. სარო

## 21. ბატონი და მოჯამაზირი

იყო ერთი გლეხი კაცი. იმას ყამდა ერთი შვილი. იმამ მისცა ერთ ბატონს მოჯამაზირეთ. ამ კაცმა წლიდან წლამდე ფული-ნა მისცეს. ამ ბიჭმა რო წელიწადი შეუთავა, თავი ჰახი მოსთხვია. ამ კაცმა უთხრა (ბატონმა): წადი, მამაშენს ჰკითხე, ხელობა გასწავლო თუ შენი ჰახი მოქცეო? დაბრუნდა ბიჭი ბატონთან: ხელობა გასწავლოსო! ბატონმა უთხრა: თუ თვალითა და ყურით არ გაიგონო, სიტყვას ნუ დაუჯერამ სხვასო! მევრე წელიწად ხელმეგრეთ დაბრუნდა მოჯამაზირე. წელი რო შეუსრულდა, ბატონმა უთხრა: ხელობა გირჩევენია თუ ჰახი გინდაო? — ხელობა მირჩევენიაო. ასწავლა ნაბდი თელა. დაბრუნდა თავი ოჯახში, ცარიელი მივიდა. ე ბიჭი წავიდა ჭარში, ჩავარდა პლენათ სხვათა სახენწიფოში. ისეთი სახენწიფო ყოფილა, რო კვირიდან კვირამდე ხალხ ხოცებენ და ჰამენ. ეს ბიჭი ებნება იმ სახენწიფოს, რო მე ისეთი ხელობა მაქ, რო თქვენთვინ სასარკებლო იქნებაო. ამამ თელა ნაბდები, დააწერა თავი გვარი და სახელი. იმტელი მოთელა ნაბდები, რო სხვათა სახენწიფოშიც გაუშვეს. თავი მამი სახენწიფოდან ერთი კაცი შეხვდება, რო კედელზე აკრია ნაბადი. წაიკითხაშს ეს კაცი, რო ამავალ-ამავალ კაცის შუღლია, ზედ ეწერა, რო ამ სახენწიფოში ვარ და რამე ჰქენი და მამარჩინო! ამ კაცმა გაიგო, რო ჩემი შვილი ამავალ სახენწიფოში ყოფილა. მამამისმა ერთი კაცი შეისყიდა ფულითა იმ სახენწიფოში: ოლონთ მე შვილი მამიყვა, რაც გინდა, მოქცემო! წავიდა და იმ კაცმა შვილი გამუხუყვანა. მოარჩინა შვილი. მოვიდა თავი ოჯახში.

სოფ. ვარევანი

## 22. მაღლობა ჩონ მთავრობას

თოკში ვიყავით ჩამორჩენილი წავლის მხრითგან მასხედა, რომ ჩონ გლეხ ხალხსა არ გვაძლევდა ნიკოლოზი გასაქანს. ბატონიშვილები წავლობდნენ, ჯამავირსაც კი აძლევდა იმათ. გლეხები რო მითარჯემდნენ: — ჩონც დაგვიშვით წავლაზე! ისინი გვეტყოდნენ: — ჩონ სათქვენო შკოლა არა გვაქო! შკოლა იყო მართლაც ბატონებისა, ჩონი მხრითგან არავინ არ იყო. მაგრამ ჩონი ხელისუფლება რო მოვიდა, გაგჭიყვანა სინათლეზე, გაგვიხსნა ყველა სოფელჩი შკოლა. დღეს ყველამ რვა წლის ზეით იცის ყველაფრის წერვა-კითხვაი, ჩონ კი, სარამ ჩონი ხელისუფლება მოვიდოდა, ვიყავით ბნელჩი. დღეს მოხუცი ხალხი ვგრძნობთ, მართლაც, განათლება ყოფილა. მე თითონ



მყამს ორი შვილი. იეხლა ორთავენიც არიან ნასწავლი. მებნევიან: — მამა, შენ რატო არ გისწავლაო? — ამიტომ არ მისწავლია, შვილო, რომ მაშინ იყო ბატონების გასაქანი. თქვენ მადლობა გადაუხადეთ ჩონ მთავრობასა, რო შეესწართ ისეთ დროსა, რომა ყუელანი განათლებას შეესწართ. მე რო წავლაზე არ დამიშვეს, ჩემ თავათ წავედი სოფელ ხიზაბავერაში, იქა ვისწავლე ოთხი წელიწადი. რო დავმთავრე, მოვედი სახში, მივთარჯე კიდევ.

სოფ. თოკი

## სოფლები და ნასოფლარები, დანახლება

### 23. სოფელი ბარალეთი

პაპაჩემი, ხმალაძე პეტრე, ღვდელი ყოფილა. ხუთი ძმანი ყოფილან. ბატონყმობის დროს გამოქცეულან ოთხი ძმა. ერთი დარჩენილა ცხრამუნაში, ერთი — გომარეთში, პეტრე ღვდელი და თათულა აქ მოსულან. ეხლა რო ვაკე არის, სულ ტყე ყოფილა. უვლიათ, ხარაბა-ნა იშოვონ, სოფელი ააშენონ. ვერსათ ვერ უშოვნიათ. ასულან აიმ დიდ გორაზე, საყარაულოს ვეძახით. აქეთ-იქით რო უცქერიათ, დაუნახიათ ეს ეკლესია. ჩამოსულან ვაკეში, უვლიათ, ვერ უშოვნიათ. მერე ხელმეორეთ რო ისევ იქ ასულან, ეს წყალი დაუნახიათ. დაპყლიან წყალთავქვე და აზრით ეგ ეკლესია უშოვნიათ (დიდი ციხე იყო შემორტყმული, ეხლაც ეტყობა). მაშინ დაუწყიათ ცხოვრება. ბებერა ჩემი იტყოდა: ჩემი მამამთილი ღვდელიაო. აგარაში დებისი რო არი, იქ გადიოდა და უჩუმით თათრის ბავშვებს ნათლებდაო. მეგრე რო გაუგეს, ესროლეს, ქულში მჭრტყმიათ. უწინდელი მაღალი ქული კასრივით ეხურა, მერე სარუხს იხვევდა, რო არ შემამჩნიონო. მეორე ძმა, თათრულა, აქ გლენომდაო, საქართველოდან<sup>10</sup> პური მოჰქონდა გუდითაო. ე ტანცია რო არი, ბაკურიანთან პერევალზე, აქ შვაივი მოხეთქილა. გაზაფხულზე დაგორებულა და დაღუპულა მანდა. ორი თვის მერე ძვალი-მალი ეშოვნათ ციხიჯვრისკენ დაბლა. სოფელში მერე მოსულან ხეჩუანები და სხვებიც და სოფელი ასე მოშენებულა.

სოფ. ბარალეთი

<sup>10</sup> იგულისხმება ქართლი.

## 24. სოფელი გოკია

გოკია ყოფილა დიდი ძალიანი სოფელი. ყოჩალი, მარჯვე ხალხი ყოფილა. ძრღაღი შვიდი საყდარი ყოფილა. შუღ წელიწადში შუღდჯერ მოსულა ლეკი ი სოფლის გასატეხათ და ვერ გაუტეხია, სოფელში ვერ შესულა. ბოლოს შიგნიდან გამოსულა ერთი დამბეზღებელი კაცი. უმფროსისათვის უთქვია: რას მამცემთ, რო მე თქონ აგაღებინოთ ეს სოფელიო? აღდგომი დამეს მოხვალთ, როდესაც შეგატყობინამთ! მაშინ ხალხი სუ შევა საყდრებში. ხალხი თავის ლოცვაში არიან. უეცრათ ის გააგებინამს. დეეცემიან და ერთიან შეკრაზენ საყდარსა და სოფელსაც აიღებენ.

სოფ. ვარკვანი

## 25. ვარძია, ტამალა...

- ვარძიის გასწვრივ ნაქალაქევია. ამ ქალაქში ყოფილა მეფე. იმ დროს დაუწყიათ ვარძიის გაკეთება. ჩამომავლობის დროს თამარი იქნება ვარძიაში. ბაღა მისი შეეკითხება: სადა ხარ თამარო? — აქა ვარ, ძიარო! ამიტონ დეერქვა ვარძია. როცა თამარმა ნეფობა მიიღო. ადგა და წავიდა ყარსში. იქ თურქები იყვნენ. როცა რო აიღო ქალაქი და შევიდა ქალაქში, გლახა სუნი ჟყო, დაიძახა: ყარსო! იქიდან დეერქვა ყარსი. თამარი ისევ უკან დაბრუნდა, ჩამოვიდა ასპინძაში, ჩხუბის დროს უკან დაიხია. მანდ არი სოფელი ლაშიხევი (ასპინძიდან სამი კილომეტრით მოშორებით). ინტელი დაიხოცა ხალხი, რო იმ ადგილ დეერქვა ლეშიხევი (ან ლაშიხევი). იმ დროსა პარსელები ბაქოდან წამოვიდნენ და დაიმაღეს ტამალაში (ასპინძის ზევით სამ კილომეტრზე, ტყეშია), იმ ალაგ დეერქვა ტამალა ანუ დამალა. იმითი სარდლის მთავარი იყო ჟოჟიკი, ქართველებისა კი — გამრეკელიძე. პარსელებმა ხიდი გადეს, მანდა აბანოები არიან და ამ აბანოების ზევიდან, რო იქიდან თურქეთები გამოსულიყვნენ. ქართველებმა რო დაინახეს, გაგზავნეს ოთხი კაცი მავლით და ხიდის ბოძები დაშქრეს. რომცა რო შედგა, წყალში ჩაცვინდენ, ჯარი დაიხჩო.

სოფ. ვარკვანი

## 26. დანაალი

თმოგში მოსულა ირანლები, დასევიან მას, მაგრამ ვერაფერი გზით ვერ შესულან. ერთ ქალ ასე მოუწყვია: დაუკეტია ციხის კარები და გასაღებები მაწვნის ქილით გაუგზავნია ფაშასთვის. ჯარი და-

კეტილში შეეშვედა. ფაშამ ციხეს ცეპი შემოარტყა და ააოხრა ეს თმოგი. ზეფე, ვინც ციხეში იყო, ადგა და კლავის ძალით გაარღვია ეს ცეპი და გაიქცა. ფაშამ დააგრია თავისი ჯარი და ჰკითხა: — ისი გაქლეული კაცი მჯობია, თუ ნი ეჯობიარო? უთხრეს: — თქვენაო! ფაშამ უთხრა თავი ჯარს: — ნუ შეგეშინდებათ, მითხარით სწორეთო! უთხრეს: — ისა [გაქლეული კაცი] გჯობიანთო შესახედავათ და ვაშკაცობითო! — მაშ, ამ ქალმა რო მაგესთანა ვაეიკაცი დალუპაო, მე რა კარგ დამაყრისო! ფაშამ მოაბმეინა ცხენის კულზე ეს ქალი და სუ ისე ათრევირა. ქალი ეხვეწებოდა ფაშას: — დამკალო და ცხენის კულზე ნუ მიმაბებო! ამ სოფელს ეხლა ჰქვიან დანკალი.

სოფ. ქილა

## 27. ორმოცი

როცა თამარი ორმოცში ჩამოვიდა თავისი შემადგენლობით, იმას ახლდა თან რუსთველიც. იქ დარჩნენ იმ დამეს. იმას თუთიყუში მოუკვდა და იგლოვნა ორმოცი დღე (იქ დარჩა) და იმაზე დაერქვა ორმოცი.

ორმოცში ერთი თავადი იყო (გვარი არ მახსონს), იმას ყანდა ერთი გასათხოვარი ქალიშვილი. შოთამ იმ ქალს პირობა მისცა, რომ მე შევირთავო. ქალსა და იმას შეუყვარდათ ერთიერთმანეთი. მანდიდან წავიდნენ ვარძიაში, ბინა იქ ქონდათ. მეორე წელიწადში რომ დაბრუნდა, აქეთ, თურქეთისაკენ, მიდიოდა, გამოიარა აქ, ორმოცისაკენ. ფეოდალის ქალს გაგებული ჰქონდა, რომ შოთამ სხვა ქალი ითხოვა. შოთა რომ ჩამოვივლიდა, უნა გადადგომოდა და მიეკლა. როდესაც მოვიდა შოთა და დაუპირდაპირდა ამ ქალს, ამან ამოიღო დანა და უნა დიეკრა. რომ შეხედა, აღარ გამოემეტა, თავისი თავი მოიკლა (გულზე დანა დაირტყა): — შენივე ნაჩუქარი დანა არისო და შენივე ხელით ვიკლამ თავსაო. შოთას წინვე ჩაიკეცა ქალი და მოკვდა.

სოფ. სარო

## 28. დედოფლეთის წყარო

ხიზა იყო დიდარი სოფელი. მაგას ეცემოდა ლეკები. ამ ხიზას გარეშემო ჰქონოდა ჯაჭვი შემოკრული. როცა ამ ხიზაში ქორწილი იყო, მუდამ ორი ყარაული იყო შემოსასვლელთან. დღესაც ორი ქვა არის განხრეტილი. იმ ქვიებთან იწვა ეს ორი ყარაული, რომ შეიტყობინა სოფლისათვის მტრის დაცემისას. ამალამ რომ ქორწილი იყო, ყარა-

„ულებმა იფიქრეს: მოდი, მივიდეთ ქორწილში, ჩვენც ვისეიროთ, მივიდეთ და ვიყარაულოთო. დარჩათ ეს კლიტე დაუქეტელი. ამ დროს დიეცა თათრის ბრბო და ააოხრა ეს ხიზა. მუუყარეს ქორწილის ხალხ ერთიან, შეჰკრეს თლათ და ტყვეთ წამოიყვანეს. დედოფლეთში რო ამოვიდნენ, აქ ფაშამ მოითხოვა: — დედოფალი მე მამგვართო! მიჰგვარეს დედოფალი. დედოფალი არ დათანხმდა. იმან უთხრა: — ჩვენში ასეთი კანონია, მივალ მდადესთან, ავიღებ ნებას და მაშინ დაგთანხმდებიო! გამოვიდა კარზე და თავი მოიკლა. დამარხეს იქ და დეერქვა ამ ადგილს დედოფლეთის წყარო. დანარჩენი ხალხი წაიყვანეს ზეით, ავიდნენ ნეფის წყაროსთან. ნეფემ მოიკითხა დედოფალი, უთხრეს: — შენი დედოფალი მოკლეს, ფაშას არ დანებდა და თავი მოიკლაო. ამან გამოიძო თავი: — როიცა რო დედოფალი მოკლეს, მეც-ნა თავი შევეაკლა იმასო! დაუწყო ამათ ჩხუბი (ხუთი — ექვსი თუ მოკლა, რას დააკლებს ათას?) ნეფეც აქ მოკლეს და დღესაც ჰქვიან ნეფის წყარო.

\* \* \*

ხიზა და ბავრა იყოფდა წყალსა საგუბარში. ხიზელი კაცი და ბავრელი კაცი ყარაულობდნენ წყალსა, რო ან ხიზელს არ წეყევანა მეტი, ანდა ბარველს. რომეცა დაიძინეს, ბარველი კაცი ადგა უჩუმით, მივიდა და ბარვისკენ გამოუმატა წყალი. ხიზელებმა გაასაჩივრეს. ერობა იყო მაშინ. ერობამ ჩამოართვეს მიწა, რომელსაც დღესაც ვეძახით სისხლმოვანებს.

ჩიხორიში, ხიზა, ოსპნაური, ვარანტა, ბერა, დამწვარ სახლები, ობოლეთი, გომი, დედოფლეთი — ყველა ესენი ვერნებია, ნასოფლარები, რომლებიც ხიზაბავრაში შედის.

სოფ. ხიზაბავრა

## 29. ხიზას და ბავრას შვიერთება

ხიზაბავრას წინ-წინ მარტო ერთი კვამლი ყოფილა, გოგია რქმევი. ერთ დღესა (თოვლი ყოფილა ზამთარ) გადასულა წყაროზე, უნახნია, რო ზეიდან ერთი კაცის ფეხი ჩამოსულა, დაუწყვია წყლის ყაბები. წაყოლია იმ ფეხს, ასულა..., რომ ერთ კაც ერთი პატარა სახლი აუშენებია და ცოლშვილით ცხოვრობს. მუუყია სალამი, უთქვია: — რათ ხარ აქა? — რა ვქნა? — მოდი, ასე ვქნათო: ჩამოდი და მეზობლათ ვიქეტო! იმას უთქვია: — ამ ზამთარ აქ გავატარამო და რო-

გორც გავალთ გაზაფხულზე, თუ დამეხმარები, ჩამოვალ შენთან მეზობლათაო. ეს კაცი ყოფილა ქართველი, ბეროი რქმევია სახელათ. აქ რო ყოფილა ამხანაგი, დახმარებია, ჩამოუყვანია და ამ წყარო ქვეშ მანდვე ხე-ტყე დაუჭრიათ და ბეროსთვინ სახლი გაუკეთებია. იმ ორი წლის გამავლობაში ერთი კვამლი ფრანგი კილო მოსულა უდიდან. მეორე წელიწად კილოვა ერთი კვამლი მოსულა კვალთახევიდან (ხილისთავიდან), გამხდარან ოთხი კვამლი. ბეროს უთქვია: — ორი აქ დავდგეთ და ორი ჩავიღეთ ნიჯგორსაო (საროა ქვევიდან). არავინ წაპყოლია ფრანგები. ამდგარა ბეროი, ნიჯგორში ჩასულა. გამოსულან დადეშიდანაც ერთი კვამლი, ერთიც სხვა. გამხდარან ისინიც სამი კვამლი.

ჩონ გვაქ ეხლა წყალი, მინდორ რო ვრწყობთ (მამდინარო ჰობარეთის ტყიდან). ამოსულა ეს ბეროი და დაჰდავებია, რომა: — ეგ წყალი სამი თქვენა და ერთი კერძი მეო! გაუყვიათ. სამი კერძი ახლა ჩონა გვაქვ და ერთი კერძი ახლა საროს აქვს (თიბათვის თვის თორმეტამდე).

სოფ. ხიზაბაგრა

### 30. რატომ ჰპვიან სოფელს თოკი?

თოკი იმიტომ ჰქვიან, რომა ყოფილა ბატონი აბაშიძე. ან დროს უთქვამ, რომა: — ვინც რო ჩემ ხანჯალზე ხელს დაასვამს, სოფელს იმას ვაჩუქამო! ან დროსა ბატონმა მოახარშინა ფლავი, დაასვა ხანჯალი ფლავში. გამოვიდა ერთი ვილაცაი, თქვა, რო: — მე დავასობ ხანჯალზე ხელსაო! ან დროს დაასვა ხელი ხანჯალზედა. რო ასწია ხანჯალდასობილი ხელი, თქვა ამ გლებმა, რო: — აი, როგორ ავითოკეო! ინ დროს სოფელს დაარქვეს თოკი.

თათრებმა ჩაიდინეს შურისძიება პაპაჩემზე. თათრებმა მოუკლეს შმა. მევრე პაპაჩემის შვილმა შეიყვარა ბატონის ქალი. რო შეირთო, ამათ კიდეე შურისძიება დაიწყეს: — მოგკლათ ესაო! ჩააყენეს კაცი იმი დასაჭერათ, ძინარეზე მოახელეს და აჰკათეს. მევრე პაპაჩემის შულებს ეყოლათ შულები.

სოფ. თოკი

### 31. საროში დასახლების ისტორიიდან

ჩონი ნამდვილი გვარი ყოფილა მაისურაძე. ჩემ ძველებს უცხოვრიათ აგანაში. ისინი ყოფილან სამი ძმანი. სწვევიათ იმათ თათრის ჩაუშები სტუმრათ, უთქვიათ, რო:

— ჩონ ქეიფი გვინდაო! ამათაც მიუერთმევიათ სასმელ-საკმელი-  
იმათ უთქვიათ:

— ცხენებსაც ქერი დაუყარევითო! ცხენებისთვისაც დაუყრათ-  
სმა-ჰამა რო გაუთავებიათ:

— აბა, ახლა დიშქირა მოგვეცითო. ისიც მუუციათ.

— ახლა ქეიფს ქეიფი უნდაო, ქალები მოგვიყვანეთო! ჩვენებს  
დაუწყიათ ხვეწნა:

— თქონი ჰირიმე, ჩონი ქალები მურტლები არიან, რათ გინდა-  
თო?

— მოიყვანეთ, ჩვენ გავალამაზამთო!

ჩონებს ამ დროს გაუგიათ, რო ერეკლე მეფე მოსულა ასპინძაშიო.  
ეს ჩაუშები დაუხოციათ, ჩამოსულან და გარეულან ერეკლეს ჯარში-  
ერეკლე რო წასულა ქართლისაკენ, ამათ უფიქრიათ:

— ჩონი აქ დგომა აღარ იქნებაო, ყველამ თავს-ნა უშველოთო.

ერთი ძმა გადასახლებულა ბორჯომის ხეობაში (ქვაბისხევი),  
დღესაც ისინი მაისურაძეებთ იწოდებიან, მეორე ძმა — ვარძიაში  
(ხარაგაულის რაიონი). მესამე ძმა გამოქცეულა იქიდან, ასულა ტყიან  
სოფელში — გოკიოში, იქ ცოტახანს გაჩერებულა, იქიდან გადმოსა-  
ხლებულა ხანდოში, იქაც ცოტახანს გაჩერებულა. მერე გაუგია, რო  
ნიჯგორში ქართველები არიანო, ამდგარა და ჩამოსულა ნიჯგორს. სა-  
ხლის გაკეთება რო დაუწყია ი კაცს, წასულა და ოჯახის ქვიები სა-  
რტყლით ხანდოდან ჩამოუტანია ნიჯგორში. ეს ძმა აქ დაწერილა ას-  
პანიძეთ.

ჩონ საროში ნიჯგორიდან ამოვედით რუსეთის შემოსვლის დროს-  
მანამდის აქ სახლობდნენ თათრები და ქურთები.

ლონდარიძეები ადგილობრივ ნიჯგორიდან არიან, ნაწილი გადა-  
სახლებული არიან ბორჩალოს მხარეს, თიანეთში. მკედლიშვილები და  
იველაშვილები ადგილობრივი ხალხია. დიასამიძეები დადეშიდან არიან  
გადმოსულები. გურგენიძეები დასავლეთ საქართველოდან არიან მო-  
სული ტოლოში და შემდეგ ნიჯგორში. მალრაძეები დასავლეთ საქარ-  
თველოდან მოსულან ხიზაბავრაში. ხიზაბავრას რო კათოლიკობა მი-  
უღია, ეგენი ჩამოსახლებულან საროში. ბერიძეები გადმოსახლებულნი  
არიან ხიდისთავიდან. სოფ. ცხეკნელაში (ახალქალაქის რაიონი), აქე-  
დან კი — საროში. ამათ ძველი გვარია თაყნიაშვილები. წითლანაძეები  
ხიზაბავრიდან არიან. გიორგაძეებიც ხიზაბავრიდან არიან ჩამოსულე-  
ბი, ამათი ძველი გვარია გორანაშვილები.

სოფ. სარო..

### 32. თანმშეღება ფიის ცხოვრების შესახებ

ფია არის დაახლოებით ხერთვისის მდებარეობაზე. აქ ცხოვრობდნენ ძველი ქართველი ხალხი. როდესაც ლეკები შეშეესივნენ ამ ქართველ ხალხსა, მთის მდებარეობაზე მოქცნენ. ზოგი იმალებოდა მტრის ტერიტორიაზე, ზოგი იმალებოდა ხევ-ღელებზე და ერთიან დასაქსული იყვნენ. იმ დროს (ზაფხული პერიოდში) ფიის ტერიტორია ტყის ბუჩქებში იყო გახვეული. იქ ცხოვრობდა მაისურაძე ასახალი. მას ძალიან ძალა ჰქონდა, თორმეტიდან ცამეტ ფუთამდე ეწეოდა. როცა ამ მთას მიდიოდა, თავის ოჯალის ვეში თითონ მიჰქონდა. ხერთვისი ჩასავალ მდებარეობს ჰალი ყაიაზ ეძახდნენ (ეხლაც ვეძახით), ქართულათ „თაფლიმ კლდე“ იქნება. იმ ტერიტორიაზე იმალებოდნენ: ბავში, ქალი, კმა კაცნი. თელი ეს არდაგანის ხარე სისხლიმ ღვრებით იყო გაწითლებული. მარგასტანში, ნაქალაქებისა და ბეგის ხიდის გასავალ, რომელიც მოდიოდა ზედათმოგის აღმართებაზე, ხალხი იხოცებოდნენ.

სოფ. ქილდა

### 33. ჯარმეღელები რახაში

თათრები რო მოსულან კოთელიაში, იქ ყავრელიშვილები ყოფილან. იქიდან წალკაში გაქცეულან. ისე სუ ბერძნის სოფლები ყოფილა. ბერძენი ღვდელი მისულა (ისინიც ხო ქრისტიანები არიან). იმას უთქვამს: თქვენი გვარები ბერძნულ გვარებით გადააკეთეთ, რო მიიღოთ ეკლესიაში მონაწილეობაო! ამიტომ გვარები ყავრელოები და ვახტანგოვები დაუწერიათ. ამ საქმეზე ჩხუბი მოსულა: ჩვენ ქართველები ვართ, გვარი რატო შეგვიცვალესო? კაცი კინაღამ მოუკლიათ. ერთი ბიჭი ყოფილა, წასულა თბილისში, უჩივლია. იქიდან გამოუგზავნიათ საქმის გასარჩევათ ექისკოპოსი. დაუკითხია ისტორიის ცოდნით, გამოურკვევია, რო ესენი ყოფილან ქართველები და არა ბერძნები. მერე თბილისიდან ოფიციალური დოკუმენტი გაუგზავნიათ, რო ეგენი ქართველები არიან და თანაც ქართველი ღვდელი გამოუგზავნიათ რახაში.

სოფ. ხოსპიო

### 34. ჩვენი წინაპრები

ჩვენი წინაპრები ტოლოშელები ვართ. პაპაჩემის პაპას ძველათ ნათლია ჰყოლია ნიჯგორში. ახალწელიწად დილით ძღვენი გამოუტანია ტოლოშიდან ნიჯგორში. ხიდე ყოფილა ორმოცში. იმ ხიდეზე გამო-

სულა, ნათლიასთან ყოფილა. ორი დღე დარჩენილა მანდ და უქეიფია. მეორე საღამოს პირათ ტოლოშისკენ დაბრუნებულა. რო მოსულა ტკვრის პირთან ახლო, თურმე მეზობლის ვირი სძოვს ნიჯგორისკენ. ეს კაცი იტყვის, რო: — ეს ხო ჩვენი მეზობლისაა! ამას წავიყვან, გაუყვან პატრონ, მადლი არი, ალბათ გამოჰქცევია. გადაკიდამს ხურჯინსა და თითონაც შეჯდება. ისევე შედგება ხიდებზე. შუა ხიდებზე რო მივა, ვირი გადაუხტება წყალში. რამდენათ მართალია, რა ვი? ეშმაკათ გახდება, ამოიღებს კაც ქვეშა და წაიღებს დასახარჩობათ. ვერაფერს ვერ მოასწრებს და ერთ კი იტყვის: — წმინდა თევდორე, მიშველეო, და ჩაზძირამს. რო წყლის ძირზე ჩავა, ფეხ დაჰკრამს და ამოვა წყლის პირზე, მეორეთ იტყვის: — წმინდა თევდორე, მომეშველე, დავილუპეო! დაიძირება კიდევ და მესამეთ ამოხტება, კიდე იტყვის უკანასკნელ: მიშველეთ დავილუპეო! უცფათ ვილაც წამოჰკრამს ხელს და გადააგდებს კიდურზე. მშველელი ეტყვის: — შე რო პირველათ დაიძახეო, შორ ვიყავ და მაშინ ვერ მოგეშველევიო. მესამეთ რო დაიძახე, მაშინ გადაგარჩინევიო.

პაპაჩემის პაპას უთქვია: — შენ უნდა წამამყვე ჩემთან სტუმართაო და წაიყვანს სახში, კარები დაკეტილია. კარებიდან ველარ შევა, ერდოზე ავა და ამას, მშველელს, ეტყვის: — შენ დამიცადე და ეხლაგ მოვალო. ის რო ამოვა, ცოლ დაზძახებს: — სტუმარი მოვიყვანეო. ქალი გამოვა გარეთ, აქათ-იქით მიიხედამს, იმ სტუმარ ველარ ნახამს (ფანჯარიდან ბუუტი სინათლე გამოდიოდა).

ამის შემდეგ ნიჯგორელი ნათლია გადმოიყვანს ტოლოშიდან ნათლიმამას, ჩვენ ძველ წინაპარს: მანდ პატარა სოფელია, მიწა ცოტაა, აქ ფართობი ბევრია და ნიჯგორში გადმოდიო. ჩვენ კი ახლა საროვლები ვართ.

სოფ. სარო

### ხ ბ ნ ა - თ ე ს ვ ა

#### 35. წარსული ცხოვრებიდან

ძველათ ჩვენი სოფლის მიწები სახემწიფო მიწები იყო. მიწებს ძმაზე ყომდნენ, სულს მნიშვნელობა არ ჰქონდა. თარხანოვი დროს ეს შეიცვალა, მაშინ სულზე გაყომდნენ მიწასა.

ჩვენ სოფელში შემძლებელი ხალხი ფულს გაასესხებდნენ. ათი მანეთი რო მოეცა ჩემთვის ექვსი თვით, თუ ვერ მივცემდი, ერთი



მანათი ზედმეტი უნდა მიმეცა და კიდევ გამიახლამდა ქალაღს, ასე ტოკოს იღემღენ.

ჩვენ რო ანეულს ვხნავღით, წინ-წინ არაფერ არ დავთესღით. აგრე იყო ორი-სამი თვე. ერთ მიწას სამ წელიწადში ორჯერ ვთესღით, მესამე წელიწად ცუღა იყო (რო დღისვენოს). პირველ ივნისში გავაკეთამღით ხნულს ათუღელა შავი გუთნით, ხის გუთნით (ხუთი მეხრე, ერთიც მაჰკალი—გუთნი დეღა). მეორე წელს ჰირნახულ დავთესღით. რო მოვთიბემღით, მეორე წლისათვის მიწას დაერჰმეოღა ხნული ფეხი (ანღა ვეცახღით ჰერგა აღი), იმასაც დავთესღით დღ ასე შესრულღებოღა სამი წელიწადი. ვხნავღით აგრეთვე ჩივთით, რომელსაც ორი უღელა ხარი ებღ, ვთესღით ხელით. ახღა კი ვხნავთ ტრაჰტორით დღ ვთესავთ შარჰეცანით (სათესი მანჰანით).

სოფ. ბარაღეთი.

### ს ა თ ა ვ ბ ა დ ა ს ა ვ ლ ო ა მ ბ ა ბ ი

#### 36. ჩემი ცხონვრებიღან

ჩვენ ეჰქსი სული ხიზანი ვიყავით. ათას ცხრაას თვრამეტში გავიჰქეცით წალკაში. სავღალი, ლოგინი, ჰური წავიღეთ. გვერღით მყამღღა ჩემი დღს ჰემარი. სიღე ჩახვეღრღილი კაცი იყო. ხალხი რო ძრიელ შეგროვღა სოფელში, გაინსო, ამან თჰევა: მოყვარეო, აჰ ხალხი სუ გავწყღებთო. — როგორღა-მეთჰი? — ამიტომ, რომ ყვეღა რჯული ხალხი აჰ არი, ერთმანეთის სულთჰემას ვერ ავიტანთო. მართღაც, გამოვიღღა ოცი—ოცღახუთი დღე, ჩავარღღა ავანტყოფობღ. მე ვაჰიშვიღი არ მრჩებოღღა. ერთი ვაჰიშვიღი მყამღღა ორა წლისღა, დეღაჩემი დავგრუოღღა ზეღღა, უხაროღღა. იჰნღ, რო ევ ბოვშეი მამიკვღღა. მესამე დღღეს დეღღა მამიკვღღა, მეოთხე დღღეს ერთი ჰალიშვიღი კიდევ მამიკვღღა. ცოღი ავანტყოფი მყანღღა, ნამტირალეღი კაცი ვარ. ერთი თოთხმეტი წლის გოგო, ისიც ავანტყოფი არის. გათენღღა დღღღა, ვნახე, რო მოკრუნღ-ჩხულს ამოსვღღა სული. მე ვთჰევი, მადღღობღა ღმერთს, შიარი არ ვატარე, მტერს არ ჩაუგღღე, ეგებ ცოღი გაღღმირჩესო. ე ცოღიც მამიკვღღა, დავრჩი მე მართო, ერთი ღერი. ავღეჰ იჰიღან დღა აღღავი ვიცვალე საქართვეღღოში<sup>11</sup>. მერე ჰალიც ვითხვეი, ბიჰიც მყვანღღა. ეხღღა ერთი ცოღი მყამს დღ სამი გოგო.

სოფ. ბარაღეთი

<sup>11</sup> იგუღისხმე<sup>1</sup>ა ჰართღი.

### 37. მოხუცი მამაჩემი

ჩვენ სოფელში იყო მიქელაძე ლუარსაბი. ეგ ერთხელ წაპყვა მამაჩემს სათევზაოთ (მამაჩემი მეზადურე იყო და ხშირად მიდიოდა). ბათმანის ქვასთან ფეხი წამოჰკრა ქვას და სისხლი წამოუვიდა. მამაჩემ შიამახა: — მე აღარ მოვდივარ ამხანაჯათო იმისთვის, რო, პალა უყურე, ფეხი დამიბნდაო! ამ დროს მოხუცმა მამაჩემმა: — აგიკიდამ მინამდისიც დაგვიმდეს კრილობაო (მოხუცი იყო, მაგრამ ძალიან ძლავრი). ლუარსაბმა დაუჯერა და წაიყვანა ბადეზედ. ხერთვისიდან დაწყებული ნაქალაქევამდის ორი-სამი ფუთი თევზი დაიჭირა. სახში დაბრუნებისას იმათ დახვდათ ნაქალაქევის თათარი შავქვთა. ამამ შიამახა: — თევზი დამითმეთ, გამხმარ ქანჭურს, ჩირსა და თუთის ხმელს გაკმევეთო. თუ არ დამითმობთ თქვენ დაქერილ თევზსა, იმ დროს ჩემ ტერიტორიაზე არ იარსებამთო! — იმ დროს, რა საკვრელია, შეუგნებლობას ქონდა. ამათ მწუვიდათ ჩხუბი, შავქვთა გალახეს, თათრის მამასახლისმა მამაჩემს მათრახით სცემა. იმისი ეშინოდათ, რომ მიდალიკი ეკიდა გულზე, თორემ ქართველ კაც ვერ გალახებდა. მამაჩემს დაქერილი თევზიც ჩამოართვეს და სოფლით დაღონებული ამოვიდნენ.

სოფ. ქილა

### 38. ჩემი თავგადასახალი

ათას ცხრაას თვრამეტ წელს მამა და ორი ძმა მყანდა. თათრებმა მოქვეშაღეს და გადაქვხვეტეს ბაკურიანში. ერთ ურემზე რაც დაიჭვირებოდა (ერთი ურემი რასაც დაზძალამდა), დავალაგეთ და წავედით. მარტო ცოცხალი საქონელი წავიყვანეთ. გადავედით ბაკურიანში. იქ ვცხოვრობდით დეკემბრამდის. თითო ღროხას სამ ფუთ პურზე ვყიდვდით და ისე ვარჩენდით თავსა. მთავრობიდან განკარგულება მოვდა, რო: — ვის გინდათ, ქვეით (ყარაიაზში) გადასახლდითო. მამაჩემმა თქვა: — მე შვილები მყანს და წავალ და იქ ვიცხოვრამო.

მოქვეცეს უფასო ვაგონები და ყარაიაზში გადაგვასახლეს. იქ დავბინავდით. გლახა სიციხე იყო. აქ რო მალალი და გრილი იყო, ის ჰაიერი ვერ ავიტანეთ. აქედან რვა სული ვიყავით, სულ დავანტყოფდით. დაბრუნების დროს ორი ძმაღა დავრჩით. მთავრობამ უფასო ვაგონი მოქვეცა:

— თქვენი ალაგი გაიცალა და წადით თქვენ ბინაზეო! ავდექით და ეს ორი ძმა წამოვედით. სულ არაფერი არ კვყანდა. რაც ქონდა, იქ სულ შევქამეთ და აქ ხელცარიელი ჩამოვედით. მას შემდეგ დავიწყეთ

შეშობა და ოჯახი წამოვაცენეთ ფეხზე. ახლა კოლმეურნეობაში ვართ. ცხვარ-ძროხის საკვები მავალია, ვმუშაობ თურაჩათ. არაფერი ნაკლი არა მაქვს. ომი რო დაიწყო, გამიწვიეს ჯარში. ოთხი წელი ყოჩაღათ ვიბძოდი. ათას ცხრაას ორმოცდახუთ წელში პირველ დენობილიზაციის მოვყევი და გამომიშვეს ოჯახში.

სოფ. სარო

### 39. გვირი ღელა

ოთხმოზდაცხრა წლისა ვარ. თერთმეტი შული მყამ: ორი ქალი და ცხრა შული. გვირი დედის ორდელი მამცეს. ძველათ ოზდახუთი სული ხიზანი ვიყავით სახში. როცაა რო თათარი აიყარა გოკიოდან, ერთი უმფროსი შული იქ ჩაასახლა ჩემა ქმარმა. ერთიც ტამბოლში გაგზავნა საღვდღოთ. ტაბოლიდან რო მოვიდა აქ, სოფელში, ხელობაში შევიდა. მასწავლებელი იყო (შენსეფე პოვეტი იყო, წერებდა). ერთი წელწადი დარჩა და თბილიჩი წავიდა. ერთი დაიკარქა. ერთი ნაბოლარი შული მყამ აქ, სოფელში, ერთი შულიც ასპინძაში მყამ. მეტი თამალი აღარა მაქ.

თათრები რო შემოგვესია, დავტუეთ ოჯახი. ჩემი ქმარი ცხრა საათი მინდორიჩი ყამდათ ხელებგაკრილი. ერთმა თათარმა უთხრა: ფული მოგვეცი და გაგიშვებო სულ ყველაფერი წაიღეს. ხერთვისში წავედი და იქიდან ვზიდემდით პურს, რამეს და ისე ვცხოვრომდით. გაიყვანეს ჩემი უფროსი შულიც და დაუდეს თავი ქვაზე და უოხრეს: ფულიო! ფული მივიცი და უთხარი: გაპალოთ ეს ფული, ოლონთ გაუშვით-მეთქი. თაჩი შვიდი წელიწადი ვიყავი.

სოფ. ხიზაბერა

### 40. ნიჯგორელი ჯალის აგბავი

ორმომცს გაღმა (წყალ-გაღმა), ცოტა დაბლა, დაცილებით. ერთი პატარა გორაკია (მაღალი კედლის ნამგრევი ჩემამდის ეტყობოდა, მერე ქუნცელებმა დაანგრეს, რუს გასაყვანათ კედელი გააკეთეს). იქ იყო ნასოფლარი (ეხლაც ეტყობა). იქაური მცხოვრებნი თურმე იყვნენ ადამიანების მკამელები (თათრები). ამათმა ითხვიეს ნიჯგორელი ქალი. რძალს გაუჩნდა ვაჟიშვილი. როიცა რო წამოიზარდა, ერთი წლისას ძუღუს აწუებდა.

ერთ დღეს ის სოფლის ხალხი სალოცავათ წავიდნენ თავენტ სა-

ლოცავში. დაავალეს რძალს, რო: — შენ გაგვიკეთე სადილი ჩვენ მოსვლამდის! უჩვენეს ქოთანში ჩადებული ხორცი, რო აქედან დაგვიზადეთო. რძალი როდესაც მივიდა ხორცის ამოსაღებათ, ნახა ადამიანის მკლავი თავის თითებით. ქალმა შეხედა, რომ ესენი კაცის მკამელები არიან, — ვაითუ, ერთ დროს მეც შემკამონო. მოჰკიდა ხელი თავი პატარა ვაჟს და გაიქცა სამშობლოსაკენ. რომ წამოვიდა იქიდან და ხიდზე შემოდგა, დაინახეს, რო გარბის ქალი. მამამისმა დაუძახა იქიდან ვაჟს: — შვილო მამისავ, მოსწი გვარისავ. ამ დროს ბავშს ძუძუ ედო პირში. ბოვშმა პირი მოუჭირა ძუძუს, რო უნდა მოეგლიჯა. დედას კინალამ გული წაუვიდა სიმწარით. შეხედა, რო უნა მომეწივნონო, მოგლიჯა ძუძუდან და ტკვარში გადისროლა და მაინც გაღირჩინა თავი ქალმა.

სოფ. სარო

## გ ა ღ მ ო ც ი მ ა ნ ი ა ი რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ე ბ

### 41. ამაბავი ორი ხიზაბავრელი

ახალციხიდან ორი ხიზაბავრელი მოდიან. ხერთვის-ქვევით, წყალგადაღმა, დადემთან ერთი დადემელი დახვდებათ და ეტყვიან: აპაო, ახალციხიდან მოვდივართ, იქიდან ერთი სიტყვა დაგვებარეს, გამოსაცხადებელი გვაქო და წადი, კვამლზე კაცი დაუძახეო! წავიდა, ამან დაუძახა. რო ჩამოლაგდნენ ხალხი, — კიდევ დარჩა ვინმეო? — დარჩა ერთი ორი თანა მოხუციო. — წადი და ისიც ჩამოიყვანეთ, ისე არ შეიძლებაო, უნა სუყველა დიესწროსო! წავიდნენ. ისინი ზურგით მოიკიდეს და ჩამოიყვანეს. — სუ ჩამოხველითო? — დიახ, სუ ჩამოველითო. — თქვე კაი ხალხო, რათ ვერ ისწავლეთ, სტუმარი რო მოვა, ოთხათ გაუქარით ხეახი და ისე მიუტანეთო, რალა სალი მიგაქთო! — ეგ იყო თქვენი გამოსაცხადებელიო? — დიახ, ეგ იყოო. იმათაც დაუწყეს გინება და წავიდნენ.

სოფ. გოკო

### 42. უფროსებიდან ბავიზონია

ჩვენი მამა ბინით აგარელი ყოფილა. ის იტყოდა ხოლმე: ჩვენ სოფელში ქორწილი ყოფილა. იმათ შემოჰკლებიათ ღვინო. — წადი, ასოსმანიდან ღვინო ამოგვიტანეო! ჩასულა იქა და ხელადაში შვიდი კაბიკი უთხოვნიათ. არ უყიდია, ემძვირა. ჩამოსულა იმის ქვევიდან

ზეწნობში, იქ უთხოვნიათ რვა კაპიკი. მერე ჩამოსულა ვარძიაში (წყალ-დაღმა მოდის), იქ დაუფასებიათ ხელადა ორი შაური. წამომდგარა მაშინ. გაერსიანებული (გაჯავრებული) წამოსულა. რო ამოსულა ქორწილში, ხალხი უცდის. — ჰანი, ბიჭო, რატომ არ მაიტანეო? — რანა მოგიტანო. შეიდი კაპიკი ითხოვეს ზეწნობშიო, ჩამოველი მერე ვარძიაში და ორი შაური მთხოვესო. მაში გაფშოთლი და წამოველიო. მაშინ უმფროსებმა თქვეს, რო დღეის შემდეგ ჩვენზე ღვინო პარამია, რო დავლიოთო, ძალიან გამძვინვარებულაო. ეგ გამიგონია ჩვენ უფროსებთან.

სოფ. გოკიო-

#### 43. საზღრის აშენება

მე ვიყავი თორმეტი წლისა, პაპაჩემი იყო ოთხმოცდათორმეტი წლისა. ის ილაპარაკებდა ხოლმე, იტყოდა: ჩონ ერთი ტყე გვაქვს, სახელი ტაიჭა. მანდ არი ერთი საყდარი. პირველი ოსტატა მისულა, ჯერ პლანი მიუცია ოსტატებისათვის. მანდ არ ყოფილა მაგისათვის გამოსადეგი ქვა. იქიდან ოცი კლომეტრით მოცილებული არი სამსარი, მანდ უშოვნიათ იმ საყდრის საფერი ქვის მადანი. ოსტატები გაუყვიათ ორათ: ნახევარი დაუყენებიათ, სადაც საყდარი კეთდება, ნახევარი — სადაც ქვა გამოჩენილა, იქა. ოსტატები იქ თლილენ ქვასა და აკეთებდენ. იქიდან ი ქვა ხელით მოდიოდა (ერთი აქ დამდგარა, მეორე იქ. ასე, რომ ხელიდან ხელში გადადიოდა, ურმები არ ყოფილა). უფროსი ოსტატი ყოფილა ქვი მთლელებთან, ერთ დღესაც უთქვია, გეყოფათ ქვი თლაო! მოსულან და შენება უკვე დამთავრებული ყოფილა. ისე ოსტატურად მოუზომია ამ უფროს, რო ერთი ქვა ზედმეტი არ ყოფილა. ეგ საყდარი მე თვალთ თითონ მინახია. როცა წირვას აყენებდენ, რვა ღვდელი იყო: ოთხი ზევიდან, ოთხიც ქვევიდან პადვალში. ეს საყდარი რისთვის ყოფილა გაკეთებული? ეგ ყოფილა მესხეთ-ჯავახეთის ცენტრი. მანდ იბეჭდებოდა ქალაღდები, წიგნები, იგზავნებოდა სხვადასხვა ადგილებში, რაგორც ახლა თბილ ქალაქში რო იბეჭდება რამიები. როცა გავირდე, წაველი და ჩემი თვალთ ვნახე.

სოფ. ვარეჯანი-

#### 44. ამავენი მებაღურისა

ერთხელ მებაღურე წავიდა არდაანის წყლის ტერიტორიაზე. მას გვერდით ყამდი მისი ქალიშვილი. ერთ დებარეობიდან ქალიშვილმა გახედა თმუგის (თმოგის) ციხეს და მამას მიამახა: — ჰალა, უყურე-

ოქროსეფ პეყვინამსო! მამამ მიაძახა: — სად არი, შვილო, ოქროო? — წამაძყე და მე გეტყვი, სადაც არ-სო! ამ დროს მივიდნენ იმ გამოქვაბულში შიი და ოქრო აღმოჩნდა. — მამაჩემო, ჰალა, რა ლამაზიაო! — დღეს აქ იყვეს, ხვალ მოვალთ და წავიღებთო! მეორე დღეს, ჩამოსვლისას, ის ადგილ-მდებარება დეეკარქათ, ველარ მიაგნეს. შვილმა უთხრა: — მამა, რატო მოქენე ეს საქმეო? სახლში მოსვლისას ცოლმა უთხრა: — ჰალა, რატომ მოხდა ესაო? კიდევ წაითო! ეს საქმე ესე ჩაიშალა.

სოფ. ქილა

#### 45. ერთ კაც უთქვია

ერთ კაც უთქვია დროების ერთსა: წყალში იწვა ერთი კამეჩი, ზევიდან მოვიდა ერთი ძერა, ი კამეჩი ასწია წყლიდან და აერში წაი-ლოო. მეც ვიწექი გულადმა, ზევიდან ი კამეჩის ერთი ბაყვი ჩამოვარ-და რა თვალში შემერქვა, რაგორ ჰიკალიო. მერე თვალიდან ვერ გა-მოიღეს, ორმოცი წყვილი კამეჩი შიამბეს, გაათრიეს და ერთ ხევში ჩაადეს ეგ ბაყვიო. იმ ხევთან სოფელი ახლო იყო. სახლის ნაგავი, ნაკელი. რაც იყო სოფლისა, იმ ხევში ყრიდენ. ი ხევი გავაჟდაო. მე-რეო იმ ძვალზე სოფელი გაკეთდაო. სოფელმა ძრევა დაიწყოო. ყა-რაულეები დააყენეს: სოფელი რათ ინგრევაო? — ერთი მელა მოდის, ი ძვალს ანძრევს და სოფელი ინძრევაო. ზელა ი ორმოც კაცმა მოკლეს, გაატყავეს. ორმოც კაცი ერთი გორდიდან ქურქი გამოუვიდა, ზეორე გორდზე კი ვერ გადააბრუნესო. ერთი ქვრევი ქალა მოვიდაო. ეგ მე-ლა გადააბრუნა, გაატყავა. იმ ქალ ყამდა სამი წლის ერთი გაყიშვილი, ქურქი შეუკერა, ერთი კლავიც დააკლდაო.

სოფ. ვარეუანი

#### 46. ბიძას ნათქვამი

ათას რვაას ორმოცდარ წელში ვარ დაბადებული. ძველათ ჩვენ სოფელში სასწავლებელი არ იყო. როცა რვა წლისა გავხდი, სასწავლე-ბლათ ტოლოში დავდიოდი. იქ პირველ კლასში ანბანი შევისწავლე და მერე ახალციხეში წამიყვანა მამაჩემა. იქ ვისწავლევი სამი წელიწადი, ექვსი ჯგუფი გავათავე და მერე სამოქალაქო სასწავლებელში შევედი. როგორც კარქი მოსწავლე, დიდი ხვეწნის შემდეგ, გამანთავისუფლეს გადასახადისაგან. საზაფხულო ტანსამოსიც მამცეს. მეოთხე შემო-დგომამზე მამა მამიკვდა, დავჩი ობოლი. იძულებული გავხდი და-

ვბრუნებულიყავი სოფელში. რაკი დედისერთა ვიყავ, ჯარში არ წამიყვანეს და დავექორწინდი. გამიჩნდა ვაჟიშვილი პირველი, მეორე ვაჟიშვილი კიდევ, მესამე ქალიშვილი მყავდა. რაკი დრო შეექმნათ ვაჟიშვილებს, ვასწავლე, პირველს უმაღლესი გავათაებინე და ისიც დაქორწილდა. მეორეც აქვე, ხიზაბავრაში, მასწავლებელი იყო ათწლეულში. ათას ცხრაას ორმოც წელს ჩვენი სურვილით სამი კვამლი გადავედით ოჩამჩირის რაიონში. სიცხიები იყო, დაბალი ჰაიერი, ვერ შევეგუენით, ჰაიერი ვერ ავცტანეთ, არაფერი გავგაჩნდა, ყველაფერი გაყიდული იყო. ერთ ორ წელიწად გაჭირვება გავიარეთ, ვიდრე ამავებს გავაკეთებდით. კოლმეურნეობაში შევედით. კოლმეურნეობა დაგვეხმარა. მოვიკეთეთ, მერე კარქათ ვიყავით. კინაღამ აქაურ მეზობლებს გაუსწარა. ახლაც კოლმეურნეობაში ერთგულათ ვმუშაობ (ხელოსანი ვარ, დურგალი), შრომადღებესაც ბლომათ ვიმუშავამ.

ნე რო ვიყავ პატარაი, ძალიან მაინტერესებდა, რო ძველებური რამეები გამეგონა. ბიძა მყავდა მოხუცებული და ის მომიყვებოდა ხოლმე წასული დროის ამბებს. იმისჯან გამიგონია, რო ნიჯგორში თხუთმეტი კვამლი ყოფილა. მაშვინ, თურქებმა რო დაიპყრო მესხეთ-ჯავახეთი, იმან შემოგზავნა ფაშები. დიდი ფაშა ხერთვისში იყო, მეორე, უფროსი. ახალციხეში იყო. ხერთვისის ფაშა თურმე პაპაჩემს სცნობია. ჩვინსავე ხალხს იმ ფაშამ ააშენებინა მეჩეტი (ჯამი). გადმოდიოდა თურმე ფაშა, დადგებოდა ხოლმე ი მეჩეტი კარეთთან და დაუძახებდა პაპაჩემს:

— ე, ტეფან ქეა, ფალუდ! (პატრიცემულო ტეფან, მუხავ, მაგარო), ჩამოდი ჩემთან, ვილაპარაკოთო. აქო ჩვენათ თათრული ლოცვა უნდა გავმართოთო. უნდა მოვგზავნოთ მოლაო და თქვენათ წინააღმდეგები არ გამოხვიდითო: როგორც ჩვენი მოლა მოიქცევა, თქვენ ხალხმაც ისე ქენითო და შვისწავლით ჩვენ წმინდა მამადის სჯულსაო.

პაპაჩემს თურმე პირობა მიუცია: დაგიხმარებითო.

რაკი ეს ჯამი შეთავებული იყო და გადმოგზავნა ეს მოლა. პირვილ დღეს ილოცეს. მეორე დღესაც რო მოლა გადმოვიდა, მაშვინ გლებებმა თქვის: — ჩვენ, ქართველებმა, ჩვენი რჯული დავაარქოთო და ამი მამადის სარწმუნოებაზე ვიწამოთო?! რამე ეშმაკობა მოვახერხოთ, რო ეს მოლა გავაძეთო.

ჩვენ ხალხ ჰქონდათ ერთი ძველებური სახლი, ჩემამდის მოხუციული. ბნელ კუთხიდან გააკითეს პატარა ეკლისია (დღესაც არი). იქ შიშით ძლივ შედიოდნენ. იმ პატარა ეკლისიაში ასრულებდნენ თავთ ქრისტიანულ ყველა წესეფს: ლოცვას, ჯვრიწერას, ნათლობას.

მესამე დღეს რო გადმოვიდა მოლა, ამათ მოაწყეს ასრე: მოლას

პაპუცები ჰქონდა, ჩვენ ხალხ ძველი ქალამნები ეცვათ. რო შევიდნენ ჯამში, მოლამ გაიხადა პაპუცები და იქ დაიწყო, ხალხმაც თავეთი ქალამნები აქეთ დაიწყეს. მოლა რო ლოცვაზე დადგა და წაემხო, ხალხმაც აქეთ თავეთვის მუხლი მოიყარეს, დაემხნენ. როცა აიმართა მოლა, ვილაკამ პალო დაუმარჯვა მოლას. წამოდგომის დროს ჩამოეგო ზედა. გამწარებულმა ხალხ პაპუცები დაუშინა. ხალხმაც ქალამნები დაუშინა მოლას. დამტვრეული და დაბეგვილი მოლა დააკრეს ცხენზე და გაგზავნეს ხერთვიში. ფაშამ რო ნახა დამტვრეული მოლა და გაიგო ანბავი, დაიბარა კვამლზედ უფროსი კაცი. გადავიდა თხუთმეტი კაცი ხერთვიში (ყველა მოხუცებულები იყო). იმათ შორის ერთი იყო ახალგაზრდა. ახალგაზრდა, მაგრამ საუცხოო ვინმე, დევგმირი, ვაშაკი, სახილათ ილია ჰქმევია. რო ფაშას მუღულია ის ხალხი, დაუტუსალებია სუყველა და გაუგზავნია ახალციხეში დასახოცათ დიდ ფაშასთან მიწერილობით, რო: — ამათ სუყველას თავი მოჰკვეთე, რო დანარჩენი ხალხი შეშინდესო! წაყვანილი ხალხი ახალციხის დიდ ფაშამ შეიყვანა რაბათის ციხეში გასასამართებლათ. მოიწვია თავისი დიდებულები, წინა ხალხი. კრება მოიწვია, სამართალს სწყვეტდენ. მაშინ ასე იყო, რო ბეგები და დიდებულები (მოსამართლები) ქართველებიდან გადაბრუნებულები იყვნენ, გათათრებულნი. ფაშამ იმათი დასწრებით სუყველას გადაუწყვიტა თურმე თავების დაჭრა. კრება რო გაათავეს, ორი ჯალათი ჩააყენა კარეფში ხმალ-ამოღებული. ჯალათმა გლეხებს უბრძანა. — აბა, თითო-თითო გაიარეთ აქაო. ადგა და ერთ-ერთმა მოხუცებულმა პირჯვარი გადიწერა, მოიკალთავა ჩოხი და გასწია სასაკლავოსაკენ. ხოლოთ მაშინ გადახტა ი ვაჟაკი, ახალგაზრდა ქართველი და მოხუცებულს უთხრა: — არა, შენ დაიცადე, მენა წავიდეო! მოხუცებული არ ანებებდა გზას. — შენ ახალგაზრდა ხარ, შეიძლება გადარჩე, მე მოხუცებული ვარ და მოვკდეო.

მეორე ბერი კაცი გადახტა: — არა, შვილო, დააცადე, ჩვენ წავიდეთ ჯერაო. მაგრამ ახალგაზრდამ ყველა დაზძლია და ყველა გარეკა უკან და თითონ წავიდა: — მე ვერ გაუძლებ თქვენ სიკვდილსაო და მენა წავიდეო. იმანაც იმისაებ გადაიწერა პირჯვარი და რო გასწია და მაყურებელ ბეგებმა დაინახეს, ვეღარ გაუძლეს ამ სიმწარეს და თურმე სულ წამოცვიდნენ ფეხზედ. მისცივიდნენ, ვაჟაკი გააჩერეს, უთხრეს: — მოიცადე, შვილო! ფაშას უთხრეს: — შენ რას აკეთამ მაგასაო, ერთი მამადის სარწმუნოების გამო ამისთანა ვაჟაკი-ნა წახდესო?! ფაშას ყველაფერზე უარი უთხრეს და იმათ გაათავისუფლეს ეს თხუთმეტი კაცი. ჯალათები გარეკეს და უთხრეს გლეხებს: — წადით, თქვენ სარწმუნოებაზე ილოცეთო. აქამდი თუ ფარულათ ლოცუ-



ლობდით, ეხლა აშკარათ ილოცეთო! ის ფაშა ახალციხიდან მოხსნეს და გააგდეს. ახლა ბედნიერები ვართ, რო ამგვარ უბედურებას გადავ-  
ჩჩით და ჩვენი ხალხი გვხელმძღვანელობენ.

სოფ. სარო

#### 47. ტაშილის თქვაში აჯობა

ერთი კაცი იყო ჩვენ სოფელში, სახელათ ბაგრატი ერქვა. სოფ-  
ლის ხალხი ამობდა: ნეტაი ისეთი კაცი აღმოჩნდება ჩვენში, რო ამანე  
მეტი ტყვილი ილაპარაკოს და ეს გაჩუმდესო? იმ დროს აქ, კანცე-  
ლარში, ვიყავით. მე ჩავფიქრდი, ავდექი, წაველი სახლში. ერთი კვი-  
რა გამოვიდა, კარგა ვიფიქრე, მერე გამოვიფიქრე, გამოვიგონე ეს  
ტყვილი: პაპაჩემი იტყოდა, რო ერთი ღორი მყამდაო, ათას ხუთასი  
კილო იყო. ჩვენ თაში წასვლა ვიცოდითო. ჩვენი ღორი ორსულათ  
იყო. კაცი ეუბნევა, რო ნუ წავიყვანთო! დედაკაცი ეუბნევა, — არა-  
ნა წავიყვანოთო! ამათ ლაპარაკი მოუვიდათ. დედაკაცმა წივილ-კივი-  
ლი შექნა, ურმიდან გადმოვიდა და სახში შევიდაო. ეს ღორი აილო ამ  
დედაკაცმა და ჭიბეში დამალაო. ისე წამოვიდა, რო ქმარ არ შეენჩნია,  
რო ღორი იმას დამალული ყამდა. ეს მთა შორ იყო და ერთი დღე მო-  
უნდნენ სიარულში. დედაკაცი რო გადმოვიდა, ჭიბიდან გამოიყვანა და  
გაუშვა ჩუმით, რო თავი კაცმა არ დაინახოს. ვეში გადმოლება რო და-  
იწყეს, კაცმა დაინახა ღორი და გაოცდა და თავი ცოლ შეჰკითხა: ეს  
ღორი არ წამოგვიყვანია და აქ სიდან გაჩნდაო! — შენ რო გამლახე,  
მე შემეშინდა, ჭიბეში ჩავისვი, ეხლა ამოვიყვანე და გაუშვიო ან  
დროს მამაკაცმა უთხრა: ქალო, თავს მოგიკლამ, თუ ამ ღორს და გო-  
ქეფს რამე მოუვიდაო! ორი დღის შემდეგ ამ ღორმა დაგოჭა. დედაკაც  
გვეხარდა, რა თქმა უნდა. სამას სამოცდა სამი დაგოჭა. ერთი კვირის  
შემდეგ ურძით მოვიდა საღამოთი ეს ღორი მინდვრიდან. თანდათა-  
ნობით ეს გოქები დამჰლევენენ. ქმარმა ეს შეატყო და ქალს გაუჩავრ-  
და. ამ კაცმა იფიქრა, მოდი ერთი, დილით ვაჰმევე და ვნახოთ როგორ  
მოვაო? დილით კარგა აქამეს. საღამოთი რო ჩამოვიდა, ცურში ძე  
არა ჰქონდა. ღორი რო გაუშვეს, დილით ეს კაცი თან გაჰყვა. ღორი  
წავიდა. აქ კმეულოფს, იქ კმეულოფს. ეს კაციც უკნიდან მიზღვეს. —  
ნახოთ, ამ ღორის თავზე რა ამბავიაო? ინ თის გვერდზე ერთი ტბა-  
ყწურის ტბა არის, ღორი გაჰყვა იმ ტბას გვერდით. აქ იქმეულა, იქ  
იქმეულა და ამ ტბის ბოლოში გავიდა. პატარა ტბაში სუ ჭილია, ღო-  
რი მივიდა და იმ ტბის პირზე დაწვა, დაიხრუტუნა. თევზებმა გაიგო-

ნეს თურმე. ყველა ეჩქარებოდა, რო მალე მოეწვიათ. მოვიდნენ, მოწვიეს ეს ლორი. ამ კაცმა თავში ხელი შემოიკრა. ლორი იქიდან ააყენა და სახში წამოიყვანა. ქალმა უთხრა: რა ვქნათო? თუ გაუშვებთ, მოგვიწვიენ ლორსაო, თუ არა და აქ როგორ გაუშვათო? კაცმა უთხრა: ენგრე არ იქნება საქმეო. მაგის წამალი მე ვიციო. წავადა, იქსოფელი წითელი საყდარია, ამ ტბის გადაღმა, ეხლა ტაბაწყურს ეძახიან. დუქანში ნევსკავი ბევრი იყო, იყიდა თხუთმეტრი ათას ხუთასი. ერთი გორგალი ძაფი იყიდა. ეს ნევსკავები შეაბეს ლორსა და გაუშვეს. წავიდა, ეს კაციც გაჰყვა თანა. ლორი რო წამოწვა წყალზე, თევზობა მოვიდა, თითო ნევსკავზე ათი-თხუთმეტი თევზი შეება. ერთი უკანასკნელი ყველა ნევსკავზე ათასი თევზი გიება. ლორი ადგა, თევზები ჩემეეკიდა, ის კანჭიდან მაღალი იყო. თავეთ ბინაზე რო მოახლოვდა, იქ პატარა ბოვშეები—მორბედები—იყვნენ. ესენი შენეხვიენენ ამ ლორსა. კაცი დაინახეს თუარმე, ბოვშეებ შეეშინდათ და ჩამოშორდნენ. ბინის კარებზე რო მივიდა, დაჰკივლა დედაკაც: შეოჯახქორო, მამეშველე, რო ეს თევზები შეეხსნათო! ეს თევზები შეხსნეს, ლორიც ძუქუსამდე მოვიდა, თევზების პატრონიც გახდნენ. მოიტანეს მარლი და დაამარილეს, ბოქვეფში ჩააწყეს. ეს თევზი თხუთმეტი წელიწადი ეყოთ.

ეს რო ვილაპარაკე, ბაგრატი აქ ჯდის. იმას უთხრეს: აბა, რას იტყვიო? — არაფერს აღარ ვიტყვიო.

სოფ. კოთელია

## გადმოცემანი და თქმულბანი

### 48. ონანი

ჩვენ ბევრი ვიყავით მეურმე. ჩავედით ბორჯომში (ნიკოლოზის დროს). წინა დღით პოვეზდ ერთი ბოვშე გვეტანა. ქირას ჯერ არ გვაძლევენ. ხიდზე ვდგავარ. ერთი კაცი მოვიდა ჩემთან, გამარჯობა მიუთხრა, მეც უთხარი: გაგიმარჯოს! — სადაური ხარო? — ბარალელი ვარ-მეთქი, კირილე ხმალაძე. — შენ გენაცვალეო (ასე მებნება), მე ვარ ონანიო, აი, დუქანს ხელამო? გორდაზე ერთი კაცი ვაშლ აწყომს, იმ დუქანში შემოდი, შენ მთხვიე თორმეტი თუმანი, ნითამ მე შენგან საქონელი მიყიდი ვერასიათ. მოდი და ეგ ფული იმასთან მთხვიე! მე ვერ ვცნობილობ, კინტო-მინტო არ იყოს და არ გამცარცოს-მეთქი (ჩემთვის ვამბობ, ონანას ვერ ვცნობულობ). არ წაველდი, თითონ წავიდა. მევრეთ კიდე მოვიდა, — კაცო, გეხვეწებით, მოდი;

იქნება შენი გამოცდებით ეს ფული გამოვიტანო (ტყულაზე ფული პატრონათ მხდის!). მერე ვთქვი: ზოდი, წავალ! მიველდი. იმ გორდაზე რო ვაშლ აწყომს, ონანაი აქ შევიდა, შემამიტია: გამშორდი აქედანაო! მე უთხარი: საქონელი მივეცი ვერასიათ და ფული არ მოუცია, ასე მატყვილებსო. მე რო შეველდი, ონანამ ხელი წაპკრა იმას: აი, კიდევ მოვიდა, შენ ფული მამეცი, რო ჩავაბარო. მერე მითხრა იმან: ორი საათის შემდეგ მოდი ჩემთანო. ორი საათი გამოვიდა, იმი ბედზე ურმებიც ვერ დაუდეთ, ცუდაზე არიან. ერთი ნახოთ, რო კიდე მოვარდა. ავდექი და წავყევი მაგ კაცსა. ვისგანაც ქონდა ასალები, იმან გადაუთვალა თორმეტი თუმანი, მაგანაც მე ჩამითვალა, ნითამ საკუთარ მადლენს! გამოვართვი, ჩავიდე ჯიბეში. ფული ვინც მისცა ონანას, იმან მითხრა: აბა, მალარიჩი დაგვალევინეო! ონანამ უთხრა: მაგ საწყალ კაც თავი დაანებე, მალარიჩ მერე მე გასმევეო. ავდექი, წამოველდი, მოველდი ურმებთან. ერთი ნახო, რო ონანაი ურმებში ჩავარდნილა, მეძებს მე: გენაცვალე, სად იყავი, რაცა ხანია შენ გათვალეირემო? — რას ნათვალეირემ, რა არის-მეთქი? — ფულები მამეციო! — რა ფულები-მეთქი? ვალი იყო და მამეცი, თუ გინდა, წამო, იმ კაცთან მივიდეთ-მეთქი. მერე ამოვიღე და აგრევე შეკრული მივეცი, უთხარი: დავალე-მეთქი! დამინახა ერთ კოთელიელმა, ბაგრატი ჰქვიან. — კირილე, ეგ რა ფულები მიეციო? — ესე იყო, ესე იყო-მეთქი. — თორმეტი თუმანი რო აგრე დაქთ გამოიტანე, რა მოგცაო? — არაფერი-მეთქი. — თვალი დავიდგეს, ერთ თუმან გამოვიღებდი, მალარიჩ დავლევდიო.

სოფ. ბარალეთი

#### 49. ოღოი

ოთაში ასოცი წლის კაცი იყო, სახელი ჰქონდა ოღოი. მოვიდოდა გოკიაში, იტყოდნენ: შენ ამ ხნისა რაგორ დადიხარ? ეტყოდა: ჰეჩ არაფერი დარდი არ მქონია. შულები მუშაომდნენ, მეც კარქი ჰამა-სმა მქონდა და იმისთუნ ასე ვარ. ხუთი შული მყვანდაო, ხუთნიც ერთათ არიან. დავავალე, რო მინა მე არ მოგვკდე, არნა გაიყარნეთ! ისეც ვცხოვროფთ კარგა. იმისთუნ უღარლო ვარ.

#### 50. არაბაი

ერთი კაცი მოვიდა ერევნიდან გოკიაში, სახელი არაბაი იყო, ოთხი არშინი იყო სიმაღლე კაცისა. ერევანში კაცი მოეკლა. კამეჩები დაჭიდებულიყვნენ ერთმანეთში, ჰამას თავი კამეჩი ღლიაში დეექი-

რა, სხვა კამეჩის პატრონები ახლო არ მივიდნენ. გული მამივიდა, ერთი მუშტი დავარტყი და კაცი მოკვდაო. სამი ძმანი ვიყავით, ძმებმა თქვეს, რო: ადე, წადი სხვა ქოყანაში, ესენი შენ მოქლებენო. აქ ბეგებთან იყო მენახირეთ. ოთხჯერ ქალაღი მოვიდა რუსეთიდან მაგ კაცზე ზაოტისთუნა. არ წავიდა. ადგა, მერე წავიდა თავეთ ჰაჯში. ერთი შული ჰყამდა შვიდი წლისა, ჩემზე სრული იყო. ქალი ჰყამდა პატარა (ეს კაცი მე თვალთ მინახია). — ჰაჯში ბევრი კაჩაღები არიან და რაგორ წავიდეთო? უთხარი: შენ გაამზადე ყოლიფერი და გაგატანამ იარაღსა. კაი საკიდი ჰყამდა თავისი, ლოგინები და სხვა რამე აპკიდა. თოფს ქლიბით დავაქარი ერთი ტკაველი, გაეახვიე ლოგინში, რო არ გამოჩნდეს. — საცა რო იქნება შიშიანობა, ამოიღე და იხმარე! წავიდა ე კაცი, აღარ მოსულა.

სოფ. ვარეანი

## 51. ნონე ბიძა

ერთი ბიძა მყამდა, დემეტრე ერქვა, ამან უთხრა: ნონე ბიძა, გოგრებს ღერძი გაუყარეო! ნონემ უთხრა: შენ თევზე წადიო! მებადურემ თევზი ბოლათ მოიტანა, — ოცდახუთი გირვანქა დავიჭირეო, დავწალიო, დავრეცხე და ვხარშამო. ღერძს რო მორჩა დაუძახე: აბა, ნონე ბიძა, ამოღი, პური მიირთვიო! მუუჯდა გვერღზე და ეს თევზი სუ შექამო. რო მოათავა, დიდ უღვაშზე ხელი მოივლო და თქვა: ნინიკაი ცხონდაო! აიღო ეჩო ხელში და წავიდა თავი სახში. მაგ ნონეს ძმას გიგო ერქვა. კალუობა რო მოვიდა, მაგათ ყანა მოთიბეს და დადგა ერთი ძირი. შვილები გაგზავნა დასადებათ, რონა მოიტანონ. შვილებს უთხრა: სულ კი არ დაუდოთ, ურემი გაგიტყდებათო. ანდრია ურემს უდებს. ერთი სამა კაკოი ყამდათ, ის ქვევიდან აძღვეს ბჯას. ეს ბჯა სუ დაუდეს ურემზე. რო სახში მივიდნენ, მამა დეეკითხა: ნაშალი ბევრი დაქჩათო? — სუ დაუდევითო. — აი, მეხი დაგეცათ მაგ თავებშიო, ის ურემი არ გასძღემსო. წაასხეს თავითი ხარ-კამეჩი, სამულელა. ბჯა ისე დასულა, რო გოგრები არა ჩანა. შეაბეს ხარი, ჰეჩ ძრა ვერ უყვეს. მამამისმა გიგომ უთხრა: წადით, ბიჭო, ნონეს ხარ-კამეჩი მორეკეთო! შევაბათ იმის ხარ-კამეჩი, ორულელაც ჩვენო, რო რაგორმე დავძრათო. ზღარზე რო შედგა ურემი, ჩასცხო და ხელნის ცალი გატყდაო. ეგ ურემი დავცალეთ, ორი ურემი წავიღით და მოვიტანეთო. გავლუწეთ, ხუთი სომარი ქერ-ჭრელი გამოუვიდაო.

ქექელაანი ყოფილან დიდარი ხალხი და ეგ ნონეი მუშა ყოფილა მაგათან, ერთი ათი-ხუთმეტეც სხვა კაცი. ორი წყვილი კეტით ზიდდა

ბულულსა და ნონე ქვეიდან აძლემდა, ზძირამდაო. ერთ ღღეში ორ-  
მოცი ძირი მუუცია. ორი წყვილი კეტი ვერ ასწრომდა. ეს მუშა ვისაც  
ყამდა, ყველას წინ თითო ქათამი დადოო, ნონეს წინ კი — ორიო. მო-  
იქვირეს, რო ნონეს წინ არც ძვალი, არც მალი აღარაფერი იყო, ერთი  
ჯამიც ხაშილი შექამაო.

სოფ. ბარალეთი

## 52. გოგოლაძე გოგია

ხიზაბავრელი, გვართ გოგოლაძე გოგია იყო სოფლის ყოჩალი.  
როიცა თურქების დრო იყო, ხერთვისში იყო ერთი ბაშაღა. ის გზავ-  
ნიდა ჰახის ასაღებათ თავისი მოურავს, რო: — წადი და აიღე ასაღე-  
ბი, რაც რო გვეკუთნისო! ამ დროს ამოვა ის აქა, მივა ი გოგიასთან,  
ეტყვის, რო: — მომეცი გადასახადი, რაც უნდა გადიხადოს სთფელ-  
მაო! ეს ეტყვის: — გაჩერდი, გაეაგებინამ ხალხსა, მოვეკრეფამ და ჩა-  
გაბრიო. ხერთვისელი თათარი ეტყვის, რო: — აჰა, მომეცი მე კაი ბინა,  
მომიყვანე კაი ქალი, მანამდისინ შენ მომიკრეფდე სოფლიდან ანა-  
ღებსაო. ეს მისცემს ბინას, მუუტანს საკვებს, ეტყვის, რო: — ასე-  
თი ბინა არ არისო. — არ ვიცი, შე-ნა მომიყვანო ქალი, მანამდისინ მო-  
მიკრეფდე ჩემ ახსო! ამ დროს გოგია ეტყვის: — წამომე მე შენაო!  
წაიყვანს ამ თათარს, მიიყვანს ახორში (სადაც ინახებოდა ცხენი, ცხეა-  
რი), შიგაღებს და დაანწყვრევს. იმ ღღეს დაამწყვრევს. მესამე ღღეს გაა-  
ღებს კარსა, გამოიყვანს იქიდან, კარქათ სცემს და ბაშაღასთან გაგზავ-  
ნის. ეს ჩავა, გაასაჩივრებს. ბაშაღა დაიბარამს გოგიას, ეტყვის რო:  
— რატო გამილახე ჩემი გამოგზავნილი კაციო? იმან უთხრა: —  
თქვენმა გამოგზავნილმა კაცმა ასე და ასე მოიქმედა, მუტანე საკმელი,  
მან მომთხვია ქალიო, ამას ჩვენ ვერ ავიტანთო. ამ დროს ბაშაღა ეტ-  
ყვის: — რა კაი სათათრე ბეჭები გქონიაო! ამ ბეჭებზე ხელს დაარტყა-  
მს, — მოდი, გათათრდი, რა გინდა, რო ქართველი ხარო? გოგია ეტ-  
ყვის: — თუ კაი რჯული გაქ, ეგ შენთვის გქონდესო! — გაუშვამს გო-  
გიას, წამოვა სახში.

სოფ. ხიზაბავრა

## 53. ოპროპირი გიორგაძე

აქ რო ლეკები შემოსევია, ისინი თურმე არჩევდნენ ჯანსაღ და  
შესახედაობით მოსაწონ ხალხს. აქ რო მოსულან, პაპაჩემი (ოქროპირ-  
ი გიორგაძე) და ტეფანას პაპა (გურგენიძე) დაუჭერიათ (კაი შესა-

ხედაობისა ყოფილან, ღამე სათივებში ყოფილან, ბულულებიდან გამოუყვანიათ და დაუჭერიათ). ჩაუყვანიათ დაღესტანში. იქ თავეთ ენაზე უსწავლებიათ ლოცვა.

ამ ლოცვას რო ვერ ვახერხებდით, ერთხელ გეგვეცინა და ქართულათ დავილაპარაკევიტო. ერთი ოჯახი ახლო იყო, ამ დროს კარზე ქალი იდგაო. იმან შეგვანჩინა, რო ჩვენ ქართველები ვართო, ჩვენთან მოვიდაო, გვკითხა:

— სიდაურები ხართო?

— ჯავახეთიდან ვართო. ლეკებმა დავიკვირეს და წამოგვეყვანესო.

ეს ქალი თურმელა აქაური ყოფილა, ხიზიდან ტყვეთ. უკითხია ვინაობა: — ვინა ხართ, როგორ მოხდა, როგორ გივლიანო?

— კარგათ გვივლიან, კარგათ გვექცევიან და გვიკვირს, რატომო? ქალს უთქვამ:

— იმიტომ, რო გაგასუქამენ და გაგყიდებენო.

— აბა, რა გვეშველება, უნა გავიქეთ აქედანაო. ეს ქალი ეტყვის, რო:

— მე სამი შვილი მყანს, იმათ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს და ისინი გაგაცილებენ გრანაცასო.

წამოიყვანებენ იმას შვილები. ღამე რო გამოაცილებენ თავენთ გრანაცას, ესენი გაბრუნდებიან.

რო გათენდება, ლეკები მოიკითხამენ ამ კაცებს და ცხენებით დიდევნებიან უკან. ახალციხეში, ქალაქის კიდეზე, რაბათში დასწვდებიან, აქ დაიჭერენ ამ კაცებს .. უკამ მიყამთ ცრემლით და ტირილით.

ამ დროს ქალაქში ერთ პატარა ბიჭსა ვირზე აუკიდია ორი მეშოკი ბზე და მიაქვს გასასყიდათ. ბიჭმა გაიგო ამათ მწუხარება, დატუა ვირი და ამოვიდა რაბათში ციხეზე. იმ დროს ყაზახი იდგა იქა. თურმე იმათ უფროსისათვის უთქვამს, რო:

— ორი კაცი დაუჭერიათ და ცემით მიყამთო. წამოვა ეს უფროსი, წამოიყვანს ყაზახებს, იმათ დაიჭერს და აიყვანენ ციხეში. ამათ (ლეკებს) გამოკითხამს: — ეს კაცები რატომ მიგყამო? ისინი ეტყვიან: — ეს ხალხი ჩვენ ვიყიდევითო და იმიტომ მიგვეყამსო. — ვისგან იყიდევითო? — არ ვიციტო. პაპაჩემზე ეტყვის: — ეს კაცი როგორ იყიდევითო? — ამაში სამოცი ყურუში მივეციო. — მეორე როგორ იყიდევითო? — მაგაშიც ორმოცი ყურუში მივეციო. ეს რო მოისმინა, ყაზახებ უბრძანა: — ტანსაცმელი გახადევით ამ ლეკებსაო! გაახდევინა ტანსაცმელი, რომელსაც სამოცი ყურუში მიეცა:

— ამას დაარტყით სამოცი მათარახიო! რომელსაც ორმოცი ყურ-

რუში მიეცა, — ამას ორმოცი დაარტყითო! ესენი ისე სცემენ, რო ილაჯი გაუწყდათ. წაიყვანეს კანუშნაში, ცხენის ხუშკში ჩაფლეს ეს ლეკები, ხოლო თავები ზეით აწოაშვერინეს. სამი დღე იქ ყამდათ, ჩვენ კი წაშოვედით და აღარ ვიცით, იმ კაცებს რა უყვესო.

პაპაჩემს მეორეთ დაიჭერენ ლეკები. მაგას წაიყვანებენ გოკიოს ქალეფში. ეტყვიან: — რატო გამოიბარეო?

წაიყვანენ ასპინძისკენ, ჩიხორიში ჩაიყვანენ. უნდათ, რომ მაღალ კლდეზე, თავალაზე, აიყვანონ, გადმოაგდონ, რო სხვებმა უსეირონ.

პაპაჩემს ხელეები გაკრილი აქ. რო მიჰყამთ, ერთი ლეკი წინ მიუძღვის, მეორე უკან მიზღვეს, დანარჩენები კი ქვეიდან უსეირებენ.

ხელები რო გაკრილი მაქ, ცოტა თითქოს ვილაცამ შემეშვაო. ისე ვიგრძენიო. წინ რო ლეკი მიმიძღვის, დავეტანე წინა ლეკსა და ხანჯალი ამოვაძერიო, დავსცხე და იქვე წავაქციეო, მოვბრუნდი, მეორე უკან გარბისო, იმასაც ვესროლე ხანჯალი და ზურგში ჩაერჭოო. ისიც იქვე წაიქცა, მოყვდაო.

იქიდან გამოქცეულა ტამალაზე, ჭობარეთის ტყით. ტყეში რო ავა, იქ დაულამდება. ამ დროს დათვი გამოხტება ტყიდან, დიეჭიდება ამ დათვსა (ძლაური კაცი ყოფილა) და მიერევა, მოუკლია. ღამე იქვე დარჩენილა. ტანისაშოსი აღარ ჭონია, არც დანა ჭონია. — კბილით დათვის მუტელი გავეპერი, ვამოგყარე ლეში და შიქ შევწექი თელი ღამე, რო არ შემცივდესო.

დილით. გათენებისას, გოკიოში მოსულა. აულა თავისი ხაბაკი და აქ, საროში, ჩამოსულა. აქ მოკვდა.

სოფ. სარო

#### 54. მამადა

ერთი მამადა იყო, ორი კაცი მოეკლა. გიევზანათ ესა ათი წლით სიმბირში. სამი წელიწადი ჩარჩენილიყო და გამოქცეულიყო სხვა კაცით ერთათ. — სანი თვე გზა ვიარეთ, თივას ვჭამდით, ბაყაყებ ვჭამდით, სუ ტყეში დავდიოდით. სამი თვე შესრულდა, ერთ სოფელ მივაწყდით. დაღამდა, ნახირი მიდის სახში. ნახირში გვევრიეთ და, როგორც საქონელი, ჩვენც ისე მივდივართ. სოფლი კიდურში რო მივედით, ერთი პატარა სახლი იყო, მიველით იმ სახში, მენახირეც იქ მივიდა (მენახირეს სახლი ყოფილა). დაღანდა, პური მოიტანეს. ნახევარი პური ვჭამევით, მუტელი გამისივდა. სამი დღე შრგუნახა იმ კაცმა, ძეს გვაჭმევდა. ცოტა ჯანზე მოველით, თვალი გაეახილეთ. ნახირი

გარეკეს, ნახირში გავერიეთ და მოვემშვიდობეთ კაცსა. მიველით ერთ ქრყანაში, ქალაქში. ვიყავით ხუთი წელიწადი იქა. მერე დავჰკარით და გამოვედით ჩონ ქრყანაში. მოველით, დაგვიჭირეს მევერეთ ჩონა. აქეთ ჩავარდით, იქით ჩავარდით, ცოტა პური ვაჭამეთ და თავი გადვირჩინეთ.

სოფ. ვარევანი

#### 55. პატრე ბარძენი

თათრები შემოსევის დროს ვარევანში პეტრე იყო, ბერძენი. წურობელას წაიღებს გასაყიდათ, წავა ახალქალაქში. მივა ერთ სახში. ოჯახში ზის ერთი ბრმა ქალი, ეტყვიან: ერთი ტუმარი მოსულა, შინ შომოვიყვანოთო? — შომოვიყვანეთო! შევიდა შინა, ილაპარაკეს აქეთ-იქით და უთხრეს: სადაურელი იქნებო? — ვარევნელიო. — ხანდო იციო? — რაგორ არაო. მე იმ სოფლი ქალი ვარო. მამათი ერთათ წამოველით. ჩონ ეკლესიას ზევიდან ვიდექით, ხეობრების ალაგას. იქაო ზღრუბლის ქვეშ ერთი რუბი პილენძით ოქრო ჩავფალითო და გამოვიქეციოთო. მერე მამა მამიკვდა, ძმებიც მამიკვდნენ, მე დავრჩი ასე ბერმა. ეხლა შენ იცი, გამწავლი ალაგსა. ჰეკლესიის ზევიდან სახბორე არი, იმი ზღრუბლი ქრშ არი. თუ წახვალ, ამოილო, ზათი დამეხმარებო. იმ კაცმა თქვა: წაველით სამი კაცი, გავთხარეთ ის ალაგი. შუდი სახბორე არი იქა. ერთი გავთხარეთ, არაფერი არ ამოვიდა. დაცხა ძიელ. ამხანაყებმა თავი დაანებეს, წამოვედით. დარჩა რქსი ალაგი გასათხრელი.

სოფ. ვარევანი

### მ თ ნ ო ბ რ ა ფ ი უ ლ ი ხ ა ს ნ ი ა თ ი ს ა მ ბ ა ბ ი

#### 56. კორწილი

მშობლები ქალს ძველად ისე ათხოვებდენ სხვა სოფელში, რო ქალმა და ვაჟმაც არ იცოდნენ. გასცვლიდნენ ბეს ან მშობლები, ანდა ვაჟის მხარეს შუამავალი. მერე მოვიდოდნენ მოყვრები რძლის სანახავათ. ამ პირველ მოსვლას ვეძახდით მოსაკითხს. მას შემდეგ მოუტანდნენ ნიშანს, ქონებაზე იყო დამოკიდებული: თუ დიდარი იყო, რამდენიმე ხელ ტანსაცემელს, ხორც მოიტანდენ (ერთ ცხვარს), შაქარს იყიდადნენ, ბრინჯს, სასმელსაც მოიტანდნენ. ნიშნის შემდეგ ქალი უნდა დარჩენილიყო მშობლებთან ერთი წელიწადი მაინც. ამ წლის



განმავლობაში, რაც კი კარკი დღესასწაული იქნებოდა, ვაჟის მშობლები მიდიოდნენ რძლის სანახავათ. ქორწილის წინ ხანფში უკანასკნელათ მივიდოდა ვაჟის მშობლები გადასაწყვეტათ. დასთქვამდნ დროს, როდის უნდა მოახდინონ ქორწილი, მოლაპარაკდებოდნენ. ეს ოჯახიც უწყევდა [დაუპატიებდა] თავის ნათესაებს და მოილაპარაკებდნ, რომელ დღეს იქნებოდა ქორწილი, რამეთუ კაცი უნდა მოსულიყო, ვაჟის მშობლებს ხორცი, სასმელი რამეთუ უნდა მოეტანა (ამას მოსთხოვდა ქალი მშობელი). ამაზე შერიგდებოდნენ. ესენი ყველაფერი უნდა მოსულიყო ქორწილის წინ დღეს. მეორე დღეს ქორწილი მოვიდოდა. სარძლო ოჯახში არ ხვდებოდა, რომელიმე მახლობელი ნათესავი წაიყვანდა თავი სახში. ქორწილი რო დარიგდებოდა ოჯახში, მოყვარე მოიკითხებდა:

— აბა, სად არი რძალიო?

გაუძღვებოდა ოჯახის პატრონი მოყვარეს მელუღუკეებით და წაიყვანდა იმ ოჯახში, სადაც რძალი იყო ამ ოჯახშიც ოჯახის პატრონი პატარა კამპანიას მოუწყობდა, ცოტა შეაქეფიანებდა. მოყვარე დასაჩუქრებდა ოჯახს ფულით და წამოიყვანდნენ. რო მოვიდოდნენ ოჯახში, ქალს კიდევ ცალკე ოთახში შეიყვანდნენ, იქ უნდა ჩეეცმევინათ პატარძლისთვის. ნოვიდოდა ის მოყვარე. უნდა გადაეხადა ტანს ჩასაცმელი.

— ფულიო! — მაკრატელი არა სჭრისო! თავზე ხელ დაადებდნ: — კიდევ ფული მოგვეციო! ქამარი იცოდნენ, — არ სწვდებაო, ფულიო! გამოიყვანდნენ პატარძალს ქორწილში ნეფესთან. პატარძლის მამა ჩააბარებდა ნეფეს: — აჰა, შვილო, ეს არი ჩემი ხორციელი შვილი, შენა ხარ ჩემი სულიერი შვილი, შენთვის ჩამიბარებია ჯერ ხვთის ამანათი და მერე შენი. მერე დალოცავდა: — გაბედნიეროთ, გამრავლდით ისე, როგორც ისაკი და რებეკაო!

მერე დასწერემდნენ ჯვარს. იმ ღამეს ქორწილი რჩებოდა ქალის ოჯახში, მეორე დღეს ასაუზმებდნ და გაისტუმრებდნ (რძალს აუცილებლივ პირსაფარი უნდა ჰქონოდა ჩამოფარებული სახეზე, ჯვრისწერამდი არც კი იცოდნენ, ვის ვინ მიჰყავდა).

გზაში იცოდნენ სამხრობა (წასაუზმებდნენ). გასტუმრების დროს იცოდნენ სიმღერა. წინ მახარობელს გზავნიდნენ. მაყრიონი რო მივიდოდა ოჯახში, შეხვდებოდნენ სიმღერით: — მოგვყავს და მოგვიხარიან წითელ-ყვითელი ხოხობი ... მახარობელს, ოჯახში რო მოვა, ჯამით არაყს ასმევენ, მერე ჯამი უნდა გატეხოს. კარებში დახვდება ნეფის და. იმას უჭირამს ტაბაჯზე დაწყობილი ქადა, პალვა, ოთხი სანთელი ანთებული და შეხვდება ნეფეს. ორი შაქრის ნატეხი უჭირამს, ერთი

დედოფალს და ერთი ნეფეს. ნეფის და ასე უკან-უკან მიდის აჯლამ-დის.

ქორწილი მოვა ვაჟის კარებზე. ქალი რო ცხენიდან ჩამოჯდეს, ქვაბს დაუდგამენ გადმობრუნებულს, რომ ჩამოჯდეს. ჩამოჯდება ქვაბზე. მოიყვანებენ ცხვარს, ფეხთან დაუკლანენ ცხვარს, რომ ზედ გადაიაროს. ქვაბს ფეხ ჰკრამს და გადააბრუნნამს. კარებთან რო მივლენ, მაყრები მიჰყვებიან ნეფე-დედოფალს ხანჯლებით. როცა კარებში შედიან, ხანჯლეთს სცემენ კარების კუდსა. კარი ხედებათ დაკეტილი. აქ იქნება ყვირილი: — გააღეთ კარიო! მაგრამ შიგნიდან იძახიან: — ფული მოგვეციო! ატყუებენ: — აქედან გააღევითო და ფულ მოქცენთო. მაინც ისინი არ აღებენ კარეთს. მაშინ ნათლია იღეთს ფულსა და აძლევს ხუთ თუმნამდის. როცა ნეფე-დედოფალი, ნათლია შედიან აჯლაზე, აჯლის წინ ერბოთი სავსე ქოთანს დადგამენ, სამჯერ უნდა შემოუარონ სამივემ. ქალმა ყველა შემოვლაზე უნდა მუჟურის და თითი ჩააწოს და შექამოს. მერე მაყრები ყვირიან:

— არ გვჯერა, ქვევიდან ფქვილი იქნებო! მეორე მაყარი ყვირის:

— ხანჯლით მოურიოთო! მესამე მაყარი ხანჯლით ურეთს. მერე წაიღებენ ქოთანს. უახლოვდებიან აჯლას და ხედავენ, რო ოთხი-ხუთი ბავშვი წანოწოლილია პირქვე და ხელები უწყევით ზურგზე. ხალხი შესძახის აქეთ-იქიდან: — აღექით, ბიჭო, ხარი ყანაში შევიდაო! ეს ბავშვები მაინც არ აღებებიან. აქედ-იქიდან ყვირიან: — ნათლია, ფული მიეციო! მერე ნათლია ასწევს და თითოულს თითო მანეთს მისცემს. აღებებიან ბავშვები და წავლენ. მაშინ ნეფე-დედოფალი ავლენ აჯლაზე. მერე, მას შემდეგ, მოვლენ ხალხი და მოულოცამენ. მილოცვის შემდეგ პატარძლისათვის მოჰყავთ ბოვშეები, რო აჩუქოს რამე. თუ გოგოა, ჩივირისა და კაბას ჩააცმევს, თუ ვაჟია, წინდებს ჩააცმევს.

მილოცვის შემდეგ დალაგდება ხალხი, დააწყობენ სუფრას, ამოირჩევენ თამადას (ქორწილი თამადას ბრძანების ქვეშ უნდა იყოს). პირველათ აღდგებულბენ ნეფე-დედოფალს, მერე ნათლიას, მერე მშობლებს, ნაწვევებს (ნათესაებს), განაყოფებს, მაყრებს მაყარბაშით, მეზობლებს, შეძოსწრებულბებს და სხვ. ქორწილის მეორე დღეს ხალხს კიდევ უძახიან ქორწილში.

ის მაყარი, რომელიც დაიგვიანებს, მაყრები სახში თოკით გამაბამენ და მიმართავენ მის ნათესაებს: — დაიხსენითო! ამ დროს ხილი ან სხვა რამე უნდა მიუტანონ და ისე დაიხსნიან.

ქორწილი რო გათავდება, ნეფეს გაანადირებენ.

სოფ. სარო

57. ბლენის მოსწრებულნი კასუხები

ერთი ხემწიფე ადგა და გავიდა გოროდის გარეთ, რო ერთი გლე-  
ზი ყანას ხნამს. — გამარჯობა, გლეხო! — გაგიმარჯოსო! (ხოლოთ ხე-  
მწიფეს ტანთი გამოცვლილი აქვს). დაჰკვირდა ხენწიფემ ამ გლეხსა,  
რო თავი გათეთრებული აქ და წვერი — შავი. ხემწიფეს ერთი ვეზირი  
ჰყამს გვერდით. ხემწიფემ გლეხს უთხრა ჩუმად, რომა: — რატომ  
არის, რო ადამიანის შვილს თავი თეთრი აქ და წვერი შავი? — ხე-  
მწიფე ხარ და მაქთენი არ იციო? ადამიანის შუღი რო იბადება, თმა  
თან დაჰდევს დედიდანაო, წვერი თექვსმეტი წლის შემდეგ ზოჰდევს  
და არ იცი, რო თმა მალე გათეთრდებაო! — ამას, სირამდი ასჯერ ჩემ  
სახეს არ ნახამ, არსაღ არა სთქვაო, — უთხრა ხემწიფემ. მერე ადგა,  
დაბრუნდა სახში ხემწიფე. მოვიდა, თავი ტახტზე დაჯდა. დაუჩახა  
ლალა-ვეზირ და პატარა კრება გააქეთა: — თქვენ ერთი რამე უნდა  
შეგკითხოთ, თუ ამიხსნითო? რატომ არი, ადამიანი შვილსა ზოგ და  
ზოგ თმა თეთრი აქ და წვერი — შავი? ზოგმა რა უთხრა და ზოგმა  
რა. ზოგმა უთხრა: — მზის დამწვარია და იმიტონაო! ზოგმა: — გუ-  
ლი ფიცხი აქ და იმიტონაო! მოკლეთ, ვერც ერთმა ვერ აუხსნა. მე-  
რე სთხუეს ხემწიფეს, რო: — ნება ზოგვეცი სამი დღე, ვიშოვით, გა-  
მოვიცანით, ხომ კარგი, თვარადა დაგვხოცეო! ესენი ყველა ხარეზე  
წავიდნენ გასაგებათ, რო ეს სიტყვები იშოვნონ, თუ რას ნიშნავს.  
რომელიო რო გვირდით ყამდა. ეს ვეზირი იმ გლეხთან წავიდა (ეს ჰვა  
იმისგან მოქვხდაო!). მოვიდა, ამ ვეზირმა იშოვა ეს გლეხი: — გლეხო,  
რათ არი, რო ადამიანი შვილ თმა თეთრი აქ და წვერი შავი? — და-  
ვალეზული მაქ ხემწიფისაგან, რო ვერ ვიტყვიო. — კაცო, ჩვენაო სა-  
მოკოათთ კაცი კვლამს და შინ, ერთი კაცი, რო დაიღუპო, მაგით რა  
იქნებაო? მაშინ გლეხმა უთხრა: — რაკი გადამადექი, რო მითხარიო,  
ამოიღე ასი მანათი ხენწიფი ფული, მამეცი და გეტყვიო! — ამოიღო  
ასი მანათი და მისრა ვეზირმა. ადგა, დაბრუნდა ეს ვეზირი და მოვიდა.  
ყველანი მოინგვრენ და პა:უხი გასრა ვეზირმა: — ადამიანის შვილი  
რო იბადება, თმა დედიზგან დაჰდევს და წვერი თექვსმეტი წლის შე-  
მდეგ მოჰდევსო! მაშინ ხემწიფემ კაცი გაგზავნა გლეხი მოსაყვანათ.  
შეკრიფეს ჯალათები, ორი ჯალათი გაგზავნა და მოიყვანეს ეს გლეხი:  
— მე რო შენ გითხარი, ასჯერ ჩემ სახეს მანამ არ ნახამ, არ თქვაო.  
რათ უთხარიო? — ასჯერ შინი სახე გნახე და ისე ვთქვიო! — მე შენ  
ურთჯერ გნახე და შენ ასჯერ როგო მნახეო? — აი, თუ არ მინახიაო!

ამოიღო ასი მანათი და უთხრა: ეს შენი სურათები არ არიანო? ამაზე შებორკდა ხემწიფე, რო: — ჩემზე ჭკვიანი გამოდგაო! გაანთავისუფლა გლეხი და წავიდა.

ხემწიფეს ახლა გულში ჩაუვარდა, რო: ჩემი სატახტო ამანა ჩაიბაროს, ჩემზე ჭკვიანი ეს გამოდგაო ამან დაუძახა თავი ლალა-ვაზირს: — რამე შარი მოუღოთ, რო ეს ჩემ ტახტ ჩაიბრისო! ვაზირმა უთხრა: — მოდი, შენ და იმან დალიეთ, რომელიც ადრე დაითვრას, თავი იმაჰ მოვკრათო! ამან წავიდა, გლეხი მოიყვანა ხემწიფის სახში. ხემწიფემ უთხრა: — მე და შენ დღეს-ნა ღვინო ვსვათო! ქალღი დასწერეს: რომელიც ადრე დავითვრებით, თავი მოვკრათო ხემწიფის სტოლი სუ მოქარგულია ფარდაკით, ხალიჩოთ. ხემწიფემ გაამსო ჭიქა და მიაწოდა გლეხ. მერე გლეხმა გაამსო და მიაწოდა ხემწიფეს. გლეხმა ორი ცალი რო დალია, დაატყო რო ვითვრები (აჰა, ხემწიფე ყველ დღე კონიაკ, შამპანსკ ლევს, ცხადია, გლეხი მალე დაითვრებოდა). ხემწიფემ მესამე ჭიქა რო გაუნსო, უთხრა: — დალიე გლეხო! — აამსე ჭიქაო, რო დავლიოო. გამსულია, დაიღვრება, გაფუქდება ფარდაკები, ბოსელა ხო არ არიო? — მაშ შენ რო ხალიჩას ნანომ, რო გაფუქდებაო, მეც გავინსე, გავფუქდებიო, მეც ხალიჩა ხო არა ვარო? ის თუ ფუქდება, მეც ვფუქდებიო. ხემწიფემ გაანთავისუფლა გლეხი და კიდე მოიწვია კრება. ვეზირის ერთმა უთხრა: — მოდი, ასე დავიწყოთ საქმეო: გვერდით მოგიჯვდინოთ გლეხიო. ხემწიფე ჩასცხენს ერთ ვეზირს რიგრიგობითო, იმ ვეზირმა იმას, იმ ვეზირმა იმას, გლეხმა ვილას უნდა ჩასცხოსო? გვერდით ხემწიფე უზის, იმას უნდა ჩასცხოსო?

მართლაც, ასე ქნეს. რიგი რო ღოვიდა, რო ხემწიფეს უნდა ჩასცხოს, გლეხმა: — ორი სიტყვის ნება მომეცით და მერე, თუ გუნდ, თავიც მომპარითო. — თქვიო, — ხემწიფემ უთხრა. — ერთ ღროსაო ომი გაიმართაო. სახემწიფეები ერთმანეთ ებძვიანო, მეც ურემი შემიბია და ბაზარზე მივდივარ თავქვეო. შეგხედო, რო სამხედრო ავტო მოდიე, შიგ გინერალმაიორი ზისო. საყვირი მამცა ავტომ, რო გზა დამითმეო! მიწრო ულიცია იყო, ვერ ვატარემდი ურემსაო, ხარები გამოუშვიო და ურმის უკან მოუცადეო. მევრე მოსახვეიში გავიტანე ურემი და გზა დაუთმეო. ახლა ხემწიფი ვეზირი გზას მთხოვსო, მე, გლეხი, რაგორ დაუდგები წინაო. მობძანდი, გაიარეო. მე უკან დავიწევიო. გამოიარა ვეზირმა და ხემწიფის ჩასცხო. ხემწიფემ ესენი სუყველა დაითხვია და პირველ ვეზირათ გლეხი დააყენა.



ერთი ხემწიფე ადგა, გოროდის ნაპირას გავიდა (ერთი თვალსა-  
ჩინო ვეზირი ყამს, იმით დადის ხოლმე). შეხედა, რო ერთი მოხუცი  
ოთხმოცი წლ-საა. სამი გროა მიწა არის დაგროვებული. ამ მიწას  
აიღემს, იქით გადაყრის, მერე აიღემს, აქეთ გადმოყრის, ადგილ უცვ-  
ლის. ეს ხემწიფე გაბეჩდა, დიეკითხა: — რა მაქნისი აქ ამას, რო შენ  
აკეთაშო? — რო იცოდე, ხემწიფევ, ამაში დიდი საქმე ჰყრია, მაგრამ  
რა გითხრაო? — მაინც რა ჰყრია, ამიხსენიო! — ეს პირველი მიწა-  
იმას დავაყარე თავზეო, ვინც თავი ღმას გადააგდევს და სხვას ძმას გა-  
იხდისო. — კარგი, მევეო? ეგეც მითხარიო! — თითონ არ ექნება და  
სხვის იმედზე დადგებაო, ესეც იმას დავაყარეო. — მესამეო? — ესეც  
იმას, ვინც ცოლ ყველაფერ ეტყვის თავი გული პასუხსაო.

ადგა და გაბრუნდა ხემწიფე, მივიდა თავი სახში. ამ ვეზირმა  
(ხემწიფეს რო ახლდა) იფიქრა: — ერთი ამათ გამოვშინჯამ, ნახო ესე-  
ნი სინამდვილე თუ არიო.

ხემწიფეს ერთი კაი საყვარელი ვერძი ყამდა. რო დილით არ ენა-  
ხა, ვერ გასძლებდა, საღამოთი არ ენახა, ვერ გასძლებდა. ვეზირმა  
მოჰპარა ეს ვერძი და დაჰკლა თავი ოჯახში. ხემწიფე დაჰპატოჯა თავი  
ვეზირებით. გაშალეს ამათ სუფრა, შენ ხარ ჩემო ბატონო ქალს ეუბ-  
ნევა: — ეს მომიტა საკმელი, ეს მომიტა საკმელი! ქალიც უზიდამს,  
ენსახურება. იხედება, აღარაფერი აღარ აქ, რა მუუტანოს? ქმარი კი  
იძახის: — მამიტა, მამიტაო! ქალი რო შეწუხდა, უთხრა: — შე კაი გა-  
ცო. ხემწიფეჰ ვერძი მოჰპარე, კარგი აქავე, აღარაფერი აღარ არი, რა  
გაქამოო? ხემწიფე გაბეჩდა. — ოჰ, ხემწიფე გარე კარში გასულიყო  
და მაინც ისე გეთქვა. შე ოჯახდასაქციეო! — ადგა ხემწიფე, გამო-  
იქცა, მოვიდა სახში, ნახა, რო ვერძი აღარ არი. ამან დაუძახა ეს ლალა-  
და უთხრა: — კაცო, ეს ვერძი ვისი იყო და ვის მოჰპარე, რომ იმ ქალ-  
მა თქვა, რო ხემწიფეს მოჰპარეო? ვეზირმა უპასუხა: — მე მოვიპარე  
და მე დავკალიო! — რატომო? (დასახჩჩობათ დაუბირა ამას). — ბე-  
რი კაცმა რო თქვა — ასში ქალ ერთი არ უნდა უთხრაო — მე ჩემი  
ქალი გამოვცადეო: მაშინ მეფემ უთხრა: — ყოჩალო!

ათი წელიწადია ძმისგან გაბუტულია ვეზირი. ამ დროს განგებ  
გააკეთა, ნითომ კაცი შემოაყვდა: დაიჭირა, ხეს ნაჭერი შესუღრა, თავი  
ოჯახში მიიყვანა, დაუძახა თავი საყვარელ ამხანაყევს, ამათ უთხრა:

— ამილამ ერთი კაცი შამამაყვდა, შველა მამე(ით, გადავაგლოთ,  
სადმე დავლუბოთ, რო არავინ არ გაიგოსო (ღჰ ჩუმათ მებნება, იმან  
კი განგებ დაიყვირა. რო ყვილას გაეგო).

წავიდნენ, ხემწიფეს შეატყობინეს, მიიყვანეს ხემწიფე. ნახეს,

რო ერთი შესუდრული ხის ნაჭერი გდია, რის კვდარი! ადგა წავიდა, თავი საკუთარი ძმა მონახა (გაბუტული რო არი ათი წელიწადი), მოვიდა, უთხრა: — ესე საქმე დამემართა, კაცი შამამაცდა, რამეს მიშველი თუ არაო? — ნუ ყვირიხარ, არავინ გაივოსო (მაშინ გასცა ძმამ ხმა).

ადგა, შულამისა მივიდა ეს ძმა (ხემწიფე იქ, სახში, ყამს დამალული): სად არი ტომარა, მოძეცი ერთიო! პატარა ხის ნაჭერი — მორგვი — ნახეს (ამ ძმამ კი არ იცის, მართლა კვდარია თუ რა არი). მოზვია ამან. არაფერ დაუყურა და ტომარაში ჩააგდო. მიაქ, ხრანზე უნა გადააგდოს. ვეზირმა უთხრა: — მოიცა, მოიცი, ეს კვდარი არ არიო. მაშინ უკვე იგრძნო: ძმა რა ყოფილა და სხვა რა ყოფილა. ვეზირმა ხემწიფეს უთხრა: — ნახეო, ბერი კაცმა რო თქვაო, ფულით ნაშოვნნი ძმა გაგყიდამს და ნამღვლი ძმა კი არაო.

სოფ. ჩუნჩხა

### 58. ორი ცხენოსანი

ზიდის გზაში ორი კაცი: ერთი ზის ცხენზე, ერთი ზის ცხენჯორაზე. ამათ შოშოხვდათ ერთი კაცი. ერთი მათრახი იშოვნეს, მათრახ ქონდა ვერცხლი ტარი. ამათ ილაპარაკეს, ეს მათრახი რაგორ გაეყოთო? რო გაეჭრათ, არც შენ გამოგადგება და არც მეო. ვისაც რო ბევრი ყოჩალობა გამოუყა, იმას დარჩეს ეს მათრახიო. ვილაპარაკოთო. ცხენიანი ეუბნევა: მეო ვყავდი მამაჩემ ერთი შვილიო. დიდარი ქონების პატრონი ვიყავითო. არ ვინიშნებოდიო. შემდეგში შემიყენა ჩემი წორი ამხანაგებიო. ჭკვა გამაჭრეღინა და დავინიშნეო. შემდეგში შემართეღინეს ქალის ერთიო. ავიყვანე ქალის ერთიო. ამ ქალს ყამდა ექვსი ძმა. უფროს ძმამ მითხრა: თავით ფეხამდი ერთი ხილი ტანთი გამიწყე, ლევერი და ხანჯალიო! გაუწყე ტანთი. ეგრე თუ მიორე ძმას. რაც იმას უყიდე, იმასაც ის დავახარჯე. ეჭვსთავენი სუ მაგ ფორმაზეა. ქალი რო მოვიყვანე, ძალიან ღარიბი გავხდიო, ქონება გადავაგეო. მამა მამიკვდაო. დედაჩემა მითხრა: წადი სხვა რაიონებში, მამაშენს დიდარი ნაცნობი და მოკეთებები ჰყანსო, შიასაწყლე თავი და ფულ და ვეში მოქცემენო. აუარები რაჩე წანოვიდეო. ერთ ბილიკა გზას დავადექიო. მივედი ერთ მაღაროშიო, დევის სახლი იყო, რკინი კარები ებაო. რო შევედი, სამი ქვაბი საკმელი იდგა: ერთი იყო პალვაო. მეორე ხორციო, მესამე ბრინჯი ფლავიო. დევი ბაგაზე ცხენი დავაბიო. სარახი ქვაბები იყო, თითო თეფში საკმელი დავისხი და ვქამეო. ამ დროს დევა კარი გააღო და შომოვიდაო. ოჰ, რა კარგი ქნილა, რა კარგი ყუცმათი მომსვლია, ადამიანის სუნი დგასო! დევა მითხრა: ჩემ ცხენ

ჭერი მიაართვი თორბითაო! რჭაფუთიანი ჳვალი იყო, მე რას ავწევიდი? მოვიდა და თითონ წამიტაცა ერთი ხელით და ჩაუყარა ცხენსაო. შემდეგში დაადგა და ი სამი სარახი საქმელი შექამაო. რო გატეიტლდა, დედიშობილა ლოგინი-ნა დაიგოს, დაწვესო, ამ დროს აილო და ხმალი დამცხო, რო ხვალისათვის ჩემი თავინა შექამოსო. რო გადავბრუნდი, იმას ეგონა მოკვდაო, მაგრამ მე სიკვდილ თავი მივეცი და ნამდვილათ კი არ მოკვდიო. ადგა, თითონ წავიდა დედიშობილა ფეხი გზაზეო. ვიფიქრე: ამან უნდა მამკლას, მოდი, ამას ვიზამო. მივბრუნდი, რკინი კარები მივხურეო. კარებ ქონდა დიდი კეტი საკვალავი, შიგნიდან გადავეტიეო. დევმა დამინახა: ადამიანის შვილო, კარი გააღეო! მე რას გავალბდიო. უკან-უკან წავიდა და კარებ ფეხი ჰკრაო. კარები შემოდრიკა ფეხითაო. ზამთრი ღამე იყო, მოწმენდილი, ამაზი იყო და სიცივით მოკვდაო. ორი კვირა დავრჩი, კარს რას გამოვიდოდიო! მერე მაინც გამოველ, ის ცხენები და ვეში წამოვიღე და ღამე მოვედი მამაჩემი ოჯახშიო. დედაჩემ დაუძახე: ხეთი სტუმარი ვარო, კარი გამიღეო! — ერთი რძალი წყანს, იმას ღვეკითხანო. ქალი იტყვის: დედაჩემო, სამი წელიწადი ქმარი წასულია, არ შემძლიან სხვისი სახე შევხედოო. გამოვიდა და დედამისმა უამბევა, რო რძალი სტუმარს არ ღებულოწო. ჩვენი შული სამი წელიწადი ყურბათში წასულია და ამისთვის სხვა კაც არ მივიღენთო. — მე ვარ თქვენი შულიო. თუ არ მჭირიხართ, აგერ, ჩემ ხელზე თქვენი მეჰვრი მაქო. რძალი ეუბნევა: მეჰვრი ჩემი გატანებული მაქო. თუ ჩემია, მომოტანე და ვიცნობო. როდცა რო შეიტანა, ქალმა იცნო, გული წაუვიდა, მადლობა ღმერთს, რო ჩემი ქმარი მოსულაო. გეეხარდა და მიიღეს და კაი ნიშან-ქორწილი გადიხადეს.

ეხლა, რომელიც რო ცხენჯორაზე ზის, მათრახი იმან აილო და ეუბნევა: მეო მამაჩემს ვჰყავდი ერთი შვილიო. ერთი ცოლი შევიძინეო, ძალიან ღამაზი იყოო. ქონება ბევრი მქონდაო. ერთი ჳოგი თეთრი ცხენი მყამდაო, ერთი ჳოგი წითელი ცხენი მყამდაო, ერთი ჳოგი ნარიჯი ცხენი მყამდაო. ერთი ჳოგიც კამეჩი მყამდაო. წყევსები მყამდა ამ ჳოგებისაო. რო ჩავდიოდი ცხენები სანახავათ ჩემთვის საკუთრათ გამოყოფილი იყო სამი ცხენიო: ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და მესამეც ნარიჯიო. უნაგრები ჰქონდათო. ეს ცხენები დაწუხდნენ, უკან-უკან წავიდნენო. წყევსებს გაუწყყერი, არ მეუბნევიან. ერთხელ უთხარი: ტყვიით დაქსოცამთ, მითხარით ჩემი ცხენების თავი გადასავალიო! ესენი გამოტყდნენ, თქვეს, რო შენი ცოლი ჩამოდის ყველ ღამესაო და ღამეში თითო ცხენზე შეჯდება და ნადირომსო. სად ნადირომს, არ ვიცოო. საღამოზე რო დაწევები, არ დაიძინო და შენი ცოლი ამბავს გა-

იგებო. ქალს აქ პატარა თილისმის ჯოხი, აიღენს ამ ჯოხსა, მიიტანს და ცოცხლად დაკრანს, ლოგინს ახდის, ცოცხლად შედებს, ჯოხს დაარტყამს: შენამც გამხდარხარ ქალიო! ამ კაცთან წვეს ქალი, თითონ ადგა და წავიდა. ეს კაცი რო ჩავიდა წყევსებთან, უთხრა: რა იქნა ქალიო? — როგორც კულავ მიდიოდა, ისრე წავიდაო. ადგა და თითონაც წავიდა. ქალი ყვარ ცხენით მიდის, თითონ კი წითელი ცხენით. იარა, იარა ამ ქალმა ტყეში და ერთ გამოქვამულში ავიდა თავის საყვარელ დევთან. სვეს, ჰამეს, დაწუნენ და დაიძინეს. რო დეეძინათ, ამ დროს შევიდა ეს კაცი და თავი მოშტრა დევსა. გამოიღვიძა ქალმა, დევი არის და თავი არა აქს. შომოიკრა ხელი და წამოვიდა ტირილით. კაცმა წყემსევს უთხრა: ქალი რო მოვა, დავკითხოთ რამე, არაფერი არ უთხრათ. შემდეგში მივიდა ეს ქალი წყევსეფთან: მიაშბევით, უკან ხო არ წამამყუა ჩემი ქმარიო? — არაო, რაგორც კულავ გზავრონდი, ისე ინგზავრე, შენმა ქმარმა არაფერი არ იცისო. წყევსეფთან დატვია ცხენი და წავიდა თავი ოთახში. მევრე დღეს ადგა ქალი, კილობანში ჩხრეკა დაიწყო. ქმარი არ შორდებო, ამან იცის იმი ანბავი. ქალმა აილო ი პატარა ჯოხი და უთხრა: შენამც გამხდარხარ პატარა მაშკაიო! გახდა ეს კაცი ძალლი, მაგრამ კაცის აზრი აქს. ქალაქი ნაპირას ერთი ხეთისნიერი კაცი შეხვდება. მეექვსეცუნება ეს მაშკაი. ამ კაც წელიწადში ერთი ბავშვი ეძარება. წლისა რო ხდება, გოლი მოდის და წამლავს ამ ბავშვსა და უკვდება. ან დროს, როიცა რო გოლი მოდის, რო ეს ბავში-ნა მოწამლოს, ძალლმა დაიჭირა და ეს გოლი დაახჩო. ბავში გადარჩა. კაცმა ეს ძალლი ვერცხლი წყალში დაფერა და კოხტად დაჰყავდა. ერთი წლის შემდეგ ეს ძალლი დაბრუნდა. გზაში დაუღამდა. მივიდა ერთ სოფელში, დასუსულამს. ერთი გელი გამეეკილება და ამ მაშკას ტაცანს კბილსა. თილისმიანი გამოვა და იქცევა კაცათ. მოვა თავი სოფელში ჯანჯანასთან, ეტყვის: წადი ჩემ ოჯალობაში ერთი ორი დღე, ჩემ ხუნანს ისე მეემყრე. იმან ვერ გაიგოს. ისრე სამთიანა უნა მოიქცე, კილობანში ერთი ჯოხი აქს. უნა მოპარო და მე ჩამომიტანოო. ამ ბებერმა იგდო ისე სანთში, რო ი. ჯოხი მოჰპარა, ამ ბიჭ მისცა. კაცი დაბრუნდა, ჯოხი უჭირანს. ოჯალში, სამატაჟიან ბალკონში რო ავიდა, ქალმა შომოხედა: შენ ძალლი გაგხადე, გაგადე და კიდევ თავი იჩინეო? ამოილო ახლა ამ კაცმა ჯოხი და დასცხო: შენამც ქცეულხარ ცხენჯორაიო! გახდა ცხენჯორაი, მაგრა სცენს.

ცხენზე რო იჯდა, იმამ უთხრა: შენზე ჰალალი იყვეს ცხოვრებაცა და ვაშკაცობაცო იმიტუნაო, რო შენ ცოლ ასეთ ჰუნარი დაუწვევია და შენც ჰახიდან ამოხვედიო! აიღე ეს მათრახი, დასცხე და ატარეო!

სოფ. გოკიო



ერთი კაცი მივიდა სტუმრათ. მასპინძელ ქვაბი ზე შეუდგია, ბატ ხარშამს. ე ბატი არ უნდა, რო ე სტუმარს აქამოს (არნა აქამოს). ადგა და გადმოიღო ქვაბი, მიიტანა, მიდგა ეს ქვაბი იქითკენ. მუუტანა ამ კაც, ცოტა პური აქამა, დაუგო ლოგინი და დაწვა ი კაცი. ემათ რო დაიძინეს, ეს კაცი ადგა, ე ბატი ამოიღო ქვაბითგან, ჩაღო თავი გუდაში. ინ კაცი ქალამნები იყო იქვე, აიღო და ქვაფში ჩააწყო. იქაც გობით გამამცხვარი პური იდგა, პურიც ჩააწყო თავი გუდაში (ჩააწყო გუდაში?). მივიდა ბოსელში, მამალი ყამდა ამ კაცსა, ეს მამალი ამოიყვანა და დაკლა, ჩაღო თავი გუდაში, მივიდა და დაწვა. რო დაწვა, ამ ხაზეინს გეეხმაურა: — ერთი ჭრაქი აანთე! ჭრაქი აანთო. — შენაო ყაზან შაპარის ჩხუფსა მეესწარიო? (ი კაც უთხრა სტუმარმა). იმან უთხრა: — ეგ ჩხუბი არ გამიგონიაო. — რაგორ არ გაგიგონიაო, შენ ჩემზე უმფროსი ხარ და მე შენზე უნცროსი. მე მაშინ პატარა ვიყავიო, ავდგებოდი, კედელ-კედელ გავყვებოდი, ავიღენდი პურსა და ვჭამდი ხოლმეო. აჰა, ესლანა ჩავიცვა და წავიდეო. — დაიცადე, კაცო, მამალმა იყივლოს და მერე წადრო! — არაო, მამალი გზაშიც იყივლამსო.

ადგა, გეემშვიდობა და წავიდა ე კაცი. ეს ხაზეინი და თავი ცოლი უყურებენ, რო მამალმა იყივლოს. ამათ ნახეს, რო მამალმა არ იყივლა, მზე კი ჩამოდგა კაკოშკიდან (ერდოდან). ადგა კაცმა, მოიკითხა ქალამნები, ქალამნები აღარ არიან! მივიდა ქალმა, ნახა, ქვაფში ბატი აღარ არი. ბატი მაგიერ ქალამნები არიან. ახორში ნახეს, მამალი აღარ არი. მივიდნენ, გობში, ნახეს, პური აღარ არი! მაშინ დარწმუნდნენ, რო ესენი სტუმარმა წაიღო, მოგვპარაო. იმ სტუმარმაც ეგრე მოუწყო ხელი. ეგ არი და ეგ.

სოფ. ქილდა

#### 60. კალის გმირობა

იყო ერთი მდიდარი კაცი. არა ჰყამდა ვაჟიშვილი. ამამ შეეხვეწა ღმერცა: — მამეცი ერთი ვაჟიშვილი, ღირსი გავხდე მეც შვილისაო! ცხრა თვე რო შესრულდა, ამას მიეცა ვაჟიშვილი. ამას ილხი ჭოგი ჰყამდა. იმათში ერთი თეთრი ცხენი კვიცსა არა ზდიდა. იმამაც შობა ერთი კვიცი. გაიზდა ეს ბიჭი, ი კვიციც იზდებოდა. ბიჭი რომცა რო თორმეტი წლისა გახდა, ამას ჩაუვარდა ამ ცხენის სიყვარული. რომცა რო მოიჩიტა მამამისმა თვინიარი ბიჭები აურჩია და უთხრა: — წადი, იემ მთიებზე ივულავე შენი წორამხანაგებთო!

ერთ დღესაც, რო ავიდნენ თაზიდ, წყარო ნახეს. ამათ ცხენები მიიყვანეს წყლი დასალევათ. ამხანაგების ცხენები სვემენ და ამისიცხენი არა სვებს. მოვიდნენ, უთხრეს, რო: — შენი ცხენი ღრუტუნემს და წყალს არა სვებს, რაშია საქმეო? ადგა და თითონ მივიდა თავი ფეხით: ცხენი ხრუტუნემს და არა სვებს წყალსა. შეიხედა მალარაში (კლდეში), დაინახა მეტათ ლამაზი ქალი, უთხრა, რო: — ვინა ხარ, ჩამოდი აქაო! ჩამოვიდა. — მე ვარ დიდარი კაცის ქალიო. მამაჩემი და დედაჩემი წავიდნენ ელუსალიმში სალოცავათო და მე მიმბარეს ერთსა ღვდელსაო. — სირამდი ჩვენ მოვიდოდეთ, შენ გემსახურებოდეს, ვერავის ვანდებთო!

ამ უღმერთომ გული გაიმრუდა გოგოზედა: — იქნება თუ არა, უნდა დამნებდეო!

რო აღარ მეეშვა ეს ღვდელი, ქალმა უთხრა, რო: — ცოტა ძიმესული გიდის, მოდი ერთი გაბანაო და მერე ნება შენი ასრულდესო! გაათბო დიდი ქვაბი წყალი ამ გოგომ, ჩასვა ვარცლში, დაასხა წყალი და მისცა საპონი თვალეფში. გავარდა ეს გოგო, წავიდა, მოვიდა იმ კლდეში. ქალმა უთხრა: — მე ეს გადამხდაო! ბიკნა უთხრა: — მე შენ ცოლათ უნდა შევირთოო! შეევა ცხენზე, წაიყვანა და შეირთო ცოლათ. ამას გაუჩნდა ორი ვაჟიშვილი. ერთ დღეს ამაიოხრა ამ ქალმა. ბიკნა უთხრა: — ამ ქვეყნი შემსლებელმა რათ ამოიოხრეო? — განა მე მშობლები არა მყანსო, მამაგონდა, მენაღვლება და ამოვიოხრეო. — ხვალევე გაგზავნამ შენ სამშობლოშიო! მუამზადა მეორე დღეს ეს ქალი. რომელღც თავისი ერთგული კაცი ჰყამდა, თან გააყოლა. იარეს ამათ, დაულამდათ ტყი პირზე. დადგეს ჩადრი. ამ ერთგულ კაცმაც გული გაიმრუდა ამ ქალზე, უთხრა: — უნა დამნებდეო! პოარი დაუკლა, შოფერიც დაუკლა, ორი ვაჟიშვილიც დაუკლა, დაუხოცა. ქალმა უთხრა: — რო არ ჰქენე და არ ჰქენეო, ერთი გამიშვიო, წყალზე გული გავიგრილოო და მერე ნება შენი იყოსო! არ ენდო ქალსა. მუაბა თოკი და ისე მივიდა ქალი წყალთან. ამოიღო ჯიბიდან ალმასის დანა, გადაშქრა თოკი და გადავარდა უბადურ ტყეში.

იარა ამ ქალმა და მივიდა ერთ ალაგას: რალაც ცეცხლი შუქი მოჩამს, ორმოცი ყაჩაღი არის. ერთი ამათგანი ამბოვს: ეს ქალი მეო, ის ამბოვს არა, მეო. ამათ თქვეს: — ჩვენ ორმოცი კაცი ვართო, სუყველა ხო ვერ წავიყვანთო, მოდი, მივგვაროთ ჩვენ უფროსო. ქალმა ამოიღო ერთი მუჭი ოქრო, მისცა ერთს და უთხრა: — წახვალ, ღვინოს, არაყს მოიტან, ქორწილი გადავიხადოთ, რო თქვენ უფროს ცოლი გაუხდეო! წავიდნენ, ჩემო ბატონო, ესენი, იყიდეს სასმელ-საქმელი და მოვიდნენ. ამ ქალმა მოუშადა ვახშამი, დაასხდუნა ესენი, სუ და-

ათრ. მივიდა, გახადა, რომელთანაც ცოლათ მუუყვანეს, იმისი ტან-  
თი ჩაიცვა, გასწია და წავიდა ე ქალი.

იარა, იარა და ჩავიდა ერთ გზაზე. აქ სამი გზა იყრება, აქვე ღუქა-  
ნი არის. იმ ღუქნის კედელზე დააწერა: ჩემა ძებნელმა არც მარჯვნივ.  
გზით წავიდეს, არც მარცხნივ გზით, შუა გზაზე დაადგეს და წამოვი-  
დესო! იარა ამ ქალმა და მივიდა თავი მამის ქალაქში. მოვიდა  
დედ-მამის კარებზე, უთხრა: — თუ შეიძლება, ერთი ლუკმა პური მა-  
ქამე და ბატბე გირუებო, ყურ უგდემო! ადგა ეს გამოტანებული კა-  
ცი, წავიდა, მუუტანა ამბავი, რომ ი რა გიყი ცოლი გყამდაო, შეილე-  
ბიც დახოცაო, პოარიც მოკლაო და გაიქცაო. ამამ იფიქრა: ეს ქა-  
ლი ცხრა წელიწადი მე მყავს ცოლათ, არათერი გიყობა არა ჰქონდა,  
ახლა რა მოუვიდაო? უთხრა: აბა წამოდი და მაჩვენე, სად დახოცაო.  
გაიყოლა და მიიყვანა იმ ადგილზე, სადაც დახოცა ამ კაცმა. სითკენ  
წავიდაო? უჩვენა: ასე წავიდაო. იარა და ჩავიდა იმ ღუქანთან. კლდე-  
ზე წაიკითხა ამ კაცმა, რომ ჩემა ძებნელმა არც მარჯვნივ წავიდეს-  
არც მარცხნივ, შუა გზას წავიდესო!

კაჩალების უფროსიც ადგება, ჩავა იმ ღუქანში, ისიც წაიკითხამს,  
რომ: შუა გზაზე დაადგეს და წავიდეს ჩემი ძებნელიო! ადგებიან და  
მოვლენ ქალის მამის ოჯახში. მამა ამათ დაუხვდება როგორც ქალაქ-  
ში შექლებული კაცი: ვახშობას რომ ჰამდნენ, იმ დროზე ეს გოგო  
ადგება და შვევა ოჯახში (მებატე იყო, დედმამა ვერ ცნობულოფს. თუ  
ენ არის). უთხრა, რომ: რატომ არ მუსაიფოფთ რასმეო? მამამისმა შეუ-  
ტია: შენი რა საქმეაო, წადო! ანამ (ქალის ქმარმა) უთხრა: რას ერჩიო,  
ილაპარაკოსო! ქალმა უთხრა: მაშინ ვილაპარაკამო, ერთიო ღვდელი  
დაუძახეთო! მამამ უბრანა თუარმე, ღვდელიც მოაყვავინა. დაიწყო ამ  
ქალმა ლაპარაკი: თავის თავვადასავალი ყველაფერი უამბა.

ეს ქალი ამ ლაპარაკის შერე გაბრუნდა, ჩაიცვა ტანთი და შევიდა  
დედ-მამათან, უთხრა: აი, ქალიც მე ვარო და ამა ჩემი თავვადასავა-  
ლიო! ჩამოაცივდნენ დედ-მამა, შეუდგათ ტირილი. წამოიძრო ხმალი  
ამ ქმარმა, მოჭრა თავი ღვდელ და თავი ერთფულ ყმასაც, ყაჩაღების  
უფროსი გაანთავისუფლა, ის აღარ მოკლა. დედ-მამამ ამათ ქორწი-  
ლი დაუქირა: ჩიტი რქეს რომ ეტყვიან, ისიც ეშოვებოდათ. ლხინი აქა,  
ქირი იქა, გამარჯობა თქვენა!

სოფ. ქილდა

#### 61. ნიშა ხარი

დროების ერთსა იყო ერთი დედაკაცი, ჰყამდა სამი შვილი. სამივე  
ქურდები იყვნენ. მოილაპარაკეს, რომა: წავიდეთ, ერთ დიდარ კაცსა

ხარი მოვპაროთ! მოჰპარეს, მოიყვანეს სახში. ხარი იყო ნიშა. ეს ხარი დაკლეს, გაატყავეს. ხორცი შეკამეს, თავი შეკმაზეს და ტახტზე დადეს. დედამისი შეკმაზეს რძლათ, დააჯვდინეს და პატარძალი არის. ქორწილობა დაუქირეს დედამის. ქორწილობა რო გადინადეს, ამ ხარს პატრონი გამოუჩნდა. ასწავლეს, რო ხეთისნიერი დედაკაცია და იმაჰ მიჰმართე და ის გეტყვისო! იმ კაცმა მიმართა პირდაპირ იმ დედაკაც. იმ ქალ ერქვა მარინე. — მარინე ძალუა, — ეუბნევა ხარი პატრონი, შენ გენაცვალე, თუ შეიძლება, ერთი რამე-ნა კითხო, უნდა სიმართლე ითხრო! დედაკაცმა უპასუხა: შვილო, მკითხე, რანა ვთქვაო? რაც ვიცი, სიმართლეს გეტყვიო. — მეო ერთი ხარი დავკარგეო. — ხარი რაგორი იყოო? — მე რა ვიცი, ერთი კი ის ვიცი, რო როცა ჩემი ქორწილი იყო, შემკაზმეს და ნიშა ხარი თავზე ვიჭექეო. — ეჰ ძალუა, შენი ქორწილი როდის იქნებოდა, შენ ბებერი ხარ, მე კი ხარი ახლა დავკარქეო. — შენი ქორწილი რა დროს იყოო? — აღარ მახსოვსო. — მაში ჩემი ხარი შენ არ ქცოდნებიაო. ამითი დამთავრდა, გაიარა და წავიდა.

სოფ. ქილდა

## 62. უდარდო კაცი

დროსა ერთსა ყოფილა ერთი კაცი, უთქვია: ქრყანაში იქნება ჩემსებ უდარდო კაცი? ადგა და წავიდა, ერთ ქრყანაში მივიდა. ნახა ერთი კაცი, ცხოვრებული არი ერთ კუთხეში. თავითავათ თქვა: ამაზე უდარდო კაცი ვილა იქნებო? შევიდა იმ კაცთან, ტუმრათ დარჩა. მოიტანეს ვახშამი, ჰამეს პური. მერე ამათ ერთმანეთან დაიწყეს ლაპარაკი. ამან უთხრა: ვეძებდი შენისთანა კაცსაო. მე ვიცი, რო შენზე უდარდო კაცი ქრყანაზე არ იქნებო! ამას ჰყამდა მეუღლე, შემოვიდა, თმიებზე ემბა ერთი, რაგორც გველი, გორამდა. ამ კაც უთხრა: შენ ამბობ, რო უდარდო ვარო, მაგრამ დარდი მეც დიდი მაქო. ჩემ ქალსა საყორელი ჰყამდა სხვაო. ვერ მოვითმინე და ი კაცი მოგკალიო. ახლა ი თავი ი თმიებზე დამბულია და თავი დაჰდევს უკნიდანო. მაგაზე მეტი დარდი რალა იქნებო?

სოფ. ვარევანი

## 63. ჰკვიანი რძალი

იყო ერთი დიდარი ადამიანი. ყამდა სამი შვილი. დანიშნა პირველი შვილი, რძალი მიიყვანა სახში. მაგრამ ეს დიდარი კაცი ღარიბდებოდა. ეს ქალი უარშიო იყო: საქონელ ყურს არ უგდებდა, ვერ პა-

ტრონოზდა. დანიშნა მეორე შვილიც, მიიყვანა მეორე ძალიც. ეს ქალიც იმაზე უარესი გინალა გამოდგა: საქონელ ისიც ყურ არ ათხუ-ემდა. ისე გადარიბდა ე კაცი, რო პური სათხველი გაუხდა. ამ კაც შე-რჩა ერთი ცხენი, ერთიც სახლები, ერთიც, დიდრულათ რო იცეემდა, ის ტანისამოსი და სუ ბოლო, პატარა ბიჭი. ღამე ამ კაცმა ცოლ უთხ-რა: — რა დაგვემართა ჩვენაო, ვინც რძალი მოვიყვანეთ, სუ გავ-ლარიბდით, სუ გვლანძღებენ, გვაგ-ნემენ, აპა, ეს მესამე რით დავნიშ-ნით, ფული რო არა გვაქო? იფიქრა და ბოლოს თქვა ამ კაცმა, რო: — მე დილაზე ცხენზე შევჯდები, ჩემ დიდრულ ტანისამოს ჩავიცვამ, ისეთი გაჯავრებული ვარ, გზაზეც რო მოკვდე, არ ვინაღვლამო! ადგა დილით და შეჯდა ცხენზე, წავიდა. იარა და ერთ ქალაქში მივიდა. ნა-ხა, რომა კაი სახლებია, მოეწონა: — მოდი, აქ დავბინავდებიო: მო-ვიდა და იქ დაბინავდა. ან სახში გასათხუარი ერთი ქალი ყამთ (ამ ქალ თვალეები შაში აქ). სახში რო შევიდა, ან კაცმა თქვა, რომაო: — ბუხარი ჰამა კაიაო, მაგრამ ცოტა ბრუდეთ დაუდგიათო. ქალმა უთხრა: — ბუხარის ბრუდათ დგომას ნუ უყურამ, კვამლის წორათ ასვლას უყურეო! ამ კაცმა იფიქრა, რო ამ ქალში კაი ჭკუა არისო. თავი გულ-ში გაივლინა: — ეს ქალი-ნა ვითხოო ჩემი ვაჟისთუნა, მარა არა მაქ ფულიო. დაღამდა, იმ ღამეს სახლი პატრონები მოვიდნენ. — გა-მარჯობათ! — გაგიმარჯოთ! — საიდან ბძანდებით? უთხრა, რო: — ამა და ამ ადგილიდან ვარო (ამათ გაგონილი აქთ, რო ეს კაცი დიდარი იყო). — რას დადიხარ, რა საქმე გაქ? ეუბნება სახლი პატრონი. — მინდა შვილი დავნიშნო, ქალ ვეძებო. ჰამანაც უთხრა: შენ ის დიდარი კაცი ხარო? — დიახ, ისა ვარო! — ქსურს, აი ჩემ ქალ ვაძლეე შენ შულსაო. ამანაც უთხრა: — ძალიან პატიოსანიო! იმ ღამეს დანიშნა, ქალი ითხუა შვილითუნა.

რასაკვირველია, მაშინ დროებაზე დადგენ, კამპანია გამართეს. რო დაწვენენ, ეს ქალი მივიდა და თავი მამანთილთან ახლო დაწვა. ამ კაც ძილი არ მოზღის. ფიქრომს: ძალს რა ვაჩუქოო (ამაზე არ ეძი-ნება). ამ ფიქრში რო არი, ძალსაც ჰეჩ არ ეძინება. იფიქრა, რო ამას ფული არა აქო. მამანთილის ჯიბეში ხელი ჩაყო, ნახა, რო კაიკი არ არი ქესაში. მაშინ ადგა ეს ქალი ე ქისა აილო და თავი მამი სკივრთან მივიდა. გატენა ქესა ოქროთი, ჩაუღო მამანთილ უბეში.

• ადგა დილით ე კაცი, გავიდა გარეთ, ფიქრომს: ეს რა მამივი-და, კაცი, რძალი ვითხუე, ფული არა მაქ, რით გაუმასპინძლდე ამა-საო? ქალაქ კარგა რო გასცილდა, ინახა, რო ჯიბეში რაღაც ქესა ამძიმებულა კარგათ. მაშინ ნახა, რო ოქროთი სასნე ყოფილა. იფიქრა, რო: — ეს ჩემი რძლი მარიფათია, იმი საქმეაო! მოვიდა თავი მოყვარი

სახში, უთხრა: — აბა, ხარჯი რა გაქ, რა-ნა გადავიხადოთო? ამამ უთხრა: — ევ თქვენი ნებაა, რასაც თქვენ რძალს აჩუქებთო! ასწია ამან, რაც ხარჯი იყო, ყველაფერი ამ მოყვარეს და რძალს მიართვა. — ერთვის შემდეგ ჩვენ ქორწილი ვქნათო! — ძალიან პატიოსანო!

შეთავდა თვე, მივიდა მოყვარესთან თავი შეილით, ნათლიაც მოვიდა. — აბა, დილაზე უნა წავიდეთო! ამანაც ბევრი ზითევი გაატანა თავი ქალსა.

გალარიბებულ კაცმა მიიყვანა მესამე ძალიც. ახალ ძალმა უთხრა მამანთილსა: სამ დღეა თუ ნებაა მამცემ და სახლის უფროსობას მე ჩამაბრი, მაშინ რასაც გეტყვი, ყველაფერი და მიჩვეროთო! ძალი ებნევა: დილით რო აღგებით, რასაც იშოვით, კარგია თუ გონჯია, სახში შენციტანეთ!

წავიდნენ ესენი ყველა თავი საქმეზე. ზოგმა რკინა იშოვა, ზოგმა ხე და სახში მოიტანეს. მამანთილ უთხრა: — შენ რაღა იშოვეო? — მე ერთი გველი ვიშოვე და კრიშაზე შევისროლეო: — აბა, ერთი ჩამოიტანე აქაო!

ჩამოუტანა გველი ქალაღღში გახვეული. ნახა ამ ძალმა, რო გველია, გაუგდო დანა მუცელში ამ გველსა, ამოიღო შიგნიდან ბრილიანტის ბეჭედი. — ოჰ, მამანთილო, დოვლათი შენზე ყოფილა ამ ოჯახისაო! აბა, ეს ხენწიფეს მიეცი, რასაც ის მოქცემს, ის გვეყოფა ჩვენაო. წაიღო ამ კაცმა, მიიტანა ხენწიფესთან. — ოჰ, დიდებულო ხემწიფე, საკადრისი სიტყვა არა მაქ, მაგრამ უნა ვთქვაო! — რაგორო? — გველი მოვკალი და ეს ბეჭედი მისი მუცლიდან ამოვიღეო. — ოჰ, შეკაი კაცო, ერთი თვეა ჩემა ცოლზე დაკარგა ეს ბეჭედი, საიდან შეხვდი მაგასაო? უბძანა ხემწიფემ: — აბა, მიეცით ამ კაცსა სინდიდრე, რო თავი სიცოცხლეში ეყოსო! მისიკეს დიდძალი ოქრო, მიიტანა სახში. მაშინ ძალმა უთხრა: — ჩემო მამავ, ახლა ისევ შენ გეკუთვნება ოჯახის უფროსობაო! გამდიდრდა ეს კაცი ისევ, როგორც წინათ იყო, გამოვიდა სიღარიბიდან.

სოფ. ჩუნიჩხა.

#### 64. მეფისპვილე და მელა

ერთი ჭუჭყიანი მეწისქვილე იქნება, ღარიბი, ობოლი, ოხერბი. წვერი და თმა ოხრათ თავზე ექნება. ოთხიჯ ქათამი ეყოლება. იმ კაცსა ორი კაცი მენობათე ეყოლება. ორ ქათამ დაკარგანს იმ ღამეს, მელა შეშკამს. მეწისქვილე შევა და ჩხუბ დაუდემს მენობათიებს: ჩემი

რა ინტერესი გქონდათ. რო ორი ქათამი მონპარეთო? მენობათიები ეუბნევიან: ჩვენ ხაბარი არა გვაქო. შენი ორი ქათამი ვინც წუხელ მოიპარა, ამაღამაც მოვა ის სტუშარიო. უბექჩამს მეწისქვილე იმ ღამესა. რო შევიდა მელა, ქათამი დაიჭირა, მეწისქვილემ მელა დაიჭირა: ჩემი ქათმები რათ დაჭამეო? მოკლა დააპირა. მელა ებნევა: გავზღეთ ძმანიო, ზურგი მივჰყიდოთ ერთიმეორესაო. მელა წავიდა და მოიყვანა დალაქი. თავი და პირი მოპარსა, გაალამაზა. ადგა მელა და წავიდა ხენწიფესთან, ელჩი ქაზზე დაჯდა. უთხრეს. რა გინდაო? ხენწიფეს უთხრა: შენი ოქროს კოლი მომეცი, ფული ჩასაწყობი მაქო! ამ ხემწიფემ თქვა: ჩემ სიცოცხლეში ამ კოდის საციქულათ არავინ მოსულა, რო ფული აეწყოო, ამას რავორ ჰქონია, რო ფულის სათვალავი არა აქ და კოლით რწყომსო!

წამოიღო ამან კოლი, რანდენიზე დღე სახში ჰქონდა და ისევ ასწია და მუუტანა. მეორეთ მივიდა, ელჩი ქვაზე დაჯდა. ახლა ქალს თხოვს. მიიწვია ხენწიფემ, უთხრა: რა გნებანსო? — შენ რო ქალიშვილი კყანს, მე კი ძმა მყანს და ღინდა დავნიშნოო. — კარგიო, მისცა ამან ქალი, გაცვალეს ბეი. ახლა ეს ფიქრობს: რა ქისფათი ჩავაცვა ჩემ ძმასაო, რო ხენწიფემ მოიწონოსო. ხენწიფეს ეუბნევა: თქვენ შეუკერეთ ტანთ, რო ჩვენ ქიღვათ თქვენ არ მოიწონამთო. ხენწიფემ ბრძანება გასცა: ამ ფორმის ტანთი შეუკერეთ თავით ფეხებამდინო. ადგა და წამოვიდა და წამოიღო ტანისამოსი. მოიტანა და ჩააცვა თავი ძმასა. ხენწიფემ უთხრა: მოიყვანე ჩემი სიძე, ერთი ვნახოო! მოვიდნენ ორნი ძმანი. ხენწიფემ პატივი სცა, ყველაფერი მოართვა, ოქროს დანა-ჩანგალიც. მეწისქვილე, როგორც უნახავი კაცი, უკვირს ყველაფერი. ხემწიფე ებნება: რათ იკვირდება ტანთაო? ძმა ეუბნევა: არ მოსწონსო. ხენწიფემ მეორეთ გასცა ბრძანება და იფრო უკეთესი შეაკერინა. ასე ხენწიფე ქალი შოუტთო და დააქორწილა. ამ მელამ შემდეგში თქვა: ზე ამდენი პატივი გადუხადე ამ ჩემ ძმასა, ხენწიფე ქალი ავგვარე და მოდი, მე ალა სიკვდილ თავ მივცემ და, ნახოთ ჩემი ძმა რას იქამსო? გახდა ავათა. მეწისქვილემ უთხრა ქალსა: ასწიე და გადააგდევო! ასწია ამ ქალმა და გადააგდო მელა. წამოხტა მელა და მივიდა: შე მურტალო, მეწისქვილე იყავი, ხენწიფე ქალი ავვარე და ახლაც არ მინახამო! ქალმა თავ შემოჰკრა: ვაიზე, ეს მეწისქვილე ყოფილა და ზე შემართესო. დაიწყო ტირილი. მეწისქვილემაც დაიწყო ტირილი: ძმაო, რაზე მღუპამ, მიშველეო! ხენწიფე ქალი ადგა და გაიქცა. მელა გემევიკიდა, უთხრა: სად გარბიხარ, შე ბოშიშვილოო? — ქა, ქა, მე ბოშიშვილი ვარო? — თუ შენ ბოშიშვილი არ იქნები, ის მეწისქვილე იქნებაო? გული მოუგო და ისევ დააბრუნა. დრო რო მუუვიდა და

მოკვდა მელა, მაშინ ბამბაში გაახვია და ზალა ჩამოჰკიდა: კიდეც მი-  
ზეზი არ მომდოს და ქალი არ გააქციოსო! (დანთავრდა).

სოფ. გოკიო

## 65. მამის ღარიბება

ერთ მოხუცებულ კაც ერთი ვაჟიშვილი ყამდა, უთხრა: შვილო, თუ ჩემ ნებაზე გაივლი, დაგნიშნამ, თუ არადა — არაო. ქალ რო მოგვრიო, სარამ თავი პერანგით შენს პირსახეზე ოფლ არ შექხოცამს, იქამდი არ შეეხოო, იწამე რაგორც დაო. როდცა შექხოცამს, მაშინ მიილე იმ ქალიო.

წავიდა სხვა სოფელში მამამისი, დანიშნა შვილი. ცხრა ძმას ერთი და ჰყამდათ, ის აპგვარა. მოიყვანა, ქორწილი ქნა.

მოუკვდა დედა და მამა ამ კაცს. შვილმა იმითი ანდერძი არ გატეხა. ხუთი წელიწადი და-ძმურათ იცოცხლეს. მერე ამ ქალმა თქვა: თუ რო მარტო ვემსახურებოდი და კაცი არ მდომებოდა, ჩემ ძმიებთან ვიქნებოდიო. დაწერა ქალადი და თავი ძმიებ გაუგზავნა: ამ დღეჩი ვარო. გამოგზავნა უმფროსმა ძმამა ოთხი ძმა: წადი და ჩვენი და მოიყვათო! მოვიდნენ ეს ყაინები სიძესთან, რო: ჩვენი დანა წავიყვანოთო. ამან უთხრა: ოთხნი მოხველითო, სულ მთელი რო მოსულიყავით, ძალით თქვენ დას ვერ წაიყვანოთ, თქვენ ისევ მიბძანდითო. ხვალ პურ-გამოვაცხოვინამო, ზეგ სარეცხ დავადგმევიანამო, მაზეგ ავდგებო, წამოვიყვან და თქვენ დას თქვენ ჩაგაბრიო. მართლაც, ისე ქნა ამ კაცმა: პური გამოაცხოვინა, სარეცხი დაადგმევიანა, შესვა ცხენზე, გაუძღვა თავი ცოლს, წაიყვანა თავი ძმიები სახლიჰკენ. შუა გზაზე რო შევიდა, ერთი უბედური ტყე იყო, ერთი წყარო იყო იქა. შუადღემ მოაწია, უთხრა: ქალო, ჩამოვსხდეთ აქა და პური ვჭამოთო. ჩამოსხდნენ, სამხარზე დასხდნენ, პურ ჰჭამენ. ორმოზდაათი კაცი, ცხენოსანი თავს დაადგათ ამ ქალსა და კაცს. ეს ორმოზდაათი დაცი ყაჩაღები არიან, ქვეყანას შხვლეპენ. ქალი შეშინდა, უთხრა: კაცო, რა მიყავი, რო ამტენი ხალხი დაგვესხაო. — ნუ გეშინიან პური ჰჭამევიო.

ამ ქალის ქმარმა ეს ხალხი მოიწვია. — ჩვენ შენი სადილი არ გვინდა, ქალი დასტვიე და წადიო! ამან უთხრა: თუ ჩამოხვალთ და პურ ჰჭამთ, კარქი, თუ არადა, რაც გეწადოთ, ის ქენევითო. ამათ თქვეს: ქვეყანას ეშინიან და ეს ვინ არის, რო ჩვენ სიტყვა გაგვისწორა და გვითხრა: რაც გინდათ, ის ქენევითო?

ამ ბიჭ ერთი ბრუდე ხანჯალი ეკიდა. ადგა და ჩეერია ამ კაცებში. ორმოზდა ათ კაც თავი მოშტრა. გამოარჩია ერთი ცხენი, ერთიც თა-



ვისი იყო, შეჯდნენ და ცოლ-ქმარი ისევ წავიდნენ. ამ ქალი სოფელს-  
თან რო მოაწლოდნენ, უთხრა: ქალო! და: რაო კაცო? აგერ მივდი-  
ვართ შენ ძმიებთანო. რაღაც სამასხარო საქმე ვქენევითო, არსად არა-  
ფერი არ გპირდეს, ძმიებს არ უთხრაო! სარამდი ეს კაცი მივიდოდა, იმ  
ცხრა ძმამა სხვა კაცი აწოირჩიეს სიძეთ. ამათ რო წყალი ჰქონდათ ამ  
სოფელში, ერთი ვერსით დაბლა იყო. გველაშაპი ჩამოდიოდა. ერთი  
ადამიანი უნდა მიეგდოთ სირით, სარამ ის კაცი შეეჭამა გველაშაპს,  
მარადი იმათ წყალი უნდა ემსოთ და წამოსულიყვნენ. ძმიებმა იცო-  
დნენ, რო სიძე კაცი ყოჩალი იყო. სხვა ვერაფრით ვერ მოუვიდოდნენ  
იმას. უმფროსმა ძმამ უთხრა: მოლაღული ხარ, ჰამა ზაჰმითი გასწიეო,  
ორი კოკა წყალი ამოგვიტანეიო! — დიდი სიამოვნებითაო, — ამან  
უთხრა. ამ სოფელსაც(ო ამოუჩნდა ერთი ქალი, მიჰყავთ, იმ გველაშაპ  
უნდა მუუგდონ. სარამ ამ გველეშაპმა ეს ქალი შეჭამოს, წყალი-ნა აამ-  
სონ და სოფელმა წამოიღოს. გაიგო ეს ამბავი სიძე კაცმა, ქალი რო ტი-  
რის. ეს ეუბნება: ნუ გეშინიან, ჩემო დაოო რაგორც ჩავიდნენ წყალზე,  
ის გველაშაპი წამოვიდა იქიდან. რო წამოვიდა ქალის შიშაჰმელათ,  
გადავიდა ეს სიძე კაცი, ამოიღო ბრუდე ხმალი (ხალხმა აამსეს წყალი  
და წამოვიდნენ). შიყიარნენ ეს სიძე კაცი და ეს გველაშაპი. მისცა  
ღმერთმა ამ ვაჟკაცს, ეს გველაშაპი აჩარქა. დაიღალა, მოვიდა და  
ერთი ხის ძირი იყო და მიწვა ეს ოფლიანი და სისხლიანი კაცი (და-  
ვტვიოთ ეს იქა).

ძმებმა ეს ქალი მისცეს სხვა კაცსა. დასხდნენ ქორწილზე. სუფ-  
რაზე. ერთი თავგი ჩამოვიდა, ახტა-დახტა. ამ ნეფემ ეს თავგი მოკლა.  
ხუთი-ექვსი პირი თქვა ამ ნეფე კაცმა: რა ვქენევი, დაინახეთ, ბიჭე-  
ბოო, ამოტენა ხალხში იარა და ჩემ მეტმა ვერა კაცმა ვერ მოკლაო!  
ამ ქალმა თქვა: რა ვქენე, ვაი, ჩემო თაოო, იმან ორმოზდაათი კაცი  
მოკლაო, მითხრა, რო ე რაღაც გოგობიჭური საქმე ვქენევი და ვინძ-  
ლო და ვიძლო არსად არა გპირდეს რაო, ამან ერთი თავგი მოკლა,  
ოცი პირი თქვა, რო დაინახევით, თავგი მოკალიო!

გათავეს ქორწილი. წავიდნენ თავით ოთახში ნეფე და დედოფა-  
ლი. ნეფე ჩაწვა ლოგინში. ამ ნეფემ კიდევ წამოთქვა: დაინახევი, ქა-  
ლო, რა ვქენევიო. იმოტენა ხალხჩიოო ჩემი მეტმა ვერ მოკლა ი თავ-  
ვიო! ქალმა შემოიხსო თავში. რა ვქენევი და რა ვქენევიო! იმან იცო-  
და, რო ი გველეშაპი-ნა ჩამოსულიყო ი წყალზე: ჩავალ და მეც იმას-  
თან მოვკვდებიო.

წამოვიდა კარიბჭენა. ნეფემ უთხრა: სად მიხვალ, დედოფალო?  
— კარზე გავალ და შემოვალ. ადგა ეს ქალი, დეემვა პერანგის ამარას,  
ჩავიდა იმ წყაროზე, რომელზეც იცოდა, რო ის საქმე-ნა მამხდარიყო.

ჩავიდა, რო ამ კაც ეს გველუშაპი აუჩარეჟია, დიდი ხორა შეუყენებია. მივიდა, მიიხედა-მოიხედა, რო ხიპ ძირზე დაღალული კაცი მიწოლილა ობლათ და სისხლით შესველებულა ეპ კაცი. მაშინ გაიხადა პერანგი, დაჩოქა და შეხოცა თავი პერანგით. გამოიღვიძა ამ კაცმა. მაშინ უთხრა: აქამდი ჩემი და იყავი მამაჩემის ვესილათითაო, ახლა ხარ ჩემი ცოლიო! წამოიყვანა. იმანაც ეამბა, რო მე მიმცეს ამამავალ კაცი, ქორწილი ვქენეთ. შენ ჩხუბი ჰქენე, ორმოზდაათი კაცი მოჰკალ, მითხარ, არსად არა გპირდეს რაო, იმან ერთი თავგი მოკლა და ორმოცი პირი თქვა, რო მე იგითობა ვქენევიო.

ამოვიდა, შევიდა იმ ოთახში, რომელშიც რო ნეფე იწვა, წამოაღლიავა ფეხებით, გაარტყა კედელსა და სული ამოახდევინა. მაშინ ქალიცა და კაციც დაწვა ლოგინში. ამ ქალის ძმიებს ეგონათ, რო ჩვენი პირველი სიძე გველუშაპმა შეჰკამა. გათინდა, შევიდნენ ძმიები, რომა ახალი სიძე აღარ არი და ისეჲ ძველ სიძისთან არი თავეთი და. მაშინ ადგნენ ძმიებმა გააგძელეს ქორწილი ისევ წინა ქმარზე.

შვიდი დღი და ღამე ქორწილი ჰქონდა, ორობა გაატარეს. მერვე დღეს აზღვნენ, დასხდნენ ცხენებზე და წამოიყვანა თავიპ ქალი.  
სოფ. ხიზაბაჯრა

#### 66. ნატვრის ასრულება

ერთი ღარიბი კაცი იყო და სხვა ადგილეთში წავიდა. თავისნაირი ერთი გაჭირვებული ღარიბი შეხვდა, გაამხანაყდნენ ესენი. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, ერთი კილევ შეხვდათ თავეთნაირი. ეს სამი ამხანაგი მივიდნენ ერთ დიდ სახემწიფო ქალაქში. ამ დროს დაუღამდათ. საუბედუროთ, ისეთი იყო განკარგულება იმ ქალაქის ხემწიფეთგან. რო შვიდი დღე-ღამე ღამფა არ-ნა ანთობილიყო იმიტომ, რო იმ ხემწიფი ქალიშვილი აბანოში-ნა წასულიყო საბანელათ, რო არავის დაენახა. ამათ მოძებნეს ერთი პაწია ქოხი. ნამწვი სანთლები ჰქონდათ მოკრეფილი, აანთეს ამ ქოხში. ხემწიფის ყარაულებმა ნახეს, რო სინათლე გამოჩნდა ერთ ალაგას. ადგნენ და ხემწიფესთან ანბავი მიიტანეს. ადგა ეს ხემწიფე თავესი ვეზირებით მოვიდა იმ ქოხთან. ეს სამი მათხოვარი ერთმანეთთან ლაპარაკს პოებენ. მათ ყური დაუვადეს. ამით ლაპარაკს ფილავხადალი ჰქვია (იმისთანას ნატრობენ, რო არ შეუსრულდებათ). ერთი ნატრულოფს: მე რო ხემწიფი ქალი ღმერთმა მამციეს. ცოლათ ავიყვანო. მეორემაც თქვა, რო ერთი ხურჩინი რო ოქრო მქონდეს, მეყოფა რაო! მესამემ თქვა: თქვენი ლაპარაკები სუ ტყვილიაო. მე რაც ღმერთი მამციემს, იმას დავჯერდებიო. ამ დროს ხემწიფე ყურს გდებულობდა. ამათი ფილავხადალი მოისმინა. უბრძანა ყარაულფეს: და-

აპატიმრე ესენი და მოიყვანე ჩემთანო! მიიყვანა ხემწიფესთან კაცე-  
 ზი. ხემწიფემ უთხრა: წუხელის რას ლაპარაკობდით თქვენაო? შეშინ-  
 დნენ. — თავს მოგკვეთამთ, თუ წორეთ არა თქვითო! პირველმა უთხ-  
 რა: ბატონო ხემწიფე, რაღანა დავიმალო, ჩემთავათ ვლაპარაკობდი.  
 შე ეოქვი, რო ხემწიფის ქალი ჩემი რო იყოს, რა კარგი იქნებაო. ეს  
 ვოქვი და ეხლა ნება თქვენი ასრულდესო. ხელი დაკრა, — წორი ხარო,  
 ბარაქალაო! მეორეს დაუძახა. — ვოქვი, რო ხემწიფემ რო ერთი ხუ-  
 რჯინი ოქრო მომცეს, წავიღებ, ჩემ ღარიბ ოჯალ ვაცხოვრამო. მე-  
 სამეს დაუძახა სალაპარაკოთ, — შენ რა სოქვეო? — რასაც ღმერთი  
 მამცემს. იმას დავჯერდებიო. ამ ხემწიფემ უთხრა: წადი, ღმერთმა შენ  
 შოგცესო! ამას არაფერი არ მისცა. აიღო ხემწიფემ და ვეზირის ქალი  
 მისცა იმას, ვინც ხემწიფის ქალი ინატრა, დიდი ზითიეც გააყოლა თა-  
 ნა. მეორესაც გაუნსო ერთი ხურჯინი ოქრო და მისცა. ესენი გზაში რო  
 შიდიან, მასხარათ იგოებენ და აჯავრებენ იმ ბოლო მათხოარსა. თან  
 თავში სცენენ, თან ლანძღვენ. ერთ დიდ დინარე წყალ შეხვდნენ. მე-  
 სამეს უთხრეს, ჯერ შენ გადიო და მერე ჩვენ განოვალთო. ხურჯინით  
 ოქრო აუკიდეს იმის ცხენსა და გავიდა. დარჩა ორი კაცი და ქალი.  
 ოქროს პატრონი ცხენზე შეჯდა, ქალის პატრონიც ცხენზე შეჯდა და  
 თარქზელ შემოიჯდინა თავის ცოლი. ამ დროს ცხენებს დევმართათ  
 ისეთი ხითათი, რო ვიოარ გავიდნენ და ჩაცუნდნენ ცხენებდან.  
 ქალი როგორღე გადარჩა იმ წყლითგან. ორი ამხანაჟი კი დიეღლუპა  
 წყალში. ის ქალი თითონ წამოიყვანა. შირათო და ის ოქროც იმას და-  
 რჩა და მაშინ ღმერთმა მისცა იმასაც რალა.

სოფ. კოთლია

#### 67. სიზმრის ახსნა

ერთ ხემწიფემ სიზმარი ნახა. გასცა ბძანება: ამ ჩემ სიზმარ  
 ვინც ამიხსნის, ერთ ხურჯინ ოქროს დავსაჩუქრებო! ამ დროს ერთი  
 ქურთი ღარიბი კაცი იყო, ცოლ მეელაპარაკა: ამთენ ოქროს აძლევეს  
 ხემწიფე. მოდი წავალ და იქნება იქიდან განდიდრდეთო. ცოლმა დაუ-  
 შალა: ჩობანი კაცი ხარ. შენ რა იციო? თავი ცოლ არ გაუგონა, და-  
 ადგა გზას და მიდის. გზაზედ ერთი გველი შემოეყარა. გველმა უთხ-  
 რა: მე შენ დაგაბრი, თუ შენც კაცობას გამიწევ, რასაც ოქროს მო-  
 ქცემს, ნახევარი ღე მომეციო! ამ ხემწიფეს უნახია, რო წვიმს, სუ  
 გველი წვიმს. — წახვალ, ეტყვი, რო ამ დროსაო ომინა გამოგეცხა-  
 დოს შენო. წორეთ რაგორც დაბარა, ისრე მოიქცა ეს კაცი. ამ ხემწი-  
 ფეს, მართლაც, ბძანება მოუვიდა, რო ერთმა სახემწიფომ ომი გა-

მოაცხადა. ასწია ოქრო და მისცა ამ ღარიფ ქურთს. გველთან აღარ გამოიარა, გზიდან აუქცია და აღარ გაუყო. მევრეთ კიდევ ნახა ხემწიფემ სიზმარი. ეს კაცი რო დეეჩვია, კიდენა წაიღეს ასახსნელათ. ნახა სიზმარი, რო მითამ მელა წვიმს. ამ კაცმა თქვა: მე მოვტყუვდი, ოქრო არ გაუყავი გველსა. თუ გველთან არ გავიარევი, სიზმარ ვერ აუხსნი. ადგა, ისევ გაუარა გველსა. — ოქრო რო წამოიღე, რათ არ მომიტანო? — ეხლა რასაც ავიღებ, სუ შენ მოგიტანო. მაშინ გველმა უთხრა: გაპატივებო, კარქიო. წახვალ შენ, ხემწიფეს ეტყვი, ეს მელა რო წვიმს, ღალატი კყამსო, ხალხი შენი ერთგული არ არისო. მამავალი ომი რო გელის შენაო, მანდაც მოტყუვლებული ხარო. რო აუხსნა, ერთი ხურჯინი ოქრო კიდენ დასაჩუქრა. ამ კაცმა კიდევ არ გამოუარა, გველსა და სახში წაიღო. ამ ქურთის ცოლი თამაშომს, მალღამალღა ხტება სიხარულით. მესამეთ სიზმარი ნახა ხემწიფემ, ვითომამ ციდან სუ ცხვარი წვიმს. ამ ქურთმა კიდევ გველს გაუარა. იფიქრა: ეს სუ რო იმას მივცე, მაინც აღარ მაპატივამსო. უთხრა: ახლა სუ შენნა მოგიტანოო. მივიდა, ხემწიფეს უთხრა, თქვენი სიზმარი ისეთი არისო, რო ეხლაო შენი ხალხი, ქვეყანა დამშვრლებული უნდა იყვეს ტერზე გამარჯვებული-ნა იყვეთო! მაშინ კიდენ ოქრო აიღო. ეს კაცი პირდაპირ ოქროთი მივიდა გველთან. თლიანი ოქრო აძლივა გველსა, მან უთხრა: მე შენი ოქრო არ მინდაო. შეიყვანა და აჩვირა იმტელი ოქრო და თვალმარგალიტი. ოქრო რო არ მამიტანი. ეს შენი ბრალი არ არისო. დრო და მამენტი ისრეთი იყო, რო არ მამიტანდიო. ეხლა, როცა ქვეყანას სიკეთე მიეცა, შენი გუნებაც სიკეთეზე შეცვლილაო.

სოფ. კოთელია

#### 68. პატარა ძმა

დროს ერთს ხემწიფეს სამი შვილი ყამდა. მოხუცებული რო გახდა, შვილები უხეირონი გამოადგა. შვილებ აუშენა სამი სახლი. ამ სახლებში სუ ნახშირი გაამსო, რო შვილებმა არ მიაგნონ, რო სახლეფში ძვირფასი მარგალიტი და ბრილიანტი დაატანა. მოხდა, ხემწიფე გარდაიცვალა, ტრები შემოესივნენ. შვილებმა ლოთობაში ეს სახემწიფო თლათ შექამეს. რო აღარაფერი სახსარი აღარა ჰქონდათ, თავი დეერჩინათ, ადგნენ და ამ ნახშირის გაყოფას შეუდგნენ, რო იმითი დეერჩინათ თავი. ეს ნახშირიც შექამეს, მიაგნეს ბრილიანტს, მაგრამ ვერ დაახურდავეს, რო დეეხარჯნათ. ვიდანც ასწავლა ამათ, რომა აქ ვერავინ დაგიხურდავამს, ამა და ამ სახემწიფოში წახვალთ და იქ დაახურდავამთ. შვილები დალასლასამდნენ. იარეს, იარეს, მივიდნენ

ერთ ქალაქში. დაუღამდათ, მივიდნენ ერთ ხანში, იმ ღამეს იქ გაათიეს-  
მეორე დღეს მივიდნენ დიდ ვაჭარ ურიასთან. იმან უთხრა: კი დავიხურ-  
დავამთ, ოღონთ ისეთ ტყვილ თუ მეტყვითო თქვენაო, რო ნამდვილი-  
ტყვილი იყოს, ჩემი მალაზია თქვენი იყოს, თუ არადა ბრილიანტს  
მუქტათ წაგართმევთო. უფროსმა ძმამ უთხრა: მამაჩემი ხემწიფე იყოო,  
ყანდა ათასი სული ცხენიო. ამ ცხენებიდან ერთ ამოვირჩევდი, შევ-  
ჯდებოდი და გავრეკამდი საბალახოთო და საღამოთი ისევ მოვრეკამ-  
დიო. ამ ურიამ უთხრა: აბა, ეგ რა ტყვილი არიო, რო მამაშენი ხემ-  
წიფე იყოო და ათასი სული ცხენი ყამდაო. არ ეყოლებოდაო, ათასი-  
კი არა, ორი ათასი იქნებოდაო! ჩამოართვა და ჩადო სტოლი უჭარაში-  
და გაისტუმრა ცარიელი. შიერი ძმები ამას უყურებენ. მივიდა შუათა-  
ნა ძმა. ურიამ გამოსწია უჭრა, აჩვენა ეს ბრილიანტი და უთხრა: თუ  
ისეთ ტყვილ მეტყვი, რო ნამდვილი ტყვილი იყოს, ჩემ მალაზიას მოქ-  
ცემ, თუ არადა ამ ბრილიანტებ დავატოლამ და ცარიელა წახვალო.  
ბიჭმა უთხრა: მამაჩემ ცხვარი ყანდა, გავრეკამდი, ვაძუამდი და ისევ  
შემოვრეკამდიო. ურიამ უთხრა: იშტა, განა ხემწიფეს ცხვარი არ ეყო-  
ლებოდაო! გაამტყუნა და იმასაც ჩამოართვა. პატარა ძმას უთხრეს:  
ეხლა დრო შენია, თვარამე შიერებინა დავიხოცნეთო. წინანდლებს  
როგორც უთხრა, ამასაც ეგრე უთხრა ურიამა. პატარა ძმამ უთხრა:  
არ შეიძლება პაწია პური მაქანოო? პური მშვიგო და მევრე გეტყვიო.  
მუუტანა პური. აქამა. მუცელს ზოძი რო მისცა, მამინ დაიწყო: ფუ-  
ტკარი მყანდა, ძალიან დიდი საფუტკარე მქონდაო. დილით ფუტკარი  
რო გამოვიდოდა, ვთვლიდიო. ვნახე, რო მერთი კოჭლი ფუტკარი მა-  
კლოა. გაეიქეცი, ვეძებდი, უნდა შემეშეგლოო. იმ დროს ყაბახში შე-  
ძვარაო. ხმალი ვცემევი და ვერ გავტეხევი, რო ფუტკარი გამემეყვანა  
იქიდანაო. მევრე ვნახე ერთი ვარიოზიო. ავიღე, დავარტყი ეს ვარი-  
ოზიო, გატყდა და ეს ფუტკარი გამოიქცაო და ერთ ორმოში ჩავარ-  
დაო. მე ორმოში ველარ ჩაველი. ვნახე ერთი მამალიო, უნაგირი და-  
ვადგი, ყოლნები მოუჭირე, ჩავედი ამ ორმოშიო. ფუტკარი დამჭდარი-  
ყო ნივსზეო. იქიდან ამოვიდა ეს ფუტკარი, გამოვეყიდე და მელას უკან  
შეუძქვარაო. მელმა ერთი ქალაღი გაადლოო. ავდექ და ეს ქალაღი  
წავიკითხევიო. აგერ, ქალაღიც ხელში მაქ, თუ არ დავიჯერებო. სწე-  
რიაო: სუყველაფერი ტყვილი არისო. ქონება შენი არი და ურიას ნა-  
გავი უჭამიაო. ურიამ აიღო: აი, ყველაფერი შენთვინ დამტოვებიაო!  
ერთი წყვილი პაპუცები ჰქონდა, ჩაყო ფეხები და დანარჩენი სუყვე-  
ლაფერი სუ იმას დაუტოვა ამოღენა ქონება. მამინ ძმეფთან მივიდა და

უთხრა: თქვენ დალუპებით მამაჩემიო, მე კი აგე, ამოდენა სიმდიდრე მოვიტანეო.

სოფ. კოთელა

## 69. ორი ძმანი

ერთ დროებაში ყოფილან ორნი ძმანი: ერთი ვეზირი ყოფილა, მეორე — ხანი. არცერთა შვილი არ ჰყოლია. დაუქერიათ და შვიდ გზათა შუა სამადლო გაუშენებიათ. უმცროს და უმფროს ძმას ისე ყვარებიათ ერთმანეთი, რო ერთი ძმა თუ სახში არ იქნებოდა, ლუკმა პურ არ აატეხამდა მეორე ძმა.

სამადლოში ყველა მიდიოდა, ღამეს ათებდა, სევმდა, ჭამდა, სუ მადლისთვი იყო. ერთ დღესაც ორივე ძმები წავლენ, დაათვალიერონ ეს თავენთი სამადლო. ჩაიცივეს ღარბის ტანისამოსი, მივიდნენ, თითონცა პური ჭამეს და ღამე გაათიეს იქა (ერთ ძმას ათამ სულთანი ერქვა და მეორეს — ხავაზირი). დილით რო ადგნენ, გვერდის ნომერში თურმე ორი კაცი ლაპარაკობს. ერთი აზბობს: ამათაო შვილი არა ჰყავთ. მე სიზმრათ ვნახე, რო ორივესა შვილი უნა ეყვლოს: ერთს ქალი, მეორეს ვაჟი (ესინი ყურსა გდებენ), ხოლოთ ამ პირობითა, რო ეგენი ერთმანეთს უნა მისცენო, ერთმანეთზე უნა დანიშნონო. ამ ორ ძმას გაუკვირდათ: ჩვენ შვილი უნდა გვეყოლოსო? ადგნენ და წავიდნენ თავეთ სამსახურში.

ორივესაც შვილი მიეცათ: უმფროს ძმა! — ქალიშვილი, უმცროსა — ვაჟიშვილი. როცა შვიდი წლისა გახდნენ, მისცენ სასწავლებელში ორივე ერთად. იმათ ასწავლიდა ერთი მოლლა. ერთხელ, ათითუთხმეტი წლისა რო გახდნენ, მოლლა სხვაგან იყო დაძახებული. ამ გოგომა და ბიჭმა სარკიში გაიქიჩრეს. მიეწონათ ერთმანეთი ძალიან, ხოლოთ არ იცოდნენ, რო ისინი დაპირებულები არიან ერთმანეთზე. მოლლა შემოვიდა, დახედა, რო გოგო და ბიჭი ერთმანეთზე გადახვევია. იმ წამსვე გაბრუნდა უკან, თავეთ შობლებს მოახსენა: ეგენი ველარ ისწავლიან, სიყვარული ჩაუგლიათ თავეთ გულეებშიო. უთხრეს: რახან აგრეა, წადი, მოიყვა ჩვენი შვილები და ჩაგვაბარეო! მოიყვანეს ორივე და თავეთ პატრონებს ჩააბარეს (გოგოს ერქვა ზოჰრაი, ბიჭსა — ხანთარაი). ეს ბიჭი დღე და ღამე ტირიდა: გოგოს რათ მომამოშორესო? მამასმა ჰკითხა: რათ ტირიხარ, რა გინდაო? — თუ ზოჰრას არ მითხოვ ცოლათ, თავს მოვიკლაო! — აღე, შვილო, სავაჭროთ წადი, ეგ შენიაო, მაგაზე წინათვე ვართ შეპირობებულიო.

მისცა დიდძალი ფული. ბიჭი წავიდა ბაზარში, უნა ევაჭრა, რო გული გადაეყრუებინა. ლეკების შემოსევის დროს ქართველი ტყვეები მიჰყავდათ და ჰყიდდნენ. ბაზარში ამ ბიჭს ორი ყმაწვილი მიეწონა და იყიდა. მოვიდა მამამისი. ბიჭს ეშინოდა, რო არ გამიჭავრდესო. მიიყვანა, სახში დამალა და შევიდა მამამისთან. ჰკითხა მამასმა: შვილო, რა ივაჭრე, რა იყიდეო? — მამი, თუ არ გამიჭავრდები, კაი რამე მიყიდიო. — მოიტა, ვნახო, რა გიყიდიო?

შემოიყვანა ორივე ვაჟიშვილი შვენიერები და დაუყენა თვალწინ. იმასაც ძალიან მიეწონა, დათანხმდა. — შვილო, ძალიან კაი საქმე გიქნიაო. დაუძახა შვილის ამხანაგები, მისცა თითო ცხენი, მარალი და უთხრა: წადით შვილებო ერთათ, ისიამოვნეთ და დრო გაატარეთო! ბიჭი არ ეშვება მამამის: მალე და მალე ეს ქალი შემირთეო! ადგა ეს უმტროსი ძმა, ორი-სამი კაცი წაიყვანა და წავიდა, რო უმტროსი ძმის ქალი უნდა შეურთოს. მოვიდნენ, მაგრა უმტროს ძმის შური ჰქონია: ქალი რათ მეყოლაო? თან სიზმრისა ეშინოდა, თანაც პირობა არ უნდოდა გეეტება, ხოლოთ ისე კი შური ჰქონდა. როგორც იყო, პირობა აიღეს. დანიშნეს, ხოლოთ უმტროს ძმამ ძმისშვილს ასეთი პირობა მისცა: სხვათა სახემწიფოში გადავალ ცოლშვილითა, იქ მოდი ექვსი თვის შემდეგ და იქიდან წამოიყვანეო, იქიდან იფრო სახელოვანი იქნებაო (უნდოდა, როგორღე თავი დეეხწია, რო ი გოგო არ მიეცა, იმის ფიქრი ის იყო).

მოვიდა, შესრულდა ექვსი თვე. ე კარი აიყარა, გადავიდა სხვათა სახემწიფოში. ხანთარამ შეაგვრია ოთხმოცი ოქენოსანი (სასიძოს წყევანა არ იციან). ეს ყმაწვილები თავენტეინ წავიდნენ ნადირობით და ჰეიფობით. ხანვაზირს ერთი წყემსი ყამდა. ამამ სთხვია, რო: მეც უნდა წამოვიდე ამ ქორწილშიო. ისიც თან გაიყოლა. მოვიდნენ წყემსი და რამდენიმე კაცი, სადაცნა ქორწილი ყოფილიყო, მიიღეს პატიონათ. რაც წესი და რიგი იყო, პატივი სტეს: ჰეიფი, დაკვრა, თამაში. კარგა დრომ რო გაზოიარა, ლოგინები მოიტანეს და ყველას დაუგეს. ხოლოთ წყემსი ლოგინში არ დაწვა, როგორც გარეკაცი. ზემოთ სართულში იყვნენ. ბალკონში გავიდა და იქ დაწვა. პატარა დრო რო გავიდა (ამ მწყემს არ ძინამს, იმათ კი სუ ძინამთ), დახედა, ოთხი კარი შემოვიდა დაღესული ხანჯლებით (ჯალათები იყენინ). მოჰყვნენ ერთ გვერდიდან (მხარედან) და ამ კაცებს თავები დაშტკრეს. ის წყემსი ათვალეირამს ამას. ამ მეცხვარემ თტვა: მე რალას უციდი, რიგი ჩემზე მოვიდა. გადმოხტა ბალკონიდან, დეეშვა ძირს, წამოვიდა სახლისკე.

სასიძო ადგა თავის ამხანაგებით, იქით წავიდა, საიდანაც მე-

ელოდნენ თავენტ საპატარძლოს. დახედეს, ერთი კაცი შორედან გადმოდგა. თავის ამხანაგეთს უთხრა: ეს ჩვენი ქორწილის მახარობელიაო. პატარა რო მოახლოვდა, იცნო, რო ეს თავის წყევსია. თქვა, რო: ერთგული წყევსი მყოლია, რო ყველაზე წინ ეს წამოსულაო. ამ დროს იქიდან (ჯალათებმა რო მოკლეს ხალხი) ბიძამ გამოგზავნა ჯალათი: წადით და ი ბიჭიც (სასიძო) მოკალითო! (სტუმრები ხო სუ დაუხოცა). ამ დროს წყემსიც მოვიდა სასიძოსთან (ჯერ კი ისინი არ მოსულან). ბიჭმა უთხრა: რაგორ ხართ, რაგორია საქმეები, რათ მოსულხართ? წყევსმა დაწვრილებით უამბა, უთხრა: შენ მოსაკლავათ მოდიან, გაიქე, შენ თავს უშველეო! ზღვის პირს ახლო იყვნენ, სადღა შეეძლო წასვლა? იქვე ლელში დაიმაღნენ. აგერ, ეს სამი ჯალათები მოვიდნენ. იმით საუბედუროთ ჯალათები ერთმანეთში ლაპარაკობდნენ: შიერი რო არ დავიხოცნეთ, ცხენებიდან ჩამოვხსდეთ, ცოტა პური ვჭამოთო და წავიდეთ, სად გადგვირჩება ხელიდანო? მოკრიფეს ხმელი ლელი და ჩაინა ადუღონ. ამ ჩაის რო ადუღენდენ (უბედურ კაც ქვა აღმართში დეეწევაო), ცეცხლი წვეკიდა ლელს. ეს ლელი იწვის და ე ბიჭები მიჰდევნ ცეცხლ, გარბიან წინა. გადიწვა ეს ლელი და დარჩნენ ტიტველაზე. — ვენაცვალე ბედსაო, რო კარებზე მოგვიდოო. აქვე არიან და სხვაგან სადღანა წავიდეთო? — ჯალათები ამბობენ. ზოგიერთ ჯალათსაც თავისი ისაფი აქ. — ცოდო არ არის, რო ესენი დავხოცოთო? ისეთი არიან, როგორც ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავებიო, თავისთინ ლაპარაკობენ. ბოლოს დათანხმდენ, რო ის ორი დავხოცოთ და ეს სასიძო ცოცხალი წავიყვანოთო. მაინც აგრეც მოიქცნენ: სასიძოს ხელები გაუკრეს, ცხენ-წინ გაიგდეს და წაიყვანეს. რო მიიყვანეს, გოგომ ეს ამბები იცოდა, ღამე და დღე ტიროდა. იმის აკუმჯის წინ გამოუატარეს. გოგომ გადასწყევლა, რომა: თქვენ არც ამ ქვეყანაში გექნებათ ალაგი და არც იმ ქვეყანას, თუ ამ ბიჭ რამე აუტეხეთო!

ამ დროს ამ ქალაქის უმფროს ეს ამბავი გაუგია. რამთოლიოდე თავის კაცებით მისულა და უთქვია ი ბიჭისთვის: რათ მოხველი აქა, ჩემ ქალაქში რათ მახხდინე ეს საქმეო? ბიჭი შვიყვანეს იმ ოთახში, სადაც ხალხი იყო შეკრეფილი. დაიყვია გოგოპ მამამ, რო: მოკალიო, ცოცხალი რათ მოიყვანეთო? ადგა და ბოლოს აღარ გაუშვა იმიპ მოკვლა და დაადგინა, რო გადხვეწოს სხვათა ქვეყანაშიო! ადგნენ, იმ სახელმწიფოდან გაიყვანეს ი ბიჭი და დაბრუნდნენ თითონ უკან. მოვიდა ეს ბიჭი, ერთ წყაროზე დაჯდა, თავითავათ იფიქრა, დაიწყო ტირილი. ერთიც დახედა, მოვიდა ერთი სოდაგარი. ორმოცი ცხენი საპალნე სუ ძვირფასი საქონელი მოაქვს. ამ სოდაგარს ერთ-ერთი ქალი-



შვილი ჰყამს და ვაჟიშვილი არა ჰყამს. ძალიან მეეწონა ეს ვაჟიკაცი-  
ეს სოდაგარი ამას გაუტყდა: ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ? იმამ უთხრა:  
არავინ არა მყამს, ერთი უპატრონო კაცი ვარო (ამ ბიჭის მამის ცხოვ-  
ვრება, ძროხა, ცხვარი სუ წამოასხა ბიძამისმა). სოდაგარმა უთხრა:  
შოდი, შვილათ გამიხდიო! მე შვილი არა მყამსო. იმთენი ცხოვრება  
მაქო, რო მე კი არა, შენ შვილიშილსაც ეყოფაო. დათანხმდა ეს ბიჭი  
და გაჰყვა თანა. მოიყვანა სახში. ცოლსა და თავის გოგოს დაანდო:  
კარქა მეეპყრენით, ეს ჩემი სასიძე არისო! ესენი ღამე და ღლე თავს  
ევლებიან ამ ბიჭ, ბიჭს კი ღამე და ღლე ფიქრი იქ აქ.

ერთ ღღესაც შევიდა გოგო, რო ჩაფიქრებული ზნს, უთხრა: —  
ადე, ბაღში გავიდეთ, გავიარ-გამოვიაროთო! (გოგოს უნდა, რო რა-  
გორმე მიიჩვიოს თავისთან). კაცსა რო თავგადასავალი მოუვა, რალაც  
მიზეზი გაუჩნდება. დახედა, რო ბულბული წამოვიდა სტვენით, გაექა-  
ნა ვარდისკენა (გაფურჩქნილი ვარდი იყო), ვარდზე უნა დამჯდარიყო.  
ჰკრა თავი თავს და ეკალზე აეგო. ბიჭმა თავი გულში ჩაილაპარაკა:  
ამან ერთი ჩიტი სიყვარულისთენ თავი მოიკლაო, მე რა მაგაზე ნა-  
კლები ვარ, რო ზოპრად გულისთენ თავი არ მოვიკლაო! მაშვე გა-  
ბრუნდა, გოგოს უთხრა: წავიდეთ შინაო! მივიდა თავი სახში და და-  
იწყო ტირილი. პური მუუტანეს, არც პურს ჰყამს, ტირის და ტირის.  
მივიდა სოდაგარი. ცოლმა და ქალიშვილმა უამბეს, რო: არც პურს  
ჰყამს და არც წყალსა სომსო. სოდაგარმა იცოდა მექორწილების ამ-  
ბავი (ორმოცი კაცი რო დახოცეს), ხოლოთ არ იცოდა, რო — ამ ბიჭი  
გულითინა. ამ ბიჭმა რო უამბა ესეა, ესე ჩემი საქმეო, მაშინ გა-  
დაწვიტა ამ სოდაგარმა, რო: ეს ბიჭი მე არ დამიდგება და სიძეთ არ  
გამიხდებაო. ამ სოდაგარს ერთი საზი ჰქონდა, მისცა და უთხრა:  
შვილო, ისე რო წახვიდე, იქნებ გაგიგონ, ეს საზი გადიგდე და იტყვი-  
ან, აშელიაო და არავინ შემოგედევებაო!

გამგზავრდა ბიჭი. სოდაგარმა, რაც შეიძლო, გზი სახარჯო მისცა  
და გაისტუმრა. იარა ამ ბიჭმა, იარა და მივიდა იმ ალაგს, სადაც რომ  
გოგო დატოვილი არი. მივიდა ერთ მთი ძირსა. სძოვს ერთი ფარა  
ცხვარი. მემცხვარეს ორი ძალლი ჰყამს. ამ ძალებმა შეამჩნიეს და  
ღიექანენ ამ კაცისაკენ. მემცხვარე ფიქრობს: ხომ ამ კაც შეშუამენ!  
ყვირის, მაგრამ ხმას ვერ აწვდენს. ე ძალები რო მივიდნენ ამ ბიჭთან  
ახლო, ერთი ერთ მხარეზე შეაჯდა, მეორე მეორე მხარეს და დაუწყეს  
ლოკა. მემცხვარეს გაუკვირდა, ადგა, თითონ ჩავიდა. ნახა, რო რას  
ნახაძს, თავისი ხაზეინია! ერთმეეთ გედებეზვიენენ, თვალში, პირში  
აკოცეს. მოიყვანა ამან, ცხვარი შეუგვრია, პური აქამა, რძე დაალევი-  
ნა. ამათ ახლა დაიწყეს საუბრობა, რო რაგორ მოიქცენენ, რო ეს ბიჭი

მიიყვანოს გოგოთან? ამ წყევსა ასე ქნა: თავი ტანისამოსი გაიხადა და ჩააცვა იმას. წყევსა თავათ თურმე ერთი ძმა ყამდა დალუპული. დალანდა, მიჰყამს სახში. ვინც ეკითხება, ვინ არის? — ჩემი დალუპული ძმა არი, რო გეუბნეოდითო. მოიყვანა თავი სახში. დაუძახა დედამისი და თავი და. ერთი ხანჯალი ეკრა, ორარშინიანი, ამ წყევსა-ამოილო და უთხრა: თუ ვისმეს ეტყვი, რომ თაპრა აქ არი, ორივეს თავებს დაგჭრითო! დედამის დაავალა: რაც გინდა დაგიჭდეს, როგორნე ეს ბიჭი გოგოსთან უნდა მიიყვანო! ადგა, დილით წყევსა ცხვარი წაასხა საბალახოთ. ბებერი ქალი წავიდა გოგოს მამასთან: რამეთენი ხანია თქვენი მოსამსახურე ვარ, აქამდი არაფერი მითხოვნია. ერთათერთი ქალიშვილი მყამს, არც კერვა იცის, არც დაჭრა, არც ანდაზა რამე იცის. მოვიდეს თქვენ გოგოსთან და ისწავლოსო. ნება დართო. ჩააცვა ქალური ტანისამოსი, თათრებმა რო იციან ჩადრი ჩანოხურვაი. მიიყვანა გოგოსთან. თურმე, რაც ეს ბიჭი წასულა, ე გოგოდამე და დღე ტირის. ეს ბიჭი დატოვა იქა, როგორც ქალიშვილი, დათითონ წამოვიდა. შკაფი ჰქონდა, დღისით იქ დამალამდა. ღამე გვერდით ყამდა. ამ გოგოს ერთი მამიდა ჰყამდა, კუდიანი. ამ გოგოს შეამჩნია, რო ზუდამ ტიროდა და ახლა არი ხიარული. ერთ დღეს ძალიან ადრე შევიდა, დახედა, რო ერთ ლოგინში ოთხი ფეხი დევს და ორი თავი. — ნუთუ თვალეები არ მიჩევის, რო ერთი ორათ მეჩვენებო! რო დარწმუნდა, გაბრუნდა, რო ამბავი უნდა წაულოს მამამის. ამ დროს გოგომაც გაიგო, ბიჭი გააღვიძა, — ადექი, წადი აქედან, თორემ შენც მოკლიბენ და გეცაო. ეს ბიჭი აკოშვიდან გაიპარა. მამამ, დედამ ბევრი იძიეს, მაინც ვერაფერი ვერ აკისრინეს ...

სოფ. შურჯახეთი.

## 70. უმცროსი ზაფიშვილი

იყო და არა იყო, იყო ერთი ხემწიფე. ყამდა სამი ვაჟიშვილი. ყველ ციცმარე დღეს უკვდავების წყალ სვემდა და მიდიოდა სახში. როცა მოხუცდა, დაუძახა სამი შვილა, რო: მე დღეს აქნობამდის, შვილებო, მივდიოდი, ყველე ციცმარე დღეს სვემდი უკვდავების წყალს. დღეს აღარ შემიძლიან და რომელი მამიტანთ უკვდავების წყალს, უიმისოთ მე ვერ გავძლემო! უფროსმან შვილმან უთხრა, რო: — მე მოგიტანო! ადგა, მეორე დილას, შეუდა ცხენზე და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, ღმერთმა იცის, მივიდა წითელ კლდესთან. გაუსკდა ცხენი, აიკიდა ურაგინი და მოვიდა მამამისთან: — მამა, წითელ-

კლდემდის მივედი სამ დღეში, იქ ცხენი მამიკვდა, ავიკიდე ურაგინი და აგერ მოველოო:

მამამისმან უთხრა: — ეე, შვილო, იქნობაზდის სადილობამდი მივსულვარ, შენ სამი დღე გივლიაო! აბა, მიორიები რას ბრძანათო? შუათახამ უთხრა: — მე მოგიტან, მაგისტვის რას გაღონებსო! იმანაც კიდეე, ისრეე მეორე დილას, გამოიყვანა ერთი ცხენი, დაადგა ურაგინი და წავიდა. კიდეე სამ დღეში იმ კლდი ძირზე მივიდა. იმასაც გაუსკლა ცხენი კიდეე და მობრუნდა მამამისთან. უამბა იმანაც: წითელ კლდესთან მიველ და ცხენი მანიკვდაო. — ეე, შვილო, მე იქნობამდის სადილობამდი მივსულვარო! აბა, შვილო პატარავ, მოდი, თუ იქნება, შენ მამიტანოო! უამბა პატარა შვილმა: — თუ შენ ცხენ წაძეე, ზოგიტან, თუ არადა — ვერაო. — არა, შვილო, მე ჩემ ცხენ ვერ მოქცეზო. — აპადა, ვერ მოვიტანო. ამ დროს მამამის დახძინებოდა ოთახში, მოვიდა და მამამის ამოაცალა კანოშნის გასაღები. გაალო კანოშნის კარი და გამოიყვანა ცხენი. ცხენმა რო შეიჭხვინა, მამამისნან გაიგო. მამამისი რო გამოვიდა, შვილმა აღარ დააცალა, შეჭდა და წავიდა. მამამისმან უკნიდან მიაძახა: წადი, შვილო, და აღარ ზოხვიდეო! სადილობ გახდა და წითელ ხიდთან მივიდა. ჩამოჭდა, ისადილა, ცხენ საძოვარი მისცა. ცხენი ენაზე მოვიდა: ჰე, ადამიანის შვილო, სად მიდიხარო? მე მიედივარ, რო უკვდავების წყალინა მოვიტანოო. ცხენმა უთხრა: რაკი შენ უკვდავების წყლისთვინ მიზდიხარ, მაშ თადარიგით წავიდეოთ. აემ სერს უკნიდანა დემირჩები არიან, შენ წადი, გააკეთებინე სამი ლომი: ერთი ერთფუთიანი, ერთი ორფუთიანი, ერთიც სამფუთიანი. რო მივალთ აიმ კლდესთან, ის კლდე გაიხსნება. იმ კლდეში არის უკვდავების წყალი.

— აბა, რა ქურჭელი ვაქ? — ერთი გუგუში მაქ. — შენ რო შეხვალ იქა, ცქვიტათ უნა მოიქცე. იქ რო შეხვალ, ქვა და მიწა დაიძახამს: ადამიანის შვილი არ გაუშვავო! სუყველა, რაც ჩამს, ყველა ამას იტყვის. მარდათ ზოიქეც, რო მოასწრო. როცა კლდე გაიხსნება, ერთფუთიანს მისცემ ლომს, ზევრეთ — ორფუთიანს. ორივეს მოკეცამს. მემესაძეს რო ზისცემ, არ დააყურო მის მოკეცას. გადახტი და აამსე!

ბიჭი სწორეთ ასრეთ მოიქცა და წყალი გამოიტანა.

როცა გავიდნენ ქალაში, ამ დროს აქ ერთი ბურტყელი გღია, ეს იძახის: ამღიბიც ფიშმან არის, არამღიბიც ფიშმან არი. შეაჩერა ამან ცხენი, დაფიქრდა და თქვა: ეს ერთი რაღაც ბურტყელი ჩამს, რო ავილო, ფიშმან გავხდები, არ ავილო, რა ვქნა? აილო ამ ბიჭმა და ჩადო ქულდში. გაპკრა და გაიქცა გზაზე. მივიდა ერთ ქალაქში. ამ ქალაქში ერთი ფაშა არის, დალაღს აძახებს: ვინ არის, რო მოკამაგირეთ და-

შიდგეს? ამან თქვა: მე ვისთან მივალ, არავინ მყამს ნაცნობი, მოდი მე დაუდგები მოჯამაგირეთ, უთხრა: ფაშა, თუ ჩემ ცხენ შენი ფულით და ქონებით შემინახავ, დაგიდგები, თუ არადა, ვერაო. ფაშამ თქვა: ჩემი ცხენი ამ ბიჭ მოჰკლამს, ცხენი მე დამრჩება (ამ ფაშას იმრაინი ცხენი ჰყამს, რო რომელ მოჯამაგირესაც დაიქერს, იმ ლამესვე კლამს). დაუდგა მოჯამაგირეთ. როცა მივიდა ბოსელში, შეიყვანა თავის ცხენი. იმ ცხენთან ახლო მიიყვანა და უთხრა ამ ცხენმა (ენაზე მოვიდა) ფაშას ცხენს: არ იქნეს და არ იქნეს, ჩემ პატრონ ბმა გასცეო, თორემ შენ ძვლიფესაც არ გაუშვებო. მიიყვანა ცხენი, დააბა, ხმა კი აღარ გასცა შიშით.

ყველ ციცმარე ლამეს ფაშა ყიდულობდა სამთელს კანტორაში გასანათებლათ. ბიჭ მოაგონდა: მე რო ჰალაში გამოვიარე და ბურტყლმა რო თქვა, რომა ამღები ფიშმან არის და არაამღებიცო, ვნახო ეს ბურტყლი მოვნახოო. რო მონახა და ამოიღო საღამოს, როგორც ერექტრონი, ისრე გაანათა. მევრე სანთლები ისევე კანტორაში მიჰქონდა და ყიდებდა. ამ კანტორის პატრონმა უთხრა: ფაშა, მიკვირს შენ საქმეზე! — რაგორა? — შენ მიგაქ სანთელი და ისევე შენ მოჯამაგირეს მოაქვს და მე მყიდის. ფაშამ უთხრა: მე მაგ საქმეს გავიგეგმო. ლამის ერთს ადგა ფაშა და დასმოტრა. ნახა, რომ ერექტრონივით ანთია, თაროზე კი არაფერი არა ჩამს. ძალიან გაჰკვირდა: იმე, დედა, რა ვნახე! იქილამ ბურტყლმა: გაგიკვირდა? ეს რა გაგიკვირდა, ჩემი დედა რო ნახო, მაშინ სულაც ხო გადირევი. — აბა, ვინ არი შენი დედა, ვინ მოიყვანს დედაშენს? — ვინც მე მამიყვანა, ის მოიყვანს. — შენ ვინ მოგიყვანა? — თითონ ამ ბიჭმა მამიყვანა. — აბა, ბიჭო, დილაზე შენ-ნა მოიყვანო ამის დედა! ბიჭი ძალიან გადარდიანდა: სადნა ვიშოვნო მე ეგაო? მივიდა ცხენთან. თავისმა ცხენმა უპასუხა: აბა, ჩემო პატრონო, რათ გადარდიანებულხარ? წადი შენა და უთხარ: სამი ფუთი ფეტვი მოგვეცეს, სამი მეტრი მიტკალი, ორიც დიდრონი რუსის სომინი, დილაზე წავალთ და მოვიყვანთ.

გათენდა დილა, წავიდა, ყველაფერი ჩაიბარია, რაც რო ცხენმა უთხრა. დააკრა ცხენზე, შეჯდა და წავიდა. მივიდნენ ერთ ალაგას. უთხრა ცხენმა: აი აქ არი იმისი კარიო. შენ შეხვალ თუარმე, აბია ასლან ყაფლანი, ამ ორ სომინ იმას მისცემ. სამი წელიწადი შეიერები არიან, ისინი გზას მოქცემენ. შეივლი, მეორე კარებ გააღებ თუარმე, კრუხწიწილი არი და ქათამ-ბატი, იმათაც ამ სამ ფუთ ფეტვ დაუყრი, ისინიც გზას მოქცემენ. შეხვალ შიგნით. ორმოცი ფეხი კიბე არის, სამი წელიწადია არ დაგვილა, ვერშოკნახევარი ფუტი ადევს, ამ თეორ მიტკლით გადაავი და შეივლი, კიბეც კი გზას მოქცემს. შეხვალ და

ერთი ზეთუნახავი ქალია, ის არის იმისი დედა, დაუქერ ხელსა და წამოიყვან!

რო გამოვიდა კიბეზე ქალი: ჰეი, ჩემო კიბე, რაგორ შეიძლება, რო ადამიანის შვილი შემოუშვიო? კიბემ უპასუხა. — სამი წელიწადია მტვერში ვიხრობი, ჰეი ეხლა მოგაგონდა ჩემი თავიო? ამ ბიჭ კიბემ უთხრა: — შენზე ჰალალია, წაიყვანევიო! ქათამ-ბატთანაც რო გამოვიდა, კიდეც ქალმა უთხრა: — განა მაგ ამაგით მყამლით შეძენილი, რო ადამიანის შვილი შემოვიდა და წამოიყვანა? ქათამ-ბატმა უპასუხა: — წაიყვანე, ადამიანის შვილო, ჰალალია შენზე ამიტომ, რომ სამი წელიწადია შიერები ვართ, შენ მოხველ და სამი თვის საქმელი მოგვეც! გამოვიდა ასლან ყაფლანთან. იქაც ისრე უთხრა ქალმა: — აგრე მიყვარდით, რო შემოუშვიო ადამიანის შვილიო? იმათაც უთხრეს: — სამი წელიწადია, შიერები ვართ, ეს მოვიდა და სამი თვის სარჩო მოქვეცა: წაიყვანე, ადამიანის შვილო, შენზე ჰალალიაო!

გამოიყვანა, შემოიჭვდინა ცხენზე და წამოიყვანა. რო მიიყვანა სახში, ბეგი რო მოვიდა და ნახა, გაუკვირდა, თქვა, რო: — აა, მე შენთან-ნა დავწვეო! — არა, არა, ქალმა უთხრა, შენც ჩემსავეთ ლამაზი ვიდრე არ გახდები, ვერ დავწვებიო. მე ილხი მყამს, იმ ილხში ერთი ცხენი არის, იმას მოიყვან, მოსწველამ, რძეში იბანამ და შენც გახდები ჩემრანინი ლამაზიო! — აა, ვინ მოიყვანსო? — ვინც მე მამიყვანა, ის მოიყვანსო! დაუძახეს ბიჭი. მეგრე ბიჭი წავიდა. როიცა რო ბიჭმა ფიშმნობა დაიწყო, ცხენთან მივიდა და შიატყობინა. ცხენმა უთხრა: — კარქი, უთხარი შენ იმასაო, რო შვიდი ფუთი ბამბა, სამოცი მხარი თოხათი კანაფი, ერთი კილოც ზეთიო, მაშინ მოვიყვანთო. გამოუცხადა ყველაფერი ფაშას, ამან მისცა. დილით ადგნენ თუარმე, მოალაგეს ყველაფერი, დააკრეს ცხენზე და ადგა და წავიდა ე ბიჭი. მივიდნენ ერთ წყაროზე. უთხრა ცხენმა: მე აქ დამაბამ, ავაზნებ გასცლი. ამ ავაზანში ერთ კილო ზეთ ჩაუშვამ, შემახვევ შვიდ ფუთ ბამბაში, შვიდ კამეჩის ტყავში, სამოც მხარ კანაფში, რო ყურებიც არ გამომიჩნდეს. შენც დაიმალები. შუადღე რო გახდება, იმისი ილხი წამოვა, დაცილებით წინ მოდის ის ცხენი. ვიდრე ილხი მოვიდოდეს, მოვა, იმ წყალს დიეწოდება, არ დალევს, გაბრუნდება უკან, მეგრეთ მოვა კიდეც, კიდეც არ დალევს. მესამეთ რო მოვა, მაშინ დალევს თლათ იმ ქურანს და დაგიწყებს მეგრე ბრძოლას. ვიდრე იმან შვიდი ფუთი ბამბა, შვიდი კამეჩის ტყავი, სამოცი მხარი კანაფი ფჩილითა და კბილით დაგლიჯოს, ჩემ ცხენზე მირან კბილი დაუწვდებოდეს, ის დაიღლება. მაშინ იტყვის, რომ: ახ ერთი ადამიანის შვილი

იყოს, თავს დამიჯერდეს, გამატარ-გამომატარებდესო! მაშინ იმას დავი-  
მონაევამთ, გამობტი და დაიქიო!

მოიყვანეს სახში, დაუძახეს თელი ხალხი, უნა მოაწველინოს. ვი-  
საც წიხლ ესვრის, ტვინს უფანტამს. ბარე ერთი ასი კაცი მოკლა.  
ქალმა გაიგო ეს და უთხრა: — რათ ახოცინამ იმდენ ხალხს, ვინც მა-  
მიყვანა მე, ის მოსწველამსო! დაუძახა ეს ბიჭი, გაუარა უჩუმიით  
და ქალმა ამ ბიჭ მისცა ბეჭედი: აგერ, შენ ბეჭედი, ცხენს რო ანა-  
ხო, ხმას არ გაქცემს. მივიდა თუარმე, ანახვა ბეჭედი, ცხენმა თავიც  
კი აღარ გაიქნია, მოწველა, დიდი ორკილოიანი ქვაბი გაავსო. დაიწყო-  
რძემ დუღილი. ფაშას უთხრა ქალმა: — აქ უნდა იბანოო! ფაშამ უთ-  
ხრა: — ჯერ ჩემა მოჯანაგირემ იბანოს, მერე მეო! მაშინ ქალმა უთხრა  
ბიჭსა: — აჰა, შენ ეს ბეჭედი ჩააგლე შიგა და მერე შენ ჩადიო!  
ჩააგლო შიგა, იბანა. ამოვიდა თუარმე, ამოილო ბეჭედი. შედგა რძე  
და დაიწყო დუღილი. მერე ფაშას უთხრა: — აბა იბანეო! — ქათამი  
ჩააგდეს თუარმე, მაშითვე გადნა. ფაშამ უთხრა: — რაგორ შეიძლე-  
ბა, აქ რატერ უნდა ვიბანაოო? ქალმა უთხრა: — განა კი ქათამი ხარო,  
აი, ხო ჩავიდაო. — ჩავიდა რძეში, მაშივე კი გადნა. დარჩა ქალი ბიჭსა.  
შვილი დღე და ღამე ქორწილი ქნეს.

ციდამ სამი ვაშლი ნოგორემდა, ერთი მთქმელსა და ორი ჯამათს.  
არნადი და ფიწალი, ამის მეტი ველარ ვისწავლე.

სოფ. ვარგაგი

## 71. ხელწიფე და ლალა

ერთ-ერთ სახემწიფოში, სალაზოს, ბევრი ხნის ლაპარაკის შემ-  
დეგ, თავის ვეზირს ეუბნევა ხემწიფე: — დაუბანე ფაიტონიო, წავი-  
დეთ ერთ ბაზარში და დავათვალიეროთ, ჩვენი ფასმანდები რანაირათ  
დარაჯობენ ქვეყანასო!

მოჰყავს ფაიტონი, დასხდებიან ფაიტონში, გავლენ ბაზარში, ცო-  
ტა ხან გაივლიან—გამოვივლიან, ნახებენ, რო ერთ სახლიდან ერთი კა-  
რგი ხმით ქალი იმღერის. ეს ამ ხენწიფეს მოეწონება ძრიელ. მოვლენ  
აკოშკის ძირას, ნახებენ, რო სინღერა კარკი გამოდის, მაგრამ ქალი  
რაგორია, რაგორ გაიგონ? ხენწიფე ეტყვის ლალას: — მოდი, შენ  
დაიკაკვე, ჩე ზედ ავალ და აკოშკიდან გადავიხედამო. ეს ავა და დაუ-  
წყყედს ამ ქალს ცქერას, ნახამს, რო საქვზე ზის ქალი, ქმარს თავი კა-  
ლთაში უძევს (ძინავს) და ქალი დამღერის. ესენი ორივენი ლამაზი  
ადამიანები არიან. ამათ ცქერაში დაავიწყდება, რო კარზე დგას. კაცი  
ეტყვის: — აღარ უნდა ჩამოხვიდეო, ილაჯი გამიწყდაო. ჩანოვა,

ეს ხენწიფე დაიწერამს ქუჩის ნომერს. წავლენ თავეთ სასახლეში. დილის ცხრა საათზე გარადაოს გაგზავნის, ამ კაც ეტყვის: — შეიტყე, ამა და ამ ნომერში ვინ ცხოვროფს, დაატუსალე და აქ მანიყვანეო! ეს გარადაო წავა, ამ კაც დაატუსალემს. მოიყვანს ხენწიფესთან. ხენწიფე დეეკითხება: — რა მოხელე ხარო? — საპუკების მკერავი ვარო. ხენწიფე ეტყვის, მე ძალიან მეგეწონე შენაო, მე ქალიშვილი მყამს გასათხოვარი და მინდა შენ მოგათხოო, მაგრამ შენ შენი ცოლი უნა მოკლაო! თუ ამას არ აასრულამ, თავ მოქჭრიო! ეს კაცი უარს გააცხადეთს: — თუ გინდა თავი მომჭარ, მე ცოლ არ უღალატემო.

აილემს, სამ—ოთხ დღეს ამას დაანწყედეთს, აწამეთს, მაგრამ მაინც ცივ უარზეა. რო ნახამს, რო ეს კაცი არ გამოტყდა, ხელ მოაწერიანამს, რო არსად არაფერი თქვას, გააფთხილეთს. ამას რო გაუშეგბს, გაგზავნის გარადაოს და დაატუსალებინემს იმის ცოლს და მოიყვანს თავისთან. ეტყვის, რო: — შენაირი ქალი მე არსად მინახამს, ძრიელ მომეწონე, ერთათ-ერთი ვაჟიშვილი მყამს და მინდა ჩემ ვაჟიშვილისთვის ცოლათ მოგიყვანოო, ხოლოთ იმ შემთხვევაში, რო შენი ქმარი უნდა მოკლაო, რო იმან ჩივილი არ ამიტეხოს, ერთი მეორე დასხვაო.

ეს ქალი იფიქრამს: კარი გ-მელო, საპუკების მკერავის ცოლი ვიყავი და ეხლა ხენწიფის შვილის ცოლი უნდა გავხდემო! ეს ძრიელ დაუჯდა ჰკევაში. ხენწიფეს უთხრა: — ძალიან კარქიო, ოლონთ ერთი ჯაყო გააკეთებინე, გულზე რო დავარტყა, ზურგში გავიდესო!

ხენწიფე დამირჩთან გაგზავნის კაც, გააკეთებინებს ჯაყოს. ჩაიდეთს ქალი ჯიბეში და წავა ოჯახში. საღამოთი რო მოვა ქმარი სახში, ეტყვის, რო: — ორი ჩარტქი ღვინო მოიტანე, ამაღამ დროება გავატაროთო!

მოიტანებენ. აბა, დაღალული კაცი მალე დათვრება და დაეძინება. დაარტყამს ცოლი თავი ქმარ ჯაყოს. მოკლამს, გახარებული წავა ხენწიფესან, ეტყვის, რო: — ჩემი ქმარი მოვკალი და აგე, მე უკვე მზათ ვარო! ხენწიფე დაიჭერს ამ ქალ, ხელათვე ჩამწყედეთს და მოიწვევს თავი ლალეთს, რომელიც შესდგება თორმეტი კაცისაგან, ეტყვის, რო: — მე ერთი ახალი დადგენილება უნდა დავადგინოო და გავატარო ცხოვრებაშიო: რომელი ქალიც თავი ეზოს გარეთ გამოვა, უნდა თავი მოვჭრაო! ესენი ეტყვიან: — სწორიაო, ასეთი სიყვარულის ქალმა რაგორ შეიძლება იცოცხლოსო: ქმარმა არ უღალატა, თითონ კი ქმარი მოკლაო.

ერთი ლალა ეყოლება, ოთხოცი წლისა, ეტყვის, რო: ერთ მაგალით მოგიყვებო, ხენწიფეო, და მერე რაგორც გინდა, ისე ქენითო! მე ჩემი ჯელობისასო სოფლიდან გავიქეციო, მამასახლისმა გამამწარაო,

ავიდე, მამასახლისი ვცემო და გავიქეციო. შტრაჟნიკებ რო არ დავექირე, დავდიოდი ყაჩაღათო. მივედი ქალაქში ნალბანდთანაო (იარალი დავმალე ქალაქი განაპირასაო). ნალბანდმა ორი ფეხი რო დაბეჭდა ცხენისა და მესამეს ხელი მიჰყო, ერთი ახალგაზდა ვაჟაკი ჩამოსტა ცხენითგანაო, ნალბანდ უთხრა: — მიატოვე ეგ ცხენი და ჩემი ცხენი დაბეჭდე! ნალბანდმა გაანება ჩემ ცხენის ჰედას და მივარდა იმის ცხენსაო. მოვიწოდო მისი შებრძოლება, მაგრამ ვერ გავებდეო. რო შევხედე ამ ვაჟაკს, თვალები ჩანალიდან გამოსული ჰქონდაო. მერე დაბეჭდა მისი ცხენიო და შემდეგ ჩემი ცხენიც რო დაბეჭდაო, თქვი რო: ამას თუ თავი არ ვაცნობე, რა ვაჟიკაცი ვარო! შევვქეი ცხენზე და გამოვეკიდე ბოლოდანაო. რო დაუახლოვდი და ხმალი წამოვიძრეო, იმანაც წამოიძრო. ხმალი რო დაუქნიე, მან თავი ხმალი ყალხნათ მიცა ჩემ ხმალსაო. დაქნეული ხმალი მან თავიდან აისხლიტაო მან რო დამიქნია, პირიდან არ გამიმეტა, ყუიდან დამიქნიაო, კისერში მომხვდა, დავბნდი და ჩამუარდი ცხენიდანაო. ჩამოვიდაო, ჩემი ცხენი გაუშვაო. მომასურჩიელა, თარქზე შემიჯღუნა და მივდივართ, მაგრამ შიშით ვერაფერ ვერ უბედამო. ვიარეთ, ერთ ღელეში ჩავედითო. ჩამომიყვანა ცხენიდამო. ერთი დიდი ხურჯინი ეკრა ცხენზეო, ხურჯინ პირი მოხსნა, ამოიღო ერთი ლაფატკა და ერთი ყაზმაო, ორი ხე მოშქრა, გაუკეთა ამათ ტარებო. მითხრა, რო მომეხმარეო, აქ ჩვენ ერთი სამარე უნდა გავხსნათო. ამან რო ეს სიტყვა მითხრა, მე ცხელებამ დამიჭირაო, მაგრამ მე მეტი ღონე არ მქონდაო. ეს რო დავასრულეთო, დაყარა ეს ლაფატკა და ყაზმაო, ამოიღო ერთი ჩანთა ლურსმანი და გადიკიდა მხარზეო. ერთი ჩაქუჩით ცხენი გამოაბა ხის ტოტზე და მითხრა, მომყევო! წავყევი მეც ბოლოდანო. მივედი ერთ კლდი პირზე, ვნახეთ, რო ერთი მალარა არის გაკეთებული. მითხრა, რო ამ მალარას ერთი კარი აქ (რკინისა), მაგრამ იქიდან ჩვენ ვერ შევალთო. მე ამ კლდეზე უნდა ავიდეო, შენ რასაც დავანდობ, ის გააკეთეო! მეო ქმარი მყანდაო და აქაო შეიდი ძმანი არიან და იმათ მოკლესო. მე უთხარი, რო რა იყო მაზეზი, რო მოკლესო? მე რო გოგო ვიყავიო, ესენი თავანთ პატარა ძმისთვის მთხოულობდნენო, არ მივეყევიო, მითხრეს, რო სუ ერთია, ვისაც მიჰყევი, არ ვაცოცხლამთო. მერეო მოიტაცეს ჩემი ქმარიო, მოკლეს და სამარე რო ვნახეთ, იქ დამარხესო. ეხლა მე უნდა ავიდე ამ კლდეზე, ამათ უნდა შევებრძოლოო. ზეიდანაო წამუა ადამიანის თავიო, დაჰკვირდიო, თუ ჩემი თავიაო, მიიტანე იმ სამარეში. ლამარხეო და გაიქეციო და თუ იმათიაო, ნუ შეგეშინდება, იცოდე რო მე ცოცხალი ვარ ისევლეო.

დაარტყა ლურსმნები, შეადგა ფეხი და ავიდა. ავიდა და გაჩნდა



ერთი კიბინაო. ვნახეო, რო ეს უცხო და უცხო თავები ჩამოდინ და-  
ჭრილი ძირსაო და არა ჩემი ამხანაგისაო. შვიდი თავი ჩამოვიდოო.  
ვთქვი, რო ეს კაცი სალია, გაიმარჯვა ამანაო. ვნახე, რო ბოლოსაო  
ერთი გაქედული ჩანთა ჰკიდია და თითონაც ჩამოიდაო. გამიძღვა წინ  
და მიველით ამ ჩვენ ადგილზე, სადაც ცხენი გვყანდა დამბული და  
სამარე იყო გაჭრილიო. მითხრა, რო აგერაო, ერთი ჩანთა ოქრო მა-  
გათი მონაგროვი ჩამოვიტანე, აილე და ჩასტივე ჰაბგაშიო! ეხლა მე  
აგერ, თავ ვიკლამ, შენ გეხვეწები ზეიდან არ გამიშვა და დამასაფლა-  
ვეო!

თავი მოიკლაო, მოვიტანე, დავასაფლავეო. დავაჯექი იმი ცხენზე,  
წამოვედი სახშიო. ავილე, მოვიტანე ეს ფული სახშიო. ერთი ხუთი  
ოქრო რო მამასახლის მივეცი, ჩემზე კარგი მოყვარე აღარავინ ყვან-  
დაო და დავიწყე ჩემ ოჯახში მუშაობაო. ეხლა, დიდებულო ხენწიფეო,  
თქვენ რო გინახამთ მაგისანა ცოლქმრობაი, მეც ვნახეო ჩემ სიცო-  
ცხლეში ასეთი ცოლქმრობაო. მაშინ ხენწიფე დაფქრდა და თქვა, რო:  
ერთი ქალის გულისათვის რო ყველას ღირსება აყვაროო, აღარ იქნე-  
ბაო. რაგორც უწირიათ ქალეფს, ეგრეც სწირონო! — ამით მოხუცე-  
ბულმა ლალამ ი ქალები გაანთავისუფლა ტანჯვიდან.

სოფ. ქილდა

## 72. ზოროტი მამა

ერთ კაც არ ყვანდა შვილი. მერე შეხვდა წმინდანი. მან აილო და  
ამას ვაშლი მისცა: — ნახევარი შენ შექამე, ნახევარი შენ ცოლმა და  
ნაფცქვენები ცხენ შეაქამეო!

ღრო რო მოვიდა, ამას შვილი დიებადა, ცხენსაც — კვიცი-  
ესენი შეიზარდნენ ერთმანეთან.

ეს ბიჭი რო გაიზარდა, შეჯდა კვიცზე და გაისე:რნა. მინდორ-  
ში რო გავიდა, ერთი ირმი ბარტყი აუძღვა წინ. გამოუდგა ამასა და  
ერთ ქოხში შევარდა. იქაც ცხოვრობდნენ ექვსი ძმანი, თან ერთი და  
ყავდათ. ეს ექვსნი ძმანი გამოქციულან თავენტ სახემწიფოლან. ქალ-  
მა უთხრა:

— რას გვერჩი, რო ირემს გვიკლამო?

ამ ბიჭ ჩამოუვარდა თვალი ამ გოგოზე. ამ გოგოსაც ჩამოუვარდა  
თვალი ამ ბიჭზედა. ამ ქალის ძმიებმა იფიქრეს:

— აქაც არ მოგვასვენებენო, ავდგეთ და წავიდეთო. ერთ დღეს  
გაირეკეს ნახირი, ცხვარი, ყველაფერი. ამ ქალმა, თვალი რო ჩამოუ-

ვარდა ამ ბიჭზე (ბიჭი კარგი ვაჟიკაცი იყო), დაწერა ქალაღდი, დაღო ერთ ქვის ქვეშ.

ეს ბიჭი რო დაბრუნდა, ნახა, რო ამ ქოხში აღარავინაა. აქეთ აბრუნა, იქით აბრუნა, ერთი ქვა გაღმობრუნა, ნახა, რო ერთი ქალაღდი არი. წაიკითხა, რო: „მე მივღივარ ამ ქვეყნიღან ამამავალ ქვეყანაში, შენ უსვინღისო კაცი იყო, თუ მე არ მომძებნო ამ აღრესით“-ო.

აღგა, წამოვიღა ეს ბიჭი სახში. ღეღამის უთხრა ამ ბიჭმა: — პური გამომიცხე, სხვაგან უნღა წავიღეო! — რათ გინღა, შვიღლო, არ გაგიშვამო!

იღალავა ამ ბავშვმა, შეჯღა ცხენზე და წავღდა. გავიღა სათათრეთში. მირაღნი სათათრეთში გავიღოღა, მირაღმი ერთი არაბი შეხეღა გზაში. ეს არაბი გზაში ხალხს კღებღა. მივიღნენ და ესენი დაიღაკნენ (დაიკიღნენ). ეს არაბი წააქღია ამ ბიჭმა. გაიხსნა გული ამ არაბმა (ქალი იყო). ახღა ბიჭი მეექვსა ქვევიღან. არაბმა უთხრა:

— რახან შენ დამიმორჩიღეო, მეო შენი ცოღი გავხღებო.

ეს ქალი რახან ცოღი გაუხღა, ბიჭმა უთხრა, რო: — მე ამა და ამ ქალისთვის მივღივარ, ვირამ იმას არ ვნახამ, არ შემიძღიან შენთან დაწოღაო. ამ ქალმაღც უთხრა:

— მეც წამოყყვებიო.

ესენი რო წავიღნენ, გზაზე ერთ ჩხუფს შეხვღნენ. ექვსი ძმა ებღვის ვიღაციებს გოგოს გუღისათვის (ამ გოგოს გუღარია ერქვა) და ხოცეღენ ერთმანეთს.

გუღარიაღმ უთხრა ამ ბიჭსა: — ჩემი ძმიეღი ჩხუბოღენ, ერთი მოუკღიათ, ხუთი დარჩომიღაო. მიასწავღა გზა. აღგა ეს ბიჭი და ამ ხუთ ძმას მიეშვეღა. მოწინააღმღეგე გასწყვიღა, სუ დაიოკა. აღგნენ და ამ ხუთ ძმამ უთხრეს ბიჭსა:

— ეს ჩვენი და შენთვის დავგიღოცნიო (ამ ბიჭ ორი ცოღი გაუხღა).

ამ ბიჭმა ესენი წაასხა თავიანსა. ახღა მიღიან პირველ ნანახ ქალთან. ეს ქალი აქ დაღოვეს. მივიღნენ იქა, იბოვეს ეს გოგოც (ასღია ერქვა). ეს ხუთი ძმის გოგოღა წამოიყვანა და სამი ცოღი გაუხღა ი ბიჭსა. მივიღნენ თავი მამის მინღვრათ, შორი-ახღო დაღგნენ და ერთი მეცხვარე — მახარობელი — გაუგზავნა თავი მამას. მეცხვარემ მიახარობღა. რო: — აი, შენი შვიღლი მოღის და სამი ქალიც მოკყანსო. ხემწიფემ დაიბატიღა. ხემწიფემ რო გაიგო სამი ცოღი მოკყამსო, ამამ კარეთში ორმო ამოთხარა, გადაათარა ფარღაკი: —

შოვა ჩემი შვილი და ჩავარდება ორმოში, დავაყრი მიწას და ამ ცოლედ შევირთებ მე ცოლათო.

გულფარიამ უთხრა ბიჭსა: — ეს მაშკაი (პატარა ძაღლი, პიტყი — ლეკვი) წაიყვანე, სასაც გადახტებაო, შენც იქით გადახტო!

მივიდა მაშკაი, დახედა, კარეთთან ნახა, რო ორმოა და წინ გადახტა (ორმოს დაარიდა). ასე გადარჩნენ. მერე სადილის ჰამა დაიწყეს. ჯამში წამალი ჩაუყარა პოარმა ბიჭს. გულფარიას ბეჭედი ჰქონდა. ბიჭს უთხრა: — რა საკმელიც მოგივა, ბეჭედი მოუსვი და ისე ჰაღეო! ისეც მოიქცა, მადედანაც გადარჩა. მამამისმა უთხრა: — რა გაქო, რაშია შენი ძაღლო? შეიღმა უთხრა: — მე ძაღა ხელღში მაქო. ჯაჭვები მისციეს და გაწყვიტა. მერე, საქონლის ლარს ვეცყვიო, დაახვიეს ხელებზე. ამ ბიჭმა გასწია, ვეღარ გაწყვიტა და ხელი გაიჭრა. მაშინ ჯალათებმა დაახვიეს ეს ლარი და თავი მამამ ბიჭი შეკრა. ზოგმა უთხრა, — მოვკლათ, ზოგმა — რა. მერე უთხრეს: — მოდი, თვალები ანოვაცალოთ და გაუშვათო. კიდევაც აგრე ქნეს: გამოაცალეს თვალები და გაუშვეს.

საღაცა, წყლის პირას, შეიხვდა ერთი ბაზირჯანი (თუჯარი, ვე-შჩეფს ყიდულოფს და ყიღამს). ამამ წაიყვანა და იშვილა ეს ბიჭი (რო ანოაცალეს თვალები, ჯიბეებში ჩაუწყეს, იქ ჰქონდა). ბაზირჯანმა ეს კაკლები ჩაუწყყო, წამალი წაუღვეს და შორჩა ეს ბიჭი, მაგრამ (ოტა ეღამი გახდა. მამამისი სოხოვს საძლოებს: — მოღით, ჩემი ცოლები გახღითო! ცოლათ არაბი რო ყავს, ის ძაღლოფს, არ შისღვეს და ჯარს უწყვიტამს. ამ ღროზე ეს ბიჭი გაჩნდა აქ, წამოვიღა იმ ვაჭარ კაციღან. მოვიღა, ნახა, რო ჩხუბობენ. მამამის უთხრა:

— შენ ერთი ცხენი მომეცი, თავს მოუარო იმ ქალღფსო (ბიჭი უბნევა).

თავის ცხენი. რომელიც ამ ბიჭ ყანდა, დამალული ყანთ, ერლოღან აძღვეენ საკმელს.

ყვეღა ცხენზე რო შეჯდა, ამ ბიჭ ვერ უძღებღნენ, კვღარი ცხენები იყენენ. ბოლოს თითონ გამოიყვანა თავი ცხენი (სხვიები ვერ შუღღებოღნენ). ცხენმა მაშინვე იცნო. ხელი მოუფონა, გაასუფთავა, შეჯდა და გავიღა.

ეს არაბი ქალი გბაღვის ამ ბიჭსა, ჯოხს აყრიან ერთმანეთს (ჯირითი იღონენ ცხენით). ე ბიჭმა დაიკავა ეს ქალი, ერთმანეთი იცნეს. ქალმა უთხრა:

— მამაშენი შენ უნა მოკლაო! — მეო არ შემიძღლიან მაგი შოკვღაო და რაც გინდა, ქენიო. მივიღა და არაბმა მოკლა ი ბიჭის

მამა. ავიდნენ თითონ ტახტზე. ი ბიჭი გახდა ხენწიფე, ხენწიფის ცოლებათაც — ის ქალები და ცხოვრობდნენ ბედნიერათ.

სოფ. ქილდა

### 73. უარამანი

დევების ხარეს ერთი ფირიდონი იყო. იმას არ ყამდა შვილი. მერე მევევლინა ანგელოზი: — შენ უნდა გეყოლოს შვილი, ვაჟი, იმას დაარქმევ ყარამანს! მერე ეყოლა შვილი, ამანაც დაარქვა ყარამანი. რო შეიქნა შვიდი თუ რვა წლისა, მოვიდნენ დევებმა და მოსტაცეს, გაიყვანეს დევების ქვეყანაში. ამათ იფიქრეს, რო: — ამას ნუ შევეკამთ, კარგი ძლავრი ვაჟიკაცია, გავზდით ჩვენა, ვა-მსწავლით იმასა, მივცემთ იარაღსა, იქნება ჩვენიო.

მერე დაიწყეს იქა ნადირობა. დევები რო ესვრიან რასმი. ვერ ხოცებენ. ეს ყარამანი რასაც ესვრის, ჰკლამს. დევების ხენწიფე ანგურ დევი ეუბნევა: — ყველა მხარეს წაიყვანეთ ყარამანი, ხოლოთ ამ ხარეს ნუ წაიყვანთო! ივლის სამთენიმე წელწათ სანადიროთ. ყარამანი გახდება ძლიერი, დიდი ძალის პატრონი. იფიქრამს: — ესენი რო ამბობენ ამას, რო ამ ხარეს არ წაიყვანოთ, რა არისო?

თელი დევები სუ დემორჩილნენ ამ ყარამანს. აოგა ყარამანი და წავიდა, რომელ ხარესაც ნება არ ქონდა წასვლისა. — ნუ მიხვალ, კაცო, აგრე, ანგურ დევი ჩვენ დაგესარჯამსო. — წამოდით, წამომყევით სითყენაც მე წავალ, ვნახოთ, თუ რა არის აქეთ ხარესო?

ივლიან ესენი, ივლიან, მიადგნენ ერთ დიდ ციხეს. ამ ციხეს აქვს ერთი კარები, უთხრა, რო: — გააღეთ ეს კარებო! მივიდნენ დევები, სწევენ ამ კარებსა. რო გააღონ, და ვერ გაულათ. მოვიდა ყარამანი, ცალ ხელით ასწია და გააღო. უთხრა თავი ამხანაჟებს: — მოდით, შემოდითო! სუ რო შევიდნენ ამხანაჟები, მიხურა კარები. ამ ციხეში გაკეთებულია დიდი ოჯალობა (დიდი სახლებია). შევიდნენ ერთ სახში, ნახეს, რო, რაც ადამიანის შვილი მოუპარიათ, უბიათ იმ ოჯალში. უთხრა ამ ხალხსა ყარამანმა: — თქვენ ვინ მოგიყვანათ აქაო? — დევებმა მოგვიყვანეს, მოგვიყვანეს აქაო და დღეში ერთი, ზოგჯერაც ორი, გაჰყავთ. კლებენ და ჰამენო: ეს ყარამანი იფიქრამს, რო მეც ადამიანის შვილი ვარო (ფიქრზე როვა). შეხვდება ერთი ბერიკაცი იმ ხალხში, ალაპარაკანს ამ ბერკაცს: — დიდი ხნის მოყვანული ვარ მე აქაო. ჩვენ ასე გვესმოდა ჩვენგნივ-

რო უნა გაჩნდეს ამნაირი კაცი ვინმე, რო გვიშველოს ჩვენა, სახელათ უნდა ერქვას ყარამანიო, ყარამანი ეტყვის: — ყარამანი მე ვარო, გეეხარდებათ სუყველას. უთვალავი ხალხია დამბული იქა, გამოუშვამს ამ ხალხ, გაუღემს კარეთს, ეტყვის, რო: — წადით თქვენ ოჯალობაში! რო გეტყვიან, ვინ გამოგიშვა, უთხარი, რო ყარამანიამო.

ინ ღროს ღვეფეს მოუვათ ყარამანთან ჩხუბი, ეს ყარამანი ჩავარდება ამ ღვეფეში. იმთენ დახოცამს, ანბავის წამლებიც არ ეყოლებათ. ანგურ ღვეს არ მოკლამს, აღგება ამათი და წავა სხვათა ქვეყანაში.

სოფ. ქილა

#### 74. გაუმახლარი ცოლი

ერთ-ერთ კუთხეში ერთი საწყალი კაცი ცხოვრობდა. ეს კაცი ცხოვრობდა ძრიელ ფუხრათ. არათფერი ზანიადი არ ქონდა, ხოლოთ აძუებდა ხბო-ჯორს. დილით რო აღგებოდა და უნდა წასულიყო ხბო-ჯორში, წიეჩხუბებოდა თავისი ცოლი, სცემდა, გაგზავნიდა ხბო-ჯორში. საღამოთი რო მოვიდოდა: რაი მამიტანეო? ცოლი ეტყოდა: არათფერიო. ცოლი აკინებდა. ქმარი ეუბნებოდა: ბაღჩეფში ხო არ ვიყავი, საიდან რა მოგიტანო?

ერთ ღღეს, ერთ ვერანაში მირეკა ხბო-ჯორი, ნახა ერთი ორმო, იფიქრა, რო: ჩავალ, დავატყვილამ ჩემ ცოლ, ვეტყვი, რომ ვერანაში ერთი ორმო ვნახე, შიგ ოქრო, მაგრამ ღრმა იყო, მარტოკანა ვერ ამოვიღე, დილაზე წავიდეთ, საბლებით ჩამკიდე მე, ამოვიღოთ ოქრო, მოვიტანოთ და გავმდიდრდებითო.

დილით მივიდნენ ორმოს თავზე. ქალმა უთხრა: შენ სუფთათ ვერ ამოხვეტამ, მე ჩამიშვიო!

ჩაჰკიდა ქმარმა ცოლი ორმოში, დაახურა მაგრათ ყაფალი. ქვევიდან კიდე ცოლი უყვირის: თუ ამუედი, ტყავ გაგაძრებო. ამან უთხრა: ისეთ ადგილ არ ჩაგაგდი, რო მანღედან ამოხვიდეო. მივიდა ოჯალში, მოსვენებით დაწვა ქმარი. ერთი სამი ღღის შემდეგ თქვა: ერთი გავიარო, ვნახო, მომკედარა ჩემი ცოლი თუ არაო?

მირეკა ხბო-ჯორი, ნახა, რო ეშმაკი და ეს ქალი ერთმანეთს გაზებენ. ეშმაკმა ფეხი ხმაზე გაიგო, რო ვიდანც მოვიდა, ქვევიდან უყვირა. რო: — შენ, ადამიანის შვილო, ოღონც ამომიყვანე და შენ გაგაზენგინამო.

ახადა ყაფალი, ამოიყვანა ეშმაკი, ქალ კი ისევ დაახურა. ეშმაკმა უთხრა: — მე-ნა წავიდე ეხლაო, ასლან ხენწიფი შვილი უნა გავაგეოო. ის დალალ დააყვირამს, რო ვიც ჩემ შვილ მაარჩენამს, თავი წონა ოქროს მივცემო! შენ ერთი მოიტანე ერთი სტაქანი შარბათი, დაალევინეო, მე იმას თავიდან ამოუძვრებო და ის უკვე მორჩებაო. მერე ის შენ მოქცემს შენწონა ოქროს და შენ გაზენგინდებო. ასეც ქნა ამ ეშმაკმა. წავიდა, ასლან ხენწიფი შვილი გააგეოა, იმან კილდე დალალი დააყვირა: ვინც მამირჩენთო ... ამ კაცმა ერთი მაშრაფა შარბათი დაალევიანა, ეშმაკი თავიდან ამოძვრა, უთხრა: — ეს უკვე მორჩება, ეს შენ მოქცემს შენწონა ოქროსო, ხოლო მე-ნა წავიდე, ქაზიმ ფაშის შვილი გავაგეოო. უეჭველათ შენ მოგაკითხენენ, როგორც ჰაქიმსაო, მაგრამ ატკაზი ქენი, არ წამოხვიდეო!

ეშმაკი გემიემშვიდობა, წავიდა ქაზიმ ფაშის შვილის გასაგეგბლათ. ამ კაცმა რო ხემწიფი შვილი მოარჩინა, ხემწიფიმ დაუძახა თავი სახში, მადლობა გადაუხადა, თავი წონა ოქრო მისცა და გაუშვა.

წავიდა ეს კაცი, კარკი სასახლეები ააგო, დაიწყო ცხოვრება. ნახოთ, ერთი ათი ღლის შემდეგ. მოვიდა ერთი კაცი: — ფაშა გეძახის თავის სახშიო! მივიდა ქაზიმ ფაშის სახში, უთხრა: — რას შეძახდიო? თამანა აუღო. ამან უთხრა, რო: — შე რო ხენწიფი შვილი მოარჩინეო, რაც გინდა, წამართვი და შვილი მამირჩინეო!

ამან ჯერ ატკაზი უყო, მაგრამ ბევრი ხვეწნის შემდეგ უთხრა, რო: — მოგირჩენო. მოითხოვა ერთი მაშრაფა, რო წამლები უნა გააკეთოს. შევიდა გეუთან, ჩააგეტინა კარები, დაალევიანა ერთი მაშრაფა წყალი და ხელათვე თავიდან ამოვიდა ეშმაკი. ეშმაკმა უთხრა: — შე, ოჯახქორო, ხო დაგანდე, რათ მოხველიო? უთხრა რო: არ-ნა ამოვსულიყავ, მაგრამ შეგიცოდდე, ქალი ამოსულა და გეძეფსო. თუ დავიჭირა, უნა გაგატყაოსო, გაიქე აქედანაო! ეშმაკმა მადლობა გადაუხადა და გავარდა იქიდან. მუარჩინა ამან ქაზიმ ფაშის შვილიც. აიღო ფაშამ და ერთი ახჩა ბაღჩა აჩუქა. დაჯდა ამ კაცმა და იმუა ჰალალი ლუქმა და იცხოვრა. ეშმაკი კი გაშა და წავიდა. ასე მოიშორა თავიდან ჰირი საწყალ კაცმა.

სოფ. ქილდა

## 75. ასპიტი ცოლი

ერთ-ერთ სახენწიფოში ერთი ხენწიფე იყო. ცოლი ყამდა ძრიან ასპიტი, ეგეთი ავი იყო, რო თუ კი დაიწყებდა, ბოლო არ მე-

ელეზობოდა, სამი დღე უნა ელაპარაკანა. ამ ხენწიფემ იფიქრა: — მე რო გავანებო ჩემ ცოლსა, სხვებიც წაბაძებენ და ეს არ გამოვა ლამაზიო. ასე თუ ისე ცოლ ყაპრი უნდა გაუწიოო. ამ დროს ქალი დაორსულდა, დაუძახა ბებიფეს და უთხრა: — ბებრებო, იცი თქვენ რას დაგავალამო, თუო ქალიშვილი ეყოლაო, მაშვე დაახჩეთო, თუ ვაჟიშვილი ეყოლა, გავზარდოთო!

იქნა, რომ ამ ქალ ეყოლა გოგო. ამათ იფიქრეს (ამ ბებრებმა), რო: ეს ბავშვი რო მოვკლათ, ცუდი ჩვენ დეგვედება, მოდი ამას გავზდი, დიდი რო გვეყოლებო, ხენწიფე რალას გვეტყვისო? ხენწიფეს უთხრეს, რო: — ვაჟიშვილი გეყოლაო! ხენწიფესაც გეხარდა. ამათ მიუდა მისცა და დაიწყეს ბავშვის გაზდა. როცა გახდა თორმეტი წლისა, გაგზავნა შკოლაში. ეს გოგო თერაზეტი წლისა რო გახდა, ერთი მოწათფე შეიყვარა ამანა. მოვიდა მასწავლებელმა და უთხრა ხენწიფეს, რო: — თქვენი შვილი კაცურ ფორმით მოიყვანეთ შკოლაში, ჩვენ ბიჭი გვეგონა, ბიჭათ გვეყვანდა ჩაწერილი, თურმე რა, რო გოგოა და შეიყვარა სხვა ბიჭი. იეხლა თქვენ გატყობინამთ, ჩვენ არათფერი ბრალი არ დეგვედოს, რაც გინდა, ის ქენიო! ხენწიფემ შეატყობინა თავის პატარა ძმას, უთხრა, რო: — წაიყვანე, ამას ტყეში მიატყერ თავი და გადაადგეო. პერანგი სისხლში მოთხობუნე და ჩამოიტანე ჩემთანაო! ეხლა ბიძამისმა იფიქრა: — ე რო მოვკლა, ცუდია, თუ არ მოვკლა და ეს გოგო ეგრევე მივიდეს, მე ხენწიფე მოუკლავ არ გამიშვეფსო.

გოგო ერთ უდაბურ ტყეში შევიდა, ნახა ერთი ქოხი. ნახა, რო ერთი კოჭლი დევი ზის, უთხრა, რო: შენ აქ რა გინდა, ეს ადგილი ვისია. რათ ხარ აქაო? დევი უთხრა: — ჩვენ შეიდი ძმანი ვიყავით, ექვნი წავიდნენ ყარამანთან საბრძოლველათ, იმან მამილა ექვსივე და მე დავჩი აქაო. ამ მიწეფს მე ვამუშავამ და ვთესამ და ვცხოვროფო: ამ ბიჭმა იფიქრა, რო: — ჩემი საცხოვრებელი ბინა ეს არი, უკვი დავრჩები, ჯერჯერობით აქ ვიცხოვრამ, პალბათ ბოლოს რამე იქნებაო.

ამათ დაიწყეს აქ ცხოვრება. ამ კოჭლ დევს შერშას აპობინებენ, წყალ აზიდვინებენ და არიან ერთათ. ერთ წლის შემდეგ ამ გოგომ ეს კოჭლი დევი შეიყვარა. შეყვარები მერე ამას ფიშტამალი დაუმოკლდა. იფიქრა, რო ჩემი ბიძა რო გაიგეფს, მე მოუკლელ არ გამიშვეფსო. მოდი, რა ექნა, რა მოვიგონოო? ამ დევს მოელაპარაკა და მოინდომეს ბიძის მოკვლა. ერთ დღეს, ნამძინარეგზე, დაარტყეს თავში დიდი მამა. ეს კაცი დაბნდა. იფიქრეს, რო აქ რალათ უნდა მოკვდეს, თავი ცხენზე მაგრათ დააკრეს საბლით და გააგდეს.

ცხენი ნაფთხობი მივიდა ერთ სასახლეს, გამოვიდა სახლი პატრონი, ნახა, რო კაცი თავპირ-დამტვრეული, ცხენზე მიკრული, ვარეთ არი. ჩამოიყვანეს კაცი, ხელ-პირი დააბავინეს, შეიყვანეს სახში, ჩააწვინეს ღოშაკში. ამას უწამლეს, ერთ თხუთმეტ დღეში მოარჩინეს, კაცი ადგა მორჩენის შემდეგ და წავიდა თავი ძმისწულთან. დევს უთხრა: — შენ არაფერი ბრალი არა გაქო, ეს ქალი ბრალიაო, ამოიღო ხმალი, თავი მოჭრა, დევს უთხრა: რაგორც გიცხოვრია, იგრევე იცხოვრეო. დაბრუნდა და მოვიდა იმ სახში, რომელ სახშიც მოარჩინეს. იმათ ერთი გოგო ყავთ გასათხოარი. ამან ეს გოგო ითხვია, ცოლათ აიყვანა და წამოვიდნენ თავი სახენწიფოში თავი ძმასთან. რო მოვიდნენ ქალაქში, მახარობელი წავიდა ხენწიფესთან, მივხარობლამ და ცოტა რამე ფეშქაშ მომცემსო. უთხრა, რო: — დიდებულო ხენწიფე, შენი ძმა და შენი ქალიშვილი მოდიანო. ხელათ ამ მახარობელ თავი მოჭრა. ხენწიფემ გაგზავნა ჯალადები: — ორივეს თავი მოშპარით, რომ იმათი სახე არ დავინახოო (ასი წელიწადი რო გავიდეს, გაფუჭებული რძე არ გასუფთავდებაო).

წავიდნენ ჯალადები. ამ ბიჭმა უთხრა: ეს ქალი ხენწიფი ქალიკი არ არი, ჩემი ცოლიაო, ის უკვე მოვკალიო. მაშინ მოიწვია ხენწიფემ ორივე. ამ კაცმა დააბეჯითა ხენწიფე, რო ის მოკლულია და ეს სხვა ცოლათ შეურთია. როცა ხენწიფემ გამოირკვია, მაშინ დააჯდუნა თავი ძმა და უთხრა: — მე იმდენათ გამწარებული ვიყავი ჩემი ცოლიდანაო, გაზდილი შველი მოსაკვლელათ გამოვიმეტეო. ეს იმიტომ ვქენი, რო როგორც მე მაწვალეფს და მტანჯამს ჩემი ცოლიო, ისიც, სადაც წავიდოდა, სხვასაც ეგრე დაჰტანჯემდაო. სოფ. ქილდა

## 76. ბეჟანი

აფრასიონ ხემწიფესა ერთ მხრიდან ტახი შემეეჩვია. აფრასიონმა თავი ლალას — გივს — დაჰკითხა: — რა ვქნათ, გიო, რაგორ მოვიქცეთ, რაგორ მოვიშოროთ ე ტახიო? გივმა მოახსენა, რომ ჩვენ სახემწიფოში ერთი გმირი ბიჭი გამოსულა, ისიც არი ჩემი ძმისწული, სახელი ეწოდა ბეჟანი, დავიბაროთ და ის ვაომოთ ტახთანო:

ბეჟანთან ფეხით საი გაუგზავნიათ (უწინა არც მაშინა ყოფილა და არც არაფერი). საი მივა იმ კაცთან (ბეჟანთან), ეტყვის:

— აფრასიონ ხემწიფე გდომულოფსო. ეტყვის: — რა საქმე აქსო? — აფრასიონის სახელმწიფოში ტახი შემეეჩვია, ვერავის



უომნია და შენ უნდა წამოხვიდეო. ეს ეტყვის: — მე შემძლიან ტახთან ომიო.

ადგებიან ესენი და მოვლენ აფრასიონ ხემწიფესთან. ხემწიფე რომ ნახამს ამას (ბეჟანს), ეტყვის, რომ: — შენ ვაჟიკაცი ყოფილხარ, ახალგაზრდა, შენ რაგორ შეგიძლიან ტახთან ომიო, მე რა სამსახურინა გამიწიო? ხემწიფე მინც ეტყვის ბეჟანს: — ერთ ყურესა ტახი შემემეჩვია და შეგიძლიან ომი იმასთანაო? ბეჟანიც ეტყვის, რომ შემძლიანო. — გზა რომ არ იციო? — გამომატანეთ ერთი კაცი, შორეახლო დადგეს და მითხრას: აი, ეს ადგილია, სადაც ტახი არისო.

ამათ (მეფემ და მისმა მოხელეებმა) თქვეს, რომ ბეჟანს თავისი ბიძა — გივი — გაატანოთო.

ბეჟანს გივის გაატანებენ. ესენი წაიღებენ პურს, ღვინოსა, აიკიდებენ, მივლენ თავენტ ბინაზე. გივი უჩვენებს ბეჟანს ადგილს და ეტყვის: — აი, შეილო, ეს არის ადგილიო. როცა ტახს დრო მოუა და წამოვა ტყიდან, დახედი და ეომეო!

გივი აიღებს ხურჩინსა, ავა ხეზე და იქ არი, ბეჟანი კი ეომება ამ ტახსა. დახოცამს, დაპლიტამს. ბოლოს ქუჭკი ღორები დარჩებიან, ესენიც გაიქცევიან.

ბეჟანი სამი დღე და ღამე ეომება ამ ტახსა. მეოთხე დღე რომ გაუთენდება, მოჰხედამს, რომ აღარ არი ტახი, აღარც ბიძაი და აღარც სხვაი. შეხედამს, ხეზე ნახამს ბიძას. — რას შვრები ბიძაო? — რა ვქნა, გენაცვალოს ბიძაი შენაო. აქა ვზივარ, გიცდი შენაო.

— ხურჩინში გაქ რამეო? მშივაო. ჩამოვა ე კაცი, ჩამოიტანს ხურჩინს და დაიწყებენ სმასა და ჭამას. შუა პური ჭამაში რომ შევლენ, ამას (ბეჟანს) მოუა ძილი, დაიძინამს. გივის ველარ გაულვიძებია ე კაცი. დახედამს ბიძა, რომ ამან დაიძინა, ეშინიან. ხვალ მოვლენ ტახები, შეშკამენ ამას. იფიქრა: მე რაღას ვზივარ ექა. ბეჟანს შემოხსნის ეშვეფს (იმის ნიშნებს, რომ ტახები დახოცილი იყვნენ), დაიკიდამს და გასწევს აფრასიონ ხემწიფესთან. (ამას აქ ეძინოს).

გივი ივლის, ივლის და ჩავა თავი სახემწიფოში. მოახსენამს აფრასიონს: — ყმაწვილი კაცი იყო, ვერ გაუძლო ტახთან ბრძოლას და ბოლოს მე დავხოცეო, ბეჟანს წავართვი ყველაფერი, მაგრამ ერთი მძიმე ხმალი ჰქონდა, ვერ მევეერიე და ვერ წამოვიღე, დანარჩენი კი ავიღე, გამოვსწიე და ჩამოვედი შენთანაო. ხემწიფიდან რაც საჩუქარი იყო, სუ გივმა აიღო.

მეოთხე დღეს ბეჟანი გაიღვიძამს, გამოსწევს და წამოა, მთა აფრასიონის ადგილას. რომ მივა ამი კარეფთან, ერთ აუზ ნახამს.

წყალში ჩაიხედამს, ნახამს მანიყას (ხემწიფის ქალიშვილს). რაკი ამ სახეს დაინახამს, ასეთი მშვენიერი ქალის დანახვაზე გული წაუა ამ ბეჯანს. მანიყა ჩაგზავნის გოგუეფსა და მასთან აიყვანენ ბეჯანს. ამ მანიყას ბეჯანი ეყოლება დაფარულათ რამდენიმე დღე.

ერთ დღესაც ხემწიფის მოსამსახურენი შენიშნებენ, რომ ვიღაც კაცი ყავს ამ მანიყას. ხემწიფეს მიუტანებენ ამბავს, რომ: შენ ქალ ვიღაც კაცი ყავს გვერდითო. აფრასიონი ამათ ეტყვის, რომ: რაგორ შეიძლება რომ ჩემ ქალ ვიღაც კაცი ყავდეს დაფარულათო! მერე ეტყვის თავი დარმეტყვს, ლალიეფს: — შევიდეთ და ვნახოთ. ვინ არი ეს კაციო? შევლენ, ნახებენ, რომ ემ ვაჟსა ძინამს. ვერ მუუდგებია. ბოლოს შეჰკრებენ ამ კაცსა და ჩამოიყვანებენ ხემწიფი ტახტი წინა. მერე, ხემწიფი წინ რაკი დადგება ე კაცი, ეკითხებიან: — რა გინდოდა შენ იმ ქალთანო? ესეც (ბეჯანი) ეტყვის: — ქალმა შემიყვანაო. ხემწიფე დაჰკითხეფს თავის ლალეფს: — ამ კაც რა უყოთ ჩვენაო? ზოგი ეტყვის, რომ მოვკლათ, ზოგი ეტყვის, რომ გულათ გამოვიღოთ, ზოგი ეტყვის, რომ ფიცარზე გავაჯრათ და მოვკლათო.

მაშინ წადგება ბიძა მისი გივი და ეტყვის: — გავთხაროთ ორმო მაღალი, შიგ ბეჯანი ჩავაგდოთო. ეგრე დაჯკრულოთ, რომ დღეში ნახევარი კუტალი წყალი ჰქონდეს, ნახევარიც პურიო. ხემწიფე უთხრა: — შენი სიტყვა იყოს, გიოო! ამ კაციდან კაი რამეს არ მეველითო. ნუ მოვკლანთ, აგრე იყოსო!

გათხარეს ორმო მაღალი, შიგ ბეჯანი ჩაადდეს, ზეიდან გაუკეთეს ბუტკა, ზედ დაუყენეს ხემწიფის ქალი ნანიყა.

წავიღოდა მანიყა, რაგორც ხემწიფიდან ბიძანება ჰქონდა, ყოველ დღე ნახევარ კუტალ წყალ, ნახევარ პურ აძლემდა ორმოში. ეგრე წელიწადი ყავდა ბეჯანი იქა და არჩენდა.

ბეჯანს ყამდა ბიძა როსტომი. როსტომა იცოდა ფალი. იმამ იფიქრა: ჩემი ვიღაც ნათესავი ძალიან სამწუხრო ადგილში არიო. როსტომი იყო სოეთაქარი. ადგა და წავიდა თავის მოჯამაგირეებით. იარა, იარა და მოიდა აფრასიონის ქალაქში სავაჭროთ. ამ ბეჯანმა სიზმარი ნახა, უთხრა მანიყას, რომ: გაიარე მეიდანზეო, ვიღაც ჩემი ნათესავი მოსულა, იმან უნდა გვიშველოს ჩვენაო.

ადგება ე ქალი, მივა მეიდანზე, ერთ ყურეს დადგება. ვერ გაუბედნია, რომ მივიდეს იმ კაცთან (როსტომთან). ეს კაციც შენიშნავს, რომ ყველა მიდის, ვაჭროფს, მაგრამ ეს ქალი დაფარულათ არი, არ მიდის იქა. რომ მოსცილდება ბალხი როსტომსა, მაშინ ადგება და

მივა ამ ქალთან შორე-ახლო, ჰკითხამს: ვინა ბძანდები შენაო? — მე მყავსო ტუსალი ორმოში, შენ ვინა ბძანდებიო?

— რა ქე-ან შენ ტუსალსა, შენ საყვარელსაო? ეტყვის, რო: სახე-ლათ ბეჟანი ეწოდება, როსტომის ჩამომავალიაო. ამას (როსტომს) ტირილი მოუა. გამოჰკრანს ხელმანდილში ერთ ქათამსა, სამ პურსა, ერთ ლიტრასაც ღვინოსა (ხელმანდილს ყურში ბეჭი ექნება). ეტყვის ქალსა: წაიღებ ამასაო და ეტყვი, რო შენი მშველელი მოვიდაო. ხვალ კიდე მოდიო. წაიღეფს ეს ქალი, მისცემს ბეჟანს ორმოში. ბეჟანი ნახანს ქათამს, ღვინოს, პურს, იტყვის: საიდან არი, ეს ჩემთვის არავის მიუტყიო! აღგება და მეორე დღეს ეს ქალი კიდე მივა როსტომთან. ის დრუა, რომა ამასაც გაუმგზავრებია თავისი მოჯამაგირეები, ცხენი, ჯორი, აქლემი და თითონ ჩამორჩომილა მარტო იქ. მაშინ დაუახლოვდება ქალს უფრო. — აბა, შვილო, მასწავლე შენი ტუსალის ადგილიო. მაშინ გაუძღვება ეს ქალი. ღამე წაიყვანს ეს ქალი რა მ-იყვანს ორზოს თავზე. მაშინ მივა როსტომი და ჩაჰყვირამს ბეჟანს. იქიდან ბეჟანი დაუძახამს: ვინა ხარ შენაო? ეს ეტყვის: ბიძა ვარო. — რომელი ბიძა ხარო? — როსტომი ვბძანდებიო. რო ამოგიყვანო აქედან, ხო არაფერს არ ერჩი ქალაქსაო? — ოღონდა ამამიყვანეო, ქალაქსა არაფერ არ ვერჩიო. ხემწიფეს მხოლოთ ერთ სიტყვას ვეტყვიო.

როსტომი ეუბნება: მე ღმერთან ახტქმა მიმიცია, მე ვერ ვიომებო. ელქამ დღვის ქტა ადევს ორმოსა. როსტომი აქეთ ეწეოდა, იქით ეწეოდა, ვერ გადააგდო ეს ქტა. ანთო ათი სანთელი და დაიწყო ლოცვა, სანთლები მირანდი გაქრებოდნენ, მირანდი ლოცულობდა. ბერე დაუხლა, ცოტაც მანიყანიც ეშველა და გადააბრუნეს ქტა. ამოიყვანეს ბეჟანი. წვერ-ულვაშმორეული ერთი დათვი გამხლარა (შეიდი წვლიწადი რო ორმოში იყოს, აბა რა გახლებოდა?!). ბერე მანიყამ წაიყვანა აბანოში. ხელათ აბანა, მოჰპარსა პირი. ბეჟანის იარალი მანიყას კიდობანში აქვს (სკიერი ხო იცი?). შემოაკრა წელზე, გახდა უწინდელი ბეჟანი. როსტომსა სამი ცხენი ყამდა აყვანული. შესხდნენ ცხენებზე და მიდიან თავეთ სახენწიფოში. რო ქალაქი გაიარეს, მაშინ მუავონდა ბეჟანს: არ იქნა, ბიძაო! — რა გინდა, რო არ იქნაო? — მე აკი ვთქვი, რო ქალაქ არაფერ არ ვერჩი, ორ სიტყვას ვეტყვი ხემწიფესაო. როსტომი ეტყვის: არ გინდა, შვილო, ევ ორი სიტყვაც გადავლოთ იქითაო. — არაო, რო ვთქვი, ვთქვიო. — მაშო მე და მანიყა აქ დაფარულათ ვიქნებით, შენ წადი და მალე მოდიო! ბეჟანი აღგება და მივა ხენწიფის კარებზე. ყარაულები არ შეუშვებენ ბეჟანს. სილას ერთ აქეთ გაარტყამს,

შეორეს იქით და ადგება და შევა აფრასიონის სატახტო სახში. — ვინა ხარ შენ, ბიჭო? — ეტყვის ხენწიფე. — მე ესა და ეს კაცი ვარო:

ხელშეკრული ხელში გყავდო,  
ხელშეკრული გამოძალდე,  
ავერ მიძყამს შენი ქალი,  
ვინძლო მალე წამობძანდე.

გამობრუნდება ბეჟანი და წამოა. მუა როსტომთან (თავი ბიძასთან). ცოტა იარეს, თუ ბევრი იარეს, მიიხედეს უკან, რომა ჯარი მოზღდევს უკნიდან, რო ქალი წაართვან: როსტომა უთხრა: — აკი გითხარი, ნუ წახვალო. ხენწიფეა, ჯარი გამოგვადევნა, რო გვეომნოს ჩვენაო. ბეჟანმა უთხრა: — ექაო, მალლა სერს უკანაო, შენ და მანიჟა იყავით, მე წავეალ, გავაბრუნამ იმ ჯარსა და ხელათ მოვალო.

მანიჟა და როსტომი გადვიდნენ დაფარულ ადგილში. გამობრუნდა ბეჟანი, გაუარა ჯარს, ხოცა და ხოცა. ზოგი გაიქცა და უკან გააბრუნა. სამჯერ მივიდა ჯარი ბეჟანზე, მაგრამ ვერც ქალი წაართვეს და ვერც დაიჭირეს. ადგა და მივიდა ბეჟანი როსტომთან, უთხრა:

— ადე, ბიძა, წავიდეთ, გავაფთხე ბუზებიო. ადგნენ და წავიდნენ თავეთ გზაზე. იარეს, იარეს და მივიდნენ თავეთ ქვეყანაში. ორმოცი დღე და ღამე ქორწილი ქნეს. იმ ქორწილზე გივი იყო მისული (ბიძამისი). იმ სმაში და ქეიფში ბეჟანმა უთხრა გივსა, რომა: ბიძაო, აბა, გული გადიღე, გულში ერთი ვაშლი უნდა გესროლოო. აიღო ამანაც, გული გადიღო, უთხრა: — ა, ბიძაი გენაცვალოს, მესროლეო!

ესროლა ამ ბეჟანმა ვაშლი გულში და ბეჭებში გავიდა. მოკვდა იქავ. გათავდა ქორწილი: ყველამ სვეს, ჰამეს, ადგენენ და წავიდნენ.

ეხლა ჩვენ უნდა დავიწყოთ, თუ ამ როსტომს ახტქმა რაზე ჰქონდა, რო ომი არ დაიწყო. როსტომი სუ დადიოდა და ომობდა ქვეყანაზე. როსტომი ერთხელ, როცა სახში იყო, თავი ცოლს უთხრა: აბა, მალე პური გამამიციხე, მე უნდა საომრათ წავიდეო! იმ დროს ქალი ყამდა ორსულათ. ქალს უთხრა: თუ რომა ქალი გეყოლოს, არ დამანახო თვალითო, თუ ვაჟი გეყოლა, ვიცი, ის არ დადგება და მე გამძებნისო. ჩემ ძებნაში რო წამოა, ეს (ნიშანს ეტყვის) შეაბი კლავეზეო.

ადგება როსტომი და წავა (წავიდა?).

ამ ქალ გაუჩნდა ვაჟიშვილი. რამთენიმე წელიწად მერე ეს გა-

ზდა ვაჟიკაცი. ერთხელ ბიჭეფში თამაშობს. ერთ ქალს მოაქ დოქით წყალი. ეს ბიჭეფს ეტყვის, რომა: აბა, ვინ გაისვრის ქვასა, რო დოქი გაუტეხლო? ეს ბიჭი (ზურაბი ერქვა სახელათ) გაისვრის ქვასა, მოხვდება დოქსა. ზურაბში დეექცევა წყალი. ეს ქალი დაუბრუნდება და ეტყვის ამ ბიჭსა: აი, შე უმამო, უპატრონო! ეს ბიჭი გულში ჩაიდევს ამ სიტყვეფს, იტყვის: მართლა, რათ უნდა ვიყო უმამო?! შოა დედასთან, ეტყვის: ერთი ძუძუ მამეცი, ძუძუ მწყურიაწო. მისცემს ძუძუს. კბილევს მოუქერს ძუძუს და ეტყვის დედას:

— ჩქარა მითხარი, მამაჩემი სად არი, რა კაციაო?

— მამაშენი როსტომია, შვილო!

— სად არის?

— შენ არ იცი, მამაშენი სუ აგრე დადის საომრათ.

— საომრათ ვისთან?

— დევებთან, შვილო!

ბიჭი გაუშვამს ძუძუს და ეტყვის დედას: — აბა, დილაზე გამომიცხე პური, უნდა წავიღე მამაჩემის საძებრათო!

გამოუცხემს პურსა. ზურაბი აიცილამს ამ პურსა, გასწევს და წავა. იმ გზის კიდეზე ერთი სოფელი იქნება, დაულამდება იქა. როსტომს ეყოლება იქ მეგობარი — დობილი. მივა იმასთან, დადგება იქა. ეს ქალი ეტყვის, რომ: შვილო, ეგ რა არი, რო გაბია კლავზე? — ეს ნიშანია. მამაჩემა რო დამინახოს, მიცნოფს, თუ მე ვინა ვარ. — ეგ ისეთი ძვირფასია, რო ერთ ქალაქ იყიდამს, შვილო, დავეძინება და მოქსნის ვინმეო. დაიქერს ეს ქალი და ღლიაში ამოუფარამს დაფარულათ ამ ლენტსა.

ივლის, ივლის ეს ბიჭი და მივა ერთ ქალაქში. ამ ქალაქში ჩაუგდიათ ერთი ლულულა. ერთი ვილაცა ამბობს: ან დამჭიდეთ ვინმე, ან ფული მამეცითო! ეს ბიჭიც არი ხალხში გარეული. ხალხს ეტყვის: ჰე დავეჭიდებო მაგასო (ვერც ბიჭი ცნობულოფს მამას და ვერც მამამისი ცნობულოფს ბიჭს). გავა და დეეჭიდება შვილი მამას. შვილი წააქცევს მამამის, როსტომს გალახამს. : მაშინ როსტომს ბებუდი ექნება მუხლში. ამოიღევს ბებუდსა და მისცემს მუცელშიდა. ეს ბიჭი არც მოკვდება და არც დარჩება, ცოცხალია კიდენ. როსტომი ებნევა, რო: შვილო, რა კაცი ხარ, სიდაური ხარო? — მეო სახელი მქვიან ზურაბიო, როსტომის შვილი ვარო. — სად არი შენი ნიშანო? — ექა მაქ დაფარულათო. (ხელ დადევს). გადახსნის, ნახამს, რო ჩემი მიცემული ნიშანია. ბიჭ სული ამოხდება კიდენაც, მოკვდება.

როსტომი შვილ იქვე დაასაფლავებს, ადგება და წამოა სახლისკენ. სახში რო მივიდა, ცოლმა უთხრა, რომა: — რა უყავი ზურაბიო? — შენ სანახავათ გამოვგზავნეო. — ზურაბიო მოვკალიო. — როგორ თუ მოჰკალიო! — გამლახა იმანო. მუხლში ბებუდი მქონდაო, მივეცი მუცელშიო და მოკვდაო. მაშინ ცოლმა უთხრა: — შე დათო, შე ნადიროო, მირამდი ისაო დეგეჰიდაო, არა ჰკითხე, რო ვინა ხარ, ვისი შვილი ხარო? — არა ვჰკითხეო და არც იმან მითხრა, თუ ვისი შვილი ვარო. მაშინ ეს როსტომი დაფიქრდა და თქვა: — მაშ მე ნადირი ვყოფილვარო. ადგა, გაიქცა და ტყეში მივიდა. შვიდი წელიწადი უდაბნოში იყო, ვერავინ ვერ მოიყვანა სახში.

ზურაბის მამნათლელი იყო ნათლია, წავდა ისა და იმის ხათრი დაიჭირა და ადგა და მოვიდა სახში. შეათვისეს თავის ცოლთან. იმ დროზე ახტჰმა მისცა ღმერთსა:

— ოღონდაც შვილი გამიჩინე კიდენა, თათარსაც არ ვეომებიო, აღარსად ვიჰიდამო.

იმ დროს დაადგა სოვთაქრობას.

სოფ. ქილა

## 77. პერსია

იყო ერთი ხემწიფე და ამ სახემწიფოშიც ერთი ღარიბი კაცი იყო. არც ხემწიფეს ყაჰდა შვილი და არც ამ ღარიბ კაცსა. ხემწიფემ თქვა: მე რო შვილი არა მყამს, ჩემი სახემწიფო ვისნა დარჩესო? გლებმა სთქვა: — მეც ღარიბი კაცი ვარ, ცუტა მიწა მაქ, ეს ვისნა დარჩესო?

იქნა, რო ხემწიფეს გაუჩნდა შვილი, ინ დროსაც გლებ გაუჩნდა შვილი. ამ გლებმა შვილ დაარქვა პერესია. როცა ესენი გაიზდენ, ორნივ სასწავლებლებში მისცეს, ხემწიფემაც და გლებმაც. ეს გლები შვილი ისეთი ძლავრი იყო, ხენწიფი შვილ ჰაერში ათამაშენდა. სხვებსაც სცემდა, არ აყენებდა, ტვინ უწვრეტამდა.

იქნა, მაშინ, იმ დროსა, ხალხმა მიმართა გლებსა: ესე-ესე ჩვენც ვამობდით, რო ამ კაც შვილი ყამდეს, ახლა კი რანაირი გამოგივიდაო? ან მოგვაშორე, ან რაღაც უქენ, ბავშვები ველარ მოკვიგზავნია შკოლაშიო. ხემწიფემაც უთხრა: — მოგვაშორე შენი შვილი, თუ არ მოგვაშორამ. შენ აქედან მოგსპომო! ამან უთხრა თავი ცოლსა: — რა უყოთ ამ ბოვშესაო? რო ბევრი იფიქრეს, ამათ თავეთ; გუნებაში გადაწყვიტეს: — ჩვენ ამას თავ ვერ მოუვლით,

პურ, რამეს გამოვაცხომ, ამა და ამ ალაგას ყაჩაღებია, წაიყვანე შენა და იმ ტყეში გაუშვი!

წაიყვანა მამამისმა, ერთი კვირის საგძალიც გაატანა. მივიდნენ ტყეში. ბოვშ არ უვლია ანთენი და მოსწყინდა სიარული და დაღონდა. მამის ნუხლზე დაიძინა. რო დაიძინა, ამ მამამ თქვა: — დრო ეს არისო. რაც ზაპასი ჰქონდა, თავით დაუდო, გაუშვა და წამოვიდა.

რო გათენდა, ნახა ბოვშემა, რო აღარც მამაა, აღარც არავინ. ადგა იქიდან და ერთი პატარა გზა იშოვნა, იარა და მივიდა, ერთ ორშოც ყაჩაღ მიადგა, ახლო მივიდა. ამათ ნახეს ეს ბოვშე და გაუკვირდათ: — ჩვენი შიშით აქ არავინ შოდის და ეს საიდან მოვიდა, არ ვიცითო? შეეკითხნენ: ვინა ხარ, ანუ თუ ვინ მოგიყვანა? ბავშემა უთხრა: — მე მამა მყამდა, იმამ მამიყვანა, ავდექი და მოველი აქა. რონელიც უფროსი იყო ჰარმებისა, თქვა: — აბა, ეს წაიყვანოთ ჩვენ ბინაზე, ჩვენ წყალ მოგვიტანს, ანთუ — შეშას, რამეს. მიიყვანეს ბინაზე. უთხრეს, რო: — აი, ექ მიენმარე, გაჰმევეთ შენ პურს, ნუ გეშინიანო!

ორი დღე-ღამე ასე გაატარა ამ პერესმა. მესამე დღეს, რომცა შედგა საჰმელი, ერთმა უთხრა: — პერესიო, აი შეშა მოიტანე აქაო, რო საჰმელი გაკეთდესო. ამას ძალიან ეჭავრა: — რაგორ თუ შენ ეგ მითხარიო! წამოხტა და ეს ცერი ასე ასცხო. კისერი ძირიდან მოსწყდა, ისეთი ძღავრი რაზე იყო. საჰმელი კი თითონ გააკეთა.

ამ ხანში მოვიდნენ ჰარამბაშეები, უთხრეს: რაშია საჰმე, რა დეემართა. ვინ მოკლაო? — ფეხი წამკრაო, წადი შეშა მოიტანეო: მირამდი წავიდოდი, ეს თითი ავცტე და კისერი მოსწყდაო. ამათ თათბირი ქნეს: — ჩვენ ეს გავიყენითო ჩვენთან სანადიროთ და სხვა კაცი გავაჩეროთ აქა, რო საჰმელი მოგვიმზადდოსო. გაიყოლიეს გვერდით. — აბა, ვინადიროთ ყოჩაღათ, ვინ ბევრ ირემს მოჰკლამს, ვინ ბევრ დაიჭერსო? — ყაჩაღებიდან ათი კაცი თუ ერთ ირემ დაიჭერდა, ემან ხუთი ირემი ერთბაშათ დაიჭირა. შეკრა ეს ირემები და ხარზე გადაიკიდა. რო მოიტანა სახში, მარამ ამათ ერთი გაატყავეს, ამან ხუთი გაატყავა. ჰარამბაშე ძალიან გეეხარდა, რო ასეთი ყოჩაღი, გმირი კაცი ვიშოვნეო. უფროსმა თქვა: — ეს ჩვენ დავლუპოთ აქედან, თორემ ჩვენ კარქ დღეს არ დავგაყრისო: ამათ თათბირი ქნეს: — სად წავიყვანოთო? უფროს უთხრეს: — ტყვილათ ავათ გახდი შენო. ჩაწვა ლოგინში, მოიმხრო ყველანი, ის პერესაც იქ არი. — მე გამიგონია უკვდავების წყალი არისო, რო ადამიანმა დალიოს ავათ არ გახდებოა. მამტანი ვინ იქნება, ვინ გააბედამს? რაც უნდა, მივეცემო. პერესიმ

თქვა: — მე წავალო და გზა კი არ ვიციო. ერთმა უთხრა: — გზით მე გასწავლიო.

დილით ადგა. ჩემო ბატონო, აილო რაც ჭურჭელი ჰქონდა, დაიჭირა ხელში: — აბა, ეხლა კი გზა მასწავლემო! ამ კაცმა გაიყვანა ტყის გარეთ და უთხრა: — აი, ეს გზაო, ამას დაადგები და ივლიო. რო შეხვალ ერთ დიდ ტყეში, შიგ თვალთ უნახავი ციხეაო, იმ ციხეში წამსვლელი ვნახე, მამსვლელი ველარ ვნახეო. დაადგა ეს გზასა, მივიდა ციხეში, ნახა, რო სუ ვარდით, ყვავილით მორთობილია. შიგნით შევიდა, ნახა, რო ერთი ცივი წყარო გამოდის შვენიერი. დაღია ერთი, კარგათ გაძღა, შვენივრათა. თუ ჰქონდა ერთი ძალა, მიეცა სამი ძალა. რო შეუდგა ჭურჭელი და წყალინა აამსოს, ზეიდან ერთი ქალი წამოვიდა. — რავორ თუ ჩემ წყაროდან წყალი მიგაქო! ამას დაჰკრა ფეხი მხარზე. პერესი წეწოდა, რო ქალი უნდა დეეჭირა. ქალი კი ველარ დაიჭირა, მაგრამ ამ ქალ გულმკერდიდან ოქროს ერთი სინი გამოაფარდა. ამან აილო ეს წყალი და წამოვიდა სახლიდკენა. მივიდა თავი ბინაზე, დაინახეს თავი ამხანაკებმა, თქვეს, რო: — ეს კიდე მოვიდა ცოცხალი, ჩვენ თლათ გაგვწყვიტამსო (ნახოთ ჰარამბაშმა რა-ნაქნას?). შევიდა ეს ბიჭი ჰარამბაშთან, რო კაცი ზის, ლოგინში აღარ წევს. ეს გედევხვია და თვალეფში აკოცა: — მოხვედი ჩემო პერესიაო? — აბაო, მოგართვით წყალი და ინებეთო! თავენტ უფროსი ისეთი მოხუცი იყო, რო წყალი დაღია, ახალგაზრდა გახდა. ძალიან შაუყვარდა, ისე, როგორც შვილი, ამ კაც. მოვიდნენ სხვა ამხანაკებიც, თავეთ უმფროს უთხრეს, რომ: — თუ ამას მოიშორემ, თვარემ ჩვენ ამასთან ველარ ვიცხოვრემთო. ჰარამბაშმა უთხრა: — რა ვქნათ, რავორ მოვიქცეთო? — ჩვენ რომელი სახემწიფოც გავავერნეთ, ეს პერესი იქ გავგზავნოთ, ის ცოცხალ აღარ გამოუშვეფსო! მოვიდნენ ღამე, დასხდნენ, ამ უმფროსმა თქვა: — ამთენი ყაჩაღობა გვეყოფა ჩვენაო. ერთი ქალადი დაწერა: მიხვალ ამალამ ქალაქში და ხემწიფეს მისცემ ამ ქალადსაო. პერეს ქალადი მისცა და წაშოილო. მივიდა ქალაქში. ეკითხება ხალხ: დიდებული ხენწიფე სად ცხოვრომსო? მისაწავლა იმ ხალხმაც. მივიდა ხემწიფესან, მისცა თავი უმფროსის დაწერილი ქალადი, განიხილა ხენწიფემ. სწერს უმფროსი: დავყრით იარაღსა და, რაც ვქენეთ ყაჩაღობა, დავთმოფთ და შენ წინაშე მოვალთო. დაწერა ხენწიფემ ქალადი, მისცა პერესიას: აბა, წადი და თავი მარადით, ყველაფრით ჩამბარდით, თქვენთუნ მარადიც მზა მექნება და ყველას თითო საქმემ მოქცემთო, არ გაგიშვამთ ცარიელა.



ადგება პერესია, წაიღებს ქალაქს და მივა თავი უფროსთან. განიხილა ეს ქალაქი უფროსმა, მოიმხრო თავი ხალხი, უთხრა: აი, ხეწიფე რას გვიწერეფს ჩვენაო.

გავიდა ერთი თვი, პერესი ეხვეწება უმფროს: ხემწიფემ ეს ქალაქი რომ მოქეცა, წავიდეთო. ეშინიანთ ამათ, რომ ვაითუ ხემწიფემ ჩაგვიყარა ხელში და დაქვბოცაო. მოუვიდა გული ამ პერესის და მოგლიჯა ერთი ხე: — ან-ნა გაგწყვიტო, ან-ნა წავიდეთო. შეეშინდათ ამათ, მოხვტეს, რაც ნაქურდალი ჰქონდათ და გაუღვგენ გზასა. იარეს და მივიდნენ ხემწიფი კარზე. ხემწიფეს სახლი დანაზნაჩევებული ჰქონდა მათთვის. ამაჲ ჰყამლა მოხუცი ალაშინი, ქალი, ამას უთხრა: წაიყვან ამათ, სუფთა ოთალ და საქმელ მისცემ! შეიყვანა ბებერმა ოთალში, ყველას თავისი მისცა. პური მიუტანა ინ დროს, როცა პერესმა ხელუბინა ლაიბანოს. წყაროზე სინი რომ იშოვა, დაბანი ღროს გამოვაროა და ძირ ღეცა. აილო ამ ბებერმა და ტყუილუბრალოზე თქვა: ეს სინი ჩემიაო. პერესმა ისევ გამოართვა: რას ამბობ. ჩემო ოედავ, ეს სინი ჩემიაო. ადგა და ბებერი წავიდა ხემწიფისთან. დაიბარა ხემწიფემ პერესი, უთხრა, რომ: — შენ ეს ოქროს სინი ბებრითუნ წავიერთმევიანო. პერესმა უთხრა: — დიდებულო ხემწიფე, თუ ამრანი კიდე ვიშოვე, ჩემი იქნებო. თუ არადა — მაგისაო და თავი მომქარო.

ადგა და წავიდა პერესი მეგრე სინის საშოვნელათ. იარა და ერთ სხვათა სახემწიფლოში მივიდა. ნახა, რომ ხალხი არავინ არი, სუ ქალია. იფიქრა: — რაშია საქმეო? ერთ მოხუცებულ დედაკაცთან მივიდა: — დედა, სტუმარი არ გინდაო? — რატო არა, შვილო, მე შენ არ გაგაბრუნამო. ამ ქალაქის ხემწიფეს შვილი მოუკვდაო, ღაღი ცოცხლდება, ყარაულ გზავნის და ი ყარაული სუ ქტავდება, აღარავინ მოდის ცოცხალიო. პერესმა უთხრა: — არ შვიძლება, დედა, მე წავიდე და ვიყარაულო აქაო? წადი, უთხარი ხემწიფეს, ჩემ ოჯალში სტუმარია, ერთი ჰაბუკიო, და ის უყარაულამსო, ნახოთ რას ბრძანამსო?

ნება მისცა ხემწიფემ. მოვიდა, უთხრა დედაბერმა, რომ: წადი, შვილო, ნებაჲ გაძღვესო.

ადგა და წავიდა პერესი. მოვიდა საყარაულო ბინაზედ. შუალამედი იყარაულა, ვირათერი ვირ ნახა. ნახო, რომ შუალამ მერე მოვიდა ერთი ქალი და ამ საფლავ ერთი ოქროს წკებლა გადასცხო. ადგა, საფლავითგან წამოღდა ქაცი, ამას იარშიყა. საქმელი რამე მუუტანა. პერესმა გიქანა. ქალინა დიეპირა: ქალი ველარ დაიჭირა და ხელითგან იჭროს წკებლა წაართვა. რომცა ისევ გადაჰკრა ბიჭმა წკებლა, ადგა ეს ქაცი. უთხრა ამ ხეწიფი შვილმა: ეხლა ჩემთან იყავ, მაქთენი ნუ გამაბეზრეო: შემომხედე ვინა ვარო, მე ქალი არა ვარო. დაჰკვირდა, რომ

ერთი ლომი, დევივი კაცი დადგომია: წამოიკიდა პერესმა ესა, მიიყვანა ბებრი სახში, უთხრა პერესმა ბებერ: — წადი, რომელ ტანი-სამოსაც იცვენდა, მოიტანოს ხენწიფემ, რო შენი შვილი გააცოცხლო. მივიდა ხემწიფე თავი კაცებით. რო ნახა, ძალიან გეხარდა, ტანთი ჩააცვა. ამ ბიჭ უთხრა, რო: — შვილო, ითხუე სათხოვარი, რო შვილი შამირჩინეო. იმამ უთხრა, რო: — მე შენი არაფერი არ მინდაო, ამ სინანიარი სინი გაქო? მე ამისთუნ დავდივარო. — ჩემი ნახევარი სახემწიფო შენ და ამინარი სინი არა მაქ, შვილოო!

მიილო დიდი საჩუქარი, ადგა და წავიდა პერესი. იარა და ერთ სხვათა სახემწიფოში მივიდა. მივიდა, რო ერთი გემია გაჩერებულ. — არ შეიძლება, რო იქით გვერდზე გამიყვანოთო? — არ შეგვიძლიან ჩვენაო, რამთენჯერაც პური უნა გავიტანოთ, ილუპება გემიო. — ვერ გაიგეთ, კაცო, ამის მიზეზიო? — ვერ გაგიგია, არ ვიციო. — ნება მომეცით მე გავიტანოო. მისცეს ნება. აუსვა (აუშვა) გემი, შუა ზღვაში რო შევიდა, გემა რყევა დაიწყო. მიხტა ეს ბიჭი აქეთ-იქით, გემი დაიარა, ნახა, რო ერთი ქალი აძოსულა და გემს ეტოტინება, ეს არის, რო გემინა დალუპოს. სტაცა ქალ მაჯაში ხელი, ქალი კი ველარ ამოიყვანა, ოქროს ბილაზუნვები წაართვა ხელითგან, გეიქცა ქალი. გაღმა შვიდობით გავიდა პერესი. გავიდა ხმელზე. მივიდა, რო ერთი დიდი ქალაქია და შეუდგიათ საკმლები. საკმლები რო გაკეთდა, ეს საკმელი სუ წყალში ჩაყარეს, არავის არ აჭამეს. დეეკითხა: — რაშია საქმე, საკმელი წყალში გადაყრა ვის გაუგიაო? — ჩვენ არ ვიციოთ, ვერაფერ გეტყვით, ახვალ აიმ სახში, იქ ერთი კაცი ცხოვრომს და ის მოქემს პასუხსაო:

ავიდა პერესი, შევიდა სახში, დეეკითხა: რაშია საქმე, რო ეს საკმელი შენი ყოფილა და წყალში ყრით? ან-ნა მითხრა წორეთ, ან ხმლით თავი-ნა მოგჭრაო: — მე გეტყვი შენა, თუ შენც მე მიწამლამო (ეს კაცი, საკმელ რო აყრევიანამს, ოქრომქვედელია): ეს ბავშვი, აკვანში რო წევს, იმ ქალითგან არი, ამ საკმელ იმისთვინ ვაყრევიანამ, ეგები კეუაზე მოვიდეს ეს ქალი. რო წყლიდან ამოვიდესო. — მე ამოვიყვან მაქ ქალსაო. თუ ნებად მამცემ, ამ ბოვშ ხელში მე ავიყვანო. მისცა ნებაი. აიყვანა ბავშვი, წაიყვანა, ჩავიდა წყალში. პერესმა ეს ბავშვი წყალში ატირა. იგრძნო დედამისმა, რო ეს ჩემი ბავშვია. რო მოვიდა ბავშვთან, პერესმა სტარა თმაში ხელი, უთხრა: — აი, შე უსვინდისო, შვილისთუნ თავი დაგინებებია და წყალში იმაღლებიო? ქალმა უთხრა: — რა ვქნა, ჩემ ქმარმა გამაჯავრა და გიკებუტეთო: — ხმლით თავი მოქჭრა თუ დაჰბინავლებიო? — არაფერი არ მიქნა, დავბინავლები, ბავშვსაც ყურ უგდებ და ჩემ ქმარსაცო.

მოიყვანს სახში, ამ ყვინჩსაც (ოქრომქედელ) გაუხარდება ძალიან. ყვინჩმა უთხრა: ითხვიე, სათხოვარი რანა მოქცეო? — არაფერი არ მინდა შენით, ემ სინიჰნაირი სინი გამიკეთე, ან იშვიე სადმეო — ერთ სახემწიფოთ ღირს ეგ სინი და მაგაზე ვერ შექპირდები და თავი მამქარიო. წყლი ქალმა უთხრა: — ჰალა, ვნახოთ ეს სინიო. ნახა, მიიღო ქალმა ეს სინი: — მაგას ძალიან ადვილათ გაშოვნიხემო. ეგ სინი არი ქაჭეთი ხემწიფისაო. იქ ხემწიფი სამი ქალი ცხოვროზსო, უთვალავი სინიც ექნებათ იმათაო, ახლა ვაჟიკაცობა შენშია: თუ გადახვიელ და იმ ქალეფთან მიხველიო, ნამდვილათ იშოვიო. — ერთი გზა მასწაველ, როგორც რო და-ძმასაებ ამოგიყვანეო.

ა:წავლა გზა წყლის ქალმა. ადგა და წავიდა პერესი. მივიდა ციხესთანა, ადგა და გავიდა ციხეს იქით. — ოჰ, — მეეწონა ყველაფერი, — რა გინდა სულო და გულო, ნამდვილი სამოთხე ყოფილა ეს ადგილი!

ადგა, ჩავიდა ოთაღში. რო შევიდა, სამი ყაბით საქმელი დგა, სამი სტაქანიც ღვინო დგა. გაუკვირდა: — რაშია საქმეო? ასწია, ერთი სტაქანი ღვინო დალია. ერთი ყაბიდანაც ერთი ლუქმა ამოიღო. ადგა და სხვა ოთაღში შევიდა. თქვა, რო: — მოდი, ვიდარაჯო, ნახო, ვინ არი ღსენიო?

ნახოთ სამი ქალი მოვიდა, დაჰკვირდნენ, რო აქ ვილანც მოსულა: — აპაო, ჩემი ტაქანი ღვინო დაუღვენრაო. ერთმა უთხრა: — იქნება დაიქვა. აამსე კიღენაო! ამ ქალმა აამსო და ეუბნევა: — მე რა სადღეგძელოსაც ვიტყვი, თქვენც ის უნა სთქვათ, რაც გადაგხდათ თავზეო. მე ისა ვარ. გემებ რო ვლუბემდიო. ის ვაჟიკაცი აღღეგძელოს. მე რო გემ ვლუბემდი და კინალ გამიტაცა და ჩემი ბილაზუნგი იმას დარჩაო! აილო მეორე ქალმა: — მეც იმის სადღეგძელოს ვსვამო: ის ვაჟიკაცი აღღეგძელოს ღმერთმაო, ხემწიფი შვილ ვეარმიყებოდი, ღღისით ვკლიმდი, ღამე ვაცო(ახლემდიო, ყარაულ გემევექეცი და ოქრომ წკებლა კი წამტაცაო! ერგო რიგი მესამე დას: — მეც, ხო იცითო (ღიეფს ეუბნევა), უკვდავების წყარო მამაჩემა მე მარგუნაო. იმ ვაჟიკაცის სადღეგძელოს ვსვამ მეცაო. თან დალია, თან წყალი წაიღოო, კინალ მე წამიყვანა, ოქროს სინი წამართვა და წაიღოო!

ეს რო გათავდა, მაშინ პერესმა კარი გააღო, ამოიღო ხმალი და უთხრა სამთავი დას: — მე ვარ თუ არაო? შეხედეს და უთხრეს: — შენ ხარო: — რაგორ გინდა, გაგწყვიტო, თუ შეგინახოო? — არა, შენი თანახმა ვართო, მობძანდი და ერთი მხიარულობა დავიქიროთო. — თქვენი მხიარულობა არ მინდა, ოქრომ სინი გაქო? — შე ღღეგძელო,

რამთენიც გინდა, გვაქო. მაშინ უთხრა, რო: — აბა, წავიდეთ ჩვენ ქვეყანაში, აქ თქვენ ველარ დაგაყენამო.

აიღეს თორმეტი სინი, სხვა სინდიდრეც და წავიდნენ. იარეს და მივიდნენ იმ სახემწიფოში, შვილი რო უკვდებოდა და მერე ცოცხლდებოდა. გაუხარდა ხემწიფეი ძალიან, დიდი პატივცემით მიეგება: — აბა, ითხუე სათხუარი, პერესი, რო შენ ეს სიკეთე ქენიო! — სიკეთე არა ღინდა რა, ეს ქალი მოვიყვანე შენი შვილისთუნ ძლათ, მიიღემ თუ არა? — ძალიან პატიოსანი, მიმიღია კიდევ და თავზეც შემეჭლუნებია კიდევცაო.

ადგა და იქიდან წამოვიდა. მივიდა თავი ქვეყნი ქალაქში (საცა დედ-მამა ყამდა), ნახა, რო, ქო, მამაც ცოცხალია, დედაც ცოცხალია. რომელსაც ოქრო სინი ჩამოართვა, იმ ქალმა უთხრა: — მე შენ არ მოქმორდები, მე შენი ვარ. შენ ჩემიო! ადგა და მივიდა იმ ხემწიფესან, რომელმაც უთხრა, ეს ბავშვი დალუპეო. — დიდებულო ხემწიფე, შენ რო მღუპამდი, იმ ღარიბი კაცი შვილი ვარო. მომიყვანია ჩემი ხემწიფე შვილითუნ (ჩემი ძმისთუნ) ძალი. მიიღემ თუ არაო? — შენ რო ეგ სიკეთე ჰქენე, მივიღემ კიდევც, შუბლზეც ვაკოცემო. შენ იქნები ამას იქით ჩემი შვილის პირველი მინისტრიო. დიდი ქორწილი დაუქირა ხენწიფემ და დიდი საჩუქრებიც მისცა.

სოფ. ჩუნჩხა

## 78. მეფე და სიზმარი

ღროების ერთს, ერთ ქვეყანაში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მეფე ყოფილან. ყოლიათ ორი ვაჟიშვილი. დაუძინია ხემწიფეს ღამე, უნახამს სიზმარი: ერთი წვერთეთარი ბერიკაცი დაზღვომია თავზედ და ეუბნევა ხემწიფეს: თქვენ გაწერიათ ბედით ერთი დიდი სატანჯველი. ხოლოთ ეგ თქვენ სურვილზეა დამოკიდებული, ახალგაზღობის ღროს გინდათ თუ სიბერის ღროს? ხემწიფეს უფიქრია, რო ეს სიზმარი ტყუილია. არაფერი უთქვამს.

მეორე ღამეს კიდევ უნახამ ასეთივე სიზმარი: — შენ გეუბნევი, ახლა გინდა თუ მერეო? დილით ცოლისთვის უთქვია: — ქალო. ასეთი და ასეთი სიზმარი ვნახე და პასუხი არ მივეციო. ახლა შენ მითხარი, რანაირი პასუხი მივცე, თუ კიდევ ვნახე ი ბერიკაციო? ცოლს უთქვამს: — ახლავე მოქვეცეს, იქნებ ახალგაზღობაში გადავიტანოთო.

მესამე ღამეს კიდევ უნახამს ის სიზმარი, უთქვამს, რო: — თუ უნდა გადაქვხდეს, ეხლავე მოგვეციო!

მეორე დღეს ხენწიფისათვის მიუგზავნიათ ქვეყნის გადაწყვეტი-  
ლება: — აჭაურობა უნდა დასცალო და გადინხვეწო, აღარ გვინდებნარო.  
რალას იტყოდნენ! მოუცილიათ ბავშვებ:სთვის ხელი, რასაც რა-  
მეს დაზღაღმდენ, მოუცილიათ და წასულან. რამთენი ხანი უვლიათ,  
ვინ იცის? დაღამებით ერთ ტყეში. დაუნთიათ გზი პირზე ცეცხლი-  
რაც საგძალი ჰქონდათ, უჭამიათ ბოვშეებით ერთათ და დაუძინებიათ.

ამ დროს ვიღაც ვაჭარ ცხენ-აქლემით გამოუვლია ამათან. იმათაც  
უთქვიათ: აქ ვიღაცას ცეცხლი უნთიათ, ჩვენც გავათიოთ აჭაო. იმათ  
ახლო ჩამოუყრიათ საპალნიები, უჭამიათ ვახშამი და დაუძინიათ.

მერე ახალგაზდა ვაჭარი აანთებს სანათურს, მივა ხენწიფე! თან,  
დაჰვეირდება, რო უბრალ ვიღაც მათხოვარი კაცია, ქალი კი მწვენი-  
ერი არსებაა. დაუძახნია მსახურები, მძინარი ქალისათვის შეუტრია პი-  
რი და წაუყვანია თან. აუშლია ბარგი, აუკიდია ცხენ-აქლემისათვის,  
ქალიც აქლემის შუაში, საპალნეში, ჩაუტრია, წაუყვანია, გაპარულა.

ღალაღულ ხემწიფეს გათენებამდის სძინებია. რო გათენებულა,  
უნახია, რო ქალი აღარა ჰყავს გვერდით. ამდგარა, უცდია ცოტა ხანს,  
უფიქრია. — საცალა წასულა და მოვაო. უყვირია ქალისათვის, მაგრამ  
არ გამოჩენილა. ოთხი და ორი წლის ბავშვები გაუღვიძებია და წა-  
სულა თავი გზაზე. უვლია და ნიზღგოზია მდინარის პირს, საღაც უნა-  
გავიდეს ფეხით. გაუხდია ტანსაცმელი. უფროსი ვაჟიშვილი დაუტო-  
ვებია აქეთ ნაპირზე. უთქვამს: — დარჩი შენ, პატარას გავიყვან, გა-  
მოვალ და მერე შენ გაგიყვანო. შუა წყალში რო შესულა, მოუხედია,  
— ბავშვს რა დაემართაო? დაუნახია, რო მგელმა დაავლო პირი და  
წაიღო. პატარა შუა წყალში დატოვა ქვაზე: — შენ აქ დარჩი, მივე-  
შველოო. გამოსულა კიდურზე, მაგრამ მგელმა საცალა დაკარგა უვზო-  
უკლოთ. აქეთ მოუხედია, წყალში უნახამ, რომა მდინარემ მოსტაცა  
ი ბავშვი და წაიღო, თქვა: ოჰ, რა უბედურება იყო ი სიზმარიო! იტი-  
რა ბევრი. ადგება და წაღა. იარა ბევრი თუ ცოტა, ერთ საცალა ქალაქ  
მიადგა, შვიდა ამ ქალაქში. მივიდა ერთ მოხუცებულთან: ამალამ აქ  
გამათიებინეო ხეთის ხათრისათვინო! იმ კაცმაც მიიღო სტუმრათ. დი-  
ლით რო კარში გამოვიდნენ, გაჩნდა ერთი დიდი ამბავი ქალაქში, ყვი-  
რილი ძახილი. თელი ქალაქი მიეშურება გარით თელი ცხოვრებით. ამ  
ხემწიფემ ჰკითხა ი კაცს: — რა ამბავიაო? იმან უთხრა, რო: — ჩვენი  
ხემწიფე მოკვდა და დღეს ახალ ხემწიფეს ირჩევენო და იქ მიდის ხალ-  
ხი, ღიდ მოედანზეო. ეს იტყვის, რო: — მეც წავალ იქაო. შეერევა-  
ხალხში და უყურემს. მოვლენ დიდებულები, მეთორმეტეები, ვეზი-  
რები. მოიტანებენ ერთ რალაც გალიას, შიგ ზის ერთი ფრინველი.  
მოედნის შუაგულზე სტოლზე დაზღვამენ გალიას. გალიაში ზის დოვ-

ლატყუში, გაუხსნიან კარებს და გაუშვებენ ამ ფრინველს, ვისაც დააჯდება თავზე, ის არის იმითი არჩეული. იფრენს ეს ღოვლატყუში და იშოვნის იმ გაგდებულ ხემწიფეს, მივა და დააჯდება იმას თავზე. ამ ფრინველის მდევარი ნახამს, რომ ვილაც უცხო კაცია. მოიყვანს ამ ვეზირებთან, რომ: — ამ კაც აჯდა თავზეო. ისინი რომ ჰკითხებენ ამ კაც ვინაობას, ეს ეტყვის: — მე უცხო ხემწიფის კაცი ვარ, აქ სამუშაოთ დავღვივარო. ვეზირები იტყვიან: — რაღა ეს უბირი კაცი უნდა გვეყვანდეს მეფეთო, აქ თავადის შვილები გვეყვანანო. საცალაც გადაიყვანებენ დამალულ კუთხეში ამას. — ამ ოხერ ფრინველ, ალბათ, შეშლით მოუვიდაო. მეორეთ გააფრენენ. ეძებავს და კიდევ იშოვის იმ კაც და დააჯდება თავზე. კიდევ წაიყვანებენ და ერთ ორბოში ჩააგდებენ ამ კაც, რომ აღარ დააჯდესო. ფრინველი მაინც ორბოს თავზე დაჯდება, იტყვიან: ეს ღმერთისაგან არის მოვლენილი და ბედმა ეს მოქცეაო! ამოიყვანებენ იქიდან, ჩააბრიან სახემწიფო ტახტს, ბეჭედს, ეტყვიან: — დღეს შემდეგსა შენ ხარ ჩვენი ხემწიფეო! რა თქმა უნდა, წინათვე გამოირიღილი ხემწიფე კარქათ გაუძღვება სახემწიფოს, მოწყალე კაცი იქნება. გაუხარდება ყველას (ეს აქ იყოს).

იხლა, ბავშვი რომ მოიტაცა გელმა, ვაჟებზე გავიდა, ტიტვილ ალაგზე. მერხვარეს ცხვარი ჰყამდა. ძაღლებმა რომ დაინახეს, გელს მიჰყვნენ. ძაღლები გაუწვნენ აქეთ-იქიდან ამ ბავშვს. მეცხვარემ დაინახა, რომ ძაღლები აღარ დაბრუნდნენ, მივიდა, ნახა, ერთი კაი ვაჟიშვილი წევს. ეს კაცი ტკბილათ მოიქცა, ბავშვს დაუყვავა; — ვინა ხარ. ვისი შვილი ხარ? ეტყვის ყველაფერს. — მე უშვილო კაცი ვარ, ამას წავიყვან, თუ პატრონი გამოჩნდა, ხო მივცემ და თუ არადა ჩემი იქნებაო. იმ საღამოზე ცხვარი აღრე მირეკა სახლში. ცოლს უთხრა: — ასეთი და ასეთი ვაჟიშვილი მოვიყვანე და ვიშვილოთო. ცოლსაც გაუხარდა. პერანგში ამოიტარეს და იშვილეს.

ბავშვი გახდა თხუთმეტი წლისა. მერხვარეობა ისწავლა. ერთ დღეს მამობილი დაბრუნდა, უთხრა: — შვილო, მე აღარ შემეძლიან, აგერ ცხვარი. წადი აქუე და ასე ვიცხოვროთო.

ამ ბიჭმა ერთი კვირა იარა ცხვარში, გაბეზრდა. ერთ დღილაზე ცხვარი გარეჟა. თითონ გაუხვია გზაზე და წავილა. იარა, მივიდა ერთ წყაროზე, ჩეროსთან. ხელ-პირი გადიბანა, წყლით გული გაიგრილა, თქვა: — პატარას პურსა ვჭამო.

ვენახოთ, მეორე იმნაირივე ახალგაზდა მოვიდა წყაროზე და, თურმე ნუ იტყვი, ის იქნება მეორე შვილი, რომელიც წყალმა წაიღო. თურმე წყალმა ატარა ოა წისქვილის ღარში ჩაქანა. წყალი მოსწყდა, წისქვილი დადგა. მეწისქვილე და მენობათეები გამოცვივდნენ კარში,

დაინახეს, წყალი გადადის ღარიდან. მოვიდნენ, ნახეს (დაჰკვირდნენ), ადამიანის შვილია, თითქმის დამხვარი. ამ მეწისქვილემ გაარბეინა სახში. ცოლს უთხრა: — აბა, ჩქარა დაფაცურდი, მოიყვანე ექიმბაშები ანდა ჯანბებრები, იქნებ მოვაცოცხლოთო. ზოგმა რა ქნა, ზოგმა რა, ზოგმა ნატისუსალი გაუჩინეს, ბავშვი მოასურჩიელეს. ჰკითხეს ვინაობა. ბავშვი ტირის და მეტი არაფერი. ეს მეწისქვილეს უშვილოა. ცოლს უთხრა: — ვიშვილოთო. პერანგში ამოიტარეს და იშვილეს.

მეწისქვილემ გვერდით ატარა, წისქვილის ამბავი ყველაფერი ასწავლა. რო ყველაფერი ისწავლა, ერთ დროს მეწისქვილემ უთხრა: — აი გასაღები, კარი გააღე, მენობათე რო მოვა, დააყარე პური წისქვილზე და მიუშვი წყალი. საწყაოთი დააყარე პური და იმის მიხედვით ახიც არეო.

ამ ბიჭმა ერთი კვირა იარა, გაბეზრდა. ერთ დღით, დამიან მოვიდა წისქვილში, მიუშვა წყალი წისქვილზე, ტავარჯობით საგაღალი ზურგზე მოიკიდა და გზას გაუდგა. იარა და წყაროზე რო მოვიდა, ი ბიჭ შეეყარა, იმასაც უნდოდა პატარა სამხარი ეჭამა. პირველმა უთხრა: — მოდი აქ ჩემთან! ადგა, ისიც მივიდა, დაჯდა. — საით მიხვალ? — რა ვარი, უპატრონო კაცი ვარ, არც დედა და არც მამა მყანსო, ლუკმის საშოვნელათ მივდივარო. — ზეც მავნაირათ ვარო.

ამათ ისამხრეს და გაუდგნენ გზას. ბევრი თუ ცოტა სიარულის შემდეგ ერთ ქალაქში შევიდნენ. ერთი ბებერი და დაკაცი შეხვდათ: — ამაღამ გავვათიებინეთ შენთაო.

იმ მოხუციებულთან გაათენეს, დღით უთხრეს: — თუ ვისმეს მოჯამაგირე შპირდება, გვასწავლეო. — რაგორ არა, შვილო, ერთი ერთ მელუქნესთან დადგებით, მეორე კი — მეორესთანო. ასე იშოვით ბინასაო. ბიჭებმა უთხრეს: — ისეთი კაცი გვასწავლეო, რო ერთმა კაცმა დაგვიჭირაოს ორთავეო, უპატრონოები ვართ ორთავენი და არ გვინდა დავშორდეთო. ბებერმა უთხრა: — შვილო, თქვენ წადით და აგერ, მაღალ შენობას რო უყურებთ, ის ხემწიფის სატახტო არის. რო მიხვალთ ახლოსაო, იქ წყარო გამოდისო, იქ დევს ორი ქვა: ერთი მათხოვრისა არის, მეორე კი ელჩიქვა არისო. აქეთასა (ელჩისა რო არის) ნუ დაჯდებით, იქითას დაჯექით, ის გეტყვიოთ. — რა წყალობას თხოულობთ ჩემგანო? თქვენ რაც გინდა, უთხარითო და ის თითონ შევინახამთო.

მივიდნენ ბავშვები და დაჯდნენ იმ ქვაზე. ხემწიფემ პირი დაინახა და გამოვიდა ბალკონზე. დაინახა მათხოვრის ქვაზე მჯდომარი ბავშვები. გაგზავნა კაცი და ამოაყვავინა ორთავენი, უთხრა: — რას თხოულობთ ჩემგანო? — დიდებულო ხემწიფეო, უპატრონოები ვა-

რთ, გვინდა შენ ალაგი მოქვეცე, რო ორივემ ერთათ ვიმუშაოთო. —  
კარგიო, შვილოო (მოეწონა ხემწიფეს). თქვენი სამუშაო ეს იქნებაო:  
საწოლი ოთახი გექნებათ აგერ ესა, თავეთ ლოგინებითაო. სასადილო  
აქ გექნებათო. ადგებით, მერე შეხვალთ ამ ოთახში, აქ მასწავლებელი  
გეყოლებათ, გასწავლითო. სწავლის შემდეგ კიდევ შეხვალთ, ისამხრე-  
ფთ ისევ აქაო, სამხრის შემდეგ ჩემ ბაღში გახვალთო და ჩეროში იქ-  
ნებითო. ყვავილებზე და ბაღებზე თვალი გეპირებათ და მანდერ  
ოთახში დაიძინებთო. თქვენი სამუშაო ეგ იქნებაო. ესენი იტყვიან: —  
რა ცის გახსნას მოვესწარიო!

მიჰყენენ და ისე იყვენენ, სანამ ოზდახუთი წლისანი გახდებოდნენ.  
ხემწიფე ჯარში ასწავლიდა (ნასწავლები გახდნენ), დორეცში ინახემ-  
და თავის გვერდით.

ერთ დღეს, საღამოს პირას, ფაეტონი მოგრიალდა ეზოს კარეფ-  
თანა. ეს ბიჭები გადი-გამოდინან. ფაეტონიდან ერთი ვილაცა დიდე-  
ბული გადმოვიდა ხელში ბოხჩა გამოკრული. შიგ დარჩა ფაეტონში  
ერთი დედაკაცი, რომელსაც სილაგი ახვევია და ადამიანს პირისახეს  
არ უჩვენებს. ფაეტონს კარეფში მიეგებნენ. იმამ უთხრა: — მე ამა და  
ამ ქვიწყის ვაჭარი ვარ, ჩემი ცხენ-აქლემი ქალაქის კარეფთან დგას  
აკიდებული, ხემწიფის ნახვა მინდა ნების ასაღებათაო.

ხემწიფის მოახსენეს და მიიყვანეს მასთან. საღამი მისცა ამ ვა-  
ჭარმა: — მე ვაჭარი ვარ ამამავალ ქვეყნიდანო, საქონელი მომიტანია,  
მინდა სამი დღე ნება დამართო, ამ ქალაქში გავყიდო და ვიყიდოო. —  
კარქიო, ოღონთ შენ ვერ წახვალ ამალამ, სანამ არ მომიყვები თქვენი  
ქვეყნის ამბავსო.

მოატაინა ვახშამი. ივანშმის ლამაზათ და დაიწყეს საუბარი.

— რაგორია თქვენი ქვეყნის ანგარიში. ცხოვრებაო? ალაპარა-  
კა ეს ვაჭარი. ამ ლაპარაკმა თითქმის გასტანა მამლის ყიულამდე. სა-  
ნამდი ვახშამს დაიწყებდნენ, ვაჭარმა უთხრა: — აქ ჩემი ცოლიც არის  
კარეფშიო. თავი გაზდილ ვაყებს უთხრა: ფაეტონს შეგოიყვანთ  
ეზოში, ქალი იქ იქნება, ქალები მომსახურებას გაუწივინ, ვახშამს მო-  
ართმევენ და თქვენ უყარაულემთო! ამ ქალ ყველაფერი მიუტანეს სა-  
სმელ-საჭმელი. ეს ვაყები ღვანან ყარაულათ. მამლის ყიულამდი გა-  
აგძელეს თავიანთ ბაასი. ვაყებს გაბეზრდათ სიარული, მოვიდნენ,  
ფაეტონის კიბეზე დაჯდნენ, დაიწყეს ლაპარაკი, უფროსმა უთხრა: —  
ჩვენ ამდინი ხანი ერთათ ვართ, ჩვენ დედამა არ აკვყვანდა? ვინა ხარ  
ან შენ ან მეო? პატარამ უთხრა: — მე პატარაი ვარ. მე რა მახსონსო?  
რა გიცო, სიდაურელი ვარ, ვისი შვილი ვარო? იმამ უთხრა: — მე ოთ-  
ხი წლის ვიყავი, რალაც მახსონსო. მე ხემწიფი შვილი ვიყავო, ჩვენ



ესე და ესე ამბის გამო გამოგვაძიესო, ზნაში ერთი ვაჭარი შექვხდაო, იმანაც იქ დაიბინავაო. რო გავიღვიძეთო, დედა აღარ კვყანდაო, ბევრი უძახევით, მაგრამ დედა აღარ გამოჩნდაო, იმ ვაჭარმა მოგვტაცაო. გავბრუნდით და მიველით წყლი პირზეო. მამაჩემა მე პირზე დამტოვა და პატარა ძმა წყალში გაიყვანაო. ამასობაში გელმა მამიტაცა, მე-ცხვარემ მიშველა და მერე კი გამოვიქეციო. — ბიჭო, შენ ხო ჩემი ძმა ხარო! უთხრა პატარამ და გადაეხვიენენ.

ამასობაში ის დედაკაციც უსმენდა და უთხრა: — თქვენი დაკარგული დედაც მე ვარო. გადაეხვია ამათ და ჩაიკრა გულში. ბევრი ესურვილეს ერთმანეთს და სამთავე დაეძინათ ფაეტონშივე.

ვაჭარი რო განოვიდა, შეხედა, რო ეს დევით ვაშკაცები ჩაჰკრიან მის ცოლს, გაბრუნდა ხემწიფესთან: — ესეთი ამბავი მომხდარა აქაო!

გაბრაზებულნი ხემწიფე გამოვარდა, ჯალათები დაუძახა, ნახეს, რო მართალია. ჯალათებს უთხრა: — წაიყვანეთ ეს ქალი, ცალკე დაამწყვდიდევთ და ეს ბიჭებიც ცალკეო! ვაჭარს უთხრა: შენ წადი შენ ბინაზე. დილით სასამართლოზე მოდი აქაო.

გათენდა დილა, მოიწვია ხალხი: — სასამართლო დღეს ჩემი ხელით უნდა გადაწყდესო. ვაჭარი იქვე დასვა. ქალი და ვაუებიც იქვე დააყენა. ქალს მიუბრუნდა ხემწიფე: — შენ, დედაკაცი, წუხანდელი ამბავი შენი სურვილით იყო თუ ძალითაო? ქალმა უთხრა, რო: — ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ზაგ საპართალს დავესწარიო, ხოლოთ უპირველესათ ამას ქთხოვთ, ერთი რამე შემისრულეთო: დარჩება ეს ვაჭარი, შენ, მე და ეს ბიჭებიო. კარში ჯალათები დააყენე, რო არც შემომსვლელი იყოს და არც გამსვლელიო, დანარჩენი ხალხი გაამთავისუფლეო!

ხემწიფე ამეებს შეუსრულებს. ქალმა დაიწყო: — მე ვარ ხემწიფის ცოლი. მე ამომავალ ქვეყანაში ქმარი მყამდაო, ემნაირათ სიზმარი ნახა და იქიდან გამოგვრეკესო. ღამე, ერთ ალაგას, დაღალულ ხალხს დაგვეძინაო, ამ ვაჭარმა მამიტაცაო, ჩემი სიცოცხლე იმის შემდეგ აღარ ითვლებაო. წუხელ ამათ თავიანთი ამბავი რო მოჰყვნენო, მივხვდი, რო ჩემი შვილები არიანო.

ხემწიფეც მიხვდა, გადმოხტა და თქვა: — თქვენი დამკარგავი ხემწიფეც მე ვარო. დიდი ალიაქოთისა და სიხარულის შემდეგ ხემწიფემ უთხრა: შეიდი წლის ნაბმავი მზეთუნახავი ყათირი მომიყვანეთ აქაო!

ეს ვაჭარი მიაბეს ყათირს კულზე, გაუშვეს ქალაქში და ისე დაფანტეს. იმათ კი ის ტანჯვა სიხარულით შეეცვალათ.

# ლ ე მ ს ი კ მ ნ ი

ა

აბალე ნაწ. აბა+ლე. იხმარება მი-  
მართვის დროს. აბალე, ხენწიფევე, ნე-  
ბა მამეცი, მივიღე მზეთუნახეთანაო!

აბლას-ი (მუს.) ლოცვის დროს ხელ-  
პირის დაბანა სპილენძის კურკულით.  
მაშ კარგი, ერთი აბლასი ავიღოო.

აბლაკატ-ი ადვოკატი, ვეჭილი. თბ-  
ლისში წავედი, იქ აბლაკატე და-  
ვიჭირე.

აბროხ-ი სპილენძის სურა.

აგდი-მოგდი-ი კოხტა, მოხლენილი (სი-  
არული).

აგვრა გათხოვება, ცოლად მიცემა.  
ემ ბერისათვის ოცდაათი წლის გოგო  
აუგვრიათ; ცხრა მმას ერთი და  
ჰყამდათ, ის აჰგვარეს.

აღა კუნძული.

ავაზან-ი წყაროსთან დადგმული ხი-  
საგან გამოთლილი ან ქვითყირით ამო-  
შენებული ნაღი, რომელშიც პირუტყვის  
სასმელი წყალი გროვდება. ავაზან-  
ში ერთ კილო ზეთ ჩაუშვანა!

ავანტუოფობის გაწვევა ავადმყოფობის  
გადატანა.

ავჯ-ი მონადირე. ავჯები არიან  
წასული სანადიროთ.

ავჯობა სანადიროდ წასვლა. მამამისი  
მიღის ავჯობაზე.

ათისწილათ ათასწილად. ათისწი-  
ლათ გარეთ არ ჯობია?

ათოყვა აწევა. აი, რაგორ ავითო-  
ქეო!

ათორკი-ი|ათორქი-ი პატარა, დაბალა  
სკამი. ხემწიფემ ათორკი მისცა;  
ათორკებზე დაჯდინა.

აიდნულ-ი სამშვიდობო. ვსხედვართა  
იქ, ხიდ-ზეიდან, ვითამ აიდნულზე.  
აიმართება-ა ადგება. როცა აიმარ-  
თა, უთხრეს.

აინ-ოინ-ი რალაე-რალაეა, რალაეები.  
ბავშვებისთვის აინ-ოინი უყიღია.

აიყუნცება-ა წელში გაიშლება, აიმარ-  
თება. იმათ თავეთ ლოყვა იციან:  
აიყუნცებიან, დაიყუნცებიან.

აკლანჭული-ი მაღალფეხებიანი.

ალაგ-ი საბუშაო ადგილი. გვირდა,  
ალაგი მოქცევა, რო ვიმუშაოთო.

ალაგობრივი-ი ადგილობრივი. ეს კაცი  
ალაგობრივია.

ალ-ი თაფლის ფერი. ერთი ალი  
ცხენი აბია; აუშვი ალი ცხენიო.

ალაგ-ი ალი. ცეცხლ აანთებენ, ალა-  
გი ავარდება, ზედ ხტუნამენ.

აწლავი-ი ცელის სახელუო.

ამავალ-ი|ამამავალ-ი|ამომავალ-ი ესა  
და ეს, მავანი. ამავალ დროს, ამ-  
ვალ დღესა აქ ვიყვეთ; მივდივარ  
ამამავალ ქვეყანაში; მე ამომ-  
ვალ ქვეყანაში ქმარი მყამლაო.

ამავალ-ჩამავალ-ი მავანი და მავანი.  
გვიშველეთ, ამავალ-ჩამავალის  
ქალები მოიტაცეს!

ამანათ-ი მიზარებული. ეს არის შე-  
ნი ამანათი და შენც ღმერთის ამ-  
ნათიო!

ამანდ<აი მანდ. ამანდ არის შე-  
ნი სახკარი.

ამბარ-ი ბელელი. მივიღა და ამბარ-  
ში ჩაქდა.

ამი ბიძა.

ამოხავეა ბაგიდან ბზია და თვის ნარჩენის ამოღება, ამოწმენდა, ამოსუფთავება.

ამოგვა ამოგდება, ამოწყეუტა. ამოგვა მისი გვარეულობა.

ამოლაგდ-ნენ ამოვიდნენ და დასახლდნენ. მაცხოვრებლები გამოიქენენ, ამოლაგდნენ ჩვენ სოფელში.

ამონ ამბობ. მაგას რას ამონ, გოგო!

ამონდ-ა ამბობდა. შენ რას ამონდლი? წინათ ამონდენ ხოლმე.

ამოტუნტრუჭება უცბათ თავის ამოყოფა, ამოხტომა. კობალს უთხრა: ამოტუნტრუჭელი, მეთევხეს დაარტყიო!

ამოუგ-ო (სიტყვა) სიტყვაში აქობა. მაშინ ტაშის კვრით ამოუგო სიტყვა მზეთუნახავს.

ანასკამ-ი თავხელი, ურცხვი. ანაქა კოქაობის დროს დიდი სასაროლი კოქი, — ჯილა.

ანუაიუშ-ი ზღაპრული დიდი ფრინველი. ხემწიფეს უამდა ერთი ანუაიუშუში.

აჯაზ-ი ზამთრის მოწმენდილი ღამის სუსხი, სიცოვე. აჯაზი იყო, სიცოვით მოკვდა.

აპატივებ-ს პატივს იტყმს. ბატკანი დაკლა, კარქათ მაპატრია.

არაბ-ი (ცხენი) შავი. ამათ ჰყამდათ არაბი ცხენი.

არგან-ი უცოლო. ის ხალხი ვრგანი იყვნენ.

არეზილებ-ს ლანძლავს, შეურაცხუფას აყენებს. შეილი კი დაყინებით არეზილებდა.

არნად-ი მარცვლეულის ნალეწის შესაგროვებელი ხის იარაღი.

აროვინებ-ს||არონებ-ს ატარებს, დაწყავს. მაროვინა, მაროვინა, ერთ მლაროს წინ მიმიყვანა; ბოეშვები თელი დღე არონინა.

არონა სახნავი კავი.

არუგ-ი მოხარული გამხმარი შავი

ქლიავი (ყურკა ტყბილი აქვს). მესამეში არი ორბადის ვრუგვი.

არჩება (საყვედურს) ასელება. მე საყვედურს ავრჩებო.

არხა საძოვარზე პირუტყვის სადგომი, რომელიც შემოზღუდული არ არის. არჩალ-ი ბედისწერა, ხვედრი.

ასკარ-ი ჭარისკაცი. მათში ვრიათ ოსმალს ასკრებო.

ასპიტ-ი ვადატ. ავი, ბოროტი. ცოლი უამდა ძრიან ასპიტო.

ასუნდებ-ა სენი დაედება. ამთ იფიქრეს, ამთენი თევი ასუნდებაო.

ასწევ-ს აიღებს. ასწია და ათი ფუთი პერი მისცა; ფულ თუ ვინმე მთხოვდა, ავსწედი და მივცემდი.

ატოლ-ი ღიმის (იხ.) ფესვი (ძირი), წერილი კარტოფლისოდენა იყის, მოტკობა, იჭება. ჭაუხეთისა ხილია — ატოლი და ღიმია (ხალხ.).

ატოტინდებ-ა აცოცდება, ხეზე ავა. აფაიადმ-ს (ფულს) ასესხებს ფულს სარგებლის აღებით.

აფოლოავებ-ს იოლად გაიტანს, არჩენს, აცხოვრებს.

აქელმბ-ს შლის, ასწორებს. ზამთარში ნაკელი გამოაქვთ, აქელმბენ.

აღვ-ი საწამლაკი, წხამი. ერთი დანა და ერთი შუაეც ადვი აილო; ადვი დალია და ჩაძალდა.

აღორჭლებ-ა მარცვალი ფესვებს გამოიტანს, აეჭილდება. მარცვალი თავისთავათ აღორჭლებოდა.

აჟა მიუდგომელი, მიუჯარებელი (აღამიანი).

აჟირო ვადატ. მაღალი, უშნო (აღამიანი). რა აყირო კაცი!

აშუშამ-ს მოსწამს (გვალვა ყანებს). წვიმა რო არ მოვიდეს, ყანებს აშუშამს.

აჩარქამ-ს ნაწილ-ნაწილად აქეცეს, აჩეხავს, აჭრის. ეს გველაშაპი აჩარქა.

აჩონჩხილ-ი ბაწარზე, თოკზე ასხმული.

აცოლინებ-ს აცნობებს, შეატყობი-

ნებს. ამ დროს ანბავი აცოდინეს გოგოს; ჩვენ გვაცოდინე და დავიკვრთო.

აწვიმდა აწვიმდა (ძუძუს). დედა აწვიმდა ძუძუსა.

აქრაქუპრა ერთგვარი ცერცოვანი მცენარე.

ახ-ი გადასახადი მარცვლულის დაფქვისათვის, — მინდი. საწყათო დაყარე პური და იმის მიხედვით ახიცი აიღე!

ახორ-ი პირუტყვის სადგომი, — ბოსე-

ბ

ბაბაკო ობობა.

ბადია სპილენძის კურკელი, ათ გირვანქას იტეეს.

ბადიმი-ი მიწაში ამოთხრილი და ქვიტიკრით ამოშენებული ორმოს თავსახურავი. ზედ ბადიმიზე ეწერა; ჩაადგეს ორმოში, დახურეს ბადიმი.

ბაზირგან-ი ვაქარი.

ბათმანი-ი ნახევარფუთიანი მარცვლულის ან ფქვილის საწყაო.

ბალავარ-ი||ფაღავარ-ი კარების ან ფანჯრის ჩარჩოს თავზე გრძლად გადებული გათლილი ლოდი.

ბალამი შვილო!

ბალდუზ-ი ცოლისდა.

ბანე ოდას ზემოდან დატანებული საკმელი სინათლისათვის.

ბარა ლალა, გადასახადი.

ბარათა მგლის მიერ შეკმული ცხვრის რაიმე ნიშანი (ტყავის ჩარჩენი, ფეხი და სხვ.), რომელსაც პატრონს მოუტანენ გამართლების მიზნით.

ბარტყ-ი (ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა) შვილი. ერთი ირმის ბარტყი აუძლვა წინ.

ბალდუზ-ი იგივეა, რაც ბალდუზი. მივიდა იმ ადგილს, სადაც ბალდუზი ცხოვრობდა.

ბაყვი-ი საქონლის უკანა ფეხი, — ბარკალი. კამეჩის ბაყვი ჩამოვარდა; მათარხი დამარტყი, რო ბაყვი გასქდეს!

ლი. კანუშნა გამოჩნდა, ჩვენებურებ — ახორი.

აჯილს ამოიყრი-ს ჯავრს ამოიყრის, გულს მოიოხებს. ერთ კალეე აჯილს ამოიყრით.

აჯლა 1. ქორწილის დროს ნეფე-დედოფლის სადგომად გამართული ტახტი. როცა ნეფე-დედოფალი, ნათლა შედიან აჯლაზე, აჯლის წინ ერბოთი სავსე ქოთანს დადგამენ.

აჯლა 2. ბედისწერა. ი კაცი თავი აჯლით მოკვდა.

ბაშალა წარჩინებულთა უფროსი, მეთაური. ხერთვისში მქდარა ბაშალა.

ბაქანალი-ი ქვისლი. ბაქანალები ჩამოაველიდნენ ხოლმე.

ბაპრა მოსავლიდან ბატონისათვის გადასახადი.

ბებე ბებია.

ბებერა ბებია. ბებერა ჩემი იტყოდა ხოლმე...

ბედიავათ ტყუილუბრალოდ. საწყალ ხალხს აქმევს ბედიავათ.

ბეთარ-ი ცულ მღვთმარეობაში ჩავარდნილი.

ბეი შეუცვალეს-ს სასიძოსა და წაპატარძლოს შორის (ან მათ შრობლებ შორის) საწინდრის შეცვლა. ერთმანეთ ბეი შეუცვალეს.

ბექჩამ-ს უყურებს, უცდის, უთვალთვალებს, ყარაულობს. მივიდა სოფლი კიდურს, ბექჩამს; შენ უბექჩა მავალ დროს, მავალ დამეს! ბექჩა ამ ქალმა, რო აღარ შემოვიდა საქმარო...

ბეხ-ი (კამეჩი) ზარმაცი, ღონეგამოლეული. ბეხი კამეჩივით აბანოდან აღარ გამოდიოდა.

ბიბაბურობა უწყსო მოქცევა, შეურაცხყოფა. ვინმე მოვა და ბიბაბურობას დამიწყებს.

ბილაზუნგ-ი ოქროს სამკაული (სამაჯური). ჩემი ბილაზუნგი იმას

დარჩაო; ბილაზუხგები წართვა  
ზელითგან.

ბინა ის აღილი, სადაც ერთი ფარა  
ცხვარი მოთავსდება. სამი ბინა ცხვა-  
რი მყამდაო.

ბინიგ-ი ერთგვარი ყვევილოვანი  
შეცენარე.

ბინილამ მავრე არი თავიდანვე ასეა.

ბინხ-ი პატარა ხერხი.

ბოზ-ი სერი, რუხი (ხარი).

ბოლათ ბლომათ. თევზი ბოლათ  
მოიტანა; ცხენს აქამეთ ქერი ბოლათ!

ბოლო ამოაფხიკეა. კილობან ბო-  
ლო ამოაფხიკეა.

ბრუტუნა მხედველობა დაქარგუ-  
ლი, — ბრმა, ბრუციანი.

ბულვარდ-ი იგივეა, რაც ბულვარ-  
დი. დილაზე მოხვალ ბულვარ-  
დრიო!

ბულულ-ი თივის ან ძნის პატარა  
გროვა. 15—20 ასეთი ბულული შეად-

გენს ძირს, ხოლო 50—60 ძირის შე-  
ერთება იძლევა თაიას. სათივებში  
ყოფილან, ბულული ბიდან გამო-  
უყვანიათ.

ბუნე ხერელი, სორო. შეიტანა ისევ  
თავის ბუნეში.

ბუნული ბულული (იხ.). ცხენის-  
თუნე ვაძლეველით თითო ბუნულ.

ბური-ი თავსახური. დაბერეს ორმოს  
ბური და ორმომი დარჩა.

ბურიყურუობა||ბურიყურუობა ანგარიშ-  
გაუწველობა, გაუგებრობა.

ბუტა ფეხსადგილი. გათხარეს ორ-  
მო... ზეიდან გაუქეთეს ბუტა.

ბუბუ ბუ.

ბლავილა პირტუყვი (თხა, ცხვარი).  
არა მყავს არც კატა, არც ბლავილა,  
არც შვილი.

ბლარი-ი ბავშვი. მე მაშინ ბლარი  
ვიყავი; ბლარი ათხუთმეტი წლისაა;  
გამიზარდე ეს ბლარი!

### 3

გააზნგინამს-ს გამმდიდრებს. ოლონც  
ამამიყვანე და შენ გააგაზნგინა-  
მო.

გაამაუება გაჯერება. ტარიელი ამა-  
ზე გაამაყდა.

გაანადირებ-ენ სანადიროდ წაიყვა-  
ნენ. ქორწილი რო გათავდება, ნეფეს  
გაანადირებენ.

გაარაზილებს-ს ვალანძლავს, შეურაცხ-  
ყოფს, შეარცხვენს.

გააროვინებს-ს გაატარებს. დევებმა  
გააროვინეს ერთი ქალა.

გაატორღალილებს-ს გაძარცვავს, გა-  
ამიშვლებს.

გააფუქებს-ს მოკლავს, მოსპობს.  
უცეფ მოვლენ და გამაფუქებენო.

გააცხრევენებს-ს ცხრილში გაატარე-  
ბინებს, — გააცხრილინებს. მიწა გა-  
აცხრევენა და იპოვა.

გააწითლამს-ს ცეცხლზე შესწვამს  
(ხორცს). ი ქალი ერთ ხარ გააწით-  
ლამს.

გააწილალებს-ს გაანაწილებს. ამათ გა-  
აწილაღეს ჯარი.

გაბეზრდება-ა შეწუხდება, მოსწყინ-  
დება, მობეზრდება. გაბეზრდება  
პური ცხობით; რათ გაბეზრდი აგრე  
ადრე? მაქთენი ნუ გამაბეზრეო;  
დედაჩემ წაუყვან, აღარ გაბეზრდე-  
ბა.

გაბეჩდება-ა გამეტრდება, გაკვირდე-  
ბა, განცვიფრდება, გაოცდება, უაზროდ  
გახდება. ეს ხემწიფე გაბეჩდა.

გაბრუი გაბრუნდი. გაბრუი, გოგო,  
არ დამენახო!

გაგულავს-ს დაახრჩობს.

გადააგებს-ს მთლიანად მოახმარს. ჩე-  
მი ქონება სუ იმას გადაავაგე.

გადაალაბიჭებს-ს დიდი ნაბიჭით გა-  
დავა, გადააბოტებს, — გადაალაჭებს. კა-  
რები გაიღო და გადაალაბიჭა.

გადააყრუებს-ს. გულს გადააყრუებს.  
გაერთობა, თავს შეიქცევს, — გულს გა-

დაყოლებს. გული უნა გაღვეყრუ-  
ებინა.

გაღბრუნებულ-ი სარწმუნობაშეც-  
ვლილი, განდგომილი, გათორებულა.  
ზოგი იმათგანი ქართველობიდან გა-  
ღაბრუნებულე ბი იყვნენ.

გაღაზრიზამ-ს გადაეკეტავს. გადა-  
ზრიზა კარები შეიღობით.

გაღაირკვევა-ა გაღაირჩევა. გადა-  
ირკვევა დიკის მარცვალი.

გაღაღაგდები-ან საცხოვრებელ ად-  
გის შეიცვლიან, გაღასახლდებიან. გა-  
ღავლაგღით ბაკურიანში.

გაღაუენჩულ-ი თავგაღაბრილი, გა-  
ღაყირაყებულა.

გაღაცინდები-ან იგვიეა, რაც გა-  
ღაღაგღებანი. ავღეაოთ ჩვენ ცა-  
რიელა და გაღაღაცვინდით, ვარ-  
ძიაში ჩამოვდით.

გაერსიანდებ-ა გაბრაზდებ, გაჭე-  
რდებ. ვაქარს გული მოუვიდა, გაერ-  
სიანდა და უთხრა.

გაერსიანდებულ-ი გაბრაზებულა, გა-  
ჭევრებულა. მაშინ გაერსიანებუ-  
ლი წამოსულა; გაერსიანებულა  
ღაბრუნდა სახლში.

გაეზმაურებ-ა გაუძაბებს, ეტყვის,  
ბაზინს გეეზმაურა, ქრაქი აანთო!  
გაეზრასუნებ-ა გაეზახუნება.

გაეზან-ი საბიჭვი ჭოხი. ერთი ბერა  
კაცი მოვიდა ხელში გაეზანით.

გაზებ-ენ (მხოლოდ მრ-ში) ებრძვიან.  
ეშმაქი და ეს ქალი ერთმანეთს გა-  
ზებენ.

გაზელ-ი მტაცებელი ფრინველია.

გაზენგინდებ-ა გამდიდრდებ. ჩემი  
ქონებით გაზენგინდაო.

გაზეთავ-ს გაატურებს, გააპარებს.  
ჩასვეს კიღობანში ეს ქალი და ზღვაში  
გაზეთავს.

გაზეფთავ-ს იხ. გაზეთავს.

გაზებარცებ-ა გაიშხლართება; მოკე-  
დებ. რაგორც ვირი, ისე გაიბარ-  
ცა; ნახა, რომ ერთი ვაჭრკაცი გა-  
ბარცულა.

გაიგობცებ-ა გაიქურდებ. ხემწიფეს-  
ქონება გაიგობცა.

გაიგორფებ-ა ყველა ერთიანად წავა.  
ეს ხალხი მოვე გაიგორფა.

გაიმზრომ-ს გაიმზობს. ეფოს შვილ  
გაიმზრომს, ეტყვის,

გაისულრებ-ა მოკვდება.

გაიუენიებ-ს გაიყოლებს. ჩვენ გა-  
ვიყენით ჩვენთან სანადიროთ.

გაიქიმებ-ა გაღატ. მოკვდება.

გაიხსომ-ა გაიხსენა, მოიგონა. აქ  
ბიქმა გაიხსომა, ღეღაჩემი რომ მე-  
უბნევოდაო.

გაქარკლავ-ს სახანეს, ნათესს ქებეი-  
საგან გაათავისუფლებს, გაწმენდს.

გაქეთებულ-ი გაღატ. გამდიდრე-  
ბული. სტამბოლში იყო ერთი გაქე-  
თებულა კაცი.

გაქერძავ-ს გაანაწილებს, გაყოფს.  
გაქერძეს ღვინოები და ორივე სემენ  
და ქამენ.

გა-კ-კრავ-ს გაემართება, წავა. გა-  
კრა და გაიქვა გზაზე; გავეკართ  
ციხიჭრისაკენ.

გაღაგღ-ა ადგილი შეიცვალა; გაი-  
და, წავიდა. ხალხი რომ გაღაგღა,  
ცოლი მივიდა; ჩემი სახლიდან გა-  
ღაგღენ.

გაღანგედან-ი მომსვლელ-წამსვლე-  
ლი. ზოგსაც გაღანგედანს აქმე-  
და.

გაღევ-ს გაივლის, მოათავებს. ეს  
ტყე რომ გაღიეს, თავი შეიღს უთხრა.

გაშან გვანან. შორიდან ვეშაპებს  
გაშან.

გაშოახამამ-ს პირუტყვს მუშაობას  
შეაჩევს. „მუშა ხარი ზამთრის პერა-  
ოდში ბავაზე აბია. გაზაუხულა, ეიდ-  
რე მუშაობას დაიწყებდეს, ხარს გამო-  
იყვანენ, გაატარ-გამოატარებენ, აბანა-  
ვებენ, ერთი საათით შეაბამენ და ამ-  
გვარად შეაჩევენ მუშაობას“.

გამოვა ენაზე ალაპარაკდება. ცხენი  
გამოვა. ენაზე; ცხენი გამოვიდა  
ენაზე.

გამოზამთრულა მეროე წელში გა-  
დამღვარი სახარე ხბო.

გამორეკავ-ს (იტყვიან აღამიანზე-  
დაც) გაწოგზავნის, გამოუშვებს (ბეერს).  
გოგობა რათ გამოგირეკიათ?

გამო-ს-წირამ-ს გამოარაზიებს. ვერა-  
ვინ ვერ გამოგწირამ-ს.

გამოწყლავ-ს გამოშიგნავს. თევზა  
მუტელი გამოუწყლავს.

გამოპაჟავ-ს გამოაოცლის, გამოსწუ-  
რავს (თაფლს).

გაუწყავ-ს ბუმბულს გააცლის, —  
გაუტავს. ფრინველები გაეკუწყა-  
ვი და მოვხარშევიო.

გარეწალ-ი ოდის მოპირდაპირე კედ-  
ლების თავზე გარღი-გარდმო გადაბუ-  
ლი ძელი (კოტი). ორ ასეო ძელზე გა-  
წყობილია კვანტები.

გარიან-ი იხვის მსგავსი გარეული  
ფრინველი. თავზე წითელი ბუმბული  
აქვს, კისერზე — ცისფერი, გულზე  
კი — თეთრი. ბაყაყითა და თევზით  
იკვებება.

გარსიანებულ-ი გაჭაგრებული.

გარჯა ურმის დედნების შემეგრთე-  
ბელი ხე.

გატარალბულ-ი ტარალით (იხ.) გათ-  
ლილი, გასუფთავებული (ქვა).

გატისნავ-ს გვისინჯავს (პერანგს  
მკმენარისა და სხვათაგან გასუფთავე-  
ბის მიზნით), — გახილავს. მე პერანგ  
გაეიხდი, შენ გატისნავ; მერე დის  
პერანგი ძმამ გატისნავ.

გაურ-ი ურჯულო, — ვიურ-ი. ამ გა-  
ურებს რა დღეს დაემართავ!

გაფიშმანდებ-ა ინანებს.

გაღვედვა გაევეთილი ქალამნის თას-  
მით გამოეკრვა.

გაშებ-ა გაიქცევა. ეშმაკი კი გაშა.  
პა და წაეიდა.

გაცეცელავდებ-ა განცეცფრდება,  
გაშტერდება. გაშალა ისეთი სადილი,  
რო ხემწიფე გაცეცელავდა.

გაწინჯავ-ს გამარგლავს (ხახვს).

გაწკიამ-ს მოამზადებს, წესრიგში  
მოიყვანს.

გაქანავებულ-ი გაუთოხნელი, და-  
უმუშავებელი, გამაგრებული (მიწა).  
ეს მიწა გაქანავებულა, კორდო  
გამხლარა.

გაზერგავ-ს გარიყავს. კიღობანი გა-  
ხერგა არალეთის მთაზე. წყალმა გა-  
ხერგა და ერთ კიღურზე გააჩერა.

გაზვიანდებ-ა გაჭაგრდება, გაიბურტება.  
გაჭერებულ-ი გაბეზრებული.

გვემშვიდობ-ნენ დაემშვიდობნენ  
(ერთმანეთს). ერთი ნეორეს გვემ-  
შვიდობნენ.

გენიშათ განიერათ, ფართოდ. ახლა  
გენიშათ ვართ.

გერგელა თავზე ლეჩაქის დასამაგ-  
რებელი, — საკრავი.

გეყურანენი გენაცვალე! შენი ჰირი-  
მე! რა ვქნა, გეყურბანე, თავს ვე-  
ლარ ევლებ!

გეჭაზარავ-ი დამის სიბრძავე, ქათმის  
ავადმყოფობა.

გვანჯ-ი || გონჯ-ი უვარგისი, ცუდი.  
გვანჯი დრო იყო; სოფელში გონ-  
ჯი წვიმა მოვიდა; მოგვაშორე, გონ-  
ჯი სუნი უღისო!

გვერდ-ი მხარე. ემ გვერდზე არ  
წახვალ! აღმოსავლეთ გვერდზე  
ველი ყუბავის; ერთი კვირა ერთ გვერ-  
დზე წავიდა, მეორე კვირას — მეორე-  
ზე; მოჰყენენ ერთი გვერდიდან.

გვირგვინა ცხენის ფეხის ქვედა სახ-  
სარი.

გზავნებ-ს გზავნის. ბავშვებ ვგზავ-  
ნებ, მაგრამ არ ჩამოდიან.

გინალა ავადმხსენებელი, მაგინებ-  
ლი. ეს კაციც იმაზე გინალა გამოდ-  
ბა.

გინგლიანი ახლად ბუმბულგამოსუ-  
ლი.

გოგო ქალი, ქალიშვილი.

გოროხ-ი გამხმარი მიწის გროვა.  
„ღმერთო მოგვეც ტალახი, აღარ გვინ-  
და გოროხი“.

გოძო მოკრილი ხის ნაწილი, კუნ-

ძი, რაზედაც სხდებიან ან შეშას კრიან.  
მოიტანა ერთი დიდი გოძო.  
გობი მწირი, მალლობი ადვილი.  
გუგუში-მ წყლის კურკელი სპილენ-  
ძისა.

დაბეჭითებ-ს დაარწმუნებს, დააჩე-  
რებს. ამ კაცმა დააბეჭითა ხენწი-  
ფე, რომ ის მოკლულია.

დავრი-ა შეკრიბა, დაავროვა. ფა-  
შამ დაავროა თავისი ჯარი.

დაამხო-ს დადებს, დაახურავს. ზე-  
ვიდან დიდ ქვის სახურავს დაამხო-  
ბენ.

დაანლობ-ს ეტყვის, დაავალებს, და-  
აბარებს. დაანდო თავი ჯარს, წამო-  
დით და დიესიენითო თავის გოგოს  
დაანდო, კარკა შეეპყრენითო! რასაც  
დავანდობ, ის გააკეთე! ხო და-  
განდე, რათ მოხველიო?

დაასხდუნ-ა დასხა.

დაატოლამ-ს დაუმატებს; დააწყვი-  
ლებს, დააზომებს. ამ ბრილიანტებ და-  
ვატოლამ და ცარიელი წახვალო.

დააუნავრებს-ს უნავირს დაადგამს.  
ცხენები სასწრაფოთ დავაუნავ-  
რეთ.

დააყრი-ს დაუმენს, დავგაყარებს  
ჩვენ თოფი და ტყვია.

დააყურებს-ს ყურადღებას მიაქცევს;  
დააცდის. არაფერ დაუყურა და ტო-  
მარაში ჩაავლო; არ დააყურო მის  
მოკეცას, გაღახტი და აამსე!

დაამახამ-ს კაუზატ. დაამახებინებს.  
დიდ ვანოს დავამახამ.

დაახლი-ს დაავდებს, ძირს დასცემს,  
წააქცევს. ასწია გოგომ და დაახლა  
ეს კაცი.

დააქდვინ-ა დასვა. ათორკებზე (სკა-  
მებზე) დააქდვინა; დედა მისი შეკ-  
მაზეს რძლათ და დააქვდინეს.

დაბეჭამ-ს დაათვალიერებს, უთვალ-  
თვალებს. გადი, ბიჭო, დაბეჭამე, შე-  
მოივლის თუ არა!

გუთნის გაშლა მანძილის სავარაუდო  
ერთეული. მანძილი, რასაც ერთი გუთ-  
ნეული გასწვდება.

გული გადიღ-ო გული შეიცვალა.

დ

დაბეჭითებ-ა დადასტურდება, დამ-  
ტიციდება. თუ სიტყვა არ დაბეჭით-  
და, ისე არ იქნება.

დაბინავდება-ა ბინას დაიდებს; ბინა-  
ში დაბრუნდება. ხმლით თავი მოქკრა,  
თუ დაჰბინავდებიო?

დაბნდება-ა (დაბნდა) გონებას და-  
კარგავს, გული შეუღონდება, გული წა-  
უვა. ერთ კონა წყებლას რომ ზედ დაან-  
ტრევე, ის დაბნდებაო; თავში და-  
არტყვის დიდი მამა, ეს კაცი დაბნდა;  
დავბმნდი და ჩაბუარდი ცხენიდანო.

დაბრუნდება-ა შეცვლის თავის გა-  
დაწყვეტილებას. რამთენსაც ეტყვის  
ხენწიფე, არ დაბრუნდება კაცი.

დაბურვა დაბურვა; ჩაცმა. დაბუ-  
რე მალე კარები! იმ კარებს დაბუ-  
რამ შეგინდან!. მაშინდელი ცხოვრება  
იყო სმა-კამა, დაბურვა.

დაბურულ-ი დაბურული, დაკეტილი.  
მეორე კარი დაბურულია.

დაგოჟ-ა გოჭები დაყარა.

დაგროლ-ა დახარდა. დედაჩემი  
დაგრუოდა ზედა შვილიშვილს.

დადე პატარძლის დობილი, რომე-  
ლიც პატარძალს სიძის ოჯახში გაჰყე-  
ბა გასართობად.

დაეტანება-ა ხელს მოჰკიდებს, დით-  
რევეს. დაეეტანე წინა ლეკს.

დავანშმებულ-ი ვანშამგადაცილებუ-  
ლი. ღამე დავანშმებული იყო.

დაზარალება დაკარგვა, დაღუპვა. გა-  
ორგას ბივი დავვიზარაღდა.

დაზუჟა დაკუჟა. რომ დაიზუჟო,  
მაინც ვერ აიღებ.

დათესულობა ნათესი. რაც რომ და-  
თესულობა გექონდა, სუ წაიღეს.

დათოფლამ-ს დაავროვებს, ერთიანად



მხვეტს; მთლიანად წაიღებს, წაიყვანს. ისეთი თივები დაუთოფლიათ, რო... მთელი ეს ხალხი დაუთოფლიათ.

ლაიზაფთებს-ს დაიმორჩილებს, დასძლავს, ხელში ჩაიგდებს; დაიკაევებს. თამარს დაუზაფთებია მტერი.

დაინებიებს-ს დაიყოლებს; დაისაკუთრებს. ეგ ჩემი ბაღი იყო, მაგან დაინებია.

დაიოკებს-ს დაიმორჩილებს. მოწინააღმდეგე გაწყვიტა, სუ დაიოკა.

დაიფანტებიან-ს დაიშლებიან, წაელენ-წამოვლენ. მოყვრებს აქვიფამს და მერე დაიფანტებიან.

დაიფუნცებს-ს დაიხრება, დაიკუნება. ლოცვის დროს დაიფუნცებიან (იხ.) და დაიყუნებია.

დაიწვევს-ს მიიწვევს, მიიპატრუებს. მეც დამიწვიეს, სკამი მამცეს.

დაიხვალეობს-ს ხვალისთვის გადადებს, დაიტოვებს, დაზოგავს. არაფერს არ დაიხვალეობს.

დაკარქავს-ს დაიფიწყებს. აზმანაშირაც ვიციოდი, დაეკარქა; იობაშვილმა რაც იცოდა, ისიც დაეკარქა.

და-კვირდა-ს დააკვირდა. და-კვირდა ხემწიფემ ამ გლეხსა; და-კვირდა, რო ლომი დაადგოშია.

დაკრულვა დასჯა, დაწვევლა-შეჩვენება. ეგრე დაეკრულათ, რო დღეში ნახევარი კუტალი წყალი ჰქონდეს.

დაკურჩხულ-ი დაკურჩხული. ფეხები დაკურჩხული აქვს.

დალაგდება-ს (ხალხი) მოეწყობა, დასხდება; დაბნავდება, დასახლება. მილოცვის შემდეგ დალაგდება ხალხი; დავლაგდით ჩონ მიწა-წყალზე.

დალაღ-ი გზირი, რომელიც მოსახლეობას ხმამაღლა რაღაც ამბავს ატყობინებს. ერთი ფაშა არის, დალალს აძახებს.

დალაღლახაშ-ს ღონემიხდილი, მშიერ-მწყურვალი დაღის. შვილები უპატრონოთ დალალსა მამდენე.

დაღეიმებულ-ი კალით დაღუღებულ-ი; დაეკტილი, დაბეჭდილი. ერთი ვერცხლის ყუთი დაღეიმებულ-ი მოიტანეს.

დაღვამს-ს ჩაძირავს.

დაღვავს-ს ლეკვებს გააჩენს. გავიდა დრო და დათვა დაღვავა.

დაძურ-ი დოლი, დაირა. თავისი დამბური ხელში უქირაშს.

დაძირ-ი მკედელი. დამირჩების უღელზე ჩაიარეს.

დაძოლავს-ს ხნულში მწვანე ამოერევა.

დაძუხლა-ს მუხლი მოიყარა, დაიხოქა. მერე დამუხლა, მანივანიც მოეშველა და გადააბრუნეს ქტა.

დანა დაუგდო-ს დანა გაუყარა. დაუგდო დანა მუცელში.

დანდან-ი ურმის ხელნების შემაერთებელი.

დაპლიტამს-ს თეალებს ოდნავ დახუკავს, ჩათვლემს.

დარაბა ფიცრით გაკეთებული ტიხარი.

დარან-ი მიწის ქვეშ გამოთხრილი ხალხის საყოფი, მალარო: „ილიდო ქვის კარი ება, თოფის გამოსაყოფები ჰქონდა“, ხიზაბაკას ჰქონდა დარანები.

დარბაზ-ი იგივეა, რაც საციცივე (იხ.).

დარეულ-ი შერეული. ცხვარი დაკრავი დარეული გვეყვანდა.

დასაკილ-ი დასაძრახისი. მე შენი რა დასაკილი ვარ!

დასახათდება-ს დამახინჯდება.

დასახლება ცოლის შერთვა, ოჯახის შექმნა. ძმებმა თქვეს: მოდი, დაეასახლოთო. მოგვარეს ამას ცოლი.

დასივნულ-ი დასივებული. ყელუჭრი დასივნული აქვს.

დასუსულავდება-ს ძალღონე გამოეშვევა, დასუსტდება. დავებრდი, დავსუსულავდი.

დატვა-ს დატოვა. წყევსებთან დატვა-ს ცხენი.

დატივდა— ტივებივით დაეწყო. არ-  
ტანის წყალი კვდრით და ტივდა.

და(ვ)უნაგრით ცხენებს უნაგრებო  
დავადრით. ცხენები და (ვ) უნაგრეთ.

დაუნგვრთვია- დაუგროვებია. და-  
უნ გვრევი ა ყვივები, ჩიტები.

დაფანტავ-ს ნაწილ-ნაწილ აქცევს, —  
მოსპობს (ითქმის აღმოსაწეც). ლომი  
გამოქანდება, რო შენ დაქტანტოს.

დაფაშრდება-ა დაძველდება, გახმება  
(პური). ეგ პური და ფაშრდა.

დაფილვა რძის მოყვანა საკარაქედ:  
რძეს ჩასახმენ გობში, დადებენ ცივ  
ალაგას ერთ დღე-ღამეს. რძე ზედაპირ-  
ზე ნაღებს მოივდება. ამისგან კარაქს  
ხდიან. ქვემოთ კი რაც რჩება, მისგან  
ყველს აკეთებენ“.

დაქით შეცდენით, მოტყუების გზით  
დაქულვა ოდა სახლის სარემლის —  
სინათლის ჩამოსასვლელს — დაკეტვა.

დაღალ-ი (შდრ. მაღალი) დაბალა:  
მცირე შეძლებისა. მაღალი მაცხოვრე-  
ბელი რო მიდის დაღალ მაცხოვრე-  
ბელთან, დაღალ მაცხოვრებელ უხა-  
რთან და ფაციცდება, რო როგორმე  
კარგათ დაუხედეს.

დაღუამ-ს თავიდან მოიშორებს,  
დაკარავს; მოსპობს. დავდუპოთ  
აქედან, თორემ კარქ დღეს არ დაგვაყ-  
რისო; მე წავიყვან ბოვშეებს და დავ-  
დუპამო; გამოიდა ე კაცი, დამე-  
ღუპა.

დას-ძალამ-ს 1. აკობებს, დიშორჩი-  
ლებს, დაამარცხებს. შემდეგ იმათ დაგ-  
ვძალეს; მაგათ დიემატა ძალა და  
დაგვძალეს. 2. წაღებას შესძლებს.  
რასაც დახძალამდენ, მოუკიდიათ  
და წაუღიათ; რაც დაგვძალეთ, საგ-  
ძალი წავიღეთ.

დას-წვდება-ა დაეწევა. დასწვდა  
ეს კაცი და ჰკითხა; რაბათში დას-  
წვდებთან და დაიპყრენ.

დაწყობა-ა დაწყობ, დააღვა, გააწყობ.  
ხოკებრი დაწყობა გარშემო; საკმელ-  
ისმელი მიუტანეს, ყველაფერი დაწყ-  
ობეს.

დაწალიტებულ-ი დამეკებული (იტყ-  
ვიან ღოზე). დაწალიტებული  
ღოც კი ვნატრებოდა.

დაწიღავ-ს შიგნულს გამოიღებს. შიგ-  
ნულისაგან გაასუფთავებს (იტყვიან  
თევზზე).

დაჭვირთვა || დაჭურთვა დატვირთვა.  
ერთ ურემზე რაც დაიჭვირთებო-  
და; ოქრო-ვერცხლი დაჭურთა და  
წაიდა.

დახვეტა-ა გადატ. ერთად თავი მო-  
უყარა, დააგროვა. დაგვხვეტეს ეს  
ექვსასი კაცი და მიგვიყვანეს ბეიანოში.

დაჩინებით დაუინებია, დაწერილე-  
ბით. ეს კაცი დაჩინებით ეკითხება,  
უნდა ყველაფერი გაიგოს.

დგომ-ი ფარდავის საქსოვი ხელსა-  
წყო.

დღიანი ურმის ორივე გვერდით და-  
დებული ძირითადი ხეები, რაზედაც  
სხვა ნაწილებია აგებული.

ღევი აი, აი აგერი! ღევი, ჩენი სახ-  
ლი!

ღემშობა-ა დაეცემა, დავარდება. გო-  
გო ჩაიყვან და დეემხო.

ღეირწმუნება-ა დაეთანხმება, დაუქე-  
რებს. ცოლი მიინც არ დეერწმუნა.

ღელიზაში-ბ ბროს წინამძლო. წა-  
მოეწიათ ამით ის დელიზაშეები.

ღემირჩხანა-სამქედლო. ბიჭი მივიდა  
დემირჩხანაში.

ღენია ქვეყანა. ჩემზე უკეთესი იქ-  
ნება დვინიაზე უკეთესი ხენწიფე  
არ იქნება დვინიაზეო.

ღვინაგვანალ-ი ქვეყანაზე უღამაზე-  
სი, მზეთუნახავი. ქალს დვინიაგვე-  
ზალს ეტყვიან.

ღვირბინდი-ღ დურბინდი. ქალს გამო-  
ატანინა დვირბინდი.

ღია აი, აი აგერი! დია, მანდერ ღა-  
ნანი!

ღიცი დაე! დიე ხენწიფეს უფრო  
გული მოუვიდეს! რადგან თავნთვინ  
მიდიან, დიე წავიღენო!

ღიეტაუნ-ა უტბად ხელი დაავლო.

საბარცხელს დიეტაცუნა და წაილო.

დინგ-ი წისქვილის ზედა ქვა.

დოლაბ-ი სახლის კედელში დატანებული კარადა, განჯინა ქურჭლის შეანახავად. ერთი რაცხა პატარა დოლაბია და ამ დოლაბში პატარა ყუთია.

დოსტ-ი მეგობარი. მიმიღეთ ტუმრათ, ჩემო დოსტებო!

დოუე უქნარა, ყყყეჩი, დოულაპია.

დოულო დუნე, დონდლო.

დოშეკამად-ი ერთგვარი საზაფხულო საკმელია: დოს მოუკიდებენ ფქვილს. მდუღარე წყალში გახსნიან და შემწვარი ხახვით შეაზავენ.

დრამ-ი სულ მცირე; ერთი ბეწო.

დუდუნა ცხვირში ძოლაპარაკე, ნიღნიღა. ერთი დუდუნა თათარი იყო.

დუზანა || დუზანა უუ-ო ოინი უყო, ანგარიში გუსწორა. აჭილი შვირს და ეგ დუზახა უყო.

დუნიაგვეზალ-ი, დუნიაგჩხალ-ი ქვეყნის თვალი, ულაშახსი. ზის როგორც დუნია გჩხალი.

დურდლო კარაქის დნობის შემდეგ დაჩენილი ნაძირალა.

დუტო თითის დაჩირქება.

დღემუდამ ყოველ დღე. დღემუდამ პატეიჩი ვართ.

დღეორ დღე და დღე. დღეორ ამ ქალ მუცელი ეზღება.

0

ენებ-ა || ეზნევა-ი ეუბნება.

ენები-ან ეძახიან, უწოდებენ. დარინდარას ებნებიან, იქ დაუყენებია.

ეგია იქნებ, ეგებ. ეგია დათას შვილები ჩამოვიდნენ, უყო ჩხუბი და სისხლი ავილოო.

ეილოაგ-ა ეამბორა. ეხეუა და ედილაგა.

ელა უცებ, მაშინვე. შენ რა ჰქენელა! ელა წამოვიდა; ელა წამოტა; უბრძანა თავი ქარს, ელა ყანა მოგლიჯეთო!

ელადრებ-ა ეთამაშება, ეხუმრება. ეს ბიჭი ელადრებოდა, ეხვეუოდა.

ელჩ-ი შავანკალი. ვინც მოვა პირველათ ელჩათ, ქალს იმას გავტანო.

ელჩი ქვა || ქვა სამოციქულო ქვა; შეფის სასახლესთან დადებული დიდი ქვა. ვისაც სათხოვარი ან რაიმე საქმე ჰქონდა, იმაზე უნდა დამჯდარიყო. მივიდა ხემწიფესთან, ელჩი ქვაზე დაჯდა; ერთი ქვა მათხოვრისა არის, შემორე ელჩი ქვა არისო.

ემზირის მასთან ახლოსაა, გვერდი-

თაა. ტყე არ გვემზრის, შეშა მოვიტანოთ.

ენაზე გამოვა-ა ამეტყველდება, ალაპარაკდება. ცხენი რო გაძლება, ენაზე გამოვა.

ენამპარტალა ენაპარტალა, ბევრი ლაპარაკის მოყვარული, კორიკანა.

ენამპარტლომა ენაპარტლომა. კორიკანობა. როდის მოისპობა ენაშაქარტლობაო.

ენდერი აი ეგერ, ემანდი!

ერგან-ი უქმრო ქალი. (ქვრივი) ან უცოლო კაცი.

ერლო ოდის სახურავზე ამოჭრილი სარკმელი სინათლისა და ჰაერისათვის.

ერთავთ ერთად, მთლიანად, ერთიანად, ერთდროულად. სამივენი ერთავთ ერთ მილით! ბავშვები ერთავთ ჩაცვინდნენ.

ერთები-ი სხვები, დანარჩენები. — ეს ერთი შუღი კყამსო? — არა, სამი შუღი მყამსო. — ეს ერთები სად არიანო?

ერთი პირ-ი მრავალი, ბევრი. ეს ერთი პირი ბავშვები ვის მიეცე? ერთი პირი ცხვარი სძოეს.

ერთი ცახე ცოტა. ერთი ცახე წყალი მამიტა

ერთი ცვარ-ი ცოტა, მცირე. ერთი ცვარი მამიდად, ოქრო-ვერცხლი ჩამოგიტანო შენა.

ერთსახელა პატარა, ერთი ბეწო, ერთი ციქნა. ესენი მუუგდებენ ერთსახელა პურსა.

ერთწამახან ერთი წამით, ცოტა ხანს. ერთწამახან დაუძახე მამაშენსა

ერთჩოლებ-ა აწყენს. ალბათ, ბალახმა ერთჩოლა.

ერთცხვინებ-ა რცხვენია. არ უთხრა ოჯღს, ერთცხვინებოდა.

ესურვილებ-ა ვალერსება, ესიყვარულება. ბევრი ესურვილეს ერთმანეთს.

ეტყვი-ან ეძახიან, უწოდებენ. ჩიტის რქეს რომ ეტყვიან, ისიც ეშობოდათ. მე ნაჩაროდლიას მეტყვიანო.

მცქირებ-ა უყურებს. ვერ მეტყვირება რიგიანათ.

### 3

ვალა აბრეშუმის მანდილი ან ხელსახოცი, — ბაღდადი. გაშალა ვალა, გამართა სუფრა.

ვალადი ნავალი, ნასიარულევი. ვალადი არა ვარ. ამ ქალაქში ბევრი გივლია, მე კი ვალადი არა ვარო.

ვარაჰიტიტა ერთგვარი ფრინველია.

ვარია სადღეებელი.

ვარიოზ-ი ორი ხელით სახმარი ურო, დიდი ჩაქუჩი. მევერე (მემრე) ვნახე ერთი ვარიოზიო; გააკეთებინა ერთიც დიდი ვარიოზი.

ვერანა აობრებული, უკაცრიელი ადგილი; ნასოფლარი. ერთ ვერანა-

ში მორეკა ხბო-ჯორი; ყველა ესენი ვერანებია, ნასოფლარები.

ვერასიათ ვალად, ნისიად. ვერასიათ შენი საქონელი გამიყილია.

ვერს-ი გზაზე დასმული ბოძი მანძილის ერთეულის აღსანიშნავად.

ვესიათ-ი დანაბარები, ანდერძი. აქამდი ჩემი და იყავი მამაჩემის ვესიათითაო, ახლა ცოლი ხარო; მე მამაჩემის ვესიათ არ გავტეხამ, უნდა მიეცე.

ვიდამ ვიღრე. ვიდამ ისინი ჩამოვიდნენ, იმათგან სამი კაცი ჩამოვიდა.

ვირიგვერდა ბარდის მსგავსი ცერკოვანი მცენარე. შემოდგომას ითესება.

### ზ

ზათი მინც, ისედაც, ნამდვილად. შემოგეისიენენ და ზათი გავიქეციო; წავიდნენ და შემა ზათი აღარ ჩაიტანეს; თუ ცოცხალი გადარჩი, ხო კარგი, თუ არადა ზათი ჩვენი ყვსმათი ხარო; თუ მოვიდა, ხო კარგი, თუ არადა ზათი რაც გინდა, უყავით; ამბავი მოუვიდა ხემწიფეს, ერთი ზათი მოკვდაო, მერემატ ფეხი მოიტეხაო.

ზანგალ-ი ტყავისაგან შეკერილი წვივის სამოსი, — ვეტრი.

ზანზალაკ-ი || ზანზალუკ-ი პატარა ზარი, რომელსაც ხარს, ცხენს ან ცხვარს კისერზე ჩამოაკიდებენ ხოლმე, — ეყვანო.

ზამმათ-ი გარჯა, შრომა. შენც ბევრი ზაჰჰმათი გასწიე; მე მაღლობელ ვარ, რაც ზაჰჰმათი გასწიე.

ზენგინ-ი შეძლებული, მდიდარი. ძლიერი ზენგინი იყო, ერთი მილიონი ფარა ჰქონდა.

ზიარათ-ი ძე. სალოცავი ადგილი  
ტოლოშთან (ასპინძის რ.) ახლოს.  
ზივთ-ი შავი ფისი, — კუბრი.  
ზით-ი || ზითვ-ი მზითვეი. დიდი ზი-  
თი მისცა. ბევრი ზითვი აქიდეს.  
ზილ-ი პატარა ზარი, — ეყვანი. თავ-  
მჯდომარემ ზილი არ გაჰკრა. იხ.  
ზანზალაკი.  
ზოდ-ი ანაპერი ტყავი ქალამნისა-

თვის (თითო ზოლიდან გამოდის 2—3  
წყვილი).  
ზრიზა შიგნიდან კარის საკეტი. სახ-  
ლის ზრიზა წნელისა ჰქონდა.  
ზურნაჩიებ-ი მეზურნეები. ქალაქში-  
ზურნაჩიებს დაიჭირავენდა ხოლმე-  
ზურაზ-ი ჭავშიანი ჩასაკველი. თი-  
თონ ახსნა თავის ზურაზი.

## თ

თაბა სანგარი. ჩვენმა გაგზავნილებ-  
მა გააკეთეს თაბია.  
თავლა ზემოთ, მაღლა, აღმა. ასწია  
თხის თავი და შემოაგდო თავალას;  
თავალათ წაასხა; უნდათ, რომ მაღ-  
ლა კლდეზე, თავალაზე აიყვანონ.  
თავან-ი ადგილი საბლის ქერსა და  
სახურავს შორის, — სხვენი.  
თავებელი-ი მეთაური, ხელმძღვანელი.  
არჯავანიძე იყო თავებელი.  
თავეთ-ი (||თავენთ-ი, თავანთ-ი) მა-  
თი, თავიანთი. წაასხეს თავეთი ხარ-  
კამერი; თავეთი სამადლო ჰქონდათ;  
შეუწახიათ თავანთი გვარები.  
თავითვე დასაწყისშივე, თავიდანვე.  
თავითვე რომ მოსულიყავი, აჯობებდა.  
თავი იჩინა-ა გამოჩნდა. კარქა მალე  
იჩინე თავი; გაავადე და კიდევ თა-  
ვი იჩინეო?  
თავლაზანა საჩინბო, თავლა. აბა,  
ჩვენ თავლაზანაში წავიდეთ!  
თავი წაართვა-ა თავი მოჰკვეთა.  
ხმლით თავი წაართვა.  
თავს აცნობებს-ს თავს უჩვენებს, ძა-  
ლას დაანახებებს. ამას თუ თავი არ  
ვაცნობე, რა კაცი ვარო!  
თავს ვერ უვლი-ს ვერაფერს შეე-  
ლის, თავს ვერ აბამს. გოგუების საქ-  
მეს თავს ვერ უვლი; ამას თავს  
ვერ მოუვლი.  
თავს მოუვა-ა შეძლებს, დასძლეოს,  
თავს გაართმევს. შენ თავს მოუხ-  
ვალ? თქვენ თავს ვეღარ მოუხ-  
ვალთ..

თალაღ-ი გზირი, ამბის შემტყობი-  
ნებელი. თალანი ყვირის: ვინ იპო-  
ვისო! თალაღი ჩააგდო აცნობა, დაძახე-  
ბით შეატყობინა. ქალაქში ჩააგდო-  
თალაღი.  
თალან-ი თავდასხმა, გაძარცვა, აოხ-  
რება, დატაცება. თუ თალანს ხელ  
შეუშლიდნენ, მოჰკლევდნენ; დაგვცხია  
თალანი თათარმა; თალანი დაჰ-  
კრეს, თავს დაესხნენ, გაძარცვეს; თა-  
ლანი დაჰკრეს, წაიღეს ყველაფერი.  
თალანობ-ენ თავს ესხმიან, ძარცვა-  
ვენ, იტაცებენ. აქ ვინც დარჩნენ თურ-  
ქები, თალანობდნენ. რაც კარგი  
რამ იყო, გაჩხრეკდნენ და მიჰქონდათ.  
თამაღლა || თამანა მისალმება თავის  
დახრითა და ხელის ადებით. ხენწიფეს  
თამაღლა უყო.  
თანა ცალი. მოგლიჯა კარქი ექვსი  
თანა ყარფუზი; კიდევ დარჩა ვინ-  
მეო? — დარჩა ერთი ორი თანა მო-  
ხუციო. შიგ ერთი ასი თანა ცხენი  
არი.  
თანჯარა ქვაბი.  
თარი ურმის ქალების შემეერთებე-  
ლი გრძელი ხე.  
თარძ-ი იგივეა, რაც თერძი. დი-  
ლას მოვიდა თარძთან.  
თასმა კრიალოსანი. ერთი თასპაც-  
ხელში უჭირავს; თასპებს ატრი-  
ალებდნენ ხელში.  
თაფ-ი სათამაშო კოქის ამოზნექილი-  
მხარე, ზურგი.  
თაფა ამადლებული ადგილი, გორაკი-

თახ ვიდრე. აქედან თახ ბარალე-  
-თამდე; თახ ცხრამეტ წლამდე ასე იყუ-  
-ნენ.

თერო ატოლის მსგავსი მცენარე,  
-რომელიც გაფტქენის შემდეგ იკმება.  
თერძვა მზრალად ხვანა.

თერძულ-ი ხნული. თერძულე-  
-ბი ს იქიდან ვინ მოჩანს?

თეშ-ი მატყლის სართავი, რითაც  
-ორწვერ ძაფს ხელმეორედ გრეხენ ხე-  
-ლის მუხლზე გასმით.

თვალდათვალ თვალწინ. ბავშვი  
-თვალდათვალ დაიკარგა.

თვალ იყიჯამ-ს თვალს ოდნავ ხუ-  
-კავს.

თვალეზი არ ურჩევს ვერ არჩევს,  
კარგად ვერ ხელავს. ნუთუ თვალეზი  
-არ მიჩრჩევს, რო ერთი ორათ მეჩ-  
-ვენება?

თვალის ტამრებ-ი თვალის ნერვები.  
თვალი ჩამოუვარდა-ა მოეწონა. თვა-  
-ლი ჩამოუვარდა ამ გოგოზე.

თვალს ჩაუპაქუნებ-ს თვალს ჩაუკ-  
-რავს.

თორბა მოქსოვილი ან მატერიისგან  
შეკერილი პატარა ტომარა, აბგა, რო-

მელშიც ცხენს საკმელს ჩაუყრიან და  
თავზე მოაბამენ. ცხენ ქერი მოართვი  
თორბითაო! თორბა სუ დაუცალა.

თორუნ-ი შვილიშვილი. ჩემ დეიდას  
თორუნი ჩამოუვიდა; ჩემი თორუ-  
-ნი არის ესაო.

თოხათი კანაფ-ი საურმე თოკი კარ-  
-გი ხარისხისა. თოხათი კანაფი გა-  
-მოართვი! სამოცი მხარი თოხათი კა-  
-ნაფი მისცა.

თოხაური ნემს-ი დიდი ნემსი.

თუთმაქ-ი ერთგვარი საკმელია: ცომს  
ლავაშივით გაწლიან, წერილად დაქრიან  
და ხახვთან ერთად შესწვამენ, შემდეგ  
წყალში მოხარავენ.

თულუმ-ი ჩასაბერი საყრავი, — გუ-  
-და-სტვირი.

თურმელა თურმეთ-თურქ. ელა  
ნაწილავი. ეს ქალი თურმელა აქა-  
-ური ყოფილა.

თუჯარ-ი ვაჭარი. ერთი თუჯარი  
კაცი მიდიოდა.

თქმა თავისებური წარმოთქმა, აქცენ-  
-ტი. საროს თქმა არის თათრული.

ს-თხვი-ა სთხოვა. შენ მთხვიე  
თორმეტი თუმანი.

0

იაღფუზ-ი მალღობი, ცივი ადგილი.  
იბადურებ-ს ითევზავენს. საღამომდის  
იბადურა და ბლომათ თევი შოი-  
-ტანა.

იბინავებ-ს ბინას დაიდებს, დაბინავ-  
-დება. ღამე აქ ვიბინათო!

იბრათ-ი უშნო, უღამაზო.

იბრილ-ი || იბრის-ი წყლის კურკელი  
სპილენძისა, სურასა ჰგავს. აიღო ერთი  
იბრილი, წყალი მოიტანა.

იგიოთ-ი გულადი, გამბედავი, ყოჩა-  
-ღი. თან იგიოთია, თან გზა იცის, თან  
კვალი.

იგიოთობა გამბედაობა, გულადობა,  
ყოჩაღობა. ბევრი იგიოთობა უქნია;  
იმან ერთი თავი მოკლა და თქვა, რა  
იგიოთობა ვქენვიო.

იგულაებ-ს ისეირნებს. ვართმა იქ  
იგულაოს.

იოხვი-ა იოხოვა. მერე ქალიც ეი-  
-თხვიე; ყვინჩა უთხრა: ითხვიე სა-  
-თხოვარიო!

იკალმას-ა მოითხოვა. წაველი, ვა-  
-კალმასე და საკმელი მოგიტანეო.

ილლაჯი ქენე! ილონე! რამე ილა-  
-ჯი ქენე!

ილზ-ი ცხენების ჯოგი. ილზი — ჯო-  
-გი ჰყამდა. იმათში ერთი თეთრი ცხე-  
-ნი კვიცს არ ზდიდა; ახლა იმისი ილ-  
-ზი წამოვა.

იმთავით თავიდანვე, მაშინვე. ღამე  
ამოჰყამდა, დილით, იმთავით, აღრე  
ზღვაში ჩასვამდა.

იმით-ი იმათი. ეს იმითი ბედი  
თყო; იმითი ანდერძი არ გატება.

ინდელ-ი იმდენი. ინდელი შენ  
რა გითხრა!

ინსან-ი || იმხან-ი აღამიანი. — ნუ გე-  
შინიან, იმსნის შვილო!

ირისკინ-ი მღვდლის ცოლი, — ფო-  
ფოლია. უთხრა ირისკინმა ქმარს.

ისთრე ისე. გზა არის ისთრე რა!

ისტუმრებ-ს მიიპატოებს, სტუმრად  
შეიღებს. მიიპატოებს და ისტუმრეს  
ღევებმა; აპა, ეს ოქრო შენ და ამაღამ  
მი ისტუმრე!

იტროკილ-ა იბრუნა, იტრიალა. მო-  
ვიდა ჩვენთან, დადგა, მერე კი იტ-  
როკილა.

იფრო უფრო. მეორე იფრო ყო-  
ჩალია. ის იფრო მართალი კაცი იყო.

იქმოდ-ა იზამდა. ადრე რო ყოფი-  
ლიყო, ხალხი რალაცას იქმოდა.

კ

კავის ასაკრავ-ი უღელში ხარის შე-  
ნაბმელი თასმა, — სამატი.

კათხა მსხვილფეხა საქონლის რქა.

კაკალ-ი გაღატ. ერთი. იმ ადგი-  
ლას კაკალი სოფელი არ იყო: კა-  
კალი კაცი არ იყო ჩვენ მეზობლათ.

კაკოშკა ერდო. მზე ჩამოდგა კა-  
კოშკიდან.

კალაიჭ-ი მკალავი.

კანდალ-ი ბორკილი. ფეხზე კან-  
დალი ჰქონდა.

კაპანი-ი კლდის ფერდობზე გაჯაფუ-  
ლი ქვალორღიანი გზა. გამოვიდა საროს  
კაპანში.

კანა თივის ზვინი, — ძირი (ნ.).

კარ-ი. ხელმწიფის კარი ხელმწიფის  
სასახლე. მივიდნენ ხელმწიფე კარ-  
ზე. კარს მიუძრავს კარს დახურავს.  
დაკეტავს. კარი რომ უღუძრავს, და-  
იჭირავს ეს ქალი. კარზე გავა გარეთ გა-

იქნ-ა მოხდა. იქნა, რო ამ ქალ შეი-  
ლი გაუჩნდა.

ომშართ ხელის ან თვალის ჩვენე-  
ბით, უესტ-მიმიკით. ქმარმა იშშარი თ  
უთხრა.

ომოვნი-ს ნახავს, მიაგნებს, იპოვის.  
მაგრე ძენით ვერ იშოვნი თ; იმის-  
თანა ალაგას უნა დამალო, ქალმა ვერ  
მიშოოსო; მერე ხარები ვიშო-  
ვეთ, შევაბით და წავედით; ვეზირმა  
იშოვა ეს გლები; პატარა გზა იშო-  
ვნი; ერთხელ გიებარა, მაგრამ შინც  
იშოვნი.

იძალავებს-ს ძალას გამოიჩენს, წი-  
ნალმღვებობას გაუწევს. იძალავა ამ  
ბავშვმა; მერე ჩვენ ვიძალავეთ და  
გავიძარკვეთ.

იხერხ-ა (ძალა) ეცადა, ძალა გამო-  
იყენა, ძალა გამოიჩინა. იხერხა ძა-  
ლა, ვერ ავიდა.

ვა. აი, კარზე გაეღალ, შემოვალ და  
დაეწეთო. კარს გამოვა-გარეთ გამოვა.  
კარს რას გამოვიდოდი!

კარაკან-ი სპილენძის ქვაბზე გავლე-  
ბული ხაზი, ნაქდები.

კარაპანი-ი სახლის წინ წამოხურული  
საჩრდილობელი.

კატარი-ი ფიქვი.

კაცობრიობა კაცები. ქალშვილებს  
არ გერიდებათ კაცობრიობისა.

კერძ-ი კუთვნილი, ნაწილი. იმისა  
კერძი მამული იყიდა მანისურაძე გი-  
ორგიმ.

კეტრანოც-ი კატის მსგავსი, კრელი  
მტაცებელი ცხოველი.

კვახ-ი გაღატ. თავი. ესროლა  
შვილისარი, მოარტყა კვახში.

კვლიავ-ი ერთგვარი გარეული მცე-  
ნარე, რომელსაც კერძში ხმარობენ და  
მწინლადაც ღებენ.

კილოზან-ი სკიორი. იარალი კილო-  
ბანში ჰქონდა შენახული.

კილოზ-ი განაპირა ნაწილი (ქალაქი-  
სა, სოფლისა). ქალაქის კილოზზე  
გზის განაპირი იყო; მივიდით ახალქა-  
ლაქის კილოზზე.

კილოზას განაპირას. ქალაქის კი-  
ლოზას მივიდნენ.

კილო-ი ქათმის განავალი თეთრად.  
კილო ძაფით და ყაითნით გაკეთე-  
ბული პერანგის ღილი.

ლაშაზო, შენსა ხევენსა  
კილო შემაწყდა პერანგსა,  
იშოვენე, გამომიგზავნენე,  
შენი შეიღების ლხენასა (ხალხ.).

კინალ კინალამ. კინალ მამკლა.  
კრებიდან კარებიდან. ამ კაცმა კრე-  
ბიდან დაუძახა.

კინი-ი სულ პატარა.

კობალი-ი დარტყმისაგან თავზე ამო-  
ბურცული ადგილი, — კობი, კობიკი.  
კობულა მეთრე წელში გადამდგარი  
სახარე ხბო.

კოდი-ი მარცვლელის ფუთიანი  
საწყაო. ოქრო კოდიკებით გაყო.

კოზა მრგვალი ქვა. იხ. ლაპტია.

კოპარჩხილა || კოფარჩხილა მცენარეა,  
ბატის ფეხის მსგავსი ფოთლები აქვს.  
კორა უღლის შუა დამაგრებული  
ორი პატარა ჯოხი, რომელთა შუა თავ-  
სდება ასაკრავი.

კორდი-ი დაუმუშავებელი, გამხმარი  
მიწა, — ყამირი. ეს მიწა კორდი გამ-  
ხდარა.

კორკოტი-ი ხორბლის ერთგვარი შე-  
ქამანდი. დიკის ხორბალს დანამავდნენ.  
შემდეგ დანაყავდნენ და ქერქს გააც-  
ლიდნენ. გაახმობდნენ, ღერღილსავეთ  
დარომავდნენ, მღუღარე წყალში ჩაყ-  
რიდნენ. გინდა თხელს, გინდა სქელს

შექამანდს გააკეთებდნენ ერთი შეზა-  
ვებულს.

კორკოტინა ხვეული, ხუკუქი თმა.  
კოტა-ი სერზე, გორაკზე ჩაღრმა-  
ვებული, ფოსო ადგილი. თათრები მალ-  
ლა კოტაში ჩასაფრდნენ.

კორო მოკრილი ხის ძირი, — ჯირკვი.

კოკობინა 1. კოკობა. ერთ-ერთი  
ხენწიფი შეილთან კოკობინას თა-  
მაშობს. 2. მაწენის ქილა.

კოდევერა პირუტყვი (ძროხა, ხბო...),  
რომელსაც კოდზე განსხვავებული ფე-  
რის ნიშანი აქვს. ეგა კოდვერა არ  
არის?

კოდევერა თეთრკუდაანი.

კოდ-ი რძის საზოში. გათლილ  
მრგვალ ჯოხს რძიან ვედროში ჩაუშვე-  
ბენ. სანამდისაც რძე მოადგება, იმ ად-  
გილს დანიშნავენ, დაკედნავენ. ქლის  
ქვემოთ კუდნია.

კოკო გუგული.

კოლა-ი წინათ. როგორც კულა-  
ვილიოდა, ისე წავიდაო.

კუნაპეტი-ი ძალიან შავი. შავი კუ-  
ნაპეტი გახდება.

კუნწულა ორყეველაზე (ორკაზე)  
ასხმული ბალი.

კურცხალი-ი მოხნული, დასვენებული  
მიწა, რომელზედაც რამდენიმე წელი-  
წადი არაფერი დათესილა.

კუტალი-ი ხისაგან გაკეთებული წყლის  
ქურქული.

კუტი ქვაბი-ი პატარა, უყურო ქვაბი.

კუტუტა ძაფის კოჭი.

კუნწურახ-ი ძუნწი.

კუპა ფურნეში პურებს შუა გამომ-  
ცხვარი სულ პატარა პური.

კუპკათ გროვად. ურემებით კუპკათ  
დააყრავინა.

ლ

ლადმანა ზღაპრული, ზეციური დამ-  
ხმარე ძალა.

ლალა აღმზრდელი, გამდელი. აფრა-

სიონმა თავი ლალას დაჰკითხა; და-  
უძახა ლალა-ვეზირს.

ლამბანდი-ი ნალბანდი. იკითხა, ცხე-



ნის დამკვიდრი, ლამბანდი ვინ არიო? ლაპარაკს პოებ-ენ შეთანხმდებიან. ეს სამი მათხოვარი ერთმანეთთან ლაპარაკს პოებენ.

ლაპტა ბრტყელი ქვა. იხ. ლაპტია.

ლაპტია თამაშობაა: ხელში ბრტყელი ქვა (ლაპტა) უჭირავთ, მას გარკვეული მანძილიდან ესერიან კოზას (მრგვალ ქვას). ვინც მერ მანძილზე გააგორებს, მოგებული ის იქნება.

ლარ-ი საქონლის გამხმარი ნაწლავი (ძაფივითაა). საქონლის ლარს ვერტყვით, დაახვიეს ხელეზზე.

ლაღაბ-ი შერკმეული სახელი, მეტ-სახელი.

ლახლახ-ი უშნო სიარული; ხეტიალი. ლახლახებს-ი უშნოდ დადის; ხეტი-ალობს. ავიკიდე უნაგირი, ვიარე და ვი-ლახლახე.

ლეღ-ი წვრილი ლერწამი (მისვინ სტირის აკეთებენ).

ლეშ-ი 1. მკედარი ცხოველის სხეული. პატრონმა გაატყავა, ტყავი წამოიღო და ლეშ ი დატია. 2. შიგნეულობა. დათვის მუცელი გავკერი, გამოვყარე ლეშ ი.

ლიკლიკა ვინც ბეერს, გაუთავებლად ლაპარაკობს.

ლულუკ-ი ხის მილი, რომელშიც გამოხდილი არაყი მოედინება.

ლუხმან-ი განთქმული, სახელოვანი.

## მ

მაგაცა მაგათსა. მაგაცა იქნება მოჭამავირეთ.

მაგიე შეკვეცი. მაგიერად. წყლის მაგიე უნა ასვას.

მაგოტენა მაგდენი. შენ რო მაგოტენა სიკეთე მიყავი, რით გადაგიხალო?

მაგალ-ი იგივეა, რაც მავანი. მავალ დროს, მავალ ღამეს ერთი მასკვლავი ამოვა.

მაგლით ჩუმათ, ფარულად, — მალ-ვით. დაიწყეს მავლით ლაპარაკი; იმის მავლით აკეთამს.

მახმან-ი საბლის მგრეხელი.

მამაძიობით სრულებით. არ ყავს მამაძიობით არც ცხვარი, არც ფური.

მამლითვალა მავყალი.

მანგანა სამკედლო იარაღი, რითაც გავარავარებულ რკინას იჭერენ.

მანძილს აიღებ-ს საქმაო მანძილს გაივლის. დილით, აღრიანათ, განგზავ-რდნენ და მანძილი აიღეს.

მარამ მანამ. მარამ ამათ ერთი გაატყავეს, იმან ორი გაატყავა.

მარანგვიან-ი მკრთალრუბლიანი, ნის-ლიანი.

მარდივანი || ნარდივანი იხ. მერდევანი.

მახათ-ი ცელის სალესავი.

მახალა ამბავი. წუხელის დედაჩემს და მამაჩემს ჩხუბი რო ჰქონდათ, სწორეთ ეს მასალა არის ჩვენ თავზეო; ერთ მასალას გეტყვი და მერე წაღიო.

მატოკ-ი სტაფილოს მსგავსი გარეული მცენარე, იმებია.

მაქსუს || მახსუს განზრახ. მაქსუს აქ დავატანეთ ქვა.

მალარა || მალარო გამოქვაბული კლდეში. შეიხედა მალარაში; მალაროებში რო შედიოდნენ, თავს აფარებდნენ.

მაყარბაშ-ი მაყარების მეთაური.

მაშა რკინის ორტოტა ნაკვერჩხლის ასაღებად. თავში დაარტყეს დიდი მაშა.

მაშვი, მაშიათვე, მაშითვე, მაშეთვე მაშინვე. მაშვე მიილი; მაშათვე წამოხტა.

მაში მაშინ. მაში ჩხუბი იყო.

მაშკა პატარა ძაღლი, ლეკვი.

მაშრათა ყურიანი მომცრო ჰურჭელა წყლისა. ამ კაცმა ერთი მაშრათა შარბათი დააღვივნა; მოითხოვა ერთი

მაშრაფა, რო წამლები უნა გააკეთოს.

მამულა-ი შუამავალი. ღარიბ კაცმა იმ ქალ აყვანა დაუპირა, მამულა ი გაუგზავნა.

მადრიხად გადღობაზე. დაისხა საკმელი, მაძღრისად ქამა.

მაქკალ-ი გუთნისღელა. ათუღელას ჰყავდა ხუთი მეხრე, ერთიე მაქკალი.

მახთო გადასახადი. ვინ თათრობას მიიღებდა, იმას ანთავისუფლებდნენ მახლოდან; ზღვაშიც თევზების მათხოხს ახლევინებდა.

მახსუსათ განგებ, განზრახ, მოტყუების მიზნით. ნათლია მახსუსათ გზავნის, რო შენ მოგკლას; ისინი ესროდენ ტყვიას კრიშეუს მახსუსათ.

მადღე პატარძლის ახლობელი ან ნათესავი ქალი, რომელიც ქორწილში მას თან გაჰყვება. მივალ მდადესთან. ავიღებ ნებას.

მეიმურე მოეპყარ! ისე მეემყრე, იმან ვერ გაიგოს!

მევერე მეორე. ერთი ერთ კლავზე ავიციე. მევერე მევერეზე; წავიდა პერესი მევერე სინის საშოვნელათ.

მევერე მერმე, მერე, შემდეგ. მევერე რო გაუგეს. აღარ დაუჭარეს.

მევერ-ი || მებურ-ი ძვირფასი ბეჭედი, სამეფო ბეჭედი. სოლომონ ბძენსა მევერი ჰქონდა; პირის დაბანის დროს მეჭური დაავიწყდა.

მეთორმეტებ-ი ხელმწიფის კართან ახლოს მყოფი პირნი, ნაზარ-ვეზირები.

მენ მე. მენ და ერთი კაცი გაგვზავნეს.

მენობათე წისქვილში საფქვევის მიმტანი, რომელიც თავის რიგს ელოდება. მენობათე რო მოვა, დაყარე პური წისქვილზე; ორი კაცი მენობათე ეყოლებას; მეწისქვილე და მენობათეები გამოცვივდნენ კარში.

მერდევან-ი კიბე. უნდოდა გეკეთებინა მერდევანი; ორმოცი მერდევანი ეყულა ამ ყავაპანას.

მესხანთხველი მეთევზე, მებადური. გა-

უშვა მესხანთხველე, ეს თევზო დააპერინა.

მეტყურ-ი ტყეში მიმავალი, შეშის მომტანი. მეტყურე რწავა და შეშას მოიტანს.

მეტქმანდე ქამანდით ცხოველის დამპერი. თან წამოიყვანა რამდენიმე მექმანდე.

მეშ-ი ცხვრის ტყავი. ქალამანი მეშისა მეცვა.

მზის გულ-ი მყუდრო, გაფიცებული ადგილი, რომელსაც მზის სხივები პირდაპირ ეცემა. მეცხვარე მზის გულზეა წამოწოლილი.

მთელი ხელი მოედო ყველა ერთიანად გამოვიდა. სოფლიდან მოთელი ხელი მოედო ამათ საძებნელათ.

მი-ჰ-გვრი-ს მიუყვანს. ეს ქალი ჩვენ უფროს მიეგვაროთო.

მიდალი-ი მედალიონი. გულზე მიდალიკი ეკიდა.

მიდამ ვიდრე, სანამ. ვიდამ იმან მანძილი აიღო, ის მეფუარა აქაურობას.

მიველდი მიღებული ჩანს მიველდი და მივედი ზმნების კონტამინაციით. მიველდი იმ ადგილას; შდრ. აგრეთვე: შეველდი იმ კაცთან.

მით-ი მათი. მამა-მითი დარჩა ორმოზე.

მიიკურწება-ი მიიღევა. ერთი თვე მიიკურწა და ერთი დღე დარჩა.

მიიჩინა-ი მიიღო, დაიახლოვა. ხემწიფემ ეს უფრო მიიჩინა და გვერდითგან აღარ იშორებდა.

მილ-ი თვალების ამომცლელი. ხემწიფემ დაუძახა მილ-ი.

მიწარ-ი ლეიბი.

მიუდა საჩუქარი. ხემწიფეს გეხვარდა. ამათ მიჰდა მისცა.

მიტყუბულ-ი მიტყუელი, მიტყუებული.

მიუღებ-ი ვისიმე მხარეზე დაღებ, მხარს დაუჭერს, მიემხრობა. ჭერ მისდგომია თათრებს, მერე უღალატნია.

მოავკრი-ი მოავკროვა. ბევრი სარჩო მოიტანა, მოავკრია.

მოარჩენ-ს გადაარჩენს. ამ უბედურების დროს ეს ქურთები მოვარჩინე; უთხრა, ვინ მოგარჩინა, შეილოო?

მოახელებ-ს იპოვის; მოუსწრებს. ეს ჩვენებური კაცი ძინარზე მოახელებს.

მობრუ! მობრუნდი! სად მიდიხარ, მობრუ, გოგო!

მობუნავამ-ს ბურტყუნით მოდის. დევი მოდის და მობუნავამს.

მოდოგენა მოხნული მიწის დატყენა, გამაგრება ადამიანების ან საქონლს მიმოსვლით.

მოდოგენა თივის ძირიანად მოთიბვა ისე, რომ მიწაც თან აპყუეა (ეს ხდება, როცა სათიბი დაბალია. იხ. მოქახეცვა).

მოესურვილება-ა მოესურვება; მოესასიათება. როგორც მოგესურვება, აგრე ილაპარაკე!

მოფ-ი აბრეშუმის ქსოვილი.

მოვლადით დაებრუნდით, დავსახლდით. ხემწიფე რო გადაავდეს, ჩვენ სოფელი მოვლაგდით.

მოვითარულ-ი მოსეროლი. ტალახში მოთათრული ვარ.

მოთოფლვა მოკროვება, მოკრეფა. პაპიროსები მოუთოფლია და სუ ჩვენთვის მოუტანია.

მოიხზრობ-ს დაუძახებს, — მოიხზობს. მოიხზრო ხემწიფემ და უთხრა; მოიხზრო თავი ხალხი, უთხრა...

მოინგვრ-ნენ თავი მოაყარეს, მოგროვდნენ. დაბრუნდა ეს ვეზირი, ყველანი ერთათ მოინგვრნენ.

მოიქენეს გააკეთე! ქმენი

მოიქმედებს-ს იზამს, გააკეთებს. ერთი რამე შენ მოიქმედე!

მოიჩოჩ-ა მოიწია, ახლოს მოვიდა. მოიჩოჩა რაშიდამ, ამოილო მიზანში. მოყნაბუა მოკრეკა (თმისა). ორთავთავეები მოგვიკნაქია.

მომაგვარი-ერთი წარმოშობისა, ერთი შთამომავლობისა.

მოშეტებულათ უფრო მეტად. მო-

შეტებულათ თვალი ამ თევზე ქონდეს!

მონაგარი-ნაშოენი, შენაძენი. ჩემი მონაგარი სად მივაქსო?

მორბედი-გავზაენ-გამოგზაენაზე დასაქმებული, შინამსახური სახლში დარჩა ერთი მორბედი ბავშვი.

მორეკავს-ს (ითქმის ადამიანებზედაც) მოიყვანს (ბევრს). ხალხი მორეკავს წყაროსთან.

მოუღვება-მხარს დაუქერს, მოემხრობა. ჩვენ მოგვიღვებით და ისინი გაუწყვიტოთო; ჩვენ თქვენ ვერ მოგვიღვებით.

მოურჩება-გადაურჩება. მე როგორ მოურჩე ამათაო?

მოუშვლია-ს ძირს გამოაქლის, გადარეტხავს. სამირკელი სეტყემ დაწყალმა მოუშხელია.

მოქახენა (სოფ. მურჯახეთი) იგივეა. რაც მოდოგენა.

მოქსოილი-ი (კაცი) მოხერხებული, გაქნილი, ეშმაკი. ერთი მოქსოილი კაცი იყო, დაუძახა და უთხრა...

მოლამება შებინდება. რო მოლამდა, წავიდა; მოლამებამდე იყადა, მერე კი უთხრა...

მოწი-ეს მოწოვებს. მოწიეს ეწლორი.

მოწილობა წილის დადება, თანაზიარობა. ჩენი ქონების მოწილობა უნდოდათ.

მოხონის-ს მთლიანად მოძოვს, მოსუთათავეებს ცხვარი (საქონელზე იტყვიან: მოქამს).

მოჩერდება-ს საესებით დაქმყოფილდება. ცხვარი მოჩერდა, გაძლა.

მრეველი-|| მრეულ-ი ხალხი. დილაზე ჩემ მრეველ დაუძახებ; ხემწიფემ პარაკლისი გადინადა, ჩემ მრეველ გაუშმარკვიათ.

მუზ-ი ავი, ბორბი, კორიკანა. მუზ კაცსა პირი გაუხმესო.

მულათ-ი ვადა, დრო. მულათია სამი დღე მულათი.

მუნძარახ-ი მახელი. წინათ მუნ-

ძრახი ყოფილა; წყალთან დაისვენეს და ის მუნძრახი დაარკო იქა.

მურად-ი || მურაზ-ი სურვილი, წადი-ლი. ბედ-იღბალი. დალოცა და უთხრა, მურადი შეგისრულდესთ! შე ჩემ მურაზ მივეწიე.

მურკლ-ი წყალში ჩაყრილი ფქვილი ცომად დამრგვალებული.

მუფთ-ი მუს. მუსულმანური მაღალი სასულიერო წოდების წარმომადგენელი.

მუშაონ-ს იხმარება. ეგ სიტყვა მუშაონს საქართველოში ხოპ?

მუცელზე დარჩენილ-ი ბავშვი, რომელიც ჭერ არ დაბადებულა. მუცელზე რომელიც იყო დარჩენილი, დაარქვეს ნონეი.

მუცელს ბოძი მისცა კარგა გაძლა.

მუცელს ბოძი რო მისცა, მუშინ დაიწყო ლაპარაკი.

მუხლის თვალ-ი მუხლის მოხრის ადგილი.

მუცლის ჩხვერა გაღატ. იგივეა, რაც მუცლის გვრემა.

მურალი ქვეყანა ხმელეთი. არ უნდოდა მშრალ ქვეყანაზე ცხოვრება.

მწერალ-ი სოფლის საბჭოს მდივანი. მხარ-ი საზომი ერთეული: ორი ხელის გაშლა. სამოცი მხარი კანაფი მისცა.

მხიარულობა დავიჭიროთ ვიმხიარულოთ! მობრძანდი, ერთი მხიარულობა დავიჭიროთ!

მჭერიხართ გვერათ ჩევი. თუ არ მჭერიხართ, აგერ თქვენი ნიშანიო!

6

-ნა შეკვეცილი უნდა ზმნა ენკლიტიკად ქვეული. ქალაქში-ნა წავიდე.

ნაგუზალი-ი მუგუზალი. აიღო. ცეცხლის ნაგუზალი და თვლები დაუბრძავა.

ნავტიკ-ი ტიკებზე გამართული ნავი: „ძველათ ნავს გუდები ჰქონდა გაკეთებული“. გააკეთეს ნავტიკი, დასხდნენ და მიდიან ზღვაში. აუშვეს ნავტიკი და წავიდნენ.

ნაზურგ-ი გუთნით მოხნული მიწის შუა ამაღლებული ადგილი.

ნაკულ-ი ბადეზე გარშემო გამობმული თოკი, რომელიც ბადის სროლის დროს ხელში უჭირავთ.

ნამეტურ განსაკუთრებით, უფრო მეტად, — ნამეტნავად. ნამეტურ პრაქტიკულათ უნდა იცოდეს ეს საქმე.

ნანე დედა, ბებია.

ნარდ-ი ზედმეტი. ეს ცხენი სხვა სოფლის კაც გაუცვალა და ზედ ნარდი წაართვა.

ნარინჯ-ი მოწითალო. ნარინჯი ცხენი მყამალო.

ნატისუსხალ-ი დამწვარი ძონძებისა და ნაკრების კვამლი. ზოგმა ნატიუსხალი გუჩინეს.

ნადარ-ი „ხენის დროს გუთნის ფრთა ორივე მხარეს მიწას გადაყრიბ, შუაში კი თხრილი დარჩება, იმას ჰქვიან“.

ნაშალი-ი მომკილ ყანაში დატოვებული გაშლილი ჩალა, ნამჭა. ნაშალი ბევრი დაქჩათ?

ნაშტათ სახსოვრად. ნაშტათ ქამარი მიინც მოუქსოვო.

ნაჩარი ცული, უვარგისი. ერთი ნაჩარი კაცი იყო.

ნაწვევ-ი სტუმრად მოწვეული. ქორწილში მერე აღდგერძელდებენ ნათესავენს და ნაწვევენებს.

ნაწვერალ-ი 1. საყანე ადგილი, რომელზედაც პურეულის მომკის შემდეგ საანეულო ხენა არ ჩატარებულა. 2. ბუნებრივი სათიბი ადგილი.

-ნდა შეკვეცილი უნდა ზმნა ენკლიტიკად ქვეული. რანდა თქვას?

ნებას, ნებართვას დასცემს იგივეა, რაც ნებას დართავს. ეფრემა ნება

დასცა; მეთაურმა ნებართვა დასცა.

ნეგო ლამაზი, სურნელოვანი, ყვითელყვილებიანი მცენარე, ერთ მტკაველზე იზრდება. მისგან ჩაისაც აყენებენ.

ნიდაყვი იდაყვი.

ნივთიერება საოქახო ნივთები, ავეჯი. ოჯალის ნივთიერება ცერთიან ჩამოგვართვს.

იაზლულ-ი ერთ-ან ორფანჯრიანი გრილი ოთახი, ზაფხულობით საცხოვრებელი.

მარიანი კრილობის მქონე. აზოიყვანეს იმ ხევ-ღელედან მარიანები.

მაღბილა-ი ცხიმწასმული სალესი.

ოთხშარანა ოთხშაბათი.

ოროვანდ-ი დიდფოთლებიანი ეკლოვანი მცენარე (20—30 სანტემეტრი სიმაღლისა). მწყემსები მის ღეროს ფტქენიან და ისე ჰამენ.

ორყვეელა || ორყვეელა ორგანშტოებიანი (ხე, ტოტი), ორკაპა, ორტოტა.

ორშარანა ორშაბათი.

ოჩხე მდინარის პირას წრისებურად ქვით შემოზღულული თევზის საკერი.

პაიჰ-ი მატყლისაგან მოქსოვილი წვივზე ჩასაცმელი. დაჯდა, ჩაიძრო პაიჰი.

პამალემს-ი ძლიეს დადის; ფამფალემს. ბერი კაცი ჯოხით პამალემსა.

პანკელიან-ი ბეწვებიანი, ბაღნიანი; გადატ. წვერმოშვებული.

პაპუცებ-ი ტყავისაგან შეკერილი, საჩქაროდ ჩასაცმელი საშინაო, უქუსლო ფეხსაცმელი. იმ კაც ერთი წყვილი

ნითამ ვითომ.

ნიტონია იგივეა, რაც ლიტანიია. აღდგომა დღით წაველენ ეკლესიაში ნიტონიაზე.

ნიშანა რისამე დასადასტურებელი მაჩვენებელი. თქვენი ნადირობის ნიშანა არაფერი მოიტანეთო?

ნოქთა გაუწო-ა უსაყვედურა, დაამუნათა. ნოქთა გაუწოა ხეშნიფემ.

## მ

მაუჯსმათ ბედზე. მაყჯსმათ ესროლა ბაღე.

მედიგართ სახსოვრად.

მოხსულობა უქონლობა, სიღარიბე, სისაწყლე. რო არ მოვსულიყავით, ასეთი მოხსულობა არ გვექნებოდა.

## ნ

ტკერის პირზე თურმე ოჩხე უნდა გააკეთოს.

ოჯალ-ი სახლი, ოჯახი. სუ ოჯალში იჯდა; მივიდა თავის ოჯალში.

ოჯალობა ოჯახი, ცოლ-შვილი. გაკეთებულია დიდი ოჯალობა; წადით თქვენ ოჯალობაში!

ოჯახ-ი ბუხარი, კერა. ოჯახში ცეცხლი ენთო.

ოჯახობა ცოლი, მეუღლე.

## პ

პაპუცები პქონდა; მოლას პაპუცები პქონდა, ჩვენ ხალხ ძველი პალამნები ეცვათ.

პარა-ი დიდი ჯოხი.

პარანა პარასკევი.

პარისტ-ი ლობე. ეზო შემოაკრევიხა მთლათ ოქროს პარისტით.

პატარა ცოტა. ვიფიქრე, პატარა პური ჩამოვიტანო მეტეჟი.

პაშარი-ი მარაგი. დიდი პაშარით

ნამცხვარი, საკლავი წაიღეს; ამოტოლა პაშარი მიმაქ.

პაშტა პატარა. მურჯახნელი ქალი ვიყავ პაშტა ქალი მეო, დადე და დაღეს მყარები უკან გავრეკეო.

პაწა ცოტა. არ შეიძლება, პაწია პური მაქამო?

პაწიელა ცოტა ხანი. დაჭექი, ბიჭო, პაწიელა!

პაქიკი-ი იგივეა, რაც პაიკი. პაპაჩემ პაქიკები ეცეა.

პეიტარი-ი 1. ჭეიანი, მცოდნე, ჭეუის მსწავლებელი. 2. საზის (იხ.) დამკვრელი, რომელიც ამავე დროს მღერის, — აშული. პეიტარი გამოვიდა ეს შეილი.

პერანგში ამოატარა-ე ვითომცდა თვი-თონ შობა, იშვილა. ბიჭი პე რ ა ს გ შ ი ამოატარეს და ასკილეს.

პერკამ-ს კბენს, ასივებს. ბალინჯო პერკამს.

პირ-ი ჭერ-ი. სამი-ოთხი პირი თქვა; ხუთი-ექვსი პირი თქვა ამ ნეფემ.

პიტყ-ი ძალის ლეკვი.

პლან-ი ნაწილი. სამ პლანათ გაყვეს ეს ქარი.

პოპოტიკ-ი კასრის საცობი.

პრანკული-ი პანღური. პრანკული ამოჰკრა და გაადგო.

პუპუცა სულ პატარა ღილი.

პური გავიჩინოთ პური მოვიპოვოთ პური გავიჩინოთ და ექამოთ!

შ

შენეღილად არც ავად და არც

მთლად კარგად, — უხასიათოდ.

რ

რამაზან-ი მაჰმადიანური ზარხვა: „არც წყალს სმენ და არც კამენ დღისით“. რამაზანი მოსვლიათ თიბათეში.

რამაჯ-ი მარჩიელი, გულთმისანი. ეს ქალი რამაჯი იყო.

რეზილ-ი, რეზილობა შერცხვენა, გინება. გაჯავრდა, როცა დაუწყე ლანძღვა და რეზილობა.

რი გამოისათ? რის გამო? რატომ? რიდა იგივეა, რაც რიდე, ქალის

თავსაბურავი. სახში თინათინის რიდა დარჩება. აჩვენამს ამ რიდას ტარიელს.

რუბ-ი მარცლეულის საწყაო სპილენძისა, ფუთის მეოთხედი ჩადის. ამან დაიჭირა, ერთი რუბი ოქრო აუესო; ერთი რუბი ოქრო ჩაფალითა; ერთი რუბი ოქრო წაიღეს.

რჩომილომ-ს რჩება. დღისით ჩამოდის, ტყეში რჩომილომს, მაყვალს, პანტას შვამს.

ს

საბადურათ სათეზაოდ. წაიდა წყლი ნაპირას საბადურათ.

საბალახოთ საძოვრად. ცხვარი წასხა საბალახოთ.

საბარე შეშის, მარცლეულის, ქვის საზიდი პატარა ურემი; შდრ. ჭაეახულა. დილით დაუდეთ საბარეები და ხიზანი წავიყვანეთ.

საბარცხელი-ი იგივეა, რაც სავარ-

ცხელი. საბარცხლით თავს იბარცხნის.

სადგამ-ი საფურე ხბო. მუცელში ჰყამს ნიშა სადგამი.

სადილ-ი დილის (8—9 ს.) პურის ჰამა. არ მოგვივიდა სადილი, არცარა სამხრის ნიშანი.

სავარმელი-ი დაკბილული ფირფიტა საქონლის დასავარცხნად, გასაწმენდად-

მნღ არი სავარმელი და კიდე  
ზეთი.

სავატობა გასვლის სწულება, გა-  
სასვლელი. კარებში სავატობა აღარ  
იყო.

საზ-ი სიმებიანი საკრავი, თარსა გავს.  
სოლდაგარს ერთი საზი ჰქონდა; აილო  
ხელში საზი; იქ აწილდეს საზები  
ჩამოართვა.

სათხველ-ი სათხოვარი. ისე გალა-  
რიბდა, რო პური სათხველი გაუხ-  
და.

საი შიკრიკი. ფეხით საი გაგზავნა.  
საია ბოლონახადი არაყი, დაბალი  
ხარისხისაა.

საით-ი სოფლის გზირი.

საველავ-ი რკინის ან ხის დიდი კე-  
ტი, რითაც კარები იკეტება მთელ სი-  
განზე. კარებ ქონდა დადებული დიდი  
საკვალავი.

საქიდ-ი სახედარი, ვირი. კი საკი-  
ლი ჰყამდა.

საკრავ-ი თავზე ჩიქილის დასამაგ-  
რებელი.

ხალვათ-ი სალოცავი. ერთი სალა-  
ვათი მამატავინეთ, ჩემ რკულზე ვი-  
ლოცამო.

სამა სულელი, შტერი. ეს სამა  
არი ან რეგვენიო.

სამან-ი საზღვარი, მიჯნა. ზღვარი  
ჩაყვარე სამნებში.

სამთიანა ხერხიანად, მარკვედ. ისრე  
სამთიანა უნა მოიქცე, რო მე ჩამა-  
მიტანო!

სამკვრე მრგვალი მოყვანილობის  
ჭრაქის ან კვარის სადგმელი.

სამშარანა სამშებათი.

სამშობლო დედ-მამის, მშობლების  
ოჯახი გათხოვილი ქალისათვის. ვეღარ  
მოითმინა და გაიქცა სამშობლოში.  
სამშობლო გყანს თუ არა?

სამხარ-ი || სამხრობა შუადღის (დაახ.  
12 ს.) პურის ქამა: „ეს ის დროა, რო-  
ცა კაცი მზეზე დადგება და ჩრდილი  
არსაით არა ჩანს“. გზაში იცოდნენ სამ-  
ხრობა.

სანათ-ი სანთელი. არაინ არ ან-  
თოს სანათი! სანათი არ გააქროს  
სანარწყალ-ი ბოსელში სიგრძივ გაყ-  
ვინილი ღარი შარდისა და ნაყელისა-  
თვის.

სანთ-ი მხარე. ცალ სანთზე თა-  
თრი ვაქრები დადგა; მერე გაუთათრე-  
ბით ეს ახალციხის სანთი.

საბუყებ-ი ჩექმები. საბუყების  
მკერავი ვარო; ერთზე საბუყებ დაზ-  
ღებდა, მეორეზე — ქულს.

სარაია სასახლე. ისეთი სარაია  
დადგას, მისი სახემწიფო შიგ დიეტო-  
ოსო.

სარაბ-ი არყის გამოსახდელი ქვაბი.

სართული-ი საკრავი, მოსართავი. უნა-  
გარს სართულები მოუქირეს.

სარაია მწითური, წითელი. ის ქალი  
სარაია დევს ყამს; პატარა სარაია  
კაცი იყო.

სარულ-ი სასულიერო პირთა მამა-  
დიანური თავსაბურავი. თათარს თავზე  
სარული იმიტონ ახურაო; ჩამოუყ-  
ვანია სარულიანი ღვდელი.

სასაც სადაც. სასაც გადახტებო,  
შენც იქით გადახტო!

საფლიჯა წყლის პატარა ყურიანი  
ჭურჭელი სპილენძისა. აილო საფლი-  
ჯა, გაანსო დულაზე წყლით.

საქართველო ზოგი ჭყავლის თქმით,  
ქვემო ქართლი იგულისხმება. გავედით  
საქართველოში, მივედით გორში;  
გაეიხონენით ზოგი საქართველო-  
ში, ზოგი იმერეთში; ვინც გადორჩინა  
თავი, წავიდა საქართველოში, კა-  
ხეთში, თუშეთში.

საქვე საწოლი ტახტი, რომელსაც  
გარშემო მოაჯირი არა აქვს (ოღა-  
ში უდგათ). მშვიერ-მწყურვალი მიეგდო  
საქვეზე; საქვეს ქვეშ დაიშალა.  
ხაღ-ი მთელი. ოთხათ გაქართო ხუ-  
ხი, რალა საღი მოგაქთო!

სალამოს პირზე სალამოს დასაწყისზე,  
სალამო ხანს. სალამოს პირზე მო-  
იპარება; სალამოს პირზე დაბრუ-  
ნებულა.

ხაყველპურე დანა პატარა ჯიბის დანა. საყველპურე დანა ამა და ამ ადგილს დაჰჩაო.

ხაშურათ სწრაფად, საჩქაროდ. გახელე, რა საშურათ მიღის!

ხაცფეე სახლის ყველაზე გრილი ადგილი, სადაც პროლექტენს (აგრეთვე კურქელს) ინახავენ.

ხაციქულათ სათხოვნელად. ამ კოდის საციქულათ არავენ მოსულაო.

ხაჟე ტაბაკისებრი თუჯის მოზრდილი თეფში პურის საცხოზად.

ხაკეპავ-ი წნელისაგან მრგვლად მოწნული დიდი თეფში პურის, ხილის ან კურქელის დასაწყობად.

ხაკრეთელ-ი ხის ამოსაქრელი იარაღი.

ხახა ფუტკარ-ი მამალი ფუტკარი.

ხახე სურათი. ამოიღო და ელენე მშენიერის სახე უჩვენა. თავის სახე უჩვენა და უთხრა: ამ სახის პატარონს ვეძებო.

ხეირობ-ს უყურებს, უთვალთვალებს. აქ ვიყავ, აქედან ვსეირობდი; მივიღეთ ქორწილში, ჩვენც ვისეიროთ!

ხელგა კოკისპირული წვიმა, ნიაღვარი, წყალდიდობა. ამოტონა სეტყვები, სელგებში შენი ხელით არიო!

ხიამ სანამ. სიამ მოკვლე, ამათ პური ვაქამო.

ხიუნგინე სიმდიდრე, ქონება. ხელი მიპყო ბეგის სიხენგინეს; შეუწყო ხელი სიხენგინეს.

ხილგ-ი ქალის პირბადე, — ჩადრი. ერთ დედაკაც სილგი ახვევია და ადამიანს პირი-სახეს არ უჩვენებს.

ხიშუაყე დედა ფუტკარის მიერ ფიქაში დადებული კვერცხების დაღობა.

ხინორ-ი || სირონ-ი || სირუნ-ი საზღვარი, მიჯნა. თურქეთის სირონზე გადავიდა; ვარგავის სირონში გზა გადაუქრეს; ხალხი ავიდა ვარგავის სირონში.

ხირა 1. რიგი, ჯერი. ერთი ადამიანი უნა მიეგდოთ სირით. 2. მწკრივი.

უანა სირაზე მისდევს; ხალხი ორ სირათ გაიყო.

ხიტყვას გაუსწორებს-ს გაუბედავს, ეტყვის. ჩვენ სიტყვა გაგვისწორა და გვითხრა.

ხმება სმა. წყლის ხმება შეიძება სახში.

ხომარ-ი მარცვლეულის წონის ერთეული; მიწის ის ფართობი, რომელზედაც დაახლოებით 14 კოდი მარცვალი დაითესება. ორმოციოდე სომარი მიწა გვექონდა; ხუთი სომარი გამოუვიდა.

ხომინ-ი ფურნეში გამომცხვარი ორკილოიანი მრგვალი პური. მოგვეს ორიც დიდრონი რუსის სომინი.

ხობარაფ-ი კერძის ხახვით შენელება. საქმელ სობარაფი არ უყავი?

ხობახ-ი ვიწრო გასასვლელი გზა, ქუჩა, ურემი რომ ვერ გაივლის.

ხობრა ბეგარა. ქრისტიანებს ხშირად ამუშავებდნენ სობრაზე.

ხპარსეთ-ი სპარსელი. ბევრი სპარსეთი გაწყვიტა.

ხუდა გარეული შვრია. ჩვენ ქირახულს სულ არ ვერიოს, კაი იქნება.

ხულთენ სუყველას. სულთენ სკოლაში ვასწავლეთ.

ხულს გაომელავს სუნთქვას შეიკრავს; გაინაბება. გაიმელა სული, ადგა და ჩამოვიდა.

ხუნთქ-ი ჰაერი, სუნი. მალაროს სუნთქი ამოდიოდა.

ხუფთათ ერთიანად, მთლიანად ჩემ ძმებსაც დახოცემდა სუფთათ.

ხუჩ-ი ცოდვა-ბრალი. ეხლა ღმერთი სუჩია.

ხვიშვილ-ი მოჯამაგირე, მოახლე. სხვიშვილს გაუქირდა შიშვილისაგან; ელენე მშენიერმა უთხრა თავი სხვიშვილემს; ძმა მყამდა სხვიშვილათ.



ტაბალ-ი მსხვილფეხა საქონლის ავადმყოფობა გვალვისაგან გამოწვეული.

ტავარჯობ-ი ცხერის ან თხის ტყავისაგან გაკეთებული გულა ჩანთასავით, რომელსაც მწყეშები პურის (და სხვა პროდუქტების) შესანახად ხმარობენ. ტავარჯობით საგძალი ზურგზე მოიკიდა.

ტაია დედის ძმა, ბიძა, ძია. მიველ ტაია ჩემის ოჯახში; წაიყვანე ტაია-შენებთან.

ტაიაშვილ-ი დედის ძმის შვილი. ზოგი ბიძაშვილი იყო, ზოგი ტაიაშვილი იყო.

ტამარი-ი ძარღვი, ნერვი. თვალის ტამრები შეხუთია.

ტამლა იგივეა, რაც დამლა. ზურგზე ტამლით დააწერე!

ტან-ი ტანსაცმელი. იხ. აგრეთვე ტანთი. ხეშიფეს ტანი გამოცვლილი აქვს.

ტანთ-ი ჩასაცმელი, ტანისამოსი. ბიჭმა გიხიბდა ტანთი; ტანთი გამოცვლილი აქვს; იმისი ტანთი ჩაიცვა.

უამბავებ-ს უამბობს, ეტყვის. მია მბავეთ, უკან ხო არ წამიყვანთ?

უარესად უფრო მეტად. უყვარდა თავი შვილზე უარესად.

უარშიო უშნო, უვარგისი, გამოუცდელი. ეს ქალი უარშიო იყო, საქონელ ყურ არ უგდებდა და ვერ პატრონობდა.

უბადურ-ი იგივეა, რაც უდაბური. ერთი უბადური ტყე იყო; გადავარდა უბადური ტყეში.

უბეჩქამ-ს უთვალთვალებს. უბეჩქამს მეწისქვილე იმ ღამესა.

უბირ-ი უვიცი, ხეპრე. რაღა ეს უბირი კაცი უნა გვყავდეს მეფეთო! უგი მშრალი, ბერწი საქონელი. უდივრობა ძალადობა, მოურიდებ-

ტარალ-ი ქვის სათლელი, ორპირიანი რკინის იარაღი.

ტარალაჩ-ი || ტარალაჩ-ი თლილი მაღალი ხე რისამე ჩამოსაკიდებლად. ეს ჩასაცმელი ტარალაჩუნა ჩამოვიღო; ესენი დაჰკიდა ტარალაჩზე. ტიკან-ი თიკანი, ციკანი.

ტირაცუ დიკონი. ტირაცუ სირამ არ წავა, ისინიც იქ არიან.

ტირილი შეუდგათ ტირილი აუტყვდათ. იმ დღეს ყველას ტირილი შეუდგათ.

ტიტველ-ი გაღატ. მცენარეულის გარეშე. ტიტველ ალაგზე შეცხვარეს ცხვარი ჰყამდა; ვაკეზე გავიდა, ტიტველ ალაგზე.

ტოშიკ-ი მუტრუკი.

ტულკა ურმის თვლის შუა რკინის სარტყელი, რომელიც გადაფარებული აქვს მორგეს.

ტუტე მარილიანი, მლაშე. ჰამეს ეს ტუტე პური.

ტუაუჭა მათრახის წვერა.

უ

ულობა. თათრებმა ქალები იგდეს ხელში, უდიერობას ჩადიოდნენ.

უვარგი უვარგისი.

უზნის სახრე რბილი და ელასტიური სახრე, გამოჭრილი ერავეარი მცენარისაგან, რომელიც ბუჩქად იზრდება.

უთავაზებ-ს გაღატ. დაარტყამს. მეტევებს რამეთინიმე უთავაზა.

უაწარემ-ს წმენდს, ასუფთავებს, მიმართულებას აძლევს. (რუს) წყალი როდამა უნდა გაეგდო, ის აღმა უკაწრემდა.

ულაფ-ი შვრია, სულა.

უმაშვალე-ს უშამავლობას გაუწევს. თვითონ უშამავალა და უთხრა, მე გამამყევო!

უნა (|| -ნდა, -ნა, -და, -ა) უნდა ნაწილაკის შეკვეცილი ვარიანტები. პირვე-

ლის გარდა, ყველა ენკლიტიკად არის ქვეყნული. უნა წახვიდე! წყალინა მოიტანო! გაჩ უმდენა, მენა (მე უნდა), რანდა (რა უნდა), ვისდა (ვის უნდა)...

ურაობა გვალვა. არ იწვიმა, ურაობა წავიდა. მოხდა, რო იმ წელს არ იწვიმა, ურაობა წავიდა.

ურემს გააწყობ-ს ურემში ხარებს შეაბამს. ურემში გავაწყვე და ტყეში წავედი.

უსხიერებ-ს უყურებს, უკვირდება, უთვალთვალებს. მივიდა კარზე, რო უნა უსეიროს; ახლა ამას უსეირე! ერთი საათი უსეირა.

უსინათო ბრმა. დევი არის უსინათო.

უფლობ-ს ბატონობს. მაშინ ერევანში უფლობდა სპარსეთი.

## ფ

ფაგ-ი დანგრეული სახლი, რომელსაც კედლებილა აქვს შერჩენილი, — ნასახლარი.

ფაშმანდ-ი მოციქული, შუამავალი, მომრიგებელი.

ფაღ-ი მკითხავი, მარჩიელი, მისანი.

ფაღლობა მკითხაობა, მარჩიელობა, მისნობა. მეო ფაღობა მისწავლიაო.

ფარა ფული. ერთი მილიონი ფარა ჰქონდა.

ფაშარი დაძველებული (იოქმის უმთავრესად პურზე). რამდენა დღე ფაშარი პური-ნა შექამო?

ფაციცება-ა ფაცა-ფუცით საქმიანობს. მასპინძელი ფაციცება, რო როგორმე კარგათ დაუხვდეს.

ფახარი-ი სპილენძი. პირველში ოქრო არი, მეორეში — ვერცხლი, მესამეში — ფახარი; ფახარია ბევრი ჩამარხული.

ფახლევან-ი იგივეა, რაც ფალავანი. ხემწიფეს ორი ფახლევანი ყამლი.

ულუზ-ი გაუნათლებელი, უვიცი, უცოდინარი. ერთი ულუზი კაცი შეხვდა.

უველებ-ს გზას გადაუქრის, წინ გადაუდგება. ამით უფრო მალე უველებს ქურთებს.

უშობელა მეორე-მესამე წელში ჩამდგარი დეკეული.

უჩუმით შეუმჩნევლად, ჩუმად, ფარულად, საიდუმლოდ. გვერდით გაუარა უჩუმით; თათარში უჩუმით იცხოვრებენ; თავის მამი უჩუმით სახლები გაყიდა; ბებერ უთხრა უჩუმით.

უხა უფუარი ცომისაგან გამომცხვარი ლავში. გამოუცხომ უხას, გახმობ კარქა!

ფეკა ტახტი. ბოლოს ფეკაზე ჩამოქდა; ოღის ბოლოს ფეკაზე იქდა. ფეშქირ-ი პირსახოცი. აილო ერთი ფეშქირი, მხარზე გადიგლო.

ფეხიგზა ფეხისადგლი. წავიდა დედინობილა ფეხიგზაზე.

ფთილა ერთჯერობაზე გაჩილილი მატყლი.

ფიგ-ი შვემარცვლიანი მცენარე, გაზაფხულზე ითესება.

ფიშმან-ი საფიქრებელი, სინანული. ამლებიც ფიშმან არის, არამლებიც ფიშმან არი.

ფიშმან || ფოშმან გახდება-ს საფიქრებელი, სინანებელი გაუხდება, — ინანებს. მერე კი ფიშმან გახდებაო; ჩვენ კი ეგრე გითხარით, მაგრამ შემდეგ ფიშმან გაეხდითო; თავი სიტყვაზე ფიშმან გახდა.

ფიშმანობა (<ფიშმანობა) სინანული. ბიჭმა ფიშმანობა დაიწყო.

ფიქ-ი უკანონო შეილი. შენ ფიქობარო!

ფულფულა (ცხენი) ლურჯხალბიანი თეთრი ცხენი.

ფუნთუშა ბუხარში ნალევრალზე ან ნაცარზე გამომცხვარი მრგვალი პური.

ფუქი-თოვლის კორიანტელი. ზამთარში ძიელ ფუქი იქნება.

ფურრუკი-საქმელია: ხახვს შეწევენ, ადუღებულ წყალს დაასხამენ და ფქვილს მოუყიდებენ.

ფუხარა-საწყალი, ღარაბი, ლატაკი. ტვიტველი ფუხარა კაცი იყო; ჩაი-

ვა ფუხარის ტანისამოსი; ეს ყავაჰანა ფუხარებისააო; ნახა, რომ ეს ბებერი ფუხარათ ცხოვრობს.

ფშანი-მინდერიანი ადგილი კლდის ძირში, სადაც რამდენიმე ადგილას წყარო გამოდის.

ფშენა იგივეა, რაც ფშეინვა. ძალიან დიდი ფშენა ამოუშვა.

ფშტი-ზრდადურსრულეული, გამოფიტული (მარცვალი). მარცვალი ფშტი ღარაბი.

ქალაქაში-იხ. ქარაქაში.

ქალაღა-აბრეშუმის თავსაფარი ქალისა. სიძემ მისცა ქალაღა; წაიღეს ეს ჩემი ქალაღა.

ქაღობა-ქაღები. ქაღობამ აფოხნოს, კაცობამ თიბოს!

ქაღოღანა-იქაჩალი. გახდა ერთი ქაღოღანა ი.

ქაღუათინი-ოქრომქედლის იარაღი, გაზი.

ქამფური-ხის შუაში ამოსალარი სადურგლო იარაღი.

ქანჩი-თოკში გაყრილი მოკლე ჯოხი მოსაპერად. ერთი მაგრა დამიჭყეე ქანჩი!

ქარაგვეზი-ქარაგჭზი-ქვაზე გამოღული ხავსი მოყვითალო ფერისა, წინდების შესაღებად ხმარობენ.

ქარაქაში-ჩაქვმოღებული ორყეველა მსხვილი ხე, რომელსაც უღელს უბამენ და დიდ ქვებს ეზიდებინ.

ქარაფი-კლდის ნაპირი. ქარაფი-დან გადმოხტა; ქარაფებზე ისხდნენ ბატონები.

ქარაქოზი-იხ. ქარაგვეზი-ქარაგჭზი.

ქარსანი-ხის მრგვალი გობი ცომის მოსაზღვლად.

ქასარი-სალესავი ქვა.

ქაფჩა-ხინკლის საწურავე, — ქაფქარი.

ქაღალდი-წერილი. ქაღალდი დაწერეს და გაუვზავენს; მაშინ ქაღალდი გააკეთებინა, ყველამ ხელი მოუწერეს.

ქერ-ღეკა-ნახევარი ქერი და ნახევარი ხორბალი.

ქერ-კრული-იხ. ქერ-ღეკა. ხუთი სომარი ქერ-კრული გამოუვიდათ.

ქესა ქისა. ერთი ქესა არ ეყოფოდანო? ქესა ოც მანეთ შეადგენდა; შვიდ ქესა ფულზე ავიღნენო.

ქვილილი-იგივეა, რაც ბარდა.

ქთენ-თქენ. ვიცი, ქთენ რაც გინდათ.

ქთენი-თქენი. ქთენი ქირი წაიღო.

ქილარი-პროდუქტებისა და კურკლის შესანახი განჯინა.

ქიმუნჯს ჰკრავს-იდაყვს ან მუშტს ჰკრავს. შუა ძმას ქიმუნჯ ჰკრავს. ქისფათი-ტანისამოსი. რა ქისფათი ჩავაცვა ამასო?

ქიშა წყლის კურკელი თიხისა. დიდი ქიშითა ბებერ წყალი მისცა; ბებერს ქიშა გაუტეხია.

ქნილა-მომხდარა. ეს რა ქნილა?

ქოლგა-ჩრდილი. ერთ ხის ქოლგაში დაუსვენია.

ქორწილი დაუჭირა-ქორწილი გადაუხხადა. იმისთანა ქორწილი დაუჭირა, თელი რეველი იქ იყო; ხეშეიფემ ქორწილი დაუჭირა.

ქოქ-ი ძირი. კისრის ქოქში წავე-  
ლე; მუხას დაუწყო ქოქიანათ ამოგ-  
დება.

ქოქშია ჩოჩოჩი.

ქოქში სახლის კუთხე გარედან.

ქულ-ი (კარისა) შესასვლელი კარის  
ჩარჩოს ზედა ნაწილი, რომელიც დაყრ-  
დნობილია ორ ანეოლზე, ეს უკანასკნე-  
ლი კი — მიწაზე გადებულ ზღურბლზე.

ქულა 1. მოქსოვილი ან ბარხატისა-  
გან შეკერილი მრგვალი პატარა ქული  
(მოხუცები ხმარობენ). 2. ჯაღოსნური  
ქული, უჩინ-მაჩინის ქული.

ქუზხათ-ი ქვეითკრით აშენებული ნა-  
ბევარსფერული თალი, რომელშიც  
წყლის მიღები გამოდის.

ღაფ-ი არაყი. ერთ ალაგას ღაფ  
ხდიდნენ.

ღვარბილ-ი გრძლად გაშლილი მო-  
თბული ბალახი გასაშრობად.

ღვარანაშ-ი ხეობაში მოვარდნილი ნი-  
აღვარი. მციდან მოდიოდა ეს ღვარ-  
ნაშ-ი.

ღვარძლ-ი შვრისა მსგავსი სარევე-  
ლა ბალახი, — მათრობელა. ღვარ-  
ძლი პური ჰამეთ თქვენაო!

ღვედ-ი დაგრებილი თასმა უღელზე  
გუთნის მისაბმელად.

ღველფ-ი ნაკვერჩხალი. თვალეფში  
ღველფი შეყარა.

ქურა ყურმოჭრილი.

ქურუმ-ი || ქურუნ-ი 1. წყაროზე მო-  
წყობილი ხის ან ქვეითკრით აშენებუ-  
ლი ნაგის ის ნაწილი, რომელშიც სა-  
ქონლისათვის სასმელი წყალი გროვდე-  
ბა. დალევს თლათ იმ ქურუნს. 2.  
ჩაღრმავებული დიდი ქვა, რომელშიც  
წყალი დგას საქონლისათვის სასმელად.

ქუსქუსებ-ს ჩუმად, უხმოდ იცინის.  
რას ქუსქუსებ, ბიჭო, მანდა?

ქუქურა მხარი. ჩემო ძმაო, დამა-  
ჩემ ქუქურაზეო!

ქშატუნა ფუტკრების მოსაშორებე-  
ლი საბერველი.

## ღ

ღიმ-ი მცენარე, მწილად ღებენ,  
უმიც იჭმება. ფესვი (ატოლო, იხ.)  
წერილი კარტოფილისოდენა იცის,  
მოტკბოა. ღიმზე წამო ყანებშია.

ღლია იღლია. მოპარული ფული-  
ღლიაში ამოაფარა; ნიშანი ღლიის  
ძირზე მიიკარო!

ღრუტუნემ-ს ღრუტუნის ხმას გამოს-  
ცემს (იტყვიან ხოლმე ცხენზედაც).  
ცხენი ღრუტუნებს და წყალ არა  
სვებს.

ღულღულა ჩაუგლიათ შითქმა-მოთქმა,  
აურზაური დაუწყიათ. ამ ქალაქში ერ-  
თი ღულღულა ჩაუგდიაო.

## ყ

ყაბ-ი ყოველგვარი ჭურჭელი. თითო  
ნათის ყაბი წაიდეს; შევიდა ოთახში,  
საში ყაბით საკმელი დგა; დაუწყვია  
წყლის ყაბებში.

ყაბახ-ი გოგრა, კვახი. იმ დროს ყა-  
ბახში შექერაო.

ყად-ი მუსულმანთა მოსამართლე.

ყავაზ-ი მეფის კარის მკველი. ყა-

ვაზებმა ხენწიფეს შოუტანეს ამბა-  
ვი; გაგზავნის ყავაზებ და მოიყვა-  
ნებენ ქალს.

ყავახანა კაფე. ერთ ყავახანაში  
შევიდნენ.

ყაზახ-ი ყველაზე დაბალი ფენის  
წარმომადგენელი. პირველში ხემწიფეს  
ეცი და მერე ყაზახებს დიერიეო!  
ყაზმა წერაქვი.

ყათ-ი ფენა.

ყათირ-ი ჯორი, ჯორცხენა. წადი, ერთი ყათირი მოიყვანეო! საყდარში ყათირით შევიდა; ჩამოხადეთ საპანე, დაისვენოს ყათირმა; ეს ვაქაოი მოაბეს ყათირს.

ყან-ი ცოლის ძმა. მოვიდნენ ეს ყანები სიძესთან; შენი ყანებში დავინ არის?

ყალალ-ი აგურის ფორმაზე მოჭრილი, ერთ პირად დალაგებული წივა გასახმობად.

ყალხნათ ცერად, აღმაცერად. თავი ხმალის ყალხნათ მისცა ჩემ ხმალსაო.

ყამჩ-ი მათრახი. ცოცხალი გრლი ყამჩით აიღო.

ყანჯ-ი ქოფაკი ძალლი.

ყარანთ-ი აჩრდილი, ლანდა. თერძმა შეხება, რო რაცხა ყარანთია.

ყაფა თავის ქალა. ადამიანის შვილის ყაფა რამდენი ყოფილა! ნახა ადამიანის თავის ყაფა.

ყაფალ-ი ქვაბის, ქურკლის თავსახურავი. დაახურა მაგათ ყაფალი.

ყაყლანტო ყანყარტო. ხელი ყაყლანტოს სტაცა.

ყაჩ-ი აბრეშუმის პარკიდან გამოწლები მასალა ძაფის დასარაუჯად, — ყაჭი. ქალი ყაჭს ართამს.

ყაჭრ-ი მოვლა-პატრონობა, დაფასება. ასე თუ ისე ამ ცოლ ყაჭრი უნდა გაუწიო!

ყერაუცი-ი უგუნური, შტერი.

ყეფარ-ი ძალლი. ამ ყეფარებმა დამახჩესო.

ყველგნიდამ ყველა მხრიდან. შტრები ზო მოგაცილე ყველგნიდამო. ყვერნა ურმის ხელნაში გაყრილი ჰინკილაქი. ორ ჰინკილაქს შორის ღერძი თავსდება.

ყვინჩ-ი წვრილმან რამეების გამკეთებელი ხელოსანი; ოქრომკედელი. მივიდა ერთ ყვინჩთან; ამ ყვინჩსა ც გაუხარდება ძალიან.

ყლუნწ-ი ყლაპი, ყლუპი, ორა

ყლუნწი ღვინო მასეიო!

ყოთურ-ი საქონლის კანია დაავადება (ქაეილს იწვევს).

ყოლნებ-ი ცხენის ტანზე უნაგირის დასამაგრებელი თასმები. უნაგირი დაეადგი, ყოლნები მოუქირე.

ყოფუშით ცუდი განწყობით, გაბრაზებით. იმნაირი ყოფუშით მიღის, რო მეტი არ შეიძლება.

ყუარბელა წაბლის ფერი ქია, ქვის ძირში ბუღობს, ადამიანს ყურში თუ ჩაუძერა, უზიანებს.

ყუბურ-ი რევოლვერის ჩასადებელი, ბუღე. ზოგს ლევორველი ყუბური თქონდა.

ყულაუზ-ი გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი, მეთაური.

ყულაფ-ი კარის ჩამოსაკიდებელ ანჭამა.

ყულაჯ-ი ზომის ერთეული: ორთმკლავის გაშლა. მოიტანა ორმოცი ყულაჯი თოკი.

ყურ-ი იგივეა, რაც სავარცხელი (იხ.).

ყურაუცი-ი უცოდინარი, შეუგნებელი.

ყურბათ-ი რისამე საშოვნელად სხვა ადვილას, უცხო მხარეს წასვლა. ჩვენი შული ყურბათში წასულა.

ყურბან-ი შესაწირავი ცხოველი, სამხითო.

ყურგდებულობს-ი უსმენს, — ყურს უგდებს. მაგას რალა ყურგდებულობ?

ყურე მხარე, ადგილი. ერთ ყურეს დადგება; ამ ყურეს წაეიდა; ერთ ყურეს ტახი შეეეჩეთა.

ყურის ფარდა ყურის აკი. რო დიეჰყივლა, ყურის ფარდას გაუხეთქებდა.

ყურუთ-ი || ღურუთ-ი გამხმარი ღო. ყურუშ-ი ფელის ერთეული. ამაშო სამოცი ყურუშით მიევიო.

ყუსხუნ-ი უნაგირის საჭე თასმა.

ყურ ლურჯი. ქალი ყურ ცხენით მოღის.

შავი გუთან-ი ხის გუთან-ი. მოგხნამ-  
დით შავი გუთანი თ.

შარანა შაბათი.

შატამუტა წარამარა მოლაპარაკე.  
კვანაყლები, ცერცეტი. კაი ბიჭაა, შაგ-  
რამ ცოტა შატამუტა არი.

შაშ-ი ელამი. ამ ქალ თვალები შა-  
შ-ი აქ.

შეაგვრი-ა შეაგროვა. ხელმეორეთ  
შეაგვრი ა ხალხი.

შეანყრევ-ს შეამწყვდევს. ცარიელა  
ხალხი შეანყვრიეს ოთაღში.

შებორკლებ-ა შეუყუმანდება, დაბრ-  
კოლდება. ამაზე შებორკდა ხემწი-  
ფე.

შეხირებ-ა შეეკამათება, შეედაეება,  
წაეჩხუბება.

შეთვისება შეგუება, შეწყობა. შე-  
ათვისეს თვის ცოლთან; მოდი,  
ერთმანეთ შევთვისდეთ!

შეიშნივ-ა შეიფერა, შეიშენია. ეს  
ქონება ვერ შეიშნივია.

შეინგვრ-ა შეგროვდა. როცა სამივე  
შეინგვრა, მოიწვია კრება.

შეკმაზავ-ს მორთავს. ნუთუ ხანმა ეს  
ბიჭი ასე შეკმაზა? დედაშისი შეკ-  
მაზე ს რძლათ და დააჭვლინეს.

შეკოპავ-ს მაგრად შეკრავს, გათო-  
კავს. ორმა შეკოქეს ეს კაცი; სუ  
შეკოქა ცხენზე.

შემოიკალთავებ-ს ჩოხის ან შინლის  
კალთებს ირგვლივ ამოიკეცავს. იმწავე  
შემოიკალთავამდა და წაეიდო-  
და.

შემონაღვრა ნაპირებიდან, კიდურე-  
შიდან მიწის მოხვნა.

შემოხალხმავ-ს სახელდახელოდ ქვით  
შემოლობავს. წყლის პირას წრისებურად  
შემოხალხმავენ ქვის კედლებს.

შენახულობა ძვირფასი ნივთები,  
ძვირფასეულობა (ოქრო, ვერცხლი...).

შესულრულ-ი შეხვეული. შესულ-  
რული ხის ნაპერი გღია.

შესწია შეიპატიეა, შეიწვია. სტუმ-  
რები შესწია ოჯახში.

შესწყინდება-ა ეწყინება. ეს, ცოტა  
არ იყოს, შესწყინდა ამ აცს.

შეხოცამ-ს მოწმენდს, შეაზრობს.  
პირსახეზე ოფლ შეხოცამს.

შე-ს-ჭერდება-ა დასთანხმდება, დაწყა-  
ბულდება. ისინი არ შეგვჭერდნენ  
ჩვენა.

შევა-ი ზეავი. აქ შევაკი მოხეთქი-  
ლა.

შვილ-ი ვაფიშვილი. თერთმეტი შვი-  
ლი მყამს: ორი ქალი და ცხრა შვილი.

შვილს მსცემს-ს ქალიშვილს მიათხო-  
ვებს. მოდი, ჩემ შვილ მიქცემ!

შიარი-ი მშვიერი. შიარი ვერ ვატა-  
რი.

შილ-ი ძმის ცოლი, რძალი.

შირიან-ი ტყბილი.

შოლა გაცვეთილი ქალამნის ჩასაგე-  
ბელი ნაპერი.

შორაზე შორს. შორაზე ჩვენები  
გამოჩნდნენ.

შუბაშ-ი ლალის ამკრეფი.

შუხლემ-ენ ცარცვავენ. ყაჩაღები ქვე-  
ყანას შხვლებენ.

ჩაბჟირდება-ა გულით გაიცინებს.

ჩადრ-ი კირავი. დაულამდათ ტყიპირ-  
ზე, დადგეს ჩადრი; მიუახლოვდნენ  
ქალაქს, ჩადრები დადგეს.

ჩათო ხბოს დასაბმელი თოკი.

ჩაიხერგებ-ა გზა შეიკვრება, ჩაიკე-  
ტება, რალაც გადაელობება. დილიდან  
გასული ურმები ჩაიხერგნენ.

ჩაკლაკ-ი სოფელში (ზამთრობით)  
შემორჩენილი ერთგვარი ყანა.

ჩავტიტე! სასირცხო საქმეს რომ ჩა-  
იდენს, ამ სიტყვით ძიმართავენ. ჩ ა კ-  
ტი ტ ე შენა, არა ქცხვენთან?

ჩამოაკანჯავს ჩამოაქარავს, ჩამო-  
აფხავს. ამ ბოვმ ნიშნათ ჩ ა მ ო ა კ ა ნ-  
ქ ა სახეზე.

ჩამოლაგდებ-ა ყველა ჩამოვა. რო  
ჩ ა მ ო ლ ა გ დ ე ნ ხალხი, უთხრა...

ჩამოხდი-ს აკიდებულ ტვირთს ჩა-  
მოსხნის. ეს თორმეტი ვირი შენ კარებ-  
ზე ჩამოეხადო!

ჩამოჯდებ-ა ჩამოვა, ჩამოხდება (ცხე-  
ნიდან...) ქალი სწრაფათ ცხენიდან ჩ ა-  
მ ო ჯ დ ა.

ჩანალ-ი ის აღგილი, სადაც თვალის  
გუგა არის მოთავსებული. თვალები ჩ ა-  
ნ ა ლ დ ა ნ გამოსული ჰქონდა.

ჩარა საშველი, ძალა, ღონე, მე ვე-  
რაფერ ჩ ა რ ა ს ვერ გაეხდი.

ჩარეჭ-ი ღვინის ჭურჭელი, რომელ-  
შიც ლიტრი ჩადის. ორი ჩ ა რ ე ჭ ი ღვი-  
ნო შოიტახსე!

ჩაუნიავებ-ს ვადატ. მაგრად ჩაარ-  
ტყამს.

ჩაუშ-ი დაბალი ჩინის სამხედრო პი-  
არი, ჩაფარი. იმათ თათრის ჩ ა უ შ ე ბ ი  
სტუმრებიათ.

ჩაქელვა ფარდაგის ქსოვის დროს ძა-  
ფების ერთმანეთზე შიტანა.

ჩაყე! ჩაყავ! ხელები ჩ ა ყ ე ჯ ი ბ ე მ ი  
და ამოიღე!

ჩაჩურგა კალია.  
ჩე ჩემ(ი). მე ჯოხი დავირტყვი, რა  
ჩე რეულმა გაიგოს.

ჩერო ჩრდილი. შვიილა ერთ წყარო-  
ზე, ჩ ე რ ო ს თ ა ნ.

ჩი ხორცი, ჩიჩია (ბავშვის ენაზე).  
ჩივთ-ი სახნავი კავი.

ჩიტენა მარცვალ-ი ხორბლის ან ქე-  
რის გამოფიტული მარცვალი, — ფშტი.  
ჩონ-უნ ჩვენ უნდა. ჩ ო ნ - უ ნ შეგვეკა-  
მოს ამანაო?

ჩულთან-ი სხედასხვა ფერისა და  
ზომის ძველმანი ნაჭრებით დაკერებული  
(ტანსაცმელი, ლოგინი). ქალს ეძინა  
ძველ ჩ უ ლ ე ბ ი ა ნ ლოგინში.

ჩუნჯი იმბომ, რომ. ეს შოიყვანე,  
ჩ უ ნ ჭ ი სოფლი ღებუტატია.

ჩურა ამ სიტყვით კოზობანას თამა-  
შის დროს შემოსწრებულს მიმართა-  
ვენ. ამის შემდეგ მას უფლება არა აქვს,  
კოკი აიტაცოს. თუ ვერ მოასწრეს  
ჩ უ რ -ის თქმა, იგი კოკს შოიტაცებს.

ჩხვერთ აწუხებთ, სწყინათ. მაგათ ისა  
ჩ ხ ვ ე რ თ, რო თავეთ სიტყვა ვერ გა-  
ლის.

6

ცანცარებ-ს ძლივს ფეხზე დგას, --  
ტოკავს. ც ა ნ ც ა რ ე ბ ს ახლად მოგე-  
ბული კვიცი.

ციბრუტი-ი ფიქიდან თაფლის სახდე-  
ლი მანქანა. ხეალ ც ი ბ რ უ ტ ი ამუშა-  
ვით!

ციცქლამ-ს წინწყლავს. გუშინ თე-  
ლი ღლე ც ი ნ ც ქ ლ ა მ დ ა.

ცის გახსნა ბედნიერება. რ ა ც ი ს  
ჯ ა ხ ს ნ ა ს მოვესწართო!

ციცმარე ცისმარე. ყველ ც ი ც მ ა-  
რ ე ღღეს წყალ სვემდა.

ციცხვი-ი საწვენ, ჩამჩა.

ცულა დაუმუშავებელი, დასვენებუ-

ლი (მინა). „მინას სამ წელიწადში ორ-  
ჯერ ვთესდით, მესამე წელიწად ც უ ლ ა  
იყო“.

ცულა გზა გზა, რომელზედაც ბევრს  
არ დადიან. ამათ უჩვენა ც უ ლ ა გ ზ ა.  
ცულაზე არიან უსაქმოდ, უქმად  
არიან. ეს ურმები ც უ ლ ა ზ ე არიან.

ცხოვიერი-ი ცოცხალი არსება. მერე  
დაჯოგდა ქვეყანაზე ც ხ ო ვ ი ე რ ი.

ცხოვრება ქონება, სიმდიდრე. შამის  
ც ხ ო ვ რ ე ბ ა — ძროხა, ცხვარი — სუ  
წამოსახს; აუარებელი ც ხ ო ვ რ ე ბ ა  
ჰქონდა.

ძალაზე ძალით. ჩავიდნენ და ამოიყვანეს ძალაზე.

ძალა უყვეს დაძალეს, აჯობეს. ამათ ძალა უყვეს თათრებს.

ძალოფს ძალას იჩენს, წინააღმდეგობას ეწევა. ის ძალოფს, არ მისდევს.

ძანძალ-ი ზანზარი. მიწას ძანძალი გააქ.

ძალღანიორა ხახვის მსგავსი მცენა-

წაართმევს-ს გამოართმევს. რაც გინდა წამართვი და შეილო მაშირჩინეო მეორეთ წამართვა ის დოქი და გემრიელათ დაცალა; ერთი ფუთი სიმინდი და ერთი კამეჩის ტყავი წაართვიო.

წახახამს წაიყვანს მრავალს (იოქმის აღამიანზე). ბოვშეები სხვაგან წაახახა. ამ ბიქმა ესენი სოფელში წაახახა.

წაიბურამს-ს დაიხურავს. დაეწეები, საბან წავიბურამ.

წაყულაჟ-ი დაუმწიფებელი, მკვახე ნაყოფი (ჭერამზე იტყვიან).

წამოაღლიავებს-ს წამოაგდებს, წამოათრევს, წამოაქცევს, წამოაყირავებს. იქნეფე იწვა, წამოაღლიავეა ფეხებით, გაარტყა კედელს და სული ამოახდეინა.

წამონათღებ-ა ოღნაე გათენღება. როგორც კი წამონათდა, დასცხეს ერთმანეთს.

წამოხვი წამოლი! წამოხვი, პური ვკამოთ! წამოხვი იქა, პურ გაუმეფთო!

წაიწყულ-ი მიწაწყურილი, გადაფარებული. ტერი მომდგარა წაპიწყულ დელეზე და ყველა ჩავარდნილა.

წაუბიწია მიწა წაუყრია, გადაუფარებია. ზევიდან წაუბიწია, რო მტერმა არ შეამჩნიოს.

წვაჟ-ი ფეხის ქვედა ნაწილი, რა-

რე, ყანაში ამოდის, წერილი ხახვისოდენა თეთრ ძირს იკეთებს.

ძალაყურძენა ძალაყურძენა.

ძიმეთ ნელა. ცხენი კი ძიმეთ მიდის.

ძიმე ხულ-ი ცუდი, მქისე სუნი. ძალიან ძიმე სული უღიოდა; ძიმე სული გიდის.

ძირ-ი დადგმული თივის ზეინი (15-ბულულისაგან შედგება).

ზედაც წინდის ყელია ამოცმული. წეავის ტყავი გამოგლიჯა.

წვე ძალიან. წვე გააქირეა ამ კაცმა საქმე; წვე გააზვიადა; წვე პატარაა, კაცო!

წიბო ფერდის ძვალი, ნეკნი. მოგზია და მარცხენა წიბო მოპტება.

წიღნა ვაზის ვადაბრუნება. ვაზაფხულის პერიოდში წიღნის დრო იყო.

წინა პირ-ი მოთავე, თვაკაცი, მეთაური. ახწერილი ჰქონდათ, ვინ არის წინა პირი მამაკაცი, რო გეეწყვიტათ.

წინწილა წერილი ხეებისაგან გაკეთებული საცალფეხო ხილი. წინწილაზე ძლიე გამოველი.

წინწილით წერილა.

წირანი-ი ჰერამი. წირანი, ბალი წავილოთ გასაყიდათ.

წირნობის თვე იელისი.

წიფლისჩიტა ბელურასოდენა მოშავო ჩიტი, მგალობელი, გული და კისერი თეთრი აქვს. ბულბული და წიფლისჩიტა ფრინველებში ეს ორია.

წკნით-ი პატარა, უფარგისი.

წკრე მწყრივი. სამი წკრე არ არის! დადგნენ წკრეზე.

წლიანობა წლოვანება. წერ წლიანობა ხელს არ უწყომს, რო შრომა დღეები ჩაუწყროთ.

წმინდა კვამლ-ი თხელი, გამკვირვა-



ლ ეკამლი. სახლიდან წმინდა ეკამლი ამოდის.

წუწუშა იხ. წურწურა.

წურწურა ვიწროყელანის წყლის

პურველი.

ს-წყობ-ს ჩწყავს. დაუთესაა ლობიო და სწყობს. ქალები ეხლა სწყობენ.

3

ჭაკული-ი იხ. ხაკეტი.

ჭაშა შუბლი.

ჭაჭვი-ი || ჭვაჭი-ი მუქა. ორი ჭაჭვი ოქრო მიუცია; ერთი ჭვაჭი ოქრო ამოიღო.

ჭეო ფუტკრის ფეხებზე აკრული და ფიკის უჯრედში დაგროვილი ყუავილის მტვერი ბარტყების საკვებად.

ჭვინტი-ი ქალამნის ცხვირა.

ჭიკაუჯნობა კიაკოკნობა: „ცეცხლ ანთობენ, ალავი ავარდება, ზედ ხტუნავენ“.

ჭიკ-ი სათამაშო კოქის ჩაღრმავებულ მხარე (თაფის საპირისპირო).

ჭიკორ-ი სათამაშო კოქის შეზნექილი მხარე (თოხანის საპირისპირო).

ჭილი-ი ქაობიან ადგილას მოსული უხეში ბალახი. მისგან მოქსოვილ ფარდასაც ქილს ეძახიან.

ჭიჭყინა წერილი (თევზი). ერთი ჭიჭყინა თევზიც ვერ დაიჭირა.

ჭლიკ-ი ფეხის ნაწილი მუხლიდან კოკამდე. აი, ეხლაც სისხლი მდისო, კლიკი უჩვენა; კლიკი მოაქრეს.

ჭოი შემოკლებული ბიჭო! (მიმართვისას). ნახა, რო, კო, მამაც ცოცხალია, ღედაც ცოცხალია!

ჭობოშანი-ი ხის სახეხი ქლიბი.

ჭოანი-ი მსხვილი თოკი, საბელი. შენი კირიმე, ღილი ჭოპანი მოიტანე! ჭორტი-ი მაღალი ქვა, სვეტი.

ჭოკ-ი ძლიერ დასველებული, ატალახებული; ჭაობიანი ადგილი.

ჭოჭნარი-ი დატბორილი, ჭაობიანი ადგილი.

ჭუჭკი ღორ-ი დედაღორი, რომელიც კარი-კარს დადის საზრდოს საშოვნელად. სახში ჭუჭკი ღორები დარეზიან.

6

ხაბარ-ი ცნობა, ამბავი. ცოლს ხაბარი არა აქ.

ხათილი-ი მსხვილი ლურსმანი. გააკეთებინა დიდრონი ხათილები.

ხალილი-ი || ხალაჯალი-ი შინამოსამახურე ქალი, მოახლე. ხემწაფის ქალი ბაღში გასულა თავის ხალილებით ხალთა თასმა ან თოკი, რითაც ულის ტაბიკებია დამაგრებული.

ხალხამ-ი 1. დროებით შეპოვებულ-შემოფარგლული ადგილი ზაფხულობით საქონლის სადგომად. 2. მხოლოდ კედლებშემორჩენილი, დანგრეული სახლი, რომელიც შეიძლება საქონლის სადგომად გამოიყენონ.

ხანი-ი გზაზე ღამის სათევი შორს

მიმავალი მგზავრებისა და პირუტყვისათვის. მივიდნენ ერთ ადგილას, შევიდნენ ერთ ხანში.

ხანულ-ი როცა ყველის ან კარაქის გაკეთება უნდათ, 5-6 კომლი შეამხანაგდება და გარკვეული საზომით რძეს რიგრიგობით ჭერ ერთ ოქახში მიიტანენ, შემდეგ ამავე რაოდენობით სხვა ოქახს გადაუხლიან და ასე გრძელდება 9-10 დღე.

ხარაბა ნანგრევებად ქცეული ადგილი; ნასოფლარი. ოსპნურის ხარაბა სოფელი იყო.

ხარაქ-ი გადასახალი, ხარკი. გაიყვანა ყარაყურღნამდის და დაადო ხარა-

ჯი; ესეთი ხარაჯი დაადო თათრებს კისერზე.

ხარვა რამდენიმე ხანულის (იხ.) შეერთება.

ხაიხე ახორის (იხ.) ქერზე სიგრძეზე გადებული ძელი.

ხარკეტი-ი (<მხარკეტი-ი) ბუნებრივად ოდნავ მოხრილი ხის ტოტი, რომელსაც ბოლოებში რკინის კავები აქვს ვედროების ჩამოსაკიდად. მხარზე გაიდებენ და წყალს ეზიდებიან.

ხარქაში-ი (<ხაქაში?) ფიცარზე ხაზების გასაველები სადურგლო იარაღი.

ხას-ი ძვირფასი, მაღალი ღირებობის; აბრეშუმის ქსოვილი. მიიღო თავის ოქროზე ხასი ოქრო.

ხახახა დიდებული სასეირნო ბაღია. ქეიფობდა თავი ხახახაში.

ხაშალი ხე დაზიანებული, ნახევრად დამპალი ხე.

ხაშილი-ი დაღერღილი ხორბლისაგან გაკეთებული საქმელი ერაოთი შეზავებული.

ხმო-ჯორი დრო დაახ. საღამოს 6—7 საათი: „მზე რო დასავლეთით ორი კაცი სიმაღლემდე დარჩება“.

ხები-ი ცხვის უხეში მატყლისაგან სქლად ნაქსოვი.

ხედავ-ი გამომცნობი, მკითხავი, მისანი, ფალჯი (იხ.) ერთი ხედავი იყო.

ხელზე მოუკითხამს ხელზე კოცნით მისვალმება, ხელზე ემთხვევა და საჩუქარს მიუტანს. თქვენც მოხვალთ, თითო-თითო ხელზე მოუკითხამთ.

ხელმანდილი-ი სამკუთხა თავსახევი. გამოჰკარამს ხელმანდილში ერთ ქათამს; გამოუტრა პური ხელმანდილში.

ხელმანდილის ყურ-ი ხელმანდილის ნასკვი. ხელმანდილის ყურში ზეგჩი ექნება.

ხელს შიწოდებს-ს ხელს გაუწოდებს. შენ ხელი მიაწოდე, იქნებ შენ მოქცესო?

ხელს შიიტანს-ს ხელს წაველებს. ყველამ ხელს მიიტანეს, რო წერილი

წერთვით.

ხელს შიჭოფს-ს გადატ. 1. დიწყებს, ხელს წაველებს. ორი ფეხი რო დაბეჭდა ცხენისა და მესამეს ხელი მიჭყო... 2. დაეპატრონება, დაიწყებს მითვისებას. ხელი მიჭყო ბეგის სიზენგინეს.

ხელქვეშ შეუთვლი-ს მალვით, ჩუმთ შეუთვლის. იმ კაცს ხელქვეშ შეუთვლია.

ხელში ჩაიყრი-ს ხელში ჩაიღებს (მრავალს, ბევრს). ვი თუ ხენწიფე? ხელში ჩაგვიყარა და დაგვხოცაო!

ხერტალი-ი მატყლის სართავი, — თითისტარი. ხერტალმა ხელი დამალა.

ხერძალი-ი მოწული კალათა ბოსლიდან ნაკელის გამოსაზიდად.

ხეში-ი უხეში მატყლისაგან სქლად ნაქსოვი. წინდა მეცვა ხეშისაო, ქალამანი მეშისაო (ხალხ.).

ხეხუტი-ი შტერი.

ხევედა ხის ურო.

ხევე-ი ხის კოვზის ამოსათლეობი იარაღი.

ხვრილი-ი ხვერილი. ხვრილი იყო გათხრილი.

ხიზანი-ი მთელი ოჯახი, ცოლ-შვილი. ხიზანი ჩავერეეს ხერთვისში; ეხიზანი შიერი ხო არ უნდა დავხოცოთო!

ხილამს-ს ანათებს. ქთამი ჯოჯოხეთ ხილამსო.

ხმელზე ხმელეთზე. როგორც იქნა, ეს კაცი გავიდა ხმელზე.

ხორა გროვა, ხროვა. დიდი ხორა შეუყენებია.

ხორომ-ი „თივას ვაშლიან, კარგათ დატეპნიან, გადაეცემენ სამჯერ სივანეზე და ორჯერ სიგრძეზე, შემოუტევენ თულოს (ულოს). ვირს ერთს აქეთ და მეორეს იქით გადაჰკიდებენ, შუაში კი მესამეს ჩადებენ“.

ხოჭი-ი ძონძი, ჩვარი. ხოჭიქში შეკრული ბავშვი.

ხრიკეტი-ი (<მხრიკეტი-ი). ი. ხ. ხარ  
კეტი, კაკული.

ხრუტუნ-ი ფრუტუნი. ცხენმა შექმნა  
ხრუტუნი.

ხუთშარანა ხუთშაბათი.

## ჯ

ჯავახულა თივისა და ძნის საწილი  
დიდი ურემი; შდრ. საბარე.

ჯაზ-ი თვალთმაქცი, კუდიანი, ცბი-  
ერი. მე მყავს ერთი ჭაზი ბებერი; ამა  
ჩქარა, მოიყვანე ჭაზი ბებრები!

ჯაზნანა თვალთმაქცი, ცბიერი, მო-  
ხერხებული დედაბერი. რადღან ვერა-  
ფერ გახდა, ერთ ჭაზნანას მისცეს.

ჯამ-ი მაჰმადიანთა საშლოიველო, —  
მეჩეთი. იმ ფაშამ აქ ააშენებინა ჭამი.

ჯამათ-ი ხალხი. ერთი მთქმელსა და  
ორი — ჭამათსა.

ჯანგ-ი ჭაფის გაწევა, ცდა, გარჯი-  
ლობა, წვალება. ზამთარ-ზაფხულსუ ეს  
ჯანგი გვაქვს, ჰერ ბოლო არ მოს-  
დევს.

ჯანგობ-ს ცდილობს, წვლობს, ჯა-  
ფას ეწევა. მთელი დღე ვჯანგობდი,  
რო სამუშაო მალე დაგვეთავაზებინა.

ჯანდაგი || ჭანდაქ-ი ლერი, გვაში.  
ჯანდაგი ჩააგდეს პადვალში; საქმე-  
ნელათ წვიდნენ, იშოვნეს მარტო ჭან-  
დაქი, თავი არ ჰქონდა; ორმოში ჩაყა-  
რა იმი ჭანდაგი.

ჯანჭლათ ნელ-ნელა, ფეხდაფეხ, ჩან-  
ჩალით. ეს ბიჭი ჭანჭლათ მიჰყვა  
ცხენსა.

ჯაყო დიდი დანა. ერთი ჭაყო გა-

ხუნდი-ი მტრედის ბარტყი. ახლად  
რომ ბუმბულს გამოიღებს.

ხუშკ-ი დაგროვილი ცხენის ნაკე-  
ლი; წივის აპრის შედეგად ნარჩენ-  
ფხენილი. ცხენის ხუშკში ჩაფლეს  
ეს კაცები.

აკეთებინე, გულზე რო დაეარტყა, ზურ-  
გში გავიდეს!

აქიზ-ი მზითვეი. ბევრი ქონება გო-  
მამატანა; ჭეიზი, ოქრო, ვერცხლი-  
ლოგინი.

აქერ-ი დროზე მისაყევი საქმელი.  
ცხენს ჭერი მიეციო!

აქვალ-ი მატყლისაგან მოქსოვილი  
დიდი ტომარა. ამსო ორი ჭვალი  
ქერი, რუაფუთიანი ჭვალი იყო.

აქვავ-ი ქაჭვი. მე არც გუთნე ჭვავი  
არ გამოძლემს.

აქვიზინა მეჭვარე.

აქვიჯა ვერცხლის ფულის ასხმა  
ყელზე ჩამოსაყიდებლად. პატარძალს  
ჰქონდა აქვიჯა.

აქილა სახენელი, კავი. შიბა აქი-  
ლა; აქილის სახისი ადევს; არცა-  
უბიათ აქილე ბი.

აქილეუბ-ს ბრანთანად ლაპარაკობს.

აქივი-ი ყანწი.

აქულდანი-ი || აქურდანი-ი დანის ჩასა-  
ღები ბუდე, ქარქაში.

აქულფაჟ-ი მხედავი, მარჩიელი. ერთ  
ქვეყანაში ერთი აქულფაჟი იყო.

აქულაბ-ი პასუხი, თანხმობა. აქულა-  
ბი არ მისცე, მოდი ჩემთან! რასაც ხემ-  
წიფე გეტყვის, აქულაბი არ მისცეო.

## ბ

ბაბვა აბვა. აიღე და ჩასტივე პაპ-  
გაში!

ბავახ-ი ხალისი. ამ ბიჭმა პავახს  
ქნა.

ბაითყენ? საითყენ?

ბალა აბა. პალა, ვნახოთ ეს სინიო;  
პალა უყურე, რას შერება?

ბალობა სიმართლე. შოთამ თავის  
პალო ბითა ელუსალემ კოშკი დადგა.

მაღლა რკინის სარტყელი ურმის  
თვლის გარშემო.

მაშა მაგრამ. დილას ავთ ვიყავ, პა-  
შა ეხლა კარგათ ვარ; მოლალული ხარ,  
პაშა ზაჰმათი გასწიეო!

მაშაილ-ი ფოლადისაგან ნახევარ-  
მთვარისებრ გამოჭრილი ცხენის სამ-  
კერძული.

მაშფუსი კოკობანას თამაშის დროს  
ამ სიტყვას დაიძახებენ, როცა კოკი  
(ანაქა) მაყურებელს ფეხში მოხვდება.

მანგამით იხ. პაჰ-პანგამით. ჩაასვე-  
ნის კუბოში და პანგამით და პა-  
ტივისცემით წაიყვანეს.

მანი? სად არის? რო გეითხრაჰ პა-  
ნი ღედაი? — რა უნა უთხრათო?

მაჰმანგამით || მაჰმანგამანქით დიდი  
ამბით, დიდი ხმაურით და აურზაურით.  
ქორწილი გადაიხადეს დიდი პაჰპან-  
გამანქით.

მარა-ი დიდი ქოხი, კეტი.

მარამბაშ-ი ყაჩაღების მეთაური. ამ  
დროს მოვიდნენ პარამბაშეზი.

მარეი წამოდი! პარე, გოგო!

მაროს-ი გაკორდებული, სათიბად  
ქცეული ყანის ნაკვეთი.

მარღ-ი დიდი რუ, არხი. გამიპარით  
ერთი დიდი პარღი!

მაჯ-ი მაჰმადიანური სამლოცველო  
მექაში. წაეყვანათ პაჯში სალოცვე-  
ლათ; ყველწლივ ელუსალიმში, პაჯში  
მიდიოდა.

მაჯათ-ი საოჯახო ხელსაწყო იარაღე-  
ბი; ინვენტარი. კაი პაჯათ გაუწყოფს.

მეკალი-ი ეკალი.

მეტეი გაკვირვების შექაზილი, შეხე-  
დე!

მექიათ-ი ზღაპარი. ასეთი მექიათ  
გამიგონია.

## ძირითადი დასკვნები

1. ტერიტორიულად მესხეთ-ჯავახეთი ქართლს ეკუთვნოდა და გეოგრაფიულად მის ზემო ნაწილს წარმოადგენდა („ზემო ქართლი“). ისტორიულად მესხეთ-ჯავახეთი კულტურულად, ეკონომიკურად და ადმინისტრაციულად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. ერთ ბედქვეშ იყო მოქცეული ეს ორი კუთხე როგორც კულტურულ-ეკონომიკური აყვავების დროს, ისე დაცემის პერიოდში — თურქთა ბატონობისას. მესხეთ-ჯავახეთს ყოველთვის მჭიდრო და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა ქართლთან. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთმა ძალმომრეობით არაერთხელ მოსწყვიტა ეს მხარე საქართველოს და მაჰმადიანობასთან ერთად აქ ავრცელებდა თურქულ ენას, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, რომელმაც შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა, მაინც დაკავშირებული იყო ქართლის მოსახლეობასთან. ამით აიხსნება, რომ მოსახლეობის ამ ნაწილმა ბოლომდე შეინახა ქართული ენა და ეთნოგრაფიული ერთიანობა ქართლის მოსახლეობასთან.

2. ჯავახურში გამოიყოფა ორი რიგის ენობრივი მოვლენები, რომლებიც ნიშანდობლივია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კილოებისათვის. ეს ვითარება შეპირობებულია იმ თავისებური ისტორიული და გეოგრაფიული პირობებით, რომლებშიც ჯავახურია მოქცეული. მას ურთიერთობა უხდება როგორც აღმოსავლურ (უმთავრესად ქართლურ, მესხურ), ისე დასავლურ (აჭარულ, გურულ, იმერულ) კილოებთან. მიუხედავად ამისა, ჯავახური, მესხურთან ერთად, ძირითადად აღმოსავლური კილოების ჯგუფს განეკუთვნება, რადგან მასში დასავლური კილოების დამახასიათებელი ფორმები შედარებით მცირეა (შეხვედრები უმთავრესად დასტურდება ფონეტიკურ მოვლენებში), მაშინ როდესაც მთელს ენობრივ სინამდვილეში გაბატონებულია ტიპობრივი ქართლური ფორმები. ჯავახური მესხურის ლეიძლი ძმავა. ქართლურთან ერთად ესენი ერთ დიდ დიალექტურ არეალს ქმნიან. საზიარო მოვლენებთან ერთად გამოიყოფა რიგი განმასხვავებელი თავისებურებანი, რომლებიც ნიშანდობლივი ჩანს თითოეული მათგანისათვის.

3. ბგერითი შედგენილობიდან ჯავახურში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს უმლაუტიანი ჰ, ზ და უ ბგერების არსებობა, რაც თურ-

ქული ენის ხანგრძლივი და ძლიერი გავლენის შედეგია. ამ თავისებურებით იგი გამოეყოფა ქართული ენის დიალექტთა უმეტესობას, მაგრამ გარკვეულ კავშირს აბამს ამჟამად უცხო ენობრივ გარემოცვაში მოქცეულ ინგოლოურთან და ერთგვარ მსგავსებას ავლენს აგრეთვე ფერეიდნულთან.

4. ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია სრული რეგრესული ასიმილაციის მოვლენები. მაასიმილირებელი ხმოვნის როლში გვევლინება ე და უ ხმოვნები. ამ ხაზით ჯავახური საერთოს ავლენს მესხურთან და ქართულთან, იუ > უუ და ოუ > უუ ხმოვანთა ცვლილებების მხრივ კი იგი დასავლური კილოებისაკენ იხრება, კერძოდ, აჭარულს, გურულს და ზემოიმერულს ეკედლება.

5. ჯავახურისათვის ტიპობრივი ჩანს ხმოვანთა აე > ეე > იე, აი > ეე > იე თანამიმდევრობა როგორც პრეფიქსთა, ისე სუფიქსთა მიჯნაზე. ამგვარი პროცესი დასავლური კილოებიდან ახასიათებს აჭარულს, იმერხეულსა და ქვემოგურულს, აღმოსავლური კილოებიდან კი მხოლოდ ინგილოურს.

6. ოვა კომპლექსის უა-დ ცვლა ორსაფეხურიანია: პირველ საფეხურზე აღილი აქვს ო-ს შემდეგ ვ-ს დაკარგვას, მეორე საფეხურზე კი ა-ს მეზობლად ო-ს დავიწროებას და დისიმილაციას. მოვლენა თავს იჩენს ფუძისეული და სუფიქსეული ხმოვნების შესაყარზე (შოპუა, დატუა, გასათხუარი). ერთსაფეხურიანია მოვლენა პრევერბისეული ო-სა და ზმნის ფუძისეული ა ხმოვნის შესაყარზე (მუაბა, მუარჩინა; შდრ. აგრეთვე მუახლე). ზმნისა და სახელის როგორც პრეფიქსულ, ისე სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე თავს იჩენს აგრეთვე ოვე > ოე > უე.

7. მთელს ჯავახურში ფართოდ არის მოღებული ზ-ს სუბსტიტუცია სპირანტ ს-სთან. ეს მოვლენა იმდენად ნაირ-ნაირ კონტექსტშია გავრცელებული, რომ ქართული დიალექტების კლასიფიკაციის დროს იგი ჯავახურისათვის, აჭარულთან ერთად, ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

8. დასტურდება კომბინატორული და სპონტანური აფრიკატიზაციის საინტერესო შემთხვევები (თ+ს=ც... თ-ჯ, ტ-ჭ, ზ-d, კ-წ), აფრიკატთა სპირანტიზაციის მოვლენები (ძ-ზ, ჯ-ე).

9. ფართოდაა ფეხმოკიდებული ბგერათა დაკარგვის მოვლენები. აქ ჩვენ ვადასტურებთ არა მარტო ჩვეულებრივ შემთხვევებს, არამედ ისეთებსაც, რაც სხვა კილოებში ჩვეულებრივ არ გვხვდება.

10. ყურადღებას იქცევს ისეთი რედუქციული ფორმები, რომლებიც სალიტერატურო ენაში და თვით აღმოსავლურ კილოებშიც ჩვეულებრივ არ იკუმშავენ და არც იკვეცენ ფუძეს (ლოგნის < ლოგინის, პირ-

ვლათ, მორვიდან < მორვეიდან, სამწუხრო, კრებიდან < კარებიდან, მეცხვრე, წელწადი...).

11. კილოში თავს იჩენს როგორც დინამიკური, ისე ტონური მახვილი. მახვილი შედარებით ინტენსიურია და ადვილად აღიქმება კითხვით, თხოვნით და ძახილის წინადადებებში. თხრობით წინადადებაში ორმარცვლიან სიტყვებს დინამიკური მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე. ასევეა ძირითადად სამ-და მეტმარცვლიან სიტყვებში, მაგრამ აქ ზოგჯერ მახვილი შეიძლება მიიღოს ბოლოდან მესამე მარცვალმაც. კითხვით წინადადებაში გვაქვს ტონურ-დინამიკური მახვილი, რომელიც უკანასკნელი სიტყვის (ზმნის) მეორე მარცვალს მოუდის და სათანადო ხმოვანი გაგრძელებულად გამოითქმის.

12. თავისებურებანი დასტურდება მორფოლოგიაშიც.

ა) სახელთა ბრუნება საყურადღებოა როგორც ბრუნვათა საწარმოებლების, ისე ბრუნვათა ფუნქციების თვალსაზრისით. სახელობითის -ი მოუდის ფუძეთანხმოვიან ნათესაობის აღმნიშვნელ ზოგიერთ სახელს, საწყისს, ზედსართავს, ადამიანის საკუთარ სახეს, ზოგი ი-ზე დასრულებული საკუთარი სახელი კი ფუძეთანხმოვნიანებს გასდევს.

ბ) ზოგან მოქმედებითი ბრუნვა გამოყენებულია დაწყებით-გამოსვლითის ფუნქციით (სოფლით, ბაზრით).

გ) ფართო გამოყენება აქვს დიალექტში სავრცობ ა-ს. იგი გვხვდება როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან. ყველაზე ხშირად იხმარება მიცემით ბრუნვასთან. იგი გამოვლინდება ხოლმე კავშირებთან, ზმნიზედებთან, ნაცვალსახელებთან და ზოგიერთ თანდებულთან.

დ) მრავლობითის -ებ სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია -ევ, რომელიც გვხვდება სოფ ხოსპიოს მცხოვრებთა ნეტყველებაში. ფართოდ არის გავრცელებული -ობა სუფიქსის გამოყენება კრებითობისა და სიმრავლის გამოსახატავად (ურმობა, ბოვშვობა, ქალობა, გოგობა, ჩიტობა, ხარობა).

ე) თავისებურებას გვიჩვენებს ზმნის ნაკვთთა წარმოებაც: ზმნათა ერთი დიდი წყება I სერიის ნაკვთებში არ დაირთავს მოსალოდნელ -ავ და -ებ თემის ნიშნებს: ვთესდით, ყლაბდა... დავტოვ, ვახსენდით (ვახსენებდით). ამის საწინააღმდეგო მოვლენა გვაქვს, როცა ნულნიშნიან ზმნებს თემატური სუფიქსები უჩნდებათ (მოვიტანამ, ავიყვანამ, წერამს, გაატანებენ).

ვ) ჭავახუტის თავისებურება ყველაზე რელიეფურად და ხელშესახებად ზმნის თემის წარმოებაში ჩანს. ამ მხრივ ეს მეტყველება გარკვეულ მსგავსებას ავლენს ქართლურ-კახურთან, მაგრამ ყველაზე ახლოს მაინც მესხურთან დგას, თუმცა ზოგ რამეში მისგანაც განსხვავდება.

თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობას საფუძვლად უნდა ედოს თანხმობანთა მონაცვლეობა და ანალოგია.

ზ) ჯავახურში მტკიცედ დაცულია მეორე პირის ბრძანებითი, რომლის გადმოსაცემად გამოყენებულია კავშირებითი მეორის სათანადო ფორმები სამივე (-ო,-ე,-ა) მაწარმოებლებით. (დაიჭირო! მოიტანო! მოხვიდე! მიირთვა!).

თ) ბევრი თავისებურების შემცველია გვარისა, ქცევისა და კაუზატივის წარმოება.

13. კილოში სიტყვაწარმოების იგივე მოდელები და საშუალებები გამოყენებული, რაც სალიტერატურო ქართულ ენას ახასიათებს, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება მნიშვნელობით განსხვავებული და თავისებურად წარმოქმნილი სახელებიცა და ზმნებიც.

14. სინტაქსური თავისებურებებიდან ყურადღებას იქცევს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა. თანხმობაზე დასრულებული მსაზღვრელი (იქნება ის ზედსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი თუ სხვა) ტენდენციას იჩენს, ფუძის სახით მოგვევლინოს მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში დასმულ საზღვრულთან და უბრუნველობის მხრივ გაუთანაბრდეს ფუძეხმოვნთან მსაზღვრელს (საწყალ კაცმა, საწყალ კაცის, საწყალ კაცით).

სინტაქსური კალკები. უცხო ენობრივი წრის გავლენა ყველაზე ხელშესახებად სინტაქსისა და ლექსიკის მიხედვით ჩანს. ჯავახურში მეტად ხშირია უცხო ენის ყაიდაზე აგებული სინტაგმები, წინადადებები და გამოთქმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართულისათვის არაბუნებრივი აღწერითი წარმოება შემასმენლისა. ასეთი შემასმენლის სახელური ნაწილი უცხოენოვანია, დამხმარე ზმნა კი -ქართული.

ლექსიკა. ლექსიკური შედგენილობა დიალექტისა მდიდარი და საინტერესოა. საკმაო რაოდენობით შემონახულია თურქულიდან შემოსული სიტყვები, რომლებიც ძირითადად მოხუცთა მეტყველებაში არის ფართოდ შეღწეული. ერთი ნაწილი შემოსული სიტყვებისა შინაარსით და ფორმის მიხედვითაც უცვლელად არის დამკვიდრებული. მეორე ჯგუფს ქმნის ისეთი სიტყვები, რომელთა ფუძეები ნასესხებია თურქულიდან ან თურქულის გზით ირანულ-არაბული ენებიდან, სახელური და ზმნური საწარმოებელი აფიქსები კი ქართულია გამოყენებული. შედარებით მცირე რაოდენობითაა სომხურის გავლენით დამკვიდრებული სიტყვები.



## РЕЗЮМЕ

1. Территориально джавахаский диалект входит в группу южных диалектов грузинского языка. В настоящее время он распространен в Ахалкалакском и, частично в Аспиндзском районах, исторически же он занимал более обширную территорию.

Этот прекрасный край не один раз бывал захвачен турками, опустошен и разорен. Местное население почти в течение четырех веков мужественно боролось с нашествием врагов, оно со славой защитило свою независимость, свою древнюю культуру, сохранило свой родной язык и этнографическое единство.

2. В джавахаком выделяется два ряда языковых явлений, которые характерны как для восточных, так и для западных диалектов грузинского языка, что обусловлено своеобразными историческими и географическими условиями бытования этого диалекта. Несмотря на это, джавахаский в основном принадлежит к восточной группе диалектов грузинского языка. Вместе с месхским и картлийским они образуют большой единый диалектный ареал.

3. Звуковой состав джавахаского в первую очередь отличается от литературного грузинского языка наличием умляутизированных гласных ä, ö, ü, которые вторичного происхождения и появились в результате длительного и сильного влияния турецкой языковой среды. В этом отношении они отличаются от большинства диалектов грузинского языка, однако сближаются с ингилойским и ферейданским, которые и сейчас находятся в иноязычном окружении. В джавахаком ä встречается лишь в словах турецкого происхождения, а ö и ü появляется позиционно из слияния билабиального или губно-зубного w с i, e: šwili > šöli „сын“, ħwerçxi > ħögçxi „яйцо“.

4. Из фонетических процессов наиболее распространена полная регрессивная ассимиляция, которая наблюдается, главным образом, в глаголе при встрече гласных приставки и основы: ae > ee, oe > ee; iu > uu, ou > uu (daeḳitxa > deeḳitxa „спросил“; miutana > muutana „принес“.

Среди согласных имеется как регрессивная, так и прогрессивная ассимиляция. Более активный характер носит частичная контактная регрессивная ассимиляция, обычно встречающаяся в децессивных комплексах.

Частичная прогрессивная ассимиляция, типичная для западных диалектов, иногда встречается и в джавахском: акцессивный комплекс  $xb > xp$ , а  $cb > cp$  ( $xbo > хро$  „теленок“;  $ucbat > ucpat$  „сразу“).

Некоторые виды ассимиляции не имеют систематического характера: в одной и той же позиции этот процесс может иметь место, может и не иметь.

5. В джавахском чаще других встречаются следующие типы ассимиляции гласных: гласный основы  $e$  полностью ассимилирует гласный приставки  $a$  или  $o$ , а затем эти гласные расподобляются:  $ae > ee > ie$ ;  $oe > ee > ie$  ( $daezebs > deezebs > diezebs$  „ищет“;  $moe\text{c}ona > mee\text{c}ona > mie\text{c}ona$  „понравился“). Этот процесс проявляется также на стыке корневого гласного  $a$  и суффикса:  $zmaebi > zmeebi > zmiebi$  „братья“. Иногда это сочетание получается и без ступени ассимиляции:  $\text{see}\dot{\text{q}}itxa > \text{šie}\dot{\text{q}}itxa$  „спросил“;  $xeebi > xiebi$  „деревья“.

Второй тип диссимляции гласных наблюдается при встрече гласных  $e$  и  $o$ , причем  $e$  суживается  $vi$ :  $meba\text{y}eoba > meba\text{y}ioba$  „садоводство“. Такого же характера  $oo > uo$ :  $\dot{\text{q}}alooba > \dot{\text{q}}aluoba$  „молотьба“.

В определенных звуковых комплексах после потери согласного  $v$  происходит субституция диссимлятивного характера:  $ova > oa > ua$ ,  $ove > oe > ue$ . Это явление отмечается на стыке морфем:  $da\text{t}ova > da\text{t}oa > da\text{t}ua$  „оставил“;  $movedit > moedit > muedit$  „пришли“. В некоторых случаях  $ua$  и  $ue$  получаются непосредственно из комплексов  $oa$  и  $oe$ :  $moagonda > muagonda$  „вспомнил“;  $gogoebi > goguebi$  „девочки“.

Во всем джавахском диалекте особенно широко распространена замена спиранта  $s$  придыхательным  $h$ . Это явление наблюдается в различных позициях и его можно считать одним из отличительных признаков при классификации диалектов грузинского языка.

7. Встречаются интересные случаи комбинаторной и спонтанной аффрикатизации, а также спонантизация аффрикат:  $arcertsa > arcercsa$  „ни одному“;  $in\dot{z}ineri > in\dot{z}ineri$ ;  $zalian > zalian$  „очень“;  $\text{še}\dot{z}da > \text{še}\dot{z}da$  „сел“.

8. Обычно выпадение звуков происходит в начальных и

конечных слогах при стечении согласных, причем чаще других исчезают сонорные *g, l, m, n*, звонкие *v, d* и глухой *s*. Заслуживает внимания, что в джавахском встречаются такие случаи выпадения звуков, которые в других диалектах обычно не имеют места.

9. Путем слияния двух одинаковых простых согласных иногда получается геминированный согласный, который воспринимается как один звук, но имеет большую длительность:  $s+s > \bar{s}$ ,  $m+m > \bar{m}$ ,  $n+n > \bar{n}$ .

10. В специальной литературе давно установлено, что редукция в восточных диалектах более интенсивная, чем в западных. В джавахском, который относится к южной группе, зафиксированы такие редуцированные формы, которые обычно не подвергаются редукции в восточных диалектах и литературном языке:  $loginis > lognis$  „постели“,  $qarebidan > qrebidan$  „из дверей“,  $tesxvare > tesxvre$  „пастух“. Наряду с этим здесь употребляются нестяженные формы имен существительных:  $stumrad > stumarad$  „в гости“,  $imerlebi > imerelebi$  „имеретинцы“.

11. Ударение в джавахском, насколько это можно определить на слух, динамическое и тоническое. Динамическое ударение в двухсложных словах падает на второй слог от конца, так же обычно и в трехсложных и многосложных словах. Но здесь иногда оно переносится на третий слог от конца. В вопросительных предложениях имеем динамико-тоническое ударение, которое падает на второй слог конечного слова, причем ударный слог удлиняется. В результате интенсивности динамического ударения иногда заударный слог отпадает, ударение переносится на предыдущий слог и все равно оказывается на втором слоге от конца:  $toβgundi > toβgu$  „повернись“.

12. Джавахский диалект по сравнению с литературным грузинским языком отличается также и некоторыми морфологическими особенностями. В склонении имен обращает на себя внимание следующее.

а) Имена существительные с гласным окончанием основы в именительном падеже, в основном как и в литературном языке, представлены без окончания, но изредка, особенно имена собственные и обозначающие родство, получают окончание *i*:  $gogiai$ ,  $vasoi$ ,  $dedai$  „мать“,  $dai$  „сестра“.

б) Эргативный падеж обычно имеет два окончания: *-m* — *-ma*. Полное архаичное *-man* зафиксировано в речи жителей деревни Гогашени:  $kalman$   $dauxaxa$  „женщина позвала“,  $biqman$   $utxra$  „мальчик сказал“.

в) У имен существительных с согласным окончанием основы (независимо от того, является ли имя синтаксически дополнением или обстоятельством) в дательном падеже *s* часто отпадает: *mezobel dauzaxa* „позвал соседа“, *kalak čavida* „пришел в город“. То же самое происходит с элементом окончания родительного падежа *s*, который употребляется препозиционно в качестве определения: *saxli paṭroni* „хозяин дома“.

г) Окончание обстоятельственного падежа у некоторых существительных с суффиксом *-ian* представлено гласным *a*: *ziḡiana* «с корнем». Однако это происходит не так регулярно, как в верхненмеретинском.

д) В джавахском часто встречается эмфатическое *a* как в нарицательных, так и в собственных именах, особенно в дательном падеже. Имена с эмфатическим *a* обычно находятся в конце предложения или перед паузой: *čaiṡebs an riḡ:a* „возьмет этот хлеб“, *kai sxeni qamda roṡomsa* „хорошего коня имел Ростом“.

13. В говоре деревни Хоспио фонетическим вариантом окончания множественного числа *-eb-* является *-ev-*: *turkevi* „турки“, *tatrevi* „татары“, *haḡevi* „быки“. В джавахском очень распространено и продуктивно употребление суффикса *-oba* для обозначения собирательности и множественности; в этом случае он выполняет ту же функцию, что и суффикс *-eb*: *xaḡoba* вм. *haḡevi* „быки“, *kaloba* вм. *kalebi* „женщины“, *uḡtoba* вм. *uḡtebi* „арбы“.

14. Определенный интерес представляет также образование глагольных форм. Согласно фонетическим закономерностям грузинской живой речи показатель субъекта 1-го лица префикс *v* перед *u* отпадает, что характерно и для джавахского. Но, помимо этого, *v* отпадает также и перед *-p-* как в единственном, так и во множественном числе: *paḡo* вм. *vpaxo* „посмотрю“, *paḡot* вм. *vpaxot* „посмотрим“.

В разных вариантах представлены префиксы субъекта 2-го лица и префиксы объекта 3-го лица, но в их употреблении не замечается определенных закономерностей.

15. Своеобразие джавахского диалекта сравнительно с другими диалектами грузинского языка особенно ярко проявляется в образовании форм глаголов I серии. В этом отношении джавахский чем-то похож на картлийский и кахетинский, но ближе всего стоит к месхскому диалекту грузинского языка, хотя в некотором отношении и расходится с ним.

Система основообразующих суффиксов глагольных форм I серии представлена следующими соответствиями:

Литературный язык	Джавахский диалект
-av-	-am-  -an-(tes-av-s > tes-am-s  tes-an-s „сестра“);
-av-	-eb-(kɫ-av-s > kɫ-eb-s „убивает“);
-av-	-em-  -ob-  -om-(mogor-av-s > mogor-em-s „кажется“, gɔq-av-s > gɔq-ob-s  gɔq-om-s „полирует“);
-eb-	-am-  -an-, -em-  -en-(aɣet-eb-s > aɣet-am-s  aɣet-an-s „делает“, iɣ-eb-s > iɣ-em-s  iɣ-en-s „берет“).

Можно думать, что такое чередование согласных в суффиксах следует объяснить распространенной в диалекте заменой губных, а также аналогией.

16. Джавахский характеризуется наличием побудительно-«просительных» форм 2-го лица, в качестве которых употребляются соответствующие формы второго сослагательного наклонения: *saxvide* „прошу пойдти“, *moitano* „прошу принести“.

Здесь наблюдаются также многие особенности в образовании форм залога, версии и каузатива.

17. В диалекте используются те же способы словообразования и словообразовательные модели, что и в литературном языке, но иногда встречаются имена и глаголы, своеобразные в этом отношении.

18. В области синтаксиса обращает внимание взаимосвязь определяемого и определения. Определение, оканчивающееся на согласную, независимо от того, выражено ли оно прилагательным, местоимением или числительным, имеет тенденцию не склоняться, как и определения на гласный: эргативн. — *sacqal qasta* „бедный человек“, родительн. — *sacqal qacis* „бедного человека“, творительн. — *sacqal qacit* „бедным человеком“.

19. Иноязычное влияние, вызванное историческими условиями, заметнее всего проявляется в лексике и в синтаксисе. Здесь часто встречаются предложения и словосочетания, построенные на турецкий лад. Например, необычное для грузинского языка аналитическое сказуемое, где именная часть заимствованная, а вспомогательный глагол — грузинский: *tamala uqo* „приветствовал“, *pišman gaɣda* „задумался“.

20. Лексический состав джавахского диалекта богат и

многообразен. Особенно выделяются слова, обозначающие предметы и понятия материальной и духовной культуры, названия орудий труда, термины животноводства и земледелия, слова, отражающие народный быт, игры и развлечения.

21. В книге представлены диалектные тексты джавахаского говора, записанные автором в Ахалкалакском и Аспиндзском районах. По содержанию тексты разнообразны, в первую очередь они интересны в языковом отношении, а также дают определенный материал для истории, этнографии и фольклора. В монографию включен и небольшой словарь, в который вошли лексические единицы, имеющиеся в текстах.

## სამიგბლები

### პირთა

- აენესოვი რ. 5  
ალავიძე მ. 27, 59  
ახვლედიანი გ. 32, 65
- ბატონიშვილი ვახუშტი 3  
ბერიძე გ. 7, 9, 13, 20, 22, 23, 28, 47  
48, 54, 60, 67, 69, 71, 74, 75, 99  
ბერიძე მ. 75  
ბერძენიშვილი ნ. 3
- ბელენიძე ლ. 43
- დონდუა ე. 3  
დონდუა კ. 24  
დუმბაძე მ. 3
- ფაინრაიხი უ. 5
- ზურაბიშვილი თ. 53
- თოფურია ვ. 13, 26, 39, 43, 59, 73, 82,  
83, 86
- ომნიშვილი გ. 10, 12, 13, 16, 17, 21, 23,  
28, 46, 57, 85, 97
- კარიკაშვილი დ. 37  
კახაძე ო. 23, 59, 67  
კოკორაძე დ. 3  
კუბლაშვილი კ. 10
- ლევავა ლ. 57  
ლენი რ. 6  
ლომთათიძე ქ. 19
- მაისურაძე ი. 9, 12, 22, 23, 28, 34, 67, 74  
მარი ნ. 10, 43, 44  
მარტიროსოვი ა. 10, 16, 20, 21, 22, 23,  
30, 32, 34, 45, 46, 57, 67, 74, 85  
მელიქიშვილი გ. 3
- ნეიარაძე შ. 9, 16, 19, 23, 47  
ნოზაძე ლ. 81, 88  
ნოლაიდელი ქ. 19, 35
- ფლენტი ს. 16, 27, 47
- რათიანი პ. 3  
როგავა გ. 11, 36, 37, 82
- უთურგაიძე თ. 10, 22, 85
- ქავთარაძე ი. 29, 87, 105  
ქაჩაია ო. 17, 29
- ღლონტი ა. 24
- ზანიძე ა. 10, 11, 14, 25, 29, 43, 44, 54,  
55, 56, 65, 67, 74, 80, 83, 85, 93, 95
- ჩიქობავა ა. 10, 11, 17, 26, 28, 29, 35,  
39, 47, 56, 57, 68, 82, 86
- ცოცანიძე გ. 10, 29, 36, 85
- ძიმიგური შ. 10, 12, 16, 20, 21, 22, 23,  
25, 26, 27, 56, 59, 74, 102  
ძიმიშვილი მ. 32  
ძოწენიძე ქ. 16, 17, 23, 26, 52, 59, 62, 75

ჭინჭარული ა. 19, 29, 67, 85

ჯანაშია ს. 93

ჯანგიძე ვ. 51, 86, 105

ზუბუა მ. 67

ჯაჯანიძე პ. 35

მ თ ქ მ ე ლ ე ბ ი \*

ასპანიძე ისიდორე დიმიტრის ძე 9, 18, 26, 30, 39, 55.

ივანიძე ტროფიმე იოსების ძე 18, 34, 37. ინსასარიძე გიორგი სიმონის ძე 68.

ბალახაძე ირადიონ გიორგის ძე 25. ბერიძე დევანოს ნიკოლოზის ძე 57, 63. ბერიძე დიმიტრი ვასილის ძე 47, 48, 49, 52, 53, 54.

კობტონაშვილი არჩილ სოლომონის ძე 65, 66, 67.

კობტონაშვილი გიორგი გრიგოლის ძე 16

ბერიძე მარიამ სიმონის ასული 42. ბერიძე მარკოზ სიმონის ძე 1, 56, 62, 76.

ლეიშვილი ნიკოლოზ ლუარსაბის ძე 11, 20, 29.

გიორგაძე სერგო თედოს ძე 8, 51, 52. გოგოლაძე თომა 9, 27.

შაისურაძე სერგო ვასილის ძე 31, 36, 43. მელიქაძე ნიკოლოზ სპირიდონის ძე 23, 29, 44, 61,

გურგენიძე სტეფანე იაკობის ძე 8, 17, 26, 33, 38, 39, 45, 77.

მიქელაძე არჩილ ზაქარიას ძე 59, 72.

დავლაშვილი იაკობ სოლომონის ძე 15, 35, 69.

მიქელაძე გიორგი სერგოს ძე 24.

მიქელაძე იაკობ 6, 9, 71, 75.

მიქელაძე ლევან იაგორის ძე 19.

ველიჯანაშვილი გაბო იაკობის ძე 14, 40.

მიქელაძე ოლა 5.

მურადაშვილი ვანო იოსების ძე 2, 7, 50.

ველიჯანაშვილი მარკოზ თომას ძე 3, 10, 28, 51

ოქროაძე ლაზარე ნიკოლოზის ძე 13, 70, 73, 74.

ველიჯანაშვილი სარა ეფრემის ასული 38.

ხმალაძე კირილე პეტრეს ძე 15, 17, 22, 34, 46, 47, 50.

ზაზაძე გიორგი მიხეილის ძე 4, 41.

ზაზაძე ესტატე ეფრემის ძე 12.

ზურაბაშვილი ბაგრატ ტიმოთეს ძე 60.

ზურაბაშვილი სტეფანე პეტრეს ძე 64.

ხუციშვილი გიორგი ათანის ძე 4.

ხუციშვილი იობა სიმონის ძე 32.

ხუციშვილი სერგო კოსტანტინეს ძე 58.

სოფლები, ნასოფლარები და სხვა მიკრომრთველები\*\*

აგანა 145

ალჭვა 114

აგარა 113, 114, 129

არაგვა, არაქტა 119

ალასტანი 136

არალა 112

\* რიცხვებით აღნიშნულია დაბეჭდილი ტექსტების ნომრები.

\*\* წარმოდგენილია იმ სახით, როგორც ადგილზე ტექსტში გვაქვს ჩაწერილი. მთქმელთა მიხედვით ზოგი სახელწოდება ორგვარი და იშვიათად სამგვარი ფორმითაც კი გვხვდება.



ასოსმანი 152

აფნია 6

აწყური 120

ბაერა 32, 144

ბათმანის ქვა 150

ბალანთა 54, 136

ბარალეთი 6, 133, 137

ბეგის ხილი 147

ბეჟანო 138

ბერა 144

ბოსლევი 54

გოგაშენი 6, 11, 14, 60, 113

გოკიო, გოკია 112, 113, 133, 136, 142, 146, 159, 163

გომი 144

გომარეთი 116, 117, 141,

გულიკამი 44

დადეში 145, 152

დამწვარსახლები 144

დანკალი 6, 143

დებისი 141

დედოფლეთი, დედოფლის წყარო 127,143, 144

დილისკა 115

დუმანისი 116

ერკოტა 118

ვაკევი 54

ვარანტა 144

ვარგავი 7, 119, 121

ვარევანი 6, 14, 136, 164

ვარძია 113, 142, 143

ვაშლევი 54

ზედა თმოგვი 129, 147

ზეწნობი 153

თმოგვი 142, 143

თოკი 7, 12, 14, 54, 131, 139, 140, 145

თურბა 112

იფნევი 54

კარტახი, კარწახი 114

კვალთხევი 145

კვარშა 114, 129

კოთელია 6, 116, 119, 133, 147

კოტორეული 112

კოკორი, კოკორი 111, 112

კულასისი 129

კუმურდო 114, 129

ლაშიხევი, ლეშიხევი 142

ლომატურცხი 136

მარაბდა 131

მარგასტანი 147

მინაძევი 138

მოდიგამი 44, 136, 137

მურჯახეთი 6, 9, 11, 12, 14, 44, 54

მუხევისთავი 54

მღვიმევი 54

ნაქალაქევი 134, 142, 147, 150

ნეფის წყარო 144

ნიკგორი 145, 146, 147

ობოლეთი 144

ოთა 159

ორმოცი 143, 151

ოსპნაური 144

ოშორი, ოშორა 111, 118, 138

პანტევი ძირი 54

პრტენა 6

რაბათი 111, 156, 162

რეხა 116

როკეთი 118

საბუზარა 126

სარო 7, 12, 14, 54, 118, 119, 129, 130, 138, 145, 163

საყარაულა 141

სისხლმოვანები 144

ტაბაწყური 138, 158

ტაიჭა 153

ტამალა 112, 130, 142, 163

ტოლოში 119, 133, 146, 147,

ტურცხი 136

ტყემლუანი 126

უნაგირა, ურაგინა 31

ფია 147

ქალათაფა 113

ქვაბისხევი 146

ქვაბლიანი 130

ქვევი 54

ქვეში 116

ქილა 6, 11, 12, 14, 16, 114,  
129, 130

ქუნცა 118

ღაღოს ხიდი 136, 137

უუმრისი 116

შაბანბელი 112, 113

ჩიხარული 138

ჩიხორიში 144, 163

ციხისჯვარი, ციხიჯვარი 137

ცხეკნელი 146

ცხრაშუხა 141

ძეგლევი 54

ძეელი 118

წერაკუნტა 119, 130

წითელი საყდარი, წითელსაყდარა 117

ჭაქკარი 31

კიხარული 130

კობარეთი 118, 134, 138, 145, 163

ხანლო 146, 164

ხარაშენი 119

ხერთვისი 111, 114, 130, 145

ხიზა 143, 144, 162

ხიზაბაგრა 7, 14, 118, 119, 130

ხიხატი 128

ხოსპიო 6, 12, 54

ხოფი 121

ხულა 128, 130

ჯიხარულა 116

## შინაარსი

შესავალი	3
<b>თავი პირველი</b>	
I. განსხვავებული ბგერები	9
II. ფონეტიკური პროცესები	14
1. ასიმილაცია	14
2. ხმოვანთა დისიმილაცია	20
3. ბგერათა კომპლექსების ცვლა	25
4. მეტათეზისი	30
5. სუბსტიტუცია	32
6. აფრიკატიზაცია	35
7. დეზაფრიკატიზაცია	38
8. ბგერათა დაკარგვა	<u>38</u>
9. რედუქცია	43
10. ბგერათა შერწყმა	45
11. ბგერათა ჩართვა	46
12. მახვილი და ინტონაცია	47
13. სიტყვის ბოლო მარცვლის მოკვეცა	49
<b>თავი მეორე. მორფოლოგიური ანალიზი</b>	
1. სახელები	50
2. თანდებულები	60
3. ზმნიზედები	62
4. ნაწილაკები	66
5. ზმნა.	<u>69</u>
6. სიტყვაწარმოება	91
<b>თავი მესამე. სინტაქსური თავისებურებანი</b>	99
<b>თავი მეოთხე. ლექსიკა</b>	106
<b>ტექსტები</b>	110
<b>ლექსიკონი</b>	222
<b>ძირითადი დასკვნები</b>	257
<b>Резюме</b>	261
<b>საძიებლები</b>	267

Арам Георгиевич Мартиросов

ДЖАВАХСКИЙ ДИАЛЕКТ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(На грузинском языке)

Тбилиси

1984

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ჩეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. ა. კ ი ზ ი რ ი ა  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი  
გ რ . ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი

სბ 2127

\*

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა  
მხატვარი გ. ლომიძე  
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე  
ტექნორედაქტორი ნ. ოკუჯავა  
კორექტორი ლ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 24.1.1983; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.2.1984;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 17.0;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15.2

უე 00932;

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 2086;

ფასი 2 მან. 40 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19